

იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტი

**პროფესორი იროდიონ სურგულაძე 130**

Scripta Manent

საიუბილეო კრებული

თბილისი  
2022

**იროდიონ სურგულაძე** (1892-1945) - უმაღლესი იურიდიული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1927), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის თეორიის, სამართლის ფილოსოფიის, სახელმწიფო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის და სამართლის ისტორიის ერთ-ერთი მესაძირკველ საქართველოში, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი (1925-1927), საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1930-1932), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944).

პროფესორი იროდიონ სურგულაძე 130, Scripta Manent, საიუბილეო კრებული, *თ. ნემსწვერიძისა და ს. ტაკაშვილის რედაქტორობით*, თბილისი, 2022, 483 გვ.

Professor Irodion Surguladze 130, Scripta Manent, Anniversary Collection, Edited by *T. Nemstveridze* and *S. Takashvili*, Tbilisi, 2022, 483 pg.

### **რედაქტორები:**

#### **თორნიკე ნემსწვერიძე**

სამართლის მაგისტრი (თსუ), იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი

#### **სიმონი ტაკაშვილი**

სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფირმა „ჯეი ენდ თი ქონსალთინგის“ პარტნიორი

**კრებული გამოიცა იურიდიული ფირმა „ჯეი ენდ თი ქონსალთინგის“  
მხარდაჭერით**

© ავტორები, 2022

© იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტი, 2022

ISBN 978-9941-34-104-5

„თანამედროვე სახელმწიფო უფლებრივი სახელმწიფოა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონი მის ცხოვრებაში უმაღლესი ავტორიტეტის მატარებელი ძალაა“.

„სახელმწიფო ხელისუფლების არცერთი ფუნქცია არ შეიძლება, რომ სუვერენული ერის კომპეტენციის დამოუკიდებლად არსებობდეს; სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება სავსებით მოთავსებულია ერში, როგორც იურიდიულ მთლიანობაში“.

„უმნიშვნელოვანესი თვისება, რომლითაც თანამედროვე სახელმწიფო არსებითად განსხვავდება აბსოლუტური მონარქიის რეჟიმისაგან არის კანონის ბატონობა, როგორც ახალი დროის სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი მომენტი“.

*პროფესორი იროდიონ სურგულაძე*

1923 წელი



## იროდიონ სურგულაძე და მისი დრო

გასული საუკუნის ოციანი წლებიდან ორმოციან წლებამდე პერიოდი ქართული თავისუფალი აზრის ისტორიით დაინტერესებული ხალხისთვის ყველაზე საგულისხმო დროის მონაკვეთია. ცხადია, იურიდიული აზრიც თავისუფალი აზრის შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ, თუმცა ამ აზრებისა და იდეების უალრესად საინტერესო მოძრაობების სრულფასოვანი ცოდნით მაინცდამაინც ვერ დავიკვებებით. არსებული თეთრი ლაქების გასაფერადებლად ბოლო ათი წლის განმავლობაში ბევრი, თუმცა ბოლომდე არასაკმარისი გაკეთდა. ეს კრებულები ერთ-ერთი ნაბიჯია არც თუ მარტივ გზაზე, რომელიც სრული და ობიექტური სურათის საბოლოო აღდგენაში უნდა დაგვეხმაროს.

როცა მომავალი თაობები ამ პერიოდს მოუბრუნდებიან, თორნიკე ნემსწვერიძის სახელს ალბათ ყველაზე ხშირად ახსენებენ. თორნიკეს გარდა ალბათ არავის გაახსენდებოდა, რომ ქართული იურიდიული აზრის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი იროდიონ სურგულაძე წელს 130 წლის გახდებოდა. საიუბილეო კრებულის გამოცემა გახსენებისა და პატივის მიცემის საინტერესო აკადემიური ფორმაა. ეს ფორმა, რომ აუცილებლად გამოსაყენებელი იყო, თორნიკეს ამაში ჩემი დარწმუნება არ გასჭირვებია.

კრებული ლაიბნიცს მიკუთვნებული და ილია ჭავჭავაძის საყვარელი ციტატის მიხედვით არის აგებული. წარმოდგენილ სტატიებში თავის ადგილზეა და გაცოცხლებულია, როგორც იროდიონ სურგულაძის დროინდელი წარსული, ასევე, ჩვენი აწმყო და ალბათ გარკვეულწილად მომავალიც. თუ ამ წიგნს თავიდან ბოლომდე წაიკითხავთ, ადვილად შეძლებთ მემკვიდრეობითობის იმ ხაზის დანახვას, რომლის განადგურებაც სამოცდაათწლიანი მცდელობის შემდეგაც კი, როგორც ჩანს, მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა. სწორედ ამ კრებულზე მუშაობის დროს გავიგე, რომ გრიგოლ რცხილაძე ოციანი წლების ბოლოს წერდა მორალურ ზიანზე და Numerus Clausus პრინციპზე. ამ იდეებთან დაბრუნება საბოლოოდ 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა გააფორმა და განვითარების განწყვეტილი ხაზი დაგვიანებით, მაგრამ მაინც ალაღვინა.

რადგან კრებულს იროდიონ სურგულაძის სახელი ჰქვია, ერთი ორი სიტყვით მისი პიროვნებისადმი ჩემს დამოკიდებულებასაც მინდა შევცხო.

მაქსიმალიზმი დიდი ხნის წინ გარდაცვლილი საინტერესო ადამიანის შეფასებაში - ძველი ქართული წესია. ამ დროს, პიროვნება, რომელიც ინტერესის საგანი ან ზეცაში უნდა ავიყვანოთ ქება-დიდებათ, ან მინასთან უნდა გავასწოროთ ლანძღვით. თუმცა, ძალიან გვიჭირის ხოლმე დანახვა, რომ სურათი ყოველთვის ასეთი მკვეთრი და შავ-თეთრი არ არის.

იროდიონ სურგულაძეს ძალიან რთულ დროში მოუწია ცხოვრება. სტალინური პერიოდი ნამდვილად იყო ყველანაირი ადამიანური თვისების გამოცდის პოლიგონი. იროდიონ სურგულაძის ცოდნისა და მომზადების იურისტი მაშინდელ საქართველოში ძნელად თუ მოიძებნებოდა, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში მის აქტიურობას ვერ ვხედავთ. ისიც ფაქტია, რომ სურგულაძე აქტიურ პრაქტიკულ და აკადემიურ მოღვაწეობას გასაბჭოების შემდეგ იწყებს. ამ დროს ის პირველი ქართველი სამართლის დოქტორიც ხდება, ვინც დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ და პროფესორიც, თუმცა იდეალიზმში ბრალდებასა და მარქსისტული მატერიალისტური მიდგომის უარყოფის გამო კრიტიკას მაინც ვერ იცილებს თავიდან. უნდა, რომ წეროს საჯარო სამართალში ხელშეკრულების მნიშვნელობაზე, სადაც ინდივიდის თავისუფლებაზე მსჯელობას გვერდს ვერ უვლის, მაგრამ 1937 წლიდან საერთოდ თავს ანებებს მოქმედი სამართლის პრობლემებს და მთლიანად სამართლის ისტორიაში გადადის. იურისტი დიდი პრაქტიკული გამოცდილებით, კარგად ხვდებოდა საიდან შეიძლებოდა წამოსულიყო საფრთხე და თავდაცვის საკუთარი სტრატეგიაც კარგად ჰქონდა შემუშავებული. მის ამ შემობრუნებას სამართლის ისტორიისაკენ გმობითა და პრინციპულობით ვერ ავხსნით, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთმა გადაწყვეტილებამ რამდენიმე ბრწყინვალე ნაშრომი შესძინა ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებას.

როგორი მოქნილიც არ უნდა ყოფილიყო პატივცემული პროფესორის სტრატეგია, ის ალბათ თვითონაც ხვდებოდა, რომ სისტემას იმითაც კი აღიზიანებდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მუშაობდა. როგორი ფრთხილიც არ უნდა ყოფილიყო სტატიის წერისას, სასამართლო პროცესზე თუ აუდიტორიაში, ის ვერასდროს შეძლებდა ბოლომდე დაემალა უნარი, რომელიც მას - ასეთ მოქნილსა და კომპრომისულსაც

კი, ამ სისტემის დაუძინებელ მტრად აქცევდა. ეს კრიტიკული აზროვნების, წინააღმდეგობების დანახვისა და დასკვნების გამოტანის უნარია. გამოცდილი და ბევრის მნახველი ინტელიგენტი, რამდენიმე ევროპული ენის სრულყოფილი ცოდნით და ინფორმაციით აღჭურვილი, ყოველთვის იქნებოდა სისტემის მხრიდან ძალიან ფრთხილი და ზიზღნარევი დაკვირვების ობიექტი.

მისი გარდაცვალების საკმაოდ უცნაური გარემოებებიც ამით უნდა აიხსნას. ოცდაათიანი წლების ქართველებში გამოვლილ, ორმოცდაათ წელს გადაცილებულ პროფესორს ალბათ კიდევ ბევრის დანერა და მოსწრება შეეძლო. უბრალოდ, სისტემის ლოგიკა ამას ვერ დაუშვებდა. დღეს ნაკლებად აქვს მნიშვნელობა იყო თუ არა მისი სიკვდილი ბუნებრივი. ნებისმიერ შემთხვევაში, სევდის მომგვრელია იმის გახსენება, რომ იროდიონ სურგულაძე იყო ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარე კაცი, რომელიც სხვა დროსა და სხვა გარემოებებში ალბათ ბევრად მეტის გაკეთებას შეძლებდა საკუთარი ქვეყნისთვის. სისტემა ნიჭს და კრიტიკული აზროვნების უნარს არავის ჰპატიობდა და იროდიონ სურგულაძე რატომ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი. სისტემას ხომ ასეთ დროს გამონაკლისები არ უყვარს.

**გიორგი ცერცვაძე**

იურიდიული ფირმა „ჯეი ენდ თი ქონსალთინგის“ მმართველი  
პარტნიორი

2022 წლის აპრილი

ვარშავა

## პერსონალიასთან და კრებულთან დაკავშირებული კონტაქსტების გაგებისათვის

**საიუბილეო კრებულის გამოცემა.** საბჭოთა საქართველოს იურიდიულ საზოგადოებაში, სამწუხაროა, მაგრამ, როგორც წესი, მიღებული არ იყო კონკრეტული მეცნიერის საიუბილეო თარიღისადმი კრებულის მიძღვნა და ნამდვილად მისასაღმებელია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საიუბილეო კრებულის გამოცემების აკადემიური ფორმატის ღირებულ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. სამეცნიერო მოღვაწეობის ხელშესახები შედეგიდან გამომდინარე, პროფესორი იროდიონ სურგულაძე, ისევე როგორც პროფესორები: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ნანეიშვილი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი, დოცენტი სერგი ჯაფარიძე, გრიგოლ რცხილაძე და ა.შ., ნამდვილად ღირსები არიან მსგავსი საიუბილეო კრებულებისა, რომლითაც საქართველოში სამართლის მეცნიერების ევოლუციის კვალდაკვალ, თანამედროვეობას გავახსენებთ წარსულის იმ პერიოდს, როდესაც მეცნიერული სამართლებრივი აზრის კვლევა საქართველოში თანაგანმცდელი იყო ევროპაში მიმდინარე სამართლებრივ-ფილოსოფიური დისკუსიებისა. საქართველოში სამართლის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის მქონე პერსონალიებისადმი კრებულების, წიგნების, წერილების მიძღვნა, მათი გამოკვლევების გამოცემა და მსგავსი აქტივობები დაგვეხმარება ისტორიული წარსულის განცდის კრიზისის დაძლევაში, რომელიც სამართლის მეცნიერების ქართულ რეალობაში, მათ შორის, ეპოქალური მოვლენების გათვალისწინებით, გვხვდება.

**პროფ. სურგულაძის ოჯახი.** იროდიონ სურგულაძის დაბადების შესახებ მეტრიკული ჩანაწერი დაცულია ხვანჭკარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის 1892 წლის წიგნში, რომლის მიხედვითაც, მომავალში ცნობილი სამართალმცოდნე იროდიონ სურგულაძე, მაშინდელი რაჭის მაზრის სოფელ ხვანჭკარაში<sup>1</sup> საეკლესიო პირის, მღვდელ აპოლონ

---

<sup>1</sup> დღევანდელი მონაცემებით: სოფელი ხვანჭკარა, ხვანჭკარის ადმინისტრაციული ერთეული, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.



სურგულაძის<sup>1</sup> (დაიბადა: 1855 /25 მარტი/ წელს, გარდაიცვალა: 1935 /29 ივნისი/ წელს) ოჯახში 1892 წლის 15 მაისს<sup>2</sup> დაიბადა. დაბადების მეტრიკული წიგნის შესაბამის გრაფაში მითითებულია, რომ ამ ჩანაწერის სინამდვილეს ამონწმებს, თავად დაბადებულის მამა და მისი „მიმ[რ]ქმელი“ (ანუ ნათლია) ცნობილი სასულიერო მოღვაწე, მღვდელი ვლადიმერ ფოფხაძე. საარქივო დოკუმენტებითა და სამეცნიერო-საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე შეიძლება დადასტურებულად ვთქვათ, რომ იროდიონ სურგულაძის უშუალო წინაპრები 1800-იანი წლების დასაწყისიდან 1918 წლამდე რაჭის სხვადასხვა სოფლის, მაგრამ ძირითადად სოფელ ხვანჭკარის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში ეწეოდნენ საღვდელმსახურო მოღვაწეობას<sup>3</sup>.

**ცხოვრების უცნობი ფურცლები - 1918-1921 წლები.** პროფესორ იროდიონ სურგულაძის ცხოვრების ეს პერიოდი შესწავლილი არ არის ისევე, როგორც, ზოგადად, მისი მოღვაწეობა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ განსახილველ პერიოდში, მისი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, როგორც წესი, იშვიათად მოიპოვება, ხოლო მისი შემდგომ წლებში

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხვანჭკარის წმ. გიორგის 1855 წლის დაბადების მეტრიკულ წიგნში მითითებულია გვარი - სურღულაძე. შეიძლება ვთქვათ, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სურგულაძე წარმოადგენს გვარის - სურღულაძე, თანამედროვე ტრანსკრიფციას. აღნიშნულ საკითხზე იხ. კვ. ზევაძე მ., ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, ქუთაისი, 2014, 7.

<sup>2</sup> პროფ. სურგულაძის პირად არქივში დაცული, საკუთარი ხელით დაწერილ Curriculum Vitae-ში მითითებულია 1892 წლის 15 მაისი. ტარტუს უნივერსიტეტის არქივში არსებულ პროფ. ირ. სურგულაძის პირად საქმეში მოძიებული დოკუმენტებითაც დასტურდება, რომ იგი დაიბადა 1892 წლის 15 მაისს. იხ. იურიევის საიმპერატორო უნივერსიტეტის საქმე, იროდიონ აპოლონის ძე სურულაძე, 1915 წლის 13 თებერვალი; აგრეთვე იხ. Чантурия Л., Ярвелейд П., Профессор И. А. Сургуладзе - воспитанник Тартуского университета, ТГУ, 6.05.83; Чантурия Л., Ярвелейд П., Профессор И. А. Сургуладзе - воспитанник Тартуского университета, Tartu ülikooli ajaloo küsimusi, 16, Тарту, 1985, 76; ასევე, იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, ანაწერი 10, საქმე 2280, ფურცელი 10.

<sup>3</sup> კვ. ზევაძე მ., ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, ქუთაისი, 2014, 25, 38.

მოღვაწეობის შესაფასებლად წყაროები მეტნაკლებად საკმარისია. იროდიონ სურგულაძე სადიპლომო ნაშრომის - “Философские предпосылки учения о праве” („სამართლის მეცნიერების ფილოსოფიური წანამძღვრები“) - საფუძველზე, 1918 წლის 23 აპრილს იურიევის (ტარტუს) საიმპერატორო უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით (ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი) დატოვებს იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად სახელმწიფო სამართლის ცნობილ პროფესორ ლევ შალანდთან<sup>1</sup>. თუმცა, სამუხაზოდ, ამ გადაწყვეტილებას გაგრძელება არ მოჰყოლია, რადგან ტარტუ, 1918 წელს გერმანელებმა დაიკავეს. ამ დროისათვის, ტარტუს უნივერსიტეტის რუსულენოვანი აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ტოვებენ ქალაქს, მათ შორის, იროდიონ სურგულაძეც, რომელიც სამშობლოში ბრუნდება. როგორც თავად პროფესორი სურგულაძე მიუთითებს - „1918 წელს ქ. იურიევი დაკავებული იქნა გერმანელების მიერ და მე იძულებული გავხდი სამშობლოში დავბრუნებულიყავი“. იგი 1918 წელს საქართველოში სამართლის მეცნიერებასა და ფილოსოფიაში განსწავლული ბრუნდება და რაჭის სოფელ ხვანჭკარაში, მშობლებთან ერთად ცხოვრებას აგრძელებს. სწორედ ამ პერიოდთან დაკავშირებით, იროდიონ სურგულაძე თავის ავტობიოგრაფიაში, საკუთარი საქმიანობის შესახებ წერს: „1918 წელს ვბრუნდები

---

<sup>1</sup> პროფესორი ლევ შალანდი (1868-1919) - ცნობილი იურისტი, სახელმწიფო სამართლის სპეციალისტი. 1891 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რის შემდეგაც მუშაობდა უნევისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 1903 წელს მოიპოვა საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი. ამ დროიდან 1918 წლამდე იყო იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი. 1918 წელს, გერმანელების მიერ იურიევის (ტარტუს) დაკავების შემდეგ, ამ უნივერსიტეტიდან წასული რუსულენოვანი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის გაიხსნა ვორონეჟის უნივერსიტეტი, სადაც შალანდი 1918-1919 წლებში გახლდათ ვორონეჟის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველი დეკანი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის პროფესორი. იხ. Сазонникова Е. В., Навстречу 100-летию Юридического факультета Воронежского государственного университета в 2018, Вестник Воронежского государственного университета, Серия: Право, №4, 2016, 16-18.

საქართველოში და ვცხოვრობ რაჭის მაზრაში, მშობლებთან, სადაც განვაგრძობ მუშაობას მეცნიერების ღრმად შესასწავლად და ენების ასათვისებლად“. ჩვენ გვექონდა პოზიცია, რომ საქართველოში დაბრუნებული იროდიონ სურგულაძე მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიებში არ ჩართულა: „ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ქაოსის პირობებში, როგორც ჩანს, სრულიად აპოლიტიკური იროდიონ სურგულაძე ამ სიტუაციას რაჭაში განერიდა, სადაც მეცნიერების და ენების კიდეც უფრო ღრმად შესწავლას მიჰყო ხელი“.<sup>1</sup> პროფ. სურგულაძის პირად არქივზე მუშაობის პროცესში გარკვეული მასალების გაცნობის შემდეგ, ზემოთ გამოთქმული მოსაზრება არ უნდა იყოს ბოლომდე მართებული. არსებული მასალებით, მართალია პირდაპირ არ დასტურდება, რომ იროდიონ სურგულაძე აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში იყო ჩართული, მაგრამ ჩანს მისი პოლიტიკური სიმპათიები და, მათ შორის, ინფორმაცია მისი პარტიული კუთვნილების შესახებ. კერძოდ, მის პირად არქივში დაცულია წერილი სათაურით - „ჩვენი გზა“ [დათარიღებულია: 2/VII/1919], - რომელიც ხელმოუწერელია, მაგრამ ასოების მოყვანილობა, წერისა და აზრის გადმოცემის სტილი/მანერა ალბათობის მაღალი ხარისხით გვაფიქრებინებს, რომ წერილის ავტორი იროდიონ სურგულაძეა. წერილის ავტორი განიხილავს შიდა პარტიულ საკითხებს, განვითარების კვალდაკვალ პარტიის ძირითად გამოწვევებს, განიხილავს 1919 წელს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში მიმდინარე ორ ჯგუფად დაყოფის მიზეზებს და ა.შ.. ფაქტია, წერილი დაწერილია საქმის ცოდნითა და მიმდინარე პროცესებში ჩახედული პირის მიერ, მაგრამ არა როგორც მეცნიერის, არამედ როგორც საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგულაციო პარტიის წევრის, აქტორის მიერ. შესაბამისად, ამ წერილიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი, გამოვთქვათ მოსაზრება, რომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იროდიონ სურგულაძე უნდა ყოფილიყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი,

---

<sup>1</sup> კორძაძე ზ., ნემსწვერიძე თ., El Maestro - პროფესორი იროდიონ სურგულაძე, ნიგნო: Surguladse Ir., Gewalt und Recht, Eine Abhandlung zum Problem des Verhältnisses von Staat und Recht, Erster Teil, Der Begriff des Rechtsverhältnisses, eine Reihe verbotener juristischer Literatur, Buch II, unter der Redaktion von S. Kordsadse und T. Nemszweridse, Tbilisi, 2019, 14.

რომელიც აქტიურად იყო ჩართული პარტიულ ცხოვრებაში, მაგრამ საჯარო სივრცეში ჯერ კიდევ არ ჩანდა. დამატებით მოგახსენებთ, რომ ამ პარტიის წევრები იყვნენ იმ პერიოდის ინტელექტუალური ფენომენები, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს ქართული ჰუმანიტარული კულტურის ანალებში: არჩილ ჯორჯაძე, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შალვა ნუცუბიძე და სხვები. არ არის გამორიცხული, რომ პროფ. სურგულაძესა და აკად. ნუცუბიძეს შორის მეგობრული ურთიერთობა (ქვემოთ იქნება საუბარი) სწორედ ამ პერიოდიდან იწყებოდეს.

პროფ. სურგულაძის პირად არქივში, ასევე, ინახება მეორე წერილი სათაურით - „საქართველოს კონსტიტუცია და თანამედროვე იურიდიული მეცნიერება“, რომელიც ბოლონაკლულია. წერილი ხელმოუწერელია, მაგრამ ასოების მოყვანილობა, წერისა და აზრის გადმოცემის სტილი/მანერა გვაფიქრებინებს, რომ იგი ნამდვილად უნდა ეკუთვნოდეს პროფესორ იროდიონ სურგულაძეს. წერილის სავარაუდო თარიღის განსასაზღვრად რამდენიმე მომენტი გასათვალისწინებელი: 1. ავტორი იყენებს ნოე ჟორდანიას პუბლიკაციას, რომელიც 1919 წელს გამოქვეყნდა<sup>1</sup>. 2. შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ წერილი შესრულებული უნდა იყოს 1920 წელს, მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის პროექტი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. ავტორი წერილში განიხილავს იურიდიულ მეცნიერებაში კონსტიტუციასთან მიმართებით არსებულ მიდგომებს და ცდილობს ამ მიდგომებთან საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შეპირისპირებას, ასევე, ეხება კონსტიტუციის მიღების საჭიროებასა და იმ მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ქვეყნის ძირითადი კანონის ფუნდამენტი. ამ წერილში პროფ. სურგულაძე უპირატესად, როგორც მეცნიერი ისე, ფილიგრანულად მიუდგა საკითხის კვლევას და ზოგადი ფორმატით, საინტერესო შეხედულებებიც გამოთქვა გამოქვეყნებული კონსტიტუციის პროექტის მიმართ.

---

<sup>1</sup> Жордания Н., За два года (с 1-го марта 1917 года по 1-е марта 1919 года), Доклады и речи, Тифлис, 1919.

იმ პერიოდის საზოგადოებრივი ტექსტურისათვის დამახასიათებელი „პოლიტიკური ვნებიანობის“ ფონზე, იროდიონ სურგულაძე ჩრდილში მყოფია, მაგრამ მაინც შეინიშნება მისი აქტიურობის საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური არჩევანი.

**დამოკიდებულებები.** იროდიონ სურგულაძის უნივერსიტეტში მიღების საკითხში მთავარი და გადამწყვეტი როლი ითამაშა პროფესორმა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა (შესაბამისად, ნიშანდობლივია, რომ კრებულში შეტანილია ლუარსაბ ანდრონიკაშვილის პუბლიკაციაც). 1922 წლის 30 ივნისს, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსადმი წარდგენილ შუამდგომლობაში პროფ. ანდრონიკაშვილი მიუთითებდა: „ვშუამდგომლობ ფაკულტეტის წინაშე დატოვებულ იქნეს უნივერსიტეტთან პროფესიონალიზაციისათვის მოსამზადებლად სახელმწიფო სამართალში, ერთი წლის ვადით სტიპენდიით იურიფის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იროდიონ სურგულაძე, რომელმაც ჩემზე მოახდინა შთაბეჭდილება ნიჭიერისა და საფუძვლიანად მომზადებული ახალგაზრდისა. იმედი მაქვს ერთი წლის განმავლობაში ის გამოცდებსაც ჩააბარებს და დისერტაციასაც დაამზადებს. ასე, რომ შედარებით მოკლე ხანში ჩვენს მცირერიცხოვან იურისტთა წრეს ერთი მომზადებული წევრი შეემატება“.<sup>1</sup> აქედან ნათელია, რომ ირ. სურგულაძის ინტელექტუალურმა მომხიბვლევლობამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა პროფესორ ანდრონიკაშვილზე, ადამიანზე, რომლის მსგავსი მასშტაბის ფიგურა ქართულ იურიდიულ საზოგადოებას არ ჰყოლია. 1923-1924 წლებში იროდიონ სურგულაძემ ფრიაღზე ჩააბარა ზეპირი სადოქტორო გამოცდები სახელმწიფო (1923 წლის 9 თებერვალი), ადმინისტრაციულ (1923 წლის 19 ივნისი) და საერთაშორისო სამართალში (1924 წლის 21 მაისი). საგამოცდო კომისიის წევრები იყვნენ: პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ცნობილი ცივილისტი, დამსახურებული პროფესორი იური გამბაროვი და აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე. თურმე პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილს საწერ მაგიდაზე, სხვა მნიშვნელოვან ნიჭ-

---

<sup>1</sup> ჯორბენაძე ს., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1973, 59.

ნებთან ერთად, იპოვნით იროდიონ სურგულაძის სადოქტორო დისერტაციასაც, როგორც ამას გიორგი კორსაველი იხსენებს: ლუარსაბ ანდრონიკაშვილს „მაგიდაზე ეწყო მიხეილ ჯავახიშვილის ყველა ნაწარმოები, ს. შანშიაშვილის პოემები და დრამები, ჩვენი გამოჩენილი მათემატიკოსის ანდრია რაჭმაძის შრომები, ეისენბაუმის დიდი გამოკვლევა ლევ ტოლსტოის შესახებ, ირ. სურგულაძის სადოქტორო დისერტაცია...“<sup>1</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პროფესორ იროდიონ სურგულაძეს ახლო მეგობრობა აკავშირებდა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძესთან. 1927 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს, სწორედ შალვა ნუცუბიძე იყო იროდიონ სურგულაძის ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი. ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ<sup>2</sup> და თურმე ორივეს ჰყვარებია ნადირობა, შალვა ნუცუბიძე გამოუვლიდა ხოლმე იროდიონ სურგულაძეს და ერთად მიდიოდნენ სანადიროდ. მათი მეგობრობის დასტურია პროფ. სურგულაძის პირად ბიბლიოთეკაში დაცული შალვა ნუცუბიძის თარგმნილი წიგნი<sup>3</sup> სამახსოვრო წარწერით: „ჩემს საყვარელ ძმას და მეგობარს იროდიონს სახსოვრად შალვასგან! 3.XII.43“.

ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან პროფესორ იროდიონ სურგულაძესა და პროფესორ ივანე სურგულაძეს, ეს უკანასკნელი ირ. სურგულაძის სტუდენტი იყო და მიუხედავად ერთი და იგივე გვარისა ისინი ნათესავები არ იყვნენ<sup>4</sup>. გასული საუკუნის 40-იანი

---

<sup>1</sup> კორსაველი გ., ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ჟურნალი „მეგზური“, №7, 1980, 586.

<sup>2</sup> ირ. სურგულაძე ცხოვრობდა - მაშინდელი პეროვის შესახვევის/ვამლოვანის შესახვევის [დღევანდელი მიმინოშვილის ქუჩა] მე-2 ნომერში, ხოლო შალვა ნუცუბიძე - ყოფილი პეროვსკაიას ქუჩაზე [დღევანდელი ახვლედიანისა და ია ეკალაძის ქუჩების კვეთა].

<sup>3</sup> Шавтели, Абдул Мессиа, Перевод с грузинского Ш. Нуцубидзе, Тбилиси, 1942.

<sup>4</sup> იმის გათვალისწინებით, რომ იროდიონ სურგულაძე დაიბადა 1892 წელს, ხოლო ივანე სურგულაძე - 1903 წელს, უხეშ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ და ჟურნალისტის არაკვალიფიციურობას დავაბრალოთ ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს იროდიონ სურგულაძე ივანე სურგულაძის ძმად იყოს.

ნლების დასაწყისში პროფესორ ივანე სურგულაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვევაში დიდი წვლილი სწორედ პროფესორ იროდიონ სურგულაძეს მიუძღვის და ამ უკანასკნელის ღვაწლს საქართველოში სამართლის მეცნიერების განვითარებისათვის ყოველთვის აფასებდა ივანე სურგულაძე. პროფესორ იროდიონ სურგულაძის წიგნის შესახებ საინტერესო პასაჟზე აკეთებს ხაზგასმას, თავის მოგონებაში პროფ. გურამ ნაჭყებია, რომელიც თავად შეესწრო ფაქტს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, თუ როგორ დააყენა პროფ. ივანე სურგულაძემ იროდიონ სურგულაძის წიგნის ქართულად თარგმნის საკითხის აუცილებლობა: „...მაგალითად, ერთხელ მან [იველისხმება პროფ. ივანე სურგულაძე - თ.ნ.] დასვა იროდიონ სურგულაძის ნაშრომის („ხელისუფლება და სამართალი“) გერმანული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნისა და მისი გამოცემის საკითხი. მას იქვე უპასუხეს, რომ ამ წიგნში თითქოს ეწერა: „მარქსიზმ ისტ ფოლშ“ („მარქსიზმი ყალბია“) და ამიტომ ამ წიგნის თარგმნა და გამოცემა დაუშვებელია. ამის გაგონება და ბატონი ივანე ფეხზე გაფიცხელებული წამოიჭრა... იმ კაცს სულ „პროვოკატორი“ ეძახა, ხოლო ამ სიტყვების აღრესატმა არაფერი შეიმჩნია, თითქოს არაფერი ისეთი არ ეთქვას!“<sup>1</sup>.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია სამართალში.** პროფესორი იროდიონ სურგულაძე პირველი იყო არა მხოლოდ იმაში, რომ საფუძველი ჩაუყარა მთელ რიგ იურიდიულ დისციპლინებს ახლადდაარსებულ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე, არამედ სწორედ მან, პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სამართალში. დავიწყოთ თავიდან - პროფესორმა სურგულაძემ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისადმი განცხადებით მიმართვის დროს დადებული პირობა შეასრულა და 1923-1924 წლებში მართლაც მოამზადა თავისი გერმანულენოვანი ნაშრომი - “Gewalt und Recht,

---

ლაძის მამა იყო. იხ. <<https://for.ge/view/27/bunCula-da-xelisuflebis-momxre.html>> [10.04.2022]. სტატიაში მათ დაბადების თარიღებს თავად ჟურნალისტიკ მიუთითებს [ჟურნალისტი - ნინო მიქიაშვილი].

<sup>1</sup> ნაჭყებია გ., პროფესორ ივანე სურგულაძის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ზოგიერთი ფრაგმენტი, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი III, გ. ფერაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 731.

Eine Abhandlung zum Problem des Verhältnisses von Staat und Recht, Erster Teil: Der Begriff des Rechtsverhältnisses”<sup>1</sup>, - რომელიც 1925 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა. უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე 1927 წელს დასახელებული მონოგრაფია პროფესორმა სურგულაძემ სადოქტორო დისერტაციად წარადგინა. ეს პუბლიკაცია გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შესაბამისად, საქართველოში) პირველი სადოქტორო დისერტაცია<sup>2</sup>, რომლის საფუძველზედაც ავტორს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი<sup>3</sup>. სადოქტორო დისერტაცია იროდიონ სურგულაძემ სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტს წარუდგინა 1927 წლის 22 მარტს. ფაკულტეტის საბჭომ სადისერტაციო ნაშრომზე წერილობითი რეცენზიების მომზადება დაავალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული განათლების ფუძემდებელს პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძესა და პროფესორ გიორგი ნანიშვილს. დისერტაციის საჯარო დაცვა გაიმართა 1927 წლის 27 ნოემბერს, სადაც ოფიციალურ ოპონენტებად გამოვიდნენ აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე და პროფესორი გიორგი ნანიშვილი. პაექრობის შემდეგ, ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი სურგულიძისათვის დოქტორის ხარისხის მინიჭებას.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Surguladse Ir., Gewalt und Recht, Eine Abhandlung zum Problem des Verhältnisses von Staat und Recht, Erster Teil: Der Begriff des Rechtsverhältnisses, Universitätslithographie, Tiflis, 1925.

<sup>2</sup> 1925 წლიდან დღემდე სამართლის მეცნიერებაში ეს გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული ერთადერთი გერმანულენოვანი სადოქტორო დისერტაცია.

<sup>3</sup> „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს პირველი შემთხვევა იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვისა“. იხ. სურგულაძე ივ., პროფ. იროდიონ სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №3, 1963, 50; წერეთელი თ., უვანია გ., სამართლის მეცნიერება, წიგნში: მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე, თბილისი, 1961, 78. ასევე, იხ. მაყაშვილი ვლ., წიგნში: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 9, თბილისი, 1985, 610.

<sup>4</sup> ინფორმაცია ეფუძნება პროფესორ სურგულაძის დისერტაციის საჯარო დაცვის ამსახველ ოქმს. იხ. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის 1927 წლის 27 ნოემბერის №3 საჯარო სხდომის ოქმი.



იროდიონ სურგულაძის მიზანი იყო „სამართლის შესახებ თავისი ორიგინალური შეხედულება გამოეტანა ევროპულ მეცნიერთა სამსჯავროს წინაშე. ეს განახორციელა მან თავისი გერმანულ ენაზე დაწერილი შრომით“<sup>1</sup>. პროფესორმა სურგულაძემ, როგორც ფართომასშტაბიანი დიპლომატიის მეცნიერმა, წარმოადგინა ფუნდამენტური კვლევა, რომელშიც ერთდროულად გაცხადებულია სახელმწიფო სამართლის, სამართლის თეორიის, სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიისათვის მნიშვნელოვანი იურიდიული კლასიკები, რომელთაც უზადო სამართლებრივი კონსტრუქციებით აწვდის მკითხველს.

**ეპოქალური პოლემიკა.** XX საუკუნის 20-იანი წლების ერთ-ერთი მონაპოვარი სიღრმისეული სამეცნიერო დისპუტებია, რომლებიც ქართული პერიოდიკის ფურცლებზე იმართებოდა ფილოლოგებს, ლიტერატურათმცოდნეებს, ფილოსოფოსებს, ისტორიკოსებს შორის. ამ პერიოდიდან ცნობილია პოლემიკა იურისტებს - პროფესორ გიორგი ნანეიშვილსა და პროფესორ იროდიონ სურგულაძეს შორის<sup>2</sup>. ამ პოლემიკის შესახებ პროფესორი ედუარდ კოდუა წერდა: „თითქოს არც სამართლის თეორიის დარგის მუშაკები იყვნენ ხელმოცარულნი, მაგრამ ამ დონის პოლემიკა სამართლის თეორეტიკოსებს შორის არ ყოფილა არც მანამდე და არც მას შემდეგ“<sup>3</sup>. პროფ. ნანეიშვილსა და პროფ. სურგულაძეს შორის მიმდინარე პოლემიკა იურიდიული მეცნიერების საგნის და მეთოდის შესახებ გასული საუკუნის დასაწყისში არსებული

---

<sup>1</sup> სურგულაძე ივ., პროფ. იროდიონ სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, უურნალი „საბჭოთა სამართალი“, №3, 1963, 59.

<sup>2</sup> პოლემიკასთან დაკავშირებით დაწერილებით იხ. ნანეიშვილი გ., ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის, უურნალი „მნათობი“, №3, 1928; სურგულაძე ირ., იურიდიული მეთოდოლოგიისათვის, პასუხი გ. ნანეიშვილს, უურნალი „მნათობი“, №10, 1928; სურგულაძე ირ., დასკვნა გ. ნანეიშვილის სადისერტაციოდ წარმოდგენილ ნაშრომზედ - „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“, კრებულში: ქართული სამართლის კლასიკა, წიგნი II, ეძღვნება პროფესორ გიორგი ნანეიშვილის 125 წლის იუბილეს, შ. კორძაძისა და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 450-504.

<sup>3</sup> კოდუა ე., სამართლის ფილოსოფიის და სოციოლოგიის პრობლემები გიორგი ნანეიშვილის ნააზრევში, წიგნში: ნანეიშვილი გ., სამართლის ფილოსოფიის საკითხები, ე. კოდუას რედაქტორობით, თბილისი, 1992, 13.

საერთო თეორიული ინტერესის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ<sup>1</sup>. საქართველოს სამართლებრივი აზრის ისტორიაში ეს პოლემიკა, თავისი მასშტაბით, ყოველთვის დარჩება ორი დიდი მეცნიერის ინტელექტუალური ეპოქალური ჭიდილის ნიმუშად.

**კრებულის შედგენილობა.** კრებულის არქიტექტონიკა, შეიძლება ითქვას, რომ ორიგინალურია და აერთიანებს საქართველოში სამართლის კლასიკად ქცეულ ნაშრომებსა და თანამედროვე პერიოდის ახალგაზრდა მკვლევრების მიერ მომზადებულ საინტერესო გამოკვლევებს. ორიოდე სიტყვით შევხებით კრებულის რარიტეტულ ნაწილს:

წინამდებარე გამოცემაში შეხვდებით საიუბილეო კრებულის ადრესატის - პროფ. იროდიონ სურგულაძის - შესახებ ცნობილი მეცნიერის ივანე სურგულაძის საინტერესო და მნიშვნელოვან წერილს, რომელიც საქართველოში სამართლის მეცნიერების განვითარებაში მისი მასწავლებლის წვლილს ყოველთვის აფასებდა. 1963 წელს პროფ. ირ. სურგულაძის 70 წლის საიუბილეო საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორი და მთავარი მომხსენებელი სწორედ პროფ. ივანე სურგულაძე გახლდათ.

საინტერესოა პროფ. იროდიონ სურგულაძის სადოქტორო დისერტაციის თემისები (ქართულენოვანი), რომელიც ავტორმა 1927 წელს მოამზადა და მოკლედ გადმოცემულია დისერტაციის ძირითადი პასაჟები. ცალკე ხაზგასასმელია, პროფ. სურგულაძის საინტერესო წერილი ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტის შესახებ. თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც ადამიანსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობებს აწესრიგებს, ეფუძნება როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, ასევე, ამ ურთიერთობებში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უპირობო პრინციპს, განსხვავებით ადმინისტრაციული სამართლის საბჭოური დოქტრინისაგან, რომლითაც სახელმწიფო უპირობო დომინანტს წარმოადგენდა, სწორედ იგი იყო განმკარგულებელ-აღმასრუ-

---

<sup>1</sup> ნინიძე თ., კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები, წიგნში: შაიო ა., ხელისუფლების თვითშემღლდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, ii.

ლებელი, რომელსაც ადამიანი უნდა დამორჩილებოდა. ამ მოცემულობით, საბჭოთა პოლიტიკურმა ხელისუფალმა ადმინისტრაციულ სამართალს განვითარებისათვის აუცილებელი დარგის სუბსტანციური ელემენტი გამოაყალბა და ზედმეტად იდეოლოგიურებულ სამართლის დარგად აქცია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, სამართლის ამ დარგის გაუცხოვება საზოგადოებისაგან ლოგიკურად მოხდა. ამის პარალელურად, გასული საუკუნის 20-იან წლებში, საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში პროფესორი იროდიონ სურგულაძე, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე და განაგებდა ადმინისტრაციული სამართლის კათედრას, აქვეყნებს სტატიას სათაურით - „საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების პრობლემა“<sup>1</sup>, რომლითაც, ფაქტობრივად, ირიბად დაუპირისპირდა პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომელსაც ხელშეკრულების ინსტიტუტის ფუნქციური დანიშნულებაც კი ეზედმეტებოდა ადმინისტრაციული სამართლისათვის, არათუ მის შესახებ მეცნიერული დისპუტი და გამოკვლევები. სწორედ ამან განაპირობა დიდი ალბათობით ის, რომ სტატიის მეორე ნაწილი ავტორმა აღარ გამოაქვეყნა. სტატიის I ნაწილი პირველად 1928 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში - „საბჭოთა სამართალი“, ხოლო II ნაწილი დაკარგულად, შესაბამისად, გამოუქვეყნებლად მიიჩნეოდა, ამიტომაც პუბლიკაციას დაუსრულებლად თვლიდნენ<sup>2</sup>. დასახელებული სტატიის II ნაწილი შემთხვევით აღმოვაჩინეთ პროფ. იროდიონ სურგულაძის პირად არქივში და ქვეყნდება პირველად. კანონმდებლობით საჯაროსამართლებრივი ხელშეკრულების გათვალისწინება არის ერთ-ერთი კარგი გამოხატულება ადმინისტრაციული ორგანოსა და ადამიანის/დაინტერესებულ პირის ურთიერთობისა, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ დოქტრინაში განასხვავებენ კოორდინაციულ და სუბორდინაციულ საჯაროსამართ-

---

<sup>1</sup> იხ. სურგულაძე ირ., საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების პრობლემა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1928.

<sup>2</sup> მავალითად, იხ. სურგულაძე ივ., პროფ. იროდიონ სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №3, 1963, 54.

ლებრივ ხელშეკრულებებს. პროფ. სურგულაძე საკვლევი საგნის შესწავლას კლასიკურად მიუდგა და კრიტიკულად განიხილა საჯაროსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული, იმ პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მიდგომები და თეორიები. იგი აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის საჭიროდ მიიჩნევს ხელშეკრულების ცნების დეტალურ ანალიზსა და საჯარო და კერძო სამართლის განსხვავების გაანალიზებას, იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ტენდენციების გათვალისწინებით. ალბათ იშვიათად შეიძლება ასეთ მცირე მოცულობის წერილში მკითხველს მიანოდო საკმარისი ინფორმაცია საკვლევი თემის შესახებ, რაც ავტორმა შეძლო. თავად სტატიის სათაურის პირველი სიტყვა - „საჯაროუფლებრივი“, იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი იურიდიული ტერმინია, რაც საჯაროსამართლებრივს ნიშნავს. პროფ. სურგულაძის სტატიის ხელმეორედ გამოქვეყნება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართველი მეცნიერები, რომლებიც ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას იკვლევდნენ თავიანთ ნაშრომებში არ მიუთითებდნენ<sup>1</sup> განსახილველ წერილზე, მათ შორის, როგორც ამ ინსტიტუტისადმი მიძღვნილ პირველ ქართულენოვან გამოკვლევას, შესაბამისად, წინამდებარე გამოცემა პროფესიული საზოგადოების ინფორმირების ფუნქციითაც არის დეტერმინებული. ეს უკანასკნელი პასაჟი მიემართება ქვემოთ განხილულ სტატიებსა და მათ ავტორებსაც.

---

<sup>1</sup> მაგალითად, 2003 წელს პროფესორმა მაია კოპალეიშვილმა გამოაქვეყნა ძალიან საინტერესო გამოკვლევა ადმინისტრაციული გარიგების შესახებ, მაგრამ ავტორი არ უთითებს პროფ. სურგულაძის სტატიაზე. იხ. კოპალეიშვილი მ., ადმინისტრაციული გარიგება, თბილისი, 2003. ასევე, 2016 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გ. კვიციანიშვილმა დაიწვა დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე - „ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია“, მაგრამ ავტორს ამ შემთხვევაში არ აქვს გამოყენებული განსახილველი პუბლიკაცია. იხ. კვიციანიშვილი გ., ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სადოქტორო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, <[http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/samartal/goga\\_kikalishvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/samartal/goga_kikalishvili.pdf)> [21.03.2022].

მეტად საინტერესო და თანამედროვეობამდე მოდერნულია გრიგოლ რცხილაძის სტატია მორალური ზიანის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოქვეყნდა. გრიგოლ რცხილაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოწვევით კითხულობდა „სპეციალურ სამოქალაქო სამართალს“. როგორც მიუთითებენ გრიგოლ რცხილაძის პროფ. ანდრონიკაშვილი „ქართველ დიუვერნუას“<sup>1</sup> უწოდებდა<sup>2</sup> და მას ძალიან აფასებდა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის ცივილისტს. გრიგოლ რცხილაძეს მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი კონსტრუქცია სამართლებრივი უსივრცობიდან კი არ მოაქვს, საფუძვლად უდებს საზღვარგარეთის საკანონმდებლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში არსებულ მრავალწლიან დისკუსიებს. იგი აყენებს თეზას, რომლის მიხედვითაც, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეფუძნოს სამართლებრივად დაცვის ღირსი სიკეთისათვის ზიანის მიყენებას<sup>3</sup>. საქმის მცოდნე მკითხველს, გრიგოლ რცხილაძის სტატიის წაკითხვისას არ შეიძლება არ გაახსენდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილება საქმეზე სარიშვილი-

---

<sup>1</sup> პროფესორი ნიკოლაი დიუვერნუა (1836-1906) - წარმოშობით ფრანგი და რუსეთში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი იურისტი, სამართლის ისტორიკოსი და ცივილისტი, დამსახურებული პროფესორი, სამოქალაქო სამართლის დოქტორი. პროფესორმა დიუვერნუამ 1869 დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია - “Источники права и суд в древней России”, ხოლო 1874 წელს ნოვოროსიისკის (ოდესის) უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია - “Основная форма корреального обязательства. Историко-юридическое и критическое исследование по римскому праву”. პროფესორი დიუვერნუა ლუარსაბ ანდრონიკაშვილსა და გრიგოლ რცხილაძეს უკითხავდა ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

<sup>2</sup> კორსაველი გ., ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ჟურნალი „მეგზური“, №7, 1980, 592.

<sup>3</sup> მეტად საინტერესოა სამართლის დოქტორ მ. ბიჭიას მიერ მომზადებული წერილი, რომელიც გრიგოლ რცხილაძის ხსენებული პუბლიკაციის შეფასების ცდას წარმოადგენს. იხ. ბიჭია მ., გრიგოლ რცხილაძის სტატიის - „მორალური ზიანის ანაზღაურება“ - ანალიზი, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №8, 75-91.

ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ და ამ გადაწყვეტილებაში განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა<sup>1</sup>. ასევე, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გრიგოლ რცხილაძის მეორე წერილი, რომელიც სამოქალაქო კოდექსით გაუთვალისწინებელ ხელშეკრულებებს ეხება. ავტორი მშვენივრად აცნობიერებს, რომ საბჭოთა სამართალი არ აღიარებს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს და იგი მიმართულია „ადამიანთა სამეურნეო მოქმედების რეგულაციისაკენ ქვეყნის ერთიან[ი] სამეურნეო გეგმის საფუძველზე. საბჭოთა სამართლის ამ ძირითად[ი] თავისებურების გავლენით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებითი ვალდებულებანი დღევანდლამდე კითხვის ქვეშ სდგანან. მართალია, საბჭოთა სასამართლოების პრაქტიკიდან მრავალი ისეთი მაგალითი შეიძლება იქნეს დასახელებული, რომლებიც გამოამხელებენ, რომ გაუთვალისწინებელ ხელშეკრულებასაც იურიდიული ძალა აქვს მითვისებული ვალდებულებათა სფეროში, მაგრამ მისი აღჭურვა ამ ძალით ყოველთვის ისეთი მოტივაციით ხდება, რომ პრინციპიალური საკითხი დაიჩრდილოს და გაუთვალისწინებელი ხელშეკრულება გამართლებულ იქნეს, როგორც თითქოს კანონის მიერ გათვალისწინებული“. იმ პერიოდში არსებული საბჭოთა ნორმატიული წესრიგის პირობებში, გრიგოლ რცხილაძე პოულობს გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებების არსებობის ნორმატიულ-ჰერმენევტიკულ საფუძველს.

კრებული საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ შეხვდებით რეცენზიას, რომლის რუსულენოვანი ხელნაწერი ეგზემპლარი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში და ეკუთვნის საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების ფუძემდებელს, პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, ადამიანს, რომლის ინტელექტუალური რესურსის უსაზღვრობა დღემდე მომხიბლავია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მოცემულ შემთხვევაში, ქვეყნდება, როგორც რუსულენოვანი დედანი, ასევე, ქართული თარგმანიც.

კრებულში, ასევე, იხილავთ აკადემიკოს შალვა ნუსუბიძის 20-იან წლებში ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ

---

<sup>1</sup> Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, 19/07/2018.

წერილს<sup>1</sup>, რომელიც მატერიალური ჭეშმარიტებისა და სასამართლოს ინიციატივის შინაარსის დაზუსტების მეტად პრაქტიკული პრობლემის გადაჭრას ეხება. კრებულში ასევე, შეხვედებით სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებლების პროფესორ თინათინ წერეთლისა<sup>2</sup> და ვლადიმერ მაყაშვილის<sup>3</sup> მეტად საინტერესო წერილებს. პროფესორი იროდიონ სურგულაძე მათი პედაგოგი იყო და ძალიან ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ ერთმანეთთან. მაშინ, როდესაც 1944 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაიცვა თინათინ წერეთელმა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, პროფ. ალექსანდრე ვაჩიშვილთან ერთად, ოფიციალურ ოპონენტად პროფესორი იროდიონ სურგულაძე გამოვიდა. 1943 წლის 20 ნოემბერს მომზადებულ რეცენზიაში პროფ. იროდიონ სურგულაძე წერდა: „შრომაში გატარებული იდეების ორიგინალობა და მეცნიერული დამოუკიდებლობა მათ დამუშავებაში, მეცნიერული მუშაობის მაღალი სტილი, რომელიც აშკარად სჩანს თით[ო]ეული საკითხის დამუშავებისას და სხვა დადებითი მომენტები, რომელნიც ზევით იყვნენ აღნიშნული, სარეცენზიო შრომას უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენის ხასიათს აძლევენ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში; ყველა ზემოთ მითითებული თვისებების გამო შრომა ძალიან შორს იტოვებს უკან საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ შრომებს, და მთლიანად სდგას იმ სიმაღლეზე, რომელიც დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპო[ვ]ებლად კარგად შესრულებულ მეცნიერულ გამოკვლევებს უნდა ახასიათებდეს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული საფუძველს მაძლევს, ვიშუამდგომლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილის წინაშე, რომ თინათინ ვასილის ასულ წერეთლის მიერ წარმოდგენილ შრომას მიეცეს

---

<sup>1</sup> ნუკუბიძე შ., მატერიალური ჭეშმარიტება და სასამართლოს ინიციატივა, აურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, 1928.

<sup>2</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში, აურნალი „საბჭოთა სამართალი“, №2, 1967.

<sup>3</sup> მაყაშვილი ვლ., პასუხისმგებლობა მოქმედების თავისუფლების ხელყოფისათვის, აურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, 1979.

ისეთივე შემდგომი მსვლელობა, როგორც სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ შრომებს, ე.ი. გამოყოფილ იქნეს ახალი, დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი რეცენზიის წარმოსადგენად. რადგანაც ჩვენს სინამდვილეში ასეთი პირი არ მოიპოვება, იგი არსებული პრაქტიკის თანახმად, მონვეულ უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან, სახელდობრ, ქ. მოსკოვიდან (მაგ., ცნობილი კრიმინალისტი პროფ. ისაევი, ქ. მოსკოვში); მან უნდა მოგვეცეს დასკვნა - აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი შრომა სადოქტორო დისერტაციის მოთხოვნილებებს“. მაღალ შეფასებას აძლევდა პროფ. სურგულაძე ვლადიმერ მაყაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას. ხაზგასასმელია ისიც, რომ 1945 წელს პროფ. იროდიონ სურგულაძე, ვლადიმერ მაყაშვილთან ერთად, აქვეყნებს საგაზეთო წერილს, რომელიც ეხება პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის გარდაცვალების ხუთი წლისთავს<sup>1</sup>. სიმბოლურად კრებულში შეხვდებით პროფ. იროდიონ სურგულაძის შვილის სამართლის დოქტორ ლამარა სურგულაძის საინტერესო სტატიას<sup>2</sup>.

რარიტეტული ნაშრომების პუბლიკაციასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალები. ტექნიკური თვალსაზრისით, კრებულში წარმოდგენილ რარიტეტულ ნაშრომებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებები: ქართულენოვან ტექსტებში მოჭარბებულად იგრძნობა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, სიტყვები, წინადადების წყობა, რომელიც დღეს მკითხველს შესაძლოა გრამატიკულად გაუმართავად მოეჩვენოს, ამიტომაც ტექსტის შინაარსის აღქმის გამარტივების მიზნით, სადაც შესაძლებელი იყო, გადავწყვიტეთ, სპეციალურად დამაზუსტებელი სიტყვები ან ასოები ჩავვემატებინა ოთხკუთხა კავებში ([...]), რითაც გარჩევადი იქნება საარქივო ავტორისეული ვერსია და სამეცნიერო რედაქტორის (თორნიკე ნემსწვერიძე [თ.ნ.]) მიერ ტექსტის გაგების მიზ-

---

<sup>1</sup> Сургуладзе И. А., Макашвили Вл., Памяти проф. Л. Н. Андроникашвили, Заря Востока, 3 января, №2, 1945.

<sup>2</sup> სურგულაძე ლ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საექიმო სამართალდარღვევებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №4, 1985



ნით გაკეთებული ჩანართები. ამასთან, ოთხკუთხა კაფებში ([...]) არსებული სიტყვა, დამაზუსტებელი სიტყვა თუ ასო წარმოდგენს მხოლოდ სამეცნიერო რედაქტორის მითითებას.

საიუბილეო კრებულის (რარიტეტული სტატიების ნაწილში) პუბლიკაციის ინტენციური დიზაინი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: პირველი - როგორც პროფ. აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა: „წიგნს აუცილებლად უნდა ეტყობოდეს ეპოქის კვალი, სურნელება, ხასიათი...“, ამიტომაც ყველა რარიტეტული ნაშრომი პირვანდელი სახით ქვეყნდება; მეორე - იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსალური ტექსტოლოგიური გამოცემები, როგორც წესი, ემყარება პრინციპს - „თითოეული შემთხვევა სპეციფიკურია“<sup>1</sup>, შესაბამისად, ნაშრომების გამოსაცემად მომზადების დროს შევეცადეთ უპირატესობა მიგვენიჭებინა ტექსტების ავთენტურობისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ კრებულში გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი წერილები ეფუძნებიან დედან, ორიგინალ ნაშრომებს. რარიტეტული ნაშრომების გამოსაცემად მომზადების პროცესში ჩვენთვის მთავარი პრინციპი იყო ტექსტების ავთენტურობის დაცვა. თანამედროვე ტექსტოლოგიაში პუნქტუაციის შესწორებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთნი მიუთითებენ, რომ ორთოგრაფიასა და პუნქტუაციას ტექსტის სემანტიკურ ელემენტებთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობა აქვს და ცალსახად უნდა გასწორდეს, მეორენი კი, ამის წინააღმდეგნი არიან და აღნიშნავენ, რომ ავტორისეული მართლწერა ტექსტს სპეციფიკურ, ამ კონკრეტული ავტორისათვის დამახასიათებელ ელფერს სძენს<sup>2</sup>. ტექსტოლოგიური პრინციპების მიხედვით, ასევე, მიუთითებენ, რომ „თუ პუნქტუაციას რაიმე სახის დამატებითი მხატვრული მნიშვნელობა აქვს, ვტოვებთ ხელუხლებლად, დანარჩენ შემთხვევაში კი ვასწორებთ“<sup>3</sup>. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან პუნქტუაცია მხატვრული მნიშვნელობით არ იყო დეტერმინებული, ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი გზა უკეთესია, ამიტომაც ის ჩასწორდა.

**მადლიერება.** განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო იურიდიული ფირმა ჯეი ენდ თი ქონსალთინგის მმართველ პარტნიორს,

---

<sup>1</sup> ნინიძე მ., გიგაშვილი ქ., ტექსტოლოგია, თბილისი, 2018, 32.

<sup>2</sup> იქვე, 40.

<sup>3</sup> იქვე, 42.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ, სამართლის დოქტორ **გიორგი ცერცვაძეს**, რომ არა მისი გულისხმიერი დამოკიდებულება და მონდომება წინამდებარე კრებული, ამ სახით, დღის სინათლეს ნამდვილად ვერ იხილავდა. ამასთან, ცალკე ხაზგასასმელია კრებულის თანარედაქტორის, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორის, სამართლის დოქტორ **სიმონ ტაკაშვილის** წვლილი.

მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ ავტორს, რომელმაც თავისი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციით, წვლილი შეიტანა კრებულის ამ სახით გამოცემაში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მკვლევრის **დავით მაისურაძის** როლი, რომელმაც სპეციალურად ამ კრებულის გარეკანისათვის შექმნა კალიგრაფიული წარწერა. მადლიერების გრძნობით მინდა, აგრეთვე, მოვიხსენიო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მაია სულაქველიძე**, საოჯახო არქივში დაცული უნიკალური მასალების მოწოდებისათვის.

**თორნიკე ნემსწვერიძე**

15 მაისი, 2022 წელი

## შინაარსი

### I. პერსონალია - პროფესორი იროდიონ სურგულაძე

#### პროფესორი ივანე სურგულაძე

პროფ. იროდიონ სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა..... 31

### II. რარიტეტული იურიდიული ლიტერატურა

#### პროფესორი იროდიონ სურგულაძე

“Gewalt und Recht” - სადოქტორო დისერტაციის

ძირითადი თემისები..... 57

#### პროფესორი იროდიონ სურგულაძე

საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების პრობლემა..... 66

#### პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

რეცენზია სისხლის სამართლის დოცენტის მოვალეობის

შემსრულებლის ბორის ზაქარიას ძე ფურცხვანიძის სადისერტაციო

თემაზე: „1864 წლის რეფორმები“ ..... 77

#### Профессор Луарсаб Андроникашвили

Рецензия на диссертацию исполняющего обязанности доцента

уголовного права Бориса Захарьевича Пурцхванидзе на тему:

«Реформы 1864 года»..... 80

#### გრიგოლ რცხილაძე

მორალური ზიანის ანაზღაურება ..... 83

#### გრიგოლ რცხილაძე

გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებანი ..... 92

#### აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე

მატერიალური ჭეშმარიტება და სასამართლოს ინიციატივა ..... 100

#### პროფესორი თინათინ წერეთელი

სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში ..... 105

#### ვლადიმერ მაცაშვილი

პასუხისმგებლობა მოქმედების თავისუფლების ხელყოფისათვის ..... 118

#### ლამარა სურგულაძე

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საეციმო

სამართალდარღვევებისათვის ..... 135

### III. თანამედროვე გამოწვევები იურიდიულ მეცნიერებაში

#### **Keti Benashvili**

Prohibition of Insider Dealing as an Investor Protection Mechanism - A Comparison between the EU and Georgia - Private Enforcement of Investor Claims under Georgian Civil Law ..... 141

#### **სიმონი ტაკაშვილი**

მტკიცების პროცესი შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის დროს ..... 197

#### **ოთარ მაჩაიძე**

ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის გამიჯვნის მცდელობა ნარდობის ხელშეკრულების მაგალითზე ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ..... 215

#### **თორნიკე ნემსწერაძე**

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი...“ - ძირითადი კანონის პრეამბულისეული კლაუზულის ინტენცია და მისგან მომდინარე იმპერატივები ..... 237

#### **დავით აბესაძე**

ოფიცია და გამოსყიდვა როგორც საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი და მათი გამიჯვნა მომიჯნავე სამართლებრივი ინსტიტუტებისგან ..... 268

#### **გივი ლუაშვილი**

სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტების გაუქმება, ძალადაკარგულად გამოცხადება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოებაში ..... 317

#### **Natia Jiniuzashvili**

To what extent does the current EU regulatory framework for civilian drone address privacy, safety and security issues? ..... 351

#### **მარიკა გურგენიძე**

ინვესტორები და მათი უფლებების დაცვის ძირითადი ინსტრუმენტები საინვესტიციო ფონდებში ..... 399

#### **ნათია გველესიანი**

დანაშაულის საგნის, იარაღისა და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის კონფისკაციის მიმართება საკუთრების უფლებასთან ..... 424

#### **ზურაბ ლორია**

მენარმე იურიდიული პირის დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები ..... 455

**I. პერსონალია - პროფესორი იროდიონ  
სურგულაძე**



## პროფ. იროდიონ სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა\*

### † პროფესორი ივანე სურგულაძე (1903-1983)

იროდიონ აპოლონის ძე სურგულაძე დაიბადა 1892 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. ხვანჭკარაში „საშუალო შეძლების სოფლის მეურნის ოჯახში“ (მისი ავტობიოგრაფიიდან). საშუალო სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა თბილისში 1912 წელს და იმავე წელს შევიდა პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტში სწავლობდა ორი წლის განმავლობაში და გაიარა ე.წ. საერთო საგანმანათლებლო ციკლი. ირ. სურგულაძემ ვერ აიტანა ლენინგრადის<sup>1</sup> ჰავა და იძულებული გახდა დაეტოვებინა ეს ქალაქი. სწავლის გასაგრძელებლად ის მიემგზავრება ქ. ტარტუში (მაშინდელი იურიევი) და 1914 წელს შედის დორპატის (ახლანდელი ტარტუს) ცნობილი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მან, IV კურსის სტუდენტმა, დაწერა საპრემიო ნაშრომი - „Философские предпосылки учения о праве“, რომელიც წარადგინა სადიპლომო შრომად. შრომამ ოქროს მედალი დაიმსახურა. ამ შრომის საფუძველზე ირ. სურგულაძე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1917 წ.), დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად სახელმწიფო სამართალში პროფ. ლ. შალანდთან.

1918 წელს ი. სურგულაძე დაბრუნდა საქართველოში და ცხოვრობდა რაჭაში მშობლებთან 1921 წლამდე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს ქ. ონში რაჭის მაზრის რევკომის იუსტიციის განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

---

\* პირველად დაიბეჭდა 1963 წელს ჟურნალში - „საბჭოთა სამართალი“. იხ. სურგულაძე ივ., პროფ. იროდიონ სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №3, 1963, 50-59 [თ.6.].

† იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1946 წ.), პროფესორი (1947 წ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე (1947-1983 წწ.), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1963 წ.), სამართლის ისტორიკოსი [თ.6.].

<sup>1</sup> იგულისხმება პეტერბურგი, რომელსაც საბჭოთა პერიოდში ლენინგრადი ეწოდებოდა [თ.6.].

1922 წელს ირ. სურგულაძე გადმოვიდა თბილისში და დორპატის უნივერსიტეტის ცნობის საფუძველზე, ჩაირიცხა ასპირანტად<sup>1</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

1923-24 წლების განმავლობაში ის აბარებს ზეპირ სადოქტორო გამოცდებს: სახელმწიფო სამართალში (1923 წლის 9 თებერვალს), ადმინისტრაციულ სამართალში (1923 წლის 19 ივნისს), საერთაშორისო სამართალში (1924 წლის 21 მაისს). ყველა საგანში მან მიიღო შეფასება „ფრიადი“. საგამოცდო კომისიის წევრები იყვნენ: პროფ. ი. გამბაროვი, პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი და პროფ. შ. ნუცუბიძე.

ირ. სურგულაძემ 1925 წელს გამოაქვეყნა შრომა - „ხელისუფლება და სამართალი“ (გერმანულ ენაზე). ეს იყო სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მან დაიცვა 1927 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს პირველი შემთხვევა იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვისა. 1923 წელს ირ. სურგულაძე უნივერსიტეტის მიერ მიწვეული იქნა სახელმწიფო სამართლის ლექტორად, ხოლო 1925 წლიდან მასვე მიენდო ადმინისტრაციული სამართლის კურსი. 1927 წელს ირ. სურგულაძეს მიენიჭა დოცენტის წოდება, ხოლო 1929 წელს - პროფესორის წოდება.

პროფ. ირ. სურგულაძე აქტიურად მონაწილეობდა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტისა და სამართლის ინსტიტუტის საქმიანობაში. ერთხანს ის იყო დეკანის მოადგილე (1926-1930 წლამდე), შემდეგ უნივერსიტეტისაგან გამოყოფილ[ი] საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგედ (1930-1933 წ.), ხოლო ინსტიტუტის დახურვისა და უნივერსიტეტთან იურიდიული ფაკულტეტის ჩამოყალიბების შემდეგ იგი იყო დეკანად 1933-დან 1935 წლამდე<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> იგულისხმება საპროფესოროდ მოსამზადებლად [თ.ნ.].

<sup>2</sup> პროფ. ირ. სურგულაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანის მოვალეობას, ასევე, 1936 წლის მეორე ნახევრიდან 1937 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით ასრულებდა, მაგრამ დაკავებული პოზიცია პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა [თ.ნ.].



ირ. სურგულაძეს მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

პროფ. ირ. სურგულაძე აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა: 1926 წლიდან 1928 წლამდე ის იყო უნივერსიტეტის ადგილკომის თავმჯდომარე და ამასთანავე, მეცნიერ მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროს წევრი. 1937 წლიდან 1945 წლამდე (გარდაცვალებამდე) არჩეული იყო თბილისის საბჭოს დეპუტატად. 1943 წლიდან შეთავსებით მუშაობდა საქართველოს [მეცნიერებათა] აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

პროფ. ირ. სურგულაძე სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ათავსებდა პრაქტიკულ საქმიანობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. 1922 წლიდან 1927 წლამდე ის იყო შრომის სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს წევრი. ლექციებიდან სტუდენტები ხშირად სასამართლო პროცესზე მიდიოდნენ, რომელსაც ირ. სურგულაძე ხელმძღვანელობდა. უზენაეს სასამართლოში კი, პროფ. ირ. სურგულაძეს ყველაზე რთულ საქმეებს აძლევდნენ გასარჩევად. ბუნებრივი იყო, რომ ასეთი საქმეები საინტერესო იყო იურიდიული თვალსაზრისით და სტუდენტებთან პრაქტიკული მეცადინეობის დროს სწორედ ასეთი საქმეები მოჰქონდათ სავარჯიშოდ. პროფ. ირ. სურგულაძე სამართლის ნორმების პრაქტიკულად გამოყენების მაგალითს უჩვენებდა სტუდენტებს.

პროფ. ირ. სურგულაძე გარდაიცვალა 1945 წლის 22 ნოემბერს უნივერსიტეტში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს (ლექციის დაწყების წინ).

პროფ. სურგულაძის ადრინდელი შრომები იდეალისტური კონცეფციით არის დაწერილი. ჰუსერლის ფილოსოფიასა და უკანასკნელის საფუძველზე წარმოშობილ სამართლის ფენომენოლოგიურ სკოლას საკმაო გავრცელება ჰქონდა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორც მოღერ ფილოსოფიასა და სკოლას ირ. სურგულაძის სტუდენტობის ხანაში. ირ. სურგულაძეც ჰუსერლის ფილოსოფიისა და სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის თვალსაზრისით, სამართლის მეცნიერებას განეყენებული ხასიათი აქვს; ეს სკოლა სამართალს იხილავს მისი კონკრეტული ისტორიული შინაარსის გარეშე, მისი კლასობრივი შინაარსის გარეშე.

მოქმედი სამართლის ნორმები, ამ სკოლის აზრით, ასახავენ მუდმივი არსებობის მქონე პოსტულატებს, რომლებიც შეიცნობა აპრიორულად, ინტელექტუალური ინტუიცი[ი]თ. ამიტომ, ამ სკოლის აზრით, სამართლის მეცნიერება გამოირიცხავს მიზგზობრიობის კანონზომიერებაზე დამყარებულ კვლევას: სამართლის მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს სამართლის ამსახველი მუდმივი პოსტულატები, ხოლო უკანასკნელთა შესწავლის ერთადერთი საშუალება მდგომარეობს ინტუიციის გზით მათ გამოცნობაში.

როდესაც პროფ. ირ. სურგულაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზებს ვიხილავთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ პროფ. ირ. სურგულაძის მხოლოდ პირველი შრომებია დაწერილი ჰუსერლისა და სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის გავლენის ქვეშ. ამ შემთხვევაშიც, პროფ. ირ. სურგულაძეს აქვს წამოყენებული ზოგიერთი ორიგინალური და საღი მოსაზრება. შემდგომ შრომებში პროფ. ირ. სურგულაძე მართებულად იმარჯვებს მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიას.

პირველი შრომა, რომელიც პროფ. ირ. სურგულაძემ გამოაქვეყნა 1925 წელს გერმანულ ენაზე, იყო მისი სადოქტორო დისერტაცია შემდეგი სათაურით: *Gewalt und Recht, Eine Abhandlung zum Problem des Verhältnisses von Staat und Recht, Erster Teil, Der Begriff des Rechtsverhältnisses* (ხელისუფლება და სამართალი, სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის შესახებ, ნაწილი პირველი, მართლწესრიგის ცნება, 1925 წ., 155 გვ.).

ეს არის პირველი ნაწილი, ანუ ერთგვარი შესავალი ავტორის მიერ მოფიქრებული დიდი შრომისა - „ხელისუფლება და სამართალი“, რომელიც მას აღარ დაუწერია შემდეგში. მაგრამ ამ პირველ ნაწილს სავსებით დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და ამდენად, დამთავრებულ მონოგრაფიას წარმოადგენს. შრომა ეხება სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის ზოგიერთ ძირითად საკითხს. ავტორის აზრით, სახელმწიფო სამართლის ბუნების შესასწავლად, პირველ ყოვლისა, აუცილებელია მართლწესრიგის ცნების ყოველმხრივი შესწავლა. მართლწესრიგის ცნების დასადგენად პროფ. ირ. სურგულაძე სწავლობს უფლებრივ ურთიერთობას, როგორც მართლწესრიგის უმარტივეს ელემენტს. უფლებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილების

- სუბიექტის, ობიექტის, უფლების, მოვალეობისა და უკანასკნელთან დაკავშირებულ[ი] პრობლემების განხილვა შეადგენს პროფ. ირ. სურგულაძის ხსენებული შრომის საგანს.

პროფ. ირ. სურგულაძე სახელმწიფო სამართლის სპეციალისტი იყო და ამიტომაც, პირველ ყოვლისა, მან მიზნად დაისახა ამ მეცნიერების საგნის განსაზღვრა. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს მას გამოთქმული თავისი შეხედულება სამართლის სხვადასხვა საკითხზე.

პროფ. ირ. სურგულაძე ასე აყენებს საკითხს: სახელმწიფო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების დასაბუთება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დავასაბუთებთ ამ მეცნიერების განსაკუთრებულ საგანს.

თავისთავად საკითხის ასეთი დაყენება მართებულია: მეცნიერების ყოველ დარგს თავისი შესწავლის საგანი აქვს და პირველ ყოვლისა, ეს საგანი უნდა იქნეს განსაზღვრული. მაგრამ პროფ. ირ. სურგულაძე, ამ შემთხვევაში, საკითხს იდეალისტური პოზიციებიდან მიუდგა. პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, საჭიროა მივაგნოთ ობიექტურად არსებულ განსხვავებულ საგნებს და ამის მიხედვით განვსაზღვროთ ამა თუ იმ მეცნიერების საგანი. მისი აზრით, სოციალური პროცესების ერთობლიობა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოს ცხოვრებაში, არ ამოსწურავს სახელმწიფოს არსს და სახელმწიფო, როგორც ადამიანთა თანაცხოვრების გარკვეული ფორმა განსხვავდება სახელმწიფოსაგან, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტისაგან. ასეთი განსხვავება, პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, წმინდა ლოგიკურია; სინამდვილეში კი, სოციალური და სამართლებრივი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე არც არსებობს.

ამ კონცეფციის იდეალისტური შინაარსი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო, როგორც სოციალური ფენომენი დაპირისპირებულია სახელმწიფოსადმი, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტთან.

ამ განმარტებაში სავსებით უგულებელყოფილია სახელმწიფოს, როგორც კლასთა ბატონობის ორგანოს დანიშნულება.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, არ არის საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფო, როგორც სამართლის ინსტიტუტი განსხვავებულია სახელმწიფოსაგან, როგორც სოციალური წარმონაქმნისაგან. ავტორის

აზრით, საერთოდ, დამოუკიდებელი მეცნიერება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს მეცნიერება თავის საკუთარ კანონებს ემყარება, ისეთ კანონებს, რომლებსაც სხვა მეცნიერება არ ემყარება. ამ შემთხვევაში, ავტორი ჰუსერლის მისდევს. ავტორი საკითხს ამგვარად აყენებს: სამართლებრივი კატეგორიები, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით სამართლებრივ ურთიერთობაში არ ატარებენ რეალურად არსებული მოვლენების ხასიათს; რეალურად არსებული მოვლენები მიზეზობრიობის კანონებს ემორჩილებიან, ხოლო სამართლებრივი კატეგორიები, როგორც იდეალური წარმონაქმნები, არ ემორჩილებიან მიზეზობრივ კანონზომიერებას. ბუნების მოვლენები მიზეზობრიობის კანონს ემორჩილება, სამართალი კი, რომელსაც არა აქვს რეალური ხასიათი არ ემორჩილება მიზეზობრიობის კანონზომიერებას. პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, თუ სამართალს რეალური არსებობის ხასიათს მივანიჭებთ, მაშინ მას დავემორჩილებთ მიზეზობრიობის კანონს, ისე როგორც ყოველგვარი რეალურად არსებულ მოვლენას და ამით წავშლით ყოველგვარ განსხვავებას ბუნებისა და სამართლის მოვლენებს შორის, ბაზისსა და ზედნაშენს შორის და ა.შ..

ჰუსერლიც სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობის აუცილებელ პირობად სწორედ იმას თვლიდა, რომ უპირისპირებდა ერთმანეთს რეალურსა და ლოგიკურ კატეგორიებს.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ პროფ. ირ. სურგულაძე ამ საკითხის გადაჭრაში ჰუსერლის იშველიებს და ხშირად მოყავს ციტატები მისი შრომიდან (კერძოდ, მეცნიერებათა კლასიფიკაციის საკითხის გადაჭრაში ის ჰუსერლის ემყარება).

პროფ. ირ. სურგულაძე სახელმწიფო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დასაბუთების ცდაში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამართალი მოკლებულია რეალურ ყოფიერებას, რომ ის არ ემორჩილება მიზეზობრივ კანონზომიერებას. სამართალი, პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, თავისი დანიშნულებით წარმოადგენს საშუალებათა კომპლექსს, რომლის მიზანია საზოგადოებრივ მიმართებათა რეგულირება. ამიტომ და ამდენად, განაგრძობს პროფ. ირ. სურგულაძე, მართლწესრიგი თავის[ი] შინაგანი კანონზომიერებით არ შეიძლება ემთხვეოდეს საზოგადოებრივ მიმართებას.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, სამართლისა და რეალურად არსებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა გასამიჯნავად, საშუალებისა და მიზნის დაპირისპირება ერთგვარი ამოსავალია. საქმე იმაშია, რომ მოვლენები, რომლებიც საშუალებას ეკუთვნის, განსხვავდებიან იმ მოვლენებისაგან, რომლებიც მიზანს ეკუთვნის, მაგრამ ეს განსხვავება არ არის საკმარისი დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობის დასასაბუთებლად.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალსა და სოციალურ მიმართებას შორის განსხვავება არ ამოიწურება იმ განსხვავებით, რომელიც საშუალებასა და მიზანს შორის არსებობს. უკანასკნელი ხასიათის (საშუალება და მიზანი) განსხვავება შეიძლება არსებობდეს ერთი და იმავე ონტოლოგიური რიგის მოვლენებს შორის და ასეთ შემთხვევაში, ის სპეციალური კანონზომიერება, რომელიც ამ ორი წყების მოვლენას შორის არსებობს, აუცილებლად უნდა დასაბუთდეს ონტოლოგიური რიგის ძირითადი კანონზომიერებით. ეს უკანასკნელი კი არის ძირითადი საფუძველი, რომლითაც ერთი რიგის ონტოლოგიური მოვლენები განსხვავდება სხვა რიგის მოვლენებისაგან.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, ასეთი საფუძველმდებელი განსხვავება სამართალსა და საზოგადოებრივ მიმართებათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური მიმართების ყოფიერება ხასიათდება ონტოლოგიურად, როგორც რეალური ყოფიერება და მის არსებობას განსაზღვრავს მისთვის ძირითადი მიზეზობრივი კანონზომიერება; მაშინ, როდესაც მართლწესრიგი, სამართალი ონტოლოგიურად წარმოადგენს ყოფიერების იდეალურ ფორმას, რომლის შინაგანი კანონზომიერება გამოიწვევს მიზეზობრივ კანონზომიერებას. პროფ. ირ. სურგულაძის მოსაზრებით, სწორედ აქ არის მოცემული ის დასაბუთება, რომელიც ესაჭიროება სახელმწიფო სამართალს, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა იდეალისტურია, რადგან ამ შეხედულებით, სამართლებრივი მოვლენები მოკლებულია ყოფიერების ნიშანს და ამით ის გამოცალკევებულია რეალურად არსებული სამყაროდან. ამასთან ერთად, პროფ. ირ. სურგულაძის

ლაძე აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაა, ან როგორია იმ დამოკიდებულების ხასიათი, რომელიც არსებობს სამართალსა და სოციალურ მოვლენებს შორის.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, სამართლის კატეგორიებში მოცემულია შინაგანი ორბუნებოვანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კატეგორიებში წმი[ნ]და სამართლებრივ[ი] მომენტების გვერდით მოცემულია, აგრეთვე, არასამართლებრივი მოვლენებიც. ავტორის აზრით, სამართლის შესწავლის დროს, ისე როგორც ყოველი საგნის მეცნიერული შესწავლის დროს, უნდა შევისწავლოთ არა მარტო ის, რაც შეინიშნება სამართალში მისი განცალკევებით წარმოდგენისას, არამედ ისიც, რაც სამართალს ახასიათებს სხვა საგნებთან დამოკიდებულებაში. მხოლოდ ამ დამოკიდებულებების შინაარსის მეცნიერულად ამოხსნითაა შესაძლებელი სამართლის ჭეშმარიტი ბუნების შესწავლა. სამართალი ზედნაშენის კატეგორიაა. აქედან გამომდინარეობს, რომ სამართალი ბაზისზე ანუ ეკონომი[კ]ურის რიგის მოვლენაზეა დამოკიდებული.

სახელმწიფო სამართლის საგანი ნორმათა გარკვეული სისტემაა, რომელიც არ შეიძლება იზოლირებული იყოს არასამართლებრივი მოვლენებისაგან, რადგანაც ნორმათა ეს სისტემა სწორედ არასამართლებრივ მოვლენებთან კავშირში ამჟღავნებს თავის ბუნებას.

სახელმწიფოს ორივე მხარე სოციალური და სამართლებრივი, ავტორის აზრით, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს სოციალური ცხოვრების ნამდვილსა და გაუთიშავ მომენტს.

პროფ. ირ. სურგულაძის ხსენებულ ნაშრომში წამოყენებულია ძირითადი დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის საგნის სწორი განმარტებისათვის აუცილებელია წინასწარ იმის გაშუქება, თუ რა თავისებურება ახასიათებს სამართალს, საერთოდ. სარეცენზიო ნაშრომში მთლიანად ამ ამოცანის გადაჭრისადმი არის მიძღვნილი. ნაშრომში დასმულია და გაშუქებულია საკითხი სამართლის ძირითადი ელემენტების და მათი ბუნების შესახებ. ამასთანავე, სამართლის ეს ელემენტი შრომაში განხილულია სამართლისა და არასამართლებრივი მოვლენებს შორის დამოკიდებულების ვითარებაში და ნაჩვენებია, რომ ამ დამოკიდებულების შესწავლის გარეშე შეუძლებელია სამართლის არსის ამოხსნა.

ავტორი მართებულად სვამს საკითხს სამართლის ელემენტების შესახებ. სწორია, აგრეთვე, ავტორის შეხედულება იმის შესახებ, რომ სამართლებრივი და არასამართლებრივი მოვლენები ერთობლიობაში, ურთიერთკავშირში უნდა იქნას განხილული. პროფ. ირ. სურგულაძის მიერ დასმულ საკითხზე (სამართლებრივი[ი] და არასამართლებრივი მოვლენების ერთობლივად შესწავლის შესახებ) ავტორის მეორე შრომის გარჩევისას შევჩერდებით.

პროფ. ირ. სურგულაძის მეორე შრომის (რომელიც ერთგვარ დამატებას წარმოადგენს პირველი შრომისა) სახელწოდებაა: „იურიდიული მეთოდოლოგიისათვის“ (ყურნ[ალი] „მნათობი“, 1928 წელი, №10, გვ. 198-210). ნაშრომი თავისი შინაარსით პოლემიკური ხასიათისაა. მისი ქვესათაური ასეთია: „პასუხი გ. ნანეიშვილს“ (ყურნ[ალი] „მნათობი“, 1928 წელი, №3). პროფ. გ. ნანეიშვილმა გამოაქვეყნა წერილი სათაურით - „ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის“. ეს წერილი წარმოადგენს რეცენზიას პროფ. ირ. სურგულაძის შრომაზე - „ხელისუფლება და სამართალი“; პროფ. ირ. სურგულაძის ეს წერილი პროფ. გ. ნანეიშვილის რეცენზიის პასუხია.

ამ შრომაში პროფ. ირ. სურგულაძე ცდილობს დაიცვას სადოქტორო შრომის ძირითადი დებულებები, მაგრამ, ამასთანავე, იგი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხსენებულ შრომაში მას საუბარი აქვს სამართლის დამოკიდებულებაზე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისაგან.

პროფ. ირ. სურგულაძემ მართლაც დააყენა საკითხი სოციალურ[ი] და სამართლებრივი[ი] ურთიერთობის შესახებ და თავისებურად გადაჭრა ის. პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, სამართლის შესწავლა ცალკე, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისაგან იზოლირებურად შეუძლებელია. სამართალი ზედნაშენური კატეგორიაა; როგორც ზედნაშენი, სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთან. სამართლის ჭეშმარიტი არსის ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სამართალი და სოციალური მოვლენები ერთად იქნება შესწავლილი. ამ შემთხვევაში, პროფ. ირ. სურგულაძის შეხედულება ორიგინალურია იმ მხრივ, რომ სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის სხვა წარმომადგენელთათვის და, საერთოდ, ნორ-

მატიული სკოლის წარმომადგენელთათვის საკითხისადმი ასეთი მიდგომა უცხოა. ამავე დროს პროფ. ირ. სურგულაძის მიერ წამოყენებული დებულება სამართლის და სოციალური მოვლენის შესწავლის შესახებ შედარებით უფრო პროგრესულია, ე.ი. წინ გადადგმული ნაბიჯია. საერთოდ კი, ეს სწორი დებულება ეწინააღმდეგება მის შრომებში გატარებულ იდეალისტურ კონცეფციას.

როგორც ვთქვით, პროფ. ირ. სურგულაძეს ხსენებულ შრომებში ის აზრი აქვს გატარებული, რომ სოციალური და სამართლებრივი მოვლენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, თავთავიანთ კანონზომიერებას ემორჩილებიან. ამ შემთხვევაში, ირ. სურგულაძე ჰუსერლის ფილოსოფიის საფუძველზე დგას და სამართლის ფენომენოლოგიური სკოლისათვის დამახასიათებელ დებულებებს ანვითარებს.

საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ უფრო გვიან თვითონ პროფ. ირ. სურგულაძე აღნიშნავდა ამ შრომებში დაშვებული მეთოდოლოგიური შეცდომების შესახებ.

1930 წელს თბილისში მოეწყო დისკუსია - „საბჭოთა საქართველოში იურიდიული აზრის შესახებ“, სადაც განხილული იქნა, აგრეთვე, პროფ. ირ. სურგულაძის ხსენებული შრომებიც. დისკუსიაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების დროს სამართლის დარგში გამოქვეყნებული შრომების მეთოდოლოგიურ მხარეს. ამ დისკუსიაზე ორჯერ გამოვიდა სიტყვით პროფ. ირ. სურგულაძე (იხ. ამის შესახებ: „Против идеализма в правовой мысли советской Грузии“, 1931, г.).

სიტყვებში პროფ. ირ. სურგულაძემ აღნიშნა, რომ თავის შრომებში მას საუბარი აქვს სამართალზე, როგორც ზედნაშენზე, რომ სამართალი შესწავლილი უნდა იქნეს სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან დაკავშირებით და სხვა. ამასთანავე, დისკუსიის შესახებ სტენოგრაფიულ მასალას დართული აქვს პროფ. ირ. სურგულაძის განცხადება, რომ მისი სადოქტორო შრომა შეიცავს მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებს.

კიდევ უფრო გვიან ამ შრომების შესახებ პროფ. ირ. სურგულაძე წერდა: ეს შრომები „როგორც მეთოდოლოგიურად, ისე შინაარსის მხრივ ჯერ კიდევ ბურჟუაზიული უფლებრივი იდეოლოგიის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ“ („მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 25 წლის მანძილზე“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1946



ნელი, პროფ. ირ. სურგულაძის წერილი - „სამართალი“, გვ. 107. წერილი დაწერილია 1945 წელს, გამოქვეყნდა ის ავტორის გარდაცვალების შემდეგ).

პროფ. ირ. სურგულაძის მიერ შემდგომ გამოქვეყნებული შრომები ძირითადად სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზეა აგებული.

პროფ. ირ. სურგულაძემ 1928 წელს გამოაქვეყნა შრომა - „საჯაროსამართლებრივი<sup>1</sup> ხელშეკრულების პრობლემა“ (ჟურნ[ალი] „სახელმართალი“, 1928 წ., №5). ავტორს ამ შრომაში განხილული აქვს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს დახასიათებული ის მდგომარეობა, როცა იურიდიული მიმართების სუბიექტად გამოდიან, ერთის მხრივ, სახელმწიფო, როგორც საჯარო ხელისუფლების მატარებელი, მეორეს მხრივ, კი კერძო მოქალაქე. ავტორის აზრით, საერთოდ, საჯარო სამართალი არ გამოირიცხავს ხელშეკრულების ცნებას, ამის მაჩვენებელია საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებანი, აგრეთვე, სახელმწიფოს შიგნით დაწესებულებათა შორის დადებული ხელშეკრულებანი.

ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო თავის დამოკიდებულებას კერძო პირთან აწესრიგებს არა მარტო ცალმხრივი განკარგულებით, არამედ ხელშეკრულებითაც.

ავტორს მოყავს ამ საკითხზე ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებანი.

პროფ. ირ. სურგულაძე აკრიტიკებს თითოეულ შეხედულებას. მისი აზრით, ამ პრობლემის გადაჭრა „მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის მოძღვრების ზოგიერთ ძირითად ცნებასთან“.

ავტორს განზრახული ჰქონდა ამ საკითხებზე მეორე წერილის დაწერაც (ხსენებული წერილის ბოლოს წერია: „გაგრძელება იქნება“), რომელშიაც დაწვრილებით იქნებოდა მოცემული ავტორისეული

---

<sup>1</sup> პროფ. ივანე სურგულაძეს შეეცდომით აქვს მითითებული სტატიის სათაური, პროფ. იროდიონ სურგულაძის სტატიის სახელწოდებაა - „საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების შესახებ“ [თ.ნ.].

შეხედულება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს განზრახვა მას ვერ განუხორციელებია. ამის გამო ხსენებული შრომა დამთავრებულად არ ჩაითვლება<sup>1</sup>.

1929 წელს პროფ. ირ. სურგულაძემ გამოაქვეყნა შრომა შემდეგი სათაურით - „კ. კაუცკის ახალი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“ (ჟურნ[ალი] „მნათობი“, 1929 წელი, №10). წერილი წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას კ. კაუცკის შრომაზე: „Die materialistische Geschichtsauffassung“, 1927, Bd. I-II.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, სახელმწიფოს არსის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სახელმწიფო თავისი წარმოშობის დროიდანვე დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოების განვითარებაზე, სახელმწიფოს ბუნების შესწავლის გარეშე შეუძლებელიც არის საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპების გათვალისწინება. ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს არსის გაგების საკითხში კ. კაუცკი საგნებით ჩამოშორდა მარქსიზმს, თუმცა თვით კ. კაუცკის რომ დავეუჯეროთ, ამ საკითხში ის მარქსისა და ენგელსის თეორიის „ძირითად საფუძვლებს“ არ მოშორებია.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, კ. კაუცკის მიერ სახელმწიფოს ბუნების შესწავლა, პირველ რიგში, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის შესწავლის აუცილებლობა მართებულია, მაგრამ თვით საკითხის კაუცკისეული გადაჭრა არ არის მარქსისტული.

პროფ. ირ. სურგულაძე ასახულებს, რომ კ. კაუცკის აზრით, სახელმწიფო წარმოიშობა ერთი ტომის მიერ მეორე ტომის დაპყრობის შედეგად. ამ შემთხვევაში, კ. კაუცკის შეხედულება გუმპლოვიჩის თეორიისაგან არსებითად არ განსხვავდება.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, კ. კაუცკის ძალადობის თეორია უარყოფს მარქსიზმის იმ ძირითად დებულებას, რომ სახელმწიფო წარმოიშობა პირველყოფილი თემური წყობილების შინაგანი ეკონომი[კ.]უ-

---

<sup>1</sup> პროფ. ივანე სურგულაძის მიერ დასახელებული სტატიის II ნაწილი შემთხვევით აღმოვაჩინეთ პროფ. იროდიონ სურგულაძის პირად არქივში და წინამდებარე კრებულში პირველ ნაწილთან ერთად ქვეყნდება [თ.ნ.].

რი განვითარების შედეგად, როდესაც კერძო საკუთრების გაჩენა აპირობებს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, ე.ი. კლასების გაჩენას.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, ვ. კაუცკი შორდება მარქსიზმს, აგრეთვე, თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს დანიშნულების გაგების საკითხში.

პროფ. ირ. სურგულაძეს მოჰყავს კაუცკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების დემოკრატია სახელმწიფოს ისეთი ფორმაა, რომელიც არსებითად განსხვავდება წინამორბედი სახელმწიფოსაგან. მას, ე.ი. ბურჟუაზიულ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ მიუდგება მარქსიზმის ის განმარტება, რომლის მიხედვით სახელმწიფო არის კლასთა ბატონობის ორგანო. პროფ. ირ. სურგულაძე გადმოგვცემს, რომ ვ. კაუცკის მსოფლმხედველობით, განსხვავებით ანტიკური დემოკრატიისა, თანამედროვე, ე.ი. ბურჟუაზიული დემოკრატია თავისი არსით, ბუნებით, დანიშნულებით არ ითმენს არაერთარ, განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილ ორგანიზაციას, რადგანაც ის ემყარება ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას და, ამ მხრივ, ის უახლოვდება პირველყოფილ თემურ წყობილებას. ვ. კაუცკის აზრით, ასკვნის პროფ. ირ. სურგულაძე, ბურჟუაზიული დემოკრატია პროლეტარიატს ესაჭიროება სოციალური გამარჯვებისათვის. დემოკრატია კლასობრივ ბრძოლას აძლევს მშვიდობიან ხასიათს, იგი შეუძლებლად ხდის შეიარაღებული ბრძოლის საჭიროებას კლასობრივი კონფლიქტების გადასაჭრელად.

პროფ. ირ. სურგულაძე მიუთითებს კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის პრაქტიკაზე, როგორც ისეთ მოვლენაზე, რომელიც არღვევს ვ. კაუცკის შეხედულებას. ვ. კაუცკის აზრით, პროლეტარიატი სოციალიზმს უნდა შეეზარდოს მშვიდობიანი გზით, ხოლო ბურჟუაზიული დემოკრატია ის პოლიტიკური ფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს ამ მშვიდობიან მსვლელობას. პროფ. ირ. სურგულაძე მართებულად აღნიშნავს, რომ კაუცკი უარყოფს მარქსიზმის კლასიკოსების თეორიას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

პროფ. ირ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ ვ. კაუცკიმ სავსებით უარყო მარქსიზმი, მისი ძირითადი დებულება, რომ ეკონომიკა არის განვითარების საფუძველი, რომ სახელმწიფო არის გაბატონებული კლასის ორგანო.

პროფ. ირ. სურგულაძის შრომა - „ვ. კაუცკის ახალი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“, ძირითადად მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიურ საფუძველზეა აგებული.

მაგრამ ამ წერილშიც ავტორს აქვს მოცემული ზოგიერთი საკითხის არასაკმარისი განმარტება ანუ არაზუსტი ფორმულირება. ასეთია, მაგალითად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება სახელმწიფოს წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით. ამ საკითხის განხილვისას ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს წარმოშობა არის შედეგი კლასთა წინააღმდეგობის შეურიგებლობა.

შემდგომ პერიოდში პროფ. ირ. სურგულაძის მიერ გამოქვეყნებული შრომებიდან კი ჩანს, რომ მათი ავტორი სავსებით დაეუფლა მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიას.

1937 წელს პროფ. ირ. სურგულაძემ გამოაქვეყნა შრომა - „მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობანი 1936 წლის კონსტიტუციის მიხედვით“ (ყურნ[ალი] „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937 წელი, №3, გვ. 81-90).

ავტორის აზრით, 1936 წლის კონსტიტუციის მე-10 თავის შეფასება უნდა მოხდეს „საზოგადოების ისტორიული განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით“.

ავტორი იხილავს პიროვნების ძირითად[ი] უფლებების საკითხს ანტაგონისტურ საზოგადოებათა ისტორიაში და აღნიშნავს, რომ საერთოდ ანტაგონისტურ საზოგადოებაში პიროვნების უფლებები გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად წყდება და ამოსავალი პრინციპი, რომელზედაც იყო დაფუძნებული პიროვნების უფლებები - ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია იყო.

მშრომელთა ექსპლოატაციის ის ფორმები, რომლებიც მონათმფლობელურისა და ფეოდალური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, აუცილებლად თხოულობდა გარეეკონომიკურ იძულებას. მონები და ყმები მოკლებულნი იყვნენ ადამიანურ უფლებებს, მონას

განიხილავდნენ როგორც ნივთს, მოლაპარაკე ინსტრუმენტს; მაშასადამე, ის სამართლის მხოლოდ ობიექტი იყო. რაც შეეხება ყმას, მისი უფლებები ამოიწურებოდა „სამოქალაქო ბრუნვაში შეზღუდულ ფორმებში მონაწილეობის შესაძლებლობით“, ხოლო საჯაროუფლებრივი სფეროდან ყმა სავსებით გამორიცხული იყო.

ავტორი აღნიშნავს, რომ მონათმფლობელურსა და ფეოდალურ საზოგადოებაში თავისუფალი ფენების მდგომარეობაც არ იყო ერთგვარი, მაგრამ ორთავე საზოგადოებისათვის საერთო ის იყო, რომ გაბატონებული კლასის ინტერესი განსაზღვრავდა ადამიანის უფლებებს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რასაკვირველია, მოცემულია ეს შინაგანი შეუძლებლობა ადამიანის უფლებების აღიარებისა. ექსპლოატაციის საფუძველზე აგებულ კაპიტალისტურ საზოგადოებას არ შეუძლია პიროვნების უფლებების ცნობა, რადგანაც სამართლებრივი [ი] გედნაშენის „სფეროში მოცემული მოვლენები თავისი შინაარსით მხოლოდ“ კლასობრივი ექსპლოატაციის მიზნით არის განსაზღვრული. ადამიანის უფლებები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფორმალურად არის აღიარებული და რეალურად არ ხორციელდება.

„ნამდვილი მთლიანობა ინდივიდის და საზოგადოების ინტერესებს შორის, ნამდვილი კოლექტიურობის მიღწევა, მხოლოდ კლასობრივი ექსპლოატაციის, საზოგადოებრივ მიმართებათა ანტაგონისტური ფორმების მოსპობის ნიადაგზეა შესაძლებელი. ამას კი, ადამიანი სოციალისტურ საზოგადოებაში აღწევს“ - წერს ავტორი.

ანტაგონისტურ საზოგადოებაში საჯარო უფლებებით სარგებლობა ფაქტიურად შეუძლებელია. იმ დიდი ცვლილებების შინაარსი, რომელიც 1936 წლის სსრკ[-ის] კონსტიტუციის მე-10 თავს შეაქვს, „პიროვნების უფლებიერივი მდგომარეობის საკითხში ის არის, რომ აქ პირველად ჰპოვეს თავს განთავისუფლებული ადამიანი, განთავისუფლებული კლასობრივი საზოგადოების ყველა ხუნდისაგან და მას თავისი ძალისა და ნიჭის განვითარების უსაზღვრო პერსპექტივები ეშლება წინ“.

პროფ. ირ. სურგულაძის ეს ნაშრომი მეთოდოლოგიურად სწორ საფუძველზეა აგებული.

განხილული შრომის შემდეგ, ე.ი. 1937 წლის შემდეგ, პროფ. ირ. სურგულაძემ თავის მეცნიერულ კვლევის საგნად სახელმწიფო სა-

მართლის ნაცვლად ძირითადად სამართლის ისტორია გაიხადა. მთელი თავისი უშრეტი ენერგია და მეცნიერული კვლევის დიდი ალლო გადაიტანა მან სამართლის ისტორიის პრობლემების დამუშავებაზე. სამართლის ზოგადი ისტორიის საკითხების შესწავლის შემდეგ ის შეუდგა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლას.

ამასთანავე, უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროფ. ირ. სურგულაძე შეუდგა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის, საბჭოთა კავშირის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისა და რომის სამოქალაქო სამართლის კურსების წაკითხვას.

ფართო იურიდიული განათლება, დიდი ნიჭი და ერუდიცია, რომის სამართლის იშვიათი ცოდნა თავდები იყო იმისა, რომ პროფ. ირ. სურგულაძეს დიდი წარმატება ექნებოდა სამართლის ისტორიის დარგში. პირველ ყოვლისა, ის შეუდგა ძველ[ი] აღმოსავლეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლას. პროფ. ირ. სურგულაძე არ დასჯერდა რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე არსებულ ლიტერატურას ძველი აღმოსავლეთის შესახებ და პირველ წყაროებზე დაყრდნობით მუშაობისათვის შეუდგა ასურული და ეგვიპტური დამწერლობის შესწავლას. პროფ. ირ. სურგულაძე მიემგზავრება სამეცნიერო მივლინებაში მოსკოვსა და ლენინგრადში სათანადო სპეციალისტებთან მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად და შესასწავლი პრობლემებისათვის საჭირო მასალების მოსაპოვებლად. ამასთანავე, იურიდიულ უმაღლეს სასწავლებელთა საკავშირო სამმართველო ავალეებს პროფ. ირ. სურგულაძეს სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენას. ამ დავალების შესრულება მას არ დასცალდა, მაგრამ აღმოსავლეთის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლის მიმართულებით კი, მან სერიოზული ნაბიჯი გადადგა.

პროფ. ირ. სურგულაძემ დაწერა შესანიშნავი გამოკვლევა ეგვიპტის ძველი პერიოდის სახელმწიფოს და სამართლის ისტორიიდან. შრომის სათაური ასეთია: „სავარაუდო წყობილების ორგანოების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ეგვიპტურ ენაში“ I (სსრ კავშირის მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალი მოამბე, ტ. I, №8, 1940, გვ. 629-639; II წერილი ამავე სათაურით მოთავსებულია იმავე „მოამბის“ 1940 წლის

№10-ში, გვ. 771-778, ხოლო III წერილი „მოამბის“ II ტომში, 1941 წლის №3, გვ. 285-292). მიუხედავად იმისა, რომ სამივე წერილი ერთსა და იმავე სახელს ატარებს, შინაარსის მიხედვით ისინი სამ გამოკვლევას წარმოადგენენ, რადგანაც თითოეული წერილის საკვლევი ობიექტი სხვადასხვაა: პირველ წერილში შესწავლილი საგვარეულო წყობილებიდან მომდინარე ერთი ტერმინი, მეორეში სხვა და მესამეში კიდევ სხვა.

თავის[ი] პირველი წერილის დასაწყისში ავტორს ერთგვარი შესავალი აქვს გაკეთებული. ამ შესავალში მას აღნიშნული აქვს, რომ ეგვიპტის გვაროვნული წყობილების ინსტიტუტების შესწავლას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეგვიპტის ისტორიისათვის, არამედ, საერთოდ, პირველყოფილი თემური წყობილების შესწავლის თვალსაზრისითაც.

პირველყოფილ თემური წყობილების „შესახებ მეცნიერულად გამართული თეორია მარქსიზმის ფუძემდებელთაგან დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე იყო გამომუშავებული; მაგრამ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პირველყოფილი საზოგადოების მოძრაობისა და არსებითი სტრუქტურის შესახებ ძირითადად იმ სოციალურ სინამდვილეზე არის ორიენტირებული, რომელსაც განვითარების წინაკლასობრივ საფეხურზე ანტიკური ქვეყნები და ევროპის ხალხები გვიჩვენებენ, ხოლო, მეორე მხრივ, იმ მასალაზე, რომელიც XIX-XX სს. ეთნოგრაფიულ კვლევათა შედეგად არის ამოცნობილი“. როგორც ცნობილია, აღნიშნავს ავტორი, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებათა შესახებ მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში ფუძემდებელი შენიშვნებია გაკეთებული, „რომელიც ამ დარგში ყოველი მეცნიერული კვლევისათვის მეთოდოლოგიურსა და შინაარსობრივ დასაყრდენს წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ხალხებში საგვარეულო წყობილების საკითხი მარქსიზმის ფუძემდებელთაგან სპეციალური დამუშავების საგნად დასახული არ ყოფილა“.

ამიტომ, პროფ. ირ. სურგულაძის მოსაზრებით, კიდევ უფრო დიდი მეცნიერული ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნებში გვაროვნული შესწავლისადმი, რადგანაც ხსენებული პრობლემა ჯერ კიდევ შეუსწავლელია და იმავე დროს ისტორიის ეს პერიოდი, აღმოსავლეთის ქვეყნებში, რიგ თავისებურებათა მატარებელია. ამ პრობლემების „მეცნიერ-

ლი გაშუქება, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებათა საფუძველზე შესრულებული ამ თეორიის შემდგომ კონკრეტიზაციას, მის განვითარებას ემსახურება“.

აღმოსავლეთის ქვეყნებში გვაროვნული წყობილების შესასწავლად, იმ თავისებურებათა გამოსავლინებლად, რომლებიც დამახასიათებელია ამ ქვეყნის გვაროვნული წყობილებისათვის, ავტორს საჭიროდ მიაჩნია აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნების სათანადო მასალის ანაზღაურება, ამ მასალის მონაცემების გააზრება, რომ, ამ გზით, შესაძლებელი იყო სხვადასხვა ქვეყნებისათვის საერთო დასკვნების გამოტანა.

ავტორი გვაროვნული წყობილების შესწავლას იწყებს ეგვიპტიდან. პროფ. ირ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ეგვიპტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლების ანალიზი ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ ნილოსის დაბლობის მოსახლეობამ თანმიმდევრულად განვლო გვაროვნული წყობილების სხვადასხვა საფეხური. ამასთანავე, ავტორის აზრით, არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გვაროვნული წყობილების ძირითადი საფეხურების განსაზღვრა. მაგრამ ეს მასალა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დახასიათებულ იქნას ეგვიპტის გვაროვნული წყობილების თავისებურებანი. ეგვიპტის საგვარეულო საზოგადოების კონკრეტული სტრუქტურის აღდგენისათვის საჭიროა „იდეოლოგიური შემონაქმედის კრიტიკული ანალიზი“. ამასთანავე, ავტორი აღნიშნავს, რომ ტექსტები, რომელთა მიხედვით შეიძლება საგვარეულო წყობილების ინსტიტუტების შესწავლა მოგვიანო პერიოდში გვხვდებიან, როცა ეგვიპტის მონათმფლობელურ სახელმწიფოს დიდი ხნის ისტორია აქვს გავლილი, „მაგრამ ერთხელვე გამოუმუშავებელი ცნებებისა და ტერმინების კონსერვატულობის შედეგად“ ამ ტერმინებში გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ეს თუ ის ნიშანია შემონახული და, ამდენად, ხსენებულ ტერმინთა შინაარსის გამორკვევის შედეგად შესაძლებელია, ავტორის აზრით, ეგვიპტის გვაროვნული წყობილების ამა თუ იმ მხარის შესწავლა.

ამ მიზნით ავტორი იღებს ერთ-ერთ ასეთ ტერმინს -  $d^3d^3-t$  - სწავლობს მას სხვადასხვა ტექსტების ანალიზის საფუძველზე, რომელშიაც გვხვდება ეს ტერმინი. ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ პირველად ამ



ტერმინით აღინიშნებოდა გვაროვნული წყობილების ორგანო - თანამოგვარეთა საერთო კრება. ეგვიპტის მონათმფლობელურ სახელმწიფოში, რასაკვირველია, ამ ტერმინს შინაარსი შეცვლილი აქვს, მაგრამ მაინც შესაძლებელია იმის გამოცნობა, რომ ის გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობს.

თავის მეორე წერილში პროფ. ირ. სურგულაძე ასაბუთებს, რომ ტექსტებში ხმარებული ტერმინი, რომლითაც გადმოიციემა კორპორაცია, საგვარეულო წყობილებიდან მოდის და მაშინ ეს ტერმინი უხუცესთა საბჭოს ნიშნავდა.

თავის მესამე წერილში ავტორი არკვევს მონარქების ტიტულების მიხედვით ზოგიერთ ფუნქციას, რომელიც ტომის ბელადს ჰქონდა.

შრომები ემყარება დიდძალი მასალის ანალიზს და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა დამუშავებას.

1942<sup>1</sup> წელს პროფ. ირ. სურგულაძემ შეასრულა შრომა - „სუბიექტის<sup>2</sup> საჯარო უფლებების პრობლემის ისტორიისათვის“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო სესია, 1940 წ. 7-11 მაისი, მოხსენებათა თეზისები). თეზისების მიხედვით, შრომაში წამოყენებული[ა] საყურადღებო დებულებები სუბიექტური საჯარო უფლებების შესახებ. ავტორის აზრით, „საზოგადოების ეკონომი[კ]ური სტრუქტურა“ განსაზღვრავს პიროვნების უფლებრივ რეჟიმს „სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში“. ავტორი იხილავს პიროვნების უფლებების საკითხს ანტაგონისტურ საზოგადოებაში და მიდის დასკვნამდე, რომ კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ სოციალიზმის ეპოქაში ხდება პირველად „ადამიანის ნამდვილი უფლებების აღიარება“.

პროფ. ირ. სურგულაძის მიერ ქართული სამართლის ისტორიიდან გამოქვეყნებულია შრომა შემდეგი სათაურით: „„ძეგლი ერისთავთა“ და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთ[ი] საკითხისათვის“ (ენიმკის მოამბე, 1943 წ., XIII, გვ. 219-232). ავტორს მიზნად დაუსახავს ხსენებული ძეგლის ანალიზის საფუძველზე განიხილოს

---

<sup>1</sup> „1942“ შეცდომით არის მითითებული, უნდა იყოს - „1940“ [თ.ნ.].

<sup>2</sup> სიტყვა - „სუბიექტის“ შეცდომით არის მითითებული, უნდა იყოს - „სუბიექტურ[ი]“ [თ.ნ.].

სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი. აღნიშნული საკითხის გასარკვევად ავტორი არ კმაყოფილდება მარტო ხსენებული ძეგლით, გზადაგზა ის იშველიებს სხვა წყაროებსაც, მაგრამ როგორც შრომის სათაურიდანაც ჩანს, ძირითადი წყარო, რომელიც ავტორმა საფუძვლად დაუდო თავის შრომას არის „ძეგლი ერისთავთა“.

ავტორი, პირველ ყოვლისა, ეხება საკითხს იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო სოციალურ ურთიერთობებში“ მძლავრი ფაქტორია და „მის წარმოშობას“ არ შეეძლო არ შეეცვალა როგორც საზოგადოებრივი სინამდვილის მთლიანი სახე, ისე კულტურულ-მემოქმედებითი პროცესის მიმართულება, შინაარსი და სტილი. ამიტომ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი საქართველოში „კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში“.

ავტორი ახასიათებს „ძეგლი ერისთავთა“-ს, როგორც ქსნის ერისთავების ისტორიული გენეალოგიის წყაროს და აღნიშნავს, რომ ძეგლი ნახევრად ლეგენდარულ თხრობას შეიცავს, რომლის მიზანია ყოველგვარი საშუალებით განადიდოს ქსნის ერისთავთა გვარი. ავტორი აღნიშნავს, რომ ცალკეულ მსხვილ ფეოდალთა ასეთი ლოკალური შინაარსის მატრიანები დამახასიათებელია ფეოდალური სახელმწიფოსათვის ისეთ ვითარებაში, როცა ცენტრალური ხელისუფლება ძლიერ დასუსტებულია და მსხვილ ფეოდალებს ფართო სარბიელი აქვთ შექმნილი თავიანთი დეცენტრალისტური მიდრეკილებების განსახორციელებლად. ძეგლში მოთხრობილი ისტორიული ფაქტები და მათი თანამიმდევრობა „უდავოდ მრავალ საეჭვო ელემენტს შეიცავს“, მაგრამ „ისტორიულ-სოციალური აზრი, რომელიც ძეგლის წარატიულ ფორმაში არის გახვეული, უაღრესად მნიშვნელოვანია და შორეული წარსულის სოციალური სინამდვილის მრავალ საინტერესო მხარეს უთითებს“. ავტორი ხსენებული ძეგლის სწორედ იმ ადგილების ინტერპრეტაციას იძლევა, რომელიც საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის პროცესთან რაიმე მხრივ არის დაკავშირებული.

ძეგლი შედგენილი უნდა იყოს XIV-XV საუკუნეებში. რასაკვირველია, ძეგლში სახელმწიფოს წარმოშობაზე არ არის საუბარი. ასეთ რამეს, აღნიშნავს ავტორი, ამგვარი ხასიათის ძეგლებიდან არც უნდა მოელოდეთ. საერთოდ კი, „თვით პრობლემა სახელმწიფოს წარმოშობისა კულტურული ევოლუციის გაცილებით უფრო გვიან საფეხურზე ჩნდება“.

ძველში, რომელიც გვიანფეოდალურ პერიოდში არის შედგენილი და, მაშასადამე, სახელმწიფოს წარმოშობის პერიოდს დიდი ხნით არის დაშორებული, უძველესი ეპოქიდან მომდინარე ტრადიცია გამოიხატება.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ძველის დასაწყისი ნაწილი, რომელშიაც მოთხრობილია როტომ ქვენიფენეველის ლარგვისში დამკვიდრების ამბავი.

ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ძველში, ერთი მხრივ, ნაჩვენებია საერისთაო ხელისუფლების წარმოშობა ცხრაძმის ხევში და, მეორე მხრივ, როსტომ ქვენიფენეველის გაერისთავება. ამ ორი მოვლენის აღწერილობა ძველში წინააღმდეგობას შეიცავს. საერისთაოს დანესება ძველში წარმოდგენილია მეფის ხელისუფლების არ არსებობის პირობებში, მაშინ როდესაც როსტომის გაერისთავება ძველის მიხედვით თითქოს მეფე იუსტინიანეს უკავშირდება.

ავტორი ანალიზს უკეთებს ძველის დასაწყის ადგილს, სადაც საუბარია ცხრაძმისხეველთა შესახებ, რომ მათ „ერისთაობა არავისი ინებეს“, ისინი ისეთ კაცს ეძებდნენ, რომელიც ხევის მართვაში ძალადობას არ მიმართავდა. ავტორის აზრით, ძველის მიხედვით, ამ შემთხვევაში, ცხრაძმისხეველთა სახით მოცემულია ისეთი კოლექტივი, „რომელიც თვითვე სწყვეტს პოლიტიკური წყობილების ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც არის ერისთაობის არსებობა არ არსებობის საკითხი“.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება იმაზე, რომ როსტომის გაერისთავება, რომელიმე ჯგუფის, საზოგადოების, რომელიმე კლასის სურვილის მიხედვით კი არ მომხდარა, არამედ „ცხრაძმისხეველთა საერთო დადგენილებით“. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ძველში მოცემული ბრძოლის აღწერილობა ისეთ მომენტებს შეიცავს, რომ გამოიხატავს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობას. მაგალითად, ბრძოლაში მონაწილედ არ ჩანს სპეციალურად გამოყოფილი ჯარი, არ ჩანს პოლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვილი მეთაური, ბრძოლას აწარმოებენ ცხრაძმისხეველები, როგორც ერთიანი კოლექტივი. ამასთანავე, დვალელებისაგან განსხვავებით ცხრაძმისხეველებში უკვე მოჩანს სოციალური დიფერენცირების პროცესის მაჩვენებელი ნიშნები. ამის დამადასტურებელია ის, რომ ძველში საუბარია „ნაქონებ“ სოფლებზე, ციხე-სიმაგრეებზე და სხვა. მიუხედავად ამისა, ცხრაძმისხეველთა საზოგადოება ჯერ კიდევ საგვარეულო წყობილების

ფარგლებიდან არ არის გამოსული. ეს ჩანს იქიდან რომ როსტომი ერისთავად დასვეს „საერთო დადგენილებით“ და ამასთანავე, შემდეგაც ძეგლში ნაჩვენებია ცხრაძმისხვევლთა კოლექტიური დამოკიდებულება ახლად დასმულ[ი] ერისთავისადმი: „რქუა ყოველმან ერმან როსტომს: რა გნებავს, რათა ვჰყოთ შენთვის?“ - პროფ. ირ. სურგულაძე ასკვნის: „მოყვანილი ადგილები უდავოდ ადასტურებენ, რომ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხები აქ საერთო კრების საგანს შეადგენს, ე.ი. საგვარეულო წყობილებისათვის დამახასიათებელი ტრადიცია აქ მთლიანად დაცულია“. მაგრამ, ამასთანავე, აქვე „საქმე გვაქვს პოლიტიკური ფორმის პირველ ჩასახვასთან, რომელიც ჯერ კიდევ როსტომამდე იყო შემზადებული“. ეს ჩანს როსტომის მიერ „ციხის და სახლების“ აგება-დაპატრონებაში, რომელიც „ძეგლში გარკვევით არის კვალიფიცირებული როგორც ქვეყნის დაუფლების... ე.ი. პოლიტიკური ბატონობის დამყარების ცდა“. ამ შემთხვევაში, ავტორს მხედველობაში აქვს ძეგლის ის ადგილი, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: როსტომი და მისი ძმები „შემდგომად მცირედისა დაეუფლნენ ყოველსა ქუეყანას ჩუენსა“.

ძეგლის ამ დასაწყისი ადგილის სახით, პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, „სხვადასხვა“ პერიოდიდან წარმომდგარ იდეოლოგიურ დანაშრევებთან გვაქვს საქმე, რომელთა შეერთების ცდა ხდება არა მხოლოდ ისტორიული სინამდვილის დამახინჯების, არამედ შინაგანი შინაარსობრივ-ლოგიკური შეუთანხმებლობის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ავტორმა ძეგლზე ხანგრძლივი მუშაობისა და ღრმა ანალიზის შედეგად შესძლო ფრიად საყურადღებო დასკვნების გამოტანა.

ძეგლის მიხედვით, ავტორმა დაახასიათა საზოგადოება, რომელიც პირველყოფილ[ი] თემური წყობილების რღვევის, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფო დასაწყის პერიოდში იმყოფება.

ჩვენ განვიხილეთ პროფ. ირ. სურგულაძის უფრო მნიშვნელოვანი შრომები. გარდა ამისა, მას მრავალი სტატია აქვს გამოქვეყნებული ჟურნალებსა და გაზეთებში.

თავის[ი] ცხოვრების უკანასკნელ ხანებში პროფ. ირ. სურგულაძე მთელი თავისი ენერგიით მუშაობდა ქართული სამართლის ისტორიის ძეგლებზე. ის იშვიათი გულმოდგინეობით სწავლობდა წყაროებს. პროფ. ირ. სურგულაძე უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშაობდა

ბეჯა-აღბულას სამართლის წიგნზე, მაგრამ ამ შრომის დამთავრება არ დასცალდა.

პროფ. ირ. სურგულაძე ღრმად იყო დაუფლებული სამართლის კატეგორიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი ერუდიცია სამართლის ფილოსოფიაში. საერთოდ, პროფ. ირ. სურგულაძე ფართო ჰორიზონტის და დიდი დიაპაზონის მეცნიერი იყო. მისი შრომები განსაკუთრებით გამოირჩევა დაუცხრომელი მაძიებლური გონებით. როგორც მოაზროვნე ის ორიგინალურია. მისი მიზანი იყო სამართლის შესახებ თავისი ორიგინალური შეხედულება გამოეტანა ევროპულ მეცნიერთა სამსჯავროს წინაშე. ეს განახორციელა მან თავისი გერმანულ ენაზე დაწერილი შრომით, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

გაზ[ეთ] “Заря Востока”-სა და გაზ[ეთ] „კომუნისტში“ 1945 წლის 25 ნოემბერს, პროფ. ირ. სურგულაძის გარდაცვალების გამო, დაიბეჭდა ნეკროლოგი, რომელშიც აკადემიკოსები ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ვ. კუპრაძე, ნ. კეცხოველი, ა. ბარამიძე და სხვები წერდნენ: „გარდაიცვალა იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე... საქართველოს მეცნიერული საზოგადოება გულწრფელად გლოვობს, რომ დაკარგა მეცნიერი, რომელსაც შეეძლო ჯერ კიდევ ბევრი რამ ღირსშესანიშნავი მიეცა მშობლიური მეცნიერებისათვის“. პროფ. ირ. სურგულაძე 52<sup>1</sup> წლის ასაკში გარდაიცვალა. მის მიერ დასახული ამოცანებიდან მრავალი განუხორციელებელი დარჩა.

პროფ. ირ. სურგულაძის სახელი, როგორც მეცნიერის, მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის სამუდამოდ დარჩება ქართველი ხალხის ხსოვნაში.

---

<sup>1</sup> „52“ შეცდომით არის მითითებული, უნდა იყოს - „53“ [თ.6].



## II. რარიტეტული იურიდიული ლიტერატურა







# “Gewalt und Recht” – სადოქტორო დისერტაციის ძირითადი თეზისები\*

## † პროფესორი იროდიონ სურგულაძე

### შესავალი

1. არსებულ ლიტერატურაში საკითხი სახელმწიფოს ბუნების და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ძირითადი პრინციპების და მეთოდის შესახებ, სხვადასხვა გადაჭრას პოულობენ.

---

\* პირველად გამოქვეყნდა 2002 წელს. იხ. ხელისუფლება და სამართალი, სადოქტორო დისერტაციის თეზისები, წიგნში: სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის თარგმანი, გ. ხუბუას რედაქტორობით, თბილისი, 2002, 35-40. დისერტაციის თეზისების დედანი (ხელნაწერი) დაცულია პროფ. იროდიონ სურგულაძის პირად არქივში. საოჯახო არქივში მიკვლეული ხელნაწერი დასათაურებული არ არის, შესაბამისად, თეზისების სათაური ეკუთვნის სამეცნიერო რედაქტორს. წინამდებარე პუბლიკაცია მცირედით განსხვავდება 2002 წელს გამოქვეყნებული ვარიანტისაგან, ამასთანავე, გამოცემაში შენარჩუნებულია ავტორისეული სტილი. შესრულებულია 1927 წელს [თ.ნ.].

† ცნობილი ქართველი იურისტი, უმაღლესი იურიდიული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის თეორიის, სამართლის ფილოსოფიის, სამართლის სოციოლოგიის, სახელმწიფო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის და სამართლის ისტორიის ერთ-ერთი მესაძირკვლევ საქართველოში, სახელმწიფო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კათედრების გამგე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კათედრის გამგე, სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შრომის სასამართლოს თავმჯდომარე (1923-1925 წწ.), საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი (1925-1927 წწ.), საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1930-1932 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი [თ.ნ.].

ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ თავისებურებაში, რომლითაც სახელმწიფო[ს] სამართლის საგანიხასიათდება (S. 1).

2. სხვადასხვა შეხედულებანი, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით სახელმწიფოს ბუნების შესახებ ორ მთავარ ტიპათ შორის შეგვიძლია დავყოთ:

ა) ნატურალისტური შეხედულება, რომელიც სახელმწიფოს სთვლის ნატურალურ მოვლენათ და რომელიც ამიტომ ვერა სწვდება სახელმწიფოს ნამდვილი ბუნების გაგებას, ვინაიდან სახელმწიფოს ცნება არსებითად იურიდიულ ცნებას წარმოადგენს (S. 3-6); ამ მიმართულებისათვის შეუგნებელი რჩება ის თავისებურება, რომელიც სახელმწიფოს როგორც იურიდიულ წყობილებას (Rechtsordnung) ახასიათებს (S. 6-7).

ბ) იურიდიული მიმართულება, რომელიც სახელმწიფო სამართლის თავისებურებას ასახულებს იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს sein და sollen-ის, ნორმის და კანონის შორის (Naturwissenschaften) (S. 7). ამასთან ერთად, ეს შეხედულება განსხვავებას კაუზალურ და ნორმატიულ მეცნიერებათა შორის ხედავს არა უკანასკნელთა საგნობრივი შინაარსის თავისებურებაში, არამედ ამ განსხვავებას იგი ხსნის თვალთახედვის თავისებურებით (Betrachtungsweise). ამდენად, ამოუღებელია ეს მიმდინარეობა თავის გამოსავალ პუნქტში, ვინაიდან Betrachtungsweise თავის მხრით, производной და დამოკიდებული მოვლენაა, სახელდობრ, განსაზღვრულია მეცნიერების შინაარსობრივი თავისებურებით (S. 8-13).

3. მთავარი და სადა[ვ]ო საკითხი იმ დამოკიდებულების (отношение) შესახებ, რომელიც არსებობს სოციალურ მოვლენებ[ს] შორის, რომლებსაც სახელმწიფოში ვხვდებით და სახელმწიფოს, როგორც იურიდიული მთლიანობის, შორის, შეიძლება გადაჭრილ იქნეს ორივე წყების მოვლენების - სოციალურ[ი] და იურიდიულ[ი] წყების - დეტალურ[ი] ანალიზის საფუძველზე. თუ Simmel-თან ერთად მივიღებთ, რომ საზოგადოების არსს über und unterordnung გამოხატავს, ჩვენ შეგვიძლია იმ დაპირისპირების აღსანიშნავად, რომელიც სახელმწიფოს უფლებრივ და სოციალურ მხარეებ[ს] შორის არსებობს ხელისუფლების და სამართლის ცნებადგენით. უკანასკნელთა ურთიერთდამოკიდებულების სწორი გაგებისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა ანალიზი იმ ძირითადი ელემენტების, რომლებსაგან (sich aufbaut) შედგება უფლებრივი წყობილება (Rechtsordnung); მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირველი

ამოცანა შესრულებულია, შესაძლებელი იქნება უფლებრივი წყობილების გარკვეულ, განსაზღვრულ სოციალურ Milieu-ში მოცემულობის დახასიათება (S. 14-15).

## I-te Abschnitt

1. ის, რომ აღნიშნულ[ი] წყების მოვლენებ[ს] შორის განსხვავება არსებობს სჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ სოციალური დამოკიდებულება ინდივიდებ[ს] შორის ყოველთვის არ ატარებს უფლებრივი მიმართების სახეს. მაგრამ ასეთი განსახვავება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თვითეულ, ზევით დასახელებულ წყების მოვლენათა შესწავლისათვის ცალკე მეცნიერების არსებობა იქნეს აღიარებული. ამისათვის საკმარისია არა მხოლოდ სხვადასხვაობა შესასწავლ მოვლენებ[ს] შორის, სხვადასხვაობა, რომელსაც ჩვენ უდა[ვ]ოთ თვითეულ[ი] მეცნიერების ფარგლებში ვხვდებით, არამედ ამისათვის საჭიროა, როგორც ამას ჰუსერლი აღნიშნავს, ძირითადი კანონზომიერებაა (Grundgesetzlichkeit), რომელიც გარკვეულ[ი] რიგის მოვლენებისათვის არის დამახასიათებელი და რომელიც არ შეიძლება დაყვანილ იქნეს სხვა რომელიმე მეცნიერების ძირითად კანონზომიერებაზე (S. 19).

2. ამის მიხედვით საჭიროა იმ ძირითადი კანონზომიერების გაშუქება, რომელსაც ჩვენ ვხვდებით, ერთის მხრით, სოციალურ, მეორე მხრით კი, იურიდიულ მოვლენებ[ს] შორის.

3. როგორც სახელმწიფოს არსებობის სოციალური მხარე, ისე სახელმწიფო, როგორც იურიდიული მთლიანობა მარტივ[ი] და ძირითად[ი] ელემენტებისაგან შესდგება და იმ დამოკიდებულებების დასახასიათებლად, რომელიც ამ ორი წყების მოვლენებ[ს] შორის არსებობს, საჭიროა ამ ძირითად[ი] ელემენტების ანალიზი, იმ კანონზომიერების გაშუქება, რომელიც აღნიშნულ ძირითად[ი] ელემენტების ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავს.

4. სოციალური წყების მოვლენების აღნიშნულ[ი] თვალსაზრისით დახასიათების დროს ძირითად სოციალურ მოვლენად გვევლინება დამოკიდებულება ორ ინდივიდ[ს] შორის. ძირითადი კანონზომიერება, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით, კაუზალობის ცნებაშიდ გამოიხატება (S. 20-21).

5. იურიდიული წყების მოვლენათა ანალიზის დროს, - სხვათა შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ სოციალურ მოვლენებთან შედარებისათვის უკეთესი პირობა იქნეს შექმნილი - ელემენტარულ ფენომენად იურიდიული მიმართება უნდა იქნეს აღებული (და არა ნორმა, ვინაიდან ნორმა კორელატიურია კანონის ცნებასთან) (S. 22).

6. სხვადასხვა შეხედულებანი, რომელნიც ლიტერატურაშიდ არიან გამომუშავებული იურიდიული მიმართების და მისი სოციალურ მიმართებასთან დამოკიდებულების საკითხის ირგვლივ იმ უარყოფითი თვისებით ხასიათდებიან, რომ მათთვის შეუმჩნეველი რჩება განსხვავება სოციალურ და იურიდიულ მიმართებას შორის; ზოგ შემთხვევებშიდ კი ამ ორი სახის მოვლენის გაიგივებას აქვს ადგილი. ასეთია Savigny-ს შეხედულება, რომელშიდაც უფლებრივი მიმართების იურიდიული ფორმა და შინაარსი მთლიანი რეალური პროცესის აბსტრაქციის საშუალებით გამოყოფილ მომენტებს აღნიშნავენ (S. 23).

თუ სავინის შეხედულებაშიდ ეს აზრი ისე მკაფიოთ გამოთქმული არ არის, სამაგიეროთ ბირლინგის ნაშრომებშიდ იურიდიული მიმართება თავის ძირითად ელემენტებშიდ უკვე გარკვევით გაიგივებულია პსიქურ მოვლენებთან (S. 26-34). კიდევ უფრო შორს მიდის ამ მხრით Zitelmann, რომელიც სამართლის ძირითად[ი] კატეგორიების ფსიქოლოგიურ გაგებასთან დაკავშირებით სავსებით (folgerichtig) შესაძლებლად სთვლის კაუზალობის პრინციპის შეფარდებას სამართლის მეცნიერებაშიდ (S. 34-42).

ზევით მოყვანილ შეხედულებათა განხილვის შედეგშიდ ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ იურიდიული მიმართების სოციალურ მიმართებასთან გაიგივებას ან შინაგან წინააღმდეგობამდე მიჰყავს აზროვნება, ან კიდევ და სამართლის მეთოდოლოგიის ყალბ კონსტრუქციამდე. ამავე შედეგს იძლევა, აგრეთვე, იმ ძირითად[ი] შემადგენელ[ი] ელემენტების ანალიზი, რომლებსაც იურიდიულ მიმართებაშიდ ვხვდებით (S. 43).

7. ასეთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, იურიდიული მიმართების სუბიექტი. სამართლის სუბიექტის ბუნების გაშუქების საკითხშიდ ორი ძირითადი შეხედულება არის გამომუშავებული, რომლებიც სამართლის სუბიექტის და ფიზიკურ[ი] ინდივიდის ცნების გაიგივებიდან გამოდიან: ორგანიული სკოლა და ფიქციის თეორია.

ასეთი გაიგივება ყალბია და ამიტომ აღნიშნული თეორიებიც მეცნიერულად მიუღებელი არიან.

8. ორგანიული სკოლა, რომელიც იურიდიულ პირს რეალურად არსებულ ორგანიზმად სთვლის, უარსაყოფია, ვინაიდან იგი აღნიშნულ[ი] დებულებას (იურიდიული პირის რეალობის შესახებ) ვერ ასახულებს (S. 46-49). ფიქციის თეორია კი მიუღებელია, ვინაიდან ფიქცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართლის პრობლემების გადაჭრის თეორიულ საშვალებათ (S. 49-57).

9. მეორე ძირითად ელემენტს იურიდიულ მიმართებაში უფლება და მოვალეობა წარმოადგენს. აღნიშნული ელემენტების განხილვის დროსაც არსებულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებანი იურიდიულ და ფსიქოლოგიურ წყების მოვლენათა გაიგივების საფუძველზე სცდილობენ საბიექტიურ[ი] უფლების და მოვალეობის პრობლემის გადაჭრას, ე.ი. არსებითად იმავე უსწორო დებულებიდან გამომდინარე (სამართლის) კატეგორია=რეალური მოვლენა), რომელიც იურიდიული მიმართების ბუნების და სამართლის სუბიექტის პრობლემის დაწყებისას არის შესამჩნევი და რომელზედაც ზევით იყო მითითებული.

10. ნათქვამის ილუსტრაციისათვის საკმარისია შეჩერება როგორც ნებისყოფის, ისე ინტერესის თეორიაზე სუბიექტიური უფლების საკითხის დარგში. ორივე თეორია უარსაყოფია, ვინაიდან სუბიექტიურ[ი] უფლება-მოვალეობის განსაზღვრულ ფსიქიურ მოვლენებთან გაიგივების შედეგში აღნიშნული თეორიებისათვის შეუძლებელი ხდება სამართლის დარგიდან მთელი რიგი მოვლენების ახსნა (S. 57-72).

## II Abschnitt

1. როგორც აღნიშნული იყო, სამართლის ძირითად ელემენტად იურიდიული მიმართება უნდა იქნეს ცნობილი და ამ უკანასკნელის დეტალური ანალიზი სამართლის დარგშიდ გამეფებულ ძირითად[ი] კანონზომიერების გაგებისათვის აუცილებელი პირობაა. სხვადასხვა ზევით განხილული თეორიები ვერ იძლევიან ამ ძირითად[ი] იურიდიულ[ი] ფენომენის სწორ ანალიზს და ამის მთავარი მიზეზი ფსიქოლოგიურ-ნატურალისტური მეთოდოლოგიის შეფარდება სამართლის პრობლემების დამუშავების დროს.

2. იურიდიული მიმართების სწორი გაგებისათვის საჭიროა იმ დებულებიდან გამოსვლა, რომ სუბიექტიური უფლება და მოვალეობა კორელატიური ცნებებია; ამასთან ერთად ეს კორელატივობა ატარებს არა ანალიტიკურ არამედ სინთეტიურ ხასიათს, ე.ი. იგი ეყრდნობა კორელატიურად შეკავშირებულ[ი] ელემენტების შინაარსის თავისებურობას.

ორი მთავარი თვისება უნდა იქნეს აქ აღნიშნული, რომელიც ამ კორელატიურ მიმართებას ახასიათებს: მიმართების ობიექტიური ხასიათი და დამოკიდებული ხასიათი (Unselbständigkeit) იმ ელემენტებისა, რომელნიც მიმართებაში არიან. უკანასკნელი დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ელემენტების არსებობა აქ აუცილებლად გულისხმობს იმ მთელის (Das Ganze) არსებობას, რომლის ფარგლებშიც ელემენტები არიან მოცემულ და რომლის ძირითადი კანონზომიერების (Gesetzmässigkeit) გათვალისწინება აუცილებელი პირობაა ელემენტების ბუნების სწორი გაგებისათვის (S. 72-77).

3. არსებულ ლიტერატურაში იურიდიული მიმართების ელემენტების - სუბიექტიური უფლება-მოვალეობის - დამოკიდებული ხასიათი თუმცა შეგნებულია, მაგრამ მიმართება ამ ელემენტებ[ს] შორის არ არის გაგებული როგორც ობიექტიურად აუცილებელი. ვინაიდან, მეორე მხრით, ამ ორი ელემენტს შორის კავშირი იურიდიული სიანმდვილის უტყუარი ფაქტია, გაბატონებული შეხედულება სცდილობს ამ კავშირის სხვა გზით აღდგენას. სახელდობრ, ამ მიზნით გამოუმუშავებულია შეხედულება, რომლის თანახმად, როგორც სუბიექტიური უფლება ისე მოვალეობა აუცილებლად გულისხმობს „მატარებელს“ („Träger“), რომლების ურთიერთდამოკიდებულების პროცესშიც პირველ[ად] იქმნება კონტაქტი აღნიშნულ ელემენტებ[ს] შორის. ასეთი შეხედულება ლოლიკურად აუცილებელი დასკვნაა სუბიექტიური უფლება-მოვალეობის ფსიქოლოგიურ პროცესებთან გაიგივებისა; იგი უარსაყოფია, ვინაიდან აქ ნაჩვენებია გზით შეუძლებელია დასახელებულ[ი] ელემენტების კორელატივობის გაგება (S. 77-79).

4. აღნიშნულიდან გასაგებია, რომ იურიდიული მიმართება ვერ იქნება დახასიათებული როგორც ინდივიდებ[ს] შორის დამყარებული და უფლებრივად მონესრიგებული სოციალური მიმართება (Lebensverhältnis); თავის წმინდა ფორმაში, ე.ი. სამართლის სხვა ძირითად[ი] კატე-

გორიებისაგან და იურიდიულად რელევანტ[ური] ფაქტებისაგან დამოუკიდებლად აღებული, იგი აღნიშნავს მხოლოდ უფლების და მოვალეობის მიმართებას, ამ ელემენტების ობიექტიურად აუცილებელ, აპრიორულ კორელაიურ მთლიანობას. კონკრეტულ[ი] იურიდიული კავშირის დამყარება ინდივიდებ[ს] შორის პირველ[ად] კი არ ჰქმნის ამ სახით გაგებულ იურიდიულ მიმართებას, არამედ გულისხმობს მის აღრევე არსებობას (S. 79-80).

5. იურიდიული მიმართების და მისი ელემენტების მეტის დაახლოებით დახასიათებისათვის საჭიროა იმ დამოკიდებულების გაშუქება, რომელიც, ერთის მხრით, უფლებრივი წყობილების (Rechtsordnung), მეორე მხრით კი, იურიდიული მიმართების და მის ელემენტებ[ს] შორის არის მოცემული. ლიტერატურაშიდ ასეთი დამოკიდებულება არსებულად ცნობილია სუბიექტიურ[ი] უფლების და უფლებრივი წყობილებას შორის; ასეთი შეხედულება ლოლიკურად აუცილებელია სუბიექტიური უფლების ფსიქიურ მოვლენასთან გაიგივების შედეგშიდ და სწორედ ამიტომ იგი შემცდარი არის. სინამდვილეშიდ უშუალო დამოკიდებულება არსებობს არა უფლებრივი წყობილების და სუბიექტიურ უფლებას შორის, არამედ უფლებრივი წყობილების და იურიდიულ მიმართებათა შორის (S. 80-84).

6. უფლებრივი წყობილების ანალიზის დროსა, ისე, როგორც იურიდიული მიმართების და მისი ელემენტების ანალიზის დროს, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ იგი არსებულის (Seinsgebiet) ონტოლოგიურად შემოფარგლულ სფეროს აღნიშნავს, რომელიც საკუთარი კანონზომიერებით (Gesetzmässigkeit) ხასიათდება. იგი რთულ იურიდიულ კომპლექსს წარმოადგენს, რომლის შემადგენელ ელემენტებს იურიდიული მიმართებანი აღნიშნავენ. სწორედ ამიტომ, როგორც ზევით იყო მითითებული, უშუალო დამოკიდებულება არსებობს არა უფლებრივი წყობილების და იურიდიულ[ი] მიმართების ელემენტებ[ს] - სუბიექტიურ უფლება-მოვალეობის - შორის, არამედ უფლებრივი წყობილების და თვით იურიდიული მიმართებას შორის (S. 84-90).

7. უფლებრივი წყობილება, გაგებული როგორც იურიდიულ მიმართებათა (რომელნიც თავის მხრით გაგებული უნდა იყვნენ, როგორც უფლება-მოვალეობის კორელატიური დამოკიდებულება) მთლიანობა,



წარმოადგენს იურიდიულ[ი] მონესრიგების (rechtliche Regelung) აბსტრაქტ[ულ] სისტემას; ასეთ ფორმაშიდ მოცემული, იგი არ იმყოფება ისეთ მდგომარეობაშიდ, რომელიც იურიდიულად შესაძლებელ[ი] განხორციელების სტადიის ცნებით შეგვიძლია აღვნიშნოთ. ამ უკანასკნელ ცნებაშიდ, წმინდა იურიდიულ[ი] ელემენტების გარდა, იგულისხმება განსაზღვრული ფაქტიური ხასიათის ელემენტების მოცემულობა, რომელნიც (ელემენტები), თუმც თავისდათავად იურიდიულ ხასიათს მოკლებული არიან, მაგრამ იურიდიულ მნიშვნელობას იღებენ განმსაზღვრელ[ი] უფლებრივი ნორმებისაგან (bestimmende Rechtssätze). აღნიშნული ფაქტიური ხასიათის ელემენტებზედ შეჩერება მით უფრო საჭიროა, რომ, ერთის მხრით, ამ გზით ჩვენ შევსძლებთ იმის გაშუქებას, თუ რითი ხასიათდება უფლებრივი წყობილება იურიდიულად შესაძლებელ[ი] განხორციელების საფეხურზედ და რითი ხასიათდება იურიდიული მიმართება, კონკრეტ[ულ] ფორმაშიდ მოცემული, ხოლო მეორე მხრით კი, ამავე გზით შესაძლებელი გახდება იმ ელემენტების განხილვა, რომლებიც ტრადიციულ[ი] შეხედულების თანახმად შედიან იურიდიულ მიმართებაშიდ და რომლებზედაც ჩვენ არ შევჩერებულვართ (S. 91-92).

8. აღნიშნულ[ი] ფაქტიურ[ი] ელემენტების განცალკევებით განხილვამდე საჭიროა იმ ძირითადი სახეების აღნიშვნა, რომლებშიდაც საერთოდ გვხვდება უფლებრივ[ი] კატეგორიების ფაქტიურ[ი] ხასიათის მოვლენებთან დამოკიდებულება. ასეთი არის სამი ძირითადი სახე: ა) დამოკიდებულება, რომელიც არსებობს საზოგადოების სოციალ[ურ]-ეკონომი[კ]ური სტრუქტურის და უფლებრივი წყობილებას შორის; ბ) დამოკიდებულება იურიდიული მიმართების წმინდა იურიდიულ ელემენტებსა და იურიდიული მიმართების საგანს შორის; გ) დამოკიდებულება, რომელიც იურიდიული რელევანტობის ცნებით აღინიშნება.

9. აღნიშნული დამოკიდებულებებისაგან პირველი ეხება ინდივიდუალური იურიდიული წყობილების დამყარების მომენტს, ორი უკანასკნელი კი აღნიშნავენ იურიდიული მიმართების (რომელთა მთლიანობა უფლებსივ წყობილებას წარმოადგენს - და ამიტომ ამ უკანასკნელისაც (S. 92-111).

10. უფრო დეტალურად საჭიროა იურიდიული რელევანტობის ცნების გაშუქება, ვინაიდან მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხი სამართლის სუბიექტის შესახებ.

უნდა განსხვავებულ იქნეს ერთი მეორისაგან ორი სახე იურიდიული რელევანტობისა: ძირითადი და დამოკიდებული. თავის მხრით, იურიდიული რელევანტობის ძირითად და დამოკიდებულ სახეებად დაყოფა გამოწვეულია იმით, რომ უფლებრივი წყობილების ძირითადი ელემენტები - იურიდიული მიმართებანი - იურიდიულ სინამდვილეში განცალკევებით კომპლექს ფორმებში. ამასთან ერთად, უფლებრივი წყობილების ანალიზი იმ დასკვნასაც იძლევა, რომ ეს გაერთიანებანი თანაბარი მნიშვნელობით არ ხასიათდებიან; სახელდობრ, აქ მოცემულია, ერთის მხრით, ისეთი გაერთიანებანი, რომელთაც ფუძეობითი (fundierende) მნიშვნელობა უნდა მიეცეს სხვა იურიდიულ[ი] მიმართებების მიმართ.

ამგვარად, თვით იურიდიულ მიმართებათა ფარგლებშიდაც ჩვენ ვხვდებით ძირითად იურიდიულ კომპლექსს - რომელიც Status-ის ცნებით შეიძლება აღნიშნულ იქნეს - და დამოკიდებულ იურიდიულ მიმართებებს. ამ სხვადასხვაობაზედ ეყრდნობა ზევით მოყვანილი განსხვავება ძირითად[ი] და დამოკიდებულ[ი] იურიდიულ[ი] რელევანტობას შორის.

სამართლის სუბიექტის ცნება აღნიშნავს ძირითად იურიდიულ რელევანტობას, რომელიც გარკვეული, ფაქტიური ხასიათის მოვლენებს მიეცემათ ობიექტიური სამართლის მხრით. ამით უარყოფილია ტეზა - სამართლის სუბიექტის და ფიზიკური ინდივიდის გაიგივების შესახებ.

\*\*\*

უფლება და მოვალეობის გვერდით იურიდიული მიმართების საგნის და სამართლის სუბიექტის ცნების ანალიზით მთავრდება იურიდიული მიმართების ელემენტების, და აქედგან, თვით იურიდიული მიმართების ბუნების გაშუქება.

# საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების პრობლემა\*

## † პროფესორი იროდიონ სურგულაძე

### I

საჯარო სამართლის დარგში ხელშეკრულების არსებობის შესაძლებლობა თანამედროვე ლიტერატურაში სადა[ვ]ოდ არის გამხდარი, მაგრამ არა იმ მხრით, რომ რომელიმე ავტორის შეხედულება ამ სა-

---

\* სტატიის I ნაწილი პირველად 1928 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში - „საბჭოთა სამართალი“ (იხ. სურგულაძე ირ., საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების პრობლემა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1928.), ხოლო II ნაწილი დაკარგულად, შესაბამისად, გამოუქვეყნებლად მიიჩნეოდა, ამიტომაც პუბლიკაციას დაუსრულებლად თვლიდნენ (მაგალითად, იხ. სურგულაძე ივ., პროფ. იროდიონ სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №3, 1963, 54). წინამდებარე სტატიის II ნაწილის გამოუქვეყნებელი ხელნაწერი შემთხვევით აღმოვაჩინეთ პროფ. იროდიონ სურგულაძის პირად არქივში და სრულყოფილი სახით ქვეყნდება პირველად [თ.ნ.].

† ცნობილი ქართველი იურისტი, უმაღლესი იურიდიული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის თეორიის, სამართლის ფილოსოფიის, სამართლის სოციოლოგიის, სახელმწიფო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის და სამართლის ისტორიის ერთ-ერთი მესაძირკველ საქართველოში, სახელმწიფო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კათედრების გამგე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის კათედრის გამგე, სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1944 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შრომის სასამართლოს თავმჯდომარე (1923-1925 წწ.), საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი (1925-1927 წწ.), საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1930-1933 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი [თ.ნ.].

კითხში საჯარო სამართლიდან ხელშეკრულების ცნების სრული განდევნის ცდას წარმოადგენდეს; ასეთი ცდა უიმედო იქნებოდა იმ უბრალო მოსაზრებით, რომ საჯარო სამართლის დარგში მოცემულია შემთხვევების მთელი რიგი, როდესაც ხელშეკრულების არსებობა უდავო არის. მაგალითისათვის, შესაძლებელია მითითება საერთაშორისო სამართალზე, რომელიც საკმაოდ მდიდარია ხელშეკრულებითი აქტებით; მეორეს მხრით, კი შინასახელმწიფოებრივ იურიდიულ ერთიერთობათა დარგში ხელშეკრულებები, რომელნიც თვითმ[მ]ართველობით ერთეულებს ან საჯაროუფლებრივ კორპორაციებს შორის დაიდებიან, ბევრ შემთხვევაში საჯაროუფლებრივ ხასიათს ატარებენ.

დასასრულ, თუმცა უფრო იშვიათად საჯაროუფლებრივ ხელშეკრულებებს ჩვენ მაინც ვხვდებით კერძო პირთა შორის (მაგალითები იხ. Kormann, System der rechtsgesch[äftlichen] Staatsa[k]te, ბ. 30.), ამიტომ ვიმეორებთ, რომ ხელშეკრულების ცნების სრული განდევნის ცდა საჯარო სამართლის დარგიდან უიმედოა და, ამ მხრით, დავაც შეუძლებელია.

დავა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო ვინაოდ შემოფარგლულ მოვლენათა წრეს ეხება, სახელდობრ, იმ შემთხვევებს, როდესაც იურიდიულ[ი] მიმართების სუბიექტებად გამოდიან, ერთის მხრით, სახელმწიფო, როგორც საჯარო ხელისუფლების მატარებელი, მეორეს მხრით, კი კერძო მოქალაქე. აი, სწორედ აქ, ამგვარად შემოფარგლულ იურიდიულ მიმართებათა დარგში შესაძლებელი არის თუ არა საჯაროუფლებრივი ხელშეკრულება? სხვაგვარად, რომ ვსთქვათ, შესაძლებელი არის თუ არა, რომ სახელმწიფო, როგორც imperium-ის მატარებელი, თავის დამოკიდებულებას კერძო მოქალაქესთან ანგსრიგებდეს არა მხოლოდ ცალმხრივ განკარგულებათა სისტემით, არამედ ამის გვერდით, ხელშეკრულებითაც? თავისთავად ცხადია, რომ ასეთი საკითხის თვით დაყენებაც კი შესაძლებელი გახდა მას შემდგომ, რაც ე.წ. უფლებრივი სახელმწიფოს ძირითადმა პრინციპებმა მარტოოდენ პირველი ჩამოყალიბება კი არა, არამედ ერთგვარი ევოლიუცია განიცადეს, ე.ი. მხოლოდ უკანასკნელ დროს.

ის აზრი, რომ საჯაროუფლებრივი ხელშეკრულება შესაძლებელი არის სახელმწიფოსა და კერძო მოქალაქეს შორის, ყველაზე უფრო ვრცლად და დასაბუთებულ[ი] ფორმით განვითარებული არის ოტტო

მაიერისაგან. საჯარო სამართლის დარგი, ამ ავტორის განმარტებით, არსებითად იმით ხასიათდება, რომ იურიდიული მიმართების სუბიექტები თანასწორ მდგომარეობაში არ იმყოფებიან. სახელდობრ, სახელმწიფო აღნიშნულ[ი] მიმართების გაბატონებულ მხარეს წარმოადგენს, რომლის ნებისყოფა იმდენად ძლიერი არის კერძო პიროვნების ნებისყოფასთან შედარებით, რომ უკანასკნელს იგი ცალმხრივად ზღუდავს. მას გარკვეულ ვალდებულებებს ცალმხრივად აკისრებს და რადგანაც ხელშეკრულების ცნება აუცილებლად გულისხმობს კონტრაჰენტების უფლებრივ თანასწორობას და მათი ნებისყოფის თანასწორს იურიდიულ ღირებულებას აუცილებელი არის დასკვნა, რომ საჯარო სამართლის დარგში სახელმწიფოსა და კერძო მოქალაქის დამოკიდებულება ხელშეკრულების ფორმაში ვერ ჩამოყალიბდება. ის, რასაც საჯარო სამართლის დარგში ხშირად უთითებენ, როგორც ხელშეკრულების შესაძლებლობის ილუსტრაციას, როგორც, მაგალითად, სახელმწიფოებრივ სამსახურში დანიშვნა ან/და ნატურალიზაცია - ნამდვილად არ წარმოადგენს ხელშეკრულებას, არამედ ცალმხრივ ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც მხოლოდ იმ თავისებურობით ხასიათდება, რომ აქ აქტის კანონიერების ერთ-ერთ პირობას დაინტერესებული პირის მხრით ნებისყოფის გამოაშკარავება ჰქმნის. ასეთი არის მოკლედ ოტტო მაიერის შეხედულება ამ საკითხში.

ამ შეხედულებების სხვა მიმდევრები (გერბერ[ი], გ. მეიერ ცორნ[ი], ჰენელ[ი], კომანნი[ი], ულბრის[ი] და სხვ.) არსებითად არაფერს ჰმატებენ იმ არგუმენტაციას, რომელსაც ოტტო მაიერი ემყარება.

საწინააღმდეგო შეხედულება, რომელიც საჯაროუფლებრივ ხელშეკრულებას შესაძლებლად სთვლის იმ შემთხვევებშიც, როდესაც იურიდიული მიმართება სახელმწიფოსა და კერძო მოქალაქეს შორის მყარდება, თანამედროვე ლიტერატურაში სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი. იმ იურიდიული ფენომენის ანალიზის დროს, რომელიც ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე დანიშვნის აქტში მდგომარეობს, ლაბანდი ანვითარებს იმ აზრს, რომ აღნიშნული აქტი ხელშეკრულებითი აქტების კატეგორიას მიეკუთვნება და ამასთან დაკავშირებით საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების შესაძლებლობის საკითხს დადებითად სწყვეტს. ზოგიერთი იმ მოსაზრებათაგანი, რომელნიც ლაბანდს აქვს მოყვანილი, ნომინაციის აქტის სპეციფიკურ თავისებურობასთან არიან დაკავშირე-

ბული და ამიტომ ჩვენთვის მათი განხილვა საჭირო არ არის სპეციალურად საჯაროუფლებრივ[ი] ხელშეკრულების შესაძლებლობის და სახელდობრ, იმ არგუმენტაციის შესახებ, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, როგორც ო. მაიერის აზრი. ლაბანდი აღნიშნავს, რომ იგი ემყარება ხელშეკრულების ცნების ისეთ გაგებას, რაც მხოლოდ კერძო სამართლისათვის არის დამახასიათებელი; მაგრამ ხელშეკრულება სრულებით არ წარმოადგენს მხოლოდ კერძო სამართლის კატეგორიას, არამედ საერთოდ, სამართლისას და ამიტომ საჯაროუფლებრივ[ი] ხელშეკრულების შესაძლებლობის საკითხის გადაჭრის დროს ის თავისებური მოდალობა, რომელიც ხელშეკრულებას მხოლოდ კერძო სამართლის დარგში ახასიათებს, გამოსავალ წერტილად აღებული ვერ იქნება.

სხვა ავტორები უფრო სხვა, ხშირად საწინააღმდეგო დასაბუთებას აძლევენ საჯაროუფლებრივ[ი] ხელშეკრულების არსებობის საკითხს. მაგ[ალითად], ფლეინერის აზრით, საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების შესაძლებლობა უფლებრივი სახელმწიფოს თავისებურობით აიხსნება. სახელდობრ, იმით, რომ აქ სახელმწიფოს მმართველობითი მოქმედება კანონის ქვემდებარე სახეს ატარებს და ამიტომ, თვით სახელმწიფოც უფლებრივი მდგომარეობის მხრით, კერძო მოქალაქესთან ერთგვარ წონასწორობაში არის ჩაყენებული; ამიტომ საჯარო ხელშეკრულებითი აქტით მიღებული ვალდებულება ისევე ზღუდავს სახელმწიფოს, როგორც კერძო მოქალაქეს. უკანასკნელთან თავის დამოკიდებულებათა მონესრიგებისას სახელმწიფო ხელშეკრულების ფორმას მიმართავს მხოლოდ მაშინ, როდესაც, ერთის მხრით, არსებობს სათანადო ნორმა, რომელიც მმართველობის ორგანოებს საამისო უფლებას აძლევს, ხოლო, მეორეს მხრით, კი როდესაც მმართველობის დარგში ამა თუ იმ საკითხის მონესრიგება ცალმხრივი განკარგულების საშუალებით დაბრკოლებებს ხვდება და ეს უკანასკნელი ხელშეკრულების გზით აცილებული იქნებიან.

არსებითად იმავე აზრებს, რაც ფლეინერს აქვს გამოთქმული, ჩვენ ვხვდებით ლოენინგის, ე. კაუფმანის, შოენის, ლაიერის და სხვ[ათა] შეხედულებებში. ამ ავტორებს, მეორეს მხრით, ისიც საერთო აქვთ, რომ სახელმწიფოებრივი მმართველობის დარგში ხელშეკრულებას ისინი მეორეხარისხოვან და სუბსიდიარულ მნიშვნელობას აძლევენ.

უკანასკნელ საკითხში სხვა აზრის არის ერთ-ერთი ახალი მკვლევართაგანი - აპელტი. ფლენინერის შეხედულების წინააღმდეგ ეს ავტორი იმ დებულებიდან გამოდის, რომ საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების არსებობისათვის სრულებით არა სთვლის აუცილებლად სათანადო საკანონმდებლო ნორმის წინასწარ მოცემულობას; საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების არსებობა მიზანშეწონილობის პრინციპიდან უნდა იქნეს გამოყვანილი. რასაკვირველია, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელშეკრულების ფორმისადმი მიმართვა მმართველობის ორგანოებს თვით კანონით ვეალებათ; მაგრამ ხელშეკრულების ფორმას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც მმართველობით ორგანოს ამა თუ იმ კონკრეტ[ულ]ი ამოცანის მოწესრიგებისას კანონი რაიმე სახელმძღვანელო მითითებებს არ აძლევს. ასეთ პირობებში საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების გზა, უმრავლეს შემთხვევაში, ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს საკითხის მოწესრიგებისათვის. საჯაროუფლებრივი ხელშეკრულება მმართველობის დარგში უფრო ელასტიურს, მოქნილ უფლებრივ ფორმას აღნიშნავს და ამიტომ მისი მნიშვნელობა აქ არ შეიძლება დახასიათებული იქნეს, როგორც მეორეხარისხოვანი ან სუბსიდიარული.

ზემოთ დასახელებულ[ი] ავტორების შეხედულებიდან სრულებით განცალკევებით სდგას საჯაროუფლებრივი პრობლემის ის გადაჭრა, რომელსაც ჰანს კელზენი იძლევა. უკანასკნელი ამ პრობლემას საჯარო და კერძო სამართლის განსხვავების საკითხს უკავშირებს. ასეთი განსხვავების უარყოფიდან ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შეუძლებლად სთვლის ხელშეკრულების მიკუთვნებას კერძო ან საჯარო სამართლისათვის და მას უცქერის, როგორც ზოგად[ი] სამართლის მოძღვრების ცნებას. საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების უარყოფა, ავტორის აზრით, იმით არის გამოწვეული, რომ ერთი მეორისაგან განსხვავებული არ არის ორი ცნება - ცნება სახელმწიფოსი, როგორც ხელისუფლების მატარებლისა და ცნება სახელმწიფოსი, როგორც სამართლის სუბიექტისა. როდესაც ჩვენ სახელმწიფოს ვღებულობთ, როგორც სამართლის სუბიექტს - იურიდიული მიმართება კი, კერძო მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის შესაძლებელი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც უკანასკნელი გამოდის, როგორც უფლების სუბიექტი -

მისი და კერძო მოქალაქის ურთიერთდამოკიდებულებათა დახასიათება შეუძლებელია ბატონობა-დაქვემდებარების (Über- und Unterordnungsverhältnis) ცნებით. ამიტომ მთავარი არგუმენტი საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების შესაძლებლობის წინააღმდეგ უარყოფილ უნდა იქნეს და ეს იურიდიული ფორმა საჯარო სამართლის დარგში უნდა ცნობილ იქნეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული ეფექტი სამართლის ნორმით უკავშირდება არა სახელმწიფოს ცალმხრივ[ი] ნებისყოფის გამოაშკარავებას, არამედ სახელმწიფოსა და კერძო პიროვნების შეთანხმებულ[ი] ნებისყოფის გამოაშკარავებას, ე.ი. ხელშეკრულებას.

ასეთი არის მოკლედ, ის ძირითადი შეხედულებები, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით თანამედროვე ლიტერატურაში საჯაროუფლებრივი ხელშეკრულების პრობლემის შესახებ.

ის გარემოება, რომ აღნიშნული პრობლემა თანამედროვე საჯარო სამართლის ლიტერატურის ყურადღების ცენტრში დგას და სრულებით სხვადასხვა გადაჭრის ცდებს იწვევს, არსებითად იმით აიხსნება, რომ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის მოძღვრების ზოგიერთ ძირითად ცნებებთან. აღნიშნულ[ი] პრობლემის გადაჭრისას განსაკუთრებით საჭირო არის, ერთის მხრით, ხელშეკრულების ცნების დეტალური ანალიზი, მეორეს მხრით კი - საჯარო და კერძო სამართლის განსხვავების საკითხის ახალი განხილვა თანამედროვე კანონმდებლობაში გამოსახულ[ი] ტენდენციების თვალსაზრისით.

## II

ხელშეკრულების ცნება, ისე როგორც ბევრი სხვა ძირითადი იურიდიული ცნებები, ისტორიულად პირველ[ად] სამოქალაქო სამართლის დარგშიდ არის გამოუმუშავებული. აქედგან ადვილი გასაგებია, რომ საჯარო სამართლის დარგშიდ ამ ცნების ანალიზის დროს გამოსავალ წერტილად უმრავლეს შემთხვევაშიდ აღებული არის ის შინაარსი, რომელიც აღნიშნულ[ი] ცნების წმინდა ცივილისტურ[ი] გაგებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი გზა არ არის სწორი, ვინაიდან სამოქალაქო სამართლის დარგშიდ ხელშეკრულება თავისებურ მოდალობაშიდ არის მოცემული და გარდა იმ თვისებებისა, რომელნიც



ხელშეკრულებას, როგორც ასეთს, ახასიათებენ, აქ იგულისხმება ისეთი თვისებებიც, რომელნიც ხელშეკრულების მხოლოდ ცივილისტურ გაგებას ახასიათებენ<sup>1</sup>. მეორე მხრით, აქ ყურადღება მისაქცევი არის იმ გარემოებაზედაც, რომ საჯარო და, კერძოთ, კი ადმინისტრაციულ[ი] სამართლის დარგშიდ, ძირითადი და კერძო სამართალთან საერთო იურიდიული ფორმები, მოცემული არიან შედარებით უფრო რთულ და უფრო მრავალსახოვან მოვლენებით გამდიდრებულ milieu-შიდ და სწორედ ამიტომ აქ, სხვადასხვა იურიდიული ფორმების ერთი მეორისაგან განსაზღვრისას საჭირო[ო]ა ამ ფორმების შინაარსის უფრო მეტი დეტალიზაცია, ვინემ ამას კერძო სამართალშიდ ცნებათა დამუშავების ინტერესები მოითხოვენ. კერძოთ, ეს უნდა ითქვას ხელშეკრულების

---

<sup>1</sup> არსებულ იურიდიულ ლიტერატურაშიდ ფართოდ არის გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად გარიგების ცნება მხოლოდ კერძო სამართლის ცნება არის და საჯარო სამართლის დარგშიდ მით სარგებლობა არ შეიძლება; ამ შეხედულების ლოლიკურად აუცილებელი შედეგია საერთოდ, საჯარო-ოფლებრივი ხელშეკრულების უარყოფაც, ვინაიდან ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ზევით უკვე მითითებული იყო, რომ საჯარო სამართლის სხვადასხვა დარგებშიდ ხელშეკრულებითი აქტების მოცემულობა დავის გარეშე სდგას და მართო ამ გარემოებაზედ მითითებით აქ აღნიშნულ[ი] შეხედულების უსაფუძვლობა საკმაოდ თვალსაჩინოა. მაგრამ, თუ დაუკვირდებით არგუმენტაციას, რომელსაც აღნიშნულ[ი] შეხედულების მიმდევრები იძლევიან, ადვილად დავრწმუნდებით ასეთი შეფასების სისწორეშიდ. მაჯ[ალითად], A. Manigk-ი (Das Anwendungsgebiet der Vorschriften f[ür] die Rechtsgeschäfte, S. 19.) გარიგების ცნებით სარგებლობის შეუძლებლობას საჯარო სამართალშიდ იმით ასაბუთებს, რომ ის ნორმები, რომელნიც კერძო სამართლის მიერ გამოშუშავებული არიან გარიგებისათვის, როგორც ასეთისათვის, საჯარო სამართალშიდ შეფარდებული ვერ იქნებიან, ნორმებ[ის] გარეშე კი, გარიგება არ შეიძლება მოცემული იქნეს. მთელ ამ მსჯელობაშიდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოთქმას „გარიგებისათვის, როგორც ასეთისათვის“, - მაგრამ სწორედ ამ ნაწილშიდ Manigk-ის აზრი არათერთ არ არის დასაბუთებული. სხვა ავტორების (Michel, Bülow, Gierke, Bernatzik და სხვა) შეხედულებების გარჩევა, რომელნიც საჯარო სამართლის დარგშიდ უარყოფენ გარიგებას, ძლიერ შორს წავიყვანდა, თუმცა ასეთი განხილვის შედეგშიდ ადვილად დავრწმუნდებოლით, რომ არგუმენტაცია აქაც ისეთივე „სადა“ არის, როგორც Manigk-თან.

ცნების შესახებაც; საჯარო სამართლის დარგში ამ ცნების ანალიზი მოითხოვს ისეთი თვისებების აღნიშვნას, რომელნიც ცივილისტს, მის მეცნიერებაში ხელშეკრულების ცნების განმარტების თვალსაზრისით შეიძლება მოეჩვენოს როგორც unfruchtbare Spitzfindigkeit.

ამ მოსაზრებითაც საჯარო სამართლის დარგში ხელშეკრულების ანალიზის დროს მხოლოდ იმ შინაარსის მხედველობაში მიღება, რომლითაც ეს ცნება ხასიათდება კერძო სამართალში, შეცდომა იქნებოდა.

ცივილისტურ ლიტერატურაში გავრცელებული არის ხელშეკრულების განსაზღვრა, რომელიც უკანასკნელში ხედავს ორი ან რამდენიმე მხარის ორმხრივ[ი] ნებისყოფის გამოაშკარავებას, რომელიც გარკვეულ ოურიდიულ ეფექტს იწვევს ან უშუალოდ ხელშეკრულების დამდებ[ი] ან მესამე პირისათვის. ამასთან ერთად, ხელშეკრულების ძირითად თვისებათ მიჩნეულია გამოაშკარავებულ[ი] ნებისყოფათა თანხმობა, მათი კონსენს[უს]ი. ასეთი განმარტება თავისდათავად უსწორო არ არის, მაგრამ ამასთან ერთად არც საკმარისია ხელშეკრულების ცნების დამთავრებულ[ი] განსაზღვრისათვის. ორმხრივი ნების გამოაშკარავება და ნებისყოფათა თანხმობა, რომელნიც გავრცელებული შეხედულების თანახმად, ხელშეკრულების არსებით დახასიათებას ჰქმნიან, ჩვენ გვხვდება ბევრ სხვა ოურიდიულ ფორმებშიდაც და ამიტომ ამ თვისებების მიხედვით ხელშეკრულების სრული შემოფარგვლა შეუძლებელია. მაგ[ალითად], Dantscher-ი<sup>1</sup> არ არის საფუძველს მოკლებული, როდესაც აღნიშნავს, რომ მართო ზევით აღნიშნულ თვისებებს, თუ მივიღებთ მხედველობაში, ადმინისტრაც[ი]ული ორგანოს განკარგულებაა, რომელიც ამა თუ იმ პირის განცხადების მიხედვით იქნება შესრულებული, უნდა დახასიათებულ იქნეს როგორც ხელშეკრულება, ვინაიდან აქ მოცემული არის როგორც ორმხრივი ნებისყოფის გამოჩვენება, ისე ნებისყოფათა კონსენს[უს]ი; ის გარემოება, რომ აქ ნებისყოფის გამოაშკარავების აქტები უშუალოდ არ მისდევნენ ერთი მეორეს, არა ჰქმნის არსებით განსხვავებას, ვინაიდან ასეთსავე მდგომარეობას ხშირად ადგილი აქვს ხელშეკრულების დადების შემთხვევებშიდაც. მაგრამ აშკარა არის, რომ აღნიშნული სახის ადმინისტრაც[ი]ულ განკარგუ-

---

<sup>1</sup> Die politischen Rechte der Untert[h]anen, III, S. 86.

ლებ[ა]ს[ა] და ხელშეკრულებ[ა]ს შორის არსებითი განსხვავება არსებობს, რომელიც ზევით დასახელებულ[ი] და ტრადიციულ[ი] შეხედულების თანახმად, ხელშეკრულებისათვის დამახასიათებლად ცნობილ[ი] თვისებების საშვალეებით გამოხატული ვერ იქნება. ამკარა არის, რომ საჭიროა დამატებითი მომენტების აღნიშვნა ხელშეკრულების ცნების შინაარსში იმისათვის, რომ მსგავს[ი] მოვლენებისაგან ხელშეკრულების მკაფიოდ გამოყოფის შესაძლებლობა არსებობდეს.

იმ თავისებურ[ი] იურიდიულ[ი] ფორმის ხელშეკრულების ცნებიდან განსაზღვრის მიზნით, რომელსაც პირველ[ად] ბინდინგმა მიუთითა<sup>1</sup> და Vereinbarung-ის ცნებით აღნიშნა, ეს ავტორი სპეციალურად ჩერდება ხელშეკრულების და შეთანხმების (Vereinbarung) ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე და აღნიშნავს ახალ თვისებებს, რომლითაც ეს ორი ფორმა ერთი მეორისაგან განსხვავდება. ყველა ის აქტები, რომელნიც უფლებრივად რელევანტ[ურ] ხასიათს ატარებენ და ამასთან ერთად, ნებისყოფათა შეერთებაში მდგომარეობენ, ჩვენ არ უნდა მივაკუთვნოთ ხელშეკრულებითი აქტების კატეგორიას; პირიქით, აქ მოცემული არის, ავტორის აზრით, არა ერთი, არამედ ორი განსხვავებული იურიდიული ფორმა - ხელშეკრულება და შეთანხმება. რაშიდ მდგომარეობს აქ განსხვავება?

ბინდინგის აზრით, თუმც ხელშეკრულების ცნებით ჩვეულებრივ აღნიშნავენ ნებისყოფათა გაერთიანებას (Willenseinigung), მაგრამ სინამდვილეში იგი წარმოადგენს არა ნებისყოფათა შეთანხმებას, არამედ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ნებისყოფის შეზღუდვას (Willensbindung). აქ შეუძლებელი არის ლაპარაკი გაერთიანებაზე (Einigung), ვინაიდან თვითიველი კონტრაქტის ნებისყოფა საწინააღმდეგო შინაარსის მატარებელია და ამიტომ ამ განცალკევებულად არსებულ და განსხვავებული შინაარსის მქონე ნებისყოფითი აქტებიდან შეუძლებელი არის ერთი მთლიანი ნებისყოფის (Gesamtwille) გამომუშავება. ხელშეკრულების დადების დროს კონტრაქტებისათვის საერთო არის მხოლოდ მიზანი, რომლის განხორციელება აქ ხდება აღნიშნულ[ი] მიზნისაკენ მიმართულ[ი], ერთი მეორეს შემავსებელ[ი] და განსხვავებული შინაარსის მქონე მოქმედებებით.

---

<sup>1</sup> K. Binding, Die Gründung des Nordd[e]utschen Bundes, S. 65 ff.

სხვა თვისებებით ხასიათდება, ბინდინგის აზრით, შეთანხმება (Vereinbarung). უკანასკნელი წარმოადგენს არა სხვადასხვა შინაარსის ნებისყოფათა შეზღუდვას, არამედ რამოდენიმე პირის ერთი და იგივე შინაარსის ნებისყოფათა შედუღებას (Verschmälerung). ამიტომ ერთი მთლიანი ნებისყოფის გამომუშავებას ადგილი აქვს არა ხელშეკრულებითი აქტების შემთხვევაში, არამედ მხოლოდ შეთანხმებითი აქტის განხორციელების დროს. შეთანხმებითი აქტის მაგალითს, ბინდინგის აზრით, წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილება, ან ის შემთხვევა, როდესაც საკანონმდებლო ნორმის გამოცემა ხდება რამოდენიმე ორგანოს ან პირების თანამონაწილეობით.

ასეთი არის მოკლედ ის განსხვავება, რომელსაც ბინდინგი ხელდასხვავებს ხელშეკრულებ[ა]ს[ა] და შეთანხმებ[ა]ს შორის და ის ახალი მომენტები (კონტრაჰენტების ნებისყოფათა შეზღუდულობა, განსხვავება ნებისყოფათა შინაარსში და სხვა), რომელსაც ის, აღნიშნულ[ი] განსხვავების გატარების დროს ასახელებს ხელშეკრულების ცნებაში.

ეს შეხედულება თანამედროვე ლიტერატურაში განცალკევებით არა სდგას, პირიქით, იგი მთელი რიგი შემდგომ[ი] ავტორებისაგან შეთვისებულ[ი], ნაწილობრივ მოდიფიკაციამ[ი] და სამართლის ცალკე[ული] დარგების სპეციალ[ური] პრობლემების დამუშავებისას გამოყენებული იყო. ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანდა სხვადასხვა ავტორების შეხედულებათა განხილვა ამ საკითხში, ისე როგორც იმ მოდიფიკაციების აღნიშვნა, რომელნიც შეთანხმების ცნებამ განიცადა შემდგომ[ი] დამუშავების პროცესში; მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით იმ შეხედულებაზე, რომელიც Kuntze-ის<sup>1</sup> მიერ იყო გამომუშავებული, ვინაიდან ეს შეხედულება იმდენად თავისებური არის, რომ ბინდინგის თეორიის უბრალო მოდიფიკაციას კი არ წარმოადგენს, არამედ ახალი იურიდიული ფორმის კონსტრუქციის ცდას აღნიშნავს. თვით ავტორიც, ასევე, უცქერს თავის შეხედულებას (რომელიც, უდა[ვ]ოთ, ბინდინგის თეორიის ზედგავლენით არის გამომუშავებული) და ამ ახალ იურიდიულ ფორმას არა შეთანხმების, არამედ მთლიანი აქტის (Gesamtakt) ცნებით აღნიშნავს. ისე, როგორც ბინდინგი, კუნცე სცდილობს ამ ახალი

---

<sup>1</sup> Johannes Emil Kuntze, Der Gesam[m]takt, ein neuer Rechtsbegriff (Testgabe f. o. Müller).

იურიდიული ფორმის თავისებურობა გამონახოს ხელშეკრულების ცნებასთან დაპირისპირების საშვალეებით. მთლიანი აქტი, ისე როგორც ხელშეკრულება შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ რამოდენიმე პირის მონაწილეობით, ე.ი. აღნიშნულ[ი] პირების მხრით ნებისყოფის გამოაშკარავების გზით. მაგრამ ხელშეკრულებიდან განსხვავებით, მთლიანი აქტის შესრულების დროს აქტის შემსრულებლები ერთი მეორესადმი კი არ არიან დაპირისპირებული და ამიტომ კონტრაპენტებს კი არ წარმოადგენენ, არამედ გამოდიან, როგორც ერთი მხარე. აქედგან გამომდინარეობს მცირე განსხვავებაც, რომელიც იმაშიდ მდგომარეობს, რომ განსხვავებით ხელშეკრულებიდან მთლიანი აქტის იურიდიული ეფექტი აქტის შემსრულებელ[ი] პირების ინდივიდუალურ[ი] უფლებრივ[ი] სფეროს გარეშე არის და აქტის შემსრულებლებს შორის იგი არ ამყარებს არავითარ იურიდიულ კავშირს, არავითარ ურთიერთ უფლებრივ მიმართებებს<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> op. cit. S. 45.

**რეპენზია სისხლის სამართლის დოცენტის მოვალეობის  
შემსრულებლის ბორის გაქარიას ძე ფურცხვანიძის სადისერტაციო  
თემაზე: „1864 წლის რეფორმები“\***

**† პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (1872-1939)**

კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის დადებითი მხარეებია: 1) რაოდენობრივად შთამბეჭდავი სალიტერატურო მასალა, რომელსაც ავტორი მიუთითებს დისერტაციის ბოლოში, როგორც თავისი ნაშრომის საფუძველს; 2) როგორც რეფორმამდელ [პერიოდში], ისე მის შემდეგ, რუსეთში გაამეფებული სასამართლო წესების სურათის მთლიანობა. 3) არ მოკლებულია ელევანტურობას და, უმრავლეს შემთხვევაში - ზუსტი დასკვნები.

---

\* რუსული ხელნაწერი დედანი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 268, ფურცლები 27-36. ქართული თარგმანი შესრულებულია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორის, სამართლის დოქტორ მარინა გარიშვილის მიერ და ქვეყნდება პირველად. პროფ. ბორის ფურცხვანიძემ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია 1939 წელს დაიცვა თემაზე - „1864 წლის სასამართლო რეფორმა რუსეთში“. დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტებად თავდაპირველად დაინიშნენ პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და პროფესორი იროდიონ სურგულაძე, ხოლო ეს უკანასკნელი შემდეგ პროფესორმა ალექსანდრე ვაჩიშვილმა შეცვალა [თ.ნ.].

თარგმნილი ტექსტის უკეთ გაგების მიზნით, მთარგმნელის მიერ ოთხკუთხა კავებში ([...]) ჩამატებულია დამაზუსტებელი სიტყვები ან ასოები, რომლებიც მართალია ორიგინალ ხელნაწერ ტექსტში არ გვხვდება, მაგრამ მკითხველს დახმარებას გაუნევს თარგმნილი ტექსტის უკეთ გასაგებად [მ.გ.].

† ცნობილი ქართველი იურისტი, ადვოკატი, პოლიტიკური დამცველი, საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, ფილოსოფოსი, ხელოვნებათმცოდნე, თეატრმცოდნე [თ.ნ.].

სუსტ მხარეებს წარმოადგენენ: 1) [ზედმეტი] დაჩქარება ისეთი თემის შემუშავებისას, რომელიც მოითხოვს დიდ თეორიულ მომზადებას სამართლის სფეროში. 2) რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, პირველწყაროების უცოდინრობა და სურვილი, რომ ყველაფერი აგებული ყოფილიყო სალიტერატურო ნაშრომებზე; კერძოდ, 1864 წლის წესდებების გადასინჯვისათვის [შექმნილი] კომისიის შრომები; 2) ისტორიულ ნაწილში, რომელიც ეძღვნება 1864 წლის რეფორმამდელ სამართალწარმოების წესებს, ავტორის მიერ არ ეთმობა ყურადღება იმ მითითებებს, რომლებიც მოიპოვება ლიტერატურაში, პეტრე I-ის კანონმდებლობის ორიგინალობის, დაკითხვის დროს დეპუტატთა ინსტიტუტისა და მტკიცებულებათა ფორმალური თეორიის დაცვითი ფორმის მიმართ. 3) დისერტაციის ყველაზე საპასუხისმგებლო ნაწილში, რომელიც ეძღვნება სასამართლო რეფორმის საფუძვლების ჩამოყალიბებას, ავტორი სრულებით უგულებელყოფს როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესის დისპოზიციურობის პრინციპის შესახებ მოძღვრებას, რომლებიც ძალზედ მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული შემდგენელებისა და კომისიის წევრების მიერ პროექტის განხილვის დროს.

სისხლის სამართლის პროცესში - დემოკრატიულობის საწყისები, მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების (იხ. სამოქ. სისხლ. სასამართ. შეტან. შესწ. სახელმწიფო კანცელარიის გამოცემ., 1866 წელი), მატერიალური ჭეშმარიტებისა (იქვე) და ა.შ. და სამოქალაქო პროცესში დისპოზიციურობის საწყისები, და საბრალდებო ხელისუფლების სასამართლო ხელისუფლებისგან და სასამართლო ხელისუფლების - დაცვისგან გამოიჭვნა (იქვე).

[4)]<sup>1</sup> შეჯიბრებითობის საწყისების ანალიზის დროს, ავტორი არ დგას არც ისტორიულობის ნიადაგზე, არც თეორიის ნიადაგზე. ის ეწინააღმდეგება მონაცემებს, რადგან სასამართლო წესდების შემდგენელები შეჯიბრებითობის პრინციპის [ცნებაში] გულისხმობდნენ უნივერსალურ გზას და ცდილობდნენ მისგან გამოეყვანათ, სხვა ყველა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მრავალი საწყისი მაინც. ავტორი კი უფრო ვიწრო გაგებით

---

<sup>1</sup> რეცენზიის ავტორისეულ ხელნაწერ ტექსტში აღნიშნული ადგილი არ არის დანომრილი [მ.გ.].

აღიქვამს [შეჯიბრებითობას]. თეორიას არ ეთანხმება დისერტანტის მრწამსი, რადგან, ავტორის აზრით, შეჯიბრებითობა [სასამართლო] პროცესში შობს ბრალდებულის მდგომარეობას, როგორც სუბიექტისას, მაშინ, როცა თეორია ამტკიცებს, რომ პიროვნების მიმართ თანდაყოლილი და განუსხვიესებელი უფლებების აღიარებით, კანონმდებელი ვალდებულებას იღებდა [შემოედო] პროცესის ისეთი ფორმები, რომლებშიც ეს სუბიექტი შესძლებდა დაცვაზე საკუთარი უფლების განხორციელებას.

შეჯიბრებითობა სულაც არ არის თანასწორობის ტოლფასი, როგორც ამას ამტკიცებს ავტორი. თეორია განასხვავებს შეჯიბრებით პროცესს, - როგორც მხოლოდ მხარეთა უფლების აღიარებას მტკიცებულებათა შეგროვებასა და სასამართლოში წარდგენაზე, შეჯიბრებითი ფორმისაგან, - როგორც სასამართლოსადმი მიმართული კანონმდებლის მოთხოვნა, მისცეს მხარეს მტკიცებულებების წარმოდგენის [უფლება], მეორე მხარეს მისცეს მონინაალმდგის განცხადების მოსმენის [შესაძლებლობა] და მისცეს მას განცხადების ირგვლის [მოსაზრების] გამოთქმის [უფლება] და არ გადაედგა ნაბიჯი მეორე მხარის მოსმენამდე (*Audiatur et altera pars*).

5) პროკურატურისა და ადვოკატურის შესახებ თავი არ წარმოადგენს ინტერესს.

ფურცხვანიძის ნაშრომი თეორიულადაც სუსტია. [ხოლო] როგორც რეფორმამდელი, ისე რეფორმის დროინდელი სასამართლო წესების ასახვა - ნაშრომი წარმოადგენს ინტერესს. დასურათება, ზოგიერთი გამოაკლისის გარდა, სწორია. რეფორმის პროგრესულობა მკვეთრად ხაზგასმულია ავტორის მიერ. სწორად არის მოთხრობილი რეაქციული წრეების ბრძოლა რეფორმის წინააღმდეგ; სწორად არის მითითებული რეფორმის კლასობრივი ხასიათიც, ქონებრივ სფეროში დამნაშავეების გასამართლება შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის პროცესით შეიძლებოდა. ასეთია სასამართლო წესდების შემდგენელთა ღრმა რწმენაც. ამითვე მიიჩნიეს მათ ბურჟუაზიულად საკუთარი სასამართლო.

აღნიშნული საფუძვლებით, მე შესაძლებლად მიმაჩნია ამხ[ანაც] ფურცხვანიძის დაშვება მისი დისერტაციის საჯარო დაცვაზე.



**Рецензия на диссертацию и [сполняющего] об[язанности]  
доцента уг[оловного] права Бориса Захаревича  
Пурцхванидзе на тему: «Реформы 1864 года» \***

**† Профессор Луарсаб Андроникашвили (1872-1939)**

Положительной стороной диссертации, представленной на соискание ученой степени кандидата, является: 1) Внушительный по количеству литературный материал, указанный автором в конце диссертации как основание своей работы. 2) Цельность картины судебных порядков, царивших в России как до реформы, так и после нея<sup>1</sup>. 3) Не лишенный элегантности, и в преобладающем числе случаях - точный вывод.

Слабыми сторонами являются: 1) спешка в разработке такой темы, кот[орая] требует большой теоретической подготовки в сфере права. 2) Как ни странно, незнакомство с первоисточниками и желание построить все на литературных разработках; в частности, с работами комиссии по пересмотру уставов 1864 года; 2) В исторической части, посвященной судопроизводственным порядкам

---

\* Русскоязычный рукописи подлинник хранится в Национальном Архиве Грузии. См. Центр. Архив Новейшей истории, фонд 471, опись 19, дело 268, лист 27-36. Научный редактор: Ассоц. проф. Юридического факультета ТГУ, доктору права Марине Гаришвили ([М.Г.]). Публикуется в первый раз. Проф. Борис Пурцхванидзе в 1939 году защитил диссертацию на соискание ученой степени кандидата юридических наук, на тему – «Судебная реформа 1864 года в России». Официальными оппонентами, первоначально, были назначены профессор Луарсаб Андроникашвили и профессор Иродион Сургуладзе, которго впоследствии заменил профессор Александр Вачейшвили [Т.Н.].

С целью лучшего восприятия текста, научный редактор применил четырехугольные скобки ([...]), с дополнением уточнительных слов или букв, которых, несмотря на то, что не встречаем в самом тексте, они способствуют успешному воспроизведению текста [М.Г.].

† Прославленный грузинский юрист, адвокат, политический защитник, один из основоположников высшего юридического образования в Грузии, профессор кафедры уголовного права Юридического факультета ТГУ, заведующий кафедрой гражданского права Юридического факультета ТГУ, философ, искусствовед, театровед [Т.Н.].

<sup>1</sup> нея - древнерусское, в современном литературном языке используется слово «нее» [М.Г.].

до реформы 1864 года, не обращено автором внимания на указания, имеющиеся в литературе, на оригинальность законодательства Петра I, на институт депутатов при допросах и защитную форму формальной теории доказательств. 3) В наиболее ответственной части диссертации, посвященной изложению основ судебной реформы, автор совершенно не обратил внимание на учение принципа диспозитивности процесса как уголовного, так и гражданского судопроизводства, которые были очень отчетливо сформулированы составителями и членами комиссии при обсуждении проекта.

В уголовном процессе – начала демократичности, свободной оценки доказательств (см. внес. из. к гр:у. Суд. Изд. Госканцелярии 1866 года), материальной истины (там же) и т.д., и начала диспозитивности в гражданском процессе, и начала отделения обвинительной власти от Судебной и Судебной от защиты (там же).

[4)]<sup>1</sup> При анализе начала состязательности, автор не стоит ни на почве истории, ни на почве теории. Он противоречит данным, потому что составители Судебного устава понимали под принципом состязательности путь универсальный и старались выводить из него, если не все другие, то во всяком случае, многие начала. Автор же понимает более узко. С теорией несогласны воззрения диссертанта, потому что, по автору, состязательность порождает положение обвиняемого в процессе как субъекта, в то время, как теория доказывает, что с признанием за личностью прав врожденных и неотчуждаемых, законодатель обязывался [вводить] такие формы процесса, в котор[ых] этот субъект мог бы осуществить свои права на защиту.

Состязание не тождественно равноправию, как утверждает автор. Теория различает состязательный процесс, – как признание права собирания доказательств и представления их суду только за сторонами, от состязательности формы, – как требования, обращенн[ые] законодателем [к] суду, дать стороне представить доказательства, дать другой стороне выслушать заявление противника и предоставить ему высказаться по заявлениям и не предпринимать шагов до выслушивания другой стороны (*Audiatur et altera pars*).

---

<sup>1</sup> Нет нумерации в тексте рецензии [М.Г.].

5) Глава о прокуратуре и адвокатуре не представляет интереса.

Труд Пурцхванидзе слаб теоретически. Как изображение порядков в судах дореформенных, и также реформы – труд представляет интересен. Картины, за некоторыми исключениями, правильны. Прогрессивность реформы отчетливо подчеркнут[а] автором. Правильно рас[с]казана<sup>1</sup> борьба реакционных кругов против реформы; правильно указан и классовый характер реформы, преступников в имущественной сфере мог бы судить уголовный проц[есс], котор[ый] был состязанием. Таково глубокое убеждение составителей Судебных уставов. Этим они признали свой суд буржуазным.

По сим основаниям, я признаю возможным допускание т[оварищем] Пурцхванидзе к защите публичной своей диссертации.

---

<sup>1</sup> рассказана - древнерусское, в современном литературном языке используется слово «рассказана» [М.Г.].

## მორალური ზიანის ანაზღაურება\*

### † გრიგოლ რცხილაძე (1876-1934)

რუსეთის და უკრაინის სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში დროგამოშვებით იბეჭდება წერილები მორალურ[ი] ზიანის ანაზღაურებაზე, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა ამ საგანზე ჯერ დაძლეული არ არის. როგორც ანაზღაურების მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი პოულობენ არსებულ კანონებში საფუძველს თავის[ი] შეხედულების გამართლებისათვის, რაც არსებითად მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ნამდვილათ საბჭოთა კანონმდებლობაში ეს საკითხი ღიათ არის დატოვებული და მის[ი] გადანყვეტა უნდა მოხდეს საბჭოთა სამართლის ზოგად[ი] მიზნების[ა] და მიმართულების მიხედვით. მართალია, რუსეთის და უკრაინის უზენაეს[ი] სასამართლოების საკასაციო კოლეგიების პრაქტიკა 1924 წლიდან გარკვეულათ აღიარებს, რომ მორალურ[ი] ზიანის ანაზღაურება საბჭოთა სამართლისათვის უცხო ინსტიტუტიაო, მაგრამ ეს გარემოება თავისთავათ არ დააბრკოლებს საწინააღმდეგო პრაქტიკის შემოღებას, თუკი ძირითადი შეხედულება საგანზე გამოირკვა საბოლოოთ იმ მიმართულებით, რომ მორალური ზიანი არ უნდა რჩებოდეს აუნაზღაურებელი.

---

\* პირველად გამოქვეყნდა 1928 წელს ჟურნალში - „საბჭოთა სამართალი“. იხ. რცხილაძე გ., მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, 1928 [თ.ნ.].

† ცნობილი ქართველი ცივილისტი, დამცველთა კოლეგიის წევრი, ადვოკატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ლექტორი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოების თავმჯდომარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საზოგადოების წევრი [თ.ნ.].

იმისთვის, რომ მორალურ[ი] ზიანის იურიდიული პრობლემა გაიხსნას, საჭიროა გამოირკვეს შემდეგი სამი საკითხი: ა) რას ეწოდება მორალური ზიანი და რამდენათ რეალურია იგი; ბ) რა საფუძველი აქვს ზიანის რეპარაციას, საერთოთ, და მორალურისას, კერძოთ, და გ) რამდენათ შესაძლებელია მორალურ[ი] ზიანის ანაზღაურება ფულადი საზღაურით და რამდენათ მიზანშეწონილია ამ უკანასკნელის შემოღება. აი, სწორეთ ამ საკითხებზე გვექნება მსჯელობა ამ წერილში.

მორალური ზიანი უპირისპირდება მატერიალურ ანუ ქონებრივ ზიანს. მატერიალურია ზიანი არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა ზიანს ქონებისთვის ვნების მიყენების ხასიათი აქვს, არამედ ყოველთვის, როცა ზიანი შეიძლება შეფასებულ იქნეს ფულზე, სამოქალაქო ბრუნვის წესების თანახმად. ზიანი, რომელიც ფულადი ეკვივალენტით შეიძლება გამოთქმულ იქნეს, ყოველთვის მატერიალური ანუ ქონებრივი ზიანია, იმის განუკითხავათ, თუ რა თვისებები ახასიათებს იმ სიკეთეს, რომლის ვნების შედეგსაც წარმოადგენს ეს ზიანი. სიკეთე შეიძლება მორალური იყოს, ამ სიკეთის ვნება კი, ქონებრივ ზიანს წარმოადგენდეს, და პირიქით, სიკეთე შეიძლება მატერიალური იყოს, ხოლო იმის ვნებას მორალური ზიანი ჰქონდეს შედეგათ. ნდობა ანუ კრედიტი<sup>1</sup>, რომელიც აქვს პირს საქმიან წრეებში, წმინდა მორალურ[ი] თვისების სიკეთეა, ხოლო ვნება, მიყენებული ამ სიკეთისთვის, მაგ[ალითად], ისეთი ცრუ ხმების გავრცელებით ამ პირისა და მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც მას კრედიტს შეურყევს და დაუკარგავს, მატერიალური ანუ ქონებრივი ზიანია. ნივთი, მიღებული სახსოვრათ მეგობრისაგან, მატერიალური სიკეთეა, ხოლო ამ ნივთის დაღუპვა ინვესს ხშირათ ზიანს, რომელიც საგრძნობელია დამკარგავისთვის არა იმდენათ ნივთის ფასის გამო, რამდენათაც იმ მოგონებათა გამო, რომელნიც შეკავშირებული არიან შემცვენებაში ამ ნივთთან, და ამიტომ ზიანიც მორალურია და არა მატერიალური. ზიანის მორალური ხასიათი დამოკიდებულია არა ვნებულ[ი] სიკეთის თვისებისაგან, არამედ ვნების შედეგის იმ თვისებისაგან, რაც ამ შედეგის ქონებრივ შეფასებას და ფულად ეკვივალენტში გამოხატვას შეუძლებლათ ხდის. ხშირათ ზიანი ერთსა და იმავე დროს

---

<sup>1</sup> იგულისხმება რეპუტაცია [თ.ნ.].

მორალურიც არის და მატერიალურიც, მაგრამ ეს შეხვედრა<sup>1</sup> წარმოადგენს მათ გამომწვევ გარემოებათა იგივეობას და არა თვით მატერიალურ[ი] და მორალურ[ი] ზიანის იგივეობას.

ხშირათ პიროვნებისთვის და ქონებისთვის ვნების მიყენებას უპირისპირებენ ერთმანეთს და ამ დაპირისპირების ნიადაგზე განარჩევენ მატერიალურ[ი] ზიანისაგან მორალურ ზიანს, თითქოს მორალური ზიანი და საპირადლო ზიანი ერთმანეთს ჰფარავდნენ. ასეთი დაპირისპირებაა მოცემული სამ[ოქალაქო] სამ[ართლის] კოდექსის] 403-ე მუხლში. როგორც ზემოთ მოცემულ[ი] განმარტებიდან ჩანს, ნამდვილათ საპირადლო ზიანი და მორალური ზიანი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ცნებებია. საპირადლო ყოველი ზიანი, რომელიც კი ჩნდება პირადობისთვის ვნების მიყენებით, თუნდაც ეს ზიანი ფულზე გადაიტანებოდეს, ხოლო მორალურია ისეთი ზიანი, რაც ფულადი ეკვივალენტით არ გამოიხატება, თუნდაც გამოწვეული იყოს ქონების და არა პირადობისთვის ვნების მიყენებისაგან. საპირადლო სიკეთენი, მაგ[ალითად], ჯანმრთელობა და ფიზიკური შეუვალლობა, თავისთავად ქონებას არ წარმოადგენენ და ფულადი რაოდენობით არ შეფასდებიან, მაგრამ იერიში, მითანილი ამ სიკეთეზე, ხშირათ შრომის უნარს უსპობს ან უმცირებს პირს, ხოლო ეს კი შეკავშირებულია იმ შემოსავლის შემოკლებასთან, დაკარგვასთან, რასაც წინათ ადამიანი თავისი შრომით შოულობდა. ზიანი, წარმომდგარი ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებისაგან, რამდენათაც ეს ზიანი გამოიხატება შემოსავლის დაკარგვით ან შემცირებით, ქონებრივი ანუ მატერიალურია და ანაზღაურდება სათანადო ფულადი თანხის გადახდევინებით, მაგრამ სრულიად უეჭველია, რაც გინდ ზუსტი მათემატიკურის სისწორით იქნეს ნაანგარიშევი დაკარგულ[ი] შემოსავლის რაოდენობა, ეს მაინც ვერ შეავსებს დაკარგულ ჯანმრთელობას. ამოუვსებელი დარჩება სწორეთ ის, რაც აღემატება მატერიალურ ზიანს და შეადგენს მორალურ ზიანს. ჯანმრთელობის მნიშვნელობა არ ამოიწურება იმით, რომ ის შესაძლებლობას აძლევს ადამიანს იშრომოს და შრომის სასყიდელი მიიღოს. ჯანმრთელობა აძლევს ადამიანს ამის გარეშე ცხოვრების საერთო საამურ ტონს, რო-

---

<sup>1</sup> sic [თ.ნ.].

მელიც შემოსავალს არ მოიცემა, მაგრამ მაინც სრულიად რელურ ღირებულებას წარმოადგენს, იმდენათ ძლიერს და ძვირფასს, რომ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ვნება საგრძობელია და მტკივნეული თავის[ი] მორალური ზიანის შედეგით უფრო მეტათ და უფრო მწვავეთ, ვიდრე ქონებრივი ზიანის შედეგით.

ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ მორალური ზიანი არის არა მდგომარეობის ზნეობრივი შეფასება, არამედ სრულიად რეალური ვნება, განაცადი ადამიანის სულიერი ორგანიზაციის მიერ და ხშირათ უფრო მტკივნეული, ვიდრე მატერიალური ზიანი. თუ საჭიროა უფრო რელიეფურათ იქნეს წარმოდგენილი მორალურ[ი] ზიანის რეალობა, შეიძლება ავიღოთ, მაგ[ალითად], შემთხვევანი ავტომობილის ან რკინის გზის მიერ ბავშვის გასრესისა, საგანგებოთ შემზადებული სითხით პირისახის დასახიჩრების, საპირადო საიდუმლოების გა[მო]ქვეყნებისა, შეურაცხყოფის წერილის მიღებისა და სხვა. ბავშვს ჯერ კიდევ ხანგრძლივი მოვლა და აღზრდა ესაჭიროებოდა, მშობლები ამის ხარჯისაგან განთავისუფლდნენ, ქონებრივათ უბედური შემთხვევა არა თუ არავის რას აკლებს, პირიქით, შემატებს, მაგრამ ვის აღედგრის ეჭვი, რომ მშობლებისთვის ბავშვის დაღუპვა, განსაკუთრებით, თუ მათ სხვა ბავშვი არ ჰყავთ, მტკივნეულია, ზიანია. პირისახის დასახიჩრებას შეიძლება არ მოჰყვეს შრომის უნარის არავითარი შემცირება, მაგრამ ვინ იფიქრებს, რომ ზიანი არ იყოს ის გარემოება, რომ დასახიჩრებულს ყველა ერიდება, განზე გაურბის, ხოლო თვით დასახიჩრებულმა კი იყოს, რომ მისი სახის სანახაობა იწვევს ასეთ მოპყრობას და მთელ[ი] თავის[ი] სიცოცხლის განმავლობაში ვერაფრით ამას ვერ უშველის... გაგრძელება ამ მაგალითების ანალიზისა და სხვა მაგალითების დასახელება ზედმეტათ მიგვაჩნია. უიმისოთაც სრულიად ნათელია, რომ მორალური ზიანი ისეთივე რეალობაა, როგორც მატერიალური, ხოლო ზოგჯერ უფრო მტკივნეული, ვიდრე ეს უკანასკნელი.

სამართალი, რომ მატერიალურ[ი] ზიანის აღდგენას (რეპარაციას) უნდა აწესებდეს, ეს ეჭვმიუკარებელი დებულებაა; იმდენათ ელემენტარული და უდავო, რომ ჩვეულებრივ არც კი ვინმე კითხულობს, რა საფუძველი აქვს და რა ამართლებს მას. რა თქმა უნდა, ამ საფუძველს იძლევა არა ობიექტიური არსებობა ქონების, ე.ი. საბოლოო ანგარიშით

იმ ნივთების, რომლებითაც ადამიანს თავისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი შეუძლიან დაიკმაყოფილოს, არამედ ამ ნივთების კუთვნილება პირისთვის. გამართლება მატერიალურ[ი] ზიანის ანაზღაურებისა მდგომარეობს არა ნივთებში, არა ქონებაში თავისთავად, არამედ პიროვნებაში, პირისთვის ნივთის კუთვნილებაში. გამოსავალი წერტილი მატერიალურ[ი] ზიანის ანაზღაურებისთვის არის არა ნივთი, არამედ პირი. სამართალი იცავს და იფარავს პირის იმ მდგომარეობას, რაც მას შესაძლებლობას აძლევს განახორციელოს ადამიანური ბედნიერება; ეს მდგომარეობა გულისხმობს სხვადასხვაგვარ სიკეთეს, რაც ადამიანს თავის განკარგულებაში აქვს. ამ სიკეთეთა ბუნება და რაობა ცვალებადია და განისაზღვრება კულტურულ[ი] წარმატების დონით. სია იმ სიკეთეთა, რაც ადამიანს შეუძლიან გამოიყენოს ბედნიერების მისაღწევად და გასამტკიცებლად, კულტურულ[ი] წარმატების პროცესში ფართოდება, ხოლო დედააზრი ამ სიკეთეთა კუთვნილების დაცვისა სამართლის მიერ უცვლელად რჩება და ეს დედააზრი არის პირი, რომლის გულისთვისაც დანესებულია, როგორც რომელიღაც ამბობდნენ, მთელი სამართალი (*omne jus hominum causa constitutum est*); ვინაიდან მიყენებულ[ი] ვნების ანაზღაურების საფუძველს შეადგენს პირისათვის სიკეთეთა კუთვნილება, ამიტომ სრულიად ინდიფერენტული გარემოებაა ის, თუ რა ხასიათი აქვს სიკეთეს, რომლის წართმევა ან შელახვაც წარმოადგენს ზიანს, ისე როგორც ინდიფერენტულია ის, თუ რა სპეციალური თვისებები აქვს სიკეთის შელახვით პირის მიერ განცდილ ზიანს. მატერიალურია თუ იმმატერიალური სიკეთე და ზიანი, სამართალი თავის დანიშნულებას უღალატებს, თუ არ დაიფარავს პირს იმ სიკეთეთა მფლობელობის მდგომარეობაში, რომლებითაც ადამიანი ქმნის და ამტკიცებს ადამიანურ ბედნიერებას. ამნაირათ, ურყევ დებულებათ შეიძლება იქნეს აღიარებული, რომ მორალური ზიანის რეპარაციას იგივე საფუძველი აქვს, რაც მატერიალურ[ი] ზიანისას. არავითარი სპეციალური გამართლება მორალური ზიანის რეპარაციისათვის საჭირო არ არის. ეს გამართლება გამომდინარეობს თვით სამართლის უძირითადესი დანიშნულებიდან.

კაცობრიობის განვითარება დახასიათდება სხვათა შორის იმით, რომ კულტურის პირველ საფეხურებზე ადამიანი ყველა თავის წარმოდგენას,



ფიქრს და იდეას აძლევს გრძნობად საგნობრივობის სანახაობას, მაგრამ რაც უფრო წარმატებაში შედის, მით მეტათ თავისუფლდება იგი ამ პირველყოფილ[ი] გრძნობადობისგან და მისი მსოფლმხედველობა უფრო რეალისტური ხდება. რომაელების სამართალი ხედავდა მხოლოდ სხეულით სხეულისთვის მიყენებულ ზიანს (*damnum corpore corpori datum*) და მხოლოდ ამ გრძნობადობის სამოსელში გახვეულ ზიანს სთვლიდა სამოქალაქოუფლებრივ[ი] რეპარაციის ღირსათ, მაგრამ ჩვენს დროში ზიანის ცნების მომწვედვეა ასეთ ვიწრო ჩარჩოებში შეუწყნარებელი ანაქრონიზმი იქნებოდა. ჩვენს დროში არც კი ვინმე დავობს სერიოზულათ მორალურ[ი] ვნების რეპარაციის საფუძვლიანობის წინააღმდეგ; სადავო და საკამათოა არა გამართლება მორალურ[ი] ზიანის რეპარაციის, არამედ შესაძლებლობა ამ რეპარაციის მიღწევისა სამართლისთვის იმ საშუალებებით, რაც მას გააჩნია.

ზიანის რეპარაციისთვის სამართლის განკარგულებაში მხოლოდ ორი საშუალებაა: აღდგენა იმ ფაქტიური მდგომარეობისა, რაც ვნების მიყენებამდე არსებობდა (ე.წ. რესტიტუციო) და ფულადი თანხის გადახდევიანობით ანაზღაურება იმ დანაკლისის, რასაც განცდილი ზიანი გულისხმობს (ე.წ. კომპენსაციო). რესტიტუციო მორალურ[ი] ზიანისთვის სრულიად მიუმაჩვევებელია, მწუხარება, ტანჯვა, სულიერი დაკოდილობა, ერთხელ აღამიანის მიერ განცდილი ამოუშლელია მის[ი] სულიერ[ი] აგებულებიდან და ამიტომ სამართალი მორალურ[ი] ზიანის მალამოთ რესტიტუციოს ვერ იხმარს. რჩება ფულადი ანაზღაურება და დავაც სწორეთ აქ სწარმოებს: შეიძლება თუ არა ფულადი თანხის გადახდევიანობით ანაზღაურებულ იქნეს მორალური ზიანი?

დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამართალი და პრაქტიკა ამ საკითხს ყველგან დადებითს პასუხს აძლევს, მაგრამ სხვადასხვა მოცულობით. განირჩევა ფრანგულ-ინგლისური სისტემა პრინციპიულურათ მორალურ[ი] ზიანის ფულადი ანაზღაურების დაშვებისა ყოველთვის სპეციალურათ კანონში ნაჩვენებ[ი] გამოწვევისგან გარდა და გერმანული სისტემა, ასეთი ანაზღაურების შესაძლებლობისა მხოლოდ იმ საგანგებო შემთხვევებში, რაც სპეციალურათ ნაჩვენებია კანონში. პირველი სისტემა მიღებული აქვს ინგლისს, საფრანგეთს, ესპანეთს და საერთოდ ლათინთა რასის ქვეყნებს, მეორე სისტემა მოქმედობს გერმანიაში, ავსტრიაში და ნაწილობრივ იტალიაში. საინტერესოა აღინიშნოს, როგორც ნიმუში

სამართლის საკითხებისთვის კლასიკური თვალსაზრისის მიმარჯვე-  
ბისა, რომ ინგლისში აკრძალულია იმ მორალურ[ი] ზიანის ფულადი  
ანაზღაურება, რომელიც წარმოსდგება მუშაობის შესრულების დროს  
მშრომლის ფიზიკურ[ი] დახიბვრების ან ჯანსაღობის შელახვისაგან.  
გერმანიის სამოქალაქო სამართლის დებულებაში შეტანილია მხო-  
ლოდ ორი პარაგრაფი, რომელნიც შეიცავენ იმ შემთხვევათა ამომწუ-  
რავ ჩამოთვლას, სადაც შესაძლოა არის აღიარებული მორალური  
ზიანის, ან როგორც თვით ტექსტი ამბობს, არაქონებრივ[ი] ზარალის  
ფულადი ანაზღაურება. ეს სპეციალური შემთხვევებია: სხეულის ან  
ჯანმრთელობის შელახვა, ქალის მიმართ ისეთი დანაშაულობის ჩადენა,  
რაც ზნეობის გადალახვას წარმოადგენს ან მის დაყოლიებას ქორ-  
წინების გარეშე ცოლქმრულ ცხოვრებაზე მოტყუებით, მექარით ან  
ხელქვეითობის ბოროტათ გამოყენებით (§847) და საქმროს მიერ  
გარეშე საპატიო მიზნისა სასძლოს მიტოვება, თუ მათ შორის სასძლოს  
თანხმობით ცოლქმრული კავშირი არსებობდა (§1300). ინგლისში გა-  
ნარჩევნ მორალურ[ი] ზიანის ორნაირ ფულად ანაზღაურებას: ნომი-  
ნალურს და სამაგალითოს (nominal and exemplary damages). ნომინა-  
ლური ანაზღაურება არის მცირედი თანხის გადახდევინება მორალუ-  
რათ დაზიანებულის სასარგებლოთ, ჩვეულებრივ ერთი ან რამდენიმე  
შილინგის რაოდენობით, თითქოს გადალახულ[ი] უფლების აღიარების  
ნიშნათ. სამაგალითო ანაზღაურება კი, საკმაოდ დიდ თანხას წარ-  
მოადგენს, ზოგჯერ რამდენიმე ათას გიქვანქა სტერლინგს და მას  
თითქოს კერძო სასჯელის ხასიათი აქვს. განსაკუთრებით ფართეთ  
მიუმარჯვებენ მორალურ[ი] ზიანის ფულად ანაზღაურებას საფრანგეთის  
სასამართლოები, რომელთა პრაქტიკითაც შემუშავებულია მთელი სის-  
ტემა მორალურ[ი] ზიანის ანაზღაურების ნორმებისა.

ეს მოკლე მიმოხილვა ევროპიულ[ი] ქვეყნების სამართლისა ამტ-  
კიცებს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება შეტანილია თანამედროვე  
სამოქალაქო სამართლის სისტემაში, როგორც ერთ-ერთი ისეთი ინს-  
ტიტუტი, რომელსაც გვერდი არ აექცევა. თუ ისტორიულ წარსულში  
პოზიტიური სისტემები ამ ინსტიტუტს არ სცნობდნენ, ეს მხოლოდ იმის  
დამამტკიცებელია, რომ მორალურ[ი] ზიანის რეპარაციის აზრამდე  
ასამაღლებლათ მოითხოვება შედარებით მაღალი კულტურული დონე  
და სამართლის დანიშნულების ისეთი ფართო შემეცნება, რომელიც

სამართლიერ[ი]<sup>1</sup> მფარველობის ღირსათ სთვლის არა მარტო მატერი-  
ალურ და ქონებრივ ინტერესებს, არამედ, აგრეთვე, მორალურსაც.

რა თქმა უნდა, ფულადი ანაზღაურება მორალური ზიანის ეკვივა-  
ლენტი არ არის. მორალი და ფული სულ სხვადასხვა რიგის ცნებებია და  
მათი გათანაბრება შეუძლებელია, მაგრამ ფულად[ი] თანხის გადახ-  
დევიწებას მორალურათ დაზიანებულის სასარგებლოთ მაინც განსაზღ-  
ვრულ[ი] დაკმაყოფილების მნიშვნელობა აქვს. იმ ქვეყნების პრაქტიკა  
და თეორია, სადაც მორალურ[ი] ვნების ანაზღაურებას ფართე ასპარეზი  
აქვს მიჩენილი, აღნიშნავს, რომ ფულადი თანხის გადახდევიწებას  
ზოგჯერ საკომპენსაციო მნიშვნელობა აქვს, ზოგჯერ იმ უფლების და-  
დასტურების მნიშვნელობა, რომლის შელახვაც იწვევს მორალურ ზიანს,  
ზოგჯერ გაფრთხილების და ზოგჯერ პირდაპირ კერძო მსჯავრის (ე.ი.  
კერძო სასჯელის) (იხ. R. Demogue, *Traité des Obligations en Général*, I, t-  
IV, p. 43-86.). მორალურ[ი] ზიანის რეპარაციისთვის მთლიანათ შესა-  
ფერისი საშუალება არ არსებობს. ფულადი ანაზღაურება მხოლოდ  
სუროგატი და არა პირდაპირი სარეპარაციო იარაღი, მაგრამ უკეთეს[ი]  
საშუალების უქონლობის პირობებში საკითხი ისმის ისე, რომ ან სრუ-  
ლიათ უსანქციოთ უნდა იქნეს დატოვებული მორალური ზიანის მიყე-  
ნება, ან მას სანქციოთ ფულადი თანხის გადახდა უნდა დაენიშნოს.  
უსანქციოთ რაიმე უფლების შელახვის დატოვება თვით ამ უფლების  
უარყოფას უდრის და, ამიტომ, უეჭველათ მისაღებია ის შეხედულება,  
რომ უკეთეს[ი] საშუალების უქონლობის გამო სამართალი ფულადი  
თანხის გადახდევიწებით მაინც უნდა მფარველობდეს იმ უფლებებს,  
რომელთა გადალახვასაც მოსდევს მორალური ზიანი. მართალია, არ  
არსებობს არავითარი ობიექტიური საზომი იმის გამოსარკვევათ, თუ რა-  
ოდენი თანხა უნდა იქნეს გადახდილი მორალურ[ი] ზიანის თით[ო]ეულ  
შემთხვევაში, ვინაიდან მორალი და ფული თანაზომიერი ოდენობანი არ  
არიან, მაგრამ სამართლისთვის ეს გარემოება დაუძლეველ დაბრ-  
კოლებას არ შეადგენს; გადასახდელ[ი] თანხის რაოდენობის განსაზღ-  
ვრა ამგვარ შემთხვევებში ენდობა სასამართლოს თავისუფალ მიხედუ-  
ლებას, რომელსაც კანონმდებელი ჩვენს დროში ხშირათ მიმართვას.  
როგორც ყველა ქვეყნის და ხალხის გამოცდილებით მტკიცდება, რაც

---

<sup>1</sup> იგულისხმება სამართლებრივი [თ.ნ.].

უფრო მეტი ნდობით აღიჭურვება სასამართლო, მით მეტი სამართლიანობა მიიღწევა. თუ სასამართლოს თავისუფალი მიხედულება სანდო ყავარჯენია დანაშაულობისთვის შესაფერ[ი] სასჯელის ანუ სოციალურ[ი] დაცვის ღონისძიების ამოსარჩევად, რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი იმავე[ე] სასამართლოს მიხედულებას მიენდოს მორალურ[ი] ზიანისთვის თით[ო]ეულ შემთხვევაში მდგომარეობის და გარემოებათა მიხედვით დანიშნოს რაოდენობა ასანაზღაურებელი თანხისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მორალურ[ი] ზიანის ფულადი ანაზღაურება შემოღებულ უნდა იქნეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი უსიამოვნებისთვის ფულადი ანაზღაურების დაწესება მიგვაჩნდეს მიზანშეწონილათ. პირიქით, მორალური ზიანის თით[ო]ეული ტიპური შემთხვევა შეფასებულ უნდა იქნეს მოქმედ[ი] სამართლის სისტემის საერთო მიზნების თვალსაზრისით და ანაზღაურდეს მხოლოდ ის ზიანი, რაც დაცვის ღირსი მორალური სიკეთის შელახვისაგან წარმოსდგება. მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მისცემს ხელში სასამართლოს მძლავრ იარაღს უშუალო გავლენა იქონიოს მოქალაქეთა ცხოვრების იმ მხარეებზე, რომელთაც ყველაზე უფრო ინტიმური ხასიათი აქვთ და რომელთა გამოვლინებასაც წარმოადგენს ე.წ. ყოფა-ცხოვრება. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ წერილის დასაწყისში, ჩვენი სამოქ[ალაქო] სამარ[თლის] კოდექსი 403-ე მ[უხლი] არავითარ ფორმალურ დაბრკოლებას არ შეიცავს მორალურ[ი] ზიანის ანაზღაურების შემოღებისთვის, ხოლო შემოღებულ იქნება თუ არა იგი, ეს დამოკიდებულია ჩვენ სასამართლოებზე და სასამართლოთა მოღვაწეობის ხელმძღვანელებზე.

## ბაუთვალისწინაბაღალი ხელშეკრულებანი\*

† გრიგოლ რცხილაძე (1876-1934)

სამოქალაქო სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ხელშეკრულებითი ვალდებულებანი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეიძლება დალაგებულ იქნენ ჯგუფებათ. ერთ-ერთი ასეთი ნიშანი არის ის ეკონომი[კური] ფუნქცია, რაც ხელშეკრულებით შესრულდება. ამ ნიშნის საფუძველზე სამ[ოქალაქო] სამ[ართლის] კოდექსში გათვალისწინებული ხელშეკრულებანი განიყოფიან ხუთ შემდეგ ჯგუფათ: ა) გასხვისების ხელშეკრულებანი (ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება), ბ) სარგებლობის და გამოყენების ხელშეკრულებანი (ქირავნობა, სესხი), გ) ნაკეთობის ხელშეკრულებანი (ნარდათ მუშაობა, მიყიდვა-მინოდება, მინდობილობა, რწმუნებულება, კომისია), დ) ამხანაგობის ხელშეკრულებანი (მარტივი ამხანაგობა, სრული ამხანაგობა, ნდობის ამხანაგობა, შებღუდულ[ი] პასუხისმგებლობის ამხანაგობა, სააქციო საზოგადოება) და ე) უზრუნველყოფის ხელშეკრულებანი (კირავნობა, თავდებობა, ჯარიმა, ბე, დელკრედერე, დაზღვევა).

ხელშეკრულებათა ეს დალაგება ჯგუფებათ ეკონომი[კური] დანიშნულების მიხედვით ერთადერთ შესაძლებლობას არ წარმოადგენს. იმავე[ე] ნიშნის მიხედვით შესაძლებელია, აგრეთვე, სხვანაირი დალაგება; მისალგებია, მაგ[ალითად], ცალკე ჯგუფათ იქნენ გამოყოფილი

---

\* პირველად გამოქვეყნდა 1928 წელს ჟურნალში - „საბჭოთა სამართალი“. იხ. რცხილაძე გ., გათვალისწინებული ხელშეკრულებანი, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №9, 1928 [თ.ნ.].

† ცნობილი ქართველი ცივილისტი, დამცველთა კოლეგიის წევრი, ადვოკატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ლექტორი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოების თავმჯდომარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საზოგადოების წევრი [თ.ნ.].

კრედიტის ხელშეკრულებანი, მაგრამ ამ სხვაობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან დალაგების, ე.ი. სისტემატიზაციის წესს თავისთავად გადაწყვეტი ძალა არ ეკუთვნის ხელშეკრულებასთან შეკავშირებულ[ი] იურიდიულ[ი] საკითხებისათვის და ის მხოლოდ გვეხმარება გავითვალისწინოთ, რა იურიდიული საშუალებით მიიღწევა სამოქალაქო ბრუნვაში ესა თუ ის ეკონომი[კ]ური მიზანი. გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო სამ[ართლის] კოდექსში თითოეულ[ი] ჯგუფის თითოეულ[ი] სახის ხელშეკრულებაზე ცალკე ლაპარაკობს და თითოეულისთვის ცალკე ნორმებს აწესებს. ეს ნორმები ჰქმნიან თითოეულ[ი] ხელშეკრულების ტიპს და არკვევენ, რა უფლებანი და მოვალეობანი ეკუთვნის ამა თუ იმ ტიპის ხელშეკრულების მონაწილეებს (მხარეებს) ერთმანეთის მიმართ.

სრულიად უდავოა, რომ სამ[ოქალაქო] სამ[ართლის] კოდ[ექს]ში გათვალისწინებული თითოეული ტიპი ხელშეკრულებისა მიუთითებს, რა უფლება და რა მოვალეობა აქვს ხელშეკრულების თითოეულ მონაწილეს, მაგრამ ამ უდავო დებულებით გადანწყვეტილი არ არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა შეადგენს უფლებათა და მოვალეობათა კუთვნილების წყაროს. ამ კითხვაზე წარმოსადგენია ორი სხვადასხვანაირი პასუხი: ერთი ის, რომ უფლებათა და მოვალეობათა წყარო არის სამ[ოქალაქო] სამ[ართლის] კოდექსის დადგენილება (ე.ი. ნორმა), ხოლო მეორე ის, რომ წყაროს მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას და არა ნორმას, რომელიც არ ჰქმნის უფლებას და მოვალეობას, მხოლოდ უჩვენებს და მიუთითებს ამ უფლებებზე და მოვალეობებზე, როგორც უკვე წარმოშობილზე დადებულ[ი] ხელშეკრულებიდან. არა გვგონია საჭირო იყოს საგანგებოთ შეაჩეროთ იმ მნიშვნელობაზე, რაც ამ ორ სანინალმდევო პასუხის შესაძლებლობაშია ჩაქსოვილი. თუ სიმართლე პირველ პასუხს ეკუთვნის, თუ ხელშეკრულებითი უფლებანი და მოვალეობანი ჩნდებიან სამ[ოქალაქო] სამ[ართლის] კოდექსის ნორმებიდან ლოგიკურად აუცილებელია დასკვნა, რომ არავითარი უფლება და მოვალეობა არ შეიძლება წარმოსდგეს ისეთი ხელშეკრულებისაგან, რომელიც მოხსენებული და გათვალისწინებული არ არის სამ[ოქალაქო] სამ[ართლის] კოდექსში; პირიქით, თუ სიმართლე მეორე პასუხს ეკუთვნის - თუ უფლებანი და მოვალეობანი კოდექსის ნორმის მიერ

მხოლოდ აღინიშნებიან, წარმოშობით კი ხელშეკრულებიდან წარმოიშობიან, ამ შემთხვევაში, აუცილებელია ვიფიქროთ, რომ ხელშეკრულება, თუნდაც გაუთვალისწინებელი და მოუხსენიებელი კოდექსში, მაინც შესძენს მის მონაწილეებს უფლებებს და მოვალეობებს, რომელნიც კოდექსში ნაჩვენები და მითითებული არ არიან, მაგრამ მაინც ნამდვილათ წარმომდგარი არიან. ამნაირათ, მეტათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხი - ჩნდება თუ არა ვალდებულება ისეთი ხელშეკრულებიდან, რომელიც გათვალისწინებული არ არის სამოქ[ალაქო] სამართ[ლის] კოდექსში გადაწყდება საბოლოოთ დადებითად ან უარყოფითად იმის მიხედვით, თუ რა იქნება აღიარებული უფლებათა და მოვალეობათა წყაროთ - კოდექსი თუ ხელშეკრულება.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანაბარი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ყოველ კანონს, რომელიც კი ტიპურ ხელშეკრულებას ითვალისწინებს. კოდექსი უფლებათა და მოვალეობათა წყაროდ შეიძლება იყოს არა იმ თავის თავისებურობის გამო, რომელიც მას გამოაცალკევებს სხვა საკანონმდებლო აქტებიდან, არამედ იმ თავის ხასიათით, რომელიც მას ეკუთვნის როგორც კანონს და საერთო აქვს ყველა სხვა საკანონმდებლო აქტებთან. ამიტომ, ზემოთ მოცემული საკითხის დაყენებაში სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნაცვლათ ყველგან შეგვიძლიან ვიგულისხმოთ პირდაპირ კანონი, სულ ერთია რა სახელწოდება ან გარეგანი ფორმა აქვს მას - კოდექსის, დეკრეტის, დებულების, დადგენილების თუ კიდევ სხვა რამ.

ჩვენ მიერ დაყენებული საკითხი ცნობილია სამართლის მეცნიერებაში დახურულ[ი] რიცხვის (Numerus Clausus) პრობლემის სახელით. ამ საკითხს სანივთო და ვალდებულების სამართლისათვის ყოველთვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელივ და განცალკევებულათ არკვევენ. ადვილი გასაგებია რატომ. სანივთო უფლება ყოველთვის ერთგვარ საჯარო მომენტს შეიცავს, მას აბსოლუტური ხასიათი აქვს, და რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია ხელშეკრულება, დადებული განსაზღვრულ[ი] კერძო პირებით თანხმობის საფუძველზე, რაიმე გავლენას მოიპოვებდეს იმ პირების უფლებათა და მოვალეობათა გარეშე, ვინც ხელშეკრულება დადეს. ამ ძირითად[ი] მოსაზრების საფუძველზე, სრულიად უდავოა, რომ სანივთო სამართალში დახურულ[ი] რიცხვის პრინ-

ციპი ურყევად და მტკიცეთ უნდა ტარდებოდეს. საქართველოს უმუნაეს[ი] სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო საკრებულოსა და პლენუმის პრაქტიკაში, მართალია, ზოგჯერ იურიდიული მნიშვნელობა აქვს მიცემული ისეთ სანივთოუფლებრივ ხელშეკრულებას, რომლის ტიპიც არც სამ[ოქალაქო] სამ[ართლის] კოდექსში, არც სხვა რაიმე საკანონმდებლო აქტში გათვალისწინებული არ არის, მაგალითად, სიკვდილამდე ნივთების უსასყიდლო სარგებლობის (უზუსტურექტუს) დამანესებელ ხელშეკრულებას, მაგრამ ამის მაგალითები იშვიათი და შემთხვევითი ხასიათისანი არიან, რაც დაბრკოლებას არ წარმოადგენს ან არ უნდა წარმოადგენდეს იმისთვის, რომ გადაჭრით იქნეს აღიარებული ჩვენს სანივთო სამართალში დახურული რიცხვის პრინციპი.

ვალდებულების მიმართებაში უფლება (მოთხოვნის უფლება) და მოვალეობა საჯარო ხასიათს არ ატარებს. აქ უფლება ტრის მხოლოდ იმ განსაზღვრულ პირის ან პირების მიმართ, ვინც ვალდებულების მიმართების წრეშია მოქცეული. საჯარო[ო]ბის ნაცვლათ მოთხოვნის უფლებას კარჩაკეტილობა ახასიათებს. ამიტომ იმ მოსაზრებისათვის, რომელიც დახურულ[ი] რიცხვის პრინციპს სანივთო სამართალში აუცილებლათ ჰქმნის, ვალდებულების სამართალი მიუწვდომელია. აქ ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რა შეადგენს ვალდებულების წყაროს, თვით ხელშეკრულება თუ კანონი.

რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს, ეს სრულიად ნათელია სასამართლოს ყველა მოღვაწისთვის. საკმარისია გავიხსენოთ, რომ სამოქალაქო ბრუნვა ვერ ეტევა კანონის მიერ ნაჩვენებ ტიპიურ ვალდებულებებში და ხშირათ ისეთს ხელშეკრულებებს მოიმარჯვებს, რომელნიც გათვალისწინებული არ არიან არც სამ[ოქალაქო] სამ[ართლის] კოდექსში, არც სხვა რომელიმე კანონში. ამგვარი ხელშეკრულებაა, მაგალითად, ამანათის ხელშეკრულება, უსასყიდლო სარგებლობისთვის ნივთის მიცემის (თხოვების) ხელშეკრულება დაბრუნების პირობით, მოსამსახურე პირთან დადებული ხელშეკრულება ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, თამასუქის გადაბარება მოვალისათვის გასანაღლებლათ წარდგენის მიზნით, სპეციალური მიმდინარე ანგარიშის ხელშეკრულება, ჩეკი და მრავალი სხვა. როგორ უნდა შეფასდეს ასეთი,



კანონის მიერ გაუთვალისწინებელი ხელშეკრულება, როგორც იურიდიულათ უმნიშვნელო ფაქტი, თუ როგორც იმ უფლებათა და მოვალეობათა წყარო, რაც ნაჩვენებია მის შინაარსში?

ინდივიდუალიზმის ნიადაგზე აღმოცენებული ევროპული სამართალი ისევე, როგორც რომის სამართალი, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის არაავითარ დაბრკოლებას არ ჰხვდება. ინდივიდუალისტური თვალსაზრისით უკანასკნელი და უღრმესი საფუძველი ყოველივე უფლებისა არის ნებისყოფა, ხოლო სამოქალაქო სამართლის ასპარეზზე კი, კერძო პირის ავტონომიური ნებისყოფა. ეს კერძო ნებისყოფა ინდივიდუალისტურ[ი] შემეცნებისათვის თ[ვ]ითონ არის განსაზღვრული ღირებულება, რომელიც ზოგჯერ საზოგადოებრივი[ი] ინტერესების დასაცავათ შეიძლება რამდენადმე შეიზღუდოს, მაგრამ ვიდრე ასეთი შეზღუდვა სპეციალურათ არ არის დაწესებული საკანონმდებლო აქტით, იგი სამართლის მიერ ყოველმხრივ დაცულ[ი] უნდა იქნეს. ამიტომ თანამედროვე ევროპულ სამართალში ხელშეკრულება, როგორც კერძო ნებისყოფის ერთ-ერთი გამოხატულება, ბუნებრივად განიხილება ვალდებულების წყაროთ და ამიტომ ვალდებულების სამართლის ასპარეზზე დახურულ[ი] რიცხვის პრინციპს არც შეიძლება ადგილი ჰქონდეს.

საბჭოთა სამართალი, როგორც ვიცით, ინდივიდუალისტური სამართალი არ არის. კერძობა, საერთოთ, ხოლო კერძო ნებისყოფა, განსაკუთრებით, მას არ მიაჩნია სათაყვანებელ ფეტიშათ. მარტო იმის გამო, რომ ხელშეკრულება კერძო ნებისყოფათა თანხმობაა, იგი სამართლის წყაროთ აღიარებული ვერ იქნება. საბჭოთა სამართლის გამოსავალი წერტილები იმყოფებიან ადამიანთა ცხოვრების სოციალურ მონყობილობაში, სწარმოო ძალა განვითარების ინტერესში, შრომის და მშრომელთა ინტერესების დაცვაში და არა ინდივიდის ნებისყოფაში, ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ საკითხი კანონში გაუთვალისწინებელ ხელშეკრულებათა იურიდიული მნიშვნელობის შესახებ ისე მარტივად ვერ გადაწყდება საბჭოთა სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში, როგორც ევროპიულ ქვეყნებში. ეგრეთ წოდებული ხელშეკრულებითი თავისუფლება საბჭოთა სამართლის მიერ აღიარებული პრინციპი არ არის. საბჭოთა სამართალი მიმართულია არა ხელშეკ-

რულებითი თავისუფლებისკენ, არამედ ადამიანთა სამეურნეო მოქმედების რეგულაციისაკენ ქვეყნის ერთიან[ი] სამეურნეო გეგმის საფუძველზე. საბჭოთა სამართლის ამ ძირითად[ი] თავისებურების გავლენით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებითი ვალდებულებანი დღევანდლამდე კითხვის ქვეშ სდგანან. მართალია, საბჭოთა სასამართლოების პრაქტიკიდან მრავალი ისეთი მაგალითი შეიძლება იქნეს დასახელებული, რომლებიც გამოამხელებენ, რომ გაუთვალისწინებელ ხელშეკრულებასაც იურიდიული ძალა აქვს მითვისებული ვალდებულებათა სფეროში, მაგრამ მისი აღჭურვა ამ ძალით ყოველთვის ისეთი მოტივაციით ხდება, რომ პრინციპიალური საკითხი დაიჩრდილოს და გაუთვალისწინებელი ხელშეკრულება გამართლებულ იქნეს, როგორც თითქოს კანონის მიერ გათვალისწინებული. განსაკუთრებით ხშირია გაუთვალისწინებელ ხელშეკრულებათა გამართლება საზოგადოებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წესდებებით და ინსტრუქციებით, თითქოს ეს უკანასკნელნი საკანონმდებლო აქტებს წარმოადგენდნენ ან მათი თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდეთ.

ჩვენის აზრით, ეს იურიდიული სკეპტიციზმი ისეთ ხელშეკრულებათა მიმართ, რომელნიც კანონის მიერ არ არიან სპეციალურათ მოხსენებული და გათვალისწინებული, არა თუ არ არის გამართლებული სამოქალაქო სამართლის კოდექსით, პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელს. ვალდებულების სამართლის მეორე თავი - „ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულებანი“ - არ შეიცავს სრულიად არავითარ მითითებას ისეთ დებულებაზე, რომ მხოლოდ კანონში გათვალისწინებულ ხელშეკრულებას ეკუთვნოდეს ძალა ვალდებულების წარმოშობის; ამის ნაცვლათ აქ კანონის მიერ მოცემულია ხელშეკრულების რეკვიზიტები ისეთ ზოგად და განყენებულს ფორმაში, რომ ხელშეკრულების შინაარსის არავითარი ნატამალი არ არის დატოვებული. რაც კანონის მიერ აღნიშნულ რეკვიზიტებს აკმაყოფილებს, ის ხელშეკრულებაა, ხოლო ს[ამოქალაქო] ს[ამართლის] კ[ოდექსის] 106-ე მუხლის თანახმად კი, ხელშეკრულებიდან წარმოიშვის ვალდებულება ისევე, როგორც კანონის მიერ აღნიშნულ[ი] სხვა საფუძვლიდან. ამნაირათ ჩვენი სამოქალაქო სამართლის კოდექსის პირდაპირი და ნათლათ აღიარებული პრინციპი ის არის, რომ ყოველი ხელშეკრულება

წარმოშობს ვალდებულებას და არა მარტოდენ საგანგებოთ გათვალისწინებული, თუკი ის აკმაყოფილებს კანონის მიერ დადგენილ რეკვიზიტებს. არცერთი სიტყვით არსად ჩვენს სამოქალაქო სამართლის კოდექსში ხელშეკრულების რეკვიზიტათ არ არის მოხსენებული პირობა, რომ მისი ტიპი საგანგებოთ იყოს გათვალისწინებული. გაუთვალისწინებელი ხელშეკრულება უკანონოთ ან კანონის საწინააღმდეგოთ არ ჩაითვლება მარტო იმ ფორმალური მოსაზრების ძალით, რომ იგი სპეციალურათ გათვალისწინებული არ არის. ხელშეკრულების ტიპების გადმოცემას კოდექსში ეკუთვნის არა სარეგულაციო, არამედ მხოლოთ ნებისყოფის შემავსებლობის მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, შევსების ფუნქცია არსებითად განირჩევა ვალდებულების წარმოშობის ფუნქციისაგან. წარმოშობის ფუნქცია ხელშეკრულებას მითვისებული აქვს ს[ამოქალაქო] ს[ამართლის] კ[ოდექსის] 106-ე მუხლით, შევსების ფუნქცია კი, ეკუთვნის კანონის მიერ თითოეულ[ი] ხელშეკრულების ტიპურ[ი] შინაარსის გადმოცემას.

ვალდებულების სამართლისთვის დახურულ[ი] რიცხვის პრინციპის უარყოფა და ხელშეკრულებითი თავისუფლების აღიარება ერთი და იგივე არ არის. ხელშეკრულებითი თავისუფლება, ისე როგორც ინდივიდუალიზმის ყველა სხვა გამოხატულება, უარყოფილია ჩვენი სამოქალაქო სამართლ[ის] კოდექსის პირველ მუხლში, ვინაიდან დადგენილია, რომ არ დაიცვის უფლება, თუ იგი თავის სოციალურ-სამეურნეო დანიშნულებას ეწინააღმდეგება. ეს შეზღუდვა ვრცელდება ყველა უფლებაზე და, სხვათა შორის, ისეთ მოთხოვნის უფლებაზედაც, რომელიც წარმოიშვის კოდექსში გათვალისწინებულ[ი] ტიპის ხელშეკრულებიდან, რა თქმა უნდა, ეს შეზღუდვა ვრცელდება გაუთვალისწინებელ[ი] ტიპის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებაზედაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თავის[ი] შინაარსით ს[ამოქალაქო] ს[ამართლის] კ[ოდექსის] 1-ლი მუხლის ქვეშ მოჰყვება, და არა იმიტომ რომ კანონში მოცემული არ იყოს ტიპი იმ ხელშეკრულებისა, საიდანაც ვალდებულება წარმოიშვება. აქედან ნამდვილათ სჩანს, რომ ინდივიდუალიზმის დასაძლევათ საბჭოთა სამართალი საჭიროთ არა სთვლის ჩამოაცალოს ხელშეკრულებას ვალდებულების წარმოშობის ძალა; ამ

მიზნისათვის საბჭოთა სამართალი სრულიად სხვა ღონისძიებას მიმართავს, ვინაიდან სამართალში ინდივიდუალიზმის უარყოფითი გამოვლინების დაძლევა უფრო ფართე ამოცანაა, ვიდრე ვალდებულებათა საფუძვლების დანესება. მართალია, რომ ხელშეკრულება საბოლოოთ კერძო ნებისყოფას ემყარება, თუნდაც თვით ნებისყოფის ნაცვლათ მის გარეგან გამოვლინებას მიეწერებოდეს იურიდიული მნიშვნელობა თანახმათ ხელშეკრულების სოციალური თეორიისა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მთელი სისტემა გამონგვეულია იმ ახალ[ი] ეკონომი[კ]ურ[ი] პოლიტიკით, რომელიც 1922 წლიდან გადაჭრით აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებათ აღიარებს ქვეყნის ეკონომი[კ]ურ ძალთა განვითარებისთვის მიჩუმებულ საზღვრებში თავისუფალი ასპარეზი მიეცეს კერძო თაოსნობას და წაქეზებულ იქნეს თითოეული მოქალაქე ამ ასპარეზზე მოქმედების გასაშლელათ. რამდენათაც სამოქალაქო სამართალი, აუცილებელივ, კერძო თაოსნობის სამოქმედო ასპარეზის საკანონმდებლო მონესრიგებაა, იმდენათ საბჭოთა სამოქალაქო სამართალიც იურიდიულ[ი] მნიშვნელობის ფაქტათ სთვლის ხელშეკრულებას იმის და მიუხედავათ, გათვალისწინებულია თუ არა კერძოთ ტიპი ამა თუ იმ ხელშეკრულებისა კოდექსში ან სხვა რამ სპეციალურ კანონში.

## მატერიალური ჭეშმარიტება და სასამართლოს ინისიატივა\*

### † აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე (1888-1969)

პროცესი საშუალებაა წესთა კრებულის ანუ ნორმების ცხოვრებისათვის შესატარებლად. სრულიად მართალნი არიან ის იურისტები და სამართლის თეორეტიკოსები დასავლეთ ევროპაში, რომლებიც დადებით სამართალს აფასებენ, როგორც დოგმატიურ მოვლენას, ნებისყოფის მომენტთან დაკავშირებულს. მაგრამ ნებისყოფა კანონის როგორც ბრძანების, როგორც სავალდებულოების ფორმაში მოცემული არ შეადგენს კანონის გამოყენების შესაძლებლობასაც და უზრუნველყოფასაც.

კანონი რომ ცხოვრების კანონად იქცეს, ე.ი. მან რომ ცხოვრების მონესრიგება შესძლოს, საჭიროა მოქმედებათა ახალი რიგი, კანონის გამოყენების შემსვლელი და მაჩვენებელი. ამ ახალ მოქმედებათა რიგს, როგორც ასეთს, კიდევ ახალი წესი ესაჭიროება და აი, სწორედ ესაა პროცესის ბუნებრივი ადგილი.

ასეთი განმარტება გვესაჭიროება არა იმისათვის, რომ პროცესის ბუნების შესახებ ძველ დისკუსიას დავუბრუნდეთ. საბჭოთა იურისპრუდენცია აღიარებს პროცესის დამოუკიდებელ ღირებულებას თეორიაშიც და პრაქტიკაშიც. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, როგორ სდგას ჩვენს პროცესში საკითხი ე.წ. „მატერიალურ[ი] ჭეშმარიტების“ შესახებ, რა

---

\* სტატია პირველად გამოქვეყნდა 1928 წელს ჟურნალში - „საბჭოთა სამართალი“. იხ. ნუცუბიძე შ., მატერიალური ჭეშმარიტება და სასამართლოს ინისიატივა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, 1928 [თ.წ.].

† ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პრორექტორი, სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი, ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944 წ.), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961 წ.), მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, ოსუ-ის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი [თ.წ.].

დამოკიდებულებაშია იგი პროცესის იმ მოთხოვნასთან, რომელიც ლაპარაკობს, რომ „ჭეშმარიტება რაც შეიძლება ნათლად იქნეს გამოკვეთილი“ (სისხლ[ის] სამართლის] საპროცესო] კოდექსის] 275-ე მუხ[ლის] ნაწილი] I) ან იმ „გარემოებათა გამოკვეთაზე, რასაც საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა ექნება“ (სამოქალაქო] სამართლის] საპროცესო] კოდექსის] მე-7 მუხ[ლი]). ასეთი საკითხი მით უფრო ბუნებრივია, რომ ზოგიერთებს სწორედ აქ მოყვანილი პროცესუალური მოთხოვნები მიაჩნიათ იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ საბჭოთა პროცესი ემყარება „მატერიალური ჭეშმარიტებისადმი“ მისწრაფების პრინციპს. ასეთია, მაგ., პროფ. ლიუბლინსკის შეხედულება.

არ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დებულება თავისთავად ცხადი და ნათელი იყოს. „მატერიალური ჭეშმარიტების“ პრინციპით გატაცებას შეუძლია შექმნას მდგომარეობა, როდესაც მოსამართლე ადვილად დაადგება გზას წესის და კანონის გადაღმა „ცხოვრების ჭეშმარიტების“ მოძებნისა და დანახვისას. ეს ის გზაა, რომელზეც მთელი პროცესი, ადვილად შესაძლებელია, მარტოოდენ ფაქტიური კვლევადიების სარბიელად იქცეს და საშიშროება არა მარტო იქ შეიქმნება, სადაც სასამართლო ფორმალურ] მოთხოვნათა სფეროს ფაქტიურ[ი] საფუძვლებით ამოვსებას შეუდგება, არამედ იქ, სადაც „საჭირო ფორმალობა“ (სსსკ მე-7 მუხლი) და ფაქტიურობის ძებნა ერთი მეორეს დაუპირისპირდება.

ცხადია, რომ ჩვენი პროცესი არ სდგას ფორმალურ] თეორიის ნიადაგზე. ეს ნიადაგი დიდი ხანია დატოვებულია ბურჟუაზიულ[ი] სასამართლოს მიერაც კი. შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურ] თეორიის წინააღმდეგ ბრძოლამ იმდენად მძაფრი სახე მიიღო, რომ თითქმის უკიდურესობას მიაღწია და თავისუფალი დარწმუნების პრინციპი მოჭარბებულად წამოაყენა წინ. ეს ბრძოლა კანონიერი იყო, მაგრამ საბჭოთა კანონმდებლობაში, განსხვავებულად ბურჟუაზიული-საგან, თავისუფლება არ შეიძლება კერძო ინიციატივის თავისუფლებას ნიშნავდეს. ამით ისმება საკითხი: რას ნიშნავს ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა სამართალში და რა დამოკიდებულებაშია იგი (სასამართლოს, ანუ მოსამართლის ინიციატივასთან) „მატერიალურ[ი] ჭეშმარიტების“, ე.ი. საქმის არსებითი მხარის გარკვევის დროს?

სისხლ[ის] სამ[ართლის] საპრ[ოცესო] კოდ[ექსის] 56-ე მუხ[ლი] კატეგორიულად აღიარებს, რომ „სასამართლო არაავითარი ფორმალური დამამტკიცებელი საბუთით არ არის შეზღუდული“ და ამით, ყოველივე მერყეობის გარეშე მოცემულია ფორმალიზმის სანინაალმდეგო პოზიცია. შეიძლება აქედან დავასკვნათ, რომ, მაშასადამე, საბჭოთა სამართალი „მატერიალური ჭეშმარიტების“ პრინციპზე დგას? საკითხის ასეთი დაყენება არ იქნება სწორი; საჭიროა შესწორება, რომელსაც პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა აქვს.

რას უნდა ნიშნავდეს საბჭოთა პროცესის თვალსაზრისით მატერიალური ჭეშმარიტება? თავისთავად ცხადია, რომ თვითონ ამ ჭეშმარიტების „მატერიალური“ განმარტება შეუძლებელია, ე.ი. არ შეიძლება აღინიშნოს შინაარსის მხრივ, რაში უნდა მდგომარეობდეს მატერიალური ჭეშმარიტება. მაშინ უნდა მოვნახოთ ისეთი განმარტება, რომელიც ყოველ შესაძლებელ ფაქტიურ შემთხვევას, ასევე, ფაქტიურად შეიცავდეს. მეცნიერებამ დიდი ხანია გაარკვია, რომ ასეთი განმარტება „მატერიალური ჭეშმარიტების“ არ შეიძლება არსებობდეს და, მაშასადამე, მატერიალური ჭეშმარიტებაც შეიძლება ფორმალურად იქნას განმარტებული, ე.ი. უნდა მითითებულ იქნას წესებზე, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს სიმართლეს და სისწორეს, რამდენადაც ეს უკანასკნელი მართლმსაჯულების დასაყრდენს წარმოადგენს. სხვა გზა არ არსებობს და ვინც პროფ. ლიუბლინსკის დავგარად განაცხადებს, რომ საბჭოთა პროცესი „მატერიალურ[ი] ჭეშმარიტების პრინციპზე დგას“-ო ის არ იძლევა გარკვეულ პასუხს მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. „მატერიალური ჭეშმარიტების“ განმარტება შეიძლება მხოლოდ მოთხოვნის სახით, ე.ი. „რომ ჭეშმარიტება, რაც შეიძლება ნათლად იქნას გამორკვეული“ და სწორედ ასე სწყვეტს საკითხს ჩვენი პროცესი (სისხლ[ის] სამ[ართლის] საპრ[ოცესო] კოდ[ექსის] 257-ე მ[უხლი]).

რამდენადაც ეს ასეა, ნათელია ისიც, რომ საბჭოთა პროცესი ფორმალიზმის წინააღმდეგ ხელაღებით ბრძოლით კი არ საზრდოობს, პირიქით, სწორედ იქ, სადაც ჩვენი პროცესი საქმის არსებითი მხარეების გარკვევას უსვამს ხაზს (იხ. სამ[ოქალაქო] სამ[ართლის] საპრ[ოცესო] კ[ოდექსის] მე-7 მ[უხლი]) აღიარებს, აგრეთვე, „საჭირო ფორმალობის“ პრინციპს. მაშასადამე, ეს ორი მომენტი „საქმის არსებითი მხარე“

(„მატერიალური ჭეშმარიტება“) და „საჭირო ფორმალობა“ ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება და არ უარყოფს. პირიქით, ისინი მთლიანი პროცესის განუცალკევებელი მომენტებია და ერთი უმეოროდ მართლმსაჯულებას ავნებდა. სწორედ ამის მიხედვით საბჭოთა პროცესს გადააქვს ცენტრი სასამართლოს ინიციატივის საკითხში და სწორედ ესაა მისთვის დამახასიათებელი. საბჭოთა კანონმდებლობა აქტიურია არა მარტო ნორმის საშუალებით გამოჭედილ ნებისყოფაში, იგი აქტიურია ნორმის შეფარდების საფუძვლის დადგინებაშიაც. თუ საწარმოო ძალთა განვითარების და კლასობრივი თვალსაზრისის ნიადაგზე საბჭოთა კანონმდებლობამ სამოქალაქო მატერიალურ სამართალს გამოაცალა კერძო სამართლის ბალავერი და სახელმწიფოებრივ[ი] მიზანშეწონილობის პრინციპით იგივე საჯარო სამართლის სფეროს აზიარა, მის ბაღდად პროცესში კიდევ უფრო ხაზგასმით სასამართლოს ინიციატივის პრინციპი დაამკვიდრა. ესაა მთავარი და არა „მატერიალური ჭეშმარიტების პრინციპი“, რომელიც სქოლასტი[კ]ურ დაპირისპირებათა არსენალიდან ამოღებული ცნება უფროა, ვიდრე ახალ[ი] ვითარებისათვის საჭირო და გამოსადეგი პრინციპი.

მაშასადამე, „მატერიალური ჭეშმარიტება“ არაა რაიმე დოგმა საბჭოთა პროცესისათვის, იგი უნდა განტვირთულ იქნას ყოველივე დოგმატი[კ]ურობისაგან; იგი არის მოთხოვნა წმინდა პროცესუალური ხასიათის, რომლის მთავარი აზრია სასამართლოს ინიციატივის პირველ ადგილზე წამოყენებაში. მის მოწინააღმდეგე ბანაკში სდგას, მაგალ[ითად], ინგლის-ამერიკული პროცესი, რომელსაც მოსამართლის პირმომთნე პასი[ურ]ობით სურს შექმნას ფილისტერული შთაბეჭდილება მიუდგომლობისა და მართლმსაჯულების. ამის საწინააღმდეგოთ, საბჭოთა პროცესი მოითხოვს მოსამართლისაგან, რომ ის „არ უნდა დასჯერდეს წარდგენილ ახსნა-განმარტებას და მასალას“ და გამოიჩინოს საკუთარი ინიციატივა, როგორც, საერთოდ, ისე, კერძოდ, ყველა მშრომელს, რომელიც სასამართლოს მიმართავს, აქტიური დახმარება „უნდა გაუწიოს უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვისათვის“ (სსსკ-ის მე-7 მუხლი).

ეს არის დამახასიათებელი საბჭოთა პროცესისათვის და „მატერიალური ჭეშმარიტებაში“ საჭირო და სასარგებლოა არა დოგმატიკა,



არამედ პროცესუალურ მოთხოვნა სასამართლოს ინიციატივის გამო-  
ჩენისა, რომ „ჭეშმარიტება, რაც შეიძლება ნათლად იქნეს  
გამორკვეული“ (სისხლ[ის] სამ[ართლის] საპრ[ოცესო] კ[ოდექსის] 257-  
ე მ[უხლი]).

## სისხლის სამართლის კანონის მოქმედაბა დროში\*

### † პროფესორი თინათინ წერეთელი (1903-1980)

1. საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით „ქმედობის დანაშაულებრივობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედობის ჩადენის დროს“.

კანონის ამ სიტყვებით თანმიმდევრულად არის გამოხატული დემოკრატიული პრინციპი: არ არის დანაშაული, არ არის სასჯელი კანონის გარეშე (nullum crimen, nulla poena sine lege).

ამ პრინციპის სწორად განხორციელებისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ, თუ რომელი კანონი ითვლება მოქმედად დანაშაულის ჩადენის დროს და, მეორე - როდის ითვლება ჩადენილად დანაშაულებრივი ქმედობა.

2. დროის ყოველ განსაზღვრულ მონაკვეთში შეიძლება მოქმედებდეს ამა თუ იმ ურთიერთობის მომწესრიგებელი მხოლოდ ერთი კანონი. ამ დებულებას ძალა აქვს სისხლის სამართლის კანონის მიმართაც, რომელიც ქმედობის დანაშაულებრივობას და დასჯადობას განსაზღვრავს.

მოქმედ კანონად ითვლება კანონი, რომელიც მიღებულია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ და ძალაში შესულია სათანადოდ დადგენილი წესის თანახმად. საბჭოთა კავშირის კანონების ძალაში

---

\* პირველად გამოქვეყნდა 1967 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“. იხ. წერეთელი თ., სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №2, 1967 [თ.ნ.].

† ცნობილი ქართველი იურისტი, სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1949), პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი (1950-1952), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის ხელმძღვანელი, საქართველოს უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი [თ.ნ.].

შესვლის წესი დადგენილია ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 19 ივნისის ბრძანებულებით „ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის კანონებისა, ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა, ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ (ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., №14, მუხ[ლი] 275).

საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რესპუბლიკის კანონთა ძალაში შესვლის წესი დადგენილია საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 4 მარტის ბრძანებულებით - „საქართველოს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] კანონებისა, საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა, საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ (საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., №2, მუხ[ლი] 6).

აღნიშნულ ბრძანებულებათა შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს კანონები და დადგენილებანი, აგრეთვე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებანი, რომელთაც საერთო მნიშვნელობა აქვთ ან ნორმატიულ ხასიათს ატარებენ, უნდა გამოქვეყნდეს სათანადო ოფიციალურ ორგანოში. ასეთ ოფიციალურ ორგანოდ საბჭოთა კავშირის კანონებისათვის ითვლება „ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“ და გაზეთი „იფვესტია“, ხოლო საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] კანონებისათვის - „საქართველოს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი საბჭოს უწყებები“ და გაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“.

სისხლის სამართლის კანონში შეიძლება პირდაპირ იქნეს აღნიშნული მისი ძალაში შესვლის დღე. ასეთ შემთხვევაში, კანონი ძალაში შედის სწორედ ამ დღიდან. მაგალითად, საქართველოს ს[აბჭოთა]

ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსი მიღებული იყო საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი საბჭოს მიერ 1960 წლის 30 დეკემბერს. კანონში სისხლის სამართლის კოდექსის დამტკიცების შესახებ მითითებულია, რომ იგი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1961 წლის 1 მარტიდან. როდესაც კანონის ძალაში შესვლის მომენტი სპეციალურად მისი მიღებისას გათვალისწინებული არ არის, ასეთ შემთხვევაში, კანონი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც 10 დღე გავა მისი გამოქვეყნების შემდეგ, ე.ი. ათდღიანი ვადის უკანასკნელი დღე-ღამის მომდევნო დღეს. მაგალითად, „ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“ მიღებულ იქნა 1958 წლის 25 დეკემბერს, გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიაში“ 26 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1959 წლის 6 იანვარს.

სასამართლოს უფლება არა აქვს ახალი კანონით განსაზღვროს ქმედობა, ჩადენილი დროის იმ მონაკვეთში, როცა ახალი კანონი თუმცა გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ იდევ ძალაში შესული არ არის.

განსაზღვრული ვადები კანონის გამოქვეყნებასა და მის ძალაში შესვლას შორის დადგენილია იმისათვის, რათა მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ გაეცნონ კანონებს და არ მოიმიზნონ კანონის უცოდინარობა თავის გასამართლებლად უკანონო მოქმედების ჩადენის დროს.

სასამართლო ორგანოები ყოველთვის სწორად ვერ აფასებენ ზემოაღნიშნულ დებულებებს კანონის ძალაში შესვლის შესახებ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ „დ“-ს საქმე. „დ“ მიცემული იყო პასუხისგებაში ქრთამის სისტემატურად გამოძალვისათვის. მოსკოვის საოლქო სასამართლომ მიუყენა მას ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წ[ლის] 20 თებერვლის ბრძანებულების - „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 ნაწილი. „დ“-მ ქრთამი უკანასკნელად 1962 წ. 3 მარტს აიღო. ბრძანებულება მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გამოქვეყნდა 21 თებერვალს, მაშასადამე, იგი ძალაში შევიდა 4 მარტს. ამიტომ რ[უსეთის] ს[აბჭოთა] ფ[ედერაციული] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლეს[ი] სასამართლოს პრეზიდიუმმა არასწორად ცნო „დ“-

სათვის ახალი ბრძანებულების მიყენება და გადააკვალიფიკირა მისი მოქმედება რ[უსეთის] ს[აბჭოთა] ფ[ედერაციული] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის 173-ე მუხლის მე-3 ნაწილით (იხ. Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1965 г., №1, стр. 13-14).

სისხლის სამართლის კანონი ძალას ჰკარგავს შემდეგი წესით: 1) როდესაც მას გააუქმებს ახალი კანონი; 2) როდესაც მას შეცვლის ახალი კანონი; 3) თუ თვით კანონში მითითებულია მისი მოქმედების ვადა - ამ ვადის გასვლის შემდეგ; 4) თუ კანონი გამოცემული იყო განსაზღვრულ პირობასთან ან გარემოებასთან დაკავშირებით - ამ პირობის თუ გარემოების მოსპობის შემდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია რამდენიმე მუხლი, რომელიც აწესებს ომის დროს ან სამხედრო ვითარებაში ჩადენილი დანაშაულის დასჯადობას. ასეთი კანონები მოქმედ კანონებად ითვლებიან, მაგრამ მათი გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ დანაშაული ჩადენილი იყოს ომიანობის დროს ან სამხედრო ვითარებაში.

3. მეორე საკითხი, რომელიც გარკვეული უნდა იქნეს მე-7 მუხლის სწორად გამოყენებისათვის, ეს არის ის საკითხი, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ქმედობა ჩადენილად. აქ მოქმედობს განსაზღვრული წესები დანაშაულის შემადგენლობის ხასიათის შესაბამისად.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტში, როდესაც შესრულებულია დანაშაულებრივი ქმედობის უკანასკნელი აქტი. უმოქმედობის შემთხვევაში დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შესრულებულიყო. ორაქტიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება უკანასკნელი აქტის შესრულების დრო. მაგალითად, თუ სპეკულაციის მიზნით საქონლის შესყიდვა ერთი სისხლის სამართლის კანონის მოქმედების დროს მოხდა, ხოლო გაყიდვა - მეორე სისხლის სამართლის კანონის მოქმედების დროს, სპეკულაცია ჩადენილად ითვლება გადაყიდვის მომენტში და მას ახალი კანონი მიეყენება. ეგრეთ წოდებული შედეგიანი დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობის) დროს, თუ აღსრულებითი მოქმედება ჩადენილია ერთი სისხლის სამართლის კანონის მოქმედების დროს, ხოლო დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა უფრო გვიან, როდესაც უკვე

სხვა სისხლის სამართლის კანონი მოქმედებდა, დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება არა შედეგის (კაცის სიკვდილის) განხორციელების მომენტი, არამედ ქმედობის (სანამლავის მიცემის და ა.შ.) ჩადენის დრო. განგრძობადი დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ მომენტში, როდესაც შესრულებული იყო უკანასკნელი დანაშაულებრივი აქტი. ამიტომ, თუ პირი სისტემატურად ფლანგავდა სახელმწიფო ქონებას, თანაც ამ განგრძობადი დანაშაულის ზოგიერთი აქტი მას ჩადენილი აქვს უფრო ადრე, ვიდრე გამოვიდოდა ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის დადგენილება „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რომელმაც გაზარდა სასჯელი ამ სახის დანაშაულისათვის, ხოლო ზოგიერთი აქტი კი, ჩადენილი აქვს აღნიშნული ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ, ერთიანი განგრძობადი დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება 1961 წ[ლის] 5 მაისის ბრძანებულების მოქმედების დროს. იგივე პრინციპი მოქმედებს მყოვარი დანაშაულის მიმართაც, რომელიც ჩადენილად ჩაითვლება იმ მომენტში, როდესაც შეწყდა დანაშაულებრივი მდგომარეობა.

თანამონაწილეობით დანაშაულის ჩადენის დროდ ჩაითვლება: ამსრულებლისათვის - აღსრულებითი მოქმედების ჩადენის მომენტი, ხოლო თანამონაწილეთათვის - მათი საკუთარი მოქმედების ჩადენის მომენტი. ამიტომ, თუ დანაშაულისაკენ ნაქმედების დროს ერთი სისხლის სამართლის კანონი მოქმედებდა, დანაშაულის აღსრულების დროს კი, ახალი კანონი მოქმედებს, ნამქმედების მოქმედება ჩადენილად ითვლება ძველი კანონის მოქმედების დროს, ხოლო ამსრულებლის მოქმედება - ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. წინასწარ შეუპირებელი დაფარვა ჩადენილად ითვლება არა იმ დროს, როცა ძირითადი დანაშაულია ჩადენილი, არამედ როცა დაფარვის მოქმედებაა განხორციელებული. ასევე, დანაშაულის განუცხადებლობა ჩადენილად ითვლება არა იმ მომენტში, როცა ძირითადი დანაშაულია ჩადენილი, არამედ - რამდენადაც განუცხადებლობა მყოვარი დანაშაულია - როცა შეწყდა დანაშაულებრივი მდგომარეობა.

4. დებულებიდან, რომ ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება მისი ჩადენის დროს მოქმედი კანონით, მე-2 მუხ[ლი] ითვალისწინებს გამონაკლისს: კანონი, რომელიც საგსებით აუქმებს

ქმედობის დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს, ვრცელდება იმ ქმედობაზეც, რომელიც ჩადენილია მის ძალაში შესვლამდე. სისხლის სამართლის კანონის ასეთ მოქმედებას მისი უკუძალა ეწოდება.

სახელმწიფომ შეიძლება გააუქმოს ქმედობის დასჯადობა ან იმიტომ, რომ ქმედობა შეცვლილ ვითარებაში უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივად საშიშად, ან იმიტომ, რომ ამ ქმედობის წინააღმდეგ საბრძოლველად მას საკმარისად მიაჩნია სხვა სახის სამართლებრივ ღონისძიებათა (მაგალითად, ადმინისტრაციული სასჯელის) ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენება. ასეთი ქმედობის სისხლის სამართლის წესით დასჯა მხოლოდ იმიტომ რომ მას ძველი კანონი სჯიდა, არა მარტო ეწინააღმდეგება სამართლიანობის გრძობას, არამედ მიზნაშეუწონელიც არის მართლმსაჯულების ერთიანობის თვალსაზრისით. სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას სულაც არ შეუწყობს ხელს ძველი, უკვე დრომოჭმული და გაუქმებული კანონის ავტორიტეტის დაცვა.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ გაუქმდა მთელი რიგი ქმედობების დანაშაულებრიობა და დასჯადობა. მოქმედ კოდექსში გათვალისწინებული არ არის, მაგალითად, ისეთი ქმედობები, როგორც [ებ]იკაა მშვიდობიანობის დროს ბეგარის, დავალების ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებაზე უარის განცხადება, მშვიდობიანობის დროს გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება, ხელისუფლების დისკრედიტირება, სისხლის აღრევა და ა.შ.. იმ საკითხის გადაჭრის დროს, გაუქმებულია თუ არა ქმედობის დასჯადობა, აუცილებელია კარგად იქნეს შესწავლილი მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული შემადგენლობანი. ზოგჯერ ახალი კოდექსი არ გამოჰყოფს დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც წინად ცალკე მუხლში იყო გათვალისწინებული, დამოუკიდებელ შემადგენლობად, არამედ ითვალისწინებს მას სხვა მუხლის შემადგენლობაში. მაგალითად, ძველი კოდექსი ხელისუფლების უმოქმედობას ცალკე მუხლში ითვალისწინებდა, ახალი კოდექსით ეს დანაშაული ცალკე შემადგენლობად გამოყოფილი არ არის, მაგრამ მას მოიცავს ნაწილობრივ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შემადგენლობა (განზრახი უმოქმედობა), ხოლო ნაწილობრივ - თანამდებობრივი დაუდევრობა (გაუფრთხილებელი უმოქმედობა). კიდევ ერთი მაგალითი,

1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული იყო არასრულწლოვანის ან შეურაცხი პირის შეგულიანება თვითმკვლელობისადმი, თუ ამას შედეგად მოჰყვა თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა. ახალი კოდექსი დანაშაულის ასეთ შემადგენლობას არ ითვალისწინებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს აღნიშნული ქმედობის დასჯადობის გაუქმებას. ამჟამად ასეთი ქმედობა განიხილება როგორც მკვლელობა, ვინაიდან არასრულწლოვანი ან შეურაცხი პირი გამოყენებულია დამნაშავის მიერ, როგორც ბრმა იარაღი მისივე საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად.

5. თუ დანაშაული მისი ჩადენის მომენტში უფრო მკაცრად ისჯებოდა, ხოლო შემდგომ გამოცემული კანონი მისთვის უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს, ასეთ შემთხვევაში ძველი, უკვე გაუქმებული კანონის გამოყენება უსამართლო და მიზანშეუწონელი იქნებოდა: სახელმწიფოს ზნეობრივი უფლება არა აქვს დააღოს პირს იმაზე მკაცრი სასჯელი, ვიდრე დღეს მას აუცილებლად მიაჩნია. ახალი, უფრო მსუბუქი კანონის გამოყენებას მოითხოვს, აგრეთვე, სოციალისტური კანონიერების ერთიანობის ამოცანა.

უფრო ლმობიერ კანონად უნდა ჩაითვალოს: ა) კანონი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის უფრო დაბალ მაქსიმუმს ან უფრო დაბალ მინიმუმს; ბ) კანონი, რომელიც ითვალისწინებს ალტერნატიულ სანქციას, თუ ეს ალტერნატივა შესაძლებლობას იძლევა დაინიშნოს უფრო მსუბუქი სანქცია; გ) კანონი, რომელიც უცვლელად ტოვებს ძირითად სასჯელს, მაგრამ აუქმებს დამატებით სასჯელს.

თუ ახალი კანონი ერთსა და იმავე დროს კიდევაც ამძიმეს და კიდევაც ამსუბუქებს სასჯელს (მაგალითად, ითვალისწინებს უფრო დაბალ მაქსიმუმს, ვიდრე ძველი კანონი, მაგრამ, ამავე დროს, უფრო მაღალ მინიმუმს ანდა პირიქით), გამოყენებული უნდა იქნეს ის კანონი, რომელიც საქმის ყველა (დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი) გარემოების მხედველობაში მიღებით შესაძლებლობას იძლევა დაენიშნოს კონკრეტულ დამნაშავეს უფრო მსუბუქი სასჯელი.

დანაშაულის ჩადენის დღიდან საქმის სასამართლოში განხილვამდე კანონი შეიძლება ორჯერ ან მეტჯერ შეიცვალოს, თანაც შუალედში გამოცემული კანონი შეიძლება უფრო ლმობიერი იყოს, ვიდრე დანაშაულის ჩადენის და საქმის სასამართლოში განხილვის დროის კანონი.



შეუძლია თუ არა სასამართლოს მიუყენოს მსჯავრდებულს შუალედში გამოცემული უფრო მსუბუქი კანონი? ამ საკითხზე საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში და იურიდიული ლიტერატურაში აზრთა ერთიანობა არ არის. უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა „ფ“-ს საქმეზე მიუთითა, რომ კანონი, რომელიც არ მოქმედებდა არც დანაშაულის ჩადენის მომენტში და არც საქმის განხილვის დროს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს მხედველობაში, არამედ მან უნდა შეადაროს ერთმანეთს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროისა და საქმის განხილვის დროის კანონები და მათგან შეარჩიოს უფრო ლმობიერი (იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1965 г., №2, стр. 29-31).

ეს დადგენილება, ჩვენის აზრით, სწორი არ არის. თუმცა შუალედში მიღებული უფრო ლმობიერი კანონი დანაშაულის ჩადენის დროს ჯერ გამოცემული არ იყო, მაგრამ ამ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან იგი გადაიქცა მოქმედ კანონად, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო მის ძალაში შესვლამდე ჩადენილი ქმედობის მიმართაც. დანაშავემ შეიძინა უფლება, რათა მისი ქმედობა განსჯილი ყოფილიყო ამ უფრო მსუბუქი კანონით და ამ უფლებას შემდგომ გამოცემული უფრო მკაცრი კანონი მას ვერ ჩამოართმევს.<sup>1</sup>

როგორც მართებულად მიუთითებენ ზაიცევი, ტიშკევიჩი და გორელიკი, „შუალედში მიღებული უფრო მსუბუქი კანონის უკუღებელყოფა გამოიწვევს საფუძვლების მე-6 მუხლში გადმოცემული პრინციპის დარღვევას, რომლის თანახმად, უფრო მკაცრ სისხლის სამართლის კანონს არ შეიძლება უკუძალა ჰქონდეს“.<sup>2</sup>

უკუძალა აქვთ, აგრეთვე, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის იმ ნორმებსაც, რომლებიც სასჯელის დანიშვნის უფრო ლმობიერ წესებს ითვალისწინებენ. ასეთი ძალა ექნება, მაგალითად, კანონს, რომელიც გამორიცხავს რაიმე გარემოებას დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხიდან ან, პირიქით შეიტანს შემამსუბუქებელ გარემოებათა ნუსხაში ახალ გარემოებას.

---

<sup>1</sup> ამ საკითხზე იხ. Зайцев, Тишкевич, Горелик, Действуют ли промежуточные уголовные законы, “Советская юстиция”, №1, 1960 г., стр. 6-8.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 7.

ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წ[ლის] 14 თებერვლის ბრძანებულება, რომელმაც განსაზღვრა „საფუძვლების“ ძალაში შესვლის წესი, მიუთითებს, რომ „საფუძვლების“ მიერ გათვალისწინებული წესები ხანდაზმულობისა, ნასამართლობის მოხსნისა და გაქარწყლების შესახებ ვრცელდება იმ პირებზედაც, ვინც დანაშაული ჩაიდინა ან ვინც მსჯავრდებული იყო ან სასჯელი მოიხადა „საფუძვლების“ მიღებამდე (იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1965 г., №7, стр. 60).

უკუძალა აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებს ვადამდე ან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ (მუხ[ლი] 54-ე, [მუხლი] 55-ე), იმისდა მიუხედავად, აფართოებენ თუ, პირიქით, ზღუდავენ ეს ნორმები ვადამდე გათავისუფლებას. ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წ[ლის] 18 დეკემბრის №19 დადგენილებაში განმარტებულია: „კანონმდებლობა ვადამდე, პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ არ წყვეტს ქმედობის დანაშაულებრიობისა და დასჯადობის საკითხს. ამიტომ ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის წესი ასეთ შემთხვევებზე არ ვრცელდება და საკითხი ვადამდე, ვადამდე პირობით გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესაძლებლობის შესახებ უნდა გადაწყდეს ამ მომენტში მოქმედი კანონის შესაბამისად და არა იმ კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედებდა“ (იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1965 г., №1, стр. 8).

ახალი, უფრო ლმობიერი კანონის უკუძალა შემოფარგლულია იმ საქმეებით, რომლებზედაც სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შესული არ არის. თუ ახალმა კანონმა გააუქმა ქმედობის დასჯადობა, სისხლის სამართლის საქმის წარმოება პროცესის ყოველ სტადიაში უნდა მოისპოს. თუ ახალმა კანონმა შეამსუბუქა სასჯელი, სასამართლო ვალდებულია, ვიდრე განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდოდეს, დანიშნოს სასჯელი ახალი, უფრო ლმობიერი კანონის შესაბამისად.

ახალ კანონს, რომელიც აუქმებს ქმედობის დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს, უკუძალა აქვს იმ მომენტამდე, ვიდრე ძველი კანონით გამოტანილი განაჩენი ძალაში შევიდოდეს, ხოლო, თუ უფრო მსუბუქი კანონი გამოცემულია განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, საკითხი ასეთი განაჩენის შეცვლის (ე.ი. პირის სასჯელისაგან გათავისუფლების ან უფრო ლმობიერი სასჯელის დანიშვნის) შესახებ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საკანონმდებლო გზით.

1961 წ[ლის] 28 თებერვალს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლეს[ი] საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „საქართველოს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“. ამ ბრძანებულებაში მითითებული იყო, რომ საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთათვის მსჯავრდებული პირებისათვის დანიშნული სასჯელები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] 1960 წ[ლის] სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ სასჯელებთან, თუკი ამ კოდექსით უფრო ლმობიერი სასჯელებია გათვალისწინებული.

ამავე დროს საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს უფლება მიეცა დაედგინა, რომ საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის დროს ეს შემსუბუქება არ გავრცელდება განსაზღვრული კატეგორიის დანაშაულთა ჩამდენ პირებზე, თუ ამ პირების მიმართ გამოტანილი განაჩენი ძალაში შევიდა 1961 წ[ლის] 1 მარტამდე.

აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად მიღებულ იქნა საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წ[ლის] 1 მარტის ბრძანებულება „საქართველოს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ (იხ. საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961, №7, მუხ[ლის] 121). ამ

ბრძანებულებამ დაადგინა, რომ გათავისუფლებულ იქნენ სასჯელი-საგან ის პირნი, რომელნიც 1961 წ[ლის] 1 მარტამდე მსჯავრდებული არიან ისეთი ქმედობისათვის, რაც ახალი კოდექსით დანაშაულად არ ითვლება, ხოლო, თუ ძველი კანონებით მსჯავრდებულ დამნაშავეებს უფრო მძიმე სასჯელი აქვთ დანიშნული, ვიდრე ამას ახალი კანონი ითვალისწინებს, სასჯელი ამ პირებს შესაბამისად უნდა შეუმცირდეთ. თანაც სასჯელი აღნიშნულ პირებს უმცირდებოდათ ახალი უფრო ლმობიერი კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომის მაქსიმუმამდე.

ამავე ბრძანებულების თანახმად, სასჯელი არ შეუმცირდათ იმ პირებს, ვინც ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე მსჯავრდებული იყვნენ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმისათვის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის, აგრეთვე, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს. ამასთან ერთად, თანახმად საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] 1961 წ[ლის] 3 ნოემბრის ბრძანებულებისა „საქართველოს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის ადგილებში რეჟიმის ბოროტად დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არ გამოყენების შესახებ“ სასამართლოებს უფლება მიეცათ არ შეუმსუბუქონ სასჯელი იმ პირებს, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგნენ გამოსწორების გზას - ბოროტად არღვევენ რეჟიმს, ან სისტემატურად თავს არიდებენ სამუშაოს, ან პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან (საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., №31, მუხ[ლი] 467).

სასჯელის შემცირების შეზღუდვა, რაც ამ ბრძანებულებით არის გათვალისწინებული, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათში ჩამოთვლილი დანაშაულობანი არა მარტო ძველი კოდექსებით, არამედ ახალი კოდექსებითაც ითვლებიან განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებრივ ქმედობებად. ამ გარემოებაზე მითითებულია ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირის უმაღლეს[ი] სასამართლოს პლენუმის 1964 წ[ლის] 22 დეკემბრის დადგენილებაში „ს[აბჭოთა]

ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების თაობაზე“ 1958 წლის 25 დეკემბერს გამოცემული კანონის მე-2 მუხლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება, მაგალითად, შურისძიების ან ეჭვიანობის მოტივით ჩადენილ მკვლელობაზე, რომელიც ძველი კოდექსით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად ითვლებოდა, მაგრამ ახალი კოდექსის თანახმად არ კვალიფიცირდება როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა, ან, მაგალითად, ქონების ძალადობით გატაცებაზე, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან გატაცებაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის ასეთი ძალადობის მუქარასთან. რაც წინათ ყაჩაღობად ითვლებოდა, ახლა კი, კვალიფიცირდება როგორც გაძარცვა და ა.შ., ასეთ შემთხვევაში იმ პირის ქმედობა, რომელიც აღნიშნულ დანაშაულთათვის სასჯელს იხდის, უნდა გადაკვალიფიცირდეს ახალი კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით, თანაც სასჯელის ზომა უნდა შემცირდეს ამ მუხლებში მითითებულ მაქსიმუმამდე. ცხადია, სასჯელის ზომა, ასეთ შემთხვევაში, არ შეიძლება აღემატებოდეს სასამართლოს განაჩენით დანიშნულ ზომას (იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1965 г., №1, стр. 12-14).

6. უკუძალა არა აქვს სისხლის სამართლის კანონს, რომელიც: ა) აწესებს ქმედობის დასჯადობას ან ბ) ამძიმებს სასჯელს.

[ა]) ისეთი კანონის უკუმიუქცევლობა, რომელიც ქმედობის დასჯადობას აწესებს, ეფუძნება პრინციპს: არ არის დანაშაული კანონის გარეშე. თუ ქმედობის ჩადენის დროს იგი არ ისჯებოდა, პირს არავითარი სისხლისსამართლებრივი ნორმა არ დაურღვევია.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ზოგიერთ შემადგენლობებს, რომლებიც 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ იყო. ასეთია, მაგალითად, სახელმწიფოებრივი ან საზოგადო ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება (მუხ[ლი] 101), იძულება (მუხ[ლი] 134), მუქარა (მუხ[ლი] 136), პირადი ქონების გაუფრთხილებლობით დაზიანება (მუხ[ლი] 158) და სხვა. ასეთი ქმედობანი, თუ ისინი მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში

შესვლამდე არიან ჩადენილნი, დანაშაულად არ ჩაითვლებიან და მათ ახალი კოდექსი არ შეეფარდებათ.

ბ) ისეთი კანონის უკუმიუქცევლობა, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ემყარება შემდეგ მოსაზრებას: სახელმწიფოს უფლება არა აქვს დასაჯოს მოქალაქე იმაზე მკაცრად, ვიდრე იგი ქმედობის ჩადენის მომენტში ემუქრებოდა; უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენება ზოგადი პრევენციის ამოცანას არ ემსახურება.

უფრო მკაცრი კანონის გამოყენება ადრე ჩადენილი ქმედობის მიმართ ეკრძალება სასამართლოს, ხოლო თვით კანონმდებელს უფლება აქვს უკუძალა მისცეს ისეთ კანონს, რომელიც აწესებს ქმედობის დასჯალობას ან ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს. ვინაიდან უფრო მკაცრი კანონისათვის უკუძალის მიცემა მოქალაქეთა თავისუფლების პრინციპს არღვევს და ამავე დროს ზოგადი პრევენციის ამოცანას არ ემსახურება, ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო უაღრესად იშვიათ შემთხვევაში ითვალისწინებს ასეთი კანონისათვის უკუძალის მიცემას.

მუხ[ლი] მე-7 კრძალავს იმ კანონის უკუძალას, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, მაგრამ კანონის უკუძალის აკრძალვა არ შეეხება კანონს, რომელიც სამედიცინო და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებით ღონისძიებას აწესრიგებს, ვინაიდან ასეთი იძულებითი ღონისძიება სასჯელს არ წარმოადგენს.

† ვლადიმერ მაყაშვილი (1904-1986)

პირადი თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი უძვირფასესი სიკეთეა. ყოველი ადამიანი ამა თუ იმ ზომით გრძნობს პირადი თავისუფლების, უფრო ზუსტად, საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით მოქმედების ზნეობრივ და სოციალურ ღირებულებას. პიროვნება რომ ყოველმხრივად განვითარდეს, მისი ზნეობრივი ხასიათი და თავისთავადობა რომ განმტკიცდეს, ინიციატივობა და დამოუკიდებლობა გაიზარდოს, მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს თავისუფლად განაგოს საკუთარი ყოფაქცევა და იძულებული არ იყოს იმოქმედოს საკუთარი ნების წინააღმდეგ.

ს[აბჭოთა] ს[ოციალურ] რ[ესპუბლიკების] კავშირის კონსტიტუცია და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მთელ რიგ თავისუფლებებს ითვალისწინებენ (სიტყვის, პრესის, კრიტიკის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და სხვ.) და უზრუნველყოფენ მათი განხორციელების შესაძლებლობას. თავისუფლებანი, რომელთაც განსაკუთრებით დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, კონსტიტუციურ რანგამდეა აყვანილი და ძირითადი კანონი თვით უკრძალავს თანამდებობის პირებს და მოქალაქეებს მათ დარღვევას.

პრინციპულად, მოქმედების თავისუფლად განკარგვის ანუ საკუთარი სურვილის მიხედვით რაიმე საქმიანობის არჩევის ან რაიმე საქმიანობისაგან თავის შეკავების ყოველგვარი ხელყოფა საზოგადოებრივად

---

\* პირველად გამოქვეყნდა 1979 წელს ჟურნალ - „საბჭოთა სამართალში“. იხ. მაყაშვილი ვლ., პასუხისმგებლობა მოქმედების თავისუფლების ხელყოფისათვის, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, 1979 [თ.6].

† ცნობილი ქართველი სწავლული იურისტი, სისხლის სამართლის ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს დამსახურებული იურისტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამართლის რედაქციის გამგე [თ.6].

საშიშია და ზნეობრივ გაკიცხვას იმსახურებს. საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი გრძნობა და სამართლებრივი შეგნება ვერ ურიგდება და მეტად მწვავე რეაგირებას ახდენს იძულების ყოველგვარ ფაქტზე. მაგალითად, ვინმეს იძულება - მოსპოს წერილი ან დოკუმენტი, რომელიც მოძალადის გამანძილებელ ცნობებს შეიცავს, ან განწყვიტოს კავშირი თავის სატრფოსთან ან დაქორწინდეს განსაზღვრულ პირთან, ან დაუწეროს დაუმსახურებელი მაღალი ნიშანი სტუდენტს და ა.შ.. იძულება შეიძლება მიმართული იყოს რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავებაზეც. მაგალითად, ვინმეს იძულება, რომ არ მიიღოს მონაწილეობა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, ან იძულება არ აცნობოს სათანადო ორგანოებს ჩადენილი დანაშაულის, მაგალითად, გაუპატიურების ფაქტი და სხვა.

ყველა თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს იძულების სპეციალურ სახეებს, როდესაც იძულება გამოყენებულია როგორც რაიმე განსაზღვრული სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ან პირადი ინტერესის ხელყოფის საშუალება. ამ მხრივ, ტიპიურია გაუპატიურება, რომლის დროსაც ქალი იძულების გამო მოკლებულია შესაძლებლობას განაგებდეს თავის სქესობრივ თავისუფლებას, ან გამოძალვა, როდესაც დაზარალებული, მისთვის ან მისი ახლობლებისათვის მომავალში მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მუქართ, იძულებულია გადასცეს მაიძულებელს რაიმე ქონება ან დაუთმოს ქონებრივი უფლება თუ ქონებრივი გამორჩენა. იძულების სპეციალური შემადგენლობაა, აგრეთვე, მონწმის იძულება, რომ მართლმსაჯულების ორგანოებს მისცეს ცრუ ჩვენება და სხვა.

ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფრო შორს მიდის და დანაშაულის იმ შემადგენლობების გარდა, რომლებშიც იძულება ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ინტერესის ხელყოფის საშუალებას წარმოადგენს, ითვალისწინებს იძულების ზოგად შემადგენლობას. ასეთი შემადგენლობის შეტანა სისხლის სამართლის კოდექსებში გამოწვეულია იმით, რომ, ერთი მხრივ, კანონმდებელს არ ძალუძს გაითვალისწინოს იძულების სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ყველა შემთხვევა, ხოლო, მეორე მხრივ, იმით, რომ ყოველგვარი იძულება, იმისდა მიუხედავად, თუ ადამიანის საქმიანობის რომელ სფეროს ეხება და რა



ინტერესებს არღვევს, თავისთავად, საზოგადოებრივად საშიშია. ამასთანავე, იძულების საერთო შემადგენლობას სათადარიგო ხასიათი აქვს: იგი გულისხმობს ისეთ იძულებას, რომელიც არ მოიცავს სპეციალური სახის იძულების ნიშნებს.

იძულების საერთო შემადგენლობა გათვალისწინებულია საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე პარაგრაფში ნათქვამია: „ვინც ძალადობის გამოყენებით ან სერიოზული ზიანის მიყენების მექარით კანონსაწინააღმდეგოდ აიძულებს ადამიანს ჩაიდინოს განსაზღვრული ქმედობა, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით, ან პირობითი მსჯავრით, ან ჯარიმით, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით“.

იძულების ზოგადი შემადგენლობა გათვალისწინებულია სხვა სოციალისტური ქვეყნების კოდექსებშიც - პოლონეთისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკების, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში.

იძულების საერთო შემადგენლობას ითვალისწინებს, აგრეთვე, მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნების, მაგალითად, შვეიცარიის, დანიის, ავსტრიის, ფინეთის, იაპონიის და სხვა სისხლის სამართლის კოდექსები. ასეთი შემადგენლობა იყო რევოლუციამდელი რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის სჯულდებამდე მას ითვალისწინებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შედარებით ახალი, 1975 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. თვალში საცემია სანქციები, რომლებიც აღნიშნული კოდექსით დადგენილია ამ დანაშაულისათვის. „განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში“ იძულებისათვის შეიძლება დანიშნულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ვადით.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მისი განვითარების მთელ მანძილზე არასდროს არ ითვალისწინებდა იძულების ზოგად შემადგენლობას. გამოწვევისა და მხოლოდ საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (1960 წლისა). ეს არის საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც განასხვავებს მას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისაგან. ამ კოდექსის 135-ე მუხლში

ნათქვამია: „ძალდატანებით ან დასასჯელი მუქარით სხვა პირის იძულება, რომ შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე“.<sup>1</sup>

როგორც 135-ე მუხლის ტექსტიდან ჩანს, სხვა პირის ნებისყოფასა და ყოფაქცევაზე ყოველგვარი ზემოქმედება კი არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი, როდესაც პირი ამას შვრება გარკვეული საშუალებების - ფიზიკური ძალადობის ან მუქარის გამოყენებით. თუ პირი ადამიანზე ზემოქმედების სხვა საშუალებებს მიმართავს, იძულების შემადგენლობა გამორიცხულია. კერძოდ, 135-ე მუხლით ადამიანზე ზემოქმედება არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს მისი მოტყუების ანუ შეცდომაში შეყვანის მეშვეობით (მაგალითად, პირის გამოძახება სხვა ქალაქში დეპეშით, რომელიც შეიცავს სამსახურებრივი, მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.

ფიზიკურ ძალადობას, როგორც იძულების შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს, ითვალისწინებს ყველა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც შეტანილია იძულების ზოგადი შემადგენლობა. ეს ნიშანი გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებას. დანაშაულის ჩადენის საშუალებად (მაგალითად, დარტყმით, ჩხვლეტით, ან დანვით ფიზიკური ტკივილის მიყენება, რათა ადამიანს ხელი მოაწერიონ დოკუმენტზე, მგზავრის ძალით გადმოთრევა მანქანიდან, რათა მას არ ჰქონდეს ტრანსპორტის გამოყენების საშუალება და სხვა). ძალადობა, როგორც ზემოქმედების საშუალება, შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც აიძულებენ რაიმე ქნას ან არ ქნას, არამედ მისი ახლობლების წინააღმდეგაც. ასეთ შემთხვევაში, დაზარალებული ფიზიკურ ძალადობას სხვა პირების წინააღმდეგ ისე განიცდის, თითქოს თვით იგი იყოს ძალადობის უშუალო ობიექტი (მაგალითად, ცოლის ცემა

---

<sup>1</sup> გ. ოსტროვის აზრით, - საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი - იძულების საერთო შემადგენლობის გაუთვალისწინებლობა - შევსებულია მხოლოდ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში. „საკანონმდებლო საქმიანობის ეს გამოცდილება, - წერს გ. კოსტროვი, - უეჭველად იმსახურებს ყურადღებას“. იხ. Г. Костров, Нужен общий состав об ответственности за принуждение, “Советская юстиция”, 1976, №2.

ქმრის თანდასწრებით რათა ამ გზით ქმარი აიძულონ რაიმე მოქმედებისათვის). ფიზიკური ზემოქმედების უშუალო საგანი შეიძლება იყოს ნივთი, თუ ამით აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ პიროვნებაზე, აიძულებენ მას ესა თუ ის მოქმედება ჩაიდინოს ან არ ჩაიდინოს (მაგალითად, ცივ ზამთარში ფანჯრის მინების ამოღება, რათა ამით აიძულონ პირი გამოვიდეს ეს ამ ოთახიდან, ან ავტომანქანის გაფუჭება, რათა აიძულონ მისი მფლობელი დაიგვიანოს მატარებელზე).

თუ იძულების საშუალებად გამოყენებულ ფიზიკურ ძალადობას სხეულის დაზავება მოჰყვა, დამნაშავის ქმედობა კვალიფიციენტებულ უნდა იქნეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით როგორც იძულება (მუხ[ლი] 135-ე) და შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სხეულის დაზავება.

იძულების საშუალება, კანონის მიხედვით, შეიძლება იყოს, აგრეთვე, მუქარა, მაგრამ არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ დასჯადი მუქარა, ე.ი. ისეთი, რომელიც თავისთავად იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ასეთი მუქარა გათვალისწინებულია საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც კანონსაწინააღმდეგოდ და დასჯადად ითვლება „მოკვლის ან სხეულის მძიმე დაზიანების, ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანების“ მუქარა. მაშასადამე, თუ პირი იძულების მიზნით იყენებს სხვაგვარი ხასიათის მუქარას, ეს ვერ მოგვცემს 135-ე მუხლით გათვალისწინებული ძალადობის შემადგენლობას, თუნდაც პირი საკმაოდ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებით იმუქრებოდეს (მაგალითად, გაუპატიურებით, ცემით, ტყუილი გამანზილებელი ცნობების გავრცელებით და სხვა). ქონების დაზიანების ყოველი მუქარა კი არ ჩაითვლება იძულების დანაშაულის საშუალებად, არამედ მხოლოდ საყოველთაოდ საშიში საშუალებით (ცეცხლის ნაკიდებით, აფეთქებით, წყლის მიშვებით და სხვა) ქონების დაზიანების ან განადგურების მუქარა. დამნაშავე შეიძლება იმუქრებოდეს, რომ ზიანს მიაყენებს არა მარტო იმ პირს, ვისაც იგი აიძულებს რაიმე მოქმედების ჩადენას, არამედ მის ახლობლებსაც.

მუქარის შინაარსის გარდა, კანონსაწინააღმდეგო მუქარის ცნება მეორე მნიშვნელოვან მომენტსაც შეიცავს; სახელდობრ, უნდა არსებობდეს საკმაო საფუძველი, რომ მუქარა ნამდვილად განხორციელდება; მაშასადამე, მუქარას სერიოზული ხასიათი უნდა ჰქონდეს, იგი უნდა

ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ მეტად თუ ნაკლებად მოკლე ხანში იგი სინამდვილედ გადაიქცევა.

მუქარის, როგორც იძულების საშუალების, საკითხი სხვადასხვა სისხლის სამართლის კოდექსებში სავსებით ერთგვაროვნად როდი წყდება. საქართველოს სსრს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის 135-ე მუხლის კონსტრუქციას ამ საკითხში უახლოვდება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ფორმულა. ამ კოდექსის 167-ე მუხლში ნათქვამია, რომ მუქარა, როგორც იძულების საშუალება, უნდა იყოს „კანონსაწინააღმდეგო“, მაგრამ თვით „კანონსაწინააღმდეგო“ მუქარის ცნება, რომლის განსაზღვრება მოცემულია პოლონეთის კოდექსის 166-ე მუხლში, უფრო ფართოა, ვიდრე საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული მუქარის ცნება. სახელდობრ, მას მიეკუთვნება დამუქრება ნებისმიერი დანაშაულის ჩადენით დაზარალებულის ან მისი ახლობლების საზიანოდ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ლაპარაკია „სერიოზული ზიანის მიყენების მუქარაზე“ (§129). მაშასადამე, აქ მუქარა შეიძლება დაკავშირებული არ იყოს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობასთან. ზოგიერთი კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს მუქარაზე, როგორც იძულების საშუალებაზე და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ხასიათი უნდა ჰქონდეს მუქარას. ასეთია, მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 143-ე მუხლის კონსტრუქცია, რომლის მიხედვით ყოველგვარი მუქარა საკმარისია იძულების ზოგადი შემადგენლობის არსებობისათვის.

ჩვენი აზრით, იძულების დანაშაულთან უფრო ეფექტიანად ბრძოლისათვის საჭიროა ერთგვარად გაფართოვდეს მუქარის ცნება, რომელსაც იყენებს საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსი. შეუძლებელია დაუსჯელად დავტოვოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე ემუქრება დაზარალებულს გაუპატიურებით, ან დაზარალებულისა თუ მისი ახლობლების თაობაზე მათი გამანძილებელი ცრუ ცნობების გავრცელებით, ან ისეთი ნამდვილი

თუ მოგონილი ფაქტების გამომჟღავნებით, რომლებიც დაზარალებულის ინტიმურ ცხოვრებას ეხება, და ასეთი მუქარის საშუალებით სურს აიძულოს დაზარალებული იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იძულებისათვის დასაბუთებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იძულებას მართლსაწინააღმდეგო ხასიათი აქვს. თუ პირი უფლებამოსილია აიძულოს სხვა ადამიანი, თუ მას უფლება აქვს მიმართოს იძულების კანონიერ საშუალებებს, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამორიცხულია. ამიტომ არ შეიძლება პასუხი აგოს იძულებისთვის იმ პირმა, ვინც დანაშაულის ჩადენის ადგილზე დააკავა დამნაშავე და ფიზიკური ძალა გამოიყენა იმისათვის, რომ იგი მილიციისათვის ჩაებარებინა.

სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი იძულება არ არის, აგრეთვე, ის შემთხვევა, როდესაც პირი ძალდატანებით ან მუქარით შეასრულებინებს ადამიანს მოვალეობას, რომელსაც მას კანონი აკისრებს (მაგალითად, აიძულებს მას გადაიხადოს ვალი, ალიმენტი ან უკან დააბრუნოს ნივთი, რომელიც ეკუთვნის მაიძულებელს). ასეთ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ შემზღვეულია პირის მოქმედების თავისუფლება, ვინაიდან პირი, მართლწესრიგის მოთხოვნათა საფუძველზე ვალდებული იყო შეესრულებინა სწორედ ის მოქმედება, რომელსაც მისგან მოითხოვს ის, ვინც მასზე ზემოქმედება მოახდინა. აქ შეიძლება საკითხი შეეხოს მხოლოდ იმას, ხომ არ უნდა აგოს მოძალადემ პასუხი საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობისათვის ან თვითნებობისათვის, რამდენადაც იგი ახორციელებს თავის უფლებას თვითნებურად, კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, და არა იძულებისათვის.

ცოტა სხვაგვარად წყვეტს ამ საკითხს გ. კოსტროვი. გ. კოსტროვის შეხედულება საინტერესოა იმ მხრივ, რომ ამ შემთხვევების საფუძველზე იგი გამოთქვამს ზოგად, კონსტრუქტიული ხასიათის მოსაზრებებს იძულებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და ამ მიზნით წინადადებას იძლევა დაზუსტდეს იძულების ის ზოგადი შემადგენლობა, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსი. აღსანიშნავია, რომ გ. კოსტროვის წერილი საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ერთადერთია, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა იძულების შემადგენლობას. გ.

კოსტროვის აზრით, იძულების საერთო შემადგენლობა გათვალისწინებული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. ეს ნათლად ჩანს უკვე მისი წერილის სათაურიდან - „საჭიროა ზოგადი შემადგენლობა იძულებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.<sup>1</sup>

გ. კოსტროვი თავის წერილში აღნიშნავს, რომ „მუქარის გამოყენება იმ მიზნით, რათა მეორე პირი იძულებული გახდეს შეასრულოს თავისი მოვალეობა არ შეიძლება გავუთანაბროთ იმ შემთხვევას, როდესაც დამმუქრებელს ჰქონდა უფლება მოეთხოვა ამ მოქმედების შესრულება“.<sup>2</sup> კოსტროვის აზრით, ეს შემთხვევები განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით. პირველ შემთხვევაში, მეორისაგან განსხვავებით, არ ხდება არავითარი სამართლით დაცული ინტერესის დარღვევა, პირს აკეთებინებენ იმას, რაც მას უნდა გაეკეთებინა. ამგვარად, ასეთი შემთხვევების სხვადასხვაგვარი შეფასება დაკავშირებულია იმ მოქმედებათა ხასიათთან, რომელთა შესრულებას ან შეუსრულებლობას აიძულებენ პიროვნებას. გ. კოსტროვის აზრით, იძულებისათვის პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრი სწორედ ის მომენტი, თუ როგორ ურთიერთობაშია ნაიძულები ქცევა პირის სამართლით დაცულ ინტერესთან, რამდენად ღრმად, რამდენად უხეშად არის დარღვეული ეს ინტერესები. გ. კოსტროვის აზრით, დამნაშავე საბოლოო ანგარიშით სწორედ ამ ინტერესებს ხელყოფს, ამიტომ ეს განსაზღვრავს საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. აქ, გ. კოსტროვი აყენებს საერთო დებულებას, რომ იძულება უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც მნიშვნელოვნად დარღვეულია დაზარალებულის ინტერესები, ხოლო, თუ ეს დამატებითი მომენტი - დაზარალებულის სამართლით დაცული ინტერესების არსებითი დარღვევა - არ არსებობს, ე.ი. თუ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი არ სცილდება იძულებისათვის გამოყენებული საშუალებების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, საკმარისია ქმედობა დაისაჯოს როგორც ძალადობა ან მუქარა თავისდათავად და არ არის საჭირო იძულების შემადგენლობის გამოყენება.

---

<sup>1</sup> “Советская юстиция”, 1976, №2.

<sup>2</sup> გ. კოსტროვი, ციტ. წერილი, გვ. 23.

ამის საფუძველზე გ. კოსტროვი წინადადებას იძლევა იძულების საკანონმდებლო განსაზღვრებაში შეტანილ იქნეს მითითება, რომ პირი ძალადობისა და მუქარის მეშვეობით მოითხოვს მეორე ადამიანისაგან რაიმე მოქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას, რითაც „არსებითად ირღვევა დაზარალებულის სამართლით დაცული ინტერესები“.<sup>1</sup>

გ. კოსტროვის წინადადება ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად. ჩვენი აზრით, ამგვარი დამატება კანონში საჭირო არ არის, თუ პირი ძალდატანებით შეასრულებინებს სხვა პირს ისეთ მოქმედებას, რისი შესრულება მას ისედაც ევალებოდა, აქ სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი იძულების შემადგენლობა არა გვაქვს, ვინაიდან არ არსებობს ხელყოფის ობიექტი, პირის მოქმედება არ არღვევს ადამიანის მოქმედების თავისუფლებას: მას არ ჰქონდა სხვაგვარად მოქმედების ალტერნატივა, კანონი მოითხოვდა მისგან იმ მოქმედებას, რომელიც მას შეასრულებინეს. ამიტომ, იმისათვის, რომ გამოვირიცხოთ პასუხისმგებლობა იძულების ასეთი შემთხვევებისათვის, სრულიადაც არ არის საჭირო იძულების განსაზღვრებაში გ. კოსტროვის მიერ შემოთავაზებული დამატებების შეტანა. ხოლო იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოძალადე უფლებამოსილი არ არის მოითხოვოს დაზარალებულისაგან ის მოქმედება, რომელიც მან შეასრულებინა, გ. კოსტროვის მიერ შემოთავაზებული შეზღუდვა ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, პრინციპულად, ადამიანის პირადი თავისუფლების ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო, ძალმომრეობითი დარღვევა უნდა შეფასდეს, როგორც პიროვნების თავისუფლების სერიოზული შელახვა. მაგალითად, მომლერალს ძალმომრეობით აიძულებენ იმღეროს განსაზღვრული სიმღერა. არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სიმღერა არღვევდეს მომლერლის რაიმე არსებით ინტერესს: ძალდატანება რომ არ ყოფილიყო, სიმღერა რომ მომლერალს საკუთარი ნება-სურვილით შეესრულებინა, მას შეიძლება ამით ესთეტიკური სიამოვნებაც მიეღო. მდგომარეობა არსებითად იცვლება, როდესაც მომლერალს აიძულებენ იმღეროს საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ: ამით ზიანდება პიროვნების ერთ-ერთი უძვირფასესი უფლება - თვითგამორკვევის თავისუფლება. ასეთ შემთხვევაში, ადგილი აქვს მთელი პიროვნების ღრმა შელახვას.

---

<sup>1</sup> გ. კოსტროვი, ციტ. წერილი, გვ. 23.

ამიტომ საჭიროა მართლწესრიგის რეაგირება იძულების შემთხვევებზე იმისდა მიუხედავად, თუ რა დამოკიდებულებაშია იძულებითი მოქმედება დაზარალებულის სამართლებრივად დაცულ ინტერესებთან. ამავე დროს, ბუნებრივია, რომ ამ გარემოებას შეიძლება ქონდეს მნიშვნელობა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისათვის და მხედველობაში იქნეს მიღებული მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნისას, ზოგჯერ კი ამან შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების დანიშვნა.

იძულება არ არის საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო, თუ იგი გამოყენებულია, როგორც აუცილებელი საშუალება უფრო ძვირფასი სიკეთის გადასარჩენად, ვიდრე საკუთარი მოქმედების განკარგვის პირადი თავისუფლებაა. მაგალითად, ვინმე ძალადობის გამოყენებით ხელს უშლის ადამიანის თვითმკვლელობას, ამ შემთხვევაში პირის მოქმედების თავისუფლება, რა თქმა უნდა, შეზღუდულია, მაგრამ სამაგიეროდ, ამით გადაარჩენენ ისეთი მაღალი ღირებულების სიკეთეს, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე. მოძალადე, ასეთ შემთხვევაში, განთავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე (საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი).

ძალადობა შეიძლება შეეხოს ადამიანის საქმიანობის ყოველგვარ სფეროს. იძულების შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მოქმედებას ჩაადენინებენ ძალმომრეობით დაზარალებულს. ამ მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა (დაზარალებულს აიძულებენ წერილობით თანხმობა განაცხადოს განქორწინებაზე) ან იგი იურიდიული თვალსაზრისით, შეიძლება იყოს სავსებით ინდიფერენტული (მოვრალი ახალგაზრდები, თავის გართობის მიზნით, აიძულებენ ხანში შესულ ქალს იცეკვოს მათ წინაშე).

იძულების შემადგენლობა მაშინაც გვექნება, როდესაც პირს აიძულებენ ჩაიდინოს ისეთი მოქმედება, რომელიც ზნეობრივი თვალსაზრისით, გასაკიცხი არ არის, მაგალითად, აიძულებენ მატერიალურად დაეხმარონ გაჭირვებულ ადამიანს. ეს შეიძლება გათვალისწინებულ



იქნეს მხოლოდ როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

თუ დამნაშავემ ფიზიკური ძალმომრეობის ან მუქარის მეშვეობით ჩაადენინა სხვას დანაშაული, ასეთი ქმედობა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს 135-ე მუხლით, ე.ი. როგორც იძულება, მხოლოდ მაშინ, როდესაც, დანაშაული, რომელიც დაზარალებულს ჩაადენინეს, იწვევს ნაკლებად მძიმე ან ისეთსავე სასჯელს, რაც გათვალისწინებულია იძულებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავემ შეიძლება პასუხი აგოს სხვა დანაშაულის წაქეზებისათვის, ე.ი. იმისათვის, რომ შეაგუ-ლიანა სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად, ხოლო, თუ გემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ სავსებით პარალიზებულიჰყოფი ფიზიკური ამსრულებლის ნებისყოფა და იგი გადაიქცა ბრმა იარაღად დამნაშავეს ხელში, ასეთ შემთხვევაში, მაიძულებელი ჩაითვლება დანაშაულის შუალობით ამსრულებლად. ის, ვინც პისტოლეტის დამიზნებით აიძულებს ადამიანს ცეცხლი წაუკიდოს სხვის სახლს, პასუხს აგებს არა იძულებისათვის, არა იმისათვის, რომ წააქეზა სხვა პირი ცეცხლი წაეკიდებინა სხვისი სახლისათვის, არამედ სხვისი მეშვეობით ცეცხლის წაკიდებისათვის (საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-2 ნაწ[ილი]).

იძულების სუბიექტური მხარე ეჭვს არ იწვევს. თავისი ბუნებით იძულება გაუფრთხილებლობით შეუძლებელია, თანაც იძულება გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. პირი ითვალისწინებს, რომ ხელყოფს სხვისი მოქმედების თავისუფლებას, აიძულებს მას საკუთარი ნების წინააღმდეგ შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება და სურს ეს. მოტივს, რის გამოც პირმა გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა, იძულების შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა იგი შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

ის საკითხი, თუ როდის უნდა ჩაითვალოს დამთავრებულად იძულების დანაშაული, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარად წყდება. ზოგიერთი კანონმდებლობა იძულებას დამთავრებულად თვლის უკვე იმ მომენტში, როდესაც დამნაშავემ გამოიყენა ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა, ე.ი. ძალმომრეობითი მოქმედების შეს-

რელების მომენტში. ასეთი პოზიცია უკავია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსს. სხვა კოდექსები იძულებას დამთავრებულად თვლიან მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც შესრულდა მოქმედება ან პირიქით, როდესაც ადგილი ჰქონდა იმ უმოქმედებას, რომელსაც მოითხოვდა დაზარალებულისაგან დამნაშავე. ხოლო, თუ დანაშაული შეჩერდა ფიზიკური ძალადობის ან მექარის სტადიაზე, მას აკვალიფიცირებენ, როგორც იძულების მცდელობას. იძულების ასეთი კონსტრუქცია მოცემულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსებში. ჩვენი აზრით, ლოგიკური იურიდიული თვალსაზრისით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეორე შეხედულებას. ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა წარმოადგენენ პიროვნების მოქმედების თავისუფლების შეზღუდვის საშუალებას, მაგრამ აღნიშნულ საშუალებათა გამოყენება ჯერ კიდევ არ მოასწავებს იმას, რომ ეს თავისუფლება პირს ნამვილად წაერთვა. პირის მოქმედების თავისუფლების აღკვეთასთან მაშინ გვექნება საქმე, როდესაც დაზარალებული ნამდვილად შეასრულებს ან არ შეასრულებს იმ მოქმედებას, რასაც მისგან დამნაშავე მოითხოვს.

საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის 135-ე მუხლი არ იძლევა ზუსტ პასუხს იმაზე, თუ როდის უნდა ჩაითვალოს იძულება დამთავრებულად. ამიტომ მუხლის რედაქცია, ამ მხრივ, ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს.

იძულების შემადგენლობა მრავალ სხვა დანაშაულს ენათესავება, მაგრამ ყველაზე მეტად, თავისი ბუნებითაც და შინაარსითაც, მიმოსვლის თავისუფლების აღკვეთას უახლოვდება (საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხ[ლი]). მაგრამ, თუ იძულება გულისხმობს პიროვნების მხოლოდ ამა თუ იმ მოქმედების შეზღუდვას, მიმოსვლის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დროს, დამნაშავეს ხელთ უპყრია დაზარალებულის მთელი პიროვნება, იგი ძალმომრეობით ჩაკეტილი ჰყავთ რაიმე შენობაში ან მას აკავებენ განსაზღვრულ ადგილას.

სასამართლო პრაქტიკა იძულებას საქმეებზე არცთუ ისე დიდია. ქმედობის კვალიფიკაცია საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური]

რ[ესპუბლიკის] [სისხლის სამართლის კოდექსის] 135-ე მუხლით იშვი-ათად გვხვდება. ეს მართო იმით როდი აიხსნება, რომ ლატენტური და-ნაშაულობა ამ სფეროში დიდია, ესე იგი იძულების მრავალი შემთხვევა არ აღწევს მართლმსაჯულების ორგანობამდე, არამედ იმითაც, რომ პასუხისმგებლობა იძულებისათვის კანონში დიფერენცირებული არ არის. კოდექსში არ არის მოცემული ამ დანაშაულის კვალიფიციური შე-მადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი ერთნაირად აფასებს იძუ-ლების მსუბუქ და მძიმე შემთხვევებს. თანაც კანონით გათვალისწინე-ბული სანქცია (მაქსიმალური სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე) არ შეესაბამება მძიმე შემთხვევებს, როდესაც იძულებას, მაგალითად, თან სდევს სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენების მექარა. ამით აიხსნება ის გა-რემოება, რომ სასამართლოები დამამძიმებელ გარემოებებში ჩადე-ნილ ძალადობას ზოგჯერ აკვალიფიცირებენ არა საქართველოს ს[აბ-ჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] სისხლის სამართლის კოდექ-სის 135-ე მუხლით, არამედ სხვა მუხლებით, რომლებიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებენ. რა თქმა უნდა, სამართლიანობის გრძნობის გამოვლინების ასეთი ფორმა მიუღებელია. აქ ერთმანეთს უპირის-პირდება ორი პრინციპი: კანონიერებისა და მიზანშეწონილობის. მაგრამ შეუწყნარებელია, რომ მოსამართლემ თავისი შეხედულებისამებრ გა-აფართოოს დანაშაულის შემადგენლობა, განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონით, და მიაკუთვნოს მას ისეთი შემთხვევები, რომლე-ბიც არც კანონის სიტყვით და არც მისი აზრით მოცული არ არის. ეს სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევაა.

ამ ხასიათის შეცდომა დაუშვეს საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალის-ტური] რ[ესპუბლიკის] სასამართლო ორგანოებმა: მათ იარაღის გამო-ყენებით ჩადენილი ხულიგნობის კვალიფიკაცია მისცეს სტუდენტთა მოქმედებას, რომლებმაც იარაღის დამუქრებით დაანერინეს მასწავ-ლებელს კარგი ნიშანი. ამ პირთა მოქმედება ზუსტად შეესაბამებოდა იძულების და არა ხულიგნობის შემადგენლობას, რომელიც გულისხ-მობს საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას და საზოგადოები-სადმი ამკარა უპატივცემულობის გამოვლინებას, რასაც, ამ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი სასამართლო ზოგჯერ ასწორებს ასეთ შეცდომებს და ქმედობას სწორად აკვალიფიცირებს. ამ მხრივ, დამახასიათებელია ს-ს, ნ-ს, გ-ს და ხ-ს საქმე. მათ ბრალად ედებოდათ, რომ მთვრალეებმა ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმებით, სიკვდილის მუქარით აიძულეს დაზარალებული გამოსულიყო თავისი ავტომანქანიდან და დროებითი მოხმარების მიზნით ხელთ იგდეს ეს მანქანა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მათ მოქმედებას კვალიფიკაცია მისცა 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით, როგორც ყაჩაღური თავდასხმა. საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ განაჩინა უცვლელად დატოვა. უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მიუთითა, რომ ყაჩაღობა გატაცების სახეა და გულისხმობს მითვისების, ე.ი. სხვისი ქონების მისაკუთრების მიზანს. აღნიშნული პირები ამ მიზანს არ ისახავდნენ. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მათ გაიტაცეს მანქანა „მოსკვიჩი“ მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით, უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა საფასვლით სწორად მიუთითა, რომ განსასჯელთა მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს დანაშაულთა ერთობლიობის წესისამებრ, ორი მუხლით: 135-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს იძულებას, რამდენადაც მათ ძალით გადამოიყვანეს დაზარალებული საკუთარი მანქანიდან და 234-ე მუხლით, რომელიც სჯის ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცებას დროებითი გამოყენების მიზნით.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1977 წ[ლის] 23 სექტემბრის დადგენილება №109. საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკის] უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 18 აპრილის ბრძანებულებით „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ 243-ე მუხლის რედაქცია შეცვლილია: მას დაემატა ორი ნაწილი, რომლებშიც გათვალისწინებულია ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება, დაკავშირებული ძალადობასთან ან მუქარასთან. იძულების აღნიშნული სპეციალური შემადგენლობების დაწესების შემდეგ, ბუნებრივია, ასეთი ქმედობები უნდა დაკვალიფიცირდეს არა 135-ე მუხლით, არამედ მხოლოდ 243-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით.

მსდარ კვალიფიკაციათა თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილი იქნება კანონში გათვალისწინებულ იქნეს იძულების კვალიფიციური შემადგენლობები შესაბამისი სანქციებითურთ.

ყოველივე ამის საფუძველზე, მუხლი იძულების შესახებ, ჩვენი აზრით, ფორმულირებული უნდა იქნეს შემდეგნაირად:

იძულება.

იძულება, ე.ი. განზრახი მოქმედება, რომლითაც პირი ძალადობით ან მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების სერიოზული მუქარით შეასრულებინებს პირს რაიმე მოქმედებას ან თავს შეაკავებინებს რაიმე მოქმედებისაგან;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან რამდენიმე პირის წინასწარი შეთანხმებით ან დაკავშირებული ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

იგივე ქმედობა, დაკავშირებული სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობასთან ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კანონმდებლობის გაუმჯობესებისას განხილულ უნდა იქნეს საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში იძულების საერთო შემადგენლობის შეტანის შესახებ. ჩვენი აზრით, ასეთი შემადგენლობის შემოღება შეესაბამება ახალი კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, რომლებიც ადასტურებენ თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნების სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდას, და კონსტიტუციურ ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებენ პიროვნების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვას. ამ იდეათა თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების თავისუფლების დაცვას და მის ხელყოფასთან ბრძოლას. ამავე დროს, სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ის ღონისძიებანი, რომელთაც იყენებენ ამ ხელყოფათა წინააღმდეგ, აშკარად არასაკმარისია. იმ მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოები, რომელთა სისხლის სამართლის კოდექსებში არ

არის გათვალისწინებული იძულების შემადგენლობა, იძულების შემთხვევაში იყენებენ მუხლებს ძალადობის ან მუქარის შესახებ, რადგან სხვა გამოსავალი არა აქვთ. მაგრამ ამ მუხლებით ისჯება ძალადობა ან მუქარა, რომელიც გამოყენებულია როგორც საშუალება ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვისათვის. ეს არ გვაძლევს საშუალებას სწორად შევაფასოთ მთლიანად ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, რადგანაც ძალადობისა და მუქარის შემადგენლობებში გათვალისწინებული არ არის ძირითადი მომენტი, რომელიც განსაზღვრავს იძულების საზოგადოებრივ საშიშროებას, სახელდობრ, ის, რომ დამნაშავე ამ საშუალებების გამოყენებით ზემოქმედებას ახდენს სხვა ადამიანზე, აიძულებს მას იმოქმედოს თავის[ი] ნების საწინააღმდეგოდ: ან შეასრულოს მოქმედება, რომელიც მას არ სურს, ან თავი შეიკავოს მოქმედებისაგან, რომელიც მას სურდა შეესრულები[ნ]ა.

პრაქტიკის მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად უმართებულოა იძულების დასჯა ძალადობისათვის ან მუქარისათვის არსებული მუხლის საფუძველზე, რამდენად შეუფერებელია ზოგჯერ იძულებისათვის ის სასჯელი, რომელიც ამ დანაშაულთათვის არის გათვალისწინებული. მაგალითად, იმ პირის მოქმედება, რომელიც სისტემატურად მოკვლით ემუქრებოდა თავის ყოფილ ცოლს, რათა აეტყუებინა იგი გაეთავისუფლებინა მათი საერთო ბინა, კვალიფიცირებულ იქნა რუსეთის ს[აბჭოთა] ფ[ედერაციული] ს[ოციალისტური] რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლით, როგორც მუქარა, რომლისთვისაც სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს თვემდე. ასევეა კვალიფიცირებული ა-ს მოქმედება, რომელიც, ეჭვიანობის ნიადაგზე, მოკვლის მუქარით, აიძულებდა თავის ცოლს თავი მოეკლა<sup>1</sup>.

სასამართლოები ზოგჯერ გრძნობენ იმ სასჯელის არასაკმარისობას, რომელიც გათვალისწინებულია ძალადობის ან მუქარისათვის და მეტიმეტად ლმობიერი განაჩენის თავიდან ასაცილებლად იძულებას

---

<sup>1</sup> სასამართლო პრაქტიკის ეს მაგალითები მოყვანილია გ. კოსტროვის ზემოთ მითითებული წერილის მიხედვით. იხ. "Советская юстиция", 1976, №2, стр. 22.

კვალიფიკაციას აძლევენ სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი მუხლით, რომელიც უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს, მაგალითად, იმ პირთა ჯგუფის მოქმედებას, რომლებმაც მოკვლის მუქარით აიძულეს მანქანის მფლობელი წაეყვანა ისინი მათთვის სასურველ ადგილას, მიეცა ხულიგნობის კვალიფიკაცია<sup>1</sup>.

ამგვარად, როგორც თეორიულ-კონსტრუქციული და სისხლის-სამართლებრივ-პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებები, ისე სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნილება დაჟინებით აყენებს ჩვენ წინაშე საკითხს, რომ შეივსოს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში არსებული ხარვეზი და შეიტანონ ამ კოდექსებში იძულების საერთო შემადგენლობა, თანაც თვით კანონში დიფერენცირებულ იქნეს პასუხისმგებლობა იძულებისათვის მისი ჩადენის სხვადასხვა გარემოების შესაბამისად.

---

<sup>1</sup> იქვე.

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქიმო  
სამართალდარღვევისათვის\***

**† ლამარა სურგულაძე (1935-2006)**

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, ახალმა მიმართულებებმა მედიცინაში მწვავედ დააყენა სამედიცინო პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების, კერძოდ, დიაგნოსტიკის და მკურნალობის არასასურველი შედეგების განხორციელებისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების ზუსტად დადგენის საკითხი.

იურიდიული თვალსაზრისით საკითხის სწორად გადაჭრა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ იგი გართულებულია იმიტომ, რომ მას მიეძღვნა მედიცინის დარგის წარმომადგენელთა მრავალი ნარკვევი, სადაც უგულებელყოფილია სისხლის სამართლის თეორიის ძირითადი დებულებები. ასე, მაგალითად, ექიმთა ნაწილს მიაჩნდა, რომ ექიმმა საერთოდ არ შეიძლება პასუხი აგოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მავნე შედეგებისათვის და მისი ერთადერთი განმსჯელი მხოლოდ მისი სინდისია. სხვები ასე შორს არ მიდიან. საექიმო ხასიათის დასჯადი დარღვევების საკითხის გადაჭრისას ისინი ფართოდ იყენებენ ე.წ. „საექიმო შეცდომის“ ცნებას და ამასთან დაკავშირებით სამედიცინო ხასიათის ყველა იმ მოქმედებებს, რომელთაც არასასურველი შედეგი გამოიწვიეს, ყოფენ სამ ჯგუფად: 1. უბედური შემთხვევები, როდესაც ექიმს არ შეუძლია მავნე შედეგების გათვალისწინება და მათი თავიდან

---

\* წინამდებარე წერილი წარმოადგენს ავტორის მიერ 1984 წლის 26-27 ოქტომბერს ქუთაისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებული შეხვედრის პლენარულ სხდომაზე წაკითხული მოხსენების შემოკლებულ ვარიანტს. წერილი პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს ჟურნალ „მაცნეში“. იხ. სურგულაძე ლ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საექიმო სამართალდარღვევებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №4, 1985 [თ.5].

† სამართლის დოქტორი, თინათინ წერეთელის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ამავე ინსტიტუტის სისხლის სამართლის და პროცესის განყოფილების გამგის მოადგილე [თ.5].



აცილება, 2. საექიმო შეცდომები და 3. დასჯადი დარღვევები (პროფესიული დანაშაული). ორივე უკანასკნელ შემთხვევაში ირღვევა ოფიციალურ დოკუმენტებში გადმოცემული, სამედიცინო მეცნიერების მონაცემებით განმტკიცებული და პრაქტიკით დამკვიდრებული წესები. მაგრამ საექიმო შეცდომის დროს არასასურველი შედეგები გამოწვეულია, როგორც სამედიცინო დარგის მონაცემების უსრულობით, ისე ექიმის არასაკმაო ცოდნით, ხელოვნებით ან გამოუცდელობით. ექიმმა ამ შემთხვევაში არ შეიძლება აგოს პასუხი; იგი ამ დროს კეთილსინდისიერად მოქმედებს, გულწრფელად ცდილობს დაეხმაროს ავადმყოფს, მაგრამ არსებითად მისი მოქმედება მცდარია. პროფესიული დანაშაული კი, გულისხმობს საქმისადმი ექიმის არაკეთილსინდისიერ, დაუდევარ და უყურადღებო დამოკიდებულებას.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არაა სწორი, მართალია, მედიცინის მუშაკის პროფესიული საქმიანობის იურიდიული შეფასება გაცილებით რთულია, ვიდრე სხვა რომელიმე დარგის წარმომადგენლისა, ვინაიდან იგი ძნელად ექვემდებარება ოფიციალურად თუ არაოფიციალურად დადგენილ წესებს, მაგრამ მაინც ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვალიაროთ იგი საქმიანობის რაღაც განსაკუთრებულ სახედ და შემოვიღოთ მის შესაფასებლად განსხვავებული ცნებები და ტერმინები; ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობა, მისი ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ისეთი შედეგებია, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივი აკრძალვა ვრცელდება ადამიანთა მოღვაწეობის უკლებლივ ყველა სფეროზე. აქ, მთავარი და ძირითადია დადგინდეს არის თუ არა ექიმის მოქმედება ყოველთვის მართლსაწინააღმდეგო, როდესაც არასასურველი შედეგია. განხორციელებული, ე.ი. შეესატყვისება თუ არა ეს მოქმედება იმ მოთხოვნებს, რომლებიც სხვადასხვა ინსტრუქციებში და დადგენილებებშია გადმოცემული და რომელსაც სამედიცინო მეცნიერება და პრაქტიკა უყენებს, განვითარების დღევანდელ პირობებში, ამ დარგის მუშაკებს. ესაა პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოქმედების საბოლოო სამართლებრივი შეფასების გზაზე და უკვე ამ სტადიაზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა ქმედობის იურიდიული ბუნების თაობაზე.

როგორც ცნობილია, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების იურიდიულ გამოხატულებას მისი მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს. თუ დარღვეულია აუცილებლად შესასრულებელი განსაზღვრული წესი, უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ექიმის მოქმედებასა და განხორციელებულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის, მაგრამ მიზეზობრივი კავშირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირველი ძირითადი ობიექტური წინამძღვარია, რომელიც ერთი მოვლენიდან მეორის წარმოშობაზე მიუთითებს მხოლოდ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის საჭიროა განისაზღვროს მედიცინის მუშაკის ბრალი შედეგის დადგომაში. ბრალის ის ძირითადი დებულებები, რომლებიც შემუშავებულია სისხლის სამართლის თეორიის მიერ და განმტკიცებულია სასამართლო პრაქტიკით, აქაც მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას, ისევე როგორც საქმიანობის ყველა სფეროსათვის, ე.ი. გაუფრთხილებელი ბრალის მხოლოდ ორივე კრიტერიუმის - ობიექტურის და სუბიექტურის თანაარსებობა დაასაბუთებს მედიცინის მუშაკის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. გემოთქმულიდან გამომდინარე, „საექიმო შეცდომის“ ცნება თავისთავად არ შეიძლება დაუპირისპიროთ დანაშაულის ცნებას. განსაზღვრულ პირობებში, კერძოდ, ბრალის არსებობისას შეცდომა დასასჯელ, დანაშაულებრივ შეცდომად, მაგრამ მაინც შეცდომად რჩება. სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდეს, და ბოლოს იგი შეიძლება არც იყოს მისი ჩამდენი პირის ბრალეული ქცევის შედეგი; ამიტომაც ექიმის მიერ უცოდინარობის ან გამოუცდელი გამოსაწვევად გამოღობილი შეცდომა, რამაც სავალალო შედეგი გამოიწვია, თუნდაც საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დროს, როდი გახდება მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უპირობო საფუძველი. უნდა ითქვას, რომ პროფესიული შეცდომა არაა მხოლოდ სამედიცინო ტერმინი და აქაც ისე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ სამედიცინო ცოდნისა და

გამოცდილების რა დონეა მიჩნეული სავალდებულოდ ამა თუ იმ დიაგნოსტიკურ-სამკურნალო ხასიათის ღონისძიებების გატარებისას, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდის შეიძლება პირმა პასუხი აგოს უცოდინარობისა და გამოუცდელიობისათვის. უნდა ითქვას, რომ განსაზღვრული ცოდნა და გამოცდილება მოეთხოვება ყოველი დარგის სპეციალისტს და მითუმეტეს მედიცინის დარგის მუშაკს. ესაა მისი არა მორალური, არამედ იურიდიული მოვალეობა. მხოლოდ იმიტომ, რომ ავადმყოფი ექიმში ხედავს თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტს, იგი ანდობს მას თავის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამიტომაც მედიცინის დარგის მუშაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, როდესაც ვერ ვუსაყვედურებთ მას სათანადო ცოდნისა და გამოცდილების უქონლობას, როდესაც მან ეს ცოდნა და გამოცდილება ვერ შეიძინა მისგან დამოუკიდებელი მიზნების გამო და მხოლოდ გამონაკლისის სახით უცოდინარობამ შეიძლება გამორიცხოს გაუფრთხილებლობა.

### III. თანამედროვე გამოწვევები იურიდიულ მეცნიერებაში



# **Prohibition of Insider Dealing as an Investor Protection Mechanism - A Comparison between the EU and Georgia - Private Enforcement of Investor Claims under Georgian Civil Law\***

**Keti Benashvili\*\***

## **INTRODUCTION**

Capital markets law refers to the organisation of the capital markets, the trading of securities and the respective behaviour of the market participants – investors, issuers and financial intermediaries.<sup>1</sup> A well-functioning financial market is an essential element of a strong economy and market abuse can be detrimental in this regard.<sup>2</sup> The regulations and directives enacted by the European legislature aim to achieve a single European market for capital and financial services<sup>3</sup> in order to ensure the efficiency of the capital markets and investor protection.<sup>4</sup>

---

\* The present work was submitted as a Master's Thesis to the Bucerius Law School (Hamburg, Germany) Master of Law and Business Program in fulfilment of the requirements for the award of the Master of Laws (LL.M.) Degree in the year 2019.

\*\* LL.M. (Bucerius Law School), BA in Law (Tbilisi State University), Researcher at the Center for Interdisciplinary Law Studies at the Irodion Surguladze Institute of Law (ISIL).

<sup>1</sup> Moloney, N., *EU Securities and Financial Markets Regulation*, 3<sup>rd</sup> edition, Oxford, United Kingdom, 2014, 2.

<sup>2</sup> Deirdre R., *Dealing with the Market Abuse Regulation: A Case for Modernisation*, *King's Inns Law Review*, No. 8, 2019, 61.

<sup>3</sup> *European Capital Markets Law*, Edited by R. Veil, 2<sup>nd</sup> edition, Oxford, 2017, 24.

<sup>4</sup> See: Bumke Ch., *Regulierung am Beispiel der Kapitalmärkte*, in: *Kapitalmarktgesetzgebung Im Europäischen Binnenmarkt*, Bearbeitet von K. J. Hopt, R. Veil and J. A. Kämmerer, Tübingen, 2008, 107.

The functioning of capital markets and investor protection are two ‘communication vessels’<sup>1</sup> that support each other.<sup>2</sup> It is still unclear whether and how the investor protection should be defined.<sup>3</sup> However, it is important to note that one of the fundamental concepts of capital markets regulation refers to the equal access to information for investors, so that unfair informational advantage is prevented.<sup>4</sup>

Insider dealing is a form of market abuse, meaning that it constitutes a market delict<sup>5</sup>, and it is committed when a person who has information not available to other investors makes use of that information for personal gain.<sup>6</sup> The prohibition of insider dealing is usually justified on the basis that insiders have an informational advantage over external market participants.<sup>7</sup>

Prohibitions of insider dealing and market manipulation provided by the MAR<sup>8</sup> aim to enhance investor confidence and ensure the functioning of markets.<sup>9</sup> Insider dealing is difficult to detect and even harder to prove,<sup>10</sup> which is why the regulation of insider dealing presents unique challenge and different jurisdictions take various

---

<sup>1</sup> Hopt J. K., *Der Kapitalanlegerschutz im Recht der Banken*, 52, in: *European Capital Markets Law*, Edited by R. Veil, 2<sup>nd</sup> edition, Oxford, 2017, 25.

<sup>2</sup> Bumke Ch., *Regulierung am Beispiel der Kapitalmärkte*, in: *Kapitalmarktgesetzgebung Im Europäischen Binnenmarkt*, Bearbeitet von K. J. Hopt, R. Veil, and J. A. Kämmerer, Tübingen, 2008, in: *Ibid*.

<sup>3</sup> *Ibid*.

<sup>4</sup> Heinze, S., *Europäisches KapitalmarktRecht: Recht des Primärmarktes, Europäisches Wirtschaftsrecht*, Bd. 17, München, 1999, 9.

<sup>5</sup> *Kölner Kommentar Zum WpHG*, Bearbeitet von H. Hirte and T. M. J. Möllers, 2. Auflage, *Kölner Kommentare Zum Unternehmens- Und Gesellschaftsrecht*, Köln, 2014, 633.

<sup>6</sup> Roibu M., *All Eyes on Market – Abuse, Misuse and Insider Dealing*, *Journal of Eastern-European Criminal Law*, Volume 2, No. 2, 2015, 51.

<sup>7</sup> Deirdre R., *Dealing with the Market Abuse Regulation: A Case for Modernisation*, *King’s Inns Law Review*, No. 8, 2019, 71–72.

<sup>8</sup> Regulation (EU) No 596/2014 of the European Parliament and of the Council of 16 April 2014 on market abuse (market abuse regulation) and repealing Directive 2003/6/EC of the European Parliament and of the Council and Commission Directives 2003/124/EC, 2003/125/EC and 2004/72/EC.

<sup>9</sup> *European Capital Markets Law*, Edited by R. Veil, 2<sup>nd</sup> edition, Oxford, 2017, 28.

<sup>10</sup> Deirdre R., *Dealing with the Market Abuse Regulation: A Case for Modernisation*, *King’s Inns Law Review*, No. 8, 2019, 62.

approaches to this.<sup>1</sup> Regulation of insider dealing is reflected in the common idea that permitting such activities will cause investors to lose confidence in the market, believing it to be unfairly rigged against them.<sup>2</sup>

Insiders usually trade when they are in possession of material non-public information<sup>3</sup>, which affects the market price of securities if known by other investors<sup>4</sup>. Insider dealing impairs the allocative efficiency of the financial markets, reduces market liquidity and increases the cost of capital; jeopardises the development of fair and orderly markets and in doing so undermines investor confidence.<sup>5</sup>

A major goal of the market regulation is to assure orderly markets<sup>6</sup>, and the securities regulations protect the integrity and fairness of the financial markets through prohibiting unfair trading practices such as insider trading.<sup>7</sup> Since the securities markets are vital mechanisms by which the companies have access to the finance and therefore they are absolutely critical to the economic development of the country, consequently there is a strong interest in maintaining the integrity and fairness of financial markets.<sup>8</sup>

Georgia is a post-soviet country, which struggled to overcome its financial and economic crisis following the collapse of the Soviet Union. Due to the fundamental reforms in economic management and governance Georgia has earned a reputation of a ‘star reformer’.<sup>9</sup>

---

<sup>1</sup> *Ibid.*, 63.

<sup>2</sup> Armour J., Awrey D., Davies P., Enriques L., Gordon J.N., Mayer C.P., and Payne J., *Principles of Financial Regulation*, Oxford, 2016, 183.

<sup>3</sup> *Research Handbook on Insider Trading*, Research Handbooks in Corporate Law and Governance, Edited by S. M. Bainbridge, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA, 2013, 9.

<sup>4</sup> *Market Abuse Regulation: Commentary and Annotated Guide*, Edited by M. Ventrizzo and S. Mock, 1<sup>st</sup> edition, Oxford, United Kingdom, 2017, 13.

<sup>5</sup> Cole M., *Insider Dealing in the City*, *Law and Financial Markets Review*, Volume 1, No. 4, 2007, 307.

<sup>6</sup> Hazen, T. L., *Treatise on the Law of Securities Regulation*, 3rd edition, St. Paul, Minn, 1995, 2.

<sup>7</sup> Austin J., *Insider Trading and Market Manipulation: Investigating and Prosecuting across Borders*, Cheltenham, UK, 2017, 2.

<sup>8</sup> *Ibid.*, 3.

<sup>9</sup> “The World Bank in Georgia - Country Overview,” See: <<https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview#1>> [30.06.2019].



Nowadays, Georgia's medium-term growth outlook is positive<sup>1</sup> and it is regarded as one of the emerging markets throughout the Eastern Europe. Despite the impressive numerous reforms executed by the Government of Georgia, Georgia is still characterized with a relatively undeveloped capital market.<sup>2</sup> However, in 2014, in a historic undertaking<sup>3</sup>, Georgia signed an Association Agreement with the EU<sup>4</sup> under which it undertook the obligation to harmonize and approximate its laws and regulations in accordance with the respective legal acts of the EU listed in the Annex of the AA.<sup>5</sup>

Since market abuse can have a significant impact on the functioning of financial markets,<sup>6</sup> it is essential for Georgia to achieve sufficient legal framework for the prohibition of such activities. In order to promote the integrity within the markets, the legal regime governing the functioning of the capital markets shall contain strict rules against insider trading, market manipulation, self-dealing and broker abuse<sup>7</sup>, therefore it is of utmost importance for Georgia to make sure that its legislation with respect to insider dealing is up-to-date and corresponds to the actual needs of proper functioning of the securities markets. It is important to note that capital markets law

---

<sup>1</sup> The International Bank for Reconstruction and Development, the International Finance Corporation, the Multilateral Investment Guarantee Agency. "Country Partnership Framework for Georgia for the Period FY19-FY22," April 25, 2018, 5. See: <<http://documents.worldbank.org/curated/en/5887515-25364587100/pdf/WBG-Georgia-CPF-FINAL-4-25-04302018.pdf>> [30.06.2019].

<sup>2</sup> *Ibid.*, 48.

<sup>3</sup> The Capital Markets Working Group, "The Georgian Capital Market - Diagnostic Study and Recommendations." Discussion Draft, May 12, 2015, 42. See: <[http://www.economy.ge/uploads/meniu\\_publicaciebi/ouer/CMWG\\_Diagnostic\\_Report\\_12\\_May\\_2015.pdf](http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/CMWG_Diagnostic_Report_12_May_2015.pdf)> [30.06.2019].

<sup>4</sup> Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part (2014). See: <[https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association\\_agreement.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/association_agreement.pdf)> [29.06.2019].

<sup>5</sup> *Ibid.*, Art. 103.

<sup>6</sup> Deirdre R., Dealing with the Market Abuse Regulation: A Case for Modernisation, *King's Inns Law Review*, No. 8, 2019, 60.

<sup>7</sup> The Capital Markets Working Group. "The Georgian Capital Market - Diagnostic Study and Recommendations." Discussion Draft, May 12, 2015, 10. See: <[http://www.economy.ge/uploads/meniu\\_publicaciebi/ouer/CMWG\\_Diagnostic\\_Report\\_12\\_May\\_2015.pdf](http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/CMWG_Diagnostic_Report_12_May_2015.pdf)> [30.06.2019].

and, more specifically, insider dealing prohibition is a rather unexplored field of law in Georgian legal doctrine, which is also accompanied by the fact that there is no corresponding case law available in this regard in the Georgian General Courts.

The present work will analyse the general framework of insider dealing regulation in the EU and Georgia and will offer a comparison between the respective legal acts. The main hypothesis of the article lies within the question whether the Georgian legislation is in compliance with the EU regulation applicable to the prohibition of insider dealing, in particular, the MAR and whether the sufficient degree of investor protection can be achieved through the framework established by the Georgian law. The first part of the article will be elaborated on the general framework of insider dealing regulation in the EU and the possibility and importance of private enforcement of insider dealing in the Member States, as an effective means for investors to raise their private claims against insiders in order to protect their legitimate interests. The Second part of the article will focus on the comparative discussion with respect to Georgian legal framework and the regime provided by the MAR; and the last Chapter of the article will be dedicated to the analysis of the respective legal grounds in the Georgian civil law in order to prove that investors' private claims arisen as a result of infringement of the insider dealing regulation are admissible, executable and enforceable under the Georgian civil law framework. In the end, the conclusion of the article will provide recommendations, in particular, in which regards the Georgian law needs to be adapted and approximated to the standards set by the EU legislator.

This article mainly applies comparative research method while comparing relevant legislative provisions and approaches established and developed in the EU and Georgia. The discussions in the article are, also, based on the logical and analytical methods while addressing the respective legal (normative) acts and their implications with respect to investor protection. In addition, while analysing the legal regime established in the EU, the interpretations of respective legal provisions developed through the case law of the ECJ will be reasoned and explained.

# 1. REGULATION OF INSIDER DEALING IN THE EU

## 1.1. Development of Insider Dealing Regulation in the EU

The legal system of Georgia shares the particularities of the Roman-German civil law system, since it follows codified approach of the primary sources of law and relies upon Roman foundations<sup>2</sup>. After the dissolution of the Soviet Union, Georgia adopted a new Civil Code, which entered into force in 1997. The Civil Code is merely based on the Civil Code of the Federal Republic of Germany, it shares the foundations of the pandectic law and unambiguously distinguishes between the private and the public law.<sup>3</sup> Georgian Civil Code consists of the General Provisions, Property Law, Law of Obligations, Intellectual Property Law, and Family and Inheritance Law. More specifically, the Law on Obligations includes the General Part, General Provisions on Contract Law, Special Part on Contract Law and the Provisions on the Statutory Obligations. Tort Law is regulated within the scope of the Statutory Obligations and it consists of general and special provisions.

The civil liability can be imposed on a person in the event of the breach of contractual or statutory obligations. The key ground for the applicability of the tort law provisions and excluding the provisions of the contract law, relies on the matter that there is no contractual relationship between the person causing the damages and the affected person, meaning that in the event there is a contractual relationship between the parties the issue of imposing the civil liability will be

---

<sup>1</sup> Ibid.

<sup>2</sup> Malmstrom, A., *The System of Legal Systems*, Scandinavian Studies in Law, No. 13, 1969, 131.

<sup>3</sup> *Commentary of the Georgian Civil Code, Band I - General Provisions of the Civil Code*, Edited by L. Chanturia, T. Darjania, and G. Jugheli, Tbilisi, 2017, VIII.

resolved through the provisions of the contract law, excluding the provisions of the tort law. As for the insider dealing scenarios, since the infringement of insider dealing regulations is an independent and separate market abuse offence and is not related to any contractual relationship between insiders and investors, the present article will discuss the matter of civil liability within the scope of the tort law.

## **5.2. Legal Grounds for Private Claims of Investors arisen from Insider Dealing in Georgian Tort Law**

Similar to the approach taken by the legislator in Germany, the Georgian Law on the Securities Markets does not entail any provision with respect to compensating the damages of investors as a result of insider dealing.<sup>1</sup> However, the circumstance that this kind of provision does not exist in Georgian legislation does not necessarily refer to the fact that it is impossible to claim compensation for the damages caused from insider dealing.

In particular, the fact that the Law on Securities Markets does not empower investors with this kind of specific right, does not hinder investors from the possibility to claim compensation via the private enforcement. On the other hand, since there is no specific rule that expressly entitles the investors to raise such claims as a result of insider dealing, and deriving from the fact that there is no current case law in Georgia in this regard, the courts in Georgia will carefully and thoroughly address the issue of whether these kind of claims are admissible. In addition, the courts of Georgia will try to interpret the respective norms of securities legislation to examine the initial will of the legislator with respect to granting the investors with the right to rise compensation claims in the event of infringement of insider dealing regulation.

Prior to discussing specific tort law grounds for the liability of the insiders it needs to be noted that the scholars generally exclude the possibility to raise civil claims as a result of infringement of insider dealing prohibitions based on contractual provisions, unjust enrichment or quasi-contractual grounds. Firstly, the investor can raise his/her contractual claims against the insider only in the event the

---

<sup>1</sup> Robakidze S., *The Deals concluded through the Misuse of Inside Information and its Legal Consequences in Civil Law*, in *The Compilation of Corporate Law*, 159-268, Tbilisi, 2011, 243.

transaction on the purchase of the securities is concluded without the participation of the intermediary (Face-to-Face Deals).<sup>1</sup> However, since the Law of Georgia on Securities Markets only allows deals with participation of a brokerage company or an appropriate license holder financial institution on the regulated capital market (unless there is a sophisticated/experience investor involved in the transaction)<sup>2</sup> the issue of raising contractual claims will not be addressed in this article. Secondly, the scholars believe that the deal concluded through the infringement of insider dealing provisions cannot be considered as void pursuant to the Civil Code of Georgia, since the result of the avoidance of the deal is only addressed to the insider and will not be achieved for the both parties of the deal.<sup>3</sup> Following this reasoning, the scholars also exclude the possibility of raising claims based on the provisions of unjust enrichment.<sup>4</sup> Thirdly, raising quasi-contractual civil claims on the basis of the principle *culpa in contrahendo* is seen as legally unreasonable, since the inside information cannot be disclosed only to the particular investor and potential party of the contract, unless the disclosure is made through the Due Diligence procedure.<sup>5</sup>

As for the persons, who can be held liable for the insider dealing through the private enforcement, generally, the addressees of the liability for the infringement of insider dealing provisions are the members of the governing body of the issuers, since in most scenarios they are the ones in possession of inside information.<sup>6</sup>

### **5.2.1. Raising compensation claims under the Sec. 992 of the CCG and Sec. 309<sup>16</sup> of the CPCG**

In the German legal doctrine the scholars state that the civil liability of the insider can only be considered if the insider has violated

---

<sup>1</sup> Assmann/Schütze, Handbuch des Kapitalanlagerechts, §14, Rn. 59, in: Ibid., 244.

<sup>2</sup> The Law of Georgia on Securities Markets, Art. 18(4).

<sup>3</sup> Robakidze S., The Deals concluded through the Misuse of Inside Information and its Legal Consequences in Civil Law, in The Compilation of Corporate Law, 159-268, Tbilisi, 2011, 244-45.

<sup>4</sup> Ibid., 252.

<sup>5</sup> Ibid., 248.

<sup>6</sup> Ibid., 243.

the protective norm, which aims at the protection of the interests of investors.<sup>1</sup> The norm can be regarded as protective if it has an individual protective character.<sup>2</sup> It needs to be noted that despite of the fact that Georgian civil law is merely based on the BGB, understanding of the civil liability with respect to the existence of the protective norm is different. In Georgian civil law the person can claim compensation for damages in the event the prerequisites for the Sec. 992 of the CCG are fulfilled, irrespective of the fact whether the specific violated norm serves as a protective norm or not.

However, if the reasoning of the German scholars will be followed, in order to impose civil liability on the insider based on the Sec. 992 of the CCG the provision of the Securities Markets Law needs to serve as a protective norm. The issue whether the norm prohibiting insider dealing, in particular, Art. 45 of the Law on Securities Markets, depends on the content, purpose and, more importantly, its function to prohibit insider dealing.<sup>3</sup> Since the purpose of the prohibition of insider dealing is to protect not only the collective trust of investors, but also individual interests of market participants<sup>4</sup>, the provision with respect to the prohibition of insider dealing can be considered as a protective norm having the purpose of protecting the interests of investors individually and collectively.

The general ground for imposing the civil liability through the tort law is based on the Sec. 992 of the CCG under which “*a person who unlawfully, intentionally or negligently causes damage to another person shall compensate the damage to the injured party.*”<sup>5</sup> The present Section of the Civil Code is the laying foundation for the tort liability and it establishes the key prerequisites for imposing tort liability. It is essential to note that in order to impose tort liability the following

---

<sup>1</sup> Larenz Karl/Canaris Claus-Wilhelm, Lehrbuch des Schuldrechts, Band II/2, besonderer Teil, 14. Aufl., 1994., Rn 31, in: *Ibid.*, 249.

<sup>2</sup> Buck-Heeb P., Kapitalmarktrecht., 7. Auflage, Heidelberg, Hamburg, 2014, 105.

<sup>3</sup> Robakidze S., The Deals concluded through the Misuse of Inside Information and its Legal Consequences in Civil Law, in *The Compilation of Corporate Law*, 159-268, Tbilisi, 2011, 250.

<sup>4</sup> Die Europäisierung des Georgischen Wirtschaftsstrafrechts: Tagungsband, Bearbeitet von B. Jishkariani und M. P. Waßmer, Tbilisi, 2017, 178.

<sup>5</sup> The Civil Code of Georgia. sec. 992.

prerequisites need to be fulfilled cumulatively: the intentional or negligent unlawful action, damage, causality between the unlawful action and caused damage.<sup>1</sup>

Consequently, in order to hold an insider liable based on the Sec. 992 of the CCG, the essential prerequisite is the actual damage, resulted from the misuse of insider information and intentional or negligent action from the insider.<sup>2</sup> Deriving from this provision, in the event of claiming damages as a result of violation of the insider dealing regulation, following prerequisites need to be fulfilled: firstly, the fact of insider dealing, as an unlawful act, committed through intentional or negligent activity of the insider; secondly, the damages from investors' side, which, in most scenarios, results in the significant decrease of the price of publicly traded securities; thirdly, the causality between the unlawful act of the insider and the caused damage (price-decrease) from this particular activity. It needs to be noted that the investors are required to prove the causality between the committed insider dealing and his/her own damages,<sup>3</sup> meaning that if investors' damages are resulted from a different fact or factor other than insider dealing, they won't be able to execute their claims against insiders, since causality requires that the caused damages are the result of the certain misconduct, namely, insider dealing in this case.

In the event the insider dealing was committed and the insiders concluded deals on publicly held securities by using the inside information, the investors can generally claim the damages considering the amount of the affected shares, their value before the concluded deal and after the conclusion of the deal which was executed as a result of insider dealing.

Apart from the possibility to apply the Sec. 992 of the CCG, the Civil Procedure Code of Georgia sets out the summary procedure for claims for damages caused by some tortious acts<sup>4</sup>, under which a

---

<sup>1</sup> The Supreme Court of Georgia, Chamber of Civil Cases, Award dated September 30, 2016, N-as-504-481-2016.

<sup>2</sup> Robakidze S., The Deals concluded through the Misuse of Inside Information and its Legal Consequences in Civil Law, in The Compilation of Corporate Law, 159-268, Tbilisi, 2011, 251.

<sup>3</sup> Buck-Heeb P., Kapitalmarktrecht., 7. Auflage, Heidelberg, Hamburg, 2014, 106.

<sup>4</sup> Civil Procedure Code of Georgia, Chapter XXXIV<sup>3</sup>.

claim for damages sustained as a result of a criminal offense or an administrative infraction shall be reviewed.<sup>1</sup> As discussed in the previous Chapter of this article, Georgian legislation and in particular, the Criminal Code of Georgia recognizes insider dealing as a criminal offense, meaning that in the event there is a final court decision issued by the Criminal Court, the affected person can claim the damages in the Civil Court relying on the respective Sections of the Civil Procedure Code of Georgia, together with the general foundation for compensating the damages as set out in Sec. 992 of the CCG.

In such event, the judge shall deem the fact of damage as established, which is confirmed by the decision of the Criminal Court<sup>2</sup>, and the Court does not examine the existence of the unlawful act (criminal offense), the causality between the unlawful act and the caused damage, since the damage as a result of this unlawful act is deemed to be established.<sup>3</sup>

On the other hand, the calculation of the amount of the damage in this scenario is considered rather controversial, since the person claiming for the damages is responsible to provide the Court with the official document which states the amount of the damages, unless the judgement of the Criminal Court states the exact amount of the caused damages. Consequently, in the process of hearing these kind of cases, the prejudicial meaning is only given to the fact of the damage and the causality<sup>4</sup>, making the amount of the damages not being proven *a priori*.<sup>5</sup>

In the event the claimant is filing a claim for the compensation of damages caused through an unlawful act, and in this case – insider dealing, he/she is entitled to claim the restitution of the initial status quo or alternatively if it is impossible to maintain the initial status

---

<sup>1</sup> Ibid., sec. 309<sup>16</sup>.

<sup>2</sup> Ibid., sec. 309<sup>20</sup>(2).

<sup>3</sup> Meskhishvili K., Practical Analysis of the Particularities of the Hearing of the Claims for the Damages caused through Unlawful Acts, Student Law Journal, 2012, 95.

<sup>4</sup> The Supreme Court of Georgia, Chamber of Civil Cases, Award dated April 10, 2016, N-as-176-163-2015.

<sup>5</sup> Meskhishvili K., Practical Analysis of the Particularities of the Hearing of the Claims for the Damages caused through Unlawful Acts, Student Law Journal, 2012, 96.



quo, the claimant is empowered to claim the damages inflicted through the particular criminal offense.<sup>1</sup>

Deriving from this respective legal basis established in the Georgian legislation, the 'victims' of insider dealing, namely investors, can rely on the sufficient legal grounds given in the CCG while presenting their claims in the Civil Court of Georgia in the event there is a decision rendered by the Criminal Court, which recognizes the fact that insider dealing was committed and the damage was occurred from the side of investors. The investor's claim may rely on the Sec. 992 of the CCG as a general foundation for compensating the damages in Georgian tort law and the Sec. 309<sup>16</sup> of the CPCG as a supportive special norm. However, as already mentioned, in such scenario, the investors have to prove the amount of monetary damages that they suffered from and they don't need to prove the fact of insider dealing, as an unlawful act, as this fact will already have a prejudicial meaning.

## CONCLUSION

Due to the fact that insider dealing as a crime is extremely hard to investigate and detect, it is crucial for the legislator to not to leave loopholes in the law, to avoid the legal uncertainty while providing the regulatory framework in this regard. As it is demonstrated from this article, the Georgian regulation regarding prohibiting insider dealing and namely the Law of Georgia on Securities Markets can be regarded as incomplete and rather general, meaning that currently the insider dealing regulation set out in the Georgian law is not up-to-date and compliant with the challenges the participants of the modern capital markets might face, which consequently refers to the fact that this framework does not provide investors with sufficient degree of protection. Therefore, investor protection standard to be achieved through Georgian legislation currently can be regarded as insufficient and low.

Since Georgia needs to comply with the requirements set out in the AA and in particular, needs to approximate its legislation with respect to capital markets to the current EU framework, the Law on Securities Markets needs to be updated and following key aspects need to be taken into account in this regard: 1) Firstly, the definitions

---

<sup>1</sup> Ibid., 99.

and terms given in the Law on Securities Markets need to be changed and updated, based on the approach taken by the MAR: the most important aspect in this regard is to update the definition of inside information; Since the definition of inside information given in the Law on Securities Markets is insufficient and incompliant with the definition elaborated in the EU legislation, it is necessary that this issue is treated very carefully in terms of broadening the scope of this definition. 2) Secondly, the NBG shall be given the access to the list of people who have access to inside information, as it is essential for the purposes of supervision that the NCA has an actual power guaranteed under the national law to request the lists of insiders; in addition, the Georgian Law shall include the obligation of the issuers to take reasonable steps to ensure that the people on the insider list acknowledge in writing the legal and regulatory duties entailed and are aware of the potential sanctions applicable to insider dealing; 3) Thirdly, the Law on Securities Markets along with the prohibition to acquire or sell publicly held securities, shall refer to the attempt to engage in insider dealing; 4) Certain specifications need to be implied in the Georgian Law, for instance, along with the acquisition or disposal of the securities, the Law shall also refer to the cancellation or amendment of an order concerning financial instruments while prohibiting insider dealing; additionally, the Law shall also refer to the buy-back programs, stabilization measures of securities or selection disclosures as events excluded from insider dealing; also, an attempt to sell or acquire the financial instruments shall fall into the scope of the prohibition determined in the law; 5) The Law shall explicitly regulate the legal consequences of the infringement of insider dealing prohibitions, in particular, the certain measures and sanctions required specifically for this kind of market offence; 6) The supervisory powers of the Georgian NCA need to be broadened and widened, in order to achieve the sufficient supervisory standard of monitoring the functioning of the securities market set out in the MAR; Furthermore, the NBG needs to be granted the power and official duty at the same time, to promptly inform the public with respect to the respective violations of the securities markets legislation.

As for the sanctions to be imposed for the violation of insider dealing regulation, the Georgian law only sets a fine of a fixed sum and does not take into account the profits gained or losses avoided through the infringement of insider dealing regulation. In this regard, Georgian approach is rather superficial and needs to be adapted in

accordance with the approach taken by the MAR. In particular, the regulation should differentiate between the sanctions to be imposed to natural and legal persons, the maximum amount of the sanctions needs to be determined and the amount of the sanction needs to be calculated on the basis of the actual profits gained or losses avoided through the violation. Otherwise, the fixed sum of the fine established by the NBG does not correspond with the actual characteristics and seriousness of the infringement and can be extremely low in comparison to the financial profits gained or losses avoided from the side of the person who violated the securities markets regulation.

With respect to the provisions entailed in the Criminal Code of Georgia, it shall provide an explicit regulation of the events related to the insider dealing, for instance, the event of recommending, or inducing another person to engage in insider dealing needs to be required in the Criminal Code of Georgia. The Criminal Code of Georgia shall impose specific kinds of criminal penalties for insider dealing and shall not be restricted to the general criminal sanctions. With respect to imposing criminal sanctions and liability, the Georgian legislation can be regarded as rather incomplete and too general, since it favours a very broad approach and refers only to the general prohibition of unlawful usage, disclosure, or transfer of inside information and to the general criminal sanctions, without introducing specific sanctions necessary for this kind of criminal offense as established in the CRIM-MAD.

In the second part of this article, the legal grounds established in the Georgian legislation have been analysed concerning investors' rights to claim their damages through the private enforcement in the event they are affected from the violation of insider dealing prohibitions. The reasoning elaborated in this article has proven that the private enforcement of insider dealing is an effective measure to ensure the sufficient degree of investor protection. Deriving from the fact that the investors are important participants of the market, and since the insider dealing regulation primarily protects the functioning of the markets and investors' confidence in this regard, it is essential that the investors are entitled to claim their monetary damages in the event they were affected by the infringement of insider dealing prohibitions. In this regard, this article demonstrates that Georgian Law provides sufficient legal grounds for the investors to rise their private claims in the civil courts by relying on the tort law provisions established in the CCG and CPCG, taking into account the fact that

in such scenarios the most important requirement for the investors is to prove the amount of damages that they have suffered from.

Finally, it needs to be noted that generally the Georgian Law aligns with the objectives of the European framework set out in the MAR and CRIM-MAD. However, with respect to certain specifications and concepts discussed in this article, the Georgian law is rather incomplete and superficial, since it lacks essential elements of the prohibition of insider dealing, follows a very broad approach and is not as comprehensive as respective provisions of the EU legislative acts.

## LIST OF ABBREVIATIONS

AA	Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and Their Member States, of the One Part, and Georgia, of the Other Part (2014)
BGB	Bürgerliches Gesetzbuch (German Civil Code)
CCG	Civil Code of Georgia
CPCG	Civil Procedural Code of Georgia
CRIM-MAD	Directive 2014/57/EU of the European Parliament and of the Council of 16 April 2014 on criminal sanctions for market abuse (market abuse directive)
ECJ	European Court of Justice
ESMA	European Securities and Markets Authority
ESMA REGULATION	Regulation (EU) No 1095/2010 of the European Parliament and of the Council of 24 November 2010 establishing a European Supervisory Authority (European Securities and Markets Authority), amending Decision No 716/2009/EC and repealing Commission Decision 2009/77/EC
EU	European Union
FSA	Financial Services Authority
GEL	Georgian Lari (Georgian National Currency)

GSE	Georgian Stock Exchange
INSIDER DIRECTIVE	Council Directive 89/592/EEC of 13 November 1989 coordinating regulations on insider dealings
MAD	Directive 2003/6/EC of the European Parliament and of the Council of 28 January 2003 on insider dealing and market manipulation (market abuse)
MAR	Regulation (EU) No 596/2014 of the European Parliament and of the Council of 16 April 2014 on market abuse (market abuse regulation) and repealing Directive 2003/6/EC of the European Parliament and of the Council and Commission Directives 2003/124/EC, 2003/125/EC and 2004/72/EC
MIFID	Directive 2004/39/EC of the European Parliament and of the Council of 21 April 2004 on markets in financial instruments amending Council Directives 85/611/EEC and 93/6/EEC and Directive 2000/12/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 93/22/EEC
MIFID II	Directive 2014/65/EU of the European Parliament and of the Council of 15 May 2014 on markets in financial instruments and amending Directive 2002/92/EC and Directive 2011/61/EU
MTF	Multilateral Trading Facility
NCA	National Competent Authorities
NBG	National Bank of Georgia
OJ	Official Journal
OTC	Over-the-counter
OTF	Organised Trading Facility
WpHG	Gesetz über den Wertpapierhandel (German Securities Trading Act)

# მტკიცების პროცესი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის დროს

## სიმონი ტაკაშვილი\*

### შესავალი

საქართველოში საკორპორაციო სამართალი, რომ ძალზედ აქტუალური და პრობლემური დარგია ეს არაერთხელ დადასტურდა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით. განხორციელებული მასშტაბური თუ უმნიშვნელო ცვლილება კი 2021 წელს ახალი მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიღებით დაგვირგინდა, რომელიც ძალაში 2022 წლის 1 იანვარს შევიდა.<sup>1</sup> ახალმა კანონმა განსხვავებული და ახალი სტანდარტები დაადგინა, ერთი მხრივ, მენარმე სუბიექტის პარტნიორებისთვის და, მეორე მხრივ, კი თავად მენარმე იურიდიული პირებისთვის. კანონის მიღებით კიდევ უფრო მეტად გაიზარდა იმ საკვლეფ თემათა წრე, რომელიც ყოველთვის აქტუალური და პრობლემური იყო საკორპორაციო სამართალში.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ისეთი პრაქტიკული საკითხის კვლევას, როგორცაა მტკიცების პროცესის თავისებურება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვიდან გამომდინარე სასამართლო დავის დროს. ნაშრომში გაანალიზებულია ქართული სასამართლო პრაქტიკის ტენდენციები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ძველი მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მონესრიგებას ეხება, თუმცა პრაქტიკაში დღესაც აქტუალური და გასათ-

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი, იურიდიული ფირმა „ჯეი ენდ თი ქონსალთინგის“ პარტნიორი, იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის (ისსი) უფროსი მკვლევარი, სამართლის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი: 02.08.2021, დოკუმენტის ნომერი: 875-Vრს-Xმპ.

ვალისწინებელი იქნება ახალი კანონის მოქმედების დროს. ამავდროულად, ნაშრომში შეფასებულია მოქმედი კანონის მიდგომები, რაც გარკვეული სპეციფიკით გამოირჩევა და მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლას საჭიროებს.

დღეს-დღეობით, საკორპორაციოსამართლებრივი დავები ერთ-ერთი პრობლემური და ამავდროულად, რთულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება. საკითხს ართულებს ის გარემოებაც, რომ ახალი კანონით სრულიად ახალი სტანდარტები დადგინდა უშუალოდ სასამართლოს მიმართაც, რაც ამ უკანასკნელის ფართო ჩართულობასა და დისკრეციას გულისხმობს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. წინამდებარე ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, უპირატესად შესწავლილია ისეთი პრაქტიკული საკითხები, როგორებიცაა მტკიცების პროცესი და მტკიცების ტვირთის განაწილება, ერთი მხრივ, მოსარჩელე კომპანიის მიმართ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ გარიცხოს პარტნიორი მენარმე სუბიექტის პარტნიორთა რიგებიდან და, მეორე მხრივ, თავად გასარიცხი პარტნიორის სამტკიცებელ საკითხებზე, რომელიც ძალზედ სპეციფიკური და პრობლემურია. ამასთან, ნაშრომში გაანალიზდება კანონით დადგენილი წესები და მტკიცების პროცესი, რაც სრულიად ახლებურად მონესრიგდა მენარმეთა შესახებ ახალი კანონის ნორმებით.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს ქართული სასამართლო პრაქტიკის კვლევას და იურიდიული ლიტერატურის გაანალიზებას, რაც საბოლოოდ შეჯამებულია ნაშრომის დასკვნაში. ამავდროულად, ნაშრომის დასკვნაში მოცემულია გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ახალი კანონის მოქმედების პირობებში, მიზანშეწონილია სასამართლო პრაქტიკაში.

# 1. პარტნიორის გარიცხვა შენატანის განუხორციელებლობის გამო

## 1.1. დაფუძნების მომენტში განსახორციელებელი შენატანი

პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი ზომაა. შესაბამისად, ასეთი ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას.<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ ახალი კანონის მიღებამდე, ძველი კანონის მოქმედების დროს არსებული სასამართლო პრაქტიკა ერთმანეთისგან მიჯნავდა, ერთი მხრივ, მენარმე სუბიექტის დაფუძნების დროს განსახორციელებელი შენატანების შეუტანლობის შედეგად პარტნიორის გარიცხვას და, მეორე მხრივ, უკვე დაფუძნებული მენარმე სუბიექტის კაპიტალის გაზრდის დროს პარტნიორის მიერ დამატებითი შენატანის განუხორციელებლობისას პარტნიორის შესაძლო გარიცხვის პროცესს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უახლესი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ცალსახად დადგინდა, რომ საწარმოს რეგისტრაციის შემდგომ კაპიტალის გაზრდა ვერ გახდება პარტნიორის გარიცხვის საფუძველი.<sup>2</sup>

მოქმედი მენარმეთა შესახებ კანონის 139-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შენატანის განხორციელების ვადის გადაცილების შემთხვევაში ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია დაიწყოს წილის ჩამორთმევის პროცესი. პარტნიორს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ამ პროცესის დაწყების შესახებ და შენატანის განხორციელებისთვის უნდა მიეცეს დამატებითი ვადა არანაკლებ 30 დღისა. შესაბამისად, კანონის დისპოზიციამ იმგვარია, რომ წილის ჩამორთმევის პროცედურას წარმართავს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე ორგანო და პროცედურულად ამას არ სჭირდება არც საერთო კრების გადაწყვეტილება წილის ჩამორთმევაზე და არც სასამართლოსადმი მიმართვა პარტნიორის

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის №ას-1203-2018 განჩინება.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ივნისის №ას-324-2021 განჩინება. საგულისხმოა, რომ ეს სასამართლოს განჩინება მიღებულია 2022 წლის 1 იანვრამდე მოქმედი მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ნორმებიდან გამომდინარე.



გარიცხვის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნით.<sup>1</sup> ამგვარად, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება ფუძნდება და ამ პროცესში პარტნიორმა არ განახორციელა შენატანი, ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებას (მის დანარჩენ პარტნიორ(ებ)ს) არ მოუწევს სასარჩელო წარმოების გზით სასამართლოსთვის მიმართვა და სასამართლოს გადაწყვეტილებით პარტნიორისთვის წილის ჩამორთმევა. შესაბამისად, პარტნიორი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გაირიცხება პარტნიორთა რიგებიდან. ეს მიდგომა შეიძლება სწორი და გამართლებული არ იყოს, რადგან არ არის გამორიცხული, რომ ამ „გამარტივებული პროცედურით“ შეილახოს პარტნიორის ინტერესები. კერძოდ, პრაქტიკაში შესაძლოა კომპანიამ არაკეთილსინდისიერად დაიწყოს გარიცხვის პროცედურა რომელიმე პარტნიორის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ გასარიცხი პარტნიორის მიერ შენატანი უკვე განხორციელებულია, თუმცა კომპანიას (მის ხელმძღვანელ ორგანოს) მიაჩნდეს, რომ ამ პარტნიორის მიერ არ განხორციელებულა შენატანის შეტანა ან/და განხორციელებული შენატანი არასრულია. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელე უკვე გარიცხული პარტნიორი იქნება, რომელიც სასამართლოში მოითხოვს მის მიერ განხორციელებული (სავარაუდოდ განხორციელებული) შენატანის შეთანხმებული სახით განხორციელებად ცნობას/აღიარებას. შესაბამისად, სასამართლოში იმის მტკიცების ტვირთი, რომ გასარიცხმა პარტნიორმა ნამდვილად შეთანხმებულ დროს და შეთანხმებული ხარისხით განახორციელა შენატანი, სწორედ გასარიცხ პარტნიორზე იქნება. აღნიშნული გამომდინარეობს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მარტივი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც ვალდებულების შესრულება, მაგალითად, ფულადი ვალდებულების შესრულება, მოვალემ (განსახილველ შემთხვევაში პარტნიორმა, რომელმაც შენატანის შეტანის ვალდებულება იკისრა) უნდა დაადასტუროს.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მალრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, 354.

<sup>2</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 5 ნოემბრის №ას-334-2021 განჩინება.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი ბოლო გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ განმარტა რომ „გარიცხვა იწვევს გარიცხული პარტნიორის საკუთრების უფლების დაკარგვას ნილზე, რის გამოც საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს, რომ პარტნიორი საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაირიცხოს. შესაბამისად, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შედეგად წილის ჩამორთმევის ავტომატური სამართლებრივი შედეგი არ დგება და არც საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების საფუძველი არ არის.“<sup>1</sup> ეს განმარტება სასამართლომ სწორედ შენატანის შეუტანლობის გამო წარმოშობილ დავაში გააკეთა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შენატანების შეუტანლობის გამო პარტნიორის გარიცხვას მაინც სჭირდება სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს საკითხი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ჯერ-ჯერობით ბუნდოვანი რჩება. ბუნდოვანი იმიტომ, რომ არსებობს უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზითაა შესაძლებელი (გარდა შესატანის შეუტანლობისას, რა დროსაც პარტნიორის გარიცხვას სასამართლო გადაწყვეტილება არ სჭირდებოდა)“.<sup>2</sup>

ციტირებული სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით და იურიდიულ ლიტერატურაში მოცემული შეხედულების მიუხედავად<sup>3</sup>, ალბათ მაინც მიზანშეწონილია, რომ პარტნიორის გარიცხვა ამ შემთხვევაშიც სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. ამ დავაში მტკიცების ტვირთი იმისა, რომ გასარიცხი პარტნიორი არ ასრულებს მასზე ნაკისრ ვალდებულებებს ეკისრება კომპანიას, რომელიც მოსარჩელედ გამოვა სასამართლოში წარდგენილ სარჩელში. მტკიცების პროცესის ეს წესი და ზოგადად, ეს მიდგომა უფრო სწორი იქნება, ვიდრე ის, რომ

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ნოემბრის №ას-93-2021 განჩინება.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ოქტომბრის №ას-201-201-2018 განჩინება.

<sup>3</sup> ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მალრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, 354.

სასამართლო წარმოება (სარჩელის შეტანა საზოგადოების მხრიდან პარტნიორის წინააღმდეგ), შესატანის შეუტანლობის დროს არ იყოს საჭირო პარტნიორის გარიცხვისთვის.<sup>1</sup>

საგულისხმოა ისიც, რომ მოქმედი მენარმეთა შესახებ კანონი ძველი კანონისგან განსხვავებით ადგენს 30 დღიან ვადას იმისთვის, რომ გასარიცხ პარტნიორს კიდევ ერთხელ მიეცეს შანსი დარჩეს პარტნიორთა რიგებში, თუ ის ამ ვადაში განახორციელებს შენატანს. შესაბამისად, საზოგადოების ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით პარტნიორი კარგავს წილს და განხორციელებულ ნაწილობრივ შენატანს.<sup>2</sup> ამ მოწესრიგებით მოქმედი კანონი რადიკალურად განსხვავებულია მისი წინამორბედისგან, რომელიც არ არეგულირებდა ამ საკითხს და ვადის განსაზღვრისას იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე და 405-ე მუხლები.<sup>3</sup> შესაბამისად, მოქმედი კანონის პირობებში, სამოქალაქო კოდექსის გამოყენების საჭიროება აღარ დგას და პარტნიორის გარიცხვის დროს შენატანის განსახორციელებლად გამოიყენება დამატებით 30 დღიანი ვადა. საგულისხმოა, რომ კანონი არ იცნობს ამ ვადის გახანგრძლივებას/გაზრდას. შესაბამისად, ამ ვადამ ფაქტობრივად, ჩაანაცვლა ე.წ. „გონივრული ვადა“, რომელიც

---

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ კანონის 24-ე მუხლი დეტალურად ადგენს შესატანის განხორციელების წესსა და ვადას, შესაბამისად, შესაძლოა, სასამართლო პრაქტიკა იმგვარად განვითარდეს, რომ დაფუძნების მომენტში პარტნიორის გარიცხვას სასამართლოს გადაწყვეტილება არ დასჭირდეს და სამენარმეო რეესტრმა ფულადი შესატანების დროს, საკმარისად მიიჩნიოს მხოლოდ საბანკო ანგარიშის ამონაწერები, სადაც კონკრეტული პირის მიერ განსახორციელებელი შესატანი არ დაფიქსირდება.

<sup>2</sup> ჯუღელი გ., გიგუაშვილი გ., განმარტებები „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით), თბილისი, 2021, 159.

<sup>3</sup> ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან, საკორპორაციო სამართლის კრებული II, ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 165. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის №ას-1203-2018 განჩინება.

სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლების საფუძველზე მიეცე-  
მოდა პარტნიორს შესატანის განხორციელებისთვის.

## 1.2. კაპიტალის გაზრდა დამატებითი შენატანებით

შპს-ის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა პარტნიორებმა გა-  
დანყვიტონ კაპიტალის გაზრდა, რაც პარტნიორთა მხრიდან დამა-  
ტებითი შენატანების განხორციელებას მოითხოვს. დამატებითი შენატა-  
ნების განხორციელებას შპს-ში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს,  
რადგან დამატებითი შენატანები ამ სამართლებრივ ფორმაში მოქნილ  
ფინანსურ ინსტრუმენტებად მიიჩნევა, რაც საზოგადოების პარტნიორებს  
სანარმოს საკუთარი კაპიტალის შევსების ფუნქციით აღჭურავს.<sup>1</sup> ამავდ-  
როულად, უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის გაზრდა არ უნდა გახდეს  
პარტნიორის გარიცხვის ხელოვნური საფუძველი.<sup>2</sup> შესაბამისად, ყოველ  
კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს რამდენად კეთილსინდი-  
სიერად მოახდინეს პარტნიორებმა გადანყვეტილების მიღება, რომლი-  
თაც დაადგინეს უკვე დაფუძნებული შპს-ის კაპიტალის გაზრდა დამა-  
ტებითი შენატანების განხორციელების გზით. ამ შემთხვევაში, თუ პარტ-  
ნიორი გარიცხება შპს-ის პარტნიორთა რიგებიდან მტკიცების ტვირთი  
იმისა, რომ მისი გარიცხვა არასწორად და არაკეთილსინდისიერად  
მოხდა სწორედ გარიცხულ პარტნიორზე იქნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი გადანყვეტილების  
მიხედვით, ერთ-ერთი პარტნიორის მიერ დამატებითი შენატანის გა-  
დაუხდელობამ შესაძლებელია, გამოიწვიოს კაპიტალის გაზრდის შემ-  
დეგ პარტნიორთა წილების ხელახლა გადანაწილების საჭიროება, სხვა  
პარტნიორების მიერ განხორციელებული დამატებითი შენატანების წი-  
ლების პროპორციულად, შედეგად კი, იმ პარტნიორის წილის შემცირება  
(და არა გარიცხვა), რომელსაც დამატებითი შენატანი არ შეუტანია და

---

<sup>1</sup> ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძველები (გერმანული და ქართული  
სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2013, 133-134.

<sup>2</sup> ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის გარიცხვა შემლუდული პასუხისმგებლობის სა-  
ზოგადოებიდან, საკორპორაციო სამართლის კრებული II, ი. ბურდულის რე-  
დაქტორობით, თბილისი, 2014, 146.

შესაბამისად, პარტნიორის გარიცხვა შესატანის შეუტანლობის საფუძველზე არ შეიძლება.<sup>1</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილების საპირისპიროდ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, შპს-ში პარტნიორებს უფლება აქვთ დაადგინონ დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება, რის შესახებაც პარტნიორები მიიღებენ გადაწყვეტილებას და დაადგენენ კონკრეტულ ვადას იმისთვის, რომ პარტნიორ(ებ)მა განხორციელოს შენატანი, ამ ვადის დარღვევა კი პარტნიორის გარიცხვის საფუძველია.<sup>2</sup> ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ შპს-ის ფორმა სს-გან განსხვავებით ნაკლებად იცნობს კაპიტალის მოზიდვის დამატებით საშუალებებს, საზოგადოების ამ ფორმაში უფრო მეტად გამართლებულია დამატებითი შენატანების განხორციელება და განუხორციელებლობის შემთხვევაში კი პარტნიორის გარიცხვა.

მოქმედი მენარმეთა შესახებ კანონი წინამორბედი კანონისგან განსხვავებით, დამატებითი შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში პირდაპირ განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, კანონის 140-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო დამატებითი შენატანის განუხორციელებლობისას შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 139-ე მუხლი, რომელიც შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში პარტნიორის გარიცხვას ითვალისწინებს. საგულისხმოა ისიც, რომ კანონი იმ შემთხვევაში მიიჩნევს პარტნიორის მიერ დამატებითი შენატანის განუხორციელებლობას გარიცხვის საფუძველად თუ წესდებითაა ეს წესი გათვალისწინებული, წესდება ერთხმადაა მიღებული და ამასთან, პარტნიორისთვის მიცემული უნდა იყოს დამატებითი 30 დღიანი ვადა დამატებითი შენატანების განხორციელებისთვის.<sup>3</sup> ამგვარად, შპს-ში პარტნიორისთვის მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ივნისის №ას-324-2021 განჩინება.

<sup>2</sup> ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძველები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2013, 139-140.

<sup>3</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 139-ე და 140-ე მუხლები.

გასვლის შემთხვევაში, შესაძლებელია საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა.<sup>1</sup>

მტკიცების პროცესის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი შენატანების განხორციელების გამო პარტნიორის გარიცხვის მიმართ დადგენილი არ არის ცალკე სასამართლო წარმოება. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც ბუნდოვანია სასამართლოს გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვისთვის საჭირო არის, თუ არა. სავარაუდოდ, სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც საჭირო უნდა იყოს, რადგან მართლედნ პარტნიორთა გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ, ვერ გახდება პირის გარიცხვის საფუძველი.

ამავდროულად, თუ გარიცხული პარტნიორი მიიჩნევს, რომ მისი გარიცხვა უკანონოდ და არაკეთილსინდისიერად მოხდა, ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი სწორედ მასზე იქნება. შესაბამისად, მტკიცების პროცესის თვალსაზრისით, მოსარჩელე კომპანიას, რომელიც პარტნიორის გარიცხვას მოითხოვს, მოუწევს დაადასტუროს ის გარემოება, რომ მოპასუხემ (გასარიცხმა პარტნიორმა) არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არ განახორციელა შენატანი ან/და არასრულად, შეთანხმებულისგან განსხვავებული ხარისხით შეასრულა იგი. ამის საპირისპიროდ, გასარიცხ პარტნიორს (მოპასუხეს) მოუწევს იმის დადასტურება, რომ მის მიერ განხორციელებული შესრულება შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებულ პირობებს.

მენარმეთა შესახებ კანონის 139-ე და 140-ე მუხლების დისპოზიკია იმგვარია, რომ ფაქტობრივად, ითვალისწინებს დამატებითი შენატანების განხორციელებისთვის ისეთ წესდებისმიერ ჩანაწერს, რომელიც პარტნიორთა მიერ ერთხმად მიიღება. შესაბამისად, გარიცხულ პარტნიორს მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ის თავიდან თანახმა იყო კაპიტალის გზარდაზე, შესაბამისად, განაცხადა თანხმობა, ახლა კი ვერ ან არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას შენატანის განხორციელების თვალსაზრისით, არ იქნება სწორი. გასარიცხი პარტნიორი ვერ იღავებს ამ

---

<sup>1</sup> შედარებითსამართლებრივი კუთხით დანვრილებით შპს-დან პარტნიორის გარიცხვაზე იხ. ბურდული ი., შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-იდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის უურნალი, №1-2, 2010, 44.

ფაქტზე. ერთადერთი, რაზეც იგი უფლებამოსილია იღავოს არის ის, რომ მან განახორციელა შენატანი, თუმცა ამ შენატანის განხორციელებას კომპანია არარსულად ან/და არასწორად მიიჩნევს. ამგვარად, თუ პარტნიორი დათანხმდება დამატებითი შენატანების განხორციელების წესს, სასამართლო მხედველობაში არ მიიღებს იმ გარემოებაზე მითითებას, რომ მისი გარიცხვა დამატებითი შენატანების განხორციელებლობის გამო არ უნდა მომხდარიყო და ამაში დანარჩენ პარტნიორთა არაკეთილსინდისიერება იკვეთება. ამ შემთხვევაში, გარიცხულ პარტნიორს შეუძლია იღავოს მხოლოდ იმაზე, რომ მის მიერ წესდების მსგავს ჩანაწერზე დათანხმება არასწორად ან/და შეცდომით მოხდა და, რომ დანარჩენი პარტნიორები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და მიზნად ისახავენ პარტნიორის ხელოვნურად გარიცხვას.

## **2. პარტნიორის გარიცხვა „მნიშვნელოვანი საფუძვლის“ არსებობის შემთხვევაში**

### **2.1. მნიშვნელოვანი საფუძვლის კრიტერიუმები**

შპს-ში პარტნიორობა ბუნებრივად ითხოვს პარტნიორის აქტიურობასა და იმგვარ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, თუ რა წარმატებით ვითარდება საზოგადოების საქმიანობა.<sup>1</sup> შესაბამისად, პარტნიორს კომპანიის მიმართ აქვს როგორც ფინანსური ინტერესები, ასევე გარკვეული ვალდებულებებიც, რომელთა დარღვევაც შესაბამის სანქციებს იწვევს. გარდა ზემოაღნიშნული ვალდებულებისა, რაც პარტნიორის მხრიდან შენატანის განხორციელებას გულისხმობს, პარტნიორს კომპანიის მიმართ ფიდუციური ვალდებულებებიც აკისრია.<sup>2</sup> პარტნიორის მიერ ფიდუციური ვალდებულებების<sup>3</sup> დარღვევა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, შესატანის განხორციელებლობისგან განსხვავებით,

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ივნისის №ას-475-443-2017 განჩინება.

<sup>2</sup> დანვრილებით ამის შესახებ იხ. ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან, საკორპორაციო სამართლის კრებული II, ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 152.

<sup>3</sup> ფიდუციური ვალდებულებები როგორც წესი უპირატესად კომპანიის დირექტორთან მიმართებითაა, თუმცა ის, ასევე, კომპანიის პარტნიორის/აქციონერის 206

განსაკუთრებულ შეფასებას მოითხოვს.<sup>1</sup> ამ საკითხზე განსხვავებულია ასევე მტკიცების პროცესი და მტკიცების ტვირთის ხარისხიც. სასარჩელო წარმოებისას სათანადო მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ფილუციური ვალდებულებების დარღვევისა და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, ან პარტნიორის დარჩენა საზოგადოებაში რატომ არის საზიანო საზოგადოებისათვის.<sup>2</sup>

პარტნიორის გარიცხვის საფუძველსა და პროცედურასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს კომპანიის პარტნიორთა კრების დისკრეციაში შემავალ საკითხს, რომლის მიზანშეწონილობაზეც სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება. სასამართლო შემოწმების უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობაზე, თუ რამდენადაა დაცული კანონითა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული პროცედურები სადავო გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>3</sup>

მწარმეთა შესახებ კანონის 143-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას სასამართლოს შეუძლია პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად წარდგენილი შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოების სარჩელის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ. ამასთან, მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, როდესაც პარტნიორის ქმედება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოების

---

მიმართაც გამოიყენება. დანვრილებით ამის შესახებ იხ. Cahn A., Donald C. D., Comparative Company Law, Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA, Cambridge, 2010, 575.

<sup>1</sup> ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის გარიცხვა შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან, საკორპორაციო სამართლის კრებული II, ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 166.

<sup>2</sup> ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მალრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, 355-356.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის №ას-1203-2018 განჩინება.



ინტერესებს ან მისი პარტნიორად დარჩენა საზიანოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემდგომი საქმიანობისთვის, თუ პარტნიორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ წერილობით უმედგოდ გაათრთხილა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესების დამაზიანებელი ქმედების შეწყვეტისა და შესაძლო გარიცხვის შესახებ.

კანონის მოხმობილი პუნქტები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს/წინაპირობას აწესრიგებს. პირველი - მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია პარტნიორის გარიცხვა; მეორე - მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევა პარტნიორის ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებს ან მისი პარტნიორად დარჩენა საზიანოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემდგომი საქმიანობისთვის; მესამე - პარტნიორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მხრიდან გაფრთხილებულია წერილობით საზოგადოების ინტერესების დამაზიანებელი ქმედების შეწყვეტისა და შესაძლო გარიცხვის შესახებ; მეოთხე - გარიცხვისთვის საჭიროა სასამართლო წარმოება და მოსარჩელე არის შპს.

მნიშვნელოვანი საფუძვლის განმარტება მოცემულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვითაც, „პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი მონაწილეობა; სახელდობრ, როდესაც, მისი ქცევა შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვანდ ართულებს საზოგადოების მიზნის მიღწევას, რაც აუტანელს გახდის მისი საზოგადოების რიგებში დარჩენას. საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს არა ყველა სახის, არამედ იმგვარი ზიანი რომელიც საწარმოს საქმიანობას უშლის ხელს გრძელვადიან პერსპექტივაში და

მაშასადამე საფრთხის ქვეშ აყენებს მის არსებობას.<sup>1</sup> უზენაესი სასამართლოს დადგენილი ეს სტანდარტი ფაქტობრივად სახელმძღვანელო პრინციპია პარტნიორის შპს-დან გარიცხვის პროცესში. ამავდროულად, ეს პრინციპები საკმაოდ ზოგადია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან შეფასებას და ანალიზს საჭიროებს.

## 2.2. მნიშვნელოვანი საფუძვლის მტკიცების ტვირთი

სასამართლოში მტკიცების პროცესის თვალსაზრისით, ზემოთ ჩამოთვლილი წინაპირობებიდან ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და პრობლემური არის მნიშვნელოვანი საფუძვლის ნორმატიული შინაარსი. აღნიშნულის არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელე კომპანიაზე და ამ უკანასკნელმა უნდა დაადასტუროს მოპასუხე მხარის კომპანიის პარტნიორთა რიგებში დარჩენის მიზანშეუწონლობა. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში ეს საკითხი ყველაზე მეტად მნიშვნელოვან საკვლევ თემას წარმოადგენს არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით.<sup>2</sup>

მტკიცების პროცესის თვალსაზრისით, მხოლოდ ის გარემოება, რომ გასარიცხმა პარტნიორმა ზიანი მიაყენა საზოგადოებას, თავისთავად საკმარისი არ არის, რადგან ასეთ შემთხვევაში სხვა მექანიზმის - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამოყენებაც შეიძლება.<sup>3</sup> შესაბამისად, მო-

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იმის გათვალისწინებით, რომ ჯერჯერობით არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავებზე, წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია 2022 წლის 1 იანვრამდე მოქმედი კანონის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ფაქტობრივად, ისეთ სტანდარტებს ადგენს, რაც მოქმედი კანონისთვისაც და, შესაბამისად, სამომავლო სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვისაც რელევანტურია.

<sup>3</sup> ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მალრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, 359.

სარჩელემ (კომპანიამ) გარიცხვის დროს გარდა ზიანისა სხვა გარემოებებიც უნდა დაადასტუროს. სამწუხაროდ, კანონი არ განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რაც, ასევე, დამატებით უნდა იყოს სახეზე იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს პარტნიორის გარიცხვა. შესაბამისად, კანონის ამ ნორმის ბუნდოვანებისა და პრაქტიკაში არასწორი ინტერპრეტაციის გამორიცხვისთვის, უმჯობესი იქნებოდა, თუ კანონი ზიანთან ერთად დამატებით კრიტერიუმებსაც გაითვალისწინებდა.

პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა და საზოგადოების მიზნის შელახვა, რასაც კომპანიისთვის ზიანის მიყენება მოსდევს საბოლოო ჯამში პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნებას შეუძლებელს ხდის. სწორედ აღნიშნულის შემდეგ იწყება გარიცხვის შესახებ სასარჩელო წარმოება, რომლის დროსაც, სასამართლო ამონმებს, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო მათი გადაწყვეტილება მოტივირებული პარტნიორთა ცალკეული ჯგუფის პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად.<sup>1</sup> იმის მტკიცების ტვირთი, რომ დანარჩენი პარტნიორები რეალურად შეთანხმებულად მოქმედებდნენ და მიზანდ ისახავდნენ კონკრეტული პარტნიორის გარიცხვას საზოგადოებიდან მოპასუხე მხარეს ანუ, გასარიცხ პარტნიორს აკისრია.

ამდენად, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, როდესაც, სახეზეა კომპანიისათვის არსებითი ზიანის მიყენება, რაც არღვევს ნდობას პარტნიორთა შორის და რის გამოც, მათი ერთობლივი საქმიანობა შეუძლებელი ხდება.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ოქტომბრის №ას-201-201-2018 განჩინება.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის №ას-1203-2018 განჩინება.

### 2.3. ჩამორთმეული წილის კომპენსაცია

მოქმედი კანონის სიახლეს წარმოადგენს გარიცხული პარტნიორისათვის კომპენსაციის გადახდა, ჩამორთმეული წილის სამართლიანი ფასის გადახდის გზით.<sup>1</sup> ეს საკითხი წლების განმავლობაში პრობლემური იყო სასამართლო პრაქტიკაში. 2022 წლის 1 იანვრამდე მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ კანონი ამ საკითხს არ აწესრიგებდა და სასამართლო პრაქტიკა ადგენდა, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა არ უნდა განხორციელდეს მისი წილის კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტლად, რათა არ მოხდეს მისი კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების შელახვა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია კომპანიაში თავისუფალი სახსრების არსებობაზე.<sup>2</sup> ამდენად, ძველი კანონის მოქმედების დროს არსებული სასამართლო პრაქტიკა ადგენდა საზოგადოების ვალდებულებას გარიცხული პარტნიორისთვის წილის საფასურის ანაზღაურების შესახებ. რაც შეეხება მოქმედ კანონს, მენარმეთა შესახებ კანონის 143-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხულ პარტნიორს უნდა მიეცეს წილის სამართლიანი ფასი. სამართლიან ფასში გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ოდენობაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მხარეთა შორის მოხდეს ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვა.<sup>3</sup>

სამართლიან ფასთან დაკავშირებით, გასარკვევია, სამართლიანი ფასი პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროს თავიდანვე დგინდება, თუ შემდგომ სასარჩელო წარმოების ნაწილი ხდება, თუ სამართლიან ფასზე ღირს ვარიცხულ პარტნიორს ცალკე მოუწევს მაშინ, როდესაც ის გაირიცხება პარტნიორთა რიგებიდან სასამართლოს

---

<sup>1</sup> ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მალრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, 357.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის №ას-1203-2018 განჩინება.

<sup>3</sup> ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მალრაძე გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, 357-358.

გადანწყვეტილების გზით.<sup>1</sup> უმჯობესი იქნება, თუ სამართლიანი ფასის განსაზღვრა პარტნიორების მიერ მიღებული გადანწყვეტილებით მოხდება და საზოგადოება, როდესაც სარჩელს წარადგენს გასარიცხი პარტნიორის მიმართ, სწორედ ამ სასამართლო პროცესში შეფასდეს ფასის სამართლიანობა. აღნიშნული ერთი მხრივ, პროცესის ეკონომიურობის პრინციპიდან და მეორე მხრივ, დავაში მონაწილე ორივე მხარის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

პროცედურული თვალსაზრისით, მოპასუხეს (გასარიცხ პარტნიორს) მის წინააღმდეგ მიმართულ სასამართლო დავაში (სადაც მისი გარიცხვაა მოთხოვნილი) შესაძლოა მოუწიოს შეგვებული სარჩელის შეტანა და შედავება სამართლიან ფასზე. შესაძლოა სამართლიან ფასზე შედავება მხოლოდ შესაგებლითაც მოხდეს. ეს უკვე სასამართლო პრაქტიკის გადასანწყვეტია. მთავარია, რომ მტკიცების პროცესის კუთხით, შეგვებული სარჩელის მოსარჩელეზე (ან, თუ შეგვებული სარჩელის აღძვრა არ იქნება საჭირო, მაშინ მოპასუხეზე) იქნება იმის დადასტურების ვალდებულება, რომ მისთვის ასანაზღაურებელი თანხა ჩამორთმეული წილის სამართლიანი ფასი არ არის.

## დასკვნა

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი. უპირველესად, შესატანის განუხორციელებლობის შემთხვევა ორ ნაწილად უნდა დაიყოს. პირველ შემთხვევაში, იგულისხმება შპს-ის დაფუძნების მომენტში შესატანის განხორციელება და მეორეში კი უკვე დაფუძნებული შპს-ის კაპიტალის გაზრდა დამატებითი შენატანების განხორციელების გზით. არცერთ შემთხვევაში მენარმეთა შესახებ კანონი სასამართლოს ჩართულობას (სასარჩელო წარმოებას) არ ითვალისწინებს, თუმცა სასამართლოს გადანწყვეტილების გარეშე პარტნიორის შპს-დან გარიცხვა არ იქნება სწორი. შესაბამისად, მტკიცების პროცესის თვალსაზრისით, შპს-მ როგორც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ გასარიცხმა პარტნიორმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არ განახორციელა შესატანი

---

<sup>1</sup> იქვე, 358.

(როგორც დაფუძნების ეტაპზე, ისე უკვე დაფუძნებული შპს-ის კაპიტალის გაზრდის დროს), ან არასრულყოფილად განახორციელა შენატანი და სხვა. თავის მხრივ, მოპასუხეს (გასარიცხ პარტნიორს) აწევს იმისი მტკიცების ტვირთი, რომ დაადასტუროს წესდებით ან/და პარტნიორთა შეთანხმებით გათვალისწინებული შესატანების შეტანის ფაქტი.

რაც შეეხება პარტნიორის გარიცხვის კიდევ ერთ შემთხვევას, რომელიც პარტნიორის მოქმედებებს და მის მიერ საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებიდან გამომდინარეობს, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების პროცესის თვალსაზრისით, მხოლოდ ის გარემოება, რომ გასარიცხმა პარტნიორმა ზიანი მიაყენა საზოგადოებას, თავისთავად საკმარისი არ არის იმისთვის, რომ პარტნიორი ამოიშალოს პარტნიორთა რიგებიდან. მოსარჩელემ (კომპანიამ) გარიცხვის დროს გარდა ზიანისა სხვა გარემოებებიც უნდა დაადასტუროს. სამწუხაროდ, კანონი არ განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რაც ასევე დამატებით უნდა იყოს სახეზე იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს პარტნიორის გარიცხვა. შესაბამისად, კანონის ამ ნორმის ბუნდოვანებისა და პრაქტიკაში არასწორი ინტერპრეტაციის გამოორიციხვისთვის, უმჯობესი იქნებოდა, თუ კანონი ზიანთან ერთად დამატებით კრიტერიუმებსაც გაითვალისწინებდა. ასეთი კრიტერიუმები შესაძლოა იყოს კომპანიის საქმიანობის შეფერხება, შპს-ის პარტნიორთა კრებებში მონაწილეობის მიუღებლობა, მუდმივი დაპირისპირება სხვა პარტნიორებთან, რაც საზოგადოების საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება და სხვა.

რაც შეეხება გარიცხული პარტნიორისთვის ჩამორთმეული წილის საფასურის ანაზღაურების საკითხს, სამართლიანი ფასის განსაზღვრის პროცედურა და ეტაპი კანონით მოწესრიგებული არ არის. შესაბამისად, პრაქტიკაში გაუგებრობების გამოორიციხვისთვისა და პროცესის ეკონომიურობის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება, თუ სამართლიანი ფასის განსაზღვრა პარტნიორების მიერ მიღებული გადანაცვტილებით მოხდება და საზოგადოება, როდესაც სარჩელს წარადგენს გასარიცხი პარტნიორის მიმართ, სწორედ ამ სასამართლო პროცესში შეფასდეს კომპანიის მიერ დადგენილი სამართლიანი ფასის სამართლიანობა.

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი მენარმეთა შესახებ კანონი სულ ახალი ამოქმედებულია და ჯერ-ჯერობით მისგან გამომდინარე საკითხებზე ზედა ინსტანციების სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს,

რთულია საუბარი იმაზე, თუ როგორ განვითარდება ამა თუ იმ საკანონმდებლო ნორმის ბედი. ცხადია, რომ მოქმედი კანონი უფრო მეტ პროცედურას ითვალისწინებს და მისი წინამორბედისგან განსხვავებით უფრო დეტალურია, თუმცა წინამდებარე ნაშრომში მოცემულ საკითხებთან მიმართებით, გარკვეული ბუნდოვანება და ორაზროვნება კვლავ არსებობს. ამ საკითხთა ანალიზი და განმარტება კი უკვე სასამართლო პრაქტიკასა და შემდგომ სამეცნიერო კვლევებზეა დამოკიდებული.

ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის  
გამიჯვნის მსდელთა ნარდობის ხელშეკრულების მბგალითბა  
ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

ოთარ მაჩაიძე\*

შესავალი

ნარდობის ხელშეკრულება თავის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი სამართლებრივი ინსტიტუტია. მისი გამოყენება განსაკუთრებულად მზარდია მსხვილი სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას. მსგავს პროექტებში ხშირია უცხოური სანარმოების მონაწილეობა შემსრულებლის როლში, ხოლო შემკვეთად გველინება სახელმწიფო. ასეთ შემთხვევებში, ვალდებულების შესრულების ადგილის გათვალისწინებით, როგორც წესი, გამოსაყენებელ სამართლად მხარეთა მიერ არჩეულია ქართული კანონმდებლობა. შესაბამისად, უცხოური სანარმოებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ცხადი და განჭვრეტადი იყოს ქართული მონესრიგება, ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არ წყდება მისი შესრულებით, არამედ ხელშეკრულების მოშლით ან გასვლით, რა დროსაც მხარეთა შორის დავის რისკი მაღალია და ბუნდოვანია თუ რა სამართლებრივი შედეგი დგება თითოეული მხარისთვის.

ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, შესაბამისად, მათი გამოყენების საფუძვლები და სამართლებრივი შედეგებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში ამ ინსტიტუტების აღრევა ხშირია და ხდება

---

\* სამართლის დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფირმა „ჯეი ენდ თი ქონსალთინგის“ პარტნიორი.



მათი არამართებული გამოყენება, რასაც ხელს უწყობს თავად სამოქალაქო კოდექსის გაუმართავი ტერმინოლოგია.<sup>1</sup> ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართავე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის<sup>2</sup> 636-ე მუხლსა და 644-ე მუხლშიც გამოყენებულია სიტყვათა წყობა „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“, მაშინ როდესაც, 636-ე მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების მოშლას, ხოლო 644-ე მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლას.

კონკრეტულ შემთხვევაში, მხარემ უნდა გამოყენოს ხელშეკრულების მოშლა თუ ხელშეკრულებიდან გასვლა, განსაზღვრავს თავად იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის ბუნება, რომელშიც მხარეები იმყოფებიან. თუმცა, ნარდობის ხელშეკრულება წარმოადგენს იმ გამოწვევის, რომლის დროსაც კანონი ითვალისწინებს, როგორც ხელშეკრულების მოშლის,<sup>3</sup> ასევე, ხელშეკრულებიდან გასვლის<sup>4</sup> შესაძლებლობას შემკვეთისთვის.

სტატიის მიზანია, ნარდობის ხელშეკრულების მაგალითზე წარმოაჩინოს ის განსხვავებები, რომლებიც არსებობს ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულებიდან მოშლის სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის. სტატიამი განხილულ იქნა ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულებიდან მოშლის საფუძვლები და მათი სამართლებრივი შედეგები, რომლის ფონზეც წარმოაჩინო იქნა განსხვავებები ამ ინსტიტუტებს შორის.

სტატია მეტწილად ეფუძნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზს. კვლევისას გამოყენებულია ანალიტიკური და შედარებითსამართლებრივი მეთოდები.

---

<sup>1</sup> რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 296.

<sup>2</sup> შემდგომ ტექსტში მოხსენიებული იქნება, როგორც სამოქალაქო კოდექსი ან სსკ.

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი.

<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლი.

## 1. ნარდობის ხელშეკრულების ცნება

ნარდობის ხელშეკრულების ცნება მოცემულია სსკ-ის 629-ე მუხლის I ნაწილში, კერძოდ, „ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური“. ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, კონსესუალურ, სინალაგმატურ და სასყიდლიან ხელშეკრულებას წარმოადგენს.<sup>1</sup>

ნარდობის ხელშეკრულების კონსესუალური ბუნება გულისხმობს იმას, რომ მისი ძალაში შესვლა არ არის დაკავშირებული სამუშაოს შედეგის გადაცემასთან, არამედ მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადებისთან. ნარდობის სინალაგმატური ხასიათი კი იმაში ვლინდება, რომ მენარდის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემკვეთს ეკისრება საზღაურის გადახდის ვალდებულება. საზღაური, როგორც წესი, განისაზღვრება ფულადი სახით, თუმცა მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სხვა რამეზზე.<sup>2</sup>

ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებები, თავისი სამართლებრივი ბუნებით მიეკუთვნება რელატიურ (შეფარდებით) უფლებათა რიცხვს. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში რელატიური უფლების ქვეშ მოიზარება განსაზღვრული პირის მიმართ შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილება. იგი მიმართულია არანებისმიერი, არამედ მხოლოდ განსაზღვრული პირის მიმართ კონკრეტული ვალდებულების შესასრულებლად. რელატიური უფლება წარმოიშობა ნამდვილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა მსგავსი ხელშეკრულებებისაგან, კრებულში: რომან მენგელია 70, საიუბილეო კრებული, ლ. ჭანტურიასა და ე. მენგელიას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 330.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 06 აპრილის №ას-1166-2019 გადაწყვეტილება.

ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. კერძოდ, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.<sup>1</sup>

ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შემკვეთის ძირითად ვალდებულებას მენარდისთვის შეთანხმებული ანაზღაურების გადახდა წარმოადგენს, რაც გამომდინარეობს სსკ-ის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) და სსკ-ის 648-ე მუხლიდან (შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას).

ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის სხვა ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების უმრალესობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია ნაკისრი ვალდებულების შესრულება და არა ვალდებულების დარღვევის შედეგად პასუხისმგებლობა ზიანის ფულადი ანაზღაურების სახით.<sup>2</sup>

## 2. ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა

სსკ-ის 636-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლა და სსკ-ის 644-ე მუხლით დადგენილი ხელშეკრულებაზე უარის თქმა (ხელშეკრულებიდან გასვლა) წარმოადგენენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ და განსხვავებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს და, შესაბამისად, მათ აქვთ განსხვავებული სამართლებრივი შედეგები.

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

ხელშეკრულების მოშლისას სახეზეა ხელშეკრულების სამომავლოდ გაუქმება რესტიტუციის გარეშე.<sup>1</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ხელშეკრულების მოშლა - პირობითად შეიძლება ეწოდოს ისეთ მდგომარეობას, როცა ხელშეკრულება ვალდებულების დარღვევის გამო წყდება, ისე რომ არ ხდება შესრულების და სარგებლის უკუქცევა, ხოლო მხარეთა ვალდებულებები მხოლოდ ex nunc ქარწყლდება“.<sup>2</sup> აღნიშნული განმარტება შეიძლება არც იყოს სრულყოფილი ყველა შემთხვევაში, ვინაიდან, ხელშეკრულების მოშლას ყოველთვის ვალდებულების დარღვევა არ იწვევს, რაც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი მიმართულია არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნების, არამედ ხელშეკრულების შესრულებაზე მომავალში უარის თქმაზე. მოშლის თავისებურება სწორედ ისაა, რომ წყდება სამომავლო შესრულების ვალდებულება, ხოლო უკვე შესრულებული მხარეებს არ უბრუნდებათ.<sup>3</sup>

ხელშეკრულების მოშლისგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლით მხარეები წყვეტენ სახელშეკრულებო ურთიერთობას რეტროაქტიული ეფექტით, რის შედეგადაც ორივე მხარეს წარმოეშობა შესრულების და მისგან მიღებული სარგებლის უკუქცევის ვალდებულება.<sup>4</sup> ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მხარეებს ნატურით უბრუნდებათ მიღებული შესრულება და სარგებელი, ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში კი, კანონი ადგენს ფულადი ანაზღაურების ვალდებულებას.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 296.

<sup>2</sup> ვაშაკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 658.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 03 აპრილის №ას-1475-1395-2017 გადაწყვეტილება.

<sup>4</sup> ვაშაკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 658.

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 03 აპრილის №ას-1475-1395-2017 გადაწყვეტილება; რუსიაშვილი გ.,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ენოდება. ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდანაა გადმოღებული და ძირითადად შეესაბამება ევროგაერთიანების სამართალს.<sup>1</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ხდება ხელშეკრულების შედეგების ანულირება/ორმხრივი რესტიტუცია, ანუ მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ის, რაც მათ ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს.<sup>2</sup>

პასუხი კითხვაზე, თუ რომელი სამართლებრივი ინსტიტუტი გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაში, ხშირად გამომდინარეობს თავად იმ ხელშეკრულების ბუნებიდან, რომელშიც მხარეები იმყოფებიან. მაგალითად, როდესაც სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებულია ვალდებულების ერთჯერადი შესრულება, კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლა.<sup>3</sup> ხოლო როდესაც, მხარეები იმყოფებიან გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელსაც არ ახასიათებს ერთჯერადი შესრულება, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულებისას, კანონი ითვალისწინებს ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას.<sup>4</sup> ასეთ შემთხვევაში, რესტიტუციის განხორციელება ფიზიკურად

---

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 294-299.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 06 აპრილის №ას-1166-2019 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 294-299; ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 503-505.

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლი; ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 491, <<http://www.gecc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-i-ნასყიდობა-გაცვლა/i-ზოგადი-დებულებანი/მუხლი-491/>> [09.04.2022].

<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 557-ე და 558-ე მუხლები.

შეუძლებელია, შესაბამისად, გასვლის უფლება ეწინააღმდეგება სამართალურთიერთობის არსს და გამოირიცხება.

ნარდობის ხელშეკრულება წარმოადგენს გამოწვევის და მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს, როგორც ხელშეკრულების მოშლის, ასევე, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. ასე მაგალითად, სსკ-ის 637-ე მუხლით გათვალისწინებულია ნარდობის ხელშეკრულების მოშლა მენარდის ინიციატივით. მენარდეს შეუძლია სამუშაოს დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი, ხოლო სსკ-ის 636-ე მუხლით კი, გათვალისწინებულია ნარდობის ხელშეკრულების მოშლა შემკვეთის ინიციატივით (შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი). სსკ-ის 644-ე მუხლი კი, ზემოხსენებული მუხლებისგან განსხვავებით, მენარდეს აძლევს ხელშეკრულებაზე უარის თქმის (გასვლის) უფლებას იმ შემთხვევაში, თუ ნაკეთობა ნაკლიანია (ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით, უარი თქვას ხელშეკრულებაზე).

### **3. ნარდობის ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი**

#### **3.1. ნარდობის ხელშეკრულების მოშლის საფუძველი**

ხელშეკრულების მოშლის საფუძვლად და წინაპირობად ხშირ შემთხვევაში, განიხილება ხელშეკრულების დარღვევა.<sup>1</sup> მაგალითისთვის, სსკ-ის 557-ე და 558-ე მუხლების მიხედვით, გამჭირავებელი უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება, თუ დამჭირავებელი, გამჭირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გამჭირავებულ ნივთს მნიშვნე-

---

<sup>1</sup> ვაშაკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 658.

ლოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას ან დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში. ასევე, სსკ-ის 580<sup>2</sup> მუხლის მიხედვით, ლიზინგის გამცემს შეუძლია მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება, თუ ლიზინგის მიმღები არსებითად არღვევს თავის ვალდებულებებს.

შესაბამისად, გრძელვადიან ხელშეკრულებებში, რომელიც არ არის დამოკიდებული ერთჯერად შესრულებაზე, შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების მოშლა ანაცვლებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

გარდა აღნიშნული საფუძვლისა, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი წესის მიხედვით, რომელიც განმტკიცებულია ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, სსკ-ის 399-ე მუხლის მიხედვით, გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის საფუძველს შესაძლებელია წარმოადგენდეს „პატივსადები საფუძველი“<sup>1</sup>, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. ქირავნობის ხელშეკრულების მოშნისრიგებელი ნორმებიც ითვალისწინებს ხელშეკრულების მოშლის უფლებას პატივსადები საფუძველით, რა შემთხვევაშიც კანონი პირდაპირ განსაზღვრავს პატივსადები საფუძვლის შემთხვევებს.<sup>2</sup>

აღნიშნულისგან განსხვავებით, სსკ-ის 636-ე მუხლის მიხედვით, შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. გასათვალისწინებელია, რომ ამ მუხლში გამოყენებული „ხელშეკრულებაზე უარი“ გულისხმობს ხელშეკრულების მოშლის უფლებას.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> პატივსადები საფუძველთან დაკავშირებით დამატებით იხ. იქვე, 627.

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლი.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის №ას-697-663-2015 გადაწყვეტილება.

აღნიშნული დანაწესის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას კანონმდებელი უშვებს იმ შემთხვევაშიც, როცა სახეზე არ არის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა და კანონი არც პატივსაღები საფუძვლის არსებობაზე მიუთითებს.<sup>1</sup>

ზოგადი წესის (Pacta sunt servanda) საფუძველზე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.<sup>2</sup> თუმცა, სსკ-ის 636-ე მუხლი წარმოადგენს გამონაკლისს ამ წესიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 636-ე მუხლის დანაწესი სახელშეკრულებო სამართალში საგამონაკლისო ნორმაა, რომელიც შემკვეთს, ნებისმიერ დროს, უპირობოდ და მენარდის ბრალეულობის გარეშე, ანიჭებს უფლებას ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს შეუძლია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. თუმცა, მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.<sup>3</sup>

ეს ნორმა შემკვეთს ანიჭებს ხელშეკრულების შეწყვეტის თავისუფალ უფლებას. რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი მას არ ავალდებულებს იმოქმედოს ზოგადი წესების მიხედვით, რომლის მიხედვითაც უმეტეს

---

<sup>1</sup> ძლიერიშვილი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 637, <<http://www.gccc.ge/ნიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-x-ნარდობა/მუხლი-637/>> [09.04.2022].

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 ივნისის №ას-222-2021 გადაწყვეტილება.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის №ას-697-663-2015 გადაწყვეტილება.



შემთხვევაში შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა არსებობდეს (მაგ. სსკ-ის 399-ე მუხლი), ან კიდევ დაიცვას შეწყვეტის ვადები ან წინასწარ გააფრთხილოს მენარდე (სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).<sup>1</sup>

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობის დაურღვევლობის შემთხვევაშიც კი, შემკვეთს კანონმდებელმა მიანიჭა უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება, ერთადერთი სპეციალური დათქმა, რომელიც მენარდის ინტერესების დასაცავად არის დადგენილი მოხმობილ ნორმაში, მდგომარეობს შემკვეთის ვალდებულებაში, აუნაზღაუროს კონტრაქტის უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლით, კანონმდებელი შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის წანამძღვრებს კი არ აწესებს, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამაწონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაუროდეს მენარდს.<sup>2</sup>

შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის სპეციფიკა ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით იმაში მდგომარეობს, რომ შემკვეთს ხელშეკრულების მოშლის უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე.

### **3.2. ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი**

სსკ-ის 644-ე მუხლის მიხედვით, ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 სექტემბრის №ას-1252-2020 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის №ას-697-663-2015 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის №ას-779-2021 გადაწყვეტილება.

უპირველესად უნდა განიმარტოს, რომ აღნიშნულ მუხლში გამოყენებული ტერმინი „ხელშეკრულებაზე უარი“ თავის თავში მოიაზრებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.<sup>1</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლის წესს ადგენს სსკ-ის 405-ე მუხლი, როგორც ამას მიუთითებს სსკ-ის 644-ე მუხლი, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს აწესრიგებს სსკ-ის 352-ე მუხლი. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ სამართლებრივ ლიტერატურასა<sup>2</sup> და სასამართლო პრაქტიკაში<sup>3</sup> ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი წესი დეტალურად არის განხილული და გაანალიზებული, წინამდებარე სტატიის მიზნებისთვის მხოლოდ ნარდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხები იქნება განხილული.

ზოგადი წესის მიხედვით, ხელშეკრულების გასვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, თუ სახეზეა ვალდებულების დარღვევა, რაც შეიძლება გამოვლინდეს i. ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობაში/ვადის გადაცილებაში, ii. ვალდებულების არასათანადოდ (არაჯეროვნად/არაკეთილსინდისიერად შესრულება) შესრულებაში და iii. გულისხმიერების ვალდებულების დარღვევაში.<sup>4</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, წარმოადგენს მხარეების პირველად მოთხოვნას, რომლის შესრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას, რომელსაც განეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით, ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამიტომ კა-

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 ივნისის №ას-222-2021 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> ვაშაკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 658.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 ივნისის №ას-222-2021 გადაწყვეტილება.

<sup>4</sup> ვაშაკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 658.

ნონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე. თუ მხარეები ამ უფლებით არ ისარგებლებენ, გამოიყენება კანონის დისპოზიციური ნორმები.<sup>1</sup>

სსკ-ის 644-ე მუხლიც ამ შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობას უკავშირებს მენარდის მიერ ხელშეკრულების დარღვევას/არაჯეროვან შესრულებას, რომელიც ვლინდება ნაკლიანი ნივთის გადაცემაში. თუმცა, ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ მხოლოდ ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევაში აქვს შემკვეთს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. პირობითად, თუ მენარდის მიერ ხელშეკრულების დარღვევა ვლინდება ხელშეკრულების ვადის გადაცილებაში, ასეთ შემთხვევაში, შემკვეთს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აქვს სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი წესით.<sup>2</sup>

სსკ-ის 644-ე მუხლი, ერთი მხრივ, წარმოადგენს სპეციალურ ნორმას, რომელიც გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისთვის, თუმცა, ამავე დროს, არ არის დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველი, არამედ ერთგვარი დამხმარე მოთხოვნის საფუძველია, რომელსაც მითითებითი მოთხოვნის საფუძველს უწოდებენ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შემკვეთის მეორადი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის სახით მხოლოდ სსკ-ის 644-ე მუხლზე დაყრდნობით ვერ განხორციელდება, ვინაიდან ამ ნორმაში უშუალოდ არის მითითებული სსკ-ის 405-ე მუხლის ზოგადი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, სსკ-ის 352-359-ე მუხლებს უთითებს. ეს ცხადყოფს, რომ სსკ-ის 644-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი. შესაბამისად, შემკვეთის მიერ ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 06 აპრილის №ას-1166-2019 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> იქვე.  
226

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იქნება სსკ-ის 644-ე მუხლი, სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებთან ურთიერთკავშირში.<sup>1</sup>

ნორმის სისტემური თვალსაზრისით სსკ-ის 644-ე მუხლი მოქცეულია ნარდობის ხელშეკრულების ნაკლიანი შესრულების და აქედან გამომდინარე წარმოშობილი მეორადი მოთხოვნების მომწესრიგებელ ნორმებში, რასაც მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზების კონტექსტში.

სსკ-ის 639-ე მუხლი განსაზღვრავს მენარდის ვალდებულებას, წარუდგინოს შემკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. ნივთობრივად უნაკლო ნივთის წარდგენის ვალდებულების დარღვევა წარმოშობს, შემდეგ მეორად მოთხოვნებს:

- i. დამატებითი შესრულების მოთხოვნა (სსკ-ის 642-ე მუხლი);
- ii. ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ (სსკ-ის 643-ე მუხლი);
- iii. ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო (სსკ-ის 644-ე მუხლი);
- iv. საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო (სსკ-ის 645-ე მუხლი);

იმ პირობებში, როდესაც სახეზეა რამდენიმე ალტერნატიული მეორადი მოთხოვნა, დღის წესრიგში დგება მეორადი მოთხოვნების კონკურენციის საკითხი. მეორადი მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის საკითხი თითქმის ყველა სამართლებრივ სივრცეში განსაზღვრულ იერარქიასა და ეტაპობრიობას ექვემდებარება, რაც გულისხმობს, რომ ვალდებულების დარღვევის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული მეორადი მოთხოვნის უფლება იყოს პრიორიტეტული.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 ივნისის №ას-222-2021 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 ივნისის №ას-222-2021 გადაწყვეტილება.

ნარდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ დამატებითი შესრულების მოთხოვნა გამოირიცხავს სხვა მეორად მოთხოვნას. ამ დროს ადგილი აქვს ე.წ. „მოთხოვნათა გამომრიცხავ“ კონკურენციას. მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად რამდენიმე მოთხოვნა არსებობს, თუმცა ერთი მოთხოვნის განხორციელება უპირატესია. უპირატესობა ვლინდება ერთი მოთხოვნის განხორციელების ვალდებულებაში სხვა ნებისმიერთან მიმართებით. სანამ არ განხორციელდება ეს მოთხოვნა, უფლებამოსილი პირი ვერ გამოიყენებს სხვა მოთხოვნებს. ნარდობის ხელშეკრულებაში დამატებითი შესრულების მოთხოვნა სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებაში, როგორც წესი, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა და გამოირიცხავს სხვა მეორად მოთხოვნებს.<sup>1</sup> დამატებითი შესრულება დამატებითი შანსია „გადაარჩინოს“ ხელშეკრულება და დააკმაყოფილოს შესრულების ინტერესი.<sup>2</sup>

ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით, შემკვეთის დამატებითი შესრულების მოთხოვნა მენარდის მიმართ ვლინდება ან ნაკლის გამოსწორების, ან ნაკლიანი ნაკეთობის უნაკლოდ შეცვლის მოთხოვნით.<sup>3</sup> სანამ მხარე ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას ამოქმედებდეს, ის ვალდებულია მიმართოს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებას იმ პირობით, თუ სახეზე არ არის დამატებითი შესრულების გამომრიცხავი საფუძვლები.<sup>4</sup>

მსგავსი მიდგომა, კონტინენტური სამართლის სისტემის კონცეპტუალური მიდგომით, რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების შესრულებაზე, მოწოდებულია გადაარჩინოს შეთანხმება და უზრუნველყოს

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულება - თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2016, 343.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 ივნისის №ას-222-2021 გადაწყვეტილება.

<sup>4</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 ოქტომბრის №ას-856-2021 გადაწყვეტილება.

მხარეთა ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელება თვით მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში.<sup>1</sup>

### **3.3. შუალედური დასკვნა**

წარდობის ხელშეკრულების ბუნების გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსი შემკვეთს აღჭურავს, როგორც ხელშეკრულების მოშლის, ასევე, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით.

ხელშეკრულების მოშლის უფლებით შემკვეთს შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ამისგან განსხვავებით, შემკვეთის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეგია შემსრულებლის მიერ ნაკლიანი შესრულება და ამასთან, შემკვეთის მიერ დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება უშედეგოდ იქნა გამოყენებული ან მისი გამოყენების შესაძლებლობა არ არსებობს.

## **4. ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები**

### **4.1. ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი შედეგები**

შემკვეთის მიერ სსკ-ის 636-ე მუხლის მიხედვით ხელშეკრულების შეწყვეტისას, ეს მუხლივე განმატკიცებს, რომ შემკვეთმა უნდა აუნაზღაუროს მენარდეს (i) შესრულებული სამუშაო და (ii) ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრება ტვირთი, ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა მას ხელშეკრულების მოშლით.<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლისას უნდა ანაზღაურდეს:

(i) ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 ივნისის №ას-222-2021 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 დეკემბრის №ას-1037-2021 გადაწყვეტილება.

(ii) ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ განეულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური, თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას. მაგალითად, ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მოწყობილობების შეძენას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება; მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის განეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოდ, მიიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები.<sup>1</sup>

ნარდობის ხელშეკრულების მოშლა არ ათავისუფლებს შემკვეთს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოვალეობისგან, რაც, ასევე, დასტურდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით. ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 636-ე მუხლით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წინაპირობებია:

- (i) მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების დადება;
- (ii) მენარდის მიერ შეთანხმებული სამუშაოს ნაწილის შესრულება;
- (iii) სამუშაოს დასრულებამდე შემკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა.<sup>2</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ფაქტობრივად შესრულებულად ითვლება ის სამუშაო,

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის №ას-697-663-2015 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის №ას-1016-977-2016 გადაწყვეტილება.

რომელიც რეალურად არის შესრულებული და არა ის, რაზეც მხარეთა შორის გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი.<sup>1</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკით, ნარდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების (სსკ-ის 629-ე-656-ე მუხლები) არც ერთი დანაწესით კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის შესაძლებლობას მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის გზით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ შეთანხმებულები, რომ შესრულებული სამუშაოს მიღება დადასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტის შეუდგენლობა იმ შემთხვევაში, თუ სხვა მტკიცებულებით უტყუარად დადასტურდება სამუშაოს შესრულების ფაქტი, ვერ გახდება შესრულებული სამუშაოს უარყოფის საფუძველი.<sup>2</sup>

#### **4.2. ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები**

სსკ-ის 644-ე მუხლის მიხედვით, ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში, მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნული მუხლი არ ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისად, გამოიყენება სსკ-ის 352-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულებაზე უარის თქმას, რასაც გადაცემულისა და მიღებულის ორმხრივი რესტიტუცია მოსდევს, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულების შესრულებისაგან და

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 08 მაისის №ას-746-714-2016 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> იქვე.



გარდაიქმნებიან რესტიტუციის კრედიტორად, და რესტიტუციის მოვალედ.<sup>1</sup>

სსკ-ის 352-ე მუხლი აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს. სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება), ხოლო სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ ნატურით დაბრუნება შეუძლებელია მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება. ასეთ შემთხვევებს სსკ მიაკუთვნებს თუ:

- (i) შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება;
- (ii) მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს;
- (iii) მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა.

შესაბამისად, თუ დადგინდება, რომ სახეზე არის ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ნაკლიანი შესრულება, რაც შემკვეთს ანიჭებს უფლებას გავიდეს ხელშეკრულებიდან და შემკვეთის მიერ დაცულია ხელშეკრულებიდან გასვლის წესი, შემკვეთს უფლება აქვს:

- (i) მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება (სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილი);
- (ii) მოითხოვოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები (სსკ-ის 644-ე მუხლი);
- (iii) ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (სსკ-ის 407-ე მუხლი);

ამასთან, შემკვეთს წარმოეშობა ვალდებულება

- (i) მენარდეს გადასცეს ყველაფერი, რაც ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო (სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ან

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივლისის №ას-1209-1169-2016 გადაწყვეტილება.

(ii) გადაუხადოს მენარდეს იმის ფულადი ანაზღაურება, რაც მიიღო ხელშეკრულების საფუძველზე და რისი დაბრუნების შესაძლებლობაც არ არსებობს (სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ქართული სასამართლო პრაქტიკა, მსგავს შემთხვევებში, ძირითადად იმ მიმართულებით ვითარდება, რომ როდესაც სახეზეა მენარდის მხრიდან ნაკლიანი შესრულება და შემკვეთი გადის ხელშეკრულებიდან სსკ-ის 644-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლო შემკვეთს აკისრებს მენარდისთვის ფულად ანაზღაურებას სსკ-ის 644-ე და 352.2(ა) მუხლის საფუძველზე, ვინაიდან, როგორც წესი მსგავს შემთხვევებში შემკვეთის მიერ მიღებული სამუშაო/ნაკეთობა, მაგალითად, როგორცაა შემკვეთის საკუთრებაში არსებული შენობის რემონტი, შენობა-ნაგებობის ამენება, გზის გაყვანა და ა.შ. დაბრუნება შეუძლებელია.<sup>1</sup>

სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ანუ, ნარდობის ძირითადი თავისებურებაა ის, რომ შემკვეთი საკუთრების უფლებას იძენს შესრულებული სამუშაოს რეზულტატზე/ნაკეთობაზე, რისთვისაც იხდის კონკრეტულ საზღაურს.<sup>2</sup>

ზოგადი წესის (სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლისას შემკვეთმა უნდა დააბრუნოს რეზულტატი/ნაკეთობა, ანუ ის რაც მან ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო, მაგრამ, თუ რეზულტატის/ნაკეთობის ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი დაბრუნება, მან უნდა აანაზღაუროს რეზულტატის/ნაკეთობის ღირებულება. შესაბამისად, მსგავსი ტიპის ხელშეკრულებისას, სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული „მიღებული შესრულებას“ და 352-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალის-

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის №ას-273-261-2015 გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 24 იანვრის №ას-1284-2019 გადაწყვეტილება.

წინებულ „შეძენილს“ წარმოადგენს ის რეზულტატი/ნაკეთობა (განსახილველ შემთხვევაში შენობა-ნაგებობები), რომელიც შემკვეთმა მიიღო ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე და მისი დაბრუნება შეუძლებელია. შესაბამისად, სსკ-ის 644-ე და 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ა) ქვეპუნქტის მიხედვით, ფულად ანაზღაურებას ექვემდებარება რეზულტატის/ნაკეთობის ეკვივალენტური ღირებულება.

ფულადი ანაზღაურების განსაზღვრის ასეთი წესი გამომდინარეობს თავად შემკვეთის ინტერესებიდან და გამართლებულია მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის მიზნით, ვინაიდან, შესაძლებელია, ნარდობის ხელშეკრულების რეზულტატის/ნაკეთობის ღირებულება გაცილებით ნაკლები იყოს (ან საერთოდ არ გააჩნდეს მას ღირებულება) მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, შესაბამისად, შემკვეთისთვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დაკისრება, რომელიც აღემატება რეზულტატის/ნაკეთობის ღირებულებას, არ იქნებოდა სამართლიანი და გამოიწვევდა ორმხრივი რესტიტუციის პრინციპის დარღვევას.

მაგალითად, ერთ-ერთ მსგავს საქმეზე, სადაც სახეზე იყო სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში დადებული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლიანი შესრულება, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მენარდის მოთხოვნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეზულტატი/ნაკეთობა იმდენად ნაკლიანი იყო, რომ მას ღირებულება საერთოდ არ გააჩნდა. აღნიშნულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „დასახელებულ შემთხვევაში შემკვეთმა დაიცვა გაფრთხილების ვალდებულება, თუმცა მენარდემ ფაქტიურად უარი განაცხადა ნაკლის გამოსწორებაზე, რადგან მიიჩნია, რომ ნაკეთობა ნაკლის მქონე არ იყო, რაც, ცხადია, შემკვეთს აძლევდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. ვინაიდან, დადგენილია, რომ დამზადებული ნაკეთობა უვარგისია და შესაბამისად, ფიგურებს, უხარისხობის გამო, ღირებულება არ გააჩნდა,

მათი აღდგენა შეუძლებელია და მენარდეს არ ეკუთვნის შემკვეთის მხრიდან თანხის ანაზღაურება“.<sup>1</sup>

### 4.3. შუალედური დასკვნა

შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულების მოშლის დროს სსკ-ის 636-ე მუხლი შემკვეთს ავალდებულებს აუნაზღაუროს მენარდეს უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი, თავის მხრივ, მენარდეს რაიმე ვალდებულების შესრულება არ ეკისრება.

ამისგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლისას კი, ორივე მხარეს წარმოეშობა მიღებული შესრულების და სარგებლის დაბრუნების ვალდებულება, დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში კი ფულადი ანაზღაურების ვალდებულება.

### დასკვნა

ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა ერთმანეთისგან განსხვავებული ინსტიტუტებია და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. ცალსახაა, რომ სამოქალაქო კოდექსი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით არ არის გამართული და ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის და უარის თქმის ტერმინები აღრეულია. ამის გათვალისწინებით, კონკრეტული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს, თუ რომელი სამართლებრივი ინსტიტუტი უნდა იქნას გამოყენებული.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხარეს წარმოეშობათ მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლის საფუძველი კი, ხელშეკრულების დარღვევის გარდა, ასევე, შეიძლება იყოს პატივსადები საფუძველი.

ნარდობის ხელშეკრულება კი წარმოადგენს გამონაკლისს, როდესაც არც ხელშეკრულების დარღვევა და არც პატივსადები საფუძველი

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 04 ოქტომბრის №ას-765-2019 გადაწყვეტილება.

არ არის საჭირო ხელშეკრულების მოსაშლელად და ამის უფლება შემკვეთს ყოველგვარი საფუძლის გარეშე აქვს.

სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში შემკვეთს წარმოეშობა მენარდისთვის ზიანის და ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, მენარდე კი თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან. ამისგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, ორივე მხარეს წარმოეშობა მიღებული შესრულების და სარგებლის დაბრუნების ვალდებულება, დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში კი ფულადი ანაზღაურების ვალდებულება.

**„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი...“ – ძირითადი კანონის  
პრეამბულისეული კლაუზულის ინტენსია და მისგან მომდინარე  
იმპერატივები**

**თორნიკე ნემსწვერიძე\***

**შესავალი**

საკონსტიტუციო კომპარატივისტიკაში მეთოდოლოგიურად მიღებულია ძირითადი კანონის პრეამბულის გახსნა სიტყვებით - „ჩვენ, ხალხი...“. ეს ფრაზა-კონცეფცია კონსტიტუციის პრეამბულის ერთგვარ შესავალს წარმოადგენს. ქართულ იურიდიულ დოქტრინასა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში განვრცობა-გაშლა არ მოჰყოლია ამ მრავალფეროვანი ინტენსიით დატვირთულ სამართლებრივ-პოლიტიკურ კლაუზულას, მაშინ, როდესაც საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში აპელირებენ მასზე და იყენებენ ამ კლაუზულის ნორმატიულ ნარატივს სამართლებრივი დავების გადაწყვეტისას. ქართული იურიდიული ლიტერატურა ღარიბია თავად კონსტიტუციის პრეამბულის ფენომენის შემსწავლელი გამოკვლევებით<sup>1</sup>, შესაბამისად, ეს განაპირობებს იმას, რომ პრეამბულისეული ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი-კლაუზულა - ხალხის იდეა პრეამბულაში - არ არის სათანადოდ შესწავლილი. წინამდებარე სტატიის მიზანია საკითხის დასმა და მცდელობა, საკონსტიტუციო კომპარატივისტიკის დახმარებით, ზოგადად მოხაზოს პრეამბულაში გაცხადებული - „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენის...“ - კონცეფციის კონტურები და მისგან მომდინარე იმპერატივები.

---

\* სამართლის მაგისტრი (თსუ), იროლიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის (ისსი) უფროსი მკვლევარი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი.

<sup>1</sup> კონსტიტუციის პრეამბულისა და მისი სამართლებრივი ბუნების თაობაზე ქართულ იურიდიულ დოქტრინაში თითზე ჩამოსათვლელი ნაშრომებია. სამეცნიერო ლიტერატურასთან დაკავშირებით, დანვრილებით იხ. ნემსწვერიძე თ., საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება, ცაგერი-თბილისი, 2017, 19.

## 1. აშშ-ის ძირითადი კანონი, როგორც კონცეფციის - „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი...“ - პირველი ნორმატიული სამოსელი

საკონსტიტუციო პრიზმაში კონსტიტუციის პრეამბულას პირველად ვხვდებით აშშ-ის ძირითად კანონში<sup>1</sup>. კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში აშშ-ის „კონსტიტუციის მამებმა“ ძირითადი კანონის პრეამბულის ფორმულირებით ფაქტობრივად კონცეფციათა მრავალფეროვნება შესთავაზეს ცივილიზებულ სამყაროს. „ჩვენ, ხალხის...“ კონცეფცია სწორედ აშშ-ის კონსტიტუციის მონაპოვარია, იგი პირველად, სწორედ, აშშ-ის ეროვნულ კონსტიტუციაში გაცხადდა, მაგრამ პრეამბულის პირველად პროექტში ხაზგასმა იყო არა ამერიკის ხალხზე, არამედ შტატების ხალხზე და ჩამოთვლილი იყო ამერიკის შტატები; მაგრამ საბოლოოდ სანქცირება ზემოთ დასახელებულმა კონცეფციამ მიიღო.<sup>2</sup> ტექსტი შეიცვალა სტილისტური კომიტეტის მიერ, რომლის წევრებიც იყვნენ უილიამ სამუელ ჯონსონი, ალექსანდერ ჰამილტონი, მორისი, ჯეიმს მედისონი და რუფუსი. თუმცა, სამწუხაროდ პრეამბულის შედგენის პროცესის ისტორიული ჩანაწერი არ მოიპოვება, არც ის მიზეზებია ცნობილი, თუ რატომ შეცვალა სტილისტურმა კომიტეტმა ის.<sup>3</sup> საბოლოოდ აშშ-ის კონსტიტუციის პრეამბულა შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, იმ მიზნით, რომ შევექმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი, დავამკვიდროთ მართლმსაჯულება, დავამყაროთ სამინაო მშვიდობა, უზრუნველვყოთ საერთო თავდაცვა, ხელი შევეწყოთ საყოველთაო კეთილდღეობას და შევეწარმინოთ ჩვენს თავსა და ჩვენს შთამომავლობას მაღლი თავისუფლებისა, ვადგენთ და ვა-

---

<sup>1</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, *The George Washington International Law Review*, Volume 46, Issue 2, 2014, 108.

<sup>2</sup> იქვე, 108-109.

<sup>3</sup> Orgad L., *The Preamble in Constitutional Interpretation*, *International Journal of Constitutional Law*, Volume 8, No. 4, 2010, 718.

ფუნქციონირებს ამერიკის შეერთებული შტატების წინამდებარე კონსტიტუციას<sup>1</sup>. როგორც მიუთითებენ აშშ-ის კონსტიტუციის პრეამბულის შემქმნელია ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა - Gouverneur Morris-ი, რომელიც, სხვა „დამფუძნებელი მამებისაგან“ განსხვავებით, ნაკლებად ცნობილია საზოგადოებაში<sup>2</sup>.

„ჩვენ, ხალხის...“ კონცეფციის შესახებ, ალექსანდერ ჰამილტონი წერდა: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, საკუთრივ ჩვენი და ჩვენი შთამომავლობისთვის თავისუფლების სიკეთეთა უზრუნველყოფის მიზნით, ვანდებთ წინამდებარე კონსტიტუციას და შემოგვაქვს იგი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის“. სწორედ ეს არის ხალხის უფლებათა ჭეშმარიტი აღიარება; იგი ბევრად უფრო ღირებულია, ვიდრე იმ აფორიზმთა ტომეულები, რომელთაგანაც შეუდგენიათ თავისუფლებათა ყველა ბილი და ჩვენი რამდენიმე შტატის კონსტიტუციაში შეუტანიათ. მათი ადგილი ეთიკის სახელმძღვანელოებშია და არა კონსტიტუციური ხელისუფლების ძირითად დოკუმენტში.<sup>3</sup> აქედან ჩანს, თუ რაოდენ ღრმა სამართლებრივ-პოლიტიკური შინაარსის მატარებელია აღნიშნული კონცეფცია. ამის საფუძველზე, აშშ-ის კონსტიტუციის მიღებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე - უორენ ბერგერი - იტყვის: „აშშ-ის კონსტიტუცია არ არის ძღვენი, რომელიც მმართველმა უბოძა თავის მმართველობის ქვეშ მყოფ ხალხს, როგორც ეს გააკეთა მეფე იოანე [ჯონ - თ.ნ.] უმინანკლომ 1215 წელს რანიმდში თავისუფლებათა დიდი ქარტიით. აშშ-ის კონსტიტუცია არის აქტი, რომლითაც ხალხმა მიანიჭა გარკვეული ძალაუფლება ხელისუფლებას, რომელიც თვითონ ამ ხალხმა შექმნა“<sup>4</sup>.

ამის პარალელურად, ამერიკულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ცნობილი

---

<sup>1</sup> ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, ა. კობალაძისა და ს. ბარამიძის თარგმანი, მ. უგრეხელიძის რედაქტორობით, თბილისი, 1993, 5.

<sup>2</sup> Frosini J. O., *Constitutional Preamble at a Crossroads between Politics and Law*, Dogana, 2012, 50.

<sup>3</sup> ჰამილტონი ა., ფედერალისტური წერილები, ფედერალისტი №84, <<http://federalistpapers.ge/federali84.php>> [20.05.2017].

<sup>4</sup> იხ. მამრაძე პ., ამერიკის შეერთებული შტატები ჩემთვის, წიგნში: ამერიკის შესწავლის საკითხები, V, თბილისი, 2008, 99.



ფრაზა - „ჩვენ, ხალხი...“ არ ანიჭებს უფლებებს თავისთავად<sup>1</sup>. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული ფრაზა გამოიყენა დამხმარე ინტერპრეტაციის საშუალებად და მიუთითა, რომ პრეამბულის „ხალხში“ არც მეტი არც ნაკლები ეროვნული ხალხი (National People) იგულისხმება<sup>2</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში სიტყვები - „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი“ - ითვლება ყველაზე ზეგავლენაუნარიან ფრაზად აშშ-ის კონსტიტუციისა<sup>3</sup>. დროის მსვლელობამ აჩვენა, თუ როგორი პოპულარული გახდა აშშ-ის კონსტიტუციის პრეამბულის ეს პარადიგმული ფრაზა<sup>4</sup>. სწორედ აშშ-ის კონსტიტუციამ მისცა ბიძგი<sup>5</sup> კონსტიტუციის შექმნის მსურველ ქვეყნებს, მიჯაჭვოდნენ ამ სიტყვებს, რომლებიც ხსნის ძირითადი კანონის კარს, და, ერთგვარად, კონსტიტუციების პრეამბულების არსებითი მახასიათებელი ელემენტი გახდა. ეს არის კონცეფციის - „ჩვენ, ხალხის...“ - ფართომამატაბიანი ექსპანსია მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციის ტექსტებში.

---

<sup>1</sup> Hulme H. M., Preambles in Treaty Interpretation, University of Pennsylvania Law Review, Volume 164, Issue 5, 2016, 1291.

<sup>2</sup> Himmelfarb D., The Preamble in Constitutional Interpretation, Seton Hall Constitutional Law Journal, Volume 2, Issue 1, 1991, 148.

<sup>3</sup> Orgad L., The Preamble in Constitutional Interpretation, International Journal of Constitutional Law, Volume 8, No. 4, 2010, 718.

<sup>4</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, The George Washington International Law Review, Volume 46, Issue 2, 2014, 119.

<sup>5</sup> გაეროს წესდებისათან (Charter of United Nations) მიმართებით პროფესორი კვლავნი წერს, რომ ის იმავე სიტყვებით იწყება, როგორც აშშ-ის კონსტიტუცია, რაც ამ უკანასკნელის გავლენად უნდა მივიჩნიოთ. იხ. Kelsen H., The Preamble of the Charter - A Critical Analysis, The Journal of Politics, Volume 8, No. 2, 1946, 137.

## 2. სუვერენული ხელისუფლების მატარებელი სუბიექტის გამოხატვის ფორმები პრეამბულებში

პროფესორმა ედისმა საინტერესო კვლევა ჩაატარა კონსტიტუციის პრეამბულის შესწავლის კუთხით და აღნიშნა, რომ პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც მოხსენიებულია პრეამბულაში გამოიხატება ზოგჯერ, როგორც „ხალხი“, ხოლო ზოგჯერ, როგორც „ერი“<sup>1</sup>. ხაზგასასმელია, რომ კონსტიტუციების პრეამბულებში სუვერენიტეტის მატარებელი სუბიექტის გამოხატვის სხვადასხვა ფორმულირებებია გავრცელებული. კერძოდ:

1) ხალხი: აშშ - „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი“, საფრანგეთი - „ფრანგი ხალხი“, ესტონეთი - „ესტონელი ხალხი...“, იაპონია - „ჩვენ, იაპონელი ხალხი...“, ინდოეთი - „ჩვენ, ინდოეთის ხალხი“, სომხეთი - „სომეხი ხალხი...“, ლატვია - „ლატვიელმა ხალხმა...“, აზერბაიჯანი - „აზერბაიჯანის ხალხი...“, ყაზახეთი - „ჩვენ, ყაზახეთის ხალხი...“, შვეიცარია - „ჩვენ, შვეიცარიელი ხალხი...“, რუსეთი - „ჩვენ, რუსეთის ფედერაციის მრავალეროვანი ხალხი“, და სხვა<sup>2</sup>;

---

<sup>1</sup> Addis A., Constitutional Preamble as Narratives of Peoplehood, Public Law and Legal Theory Working Paper Series, Working Paper No 16-2, Tulane University School of Law, 2016, 49.

<sup>2</sup> აქცენტი სიტყვაზე - „ხალხი“ - გვხვდება შემდეგი ქვეყნის კონსტიტუციის პრეამბულებში: სამხრეთ აფრიკა, ავღანეთი, ალბანეთი, ალჟირი, ანდორა, ანგოლა, ანტიგუა და ბარბუდა, ბანგლადეში, ბენინი, ბუტანი, ბოლივია, ბელიზი, ბურკინა ფასო, ბურუნდი, კამბოჯა, კამერუნი, ჩადი, კოლუმბია, კომორი, კონგო, დომინიკა, ჯიბუტი, ეკვატორული გვინეა, ერიტრეა, ფიჯი, გაბონი, გამბია, გვინეა, განა, გრენადა, ჰაიტი, კენია, კოსოვო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიბერია, ლიეტუვა, მალავი, მალი („მალის სუვერენული ხალხი...“), მონღოლეთი, ნეპალი, პაპუა ახალი გვინეა, პარაგვაი, ფილიპინები („ჩვენ, ფილიპინების სუვერენული ხალხი...“), სენტ ლუსია, სენეგალი („სენეგალის სუვერენული ხალხი...“), სლოვაკეთი, ვენესუელა, მოლდავეთი, პორტუგალია, სლოვენია, ტაჯიკეთი, ერაყი, კორეის რესპუბლიკა.

2) ერი: ესპანეთი - „ესპანელ ერს...“, გერმანია - „გერმანელებმა...“, თურქეთი - „...თურქი ერი...“, უნგრეთი - „ჩვენ, უნგრეთის ერის წევრები...“, ეთიოპია - „ჩვენ, ეროვნებით ეთიოპიელი ხალხი...“, და სხვა<sup>1</sup>;

3) მოქალაქე: კუბა - „ჩვენ, კუბის მოქალაქეები...“, ჩეხეთი - „ჩვენ, ჩეხეთის... მოქალაქეები...“, მონტენეგრო - „მონტენეგროს მოქალაქეები...“ და სხვა;

4) დამაზუსტებელი, ე.წ. „ორმაგი“ მითითებები: ბოსნია ჰერცეგოვინა - „...ბოსნიელები, ხორვატები და სერბები, როგორც დამფუძნებელი ხალხი, და ბოსნიის და ჰერცეგოვინის მოქალაქეები...“, ლიეტუვა - „ლიეტუველი ერი... ლიტვის სახელმწიფოს მოქალაქეების ნებით“, პოლონეთი - „ჩვენ, პოლონელი ერი - რესპუბლიკის ყველა მოქალაქე...“ და სხვა;

5) წარმომადგენელი: არგენტინა - „ჩვენ, არგენტინელი ერის წარმომადგენლები...“, ბრაზილია - „ჩვენ, ბრაზილიელი ხალხის წარმომადგენლები...“, მოლდოვა - „ჩვენ, მოლდოვის რესპუბლიკის ხალხის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები...“, ელ სალვადორი - „ჩვენ, სალვადორელი ხალხის წარმომადგენლები...“, გვატემალა - „ჩვენ, გვატემალელი ხალხის წარმომადგენლები, თავისუფლად და დემოკრატიულად არჩეულები...“, და სხვა<sup>2</sup>.

6) მონარქი-სუვერენი: ლიხტენშტეინი - „ჩვენ, ჯონ II...“, კუვეიტის კონსტიტუცია - „ჩვენ, აბდულლაჰ ალსალიმ ალ-საბაჰი, კუვეიტის სახელმწიფოს ემირი...“, ბაჰრეინი - „ჩვენ, ჰამად ბინ ისა ალ ხალიფა, ბაჰრეინის სამეფოს სუვერენი...“, და სხვა<sup>3</sup> (ამ შემთხვევაში, ნათელია,

---

<sup>1</sup> სლოვენია („...სლოვენელი ერი...“), ბელარუსი („ჩვენ, ბელარუსის რესპუბლიკის ერი...“), ხორვატია („...ხორვატი ერი...“).

<sup>2</sup> დომინიკელების რესპუბლიკა („ჩვენ, დომინიკელი ხალხის წარმომადგენლები...“), კოსტა რიკა („ჩვენ კოსტა რიკელი ხალხის წარმომადგენლები...“), ჰონდურასი („ჩვენ, სუვერენული ჰონდურასელი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები...“), ნიკარაგუა („ჩვენ, ნიკარაგუელი ხალხის წარმომადგენლები...“), ბულგარეთი.

<sup>3</sup> ბრუნეი, ომანი.

რომ სუვერენული ძალაუფლება ღმერთის მიერ კურთხეული მონარქის ხელშია<sup>1</sup>).

ასევე, შესამჩნევია, რომ სუვერენიტეტის მატარებელი სუბიექტი ფორმულირებულია პირველ (მრავლობით) ან მესამე პირში, ხოლო რაც შეეხება მონარქს, როგორც წესი, ფორმულირება - პირველ პირშია (მრავლობითი) გადაწყვეტილი.

მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ რომ კონსტრუქცია, რომელიც დაკავშირებულია სუვერენიტეტის რომელიმე კონკრეტული ეროვნების ხალხისგან წარმოშობასთან ხაზს უსვამს კონკრეტულ ეროვნულ ჯგუფს და ნაკლებად ნეიტრალურია<sup>2</sup>.

არგენტინის კონსტიტუციის პრეამბულაში გაცხადებულია პოსტულატი - „ჩვენ, არგენტინელი ხალხის წარმომადგენლები...“; აღნიშნულთან დაკავშირებით, ბუენოს აირესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის პროფესორი გუსტავო რაულ ფერეირა მიუთითებს, რომ ეს განსაზღვრავს არგენტინელი ხალხის დამფუძნებელ გადაწყვეტილებას, ის ერთგვარი წინასწარი გადაწყვეტილებაა, ერთგვარი ძალისხმევაა, რომ მიაღწიონ თვითმმართველობას.<sup>3</sup> თანამედროვე რეალობაში, როგორც წესი, ხალხი მმართველობით ფუნქციას სწორედ წარმომადგენლობითი დემოკრატიის მეშვეობით ახორციელებს, ანუ დემოკრატიის თანმხლებ მთავარ კონსტიტუციურ მეკავშირედ და მესაძირკვლედ წარმომადგენლობის პრინციპი გვესახება. აქედან გამომდინარე, პრეამბულაში, სადაც აღვილი მხოლოდ ხალხისთვისაა, მისი წარმომადგენლის გაცხადება, თანაც აქტორად და მოქმედ სუბიექტად, რომ ის იღებს კონსტიტუციას და არა უშუალოდ ხალხი, არ მიგვაჩნია მართებულად. პრეამბულის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, მსგავსი ფორმულირება არ მიუთითებს ცხად სახალხო სუვერენიტეტსა და ხალხზე, როგორც კონსტიტუციური

---

<sup>1</sup> Frosini J. O., *Constitutional Preambles at a Crossroads between Politics and Law*, Dogana, 2012, 35.

<sup>2</sup> Orgad L., *The Preamble in Constitutional Interpretation*, *International Journal of Constitutional Law*, Volume 8, No. 4, 2010, 716.

<sup>3</sup> Ferreyra G. R., *Argentine Constitutional Development, Creation and Application of the Federal Constitutional System in Focus*, *Jahrbuch des Öffentlichen Rechts der Gegenwart*, №54, Alemania, 2006, 722.

ნესრიგის ქვაკუთხედზე. მართალია, დღეს, სწორედაც, რომ „წარმომადგენლობითობა განაპირობებს ხალხის პოლიტიკურ ქმედუნარიანობასა და გადაწყვეტილებაუნარიანობას“<sup>1</sup>, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრეამბულაში გაცხადებულ სახალხო სუვერენიტეტის მატარებელ ფრაზა-კონცეფციაში წარმომადგენლები კონკურენციაში შევიდნენ წარმოდგენილებთან<sup>2</sup>. ამ მიმართულებით, უდავოა პროფესორ სურგულაძის მოსაზრება - „როდესაც მოსახლეობაში საჯარო ხელისუფლების სუბიექტს ხელავენ, ეს თვისება იმ ფაქტს აღნიშნავს, რომ მოსახლეობა სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბებაში იღებს მონაწილეობას“<sup>3</sup>. „არაფერი ისე მკაფიო და დამაჯერებელი არ არის, როგორც ის, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი დელეგირებული ძალაუფლების თითოეული აქტი, რომელიც მინდობილობის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, ძალადაკარგულად ითვლება ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი, რომელიც კონსტიტუციას არ ეთანხმება. ამ ვითარების უარყოფა იმის მტკიცების ტოლფასია, რომ მოადგილე თანამდებობის მთავარ პირზე მალლა დგას; რომ მსახური - ბატონის უფროსია; რომ ხალხის წარმომადგენელნი თვითონ ხალხზე მალლა დგანან; რომ იმ ადამიანებს, რომელნიც ხალხის რწმუნებით

---

<sup>1</sup> ჭილაძე ნ., „წარმომადგენლობითობის“ განმაპირობებელი ფაქტორები კონსტიტუციონალიზმში, წიგნი: მზია ლეკვეიშვილი 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, 414. კონცეფციის არსისათვის: „ხალხის ნაცვლად სუვერენული უფლებების განხორციელება წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ აუცილებლად გულისხმობს ერთგვარ იურიდიულ დამოკიდებულებას, რომელიც ხალხსა და ამ ორგანოს შორის არსებობს და რომელიც ამ უკანასკნელს ხალხის მაგივრად მოქმედების იურიდიულ საფუძველს აძლევს. ეს დამოკიდებულება ჩვეულებრივ აღინიშნება საჯარო უფლებრივი მანდატის ცნებით და ამით იმის თქმა უნდათ, რომ ხალხს, რომელიც ერთადერთი მატარებელია სუვერენული ხელისუფლებისა, დელეგაციის საშუალებით გადააქვს თავისი უფლებები წარმომადგენლობაზე. მას ანდობს თავისი ნების, თავისი ხელისუფლების განხორციელებას“. იხ. სურგულაძე ირ., სახელმწიფო, ურნალი „სამართალი“, №9-10, 1991, 12.

<sup>2</sup> ნემსწვერიძე თ., საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება, ცავერი-თბილისი, 2017, 41.

<sup>3</sup> სურგულაძე ირ., სახელმწიფო, ურნალი „სამართალი“, №9-10, 1991, 14.

მოქმედებენ, არამართო იმის უფლება აქვთ, რისი უფლებაც ხალხმა მიანიჭა, არამედ იმისაც, რაც კანონით ეკრძალებათ“<sup>1</sup>.

საინტერესოა, „ჩვენ, რუსეთის ფედერაციის მრავალეროვანი ხალხის“ კონცეფცია, რაც გახდა არსებითად წინ გადადგმული ნაბიჯი, განსხვავებით საბჭოთა სახელმწიფოსგან, რომელიც იღვა იმ პოზიციამზე, რომ წაეშალა ეროვნული განსხვავებები და ჩამოეყალიბებინა ახალი ისტორიული საზოგადოების საბჭოთა ხალხი<sup>2</sup>. მკვლევარები მიუთითებენ, რომ სახალხო სუვერენიტეტის კონცეფციის რუსეთის პრეამბული-სეული ფორმულირება არც ერთ სხვა ქვეყნის ძირითად კანონში არ ფიქსირდება და არ არსებობს რუსული კონსტიტუციის პრეამბულის აღნიშნული სიტყვების ანალოგიური კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობას<sup>3</sup>. ეს არის ტაქტიკური ფრაზა, რომლითაც გამოიხატება საკუთარ მიწაზე ერთი ბედით დაკავშირებული ხალხის იდეა<sup>4</sup>. ამ კონცეფციას რუსი მეცნიერები შემდეგნაირად განმარტავენ: რუსეთის ფედერაცია თავის თავს აცნობიერებს საზღვრებში, რომლებშიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა და არა აქვს პრეტენზია იმ ტერიტორიაზე, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კუთვნილებაა, მაგრამ, ამასთანავე, არ აპირებს ისტორიულად

---

<sup>1</sup> ჰამილტონი ა., ფედერალისტური წერილები, ფედერალისტი №78, <<http://federalistpapers.ge/federali78.php>> [28.02.2022].

<sup>2</sup> Дмитриев Ю. А., О юридическом значении преамбулы Конституции России, журнал “Государство и право”, №12, 2008, 35.

<sup>3</sup> Научный макет новой Конституции России, Под общей редакцией С. С. Сулакшина, Москва, 2011, 84. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის კონსტიტუციის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოადგენს მრავალეროვნულ სახელმწიფოს.

<sup>4</sup> Дмитриев Ю. А., О юридическом значении преамбулы Конституции России, журнал “Государство и право”, №12, 2008, 35.

მისი მიწების სხვისთვის გადაცემას<sup>1</sup>. „ჩვენ, რუსეთის ფედერაციის მრავალეროვანი ხალხის“ კონცეფცია შეფასებულია, როგორც პრეამბულის ნორმატიული ელემენტი<sup>2</sup>.

ვენეციის კომისიის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა უნგრეთის 2011 წლის კონსტიტუციის პრეამბულის ფრაზას - „ჩვენ, უნგრელი ერის წევრები...“. კომისიამ აღნიშნა, რომ უნგრეთის ძირითადი კანონის პრეამბულა ერთმანეთისაგან განარჩევს უნგრელ ერს (Hungarian Nation, ეთნიკურად უნგრელს) და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ცხოვრობენ უნგრეთში. ფორმულირება „უნგრელი ერი“, თავის მხრივ, ასევე, მოიცავს სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ უნგრელებს. კომისიამ გააკრიტიკა მსგავსი, ფართო გაგებით გამოყენებული ტერმინების არსებობა კონსტიტუციის პრეამბულის ტექსტში, რადგან მათ შესაძლოა შეა-

---

<sup>1</sup> Конституция Российской Федерации, доктринальный комментарий (постатейный), 2-е издание, измененное и дополненное, Под редакцией Ю. А. Дмитриева и Ю. И. Скуратова, Москва, 2013, 4. ყოველივე ამის საპირისპიროს ადასტურებს რუსეთის ფედერაციის პრაქტიკული ქმედებები, კერძოდ, მის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, რაც გამოიხატა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციაში, ასევე, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ჯერ 2014 წელს - ყირიმის ოკუპაციის სახით, ხოლო 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების წარმოებით (ზოგჯერ, ეთნიკურად რუსი მოსახლეობის დაცვისა და ზოგჯერ, ისტორიული მიწების დაბრუნების მოტივით). რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა კიდევ ერთხელ აჩვენა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და ნორმების პრაქტიკული ქმედითობის „შიმშილი“, როდესაც საომარი მოქმედებების ინიციატორი აგრესორი, იმპერიალისტური ზრახვებით შეპყრობილი რუსეთის ფედერაციაა.

<sup>2</sup> Комментарий к Конституции Российской Федерации, 3-е издание, Под редакцией В. Д. Зоркина, Москва, 2013, 40-41; Конституция Российской Федерации, доктринальный комментарий (постатейный), 2-е издание, измененное и дополненное, Под редакцией Ю. А. Дмитриева и Ю. И. Скуратова, Москва, 2013, 7.

ფერხოს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები და შექმნას ინტერ-ეთნიკური დაძაბულობა.<sup>1</sup> ხაზგასასმელია, რომ უნგრეთის ძირითად კანონში, ასევე, აღნიშნულია - „...ჩვენთან მცხოვრები სხვა ერები პოლიტიკური საზოგადოებისა და სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილები არიან...“, - ეს განცხადება აღიქმება, როგორც ჩართულობის უზრუნველმყოფელი ფრაზა, მაგრამ უკვე არსებული ჩანაწერი - „ჩვენ, უნგრელი ერის წევრები...“ - მიუთითებს, რომ „ჩვენთან მცხოვრები ერები“ არ მოიაზრებიან ხალხში, რომელთაც აამოქმედეს კონსტიტუცია.<sup>2</sup> არა თუ „ერის“ გამოყენება კონსტიტუციაში, არამედ იმასაც კი მიუთითებენ, რომ ტერმინი „ხალხი“ - დამატებითი დათქმების გარეშე და მისი გამოყენების, როგორც საკუთარის, აძლიერებს ეთნიკური განსაზღვრულობის დატვირთვას<sup>3</sup>. ვინაიდან კონსტიტუცია უნდა იყოს ქვეყნის მოქალაქეების დემოკრატიული ნების ფორმირების შედეგი, როგორც მთელი, და არა მხოლოდ დომინანტური ჯგუფისა, უნგრეთის კონსტიტუციის პრეამბულაში ზემოაღნიშნული კონცეფციის ფორმულირება ლინგვისტურად უნდა ყოფილიყო უფრო ინკლუზიური, მაგალითად, „ჩვენ, უნგრეთის მოქალაქეები...“ (“We, citizens of Hungary...”).<sup>4</sup>

1914 წლამდე კონსტიტუციებში განმსაზღვრელი იყო ფრაზები - „ჩვენ, ხალხის წარმომადგენლები...“ (დაახლოებით პრეამბულების 10%), და, კიდევ უფრო გავრცელებული - „ღმერთის სახელით...“ (პრეამბულების 20%). აქედან ჩანს, რომ პირველი კონცეფცია უდავოდ გულისხმობს რესპუბლიკურ რეჟიმში მიღებულ კონსტიტუციებს,<sup>5</sup> ხოლო მეორე დროთა განმავლობაში შეიცვალა. „ჩვენ, ხალხი...“ - ზოგადად,

---

<sup>1</sup> European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Opinion on the New Constitution of Hungary, 87th plenary session, Opinion No. 621/2011, CDL-AD(2011)016, Strasbourg, 2011, §39.

<sup>2</sup> იქვე, §40.

<sup>3</sup> Научный макет новой Конституции России, Под общей редакцией С. С. Сулакшина, Москва, 2011, 84.

<sup>4</sup> European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Opinion on the New Constitution of Hungary, 87th plenary session, Opinion No. 621/2011, CDL-AD(2011)016, Strasbourg, 2011, §40.

<sup>5</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, The George Washington International Law Review, Volume 46, Issue 2, 2014, 119.



ყველაზე გავრცელებული ფრაზაა, მაგრამ მისი პოპულარობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი დეკოლონიზაციის პერიოდ-დან გაიზარდა<sup>1</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ფაქტია, რომ სახელმწიფოების კონსტიტუციების პრეამბულების უმრავლესობაში გაბატონებული ფორმულირებებია - „ჩვენ, ხალხი...“, „ჩვენ, ერი...“, „ჩვენ, მოქალაქეები...“.

რიგი ქვეყნების კონსტიტუციები პრეამბულაშივე მიუთითებენ, თუ როგორ, რა გზით მოხდა კონსტიტუციის მიღება. მაგალითად, ლატვიის კონსტიტუციის პრეამბულაში მითითებულია, რომ კონსტიტუცია მიიღეს დამფუძნებელი კრების მეშვეობით; წარმომადგენლების მეშვეობით მიღებაზე მიუთითებს ჩეხეთის კონსტიტუციის პრეამბულა; აზერბაიჯანის კონსტიტუციის პრეამბულამ აღნიშნა, რომ ძირითადი კანონი რეფერენდუმზე მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით მიიღეს. მონაკოს სამთავროს კონსტიტუციის პრეამბულა ძირითადი კანონის ჩუქებაზე უსვამს ხაზს, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, მონარქიული მმართველობისათვის დამახასიათებელ ოქტრირებულ კონსტიტუციასთან<sup>2</sup> გვაქვს საქმე. ქვეყანათა უმრავლესობაში კონსტიტუციის ხალხის მიერ მიღებაზე არის მითითება. ფორმულირება - „ჩვენ, ხალხი... ვიღებთ კონსტიტუციას“ - არის სამართლებრივი აქტი, კონსტიტუციის განცხადება, თუ ვინ მიიღო ის; ეს არის სამართლებრივი მნიშვნელობის განაცხადი პრეამბულაში.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ოქტრირებულ, ნაჩუქარ კონსტიტუციასთან დაკავშირებით იხ. თევდორაშვილი, წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 130-131.

<sup>3</sup> Конституция Российской Федерации, доктринальный комментарий (постатейный), 2-е издание, измененное и дополненное, Под редакцией Ю. А. Дмитриева и Ю. И. Скуратова, Москва, 2013, 7.

### 3. „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი...“ - კლავშულის ძირითადი მოთხოვნები

ერთი მხრივ, „ძირითადად პრეამბულები იწყება „ხალხზე“, როგორც კონსტიტუციის დამფუძნებელ ძალაზე მითითებით, რაც სიესისა და რუსოს მიერ დამკვიდრებული ფრანგული ტრადიციის გავლენაა“<sup>1</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ ამერიკის კონსტიტუციაში პირველად გაჟღერებულმა ამ ფრაზამ მისცა დასაბამი არაერთ სამართლებრივ ღირებულებას მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში<sup>2</sup>. „ჩვენ, ხალხი...“ - ეს არის გლობალური იდიომა, სტილი, რომელსაც ძირითადი კანონების პრეამბულები იყენებენ<sup>3</sup>.

სიტყვაზე - „ჩვენ“ - ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ „...ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვეველობა მართო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“. ...ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომ საცა და როცა მძლავრი „ჩვენ“ წარმოდგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი ვაცი თავის საკუთარ „მეს“ უკან დააყენებდა“<sup>4</sup>. ილიას მოსაზრებიდან გამომდინარე, პროფესორი მაისურაძე აღნიშნავს, რომ „მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი - ჩვენ - კოლექტიური იდენტობის ფორმის სახეს იღებს

---

<sup>1</sup> ჰებერლე პ., საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის „საკუთარი სახე“, ლ. ბრეგვაძის თარგმანი, სამართლის ურნალი „სარჩევი“, №1-2, 2012, 240-241.

<sup>2</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, The George Washington International Law Review, Volume 46, Issue 2, 2014, 121; ბუჩუკური ა., საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა და მისი ნორმატიული გამოყენების შესაძლებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ურნალი, 2014, 51.

<sup>3</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, The George Washington International Law Review, Volume 46, Issue 2, 2014, 107.

<sup>4</sup> ციტატა მითითებულია ნაშრომში: მაისურაძე გ., საქართველოს კონსტიტუცია - ეროვნული სახელმწიფო და იმპერატიული მემკვიდრეობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ვ. ნაცვლიშვილისა და დ. ზედელაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 217.

და... - „ჩვენობად“ - გარდაიქმნება. „ჩვენობა“ ის კატეგორიაა, რომელსაც ცალკეული ინდივიდი ისეთ ორგანიზებულ კოლექტივად უნდა გაეერთიანებინა, როგორცავე ერთი ენოდება“<sup>1</sup>.

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი“ - მატარებელია, როგორც სამართლებრივი, ასევე, პოლიტიკურ-იდეოლოგიური შინაარსისა. აღნიშნავენ, რომ - „ჩვენ, ხალხი...“ - არის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური განაცხადი პოლიტიკური ლიტერატურის ისტორიაში<sup>2</sup>. იგი, ერთი მხრივ, მიუთითებს კონკრეტული საზოგადოების ერთობაზე ერთი იდეის ირგვლივ<sup>3</sup>, და, მეორე მხრივ, უნარზე, რომ თავად შესწევთ დასახული მიზნის პრაქტიკული განხორციელება; ანუ ეს ფრაზა ნათლად გვეუბნება, რომ ხალხი თავად ახორციელებს კონსტიტუციის მიღებას<sup>4</sup> და კონსტიტუციური წესრიგის განმსაზღვრელი ჩარჩო პრინციპების რეგლამენტაციას. ამის მანიშნებელია პრემამბულის თხრობის სტილის პირველ პირობაში წარმართვა. ასევე, ამ ფრაზაში, პრემამბულის სხვა დებულებებთან - „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები“ და „განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“ - კავშირში შეიძლება ამოვიკითხოთ საქართველოს ისტორიული ნარატივი - სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. საქართველო, როგორც ფეოდალიზმის გარკვეულ პერიოდში დაქუცმაცებული ქვეყანა, შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არსებული „გუბერნია“ და საბჭოთა ხელისუფლების დროს სუვერენიტეტწარმომეული რესპუბლიკა - ამ სიტყვით მიუთითებს, რომ ის თავისუფალია და თავად

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, *The George Washington International Law Review*, Volume 46, Issue 2, 2014, 132.

<sup>3</sup> შეთანხმება იქა, სადაც თავისუფლებაა, ეს უკანასკნელი კი იქა, სადაც თანასწორობაა თავისუფლებისა. იხ. გვაზავა გ., ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზ. კორძაძისა და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 154.

<sup>4</sup> პროფესორი ველზენი აშშ-ის მაგალითზე მიუთითებს, რომ - „ჩვენ, ხალხი...“ არ შეიძლება მივიჩნიოთ კონსტიტუციის ავტორად, სანამ აშშ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ვინაიდან სწორედ მან მიიღო პირველად კონსტიტუცია. იხ. Kelsen H., *The Preamble of the Charter - A Critical Analysis*, *The Journal of Politics*, Volume 8, No. 2, 1946, 138-139.

ძალუძს დაადგინოს/მიიღოს საკუთარი ქვეყნის ძირითადი კანონი, განსაზღვროს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგი და საუკუნეების ნანატრი სახელმწიფოებრიობა მიღწეულია, რადგან ყოველივე ამის შემოქმედნი - „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი“ - ვართ.

მეტად საინტერესოა პროფესორ კელზენის მოსაზრება, რომ „ჩვენ, ხალხი...“ სუვერენიტეტის ფორმულის უფრო პოლიტიკურ მნიშვნელობას გამოხატავს, ვიდრე სამართლებრივის<sup>1</sup>. მას მხედველობაში აქვს რა აშშ-ის კონსტიტუციის მიღება, ხაზს უსვამს მის მიღებას კონვენტის მიერ, რომელიც 55 დელეგატისაგან შედგებოდა და მისი სხდომები დახურული იყო ხალხისათვის, შესაბამისად, კონსტიტუცია წარმოადგენს კონვენტის მიერ დადგენილს<sup>2</sup>. თითქოს აქედან ჩანს რომ, თუ კონსტიტუცია უშუალოდ ხალხის მიერ არ არის მიღებული პრემბულის ზემოთ განხილულ კონცეფციაში სამართლებრივი შინაარსი თითქოს ითრგუნება და მსაზღვრელი პოლიტიკური შინაარსია. თანამედროვე რეალობაში სახალხო სუვერენიტეტის რეალიზებას მნიშვნელოვანწილად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპის მეშვეობით ხორციელდება<sup>3</sup>, შესაბამისად, ის რომ ძირითადი კანონი შესაძლოა დამუშავებული კრების ან წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ იქნეს მიღებული, არ ნიშნავს პრემბულისეულ სახალხო სუვერენიტეტის კონცეფციაში ნორმატიული ელემენტის შესუსტებას, პირიქით, ის პოლიტიკურ-სამართლებრივ დატვირთვას დაბალანსებულად ინარჩუნებს. მაგრამ ამ მოცემულობით კონვენტს პროფესორი კელზენი აშშ-ის ხალხის ნების გამოხატველად არ მიიჩნევდა. ზოგადად, პოლიტიკური ფუნქციის ერთ-ერთი ცენტრალური გამოხატულებაა პოლიტიკური საზოგადოების იდენტობის რეგლამენტაცია.

---

<sup>1</sup> იქვე, 137.

<sup>2</sup> იქვე, 138. ანალოგიური მიმართულებით განიხილავს დოქტრინაში არსებულ მოსაზრებებს პროფესორი დემეტრაშვილი. იხ. დემეტრაშვილი ავ., ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 200 წლისთავი, ურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1987, 61.

<sup>3</sup> გეგენავა დ., „ძალაუფლება“ v. „ხელისუფლება“: შენიშვნები საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თაობაზე, წიგნში: გურამ ნაჭყებია 75, საიუბილეო გამოცემა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 92.

კონცეფცია - „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი“ - საკმაოდ ფართო სამართლებრივი ქვეტექსტის მატარებელია. კერძოდ, კონსტიტუციის პრეამბულაში ხშირად საუბრობენ ხალხის სახელით, რომელიც, მიუხედავად იმისა, გამოგონილია თუ რეალური, ერთდროულად კონსტიტუციური წესრიგის შემქმნელიცაა და მისი სუბიექტიც<sup>1</sup>. აღნიშნული მიუთითებს სახალხო სუვერენიტეტზე და ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო ძალაუფლების წყარო ხალხია<sup>2</sup> - ის ვინც უნარიანია სახელმწიფო ძალაუფლება გადასცეს სხვას. ეს შესაძლოა ამოვიკითხოთ ზემოაღნიშნული ფრაზის კონტექსტუალურ ბმაში კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი „ხელისუფლების წყაროდ“<sup>3</sup> გაცხადებულ ხალხთან, მაგრამ

---

<sup>1</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, *The George Washington International Law Review*, Volume 46, Issue 2, 2014, 102.

<sup>2</sup> სურგულაძე ირ., სახელმწიფო, ურნალი „სამართალი“, №9-10, 1991, 2.

<sup>3</sup> როგორც იურიდიულ დოქტრინაში მიუთითებენ - „...გონივრულ საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ „ხელისუფლების წყაროა ხალხი“. შეუძლებელია „ხელისუფლებას“, რომელიც უფლების განმსახორციელებელ სუბიექტსაც აღნიშნავს, წყარო, სათავე ჰქონდეს, საიდანაც იგი წარმოიშობა და დგინდება. არცერთ შემთხვევაში ხელისუფლება არ შეიძლება წარმოდგეს ხალხისგან... ეს არაა ხელისუფლება, არამედ მისი ძალაუფლება მომდინარეობს ხალხიდან“. იხ. გეგენავა დ., „ძალაუფლება“ v. „ხელისუფლება“: შენიშვნები საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თაობაზე, წიგნში: გურამ ნაჭყებია 75, საიუბილეო გამოცემა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 93. უფრო ადრე, 1920 წელს, მიუთითებდნენ, რომ ხელმწიფობა (დღევანდელი გაგებით ძალაუფლება) ხალხის ხელშია. იხ. გვაზავა გ., ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზ. კორძაძისა და თ. ნემსწვრიძის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 163. ნამდვილი პოლიტიკური დემოკრატიის საფუძველია ხალხის სუვერენიტეტის აღიარება. „ყოველი უფლობის ანუ ხელმწიფობის წყარო ხალხშია. ყოველი ძალაუფლება ხალხიდან მომდინარეობს, ყველა დიდ სახელმწიფოებრივ საკითხშიც უკანასკნელი ხმა ეკუთვნის ხალხს. ამას მოითხოვს დემოკრატიის პრინციპი“. იხ. საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზ. კორძაძისა და თ. ნემსწვრიძის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 298. „...მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება აქვს ხალხს, რომელიც შეადგენს წყაროს ყოველგვარ უფლებაშემოქმედებისა“. იხ. მიქელაძე კ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და 252

ესეც, რომ არა, ფრაზა - „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი“ - თავის-თავად მოიცავს სახალხო სუვერენიტეტის ნორმატიულ იდეას, ანუ კონსტიტუციის პრემბულაშივეა ხაზგასმა, თუ ვის ეკუთვნის სახელმწიფო ძალაუფლების პირველსაწყისი და დამფუძნებელი ფუნქცია, რომელიც იღებს კონსტიტუციას<sup>1</sup>. ეს კონცეფცია უფრო ნათელს ხდის მიდგომას, რომ სუვერენული ძალაუფლება თავმოყრილია მათში, ხალხში<sup>2</sup>. საინტერესოა ისიც, რომ იურიდიულ დოქტრინაში თავად კონსტიტუციის არსებობაც, სახალხო სუვერენიტეტის გამოხატულებადაა მიჩნეული<sup>3</sup>.

თანამედროვე დემოკრატია დაფუძნებულია სახალხო სუვერენიტეტის იდეაზე<sup>4</sup>, რომელიც გვავალდებულებს შევხედოთ ხალხს, როგორც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, უზენაესობის მატარებელს<sup>5</sup>. მართებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პრემბულა განასახიერებს

---

პარლამენტარული რესპუბლიკა, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზ. კორძაძისა და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 78.

<sup>1</sup> მაგალითად, სახალხო სუვერენიტეტი ყველაზე რთულ საკითხად განიხილება დიდი ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებში, რომლებმაც თანდათან დამოუკიდებლობა მოიპოვეს. იხ. Saunders Ch., *The Use and Misuse of Comparative Constitutional Law*, *Indiana Journal of Global Legal Studies*, Volume 13, Issue 1, 2006, 63. ამ მიმართებით საინტერესოა საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებული პრობლემა. კერძოდ, „ევროკავშირის შესახებ“ ხელშეკრულებით კავშირი ფუძნდება „მაღალი ხელშემკვრელი მხარეების“ მიერ, რომლებიც პრემბულაში გაცხადებული წევრი სახელმწიფოებია. მართალია ამ დებულებაში მეცნიერები ხელავენ „ევროპის ხალხთა ნების უზენაესობის პირდაპირ დადასტურებას“, მაგრამ პრემბულაში გაცხადებული სახელმწიფოებიდან გამომდინარე, უჭირთ ამის დამტკიცება. ამ საკითხზე იხ. ალასანია გ., *ევროკავშირის მმართველობის კონსტიტუციური პრინციპები*, თბილისი, 2013, 94 და შემდგომში.

<sup>2</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, *The George Washington International Law Review*, Volume 46, Issue 2, 2014, 119.

<sup>3</sup> Saunders Ch., *The Use and Misuse of Comparative Constitutional Law*, *Indiana Journal of Global Legal Studies*, Volume 13, Issue 1, 2006, 63.

<sup>4</sup> შაჩევი ი., თანამედროვე დემოკრატის უფლება, ზ. კორძაძისა და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 9.

<sup>5</sup> იქვე, 46.

კონსტიტუციის პროექტს, სადაც „ჩვენ“ ვაყალიბებთ ძირითად პრინციპებს, რომლის მეშვეობითაც „ჩვენ“ ვმართავთ<sup>1</sup>. ამიტომაც მყარი კავშირი უნდა იყოს თავად კონსტიტუციის პრეამბულის დებულებებს შორის; პრეამბულის პირველი ფრაზა-კონცეფცია ჯაჭვურად შეკავშირებულია დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპთან და ქმნის პოლიტიკურ-სამართლებრივი ფასეულობების ერთ-ერთ მტკიცე ქვაკუთხედს.

განსახილველი კონცეფცია, ასევე, მიაჩნებს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში ადამიანზე, როგორც უმათავრესი ღირებულების<sup>2</sup> უპირატესობაზე, რადგან კონსტიტუციის გახსნა, სწორედ, „ჩვენობაზე“ აპელირებით ხორციელდება, რომელიც ინდივიდთა, ადამიანების ერთობის<sup>3</sup> შედეგია. ის, რომ ადამიანი უმათავრესი ღირებულებაა, ამიტომაც მომდინარეობს ყველაფერი მისგან, მათ შორის, სახელისუფლებო ძალაუფლება. საინტერესოდ მიუთითებდა, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 20-იან წლებში დოქტორი ფატი გოკიელი, რომ პიროვნების კონსტიტუციური მნიშვნელობის ერთ-ერთ აღიარებად თანამედროვე იურისპრუდენციაში მიიჩნევა ფაქტი, რომ - „ადამიანს, ვითარცა სამართლის ფიზიკურ სუბიექტს - ერთადერთი ადგილი მიენიჭა“<sup>4</sup>. „ადამიანის პიროვნების თვითმიზნობა და უმაღლესი ღირებულება თანამედროვე ეთიკის ძირითადი პრინციპი, ამასთანავე ყოველივე კონკრეტულად არსებულის საზომი და შეფასების საშუალებაა. ეს დიადი იდეა წარმოადგენს ჩვენი სამართლებრივი შეგნების საფუძველს და კანონმდებლის

---

<sup>1</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, *The George Washington International Law Review*, Volume 46, Issue 2, 2014, 132.

<sup>2</sup> ადამიანზე, როგორც უმათავრეს ღირებულებაზე ქართულ იურიდიულ დოქტრინაში იხ. ნანეიშვილი გ., იურიდიული სუბიექტი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №VIII, 1928, 388 და შემდგომში.

<sup>3</sup> მიუთითებენ, რომ „ხალხი“ წარმოადგენს „ინდივიდების საზოგადოებას“. იხ. აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თარგმანი, დ. გვეგნავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 59.

<sup>4</sup> გოკიელი ფ., იურიდიული პირის პრობლემა, წიგნში: გოკიელი ფ., ცივილისტური შტუდიები, მოგონებები, კ. ანთაძის, თ. ნინიძისა და მ. უგრეხელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 17.

უდიდესი მიღწევა იქნება, თუკი მას იურიდიულ ნორმებში გამოხატავს. სხვანაირად მოქცევა კანონმდებელს არ შეუძლია.“<sup>1</sup>

კონსტიტუციის პრეამბულის პირველსავე ფრაზაში ერთგვარად ჩანს ისტორიული გაკვეთილების როლი და შედეგი. კონცეფციით - „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი...“ - ქვეყნის მოქალაქეები აფრთხილებენ სახელმწიფო ხელისუფლებაში მოსულ მმართველ პოლიტიკურ ძალას, რომ სწორედ ისინი არიან ის სუბიექტები, რომლებიც ფლობენ დამფუძნებელ ძალაუფლებას. ამ კონცეფციით „ხალხი“ თავის „შიშს“ „უმკლავდება“<sup>2</sup>, რომ ვერც ერთი დროის ხელისუფალი ვერ შეეცილოს მას კუთვნილ ძალაუფლებაში, რომელიც მხოლოდ მას შეიძლება ეკუთვნოდეს. ამ „გაფრთხილების“ (სიფრთხილის გამოხატულების) ყველაზე საუკეთესო ადგილი კი კონსტიტუციის პრეამბულაა, მისი პირველივე სიტყვები, რომლებიც, თავისთავად, ძალაუფლებისა და „შიშის“ დეტერმინანტის მატარებელი აღმოჩნდა.

ის, რომ კონსტიტუციის მთავარი ღირებულება, სუბიექტი, მიზანი და აქტორი ადამიანია, ისიც მიუთითებს, რომ ქვეყნის ძირითადი კანონის პრეამბულის პირველ სიტყვებში სწორედ მასზეა მითითება. მით უმეტეს, რომ პრეამბულაში კონსტიტუციის სუბიექტი ის ხალხია რომელთა მანდატითა და სახელით დაიწერა, შემდეგ კი მიიღეს იგი<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იურიდიულ დოქტრინაში ამ მიმართულებით მსჯელობა იხ. Möllers Ch., “We are (afraid of) the people”: Constituent Power in German Constitutionalism, in: *The Paradox of Constitutionalism: Constituent Power and Constitutional form*, Edited by M. Loughlin and N. Walker, Oxford, 2008, 87-105. „...დემოკრატია კონსტიტუციური ანუ ხელისუფლების შემზღვეველი ხდება, სწორედ იმიტომ, რომ ხალხია სუვერენული და სხვას არავის და არც ერთ ინსტიტუტს არ შეუძლია სუვერენული ხელისუფლების პრეტენზია განაცხადოს. მთელი ის ძალაუფლება, რომელიც კონსტიტუციურ ინსტიტუტებს აქვთ, ხალხმა მიანიჭა მათ“. იხ. შაიო ა., ხელისუფლების თვითშემზღვევა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 67-68.

<sup>3</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, *The George Washington International Law Review*, Volume 46, Issue 2, 2014, 116.



საინტერესოა ქართველი კანონმდებლის ხელწერა ზემოაღნიშნული კონცეფციის ჩამოყალიბებისას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონსტიტუციის პრეამბულის პირველი ფრაზა, როგორც წესი, იწყება ხალხზე მითითებით, ამ კუთხით, ქართველმა კანონმდებელმა კი სხვაგვარი მიდგომა განავითარა და ხაზი გაუსვა არა ზოგადად ხალხს, არამედ მოქალაქეებს<sup>1</sup>. თავის დროზე, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებელი საკონსტიტუციის კომისიის 1995 წლის 10 ივნისის სხდომაზე დიდი დრო დაუთმეს კონსტიტუციის პრეამბულის პროექტის განხილვას, მათ შორის, აზრთა სხვადასხვაობა იყო სახალხო სუვერენიტეტის გამომხატველი კლავულის აქტორის ტექსტუალურ გამომხატულებაზე. დეპუტატი გია ჟორჯიანი მიუთითებდა, რომ პრეამბულის ტექსტში წარმოდგენილი ტერმინი „საქართველოს ხალხი“ მისაღები იყო, რადგან ხალხი მეტ ერთობლიობას აღნიშნავდა. ირაკლი წერეთელი მიუთითებდა, რომ გამოეყენებინათ ფრაზა - „ქართველი ერი და საქართველოს ხალხი“. ედუარდ შევარდნაძემ, როგორც სახელმწიფო მეთაურმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელიც იმავდროულად საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე იყო აღნიშნა, რომ „ტერმინი საქართველოს ხალხი ყურს ეხამუშება, მაგრამ უფრო ტევადია“. ამასთან მიუთითა, რომ „საქართველო არ უნდა ამოვარდეს საკაცობრიო პროცესებიდან და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი უნდა იყოს დემოკრატიული სახელმწიფო. რამდენად მოხერხდება პროექტში ამის გათვალისწინება, სხვა საკითხია“.<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში ნორმატიული გამოხატულება საქართველოს მოქალაქეებზე ხაზგასმამ

---

<sup>1</sup> თუმცა, 1995 წლის აგვისტოში კენჭი უყარეს და მიიღეს კონსტიტუციის პრეამბულა, რომლის დროსაც სიტყვები „საქართველოს ხალხი“ შეიცვალა სიტყვებით „საქართველოს მოქალაქენი“. იხ. ბაბუკი ვ., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), კ. კუბლაშვილის თარგმანი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2013, 93.

<sup>2</sup> ტერმინი „საქართველოს ხალხი“ ყურს ეხამუშება, გაზეთი „რეზონანსი“, №58, 13-14 ივნისი, 1995. 1995 წლის 10 ივნისის სხდომაზე სახელმწიფო მეთაურმა იხუმრა: „დანარჩენი მუხლები და თავები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება პრეამბულას, მიღებულად ჩავთვალოთ“. იხ. იქვე.

ჰშოვა, რასთან დაკავშირებით, ცნობილი გერმანელი პროფესორი ჰებერლე წერს: „განსაკუთრებული ქების ღირსია კონსტიტუციის პრეამბულის გახსნა „საქართველოს მოქალაქეებზე“ მითითებით. ეს იძლევა „სამოქალაქო დემოკრატიის“ დამკვიდრების შესაძლებლობას. მოქალაქეები თავადვე ამყარებენ კონსტიტუციას! გერმანიის მასშტაბით ეს გაბედა მხოლოდ 1992 წელს მიღებულმა ბრანდენბურგის ახალმა კონსტიტუციამ. ძირითადად პრეამბულები იწყება „ხალხზე“<sup>1</sup>, როგორც კონსტიტუციის დამფუძნებელ ძალაზე მითითებით... ჩემი აზრით, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ უკეთესი ტექსტუალური საფეხური აიღო“.<sup>2</sup> ჩვენც ვიზიარებთ პროფესორ ჰებერლეს მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ კანონმდებელმა მართებული პოსტულატი წამოაყენა, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს ქართული კონსტიტუციის, ერთგვარ, ინდივიდუალურობას<sup>3</sup> უსვამს ხაზს, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ხალხი როგორც ასეთი, რომელიც სახელისუფლებო ძალაუფლების წყაროა, რეალურად მოქალაქეა<sup>4</sup>, რომლის ხელშეწყობა

---

<sup>1</sup> ზოგიერთნი მიუთითებენ, რომ პრეამბულაში გაცხადებული „ხალხი“ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით არის გაერთიანებული, კრებსითი ხალხი. იხ. Arcioni E., Historical facts and constitutional adjudication the case of the Australian constitutional preamble, *Giornale di Storia Costituzionale/Journal of Constitutional History*, No. 30, II semestre, 2015, 116.

<sup>2</sup> ჰებერლე ჰ., საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის „საკუთარი სახე“, ლ. ბრეგვაძის თარგმანი, სამართლის ურნალი „სარჩევი“, №1-2, 2012, 240-241.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> კონსტიტუციის პრეამბულისეული „ხალხის“ როგორც „ამომრჩევლის“ შესახებ დაწვრილებით იხ. Arcioni E., The Core of the Australian Constitutional People - “The People” as “The Electors”, *University of South Wales Law Journal*, Volume 39, Issue 1, 2016, 421-449. ამ შემთხვევაში, „ხალხის“ კონცეფციის დაყვანა, დავინროვება ამომრჩევლამდე, მართებული არ უნდა იყოს, ვინაიდან მოქალაქეობა გვესახება „ხალხის“ კონკრეტობის ბოლო საზღვრად. მაგრამ ამომრჩეველი, რა თქმა უნდა, თავსებადია „ხალხის“ კონცეფციასთან, რადგან, როგორც წესი, ის მოქალაქეცაა, შესაბამისად, კონსტიტუციის პრეამბულის ტექსტში „მოქალაქის“ ხსენება, მათ შორის, ამომრჩეველსაც მოიცავს.

სადეპუტატო მანდატი<sup>1</sup>, ანუ იგი, როგორც წესი, ყოველთვის დაიყვანება კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეების ცნებამდე, რადგან ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში სწორედ მოქალაქეა სახალხო სუვერენიტეტის მატარებელი<sup>2</sup>, რომელსაც აქვს შესაძლებლობა მიიღოს (მისი სახელით მიიღონ) ქვეყნის ძირითადი კანონი - კონსტიტუცია, როგორც იურიდიულ-პოლიტიკური დოკუმენტი.

მეცნიერები მიუთითებენ, რომ ხალხის ინსპირაციითა და მოტივაციით პრეამბულებს შეუძლიათ კონსტიტუციის ტექსტს უფრო მეტ ეფექტურობაში დაეხმაროს, ვიდრე ეს იქნებოდა ჩვეულებრივ შემთხვევაში<sup>3</sup>. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში მოქალაქეების კონცეფციის ჩართვით კიდევ უფრო გაძლიერდა ძირითადი კანონის პროლოგის მნიშვნელობა. ასევე, კონცეფცია - „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი...“ - კონსტიტუციის სახელშეკრულებო თეორიის გამოძახილადაც შეიძლება აღვიქვათ.

---

<sup>1</sup> ჭილაძე ნ., „წარმომადგენლობის“ განმაპირობებელი ფაქტორები კონსტიტუციონალიზმში, წიგნი: მზა ლექსები 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, 433.

<sup>2</sup> აღიარებული და მიღებულია, რომ სახელმწიფოში უცხოელს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ყველა უფლება, რომლითაც სარგებლობს ამ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქე. იხ. მიქელაძე ვ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, წიგნი: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზ. კორძაძისა და თ. ნემსწვრიძის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 74. მაგრამ თანამედროვეობა იცნობს უცხოელის მიერ საარჩევნო უფლების რეალიზებას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უცხოელი სახალხო სუვერენიტეტის მატარებელიცაა. ამასთან დავაგვირებით იხ. ჭილაძე ნ., უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, სტატიათა კრებული, ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2011, 291-314; ნემსწვრიძე თ., უცხოელთათვის საარჩევნო უფლების მინიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე - სახელმწიფოს პოლიტიკურ გარემოზე ზემოქმედების სამართლებრივი ბერკეტი?, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2014, 103-115.

<sup>3</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: The Global Origins of Constitutional Preambles, The George Washington International Law Review, Volume 46, Issue 2, 2014, 105.

მეტად საინტერესოა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული კონცეფციის განმარტების ერთი მიმართულებით გამოვლინება. კერძოდ, საქმე ეხებოდა რა საარჩევნო ოლქების ფორმირებას, სასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლებამ საარჩევნო ოლქის საზღვრები ისე უნდა განსაზღვროს, რომ ნებისმიერ ოლქში მცხოვრები ამომრჩეველთა რიცხვი იყოს თითქმის ერთნაირი. სამართლებრივი წესრიგისათვის მიუღებელია, ერთი ამომრჩევლის საარჩევნო ხმას მიენიჭოს უფრო მეტი წონა მეორესთან შედარებით იმიტომ, რომ ერთი მჭიდროდ დასახლებულ ოლქში ცხოვრობს, ხოლო მეორე - არა<sup>1</sup>. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ეს მოსაზრება დაეფუძნა ამერიკის კონსტიტუციის პრეამბულის შემდეგ სიტყვებს - “We the People of United States...”. ამ კონცეფციის იდეა კი შემდეგია: ყველა ამომრჩევლის ხმა არის თანასწორი და სწორედ ამ თანასწორობის საწყისებზე დაყრდნობით ახორციელებენ ისინი საარჩევნო უფლების რეალიზებას.<sup>2</sup> აქედან ჩანს, თუ როგორი ღრმა სამართლებრივი ნარატივითაა დეტერმინებული აღნიშნული კლაუზულა, რომლის წვდომის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლებას. სასურველია, თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში აქტუალური გახდება პრეამბულის მიერ რეგლამენტირებული კონცეფციის არსისა და მასშტაბის ძიება, რომელიც არაერთი სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტაში დაეხმარება სასამართლოს. შესაბამისად, მართებულია ჰამილტონი, როდესაც წერს: „დაუშვებელია ვივარაუდოთ... თითქოსდა კონსტიტუცია ხალხის წარმომადგენლებისთვის იმის შესაძლებლობას ითვალისწინებდეს, რომ მათ ხალხის ნება თავიანთი ნებით ჩაანაცვლონ. ... იგი [იგულისხმება სასამართლო - თ.ნ.] მოწოდებულია, რათა ეს უკანასკნელი [იგულისხმება საკანონმდებლო ორგანო - თ.ნ.] თავის კონსტიტუციურ ჩარჩოებში შეაკავოს. კანონთა განმარტება - აი, სწორედ ეს არის სასამართლო ხელისუფლების მოღვაწეობის სათანადო და განსაკუთრებული სფერო. კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი კანონია და სასამართლოები მას სწორედ ასე

---

<sup>1</sup> Gray v. Sanders, 372 U.S. 368 (1963), §379-380.

<sup>2</sup> იქვე, §381.

უნდა განმარტავდნენ. ისინი უნდა განსაზღვრავდნენ როგორც კონსტიტუციის, ისე ნებისმიერი კონკრეტული აქტის მნიშვნელობას, რომელიც კი საკანონმდებლოს შემოაქვს. თუ თავს მოურიგებელი წინააღმდეგობანი იჩენენ, რა თქმა უნდა, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უზენაეს ვალდებულებასა და კანონიერებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონსტიტუცია კანონზე უზენაესად უნდა მივიჩნიოთ, ხალხის ნება კი სახალხო წარმომადგენელთა ნებაზე მაღლა უნდა დავაყენოთ“.<sup>1</sup> ზოგადად ხაზგასასმელია, რომ „როცა სტატუტებში გამოხატული ხალხის წარმომადგენელთა ნება, კონსტიტუციაში გამოხატულ ხალხის ნებას ეწინააღმდეგება, მაშინ მოსამართლეები ვალდებული არიან ამ უკანასკნელით იხელმძღვანელონ. თავიანთი გადაწყვეტილებების მიღებისას ისინი ძირითად კანონებს უნდა ითვალისწინებდნენ და არა იმ აქტებს, რომელთაც ძირითადობის არაფერი სცხიათ“.<sup>2</sup>

კონსტიტუციის პრეამბულაში გაცხადებული - „ჩვენ“ - საფუძველია ყოველგვარი თანასწორობისა, მათ შორის, გენდერულის. ამ ჩანაწერით მიიჩნევა რომ ორივე სქესის წარმომადგენელი იღებენ მონაწილეობას სახელმწიფოს ძირითადი კანონის მისაღებად, ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე. სწორედ პრეამბულიდან მომდინარეობს გენდერული თანასწორობის<sup>3</sup> და სქესის ნიშნით განურჩევლობის პირველადი საკონსტიტუციოსამართლებრივი პოსტულატი. უკანასკნელ დროს შეინიშნება გენდერულ თანასწორობაზე აქტიური პოლემიკა სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში. ზოგიერთმა ქვეყანამ კი, გენდერულ თანასწორობას ადგილი კონსტიტუციის პრეამბულაშიც კი დაუთმო. კერძოდ, ბელიზის 1981 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში და-

---

<sup>1</sup> ჰამილტონი ა., ფედერალისტური წერილები, ფედერალისტი №78, <<http://federalistpapers.ge/federali78.php>> [28.02.2022].

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> თავის მხრივ, გენდერული თანასწორობის დაცვის საფუძველს, ასევე, ქმნის დემოკრატიის პრინციპის გაცხადება კონსტიტუციის პრეამბულაში.

ფიქსირებულია - „სახელმწიფო პოლიტიკა მოითხოვს... უზრუნველყოფილ იქნეს გენდერული თანასწორობა...“<sup>1</sup>; ჰაიტის 1987 წლის კონსტიტუციის პრეამბულა მიუთითებს, რომ სახელისუფლებო რეჟიმი ემყარება... გენდერულ თანასწორობას. ქალთა წარმომადგენლობა, მათი შესაძლებლობა, ძალა და გადაწყვეტილებაუნარიანობა უნდა შეესაბამებოდეს სქესისა და გენდერულ თანასწორობას;<sup>2</sup> ზამბიის 1991 წლის კონსტიტუციის პრეამბულით აღიარებულია მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი ღირებულებები;<sup>3</sup> ერაყის 2005 წლის კონსტიტუციის პრეამბულით ხაზგასმია ქალებისა და მათი უფლებებისათვის ყურადღების გამახვილებაზე;<sup>4</sup> ტუნისის 2014 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში მითითებაა - „ტუნისელ ქალებსა და მამაკაცებზე“<sup>5</sup>; დომინიკელთა რესპუბლიკის 2010 წლის კონსტიტუციის პრეამბულა მიუთითებს „ჩვენი [იგულისხმება დომინიკელების - თ.ნ.] მამაკაცებისა და ქალების თავდაუზოგავი შრომა...“<sup>6</sup>.

გენდერულ თანასწორობაზე ხაზგასმასთან დაკავშირებით მეცნიერები აღნიშნავენ, რომ პრეამბულა, სადაც სპეციალურად ხაზგასმია და აღიარებულია ქალთა ადგილი კონსტიტუციაში, უზრუნველყოფს ინტერპრეტაციის საკონსტიტუციო თანასწორობის ფარგლებში განხორციელებას და ამ მიმართულებით, სამომავლო პოლიტიკის წარმართვას<sup>7</sup>. ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებასა და ზემოთ მითითებულ რეგულაციებს ხაზგასმული რელიეფურობით ვერ გავიზიარებთ, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ სახალხო სუვერენიტეტის გამომხატველი ფრაზა - „ჩვენ, ხალხი“/„ჩვენ, მოქალაქენი“ - მოიცავს ორივე სქესის წარმომადგენლებს და, მათ შორის, არალეგიტიმურ დიფერენცირებას გამორიცხავს, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები,

---

<sup>1</sup> Constitution Assessment for Women’s Equality, Edited by D. Khakurel, Internation Institute for Democracy and Electoral Assistance, Stockholm, 2016, 36.

<sup>2</sup> იქვე, 35.

<sup>3</sup> იქვე, 33.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

მაგალითად, სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო, უზრუნველყოფენ იურიდიული ჰერმენევტიკის თანასწორობის ფუძემდებლური ნორმა-პრინციპის ფარგლებში განხორციელებას. მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო ტექნიკა და სტილისტიკა აძლევს კანონმდებელს შესაძლებლობას, კონსტიტუციის პრეამბულაში ასახოს ქვეყნის სპეციფიკისა და საჭიროებიდან გამომდინარე, რეალობის ის ნორმატიული ტექსტურა, რომელიც უნარიანია უნივერსალურობის კრიტერიუმში დააკმაყოფილებას შეეცადოს.

სიტყვებში - „ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ...“ - იგულისხმება საქართველოს მოქალაქეების, კონსტიტუციის შემოქმედის და კონსტიტუციითვე განსაზღვრული უმაღლესი ღირებულების, კონსტიტუციის მიზნის ნება, რომ სახელმწიფომ და სახელმწიფო პოლიტიკის წარმმართველმა სახელისუფლებო ძალამ ევოლუციის სამართლებრივ-პოლიტიკური გზა სწორედ იმ პრინციპებით ბოჭვის პირობებში გაიაროს, რომელსაც თავად უდგენს სახელმწიფოს. ურყევობაში გამოსჭვავის ხალხის იმპერატიული, უკომპრომისო მოთხოვნა, რომელიც ხელისუფლებას მიემართება და მის აპრიორულ ვალდებულებებზე მიუთითებს. სიტყვა - „დავამკვიდროთ“ - მინიშნებს დღევანდელ რეალობაში დასაწყებ პროცესზე, რომელიც მომავლისკენაა მიმართული და უწყვეტობა (პროცესი) ახასიათებს, ვინაიდან მართლწესრიგს არსებულის მონესრიგებასთან ერთად „ევალება მიმართული იყოს მომავლისაკენ, ანუ უსწრებდეს დღევანდელობას, მაგრამ არ უგულებელყოფდეს მის მოთხოვნებს“<sup>1</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებმა ქვეყნის<sup>2</sup> წინაშე გამოაცხადეს<sup>3</sup> სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რაც ორნახნაგოვანი ინტენციის მატარებელია - ერთი,

---

<sup>1</sup> ნემსწვერიძე თ., ღირებულებებით დეტერმინირებული სამართალი, კრებულში: თედო ნინიძე 65, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, 216.

<sup>2</sup> კონსტიტუციის პრეამბულაში გაცხადებული ღმერთის წინაშე კონსტიტუციის გამოცხადებასთან დაკავშირებით იხ. ნემსწვერიძე თ., საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება, ცაგერი-თბილისი, 2017, 202 და შემდგომი.

<sup>3</sup> მართალია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში ტერმინი „ვიღებთ“ არ გვხვდება, მაგრამ კონსტიტუციის პრეამბულის სისტემური და ტელეოლოგიური 262

ქვეყანაში იგულისხმება მთელი მსოფლიო, - ამ აქტით „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი“ დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროს ვუცხადებთ, რომ ჩვენ სრულფასოვანი სახელმწიფო გვაქვს, რადგან მივიღეთ ქვეყნის ძირითადი კანონი, ხოლო მეორე - აქ იგულისხმება სახელმწიფოს შიგნით არსებული საზოგადოება, რომელთაც სახალხო სუვერენიტეტის მატარებელი ამცნობს კონსტიტუციის მიღებას. მსგავსი ფორმულირება პრეამბულაში საკმაოდ გავრცელებულია, რასაც ადასტურებს საკონსტიტუციო კომპარატივისტიკა. მაგალითად, მკვლევარი ბრესლინი აღნიშნავს, რომ ბევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნის კონსტიტუციის პრეამბულა არა მხოლოდ მიმართულია საზოგადოებისადმი, არამედ მისი განაცხადი დეტერმინებულია სუვერენული საზოგადოებისადმი მიმართვის ფართო საერთაშორისო მიზნით<sup>1</sup>.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის საწყისი და ბოლო ფრაზები მსგავსია კონცეფციის - „ჩვენ, ხალხი... ვიღებთ და ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“. ეს ფორმულა ერთგვარად აერთიანებს პრეამბულის შინაარსს - ის ხსნის და ხურავს ძირითადი კანონის შესავალს. ფაქტობრივად, ძირითადი კანონის პრინციპები ამ ფორმულის შიგნით ექცევა, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. კონსტიტუციის ხალხის მიერ მიღება პრეამბულისა და ძირითადი კანონის მთელ შინაარსზე, განსაკუთრებით პრაქტიკაში მის გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენს<sup>2</sup>. კონსტიტუციის პრეამბულაში ხალხის მიერ კონსტიტუციის მიღებაზე ხაზგასმა წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის

---

განმარტების შედეგად კონსტიტუციის „მიღება“ საქართველოს მოქალაქეებს მიენერებათ და პრეამბულის ნორმატიულ ტექსტურაში იგულისხმება.

<sup>1</sup> Ginsburg T., Foti N., Rockmore D., “WE THE PEOPLE”: the Global Origins of Constitutional Preambles, *The George Washington International Law Review*, volume 46, issue 2, 2014, 122.

<sup>2</sup> Артемьева Р. В., Преамбула Конституции Российской Федерации: нормативное содержание и проблемы реализации, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2007, 12.



აღორძინებისა და მისი დემოკრატიული საფუძვლების ხელშეუხებლობის დამტკიცებას<sup>1</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ძალის მთავარ ფუნქციურ ღიზანს მისივე შინაარსის განმსაზღვრელი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები ქმნიან, რომელთა შორის, სახალხო სუვერენიტეტის გამომხატველ კლაუზულას ერთ-ერთი ფუნდამენტური ადგილი უჭირავს. არახალაია, რომ სამართლებრივი პრინციპების ცნების ქვეშ იგულისხმება პირველადი, საბაზისო მარეგულირებელი მოთხოვნები, იმპერატივები, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობების მაღალი ხარისხის და ეფექტურ სამართლებრივი მოწესრიგების გზას გვთავაზობს<sup>2</sup>. მაგალითად, პროფესორი რადბრუხი მართებულად შენიშნავდა, რომ სამართალში არსებობს „სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც უფრო აღმატებული არიან, ვიდრე რომელიმე სამართლებრივი დებულება ან კანონი, და რომლებთან წინააღმდეგობაც ამ უკანასკნელთ ძალას უკარგავს“<sup>3</sup>. შესაბამისად, პრეამბულა განსაზღვრავს და ადგენს საქართველოს კონსტიტუციის ღირებულებით წესრიგს და ქმნის ძლიერ პლაცდარმს ადამიანის, როგორც მთავარი ღირებულების

---

<sup>1</sup> Авакьян С. А., Конституция России: природа, эволюция, современность, Москва, 2000, <<https://constitution.garant.ru/science-work/modern/177665-1/chapter/89300effb84a59912210b23abe10a68f/>> [24.03.2022].

<sup>2</sup> Баранов В. М., Карташов В. Н., Юридические принципы технологии правовой кодификации, Кодификация законодательства: теория, практика, техника, Материалы Международной научно-практической конференции (Нижегород, 25-26 сентября 2008 года), Под редакцией В.М. Баранова и Д. Г. Краснова, Нижегород, 2009, 64.

<sup>3</sup> რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, ს. გამყრელიძის თარგმანი, ურნალი „აღმანახი“, №12, 1999, 114. აქედან გამომდინარე, რიგ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ, თუ კონკრეტული ნორმა ან კანონის დებულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციაში რეგლამენტირებულ პრინციპებს, ღირებულებებსა და უფლებებს ის არაკონსტიტუციურია და წინააღმდეგობაშია პრეამბულასთან, მაშასადამე, კონსტიტუციასთან, ვინაიდან პრეამბულაში ინტეგრირებულია კონსტიტუციის ტექსტის კონცეპტუალური შინაარსი. იხ. Calzado Reyes M., Los Preámbulos Constitucionales entre los Valores: Normativo, Hermenéutico y político, 22 de Abril 2013, <<http://www.elnuevodiario.com.do/app/article.aspx?id=327813>> [06.01.2017].

დასაცავად. მის გარეშე წარმოუდგენელია განვსაზღვროთ კონსტიტუციურ ღირებულებათა ნორმატიული წესრიგი და მისი მნიშვნელობა.

სახალხო სუვერენიტეტის დამდგენი პრეამბულისეული კლაუზულიდან მომდინარე იმპერატივები ხელისუფლების სამივე შტოს მიემართება და იგი საკონსტიტუციოსამართლებრივ ფუნდამენტურ პრინციპთაგან ერთ-ერთია, რომელიც მთელი რელიეფურობით ადგენს/ბოჭავს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედების თავისუფლების მასშტაბს. ქართულ რეალობაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც კონფლიქტია<sup>1</sup> კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებს, მათ შორის, სახალხო სუვერენიტეტის პრინციპსა, და კონსტიტუციის ტექსტში შეტანილ ცვლილებებს შორის<sup>2</sup>. ქვეყნის ძირითად კანონში, რომ მსგავს „უხერხულობებს“ ადგილი არ ჰქონდეს, აუცილებელია მისგან დაცვის ბერკეტი არსებობდეს. ამ შემთხვევაში კი, თავად პრეამბულის რესურსი გვაძლევს ამის შესაძლებლობას. იმდენად, რამდენადაც ძირითად კანონში პრეამბულას შემოაქვს კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც უნარიანნი არიან წამოგვიდგინონ კონსტიტუციის „ნამდვილი სახე“ და, ამავე დროს, შესწევთ ძალა იქცნენ კონსტიტუციის დამცველ ბასტიონად, კანონმდებელს აკისრია ვალდებულება კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედოს და, ამ შემთხვევაში, პრეამბულის სახით არსებული შესაძლებლობა კონსტიტუციის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ჩანს, რომ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, გააჩნია კონსტიტუციური ლოგიკისა და მის შესაბამისად აზროვნების პროცესში, კომპასის ფუნქციის შესრულების უნარი. იმისათვის, რომ საკანონმდებლო პროცესი, დაფუძნებული, მათ შორის, სახალხო სუვერენიტეტის კონსტიტუციურ პრინციპზე, ძირითადი კანონის ლოგიკის შესაბამისად წარიმართოს, კანონმდებელი ყოველ ჯერზე,

---

<sup>1</sup> წარსულში განხორციელებული ზოგიერთი საკონსტიტუციო ცვლილების შინაარსიდან გამომდინარე, „კონფლიქტი“ კონსტიტუციასთან შეიძლება კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების უგულებელყოფადაც კი დაკვალიფიცირდეს.

<sup>2</sup> დაწვრილებით იხ. ნემსწვერიძე თ., საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება, ცავერი-თბილისი, 2017, 266 და შემდგომში.

ახალი საკონსტიტუციო ცვლილების (და არა მხოლოდ) განხორციელებისას, პრეამბულის აქტიური „მომხმარებელი“ უნდა იყოს, რათა კონსტიტუციის „ტექსტუალურ ქსოვილში“<sup>1</sup> შეტანილი ცვლილებები თანხვედრაში მოდიოდეს თავად კონსტიტუციის სულისკვეთებასთან<sup>2</sup> და არ იყოს გაუცხოებული ქვეყნის ძირითადი კანონისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ლოგიკისაგან.

## შეჯამება

წერილში განვიხილეთ კონცეფციის - „ჩვენ, ხალხის...“/„ჩვენ, მოქალაქენის...“ - დანიშნულება და მისგან მომდინარე მოთხოვნები, რომლებიც ნებისმიერი დროის პოლიტიკურ ხელისუფალს და ხელისუფლების შტოებს მიემართება და ავალდებულებას. ის, რომ კონსტიტუციის პრეამბულები იწყება სიტყვებით „ჩვენ, ხალხი“/„ჩვენ, მოქალაქენი“ არ არის მხოლოდ სიმბოლური აქტი, ამით ხაზი გაესვა ადამიანის, ხალხის, სახალხო სუვერენიტეტის მატარებლის პრიმატს სამართლებრივ ფასეულობათა იერარქიულ სისტემაში. კონცეფცია დეტერმინებულია არა მხოლოდ პოლიტიკური ფუნქციით, რომელიც გამოიხატება პოლიტიკური საზოგადოების იდენტიფიცირებაში, არამედ სამართლებრივითაც, რომელიც ბოჭყაუნარიანობას სძენს კლაუზულის ძირითად პოსტულატებს. მაშინ, როდესაც პრინციპი-კლაუზულა ნორმატიულობის უმაღლეს ხარისხშია გამოხატული (კონსტიტუციის დონეზე) ის შესაძლოა იყოს ორგვარი - პოლიტიკური და სამართლებრივი ბუნების მატარებელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მატარებელი ბუნების რომელიმე სახე მეორეს თრგუნავს.

---

<sup>1</sup> ფრაზა - „ტექსტუალური ქსოვილი“ - გამოყენებულია პროფესორ თედო ნინიძის სტატიიდან, სადაც ავტორი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის „ტექსტუალურ ქსოვილში“ პირველი მუხლის სტრუქტურასა და ფუნქციებს იკვლევს. იხ. ნინიძე თ., სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, წიგნში: აკაკი ლაბარტყავა 80, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 151.

<sup>2</sup> ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები კი კონსტიტუციასა და მის მიერ დადგენილ ღირებულებით წესრიგთან.

ქართველი კანონმდებლის არჩევანი კონცეფციაში გამოყენებინა ტერმინი - „მოქალაქე“, მისასალმებელია და დადებითად უნდა შეფასდეს, გამოხატვის სხვა ფორმებთან შედარებით, ვინაიდან, კონცეპტუალურად, ყოველ ქვეყანაში სახალხო სუვერენიტეტის მატარებლის ცნება, როგორც წესი, მოქალაქემდე დაიყვანება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სწორედ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის სიუჟეტურ ქარგაში გაცხადებული სახალხო სუვერენიტეტის კონცეფციაა პირველადი საკონსტიტუციოსამართლებრივი საფუძველი თანასწორობის (მათ შორის, გენდერული თანასწორობის), ადამიანის, როგორც მთავარი კონსტიტუციური ღირებულების პრიმატის კონსტიტუციის აქსიოლოგიურ სისტემაში, სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და მისი დემოკრატიული საფუძვლების ხელშეუხებლობის განმტკიცების და ა.შ..

ზოგადად კი უნდა აღვნიშნოთ, რომ „ხალხი ყველგან ახერხებს თვითორგანიზებას, საერთო ამოცანების დასახვას და მათ მისაღწევად ფასეულობათა ერთობლივი წესრიგის ფორმირებას“<sup>1</sup>, რისი ნათელი მაგალითაცაა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა, ძირითადი პრინციპები და, თავად, კონსტიტუციაც, რომლითაც „ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა...“ განვსაზღვრეთ სამომავლო განვითარების პერსპექტივების ნორმატიული ტექსტურა.

---

<sup>1</sup> ბრეგვაძე ლ., აუტოპოიეტური სამართლებრივი კულტურის თეორია: სამართლის ტრანსფერები და სამართლებრივი თვითრეგულირება გლობალურ საზოგადოებაში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 73.

**ოფცია და გამოსყიდვა როგორც საკუთრების უფლების  
წარმოშობის საფუძველი და მათი გამიჯვნა მომიჯნავე  
სამართლებრივი ინსტიტუტებისგან**

**დავით აბესაძე\***

**შესავალი**

ოფცია არცთუ ახალი, თუმცა თანამედროვეობაში აქტუალური და კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სშირად გამოყენებადი სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც მის მონაწილეებს (მხარეებს) აძლევს შესაძლებლობას, შეთანხმდნენ ურთიერთშორის სამომავლოდ გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებზე იმგვარად, რომ ერთ-ერთ მხარეს ენიჭება უფლება, ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე მიაღწიოს აღნიშნული პირობებით მეორე მხარესთან ხელშეკრულების დადება. პრაქტიკაში ოფციის საგანი უმეტესწილად ქონებაზე საკუთრების გადაცემის ხელშეკრულების დადებაა, რასთან დაკავშირებითაც ერთმანეთისაგან განასხვავებენ ოფციის ორ სახეს: შეძენის ოფციასა (call option) და გასხვისების ოფციას (put option).

დასახელებული საკითხების გასაანალიზებლად, წინამდებარე სტატიის პირველ თავში წარმოდგენილია კვლევა ოფციის იურიდიული ბუ-

---

\* LL.M. (Bucerius), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი (ასისტენტი), იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის (ისსი) უფროსი მკვლევარი.

სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის თავად ავტორს და არ უნდა იქნეს აღქმული როგორც პოზიცია ნებისმიერი ორგანიზაციისა ან მასში დასაქმებული პირებისა, რომელთანაც/რომლებთანაც ავტორს შრომითი ან სხვა საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. სტატიის ავტორს სურს, აგრეთვე, მადლობა გადაუხადოს სამართლის დოქტორს, ქალბატონ თამარ ჩიტოშვილს, სტატიის მომზადების პროცესში მონაწილეებული შენიშვნებისა და რჩევებისათვის.

ნების შესახებ, რასთან კავშირშიც განხილულია ხელშეკრულების ფორმირებასთან დაკავშირებული ქართული კანონმდებლობის ნორმები, უპირატესად კი ოფერტისა და აქცეპტის მარეგულირებელი დებულებები. კერძოდ, როგორც ქვემოთ იქნება უფრო დაწვრილებით წარმოჩენილი, ვალდებული პირი (შემთავაზებელი) ოფციით აკეთებს ოფერტს და გამოთქვამს მზადყოფნას გარკვეული ვადით ოფერტით თვითბოჭვის თაობაზე, ხოლო უფლებამოსილ პირს (ოფციის მფლობელს) ეძლევა უფლება მიაღწიოს ხელშეკრულების დადებას აღნიშნული ოფერტის აქცეპტირებით.

სტატიის მეორე თავი დაეთმობა გამოსყიდვაზე მსჯელობას და იმ მოსაზრებების განხილვას, რომლებიც გამოსყიდვას აკავშირებს ოფციასთან ან განიხილავს მას ოფციისგან დამოუკიდებელ სამართლებრივ წარმონაქმნად. ამასთან, სტატიაში დასაბუთებული პოზიცია მხარს უჭერს გამოსყიდვის მიჩნევას ოფციის ერთ-ერთ სახედ.

სტატიის მესამე თავში გაანალიზებული იქნება, თუ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ვალდებული პირის მიერ ოფციის ან გამოსყიდვის პირობის დარღვევას, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ოფერტის უკან გახმობით ან მესამე პირთან ოფციის (გამოსყიდვის) საწინააღმდეგო შინაარსის ხელშეკრულების დადებით. ამ თვალსაზრისით, ცალ-ცალკე იქნება განხილული ვალდებული პირის მიერ მესამე პირთან დადებული ქონების განკარგვის გარიგებები, ერთი მხრივ, ოფციის (ზოგადად), და, მეორე მხრივ, გამოსყიდვის (კონკრეტულად) ხელშეკრულებების კონტექსტში.

სტატიის მეოთხე თავი ეთმობა ოფციის შედარებას მომიჯნავე სამართლებრივ ინსტიტუტებთან, როგორცაა წინარე ხელშეკრულება, პირობითი გარიგებანი და უპირატესი შესყიდვის უფლება. იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს ამ ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნებისა და ოფციასთან მათი ურთიერთკავშირის შესახებ, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია სტატიის ავტორის მსჯელობა და მოსაზრებები.

სტატიის ბოლოს, მეხუთე თავში, ყურადღება გამახვილებულია ოფციის როლზე ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე და მის იმ მახასიათებლებზე, რომლებიც შესაძლებელს ხდის ოფციის სტრუქტურირებას ფასიან ქალაქად ან დერივატივად (წარმოებულ ინსტრუმენტად). ამ

კუთხით მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს, თუ რა შემთხვევებში შეიძლება მოექცეს ოფციური უფლება ფინანსური ინსტრუმენტების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოქმედების ფარგლებში და რა გავლენას მოახდენს აღნიშნული თავად ოფციის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებზე.

საკვლევი საკითხების უკეთ წარმოსაჩენად, წინამდებარე სტატია უპირატესად ემყარება სისტემური ანალიზის მეთოდს, რომლის საფუძველზეც ოფციაც და გამოსყიდვაც განხილულია სამოქალაქო სამართლის სხვა მნიშვნელოვან ინსტიტუტებთან და კონცეფციებთან ურთიერთკავშირში (ოფერტი, აქცეპტი, წინარე ხელშეკრულება, პირობითი გარიგებანი და სხვ.). გარდა ამისა, სტატიაში გამოყენებულია შედარებითი კვლევის მეთოდი, რაც შესაძლებლობას იძლევა განსახილველი საკითხები გაშუქდეს კონტინენტური (განსაკუთრებით, გერმანული) და საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში დანერგილი მდგომარეობის მხედველობაში მიღებით.

## **I. ოფციის სამართლებრივი არსი**

### **1. ოფციის ხელშეკრულება (ცნება, შინაარსი და ფორმა)**

ქართული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ოფციის ზოგად ცნებას. მიუხედავად ამისა, კერძო სამართლის სუბიექტები არცთუ იშვიათად იყენებენ ოფციის ინსტრუმენტს თავიანთი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ოფცია წარმოადგენს სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლებას, რომელიც მხარეს ანიჭებს ცალმხრივი განცხადების საფუძველზე განსაზღვრული შინაარსის მქონე სახელშეკრულებო ურთიერთობის დადგენის შესაძლებლობას.<sup>1</sup> ამასთან, სპეციალურად ნასყიდობის სამართლის მიზნებისათვის, ოფციის სამართლებრივ შინაარსს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სკ) 515-ე მუხლი, რომლის პირველი წინადადების თანახმად, „მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მყიდველს ცალმხრივად აქვს უფლება, ესა თუ ის საგანი შეიძინოს განსაზღვრულ დრომდე ან

---

<sup>1</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 32.

განსაზღვრულ მოვლენამდე (შესყიდვის ოფცია), ანდა, იმავე პირობებში, გამყიდველს უფლება აქვს საგანი მყიდველს მიჰყიდოს (გაყიდვის ოფცია)“.

ოფციის უფლება წარმოიშობა მხარეთა შეთანხმების (შემდგომში აგრეთვე - „ოფციის ხელშეკრულება“ ან „ოფცია“) საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს სამომავლო ხელშეკრულების არსებით პირობებს, აგრეთვე, აწესრიგებს ოფციის განხორციელების პროცედურასა და ვადას. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, რომელიც ყველაზე უფრო დასაბუთებულად გვესახება, ოფციის ხელშეკრულებით შემთავაზებელი აკეთებს ოფერტს ხელშემკვრელი მხარის მისამართით სამომავლოდ ხელშეკრულების დადების თაობაზე და ამავდროულად გამოთქვამს მზადყოფნას დარჩეს თვითბოჭვის ფარგლებში განსაზღვრული ვადით ან განსაზღვრული მოვლენის დადგომამდე, ოფერტის პირობების შესაბამისად, ვიდრე მეორე მხარე განახორციელებს აქცეპტს.<sup>1</sup> მაშასადამე, ოფციის მელობელს აქვს უფლება (და არა - ვალდებულება), წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად, ცალმხრივად დაადგინოს სახელშეკრულებო ურთიერთობა ხელშემკვრელ მხარესთან, რისთვისაც აღარ არის საჭირო კონტრაქტისგან ხელახალი თანხმობის მოპოვება.

ოფციის ხელშეკრულება, თავისი არსით, დამოუკიდებელი შეთანხმებაა, რომელიც შეიძლება ჩართული იქნეს მხარეთა შორის დადებულ სხვა რომელიმე ხელშეკრულებაში შესაბამისი დათქმის სახით (მაგ., საიჯარო ქონების შესყიდვის უფლება იჯარის ხელშეკრულებაში, გამოს-

---

<sup>1</sup> Hutchison D., Remedies for Breach of an Option, South African Law Journal, Vol. 105, Issue 3, 1988, 547-552, 548; Litvinoff S., Consent Revisited - Offer Acceptance Option Right of First Refusal and Contracts of Adhesion in the Revision of the Louisiana Law of Obligations, Louisiana Law Review, Vol. 47, Issue 4, 1986, 699-760, 745; Steiner v. Thexton, No. S164928, slip op., გვ. 9 (კალიფორნიის შტატის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება); Erich v. Granoff, 109 Cal.App.3d 920, გვ. 928 (კალიფორნიის შტატის სააპელაციო სასამართლოს 1980 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება); იხ. აგრეთვე, ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, 515-ე მუხლი, <<https://bit.ly/3CTfSfl>> [19.03.2022].



ყიდვის უფლება ნასყიდობის ხელშეკრულებაში) ან არსებობდეს როგორც ცალკე მდგომი სახელშეკრულებო ინსტრუმენტი (მაგ., ოფციის ხელშეკრულება, რომელიც უფლებამოსილ პირს ანიჭებს უფლებას, შეისყიდოს გარკვეული აქტივი წინასწარ განსაზღვრულ ფასად და პირობებით<sup>1</sup>).<sup>2</sup> აქ შეიძლება დაისვას კითხვაც, თუ რა მოტივი უნდა ამოძრავებდეთ მხარეებს ცალკე ხელშეკრულების სახით ოფციაზე შეთანხმებისას? ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ ოფციის ხელშეკრულება ოფციის მფლობელს აძლევს ძირითადი ხელშეკრულების ფასის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის დაზღვევის შესაძლებლობას.<sup>3</sup> მხარეთა მიერ ოფციის ფარგლებში შეთანხმებული ფასი ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისათვის, როგორც წესი, განსხვავდება ოფციის განხორციელების მომენტში არსებული საბაზრო ფასისგან, რაც გარკვეულ რისკს შეიცავს შემთავაზებლისათვის. კერძოდ, მას წარმოეშობა ვალდებულება, ოფციის მფლობელის სასარგებლოდ საბაზრო ფასების ცვლილების შემთხვევაში წინასწარ შეთანხმებული ფასითა და პირობებით შევიდეს მეორე მხარესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, მაშინ როდესაც ოფციის მფლობელის საუარესოდ საბაზრო ფასების შეცვლისას ოფციის მფლობელს შეუძლია უბრალოდ უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე და არ გამოიყენოს ოფცია. სწორედ ამის გამო, რისკის განწვევის სანაცვლოდ, შემთავაზებელს ოფციის მფლობელი ჩვეულებრივ უხდის შესაბამის საზღაურს (პრემიას), რომელიც, თავისი არსით, ოფციური უფლების შესყიდვის საფასურს წარმოადგენს.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> ოფციის, როგორც დერივატიული ინსტრუმენტის, შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ, V-2.

<sup>2</sup> Cozzillio M.J., The Option Contract: Irrevocable Not Irrejectable, Catholic University Law Review, Vol. 39, Issue 2, 1990, 491-556, 503-504.

<sup>3</sup> ამ საკითხზე ვრცლად იხ. სვანაძე ვ. და სხვები, საბირჟო საქმე და ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თბილისი, 1998, 317-321; Hull J.C., Options, Futures and Other Derivatives, 5<sup>th</sup> edition, 2002, 11.

<sup>4</sup> Hull J.C., Options, Futures and Other Derivatives, 5<sup>th</sup> edition, 2002, 11; სწორედ ასეთ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს შემთავაზებლისათვის პრემიის გადახდას ოფციის სანაცვლოდ, ოფციის მიმართ გავრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები, სკ-ის 498-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით. როგორც ჩანს, სწორედ ამის თქმა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოფციის ხელშეკრულება შესაძლებელია იყოს როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანი. რაც შეეხება ოფციის საგანს, ზოგადი წესის თანახმად<sup>1</sup>, ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულების დადება (მაგ., მომსახურება, ქონების საკუთრებაში გადაცემა და სხვ.). თუმცა პრაქტიკაში ოფციას ყველაზე ხშირად ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებების (ძირითადად, ნასყიდობის) დასადებად იყენებენ.

მნიშვნელოვანია, ასევე, ყურადღება გავამახვილოთ ოფციის ხელშეკრულების ფორმაზე. მოქმედი კანონმდებლობა, ამ კუთხით, არ აღგენს რაიმე კონკრეტულ წესს ოფციის ფორმასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოქმედებს ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმადაც გარიგება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით (სკ-ის 69-ე მუხლის პირველი ნაწილი). მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, ხომ არ აწესებს კანონმდებლობა სპეციალურ ფორმას ძირითადი ხელშეკრულების დასადებად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ძირითადი ხელშეკრულების ფორმა გავრცელდება ოფციაზეც. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ოფცია, როგორც ზემოთ იქნა მითითებული, შეიცავს ძირითადი ხელშეკრულების ერთ-ერთ კომპონენტს, კერძოდ ოფერტს, რომელიც ამავედროულად უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით ხელშეკრულების ფორმისათვის დადგენილ მოთხოვნებს.<sup>2</sup> ხსენებულიდან გამომდინარე, ფორმის დაუცველად

---

სურდა კანონმდებელს სკ-ის 515-ე მუხლის მეორე წინადადებითაც, სადაც საუბარია, რომ „ოფციის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმები, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან“.

<sup>1</sup> აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისებიც. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ოფციის საგანი არ შეიძლება იყოს ქორწინება ან ღონაცია. იხ. Radulescu Tudor V., The Option Agreement in the New Romanian Civil Code, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, Issue 1, 2012, 260-267, 262-263. აღნიშნული მოსაზრების ვალიდურობა ქართულ სინამდვილეში ეფუძნება ქორწინებისა და ღონაციის ნებაყოფლობითობის კანონმდებლობით აღიარებულ პრინციპს.

<sup>2</sup> თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 111; იხ. Litvinoff S., Consent Revisited - Offer Acceptance Option Right of First Refusal and Contracts of Adhesion in the Revision of the Louisiana Law of

დადებული ოფციის ხელშეკრულება ვერ მიაღწევს თავის უმთავრეს მიზანს - ვერ დააფუძნებს ოფციის მფლობელის უფლებას, ცალმხრივი ნების გამოვლენის გზით მიაღწიოს შემთავაზებულთან ძირითადი ხელშეკრულების დადებას.

## 2. ოფციის განხორციელება (ძირითადი ხელშეკრულების დადება)

როგორც აღინიშნა, ოფციის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების რეალიზაციით, ოფციის მფლობელის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნების შედეგად, მხარეთა შორის წარმოიშობა ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ძირითადი ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი განცხადების საფუძველზე დგინდება, საბოლოო ჯამში, მაინც წარმოადგენს მხარეთა ურთიერთთანხმებულ ნების (ოფერტისა და აქცეპტის) ფორმირების პროდუქტს და, ამდენად, კერძო ავტონომიის პრინციპს ეფუძნება.<sup>1</sup>

---

Obligations, Louisiana Law Review, Vol. 47, Issue 4, 1986, 702; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-898-848-2015, 46-ე და მომდევნო პარაგრაფები; შდრ., ასევე, რუმინეთის სამოქალაქო კოდექსის 1287-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად ოფციის შეთანხმება უნდა დაიდოს და მისი აქცეპტი უნდა განხორციელდეს ძირითადი ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმით (მე-7 შენიშვნა, 262).

<sup>1</sup> ოფციის (კერძოდ, გამოსყიდვის უფლების) განხორციელებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა საერთო შეთანხმების პროდუქტად განხილვასთან დაკავშირებით დამატებით იხ. ჩიტოშვილი თ., გამოსყიდვა და ოფცია, როგორც უფლებით სარგებლობისა და საკუთრებაში გადაცემის საფუძველი, ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო კრებული, ლ. ჭანტურიასა და ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 369.

სამართლებრივად, ოფციის განხორციელებაში მოიაზრება ოფციის მფლობელის მიერ ოფციის ხელშეკრულების შესაბამისად შემთავაზებლის მიერ გაკეთებულ ოფერტზე აქცეპტის გაკეთება.<sup>1</sup> იმ დროის განმავლობაში, ვიდრე ოფციის მფლობელს აქვს უფლება ისარგებლოს ოფციით, მას როგორც დანტერესებულ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია ოფერტის აქცეპტირებით მიაღწიოს ახალი ხელშეკრულების დადებას.<sup>2</sup> აღნიშნული ცხადყოფს, რომ ოფციის ხელშეკრულების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, კვლევა და დახასიათება საჭიროებს ხელშეკრულების დადების მარეგულირებელი ნორმა-პრინციპების, განსაკუთრებით კი ოფერტისა და აქცეპტის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზს. აღნიშნულის გარეშე შეუძლებელი იქნება ძირითადი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ასპექტების კვლევა და ოფციის ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი უფლება-მოვალეობების სათანადოდ განსაზღვრა.

სკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმისათვის, რათა ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალოს, მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე უნდა შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ხელშეკრულების ფორმირების ეტაპზე, არსებით პირობებს უნდა შეიცავდეს თავად ოფერტი.<sup>3</sup> მაშასადამე, ოფერტი შინაარსობრივად იმდენად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ მისი აქცეპტირება შეიძლებოდეს ადრესატის თანხმობით.<sup>4</sup> წინადადება, რომელიც არ შეი-

---

<sup>1</sup> კუბლაშვილი ვ., საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი VS ოფციის რეგისტრირებისათვის გაცხადებული ნება, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2017, 147.

<sup>2</sup> Katz A. V., *The Option Element in Contracting*, Virginia Law Review, Vol. 90, Issue 8, 2004, 2187-2244, 2196-2198.

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 109.

<sup>4</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 117; კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიასა და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, 71.

ცავს ხელშეკრულების დასადგებად აუცილებელ ერთ-ერთ არსებით პირობას, ითვლება ოფერტზე მონვევად (invitatio ad offerendum) და არ გააჩნია მხოლოდ ძალა.<sup>1</sup>

ამდენად, აუცილებელია, რომ ოფციის ხელშეკრულებიდან ნათლად იკითხებოდეს იმ ოფერტის შინაარსი, რომლის აქცეპტირებითაც ოფციის მფლობელს ექნება შესაძლებლობა დაამყაროს ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობა ოფერენტთან.<sup>2</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, „ოფციის“ მფლობელის მიერ გამოვლენილ ნებას ხელშეკრულების დადების შესახებ ვერ ექნება აქცეპტის ძალა და, კონკრეტული გარემოების მიხედვით, ჩაითვლება მხოლოდ ხელშეკრულების დადების თაობაზე გაკეთებულ ახალ წინადადებად (ოფერტად) ან მონვევად ოფერტზე.

იმისათვის, რომ ძირითადი ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალოს, კრედიტორი ვალდებულია განახორციელოს ოფცია და, შესაბამისად, მოახდინოს ოფერტის აქცეპტირება საამისოდ ოფციის ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და დადგენილი ფორმით. ვადის დაუცველად გაკეთებული აქცეპტი არ წარმოშობს ნამდვილ ხელშეკრულებას და ჩაითვლება მხოლოდ ახალ ოფერტად, სკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით. აღსანიშნავია, რომ თუკი ოფციის ხელშეკრულება არ აკონკრეტებს ოფციით სარგებლობის ვადას, იმოქმედებს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგადი წესები ხელშეკრულების დადებისა და აქცეპტის განხორციელების შესახებ.<sup>3</sup> თუმცა, პრაქტიკულად წარმოუდგენელია ოფციის ხელშეკრულება ზემოაღნიშნული დეტალების და-

---

<sup>1</sup> მაისურაძე დ., დარჯანია თ., პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2017, 48.

<sup>2</sup> იხ. ჩიტოშვილი თ., გამოსყიდვა და ოფცია, როგორც უფლებით სარგებლობისა და საკუთრებაში გადაცემის საფუძველი, ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო კრებული, ლ. ჭანტურიასა და ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 383.

<sup>3</sup> იხ. სკ-ის 330-ე მუხლი: „1. თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. 2. არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს“.

კონკრეტების გარეშე. მეტიც, სკ-ის 515-ე მუხლის თანახმად, თუკი ოფიცია უკავშირდება ნასყიდობას, ოფციის ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ ვადას ან მოვლენას, რომლის დადგომამდეც შესაძლებელია ოფციის გამოყენება (აქცეპტის განხორციელება).

რაც შეეხება აქცეპტის განხორციელების ფორმას, სკ-ის 330-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, აქცეპტის ნამდვილობისათვის საჭიროა ოფერენტთან მისი მისვლა, რაც შეიძლება გამოიხატოს წერილობით, ზეპირად ან კონკლუდენტური მოქმედებით.<sup>1</sup> თუმცა, ლოგიკურია, რომ ოფერენტს ჰქონდეს უფლება გადაუხვიოს კანონმდებლობის დისპოზიციური ნორმებიდან და თავად განსაზღვროს წინდანიწვე, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს მეორე მხარის მიერ აქცეპტი.<sup>2</sup> მაგალითად, შესყიდვის ან გაყიდვის ოფციის ხელშეკრულება შეიძლება განსაზღვრავდეს, რომ ოფციის მფლობელს უფლება აქვს, შესაბამისი პირობის დადგომისას, განახორციელოს ოფცია გარკვეული მოქმედების შესრულებით, რაც არ გულისხმობს სავალდებულო შეტყობინებას ოფერენტის მისამართით.<sup>3</sup> ერთადერთი, რამაც შეიძლება შეზღუდოს მხარეთა კერძო ავტონომია ამ ასპექტში, კანონმდებლობით

---

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 122; გამონაკლისი შემთხვევების შესახებ, როდესაც კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს დემილს როგორც აქცეპტის ფორმას ან ადგენს აქცეპტის არსებობის ფიქციას, იხ. სკ-ის 334-ე-335-ე მუხლები.

<sup>2</sup> მე-12 შენიშვნასაქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 124. მაისურაძე დ., დარჯანია თ., პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2017, 56.

<sup>3</sup> საგულისხმოა, რომ ქართული კანონმდებლობა სიტყვასიტყვით არ ადგენს აქცეპტის გაკეთების შესაძლებლობას ოფერენტისათვის შეუტყობინებლად, თუმცა არც კრძალავს მას. შედარებისათვის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ, 151-ე პარაგრაფი, პირდაპირ ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ოფერტზე აქცეპტის გაკეთებით, ისე, რომ აუცილებელი არ არის, ოფერენტს შეატყობინონ აქცეპტის შესახებ, თუ ასეთი განცხადება არ არის მოსალოდნელი სამოქალაქო ბრუნვის პრაქტიკიდან გამომდინარე ან ოფერენტმა უარი თქვა მასზე. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი,

გათვალისწინებული იმპერატიული ნორმებია ცალკეული ხელშეკრულების სავალდებულო ფორმასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუკი ოფციის საგანი უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემის ხელშეკრულების დადება, შეიძლება განვითარდეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აქცეპტივ უნდა აკმაყოფილებდეს სკ-ის 323-ე მუხლით<sup>1</sup> დადგენილ ფორმალურ მოთხოვნას.<sup>2</sup>

---

8. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძისა და თ. დარჯანიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 37.

<sup>1</sup> „ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას“.

<sup>2</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 331-ე მუხლი, 122; იხ. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 111; Litvinoff S., Consent Revisited - Offer Acceptance Option Right of First Refusal and Contracts of Adhesion in the Revision of the Louisiana Law of Obligations, Louisiana Law Review, Vol. 47, Issue 4, 1986, 724; Radulescu Tudor V., The Option Agreement in the New Romanian Civil Code, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, Issue 1, 2012, 262. თუმცა აღსანიშნავია, რომ სასამართლოები ყოველთვის არ იზიარებენ მსგავს ერთგვარ ფორმალისტურ მიდგომას და კანონის მიზნობრივი განმარტების საფუძველზე ძირითადი ხელშეკრულების დადგენილ მოთხოვნას შესრულებულად მიიჩნევენ, თუ ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს შეთანხმება ოფციის უფლების მინიჭების თაობაზე. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე ინგლისური სასამართლოს წინაშე დაისვა საკითხი, თუ როგორ უნდა განმარტებულიყო საკუთრების შესახებ 1989 წლის აქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების დასადებად საჭირო იყო მასზე თითოეული მხარის ხელმოწერა. მოსამართლე ჰოფმანის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ურთიერთობა წარმოიშობოდა არა უშუალოდ ოფციაზე შეთანხმებით, არამედ მოგვიანებით ოფციის ცალმხრივად განხორციელების მომენტში, რადგანაც კანონის მიზანი იყო მხარეთა საერთო ნების დაფიქსირება ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შემცველ დოკუმენტზე, აღნიშნული მიზანი მიიღწეოდა ოფციის შეთანხმებაზე მხარეთა მიერ ხელმოწერითაც და აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა იმავე ფორმალობის დაცვა ოფციის განხორციელების (აქცეპტის) ეტაპზე (იხ. Spiro v Glencrown Properties Ltd [1991] Ch 537).

აქედან გამომდინარე, ოფციის ხელშეკრულების მხარეებს თავად შეუძლიათ წინასწარ შეათანხმონ ის პირობები - კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების გათვალისწინებით - რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ოფციის მფლობელის მიერ განხორციელებული აქცეპტი. შეთანხმებული პირობების დაუცველად განხორციელებული ოფცია (აქცეპტი) არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და იურიდიული ძალის არმქონედ ჩაითვლება.

## II. გამოსყიდვის სამართლებრივი არსი

### 1. გამოსყიდვის უფლება როგორც ოფციის ერთ-ერთი სახე

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებით გაითვალისწინონ გამყიდველის უფლება გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ გასხვისებული ნივთის უკან გამოსყიდვის შესახებ. აღნიშნულს განამტკიცებს სკ-ის 509-ე მუხლი, რომლის თანახმადაც „თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე“.<sup>1</sup> თავისი არსით, გამოსყიდვის უფლება ოფციის სპეციალურ სახედ უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან მას გააჩნია ყველა ის ძირითადი ელემენტი, რომლებიც ოფციისათვისაა დამახასიათებელი: ერთ-ერთი მხარე (მყიდველი) შეთანხმების საფუძველზე აძლევს მეორე მხარეს (გამყიდველს) წინასწარ უფლებას, ცალმხრივი ნების გამოვლენის გზით უკან შეისყიდოს გაყიდული ნივთი, რაც აღარ საჭიროებს კონტრაქტისგან დამატებით თანხმობას.<sup>2</sup> გამოსყიდვის უფლების განხორციელებას

---

<sup>1</sup> გამოსყიდვის უფლების შესახებ დამატებით იხ. ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010, 75-77; ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 263-264.

<sup>2</sup> გამოსყიდვის უფლების როგორც ოფციური ტიპის უფლების შესახებ დამატებით იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 56-57; ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, 515-ე მუხლი, <<https://bit.ly/3CTfSFH>> [19.03.2022].



მედევად ipso iure მხარეთა შორის იდება ახალი ნასყიდობის ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, გამოთქმულია მოსაზრება გამოსყიდვის ხელშეკრულების როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე შეთანხმებად შესაძლო განხილვის თაობაზე.<sup>1</sup> მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მყიდველის ან გამყიდველის მიერ განსაზღვრული ვადის ფარგლებში ან/და პირობებით ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, რა დროსაც მხარეებს, ჩვეულებრივ, ეკისრებათ ვალდებულება ერთმანეთს დაუბრუნონ მიღებული შესრულება და სარგებელი, სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (კანონის ანალოგია).<sup>2</sup> ამ შემთხვევაში, ადგილი ექნება მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო გასვლის უფლებაზე, რაც, მართალია, პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, მაგრამ გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან და, ასევე, აღიარებულია სამართლებრივ დოქტრინაშიც.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ კრძალავს ზემოხსენებული შინაარსის შეთანხმების დადებას მხარეთა შორის, მაინც არ უნდა იქნეს გაზიარებული მოსაზრება გამოსყიდვის უფლების სახელშეკრულებო გასვლის უფლებასთან გაიგივების თაობაზე. კერძოდ, გამოსყიდვის ობიექტი ყოველთვის არის თავდაპირველი ნასყიდობის საგანი, ვინაიდან სწორედ გაყიდულ ნივთზეა მიდევნებული გამყიდველის (გამომსყიდველის) უფლება, მაშინ როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლისას გამყიდველს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში<sup>4</sup> შესაძლებელია არ დაუბრუნდეს გაყიდული ნივთი და მის ნაცვლად მიიღოს ფულადი ანაზღაურება. ხელშეკრულებიდან გასვლის

---

<sup>1</sup> ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, 509-ე მუხლი, <<https://bit.ly/3ubFrET>> [19.03.2022].

<sup>2</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 295.

<sup>3</sup> იქვე; იხ. ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 240-242; ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 113.

<sup>4</sup> სკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

დროს უქმდება არსებული ვალდებულებებისამართლებრივი ურთიერთობა და ხდება მისი ტრანსფორმირება შესრულებათა უკან დაბრუნების ურთიერთობად, რომელიც წესრიგდება სკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლებით, რაც არ მოიაზრებს მხარეთა შორის ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობას, როგორც ამას ადგილი აქვს გამოსყიდვისას. თავად ის ფაქტი, რომ გამოსყიდვის უფლების განხორციელების შემდეგ წარმოქმნილი ურთიერთობა მოქმედი კანონმდებლობით დარეგულირებულია სწორედ ნასყიდობის სამართალში, მიანიშნებს, რომ საუბარია უშუალოდ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმომდგარ ურთიერთობაზე და არა - ხელშეკრულებიდან გასვლით დაფუძნებულ უფლება-ვალდებულებებზე. გარდა ამისა, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ კანონმდებელმა ერთად, ნასყიდობის ერთსა და იმავე ქვეთავში, მოაქცია გამოსყიდვისა და ოფციის მომწესრიგებელი მუხლები, რაც მიუთითებს კანონმდებლის გაცნობიერებულ გადანყვეტილებაზე ამ ორი ინსტიტუტის ერთიან კონტექსტში განხილვის აუცილებლობის შესახებ.

ყოველივე ზემოთ თქმული, რა თქმა უნდა, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს სკ-ის 509-ე-514-ე მუხლებით რეგლამენტირებულ გამოსყიდვის ოფციასა და სკ-ის 515-ე მუხლით განსაზღვრულ „ჩვეულებრივ“ ოფციას შორის არ არსებობს არავითარი განსხვავება. მართალია, არსობრივად მათ საერთო შინაარსი გააჩნიათ, თუმცა აშკარაა ისიც, რომ კანონმდებელმა შეგნებულად ჩამოაყალიბა დამატებით სპეციალური დებულებები, რომლებიც მხოლოდ გამოსყიდვას შეეხება და განასხვავებს მას ფორმალურად გენერალური ოფციისაგან.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში, მთავარი განსხვავება მდგომარეობს გამოსყიდვის ფასის, გამოსყიდვის ვადისა და გაყიდული ნივთის განკარგვის მარეგულირებელ იმპერატიულ წესებში, რაც სპეციალურადაა დადგენილი სკ-ის

---

<sup>1</sup> ამ კუთხით, ოფციასა და გამოსყიდვას შორის არსებული სხვაობის შესახებ დამატებით იხ. ჩიტოშვილი თ., გამოსყიდვა და ოფცია, როგორც უფლებით სარგებლობისა და საკუთრებაში გადაცემის საფუძველი, ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო კრებული, ლ. ჭანტურიასა და ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 380-382.

511-ე, 513-ე და 514-ე მუხლებით და არ ვრცელდება სხვა ტიპის ოფციურ ურთიერთობებზე. კერძოდ, გამოსყიდვა უნდა განხორციელდეს თავდაპირველი ფასით, ამ უფლების გამოყენების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს და გამოსყიდვამდე მყიდველს (მესაკუთრეს) კანონის საფუძველზე ეზღუდება ნივთის გასხვისების უფლება. ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა მიერ სხვაგვარი შინაარსით დადებულ შეთანხმებას გამოსყიდვის თაობაზე იურიდიული ძალა არა აქვს და ბათილია.

### **III. ოფციის ხელშეკრულების დარღვევა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები**

#### **1. შემთავაზებლის მიერ ოფერტის გამოთხოვა**

მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს, თუ რა გავლენას ახდენს შემთავაზებლის უარი ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირის მიერ აქცეპტის განხორციელებამდე. კერძოდ, ყურადღება უნდა გამახვილდეს, შეუძლია თუ არა შემთავაზებელს, ოფციაზე შეთანხმების მიუხედავად, გამოიხმოს საკუთარი ოფერტი, ვიდრე ოფციის მფლობელი განახორციელებს ოფციას. ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოფციის ხელშეკრულების ფარგლებში გაკეთებული ოფერტი, ვიდრე ოფცია ძალაშია, არის გამოუთხოვადი და შემთავაზებელი ვერ დააბრკოლებს ოფციის მფლობელის მიერ აქცეპტის განხორციელების შემთხვევაში ძირითადი ხელშეკრულების დადებას.

ოფერტის გამოთხოვაზე მსჯელობისას, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ოფერტის გამოთხოვა ადრესატის მიერ მის მიღებამდე და მიღების შემდეგ. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ოფერტის ადრესატამდე მისვლამდე ოფერენტი არ არის შებოჭილი და ამ პერიოდში მას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს თავისი ოფერტი.<sup>1</sup> აღნიშნული დასკვნა ეფუძნება, ერთი მხრივ, სკ-ის 51-

---

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2002, 172; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 299-301; იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 282

ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერს („ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს“), ხოლო, მეორე მხრივ, თავად ცალმხრივი ნების გამოვლენის სამართლებრივ ბუნებას. კონკრეტულად, ვინაიდან ოფერტის როგორც მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობა დამოკიდებულია ადრესატთან მის მისვლაზე, ლოგიკურისაა, რომ ოფერენტს ჰქონდეს უფლება გამოერიცხოს თვითბოჭვა მეორე მხარის მიერ ოფერტის მიღებამდე, ახალი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის გზით.

ოფციის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ ოფციის ხელშეკრულების დადების მომენტშივე ოფერტი უკვე ითვლება მისულად მეორე მხარესთან (ოფციის მფლობელთან), რის გამოც ოფერენტი ფიზიკურად ვეღარ გამოითხოვს თავის ნებას იმ შესაძლო არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ოფერტი ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი. ამის სანაცვლოდ, ასეთ ვითარებაში შემთავაზებელს ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის მიზნით შეუძლია მხოლოდ დაეყრდნოს ძალაში შესული ოფერტის გამოხმობის მარეგულირებელ ზოგად წესებს.

სკ-ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს ნების გამოვლენის ნამდვილობისა და ხელშეკრულების დადების (ოფერტისა და აქცეპტის განხორციელების) საკითხებს, არ შეიცავს პირდაპირ პასუხს იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა ოფერენტს გამოიხმოს მიერ მიერ უკვე გაკეთებული და ძალაში შესული ოფერტი, ადრესატის მიერ მის აქცეპტირებამდე. ამ კუთხით, გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომელიც, ადრესატის დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გარკვეული პირობებით ბლუდავს ოფერტის გამოხმობის უფლებას.<sup>1</sup> მაგალითად, თუკი ოფერენტმა ოფერტის მოქმედებისათვის განსაზღვრა შესაბამისი ვადა, სკ-ის

---

III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 119; კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 248-249; მაისურაძე დ., დარჯანია თ., პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2017, 81-82.

<sup>1</sup> ოფერტის გამოთხოვასთან დაკავშირებით უფრო დანვრილებით იხილეთ შედარებით-სამართლებრივი კვლევა: ბაღიშვილი ე., ნების გამოვლენის

331-ე მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ვადის გასვლამდე ბათილი იქნება ოფერტის უკან გახმობა („თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში“).<sup>1</sup> ანალოგიურად უნდა შეფასდეს ის ვითარებაც, როდესაც აქცეპტის განხორციელებისათვის, მართალია, არ არის დადგენილი შესაბამისი ვადა, თუმცა იგი განსაზღვრებადია ოფერტის შინაარსის ან კონკრეტული გარემოებების საფუძველზე. სანააღმდეგო განმარტების პირობებში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა ოფერტის როგორც მბოჭავი ნების გამოვლენის იურიდიული ბუნება და დაირღვეოდა ინტერესთა ის ბალანსი, რომელიც, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, უნდა არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა შორის.

შესაბამისად, არ უნდა იქნეს გაზიარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში *obiter dictum*-ის<sup>2</sup> სახით შემოთავაზებული პოზიცია, რომლის თანახმადაც ოფერტის დადასტურებამდე ოფერენტს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოირიცხოს სახელშეკრულებო თვითბოჭვა.<sup>3</sup> აღნიშნული მოსაზრება არ შეესაბამება ქართულ სამართალში დამკვიდრებულ მიდგომას ოფერტის მბოჭავ ხასიათთან

---

(ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, აურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, 72-120.

<sup>1</sup> იხ. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 64-65, 111-112; ოფერტის გამოუთხოვად ხასიათთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 116-120.

<sup>2</sup> (ლათ.) სასამართლოს ან სხვა ორგანოს გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი ისეთი დასკვნა/პოზიცია, რომლის მითითება არ არის აუცილებელი კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად და წარმოადგენს მხოლოდ ავტორიტეტულ მოსაზრებას ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხზე. სწორედ ამ მიზეზით, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში სასამართლოს გადაწყვეტილებაში გამოთქმულ *dictum*-ს არ გააჩნია პრეცედენტული ძალა.

<sup>3</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-376-360-2016, პარაგრაფი 1.4.4.

დაკავშირებით და მით უფრო ვერ იქნება გაზიარებული ოფციის კონტექსტში, რომელიც ისტორიულად სწორედ ოფერტის გამოთხოვადობასთან დაკავშირებული რისკების დასაზღვევად ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, სკ-ის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებს ოფციას ნასყიდობის სამართლის ფარგლებში (კერძოდ, სკ-ის 509-ე და 515-ე მუხლები გამოსყიდვის, შესყიდვისა და გაყიდვის ოფციის შესახებ), ცალსახად უთითებს ოფციის მფლობელის *კალმზრივ* უფლებებზე, მიაღწიოს მეორე მხარესთან ხელშეკრულების დადებას საკუთარი სურვილის შესაბამისად, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ოფციის შემთავაზებელს არ შეუძლია ოფციის პირობების სანინალმდეგოდ საკუთარი ოფერტის უკან გახმობა.

საგულისხმოა, რომ ოფერტის მხოცავ ძალასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები არსებობს, ერთი მხრივ, კონტინენტური და, მეორე მხრივ, საერთო სამართლის სისტემის იურისდიქციებში. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 145-ე პარაგრაფის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირს სთავაზობს ხელშეკრულების დადებას, შებოჭილია ოფერტით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან ბოჭვა გამოორიცხა“.<sup>1</sup> ამ ვითარებაში, თუ თავად ოფერტი არ შეიცავს მითითებას მისი გამოთხოვის შესახებ, ივარაუდება, რომ პირი იბოჭება ოფერტით იმ მომენტიდან, როდესაც ეს ნება აღრესატს მიუვა, აქცეპტის განხორციელების ვადის განმავლობაში.<sup>2</sup> ანალოგიურად, ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:219 (1) მუხლი პირდაპირ ადგენს: „ოფერტი შეიძლება გამოსხმობილ იქნეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განსაზღვრულია მისი აქცეპტირების ვადა ან მისი გამოუთხოვადი ბუნება სხვაგვარად გამომდინარეობს ოფერტიდან“. ნიშანდობლივია, რომ ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი ერთმნიშვნელოვნად ადგენს ოფციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ოფერტის გამოუთხოვად ხასიათსაც: „სახელშეკრულებო პირობა, რომლის თანახმადაც ერთ-ერთი მხარე

---

<sup>1</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 8. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძისა და თ. დარჯანიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 36.

<sup>2</sup> ბალიშვილი ე., ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, უკრნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, 78.

კისრულობს ვალდებულებას დადოს კონკრეტული ხელშეკრულება მეორე მხარესთან ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში, მიიჩნევა გამოუთხოვად ოფერტად“ (ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:219 (3) მუხლი).

საპირისპირო მიდგომა განვითარდა საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, სადაც ტრადიციულად მიიჩნეოდა და დღესაც მიიჩნევა, რომ, ზოგადად, დაპირება (ოფერტი) არააალსრულებადია და არ ავალდებულებს დაპირების გამცემს, თუკი დაპირება გაცემულია საპასუხო დაკმაყოფილების (Consideration) გარეშე ან იგი არ არის ასახული სპეციალური ფორმალობის დაცვით შედგენილ დოკუმენტში.<sup>1</sup> საერთო სამართალში აღიარებული პრინციპის თანახმად, აღრესატის მიერ თანხმობის გაცხადებამდე, ოფერენტს, ჩვეულებრივ, ნებისმიერ დროს შეუძლია ოფერტის გამოთხოვა, თუნდაც აქცეპტისათვის წინასწარ იყოს გარკვეული ვადა დადგენილი.<sup>2</sup> სწორედ ამ წესიდან გამონაკლისის დადგენას ემსახურებოდა საერთო სამართლის წიაღში ოფციის სამართლებრივი ინსტიტუტის აღმოცენება, რომლის ფარგლებშიც, ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით, მხარეთა მიერ ოფციის სანაცვლოდ შემხვედრ დაკმაყოფილებაზე შეთანხმების (მაგ., შემთავაზებლისათვის ოფციის მფლობელის მიერ გარკვეული საზღაურის, პრემიუმის გადახდა) ან სხვა ფორმალური პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ოფერენტის ბოჭვა მისივე ოფერტით.<sup>3</sup>

ზემოთ განხილულის გათვალისწინებით, ქართულ სამართალში, ოფციის მოქმედების განმავლობაში ოფერტი რჩება ძალაში და ოფციის

---

<sup>1</sup> Corbin A.L., Option Contracts, Yale Law Journal, Vol. 23, Issue 8, 1913-1914, 641-663, 641, 644; Katz A.V., The Option Element in Contracting, Virginia Law Review, Vol. 90, Issue 8, 2004, 2192; Cozzillio M.J., The Option Contract: Irrevocable Not Irrejectable, Catholic University Law Review, Vol. 39, Issue 2, 1990, 498.

<sup>2</sup> Cozzillio M.J., The Option Contract: Irrevocable Not Irrejectable, Catholic University Law Review, Vol. 39, Issue 2, 1990, 498; ბალიშვილი ე., ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, უერთალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, 84.

<sup>3</sup> Katz A.V., The Option Element in Contracting, Virginia Law Review, Vol. 90, Issue 8, 2004, 2196-2197.

მფლობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს მისი მიღება (აქცეპტი), ოფციის პირობების შესაბამისად. ძალაში მყოფი ოფერტის აქცეპტირებით, მხარეთა შორის ფუძნდება ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც დარეგულირდება საერთო წესების საფუძველზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, თუკი რაიმე საფუძვლით შემთავაზებელი შეწყვეტს ოფციის ხელშეკრულებას და ეს შეწყვეტა მართლზომიერია, ოფერტი - თუ გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარებს - დაკარგავს ძალას და დაინტერესებული მხარე ვეღარ შეძლებს ოფციის განხორციელებას. ასეთ ვითარებაში, ივარაუდება, რომ ოფციის ხელშეკრულების ძალაში ყოფნა წარმოადგენდა ოფერტის მოქმედების ერთ-ერთ (ნაგულისხმევ) პირობას, რომლის შეუსრულებლობაც უკარგავს იურიდიულ ძალას ოფერტს და ართმევს ოფციის მფლობელს უფლებას, განახორციელოს აქცეპტი.

## **2. მესამე პირთან გარიგების დადება ოფციის პირობების დარღვევით**

### **2.1. მესაკუთრის განკარგვის უფლებამოსილების შეზღუდვა ოფციის საფუძველზე**

ოფციის ხელშეკრულებით, შემთავაზებელი იღებს ვალდებულებას არა მხოლოდ დატოვოს ოფერტი ძალაში შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში, არამედ არ განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელიც დააბრკოლებს ოფციის მფლობელის მიერ საკუთარი უფლებით სარგებლობას; ასეთ მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს ვალდებულებით პირის მიერ ოფციით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების საგნის დაზიანება, განადგურება ან მესამე პირზე გასხვისება.<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით, განხილული უნდა იქნეს რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება შემთავაზებლის მიერ ოფციის საწინააღმდეგოდ იმ საგნის განკარგვას, რომელიც წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების საგანს, კონკრეტულად გამოსყიდვისა და შესყიდვის ოფციათა კონტექსტში.

---

<sup>1</sup> Hutchison D., Remedies for Breach of an Option, South African Law Journal, Vol. 105, Issue 3, 1988, 548.



## 2.2. გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე მყიდველის მიერ ნივთის გასხვისება

გამოსყიდვის პირობის დარღვევით დადებული გარიგების (გასხვისების) სამართლებრივ ბედს განსაზღვრავს სკ-ის 513-ე მუხლის იმპერატიული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც „თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გასხვისება ბათილია“.<sup>1</sup> იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა უცილოდ ბათილი გარიგება სკ-ის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის გავებით და გამომსყიდველს აქვს უფლება მოითხოვოს არამართლზომიერად გასხვისებული ნივთის უკან დაბრუნება.<sup>2</sup> თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, დაზუსტებას საჭიროებს სკ-ის 513-ე მუხლის მოქმედების ფარგლები კეთილსინდისიერი შეძენის მარეგულირებელ ჩარჩოსთან მიმართებით.

სადავოა, რამდენად გამორიცხავს შეძენის კეთილსინდისიერება სკ-ის 513-ე მუხლით განსაზღვრული შედეგის დადგომას სკ-ის 158-ე, 187-ე (მოძრავ ნივთებთან მიმართებით) და 185-ე, 312-ე (უძრავ ნივთებთან და რეგისტრაციუნიარაინ უფლებებთან მიმართებით) მუხლების გათვალისწინებით. ნიშანდობლივია, რომ სკ-ის 513-ე მუხლი არ შეიცავს რაიმე დათქმას კეთილსინდისიერი შეძენის გამონაკლისთან დაკავშირებით და არაორაზროვნად უთითებს გამოსყიდვის უფლების განხორ-

---

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ, ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესატყვისი ნორმა არ ადგენს ასეთი გასხვისების ბათილობას და, ნაცვლად ამისა, უთითებს მხოლოდ შემდეგს: „თუ ახალმა გამყიდველმა გამოსყიდვის უფლების რეალიზაციამდე განკარგა გაყიდული ნივთი, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს ნივთის გათავისუფლება მასზე დადგენილი მესამე პირების უფლებებისაგან. ახალი გამყიდველის განკარგვას უთანაბრდება იძულებითი აღსრულების პროცესში ან ყადაღის დადებისას, ანდა გაკოტრების მმართველის მიერ განხორციელებული განკარგვა“ (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძისა და თ. დარჯანიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 114-115).

<sup>2</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 55.

ციელეზამდე მესამე პირთან დადებული გარიგების ბათილობის თაობაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ზედმინევენით ასახავს კანონმდებლის ნებას მოცემულ ვითარებაში.<sup>1</sup>

გარდა ამისა, საკითხავია, რამდენად ვრცელდება, ცალკე აღებული, კეთილსინდისიერი შექმნის მარეგულირებელი დებულებები შეზღუდული განკარგვის უფლების მქონე მესაკუთრის მიერ განხორციელებულ გასხვისებაზე. ზოგადი წესის თანახმად, კეთილსინდისიერება მიემართება გამსხვისებლის საკუთრების უფლებას<sup>2</sup>, ხოლო განკარგვის უფლებამოსილებისადმი ნდობა, თუ სპეციალური კანონი სხვაგვარ მონესრიგებას არ ადგენს, არ არის დაცული<sup>3</sup>. ამ თვალსაზრისით, მოძრავ ნივთებთან მიმართებით, სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილი და აგრეთვე, 187-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად ადგენს კეთილსინდისიერების სუბიექტურ საზომად შექმნის ნდობას გამსხვისებლის საკუთრების უფლებისადმი, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს გამსხვისებლის მიერ ნივთზე მფლობელობის განხორციელების ობიექტური ფაქტიდან:

---

<sup>1</sup> როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, „კანონი გაცემული და აღქმული უნდა იყოს ისე, როგორც ის არის დანერვილი. სამართალშეფარდებისას უპირატესობა ენიჭება კანონის ნებას [...] [სამართალშემფარდებელს] ევალება იხელმძღვანელოს ნორმის ტექსტით, მასში პრაქტიკულად ასახული, გათვალისწინებული და არა გასათვალისწინებელი სინამდვილით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პუნქტი 30). „როდესაც ნორმის ტექსტი აშკარაა და შესატყვისი განმარტება არ წარმოშობს აბსურდულ ან არაპრაქტიკულ შედეგებს, სიტყვები აღქმულ უნდა იქნეს როგორც საბოლოო გამოხატულება გამიზნული მნიშვნელობისა“ (იხ. *United States v. Missouri Pacific R. Co.*, 278 U.S. 269, 278, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (US S. Ct. 1929)). კანონის ინტერპრეტაციის პრობლემატიკაზე ვრცლად იხ. *Scalia A., Garner B., Reading Law: The Interpretation of Legal Texts*, 2012, 33-41, 56-58, 343-346, 349-351.

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 136.

<sup>3</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, 207.

„187 I მუხლის მიხედვით დაცული კეთილსინდისიერება უნდა უკავშირდებოდეს შემძენის ნდობას იმასთან დაკავშირებით, რომ გამსხვილებელი ნივთის მესაკუთრეა. ნდობა გამსხვილებლის ქმედუნარიანობასთან, მისთვის მინიჭებულ წარმომადგენლობის უფლებამოსილებასთან ან სხვა წინაპირობებთან დაკავშირებით (მაგალითად, „ნამდვილი უფლების“ არსებობა) დაცული არ არის. ზოგადად, დაცული არ არის არც ნდობა გამსხვილებლის განკარგვის უფლებამოსილების მიმართ, თუმცა გამონაკლისის სახით სპეციალური დანაწესი შეიძლება ითვალისწინებდეს კონკრეტული ურთიერთობის ფარგლებში განკარგვის უფლებამოსილების მიმართ ნდობის დაცვასაც“.<sup>1</sup>

რაც შეეხება ნდობას საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებთან მიმართებით - განსაკუთრებით, უძრავ ნივთებზე - კანონმდებლობით დადგენილია პრეზუმფცია, რომ რეესტრი სწორად ასახავს ინფორმაციას სარეგისტრაციო ობიექტზე არსებული რეგისტრაციუნარიანი უფლებების, ვალდებულებებისა და საჯაროსამართლებრივი შეზღუდვების შესახებ („საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი“ [საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი]). ვინაიდან გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე მყიდველის მიერ ნივთის გასხვისებისას გამსხვივებლად, როგორც წესი, გვევლინება ნამდვილი მესაკუთრე (მყიდველი), არ სრულდება სკ-ის 185-ე მუხლისა და 312-ე მუხლის მეორე ნაწილის წინაპირობები რეესტრში არასწორად რეგისტრირებული უფლების კეთილსინდისიერ შემქნასთან დაკავშირებით. თუმცა საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლითა და სკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებული რეესტრის მონაცემების სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია, აგრეთვე, შეიცავს შემძენის დაცვის დამატებით გარანტიას, რომლის მიხედვითაც დაცულია შემძენის ნდობა არა მხოლოდ პოზიტიურად, არამედ ნეგატიურადაც: ივარაუდება, რომ

---

<sup>1</sup> რუსიაშვილი გ., სირდაძე ლ., ეგნატაშვილი დ., სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2019, 185.

უფლება იმ ფარგლებში და იმ ფორმით არსებობს, რაც საჯარო რეესტრშია მითითებული („რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა“, სკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საჯარო რეესტრის მონაცემების სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციაზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც მან აღნიშნა: „სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი კლასიკური გაგებით, შეეხება რეესტრის ჩანაწერის იმგვარ უზუსტობას, როდესაც შემძენი წინდახედულობის გონივრულ ფარგლებში გამსხვიებლის უფლებას ნამდვილად მიიჩნევს, თუმცა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს ნორმა ასევე არეგულირებს იმგვარ ურთიერთობებს, რომლებიც შეეხება ქონებაზე რეგისტრირებულ ვალდებულებებსაც, ანუ ამ ნორმათა ანალიზით, შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების უფლებრივ მდგომარეობას, შემძენს, თავის უფლების დასამტკიცებლად, შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში არასწორი იყოს რეესტრის მონაცემები“.<sup>1</sup> ანალოგიურ წესს პირდაპირ ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 892-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მეორე წინადადება: „თუ უფლებამოსილი პირი განსაზღვრული

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-394-373-2013; ანალოგიურ განმარტებას შეიცავს, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-761-745(კ-12): „საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინფორმაციას უძრავი ნივთის შესახებ შეიცავს საჯარო რეესტრის ჩანაწერები, რომლის მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია. საჯარო რეესტრის სისწორის ვარაუდი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრირებული უფლება იმ ფორმით და იმ მოცულობით არსებობს, რაც დაფიქსირებულია საჯარო რეესტრის მონაცემებში. საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციიდან გამომდინარე ითვლება, რომ ვალდებულება თუ ასეთი არსებობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, სავალდებულოა რეგისტრირებული იყოს საჯარო რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ ვალდებულება არ არსებობს“.

პირის სასარგებლოდ შეზღუდულია საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული უფლების განკარგვაში, მაშინ შემძენის მიმართ შეზღუდვა სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნათელია საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერიდან ან ცნობილია შემძენისათვის“.<sup>1</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ, საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში შესაძლებელია იქნეს დარეგისტრირებული უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, მათ შორის გამოსყიდვა და ოფცია.<sup>2</sup> ამ შემთხვევაში, შეზღუდვის რეგისტრაცია კრედიტორს (რომელიც შესაძლებელია იყოს ოფციის მფლობელიც) უზრუნველყოფს მყარი სამართლებრივი გარანტიით, რომ მესაკუთრის მიერ არ მოხდება უძრავ ნივთის განკარგვა მასზე რეგისტრირებული ვალდებულების უკუღებელყოფით. კერძოდ, საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მარეგისტრირებული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ „რეგისტრირებული უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა ან საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ან საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციას“.

თუმცა ვალდებულების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში არ აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა, ვინაიდან რეგისტრაცია, აბსოლუტური (სანივთო) უფლებებისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს აუცილებელ

---

<sup>1</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძისა და თ. დარჯანიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 265.

<sup>2</sup> ხუბაშვილი თ., საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საჯარო რეესტრში რეგისტრირებადი ვალდებულებები, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ურნალი, №2, 2016, 156-158; იხ. კუბლაშვილი პ., საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი VS ოფციის რეგისტრირებისათვის გაცხადებული ნება, ურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2017, 139-141 და მომდევნო გვერდები.

პირობას რელატიური ბუნების მქონე ვალდებულებების წარმოშობისათვის.<sup>1</sup> ასეთი დასკვნა უშუალოდ გამომდინარეობს საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტიდან, რომელიც უთითებს, რომ მხოლოდ უძრავი ნივთების რეესტრში რეგისტრირებული სანივთო უფლებების (საკუთრება, აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, იპოთეკა) და არა ვალდებულებითი უფლებების წარმოშობისათვის არის აუცილებელი მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. აქედან გამონაკლისია მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით 1 წელზე მეტი ვადით დადებული გარიგებები, რა შემთხვევაშიც რეესტრში რეგისტრაცია უნარიანი ვალდებულებით-სამართლებრივი უფლებებისა (ქირაფლობა, ქვექირაფლობა, იჯარა, ქვეიჯარა, თხოვება, ლიზინგი) და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირე-

---

<sup>1</sup> მსგავსი გადაწყვეტა საკითხისა ლოგიკურია, ვინაიდან სახელშეკრულებო შეზღუდვები საგნის განკარგვასთან დაკავშირებით, თავისი არსით, რელატიურ ხასიათს ატარებს და განსხვავდება აბსოლუტური ბუნების მქონე სანივთო უფლებებისგან, რომლებზეც განსაკუთრებულად ვრცელდება საჯაროობის პრინციპი (სანივთო და ვალდებულებითი უფლებების გამიჯვნის შესახებ დანვრილებით იხ. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 1-9); დამატებით იხილეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება სანივთო და ვალდებულებითი უფლებების შესახებ, რაც გამოირეხება იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ: „შეზღუდული უფლებები შეიძლება იყოს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი. სანივთო შეზღუდულ უფლებათა არსებობას ადგილი აქვს აღნაგობის, სერვიტუტის და უზუფრუქტის შემთხვევებში. ვალდებულებით უფლებათა არსებობას, მაგალითად, ქირაფლობის შემთხვევაში, რომელიც საკუთრებიდან ინარმოება და წარმოადგენს საკუთრებისავე სახელშეკრულებო დატვირთვას. შეზღუდული სანივთო უფლებების თვისება ისაა, რომ ისინი მიყვებიან ძირითად უფლებას, როცა იცვლება მისი მესაკუთრე. ასეთი თვისებით ხასიათდება მხოლოდ ზოგიერთი ვალდებულებითი უფლება, მაგალითად, ქირაფლობის უფლება. სანივთო შეზღუდული უფლებების წარმოშობისათვის საჭიროა მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რაც საჭირო არაა ვალდებულებითი უფლებების შემთხვევაში“. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატი 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-820-778-2013.

ბული ვალდებულებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი).

ზემოხსენებულზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოქმედი კანონმდებლობა საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციას ავრცელებს მხოლოდ იმ ტიპის უფლებებზე და ვალდებულებებზე, რომლებიც ექვემდებარება რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით ისეთ შედეგს, რომ, ერთი მხრივ, რეგისტრაციას ამ ტიპის უფლებების ან ვალდებულებების წარმოშობისათვის არ ექნებოდა დამატუნებელი (კონსტიტუციური) მნიშვნელობა, ხოლო, მეორე მხრივ, რეესტრში მათი დაურეგისტრირებლობა შეუქმნიდა სამართლებრივად გამყარებულ ნდობას შემძენს უფლების ან ვალდებულების არარსებობასთან დაკავშირებით, რაც ალოგიკურია. შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოსყიდვის ვადა აღემატება ერთ წელს მაინც და მისი ერთ-ერთი მხარე არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, შეიძლება ვისაუბროთ თეორიულად გამოსყიდვის უფლებით „დატვირთული“ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შეძენაზე სკ-ის 312-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების გაცებით.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც, თუ ჩავთვლიდით, რომ შეიძლებოდა სკ-ის 513-ე მუხლის მოქმედების ფარგლების შეზღუდვა კეთილსინდისიერი შეძენის მომწესრიგებელი ჩარჩოთი, შედეგი პრაქტიკულად არ შეიცვლება და მყიდველის მიერ გამოსყიდვის უფლების დარღვევით დადებული განკარგვა ბათილი იქნება, შემძენის კეთილსინდისიერების მიუხედავად.<sup>1</sup> ერთადერთი გა-

---

<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული პოზიცია, რომლის თანახმადაც სკ-ის 513-ე მუხლის მოქმედებას ზღუდავს შემძენის კეთილსინდისიერება: იხ. ჩიტოშვილი თ., გამოსყიდვა და ოფცია, როგორც უფლებით სარგებლობისა და საკუთრებაში გადაცემის საფუძველი, ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო კრებული, ლ. ჭანტურიასა და ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 371-372; ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, 513-ე მუხლი, <<https://bit.ly/365yFbX>> [19.03.2022].

მონაკლისი, რაც ამ წესიდან შეიძლება დადგინდეს, არის უძრავ ქონებაზე კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, რომლის ვადაც აღემატება ერთ წელს და, შესაბამისად, ექვემდებარება საჯარო რეესტრში აუცილებელ რეგისტრაციას.

### **2.3. შესყიდვის ოფციით სარგებლობამდე შემთავაზებლის მიერ ნივთის გასხვისება**

ქართული კანონმდებლობა არ შეიცავს სკ-ის 513-ე მუხლის მსგავს დანაწესს გამოსყიდვის გარდა სხვა სახის ოფციური უფლების დარღვევით დადებული განკარგვის ბათილობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ისმის კითხვა, თუ რა გავლენას მოახდენს შემთავაზებლის მიერ ძირითადი ხელშეკრულების საგნის განკარგვა იმ პერიოდში, ვიდრე ოფციის მფლობელს გააჩნია საკუთარი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ამ კუთხით, დასაფიქრებელია, ხომ არ გავრცელდება მსგავს შემთხვევებზე სკ-ის 99-ე-102-ე მუხლებით განსაზღვრული რეგულირება მერყევად ბათილი თანხმობასავალდებულო განკარგვების შესახებ. კონკრეტულად, სკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით“, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს“. პირი არაუფლებამოსილად ითვლება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას საერთოდ არ გააჩნია ნივთის ან უფლების განკარგვის უფლება, არამედ მაშინაც, როცა მის მიერ საგნის განკარგვა მოითხოვს მესამე პირის თანხმობას.<sup>1</sup>

სადავოა, რამდენად არის შესაძლებელი მხარეებმა სახელშეკრულებო შეთანხმებით დაადგინონ თანხმობა სკ-ის 99-ე მუხლის პირველი

---

<sup>1</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 409; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2002, 268; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 552-555.



ნაწილის გაგებით ერთ-ერთი მათგანის მიერ სამომავლოდ დასადები გარიგების ნამდვილობის წინაპირობად. გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში დაფიქსირებული პოზიცია იმის თაობაზე, რომ დაუშვებელია ხელშეკრულებით ამა თუ იმ გარიგების ნამდვილობა რომელიმე პირის თანხმობაზე გახდეს დამოკიდებული.<sup>1</sup> შესაბამისად, სკ-ის 99-ე-102-ე მუხლების მიზნებისათვის, თანხმობასავალდებულოა მხოლოდ ისეთი გარიგებები, რომელთა ნამდვილობა *კანონის ძალით* არის დამოკიდებული მესამე პირის თანხმობაზე. რასაკვირველია, „ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს იმას, რომ მხარეებს არ შეუძლიათ გაითვალისწინონ მათ შორის დადებული გარიგებით ერთი-ერთი მხარის მიერ დასადები შემდგომი გარიგების თანხმობასავალდებულობა, თუმცა ამგვარ შეთანხმებას მხოლოდ ვალდებულებითი ეფექტი აქვს და [...] მართო ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს“.<sup>2</sup>

შესაბამისად, ეჭვქვეშ დგას, რამდენადაა შესაძლებელი პირს შევზღუდოს განკარგვის უფლებამოსილება მხოლოდ ვალდებულებებისამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, „ორ პირს შორის შეთანხმებულმა სახელშეკრულებო დათქმამ არ უნდა შეზღუდოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედების თავისუფლება და ნივთების ბრუნვაუნარიანობა [...] განკარგვის სანივთო ძალით აკრძალვა ეწინააღმდეგება *numerus clausus*-ის პრინციპსაც, რადგან ამით, ფაქტობრივად, იქმნება ახალი სანივთო უფლება - საკუთრება განკარგვის ელემენტის გარეშე [...] განკარგვის აკრძალვისათვის სანივთო ეფექტის მინიჭება იქნებოდა ფარდობითი შეთანხმების აბსოლუტური ძალის აღიარება, რაც დაუშვებელია“.<sup>3</sup> ხსენებული მსჯელობა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ, სკ-ის 513-ე მუხლის მსგავსი შინაარსის ნორმის

---

<sup>1</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 401.

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ლ. ჭანტურია რედაქტორობით, თბილისი, 2017, 555.

<sup>3</sup> რუსიაშვილი გ., სირდაძე ლ., ევნატაშვილი დ., სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2019, 205-206. დათქმა იმის თაობაზე, რომ სახელ-296

არარსებობის პირობებში, შესყიდვის ოფციის სანინალმდეგოდ მესაკუთრის მიერ საგნის განკარგვა იქნება ნამდვილი და, ჩვეულებრივ, ოფციის მფლობელს არ ექნება უფლება მოითხოვოს ამგვარი განკარგვის შედეგების ანულირება ბათილობაზე მითითებით, თუნდაც შემძენისათვის ცნობილი იყოს ოფციის არსებობის შესახებ.

რასაკვირველია, ოფციის მფლობელი არ რჩება დაცვის გარეშე და მას აქვს უფლება ხელშემკვრელი მხარისაგან მოითხოვოს ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის სათუძველზე, ოფციის მფლობელს აქვს შესაძლებლობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოფცია დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში ვალდებულების (შეზღუდვის) სახით, რა შემთხვევაშიც მესაკუთრე, საჯარო რეესტრის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, ვეღარ მოახერხებს საგნის გასხვისებას ოფციის მფლობელის თანხმობის გარეშე.

#### **IV. ოფციის ხელშეკრულების შედარება მომიჯნავე სამართლის ინსტიტუტებთან**

##### **1. პირობითი გარიგებანი**

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, ოფცია და, მეორე მხრივ, პირობითი გარიგების ინსტიტუტი. სკ-ის 90-ე მუხლის თანახმად, „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების

---

შეკრულებო აკრძალვას ან შეზღუდვას საგნის გასხვისებაზე არ გააჩნია სანივთოსამართლებრივი მოქმედების ეფექტი, პირდაპირაა დადგენილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 137-ე პარაგრაფით: „გასხვისებადი უფლების განკარგვის უფლებამოსილება არ შეიძლება გარიგებით გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. ეს ნორმა არ ეხება იმ ვალდებულების სამართლებრივ ძალას, რომლითაც პირი კისრულობს ვალდებულებას, არ განკარგოს უფლება“. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძისა და თ. დარჯანიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 34-35. ასევე, იხ. კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიასა და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, 62-63.

გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა - ამ მოვლენის დადგომისთანავე“. მაშასადამე, საუბარია ისეთ პირობაზე, რომელზეც დამოკიდებულია გამოვლენილი ნების (გარიგების) სამართლებრივად მავალდებულებელი ძალა<sup>1</sup> და მისგან გამომდინარე იურიდიული შედეგების წარმოშობა<sup>2</sup>.

მოცემულ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ყურადღება გავამახვილოთ გადადების (სუსპენზიური) პირობით დადებულ გარიგებებზე.<sup>3</sup> კერძოდ, სკ-ის 96-ე მუხლის მიხედვით, „გარიგება გადადების პირობით დადებულად ითვლება, თუ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ანდა ისეთ მოვლენაზე, რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ მხარეთათვის ჯერ კიდევ უცნობია“. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გარიგება თავიდანვე ითვლება დადებულად, თუმცა იგი ძალაში შედის მხოლოდ გარიგებით გათვალისწინებული პირობის დადგომისას.<sup>4</sup> სწორედ ამ ასპექტში ამჟღავნებს გადადების პირობით დადებული გარიგება მსგავსებას ოფციის ხელშეკრულებასთან - ოფციის ხელშეკრულებით განსაზღვრული სამომავლო გარიგების ამოქმედება, პირობითი გარიგების მსგავსად, უკავშირდება „სამომავლო“ და „უცნობ“ მოვლენას, კერძოდ, ოფციის განხორციელებას.

მიუხედავად ამისა, გასაზიარებელი არ არის იურიდიულ ლიტერატურაში, აგრეთვე, ზოგიერთ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებაში

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1223-1182-2016.

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2002, 253-254.

<sup>3</sup> გადადების და გაუქმების პირობით დადებული გარიგებების შესახებ უფრო ვრცლად იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 545-547.

<sup>4</sup> ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 53-54; Fauvarque-Cosson B., The New Provisions on Conditions in the Unidroit Principles 2010, Uniform Law Review, Vol. 16, Issue 3, 2011, 537-548, 539; აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხ. Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, 1992, 723-725.

გამოთქმული მოსაზრება<sup>1</sup> ოფციის პირობით გარიგებად მიჩნევასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა, პირობითი გარიგება დადებულიად ითვლება მხარეთა მიერ მის არსებით პირობებზე შეთანხმებისთანავე, მხოლოდ ამ გარიგების ძალაში შესვლისათვის აუცილებელია სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომა (პირობის შესრულება). ამისგან განსხვავებით, ოფციის ხელშეკრულებით განსაზღვრული სამომავლო (ძირითადი) ხელშეკრულება არ მიიჩნევა თავიდანვე დადებულიად, არამედ მისი დადება დამოკიდებულია ოფციის განხორციელებაზე (ოფციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოფერტის აქცეპტირებაზე).<sup>2</sup>

ზემოთ აღწერილი სხვაობა ოფციასა და პირობით გარიგებას შორის არსებით მნიშვნელობას იძენს მხარეთა ქმედუნარიანობისა და მათ მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის შეფასების კონტექსტშიც. თუკი, პირობითი გარიგების შემთხვევაში, მხარეთა ნების სამართლებრივი ვარგისიანობა, ჩვეულებრივ, მონმდება მხოლოდ პირობითი გარიგების დადების მომენტში (კონკრეტულად, ოფერენტისათვის - შეთავაზების გაკეთებისას, ხოლო აქცეპტანტისათვის - მასზე დათანხმებისას), ოფციით გათვალისწინებული ძირითადი ხელშეკრულების შემადგენელი ოფერტისა და აქცეპტის ნამდვილობა მონმდება ორ ეტაპად: შემთავაზებლის ნების (ოფერტის) ნამდვილობისათვის განმსაზღვრელია ოფციის დადების მომენტი, ხოლო ოფციის მფლობელის ნების (აქცეპტის) ნამდვილობისათვის - ოფციის განხორციელების მომენტი<sup>3</sup>. ამიტომაც,

---

<sup>1</sup> ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, 515-ე მუხლი, <<https://bit.ly/3CTfSfI>> [19.03.2022]; Griffith v Pelton [1958] CH 205; Laybutt v. Amoco Australia Pty. Ltd. (1974), 132 C.L.R. 57, პარაგრაფი 10-16.

<sup>2</sup> Thomas M., The Legal Basis of an Option to Purchase Land, Northern Ireland Legal Quarterly, Vol. 42, Issue 4, 1991, 358-364, 361.

<sup>3</sup> Radulescu Tudor V., The Option Agreement in the New Romanian Civil Code, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, Issue 1, 2012, 262. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ, თუ აქცეპტის განსახორციელებლად საჭიროა მისი გაცხადება ოფერენტის წინაშე (ე.ი. თუ აქცეპტი მიღებასავალდებულოა), ასეთ შემთხვევაში ნების გამოვლენის სამართლებრივ ძალაში შესვლა დამოკიდებული ხდება ადრესატის (ოფერენტის) ქმედუნარიანობაზეც. კერძოდ, ქმედუნარო პირის წინაშე გაკეთებული მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა არ

თუკი მხარეთა შორის დადებულია გარიგება გადადების პირობით სკ-ის 96-ე მუხლის თანახმად, მის ძალაში შესვლას, პრინციპში, ვერ დააბრკოლებს შემდგომში გარიგების რომელიმე მხარის ქმედუნარიანობის შეზღუდვა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, ოფციით განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულებისგან განსხვავებით, რომლის დასადებადაც აუცილებელია ადრესატის მიერ შეთავაზების აქცეპტირება (ოფციის განხორციელება) ოფციის ხელშეკრულების დადების შემდეგ.

და ბოლოს, ნიშანდობლივია, რომ პირობითი გარიგების ინსტიტუტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ნებაზე დამოკიდებული პირობის ბათილობა, რაც მთლიანად გარიგების ბათილობის საფუძველია. კონკრეტულად, სკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, ბათილია პირობით დადებული გარიგება, თუკი პირობის დადგომა ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ რომელიმე მხარის ნებაზე. ვინაიდან ოფციის მფლობელის მიერ ოფციის განხორციელება წარმოადგენს სწორედ იმგვარ ხდომილობას, რომლის დადგომასაც, როგორც წესი, მთლიანად ოფციის მფლობელის ნება-სურვილი განაპირობებს (და, ამ თვალსაზრისით, არის მხოლოდ გარიგების ერთ-ერთი მხარის ნებაზე დამოკიდებული), საფუძველს მოკლებული იქნებოდა ოფციის ან/და მის საფუძველზე დასადები სამომავლო ხელშეკრულების განხილვა პირობით გარიგებად სკ-ის 90-ე მუხლის ვაგებით.<sup>1</sup>

ამასთანავე, ყოველივე ზემოაღნიშნული არ უკრძალავს მხარეებს, სკ-ის 90-ე-98-ე მუხლების ფარგლებში, ძირითადი ხელშეკრულების ან მის საფუძველად არსებული ოფციის ძალაში შესვლა დაუკავშირონ

---

წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, სანამ იგი არ მიუვა კანონიერ წარმომადგენელს. ანალოგიური წესი ვრცელდება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიმართ გაკეთებულ ნების გამოვლენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნების გამოვლენა შეზღუდულქმედუნარიან პირს სარგებელს ანიჭებს. იხ. მანისურაძე დ., დარჯანია თ., პაპუაშვილი შ., სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (კაზუსების კრებული), თბილისი, 2017, 224-225; გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძისა და თ. დარჯანიას რედაქტორებით, თბილისი, 2019, 33-34.

<sup>1</sup> Evans K., The Law of Options, Dalhousie Law Journal, 25(1), 2002, 47-80, 52.

გარკვეული პირობის დადგომას (ან დაუდგომლობას). ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შესაფასებლად დამატებით გამოსაყენებელი იქნება პირობითი გარიგებების მარეგულირებელი ჩარჩო საერთო წესების შესაბამისად.

## 2. წინარე ხელშეკრულება

ოფციის ხელშეკრულებაზე საუბრისას პარალელი უნდა გაივლოს, აგრეთვე, წინარე ხელშეკრულების სამართლებრივ ინსტიტუტთან. წინარე ხელშეკრულება წარმოადგენს ისეთი სახის გარიგებას, რომლის საგანიცაა მხარეთა მიერ სამომავლოდ ახალი (ძირითადი) ხელშეკრულების გაფორმება, წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.<sup>1</sup> წინარე ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმას შეიცავს სკის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება, რომლის თანახმადაც „ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება“. ამდენად, წინარე ხელშეკრულება სახელშეკრულებო თვითბოჭვის იმგვარი მექანიზმია, რომლის ფარგლებშიც მხარეები ნებაყოფლობით კისრულობენ სამომავლოდ ძირითადი ხელშეკრულების დადებას.

როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, „წინარე ხელშეკრულება კონტრაქტების იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხარეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე [...] იმისათვის, რათა წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე კონტრაქტების იძულება ლეგიტიმურად (იურიდიული ძალის მქონედ) ჩაითვალოს, სავალდებულოა, თავად ამ წინარე ხელშეკრულებიდან ირკვეოდეს მხარეთა არსებით პირობებზე შეთანხმების ფაქტი, ანუ ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებას სა-

---

<sup>1</sup> იხ. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 112; აგრეთვე, იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 141-142.

ფუძვლად წინარე ხელშეკრულების განსაზღვრულობა შეიძლება დაედოს<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე, წინარე ხელშეკრულება თავად უნდა ადგენდეს იმ სამომავლო ხელშეკრულების არსებით პირობებს, რომლის დადებაც წარმოადგეს წინარე ხელშეკრულების საგანს.<sup>2</sup>

როგორც ოფციის ხელშეკრულებას, ისე წინარე ხელშეკრულებას აერთიანებს ის საერთო მახასიათებელი, რომ ორივე მათგანი ძირითადი ხელშეკრულების დადების წინარე ეტაპზე მხარეთა ურთიერთობის მონესრიგებას ისახავს მიზნად და, ამდენად, ორივე ხელშეკრულება მხარეთა შორის საბოლოო (ძირითადი) ხელშეკრულების დადებამდე ფორმდება. აღნიშნულის გამო, იურიდიულ ლიტერატურაში ოფციასა და წინარე ხელშეკრულებას სამართლიანად მიაკუთვნებენ წინასახელშეკრულებო შეთანხმებებს.<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ, განსხვავებით სხვა წინასახელშეკრულებო შეთანხმებებისგან (მაგ., განზრახულობათა ოქმი, ურთიერთგაგების მემორანდუმი, ჩარჩო შეთანხმება) - რომლებიც, ჩვეულებრივ, მხარეებს არ აკისრებს კონკრეტული შინაარსის ვალდებულებას - ოფციაც და წინარე ხელშეკრულებაც მბოჭავი ხასიათისაა და სახელშეკრულებო ვალდებულებას აფუძნებს სკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ოფციასა და წინარე ხელშეკრულების ინსტიტუტებს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. პირველ რიგში, წინარე ხელშეკრულების შემთხვევაში, ძირითადი ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია ორივე ხელშეკრულები მხარის მიერ ნების ხელახალი გამოვლენა, ხოლო ოფციის ხელშეკრულების

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-661-628-2014.

<sup>2</sup> იხ. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 112; Markesinis B.S., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, A Comparative Treatise, 2<sup>nd</sup> edition, 2006, 78.

<sup>3</sup> წინასახელშეკრულებო შეთანხმებათა შესახებ ვრცლად იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 93-98. აგრეთვე, იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 142-143.

საფუძველზე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასადგენად საკმარისია დამატებით მხოლოდ ერთ-ერთი მხარის (ოფციის მფლობელის) ცალმხრივი განცხადება.<sup>1</sup>

ზემოხსენებულის გარდა, მსგავსად იმ დაკვირვებისა, რომელიც გაკეთდა ზემოთ ოფციის პირობით გარიგებასთან შედარებისას, განსხვავებული პერსპექტივებიდან ფასდება ოფციისა და წინარე ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადი ხელშეკრულებების გაფორმებისას მხარეთა ქმედუნარიანობა და მათ მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა. კერძოდ, თუკი წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობის შესამოწმებლად აუცილებელია მხარეთა ქმედუნარიანობისა და ნების ვარგისიანობის შეფასება, აგრეთვე, ძირითადი ხელშეკრულების დადების მომენტში, იმავეს ვერ ვიტყვით ოფციიდან გამომდინარე ძირითადი ხელშეკრულების დადებაზე. კერძოდ, თუ ოფციის პირობების თანახმად აქცეპტის განხორციელება არ მოითხოვს მის გაცხადებას შემთავაზებლის (ოფერენტის) წინაშე, ძირითადი ხელშეკრულების დადებისას აღარ იქნება აუცილებელი შემთავაზებლის ქმედუნარიანობის ან/და მის მიერ გამოვლენილი ნების ვარგისიანობის შემოწმება.<sup>2</sup>

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ოფცია მის მფლობელს უქმნის ბევრად უფრო მყარ სამართლებრივ ბერკეტს წინასახელშეკრულებო შეთანხმებით დასახული მიზნის მისაღწევად, ვიდრე წინარე ხელშეკრულება. აღნიშნულს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ის ფაქტი, რომ ოფციის მფლობელს, წინარე ხელშეკრულების მხარისგან განსხვავებით, აქვს შესაძლებლობა, ოფციის ხელშეკრულებაში გამოხატულ ოფერტზე თანხმობის გაცხადებით, მიაღწიოს მეორე მხარესთან სასურველი შინაარსის ხელშეკრულების დადებას.

---

<sup>1</sup> იხ. ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 32; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 95.

<sup>2</sup> იხ. Radulescu Tudor V., The Option Agreement in the New Romanian Civil Code, Perspectives of Business Law Journal, Vol. 1, Issue 1, 2012, 262.



### 3. უპირატესი შესყიდვის უფლება

სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავებით, ბევრი საერთო მახასიათებელი გააჩნია ოფციას უპირატესი შესყიდვის უფლებასთან. უპირატესი შესყიდვის უფლება კანონით ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა<sup>1</sup> და მის მფლობელს ანიჭებს შესაძლებლობას ვალდებულ პირთან მი აღწიოს ხელშეკრულების დადებას იმავე პირობებით, რა პირობებითაც ვალდებულ პირს სურს ხელშეკრულების დადება მესამე პირთან (სკ-ის 516-ე მუხლის პირველი ნაწილი და მომდევნო ნორმები). ისევე როგორც ოფცია, უპირატესი შესყიდვის უფლებაც ზღუდავს ვალდებულ პირის სახელშეკრულებო თავისუფლებას, თუმცა ეს შეზღუდვა რელატიურ ხასიათს ატარებს და არ იწვევს მისი დარღვევით ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების ბათილობას.<sup>2</sup>

სკ-ის 517-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამოსილი პირის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების თაობაზე ვალდებულ პირისათვის შეტყობინება იწვევს ხელშეკრულების დადებას მხარეთა შორის იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა. მაშასადამე, ოფციის მსგავსად, უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობაც დამოკიდებულია მისი მფლობელის მიერ ცალმხრივი ნების გამოვლენაზე და, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ვალდებულ პირს არ შეუძლია წინ აღუდგეს უფლებამოსილ პირთან ხელშეკრულების დადებას. აქედან გამომდინარე, უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელებით მისი მფლობელი აკეთებს აქცეპტს ვალდებულ პირის მიერ გაკეთებულ ოფერტზე იმ შინაარსით, რაც ვალდებულ პირსა და მესამე

---

<sup>1</sup> ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010, 78; ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 264; ჩაჩავა ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ-კომენტარი, 516-ე მუხლი, <<https://bit.ly/3IpQcQ0>> [19.03.2022].

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაჭრობის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-154-579-06.

პირს შორის დადებულ ან დასადებ ხელშეკრულებაშია მოცემული.<sup>1</sup> ამდენად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების მინიჭებით ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის მიმართ აკეთებს პირობით ოფერტს, რომელიც ძალაში შედის ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის უპირატესი შესყიდვის საგნის გასხვისებასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან.<sup>2, 3</sup>

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების არსს არ ეწინააღმდეგება ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის ხელშეკრულების დადება იმ პირობით, რომ იგი ძალაში შევა იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირი უარს იტყვის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე. იხ. Perell P.M., Options, Rights of Repurchase and Rights of First Refusal as Contracts and as Interests in Land, Canadian Bar Review, Vol. 70, Issue 1, 1991, 1-28, 10.

<sup>2</sup> ქართულ სამართალში სკ-ის 517-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირის მიერ უფლების განხორციელება დამოკიდებული არ არის მისთვის ვალდებული პირის მიერ მესამე პირთან გარიგების დადების თაობაზე შეტყობინებაზე. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს აღნიშნული უფლების განხორციელება შეუძლია უკვე იმ მომენტიდან, როდესაც ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის მიღწეულ იქნა შესაბამისი შეთანხმება. ამასთან, იმავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირისათვის ვალდებული პირის მიერ შეტყობინების თაობაზე ემსახურება უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების ხელშეწყობას და ვერ ჩაითვლება უფლებამოსილი პირისათვის ოფერტის გაკეთებად. განსხვავებული მოსაზრებისათვის აღნიშნულ საკითხზე იხ. Treitel G.H., Treitel on the Law of Contract, 11<sup>th</sup> edition, 2003, 57-58.

<sup>3</sup> Walker D.L., Rethinking Rights of First Refusal, Stanford Journal of Law, Business & Finance, Vol. 5, Issue 1, 1999, 1-58, 9-10; Flannigan R., The Legal Construction of Rights of First Refusal, Canadian Bar Review, Vol. 76, Issue 1-2, 1997, 1-46, 4-5; Coastal Bay Golf Club, Inc. v. Holbein, 231 So.2d 854, 857, ფლორიდის შტატის სააპელაციო სასამართლოს 1970 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება (Fla. Dist. Ct. App 1970); Keys Lobster v. Ocean Divers, 468 So. 2d 360, 363, ფლორიდის შტატის სააპელაციო სასამართლოს 1985 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება (Fla. Dist. Ct. App. 1985).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეთანხმება უპირატესი შესყიდვის უფლების დადგენის შესახებ შინაარსობრივად მსგავსებას ამჟღავნებს გადაღების პირობით დადებულ ოფციის ხელშეკრულებასთან.<sup>1</sup> თუმცა, ოფციისაგან განსხვავებით, შეთანხმება უპირატესი შესყიდვის უფლების დადგენის შესახებ უფლებამოსილ პირს არ აღჭურავს უფლებით, ოფერტის ძალაში შესვლიდან გარკვეული ვადის განმავლობაში დააყოვნოს აქცეპტირება და დაელოდოს მისთვის ხელსაყრელ მომენტს ხელშეკრულების დასაღებად.<sup>2</sup> აღნიშნულს ცხადყოფს სკ-ის 517-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება მხოლოდ ვალდებული პირის მიერ დადგენილ ვადაში. გარდა ამისა, ოფციისგან განსხვავებით, ვალდებულ პირს შეუძლია გაიხმოს უკან ოფერტი, ვიდრე უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირი განახორციელებს აქცეპტს, თუკი ვალდებულ პირსა და მესამე პირს შორის მიღწეული შეთანხმება გაუქმდება.<sup>3</sup> თუმცა მხარეები არ არიან შეზღუდული, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, შეთანხმდნენ უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობის იმგვარ წესზე, რომელიც აღნიშნულ უფლებას ოფციის დამახასიათებელ თვისებას მიანიჭებდა.<sup>4</sup> კერძოდ, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების საფუძველზე წინასწარვე განსაზღვრონ, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების ძალაში შესვლით უფლებამოსილ პირს წარმოემობა ოფცია, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, საკუთარი შეხედულებისამებრ გარკვეული ვადის განმავლობაში ისარგებლოს ან არ ისარგებლოს აღნიშნული უფლებით

---

<sup>1</sup> Naude T., The Rights and Remedies of the Holder of a Right of First Refusal or Preferential Right to Contract, South African Law Journal, Vol. 121, Issue 3, 2004, 636-658, 644-645.

<sup>2</sup> LIN Broadcasting Corp. v. Metromedia, Inc. (74 N.Y.2d 62), ნიუ-იორკის შტატის სააპელაციო სასამართლოს 1989 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება.

<sup>3</sup> Cipriano v Glen Cove Lodge #1458, B.P.O.E., 1 NY3d 53, 59, ნიუ-იორკის შტატის სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

<sup>4</sup> LIN Broadcasting Corp. v. Metromedia, Inc. (74 N.Y.2d 62), ნიუ-იორკის შტატის სააპელაციო სასამართლოს 1989 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება.

და გადაწყვიტოს ვალდებულ პირთან ხელშეკრულების დადების საკითხი.

## **V. ოფცია როგორც ფინანსური ინსტრუმენტი და მისი სამართლებრივი რეგულირება**

### **1. ოფცია როგორც ფასიანი ქალაქი**

შესყიდვის ან გაყიდვის ოფცია შესაძლებელია სტრუქტურირებული იქნეს ფასიანი ქალაქის სახით, რა შემთხვევაშიც მასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე დამატებით გავრცელებულია ფასიანი ქალაქების შესახებ კანონმდებლობა, კერძოდ, ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, ფასიანი ქალაქების ბაზრის მარეგულირებელი სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები. ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის 32-ე პუნქტის მიხედვით, ფასიანი ქალაქი (ფასიანი ქალაქები) განმარტებულია როგორც „მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებას შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქალაქების სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით) ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ ასეთების შექმნის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები“ (ხაზგასმა დამატებულია).

მაშასადამე, უფლება, რომელიც მის მფლობელს შესაძლებლობას აძლევს შეიძინოს წილობრივი, სასესხო ან სხვა ტიპის ფასიანი ქალაქი, შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, ფასიან ქალაქად, თუ აღნიშნული უფლება თავის მხრივ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, იმისათვის, რათა უფლება დაკვალიფიცირდეს ფასიან ქალაქად, იგი უნდა იყოს: 1) უნარიანი, მოუტანოს მის მფლობელს ფინანსური სარგებელი განხორციელებულ ინვესტიციაზე (ე.ი. უნდა წარმოადგენდეს საინვესტიციო ინსტრუმენტს); 2) თავისუფლად მიმოქცევადი (გასხვისებადი); და 3) საჯაროდ შეთავაზებადი (ე.ი. უნდა მიეკუთვნებოდეს ისეთი ინსტრუმენტების კატეგორი-

რიას, რომლებიც შეიძლება ივაჭრობოდეს კაპიტალის ბაზარზე. აღნიშნული, ძირითადად, იმით გამოიხატება, რომ ეს ინსტრუმენტი გვაროვნული ნიშნებით ხასიათდება და არის ჩანაცვლებადი<sup>1</sup>).<sup>2</sup>

ფასიანი ქალაქისათვის დამახასიათებელია, რომ იგი წარმოადგენს სახელშეკრულებო ან კორპორაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის (უფლება-მოვალეობების) განსხეულების, განივების ინსტრუმენტს, რის შედეგადაც რელატიური სამართალურთიერთობა (in personam) სანივთო უფლების ობიექტად (in rem) გარდაიქმნება და გამარტივებული ბრუნვის რეჟიმში ექცევა.<sup>3</sup> შესაბამისად, მხოლოდ ხელშეკრულება ფასიან ქალაქდზე ოფციის უფლების მინიჭების თაობაზე, ცალკე აღებული, არ ჩაითვლება ფასიან ქალაქად, თუ მას არ ახასიათებს ნივთების მსგავსი ბრუნვაუნარიანობა და არ აკმაყოფილებს ზემოთ დასახელებულ კრიტერიუმებს.

პრაქტიკაში გავრცელებულია ე.წ. სააქციო ოფციონები (stock options), რომლებიც მის მფლობელს (ინვესტორს) აძლევს უფლებას, დათქმულ ვადაში ან განსაზღვრული პირობის დადგომისას წინასწარ დადგენილ ფასად შეიძინოს ფასიანი ქალაქდები კონტრაქტისაგან. სააქციო ოფციონის ემიტენტი უმეტესწილად თავად აქციების ემიტენტი კომპანიაა, რომელსაც შეუძლია ინვესტორის წინაშე ოფციით ნაკისრი

---

<sup>1</sup> Legal qualification of crypto-assets – survey to NCAs, ევროპის ფასიანი ქალაქდებისა და ბაზრების კომისია (ESMA), ESMA50-157-1384, 4-5.

<sup>2</sup> ამ საკითხზე ვრცლად იხ. ჯიბუტი მ., ყორანაშვილი ქ., „ფასიანი ქალაქდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2004, 47-48; ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010, 261-266; აღსანიშნავია, რომ, ევროპის კავშირის კომისიის განმარტებით, „ფასიანი ქალაქდის“ ცნების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად ითვლება ფასიანი ქალაქდის უნარი, იქნეს თავისუფლად გასხვისებული და შეიძლებოდეს მისი ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე. იხ. Questions and Answers on Markets in Financial Instruments Directive, European Commission, 22, <[https://ec.europa.eu/info/files/mifid-2004-0039-commission-questions-answers\\_en](https://ec.europa.eu/info/files/mifid-2004-0039-commission-questions-answers_en)> [30.09.2020].

<sup>3</sup> ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010, 257-258; Paech P., Cross-border issues of securities law: European efforts to support securities markets with a coherent legal framework (Briefing Note), IPA/ECON/NT/2011-09, 2011, 9.

ვალდებულება შეასრულოს მეორად ბაზარზე<sup>1</sup> შეძენილი ან ახლად გამოშვებული აქციების ინვესტორისათვის დათქმულ ფასად მიყიდვით.<sup>2</sup> საკმაოდ ხშირად ასეთი ოფციები დაშვებულია სავაჭროდ ისეთ ორგანიზებულ სავაჭრო პლატფორმაზე, როგორცაა საფონდო ბირჟა და მათი შეძენა შეუძლია ნებისმიერ ინვესტორს საფონდო ბირჟის წევრი ფინანსური ინსტიტუტის (როგორც წესი, საბროკერო კომპანია) საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ ოფციის შეძენისას მყიდველის მიერ გადახდილი პრემია დარჩება ემიტენტის შემოსავლად, თუკი ოფციის მოქმედების პერიოდში აქციის საბაზრო ფასი არ გადააჭარბებს ოფციის პირობებით განსაზღვრულ შესყიდვის ფასს (strike price) და ინვესტორი აღარ მოითხოვს აქციების შესყიდვას. და, პირიქით, თუკი, აქციაზე ფასის ზრდის პირობებში, ინვესტორი მოახდენს ოფციის რეალიზაციას, კომპანიას მოუწევს შემძენისათვის საბაზრო ფასზე ნაკლებ ფასად აქციების გადაცემა, რის გამოც ემიტენტი თავად შეიძლება დარჩეს ფინანსურად წაგებაში.<sup>3</sup>

ფასიან ქალაქობად კვალიფიცირებული ოფციების შეთავაზებისას და მათთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს „ფასიანი ქალაქობების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები ფასიანი ქალაქობების საჯარო შეთავაზებისა და ვაჭრობის შესახებ. კერძოდ, აკრძალულია საქართველოში ფასიანი ქალაქობების საჯარო შეთავაზება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მოთხოვნათა დაცვით მომზადებული და დამტკიცებული ემისიის პროსპექტ-

---

<sup>1</sup> იგულისხმება საფონდო ბირჟა, სადაც სავაჭროდაა დაშვებული კომპანიის აქციები, ან არასაბირჟო (over-the-counter) ბაზარი.

<sup>2</sup> European Commission Enterprise Directorate General, Employee Stock Options (The legal and administrative environment for Employee Stock Options in the EU), Final Report of the Expert Group, June 2003, 37.

<sup>3</sup> ჯიბუტი მ., ყორანაშვილი ქ., „ფასიანი ქალაქობების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2004, 51-52.

ტის გამოქვეყნების გარეშე („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი).<sup>1</sup> აგრეთვე, საშუამავლო ან/და საკონსულტაციო საქმიანობა ასეთ ოფციებთან დაკავშირებით ჩათვლება რეგულირებად საქმიანობად, რისთვისაც აუცილებელია საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის აღება („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, ფასიან ქაღალდად არ უნდა ჩითვალოს ისეთი სააქციო ოფციონი, რომლის მესამე პირზე გასხვისებაც ებღუდება ინვესტორს და, შესაბამისად, მხოლოდ პირველადი შემქმნი შეიძლება იყოს მისი განმახორციელებელი. ასეთი თვისების მატარებელია, მაგალითად, დასაქმებულთათვის განკუთვნილი სააქციო ოფციონები (employee stock options), რომლებსაც იყენებენ კომპანიები პრაქტიკაში დასაქმებულთა ანაზღაურებისა და სტიმულირების მიზნით. როგორც წესი, დასაქმებულს ეკრძალება ასეთი ოფციის გასხვისება და შეუძლია მისი გამოყენება მხოლოდ იმ პირობით, რომ შესაბამისი ვადის დადგომისას კვლავაც იქნება სანარმოში დასაქმებული. ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, ფასიანი ქაღალდის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს მისი თავისუფალი ბრუნვაუნარიანობა წარმოადგენს, ასეთი ოფცია არ მიიჩნევა ფასიან ქაღალდად და მასზე არ გავრცელდება საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.<sup>2</sup>

## 2. ოფცია როგორც დერივატივი

შესყიდვის ან გაყიდვის ოფცია, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, ასევე, დაკვალიფიცირდეს როგორც წარმოებული ინსტრუმენტი

---

<sup>1</sup> საჯარო შეთავაზებად ითვლება წინადადება არანაკლებ 100 გაუთვითცნობიერებელი ინვესტორისათვის ან წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობის პირთათვის ემიტენტის სახელით ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ან არაპირდაპირი მიყიდვის შესახებ. იხ. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტები.

<sup>2</sup> Questions and Answers on the Prospectus Regulation, ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების კომისია (ESMA), ESMA/2019/ESMA31-62-1258, Version 3, 26.

(დერივატივი), რომელზეც საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად დამატებით გავრცელდება საქართველოს კანონი ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ (შემდგომში წინამდებარე ქვეთავის მიზნებისათვის მოხსენიებული როგორც - კანონი). საგულისხმოა, რომ ამ კანონით შემოთავაზებულია ოფციის (ოფციონის) სპეციალური ცნება, რომლის თანახმადაც ოფცია (ოფციონი) არის „დერივატივი, რომელიც შეიძლება დაიდოს როგორც ორგანიზებულ ბაზარზე, ისე არაორგანიზებულ ბაზარზე და რომლის მიხედვით, ერთი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში მომავალში მიჰყიდოს მას საბაზისო აქტივი<sup>1</sup> (გასხვისების ოფცია) ან იყიდოს მისგან საბაზისო აქტივი (შეძენის ოფცია) იმ ფასად და პირობებით, რომელთაც მხარეები გარიგების დადების მომენტში განსაზღვრავენ. ოფციონი შეიძლება გულისხმობდეს ერთი მხარის ვალდებულებას, გადაუხადოს მეორე მხარეს გარკვეული თანხა (საზღაური) ოფციონის უფლების განხორციელების სანაცვლოდ (პრემიუმი)“ (კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი).

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, დერივატივის ერთ-ერთი მონაწილე მაინც უნდა იყოს კვალიფიციური კონტრაჰენტი, კერძოდ, საჯარო დანესებულება, საქართველოს ეროვნული ბანკი, უცხოური ცენტრალური ბანკი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, ადგილობრივი ან უცხოური ფინანსური ინსტიტუტი, საინვესტიციო ფონდი, ცენტრალური კონტრაჰენტი, ანგარიშსწორების აგენტი ან საკლირინგო დანესებულება. ამ შემთხვევის სანადალმდეგოდ დადებული დერივატივი, სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიული ძალის არმქონე და ბათილი იქნება. ამასთან, კვალიფიციური კონტრაჰენტი ვალდებულია ხელშეკრულების მეორე მხარეს, რომელიც არ არის კვალიფიციური

---

<sup>1</sup> ფინანსური ინსტრუმენტი, რეალური საქონელი (ე.ი. გვაროვნული მოძრავი ნივთი, რომლის მიწოდება შესაძლებელია ყიდვითა და გაყიდვით, ბითუმად, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და რომელსაც აქვს შესაბამისი სასაქონლო თვისებები - კანონის მე-2 მუხლის „პ<sup>12</sup>“ ქვეპუნქტი), ეროვნული ვალუტა, უცხოური ვალუტა, ფულადი სახის მოთხოვნის უფლება (კანონის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი).



კონტრაპენტი, განუცხადოს და აუხსნას დერივატივთან დაკავშირებული რისკები და საფრთხეები (კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი).

რასაკვირველია, ყველა სახის ოფცია არ ექცევა ზემოხსენებული შებლუდვის ფარგლებში. კანონი ვრცელდება მხოლოდ ისეთ ოფციაზე, რომელიც დერივატივია და რომლის საბაზისო აქტივი არის ფინანსური ინსტრუმენტი (მათ შორის, ფასიანი ქაღალდები), რეალური საქონელი (შესაბამისი მახასიათებლების მქონე გვაროვნული მოძრავი ნივთები), ეროვნული ვალუტა, უცხოური ვალუტა ან ფულადი სახის მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ დადებულია ოფცია სკ-ის 515-ე მუხლის გაგებით, საკმარისი არ არის კანონის გაგებით მისი ოფციონად კვალიფიკაციისათვის.

კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დერივატივი განმარტებულია როგორც „კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულება, რომლის ღირებულება და ფულადი ნაკადები, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დამოკიდებულია საბაზისო აქტივზე ან საბაზისო მაჩვენებელზე და რომელიც ითვალისწინებს ანგარიშსწორებას რეალური მიწოდების განხორციელებით ან ფულადი ანგარიშსწორებით<sup>1</sup> [...]“. თავის მხრივ, კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულება არის „ნებისმიერი ფინანსური შეთანხმება, ხელშეკრულება ან გარიგება [...], რომელიც ექვემდებარება ურთიერთგაქვითვის შეთანხმებას<sup>2</sup> და რომლის მიხედვით, ამ

---

<sup>1</sup> გასხვისების ან შეძენის ოფციის განხორციელებისას, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს ანგარიშსწორებას (შესრულებას) რეალური მიწოდებით, რაც გულისხმობს საბაზისო აქტივის მყიდველისათვის მიწოდებას წინასწარ შეთანხმებული პირობებით. თუმცა მხარეებს აგრეთვე შეუძლიათ რეალური მიწოდების ალტერნატივად შეთანხმდნენ ფულად ანგარიშსწორებაზე, რა შემთხვევაშიც ოფციის მფლობელის არჩევანზე იქნება დამოკიდებული, აქტივის რეალურ მიწოდებას მოითხოვს თუ საბაზრო პირობების შეცვლით გამოწვეული ფასთა შორის სხვაობის ანაზღაურებას.

<sup>2</sup> „ორ მხარეს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც მხარეებს ანიჭებს ამ შეთანხმების (ურთიერთგაქვითვის ჩარჩოშეთანხმება) ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით დადებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არსებული ან/და სამომავლო

ხელშეკრულებით წარმოშობილი გადახდის ან მიწოდების ვალდებულება განსაზღვრულ დროს ან განსაზღვრულ პერიოდში უნდა შესრულდეს და შეიძლება რაიმე პირობაზე ან შემთხვევითობაზე იყოს დამოკიდებული“. მაშასადამე, თუ დერივატივი (მათ შორის, ოფციონი), არ ექვემდებარება ან არ ითვალისწინებს შეთანხმებას ურთიერთგაქვითვის თაობაზე, იგი არ მოექცევა კანონის რეგულირების სფეროში.<sup>1</sup>

გარდა ამისა, კანონის თანახმად, გარიგება არ მიიჩნევა დერივატივად, თუ იგი არის ნასყიდობის ხელშეკრულება (მათ შორის, მიწოდების ხელშეკრულება) და არ აკონკრეტებს, რომ ის არის დერივატივი, აგრეთვე, გარიგების პირობების შესაბამისად, ვალდებულების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საბაზისო აქტივის მიწოდებით (მიღებით) და გარიგება არ ითვალისწინებს ვალდებულების შესრულებას ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის მხოლოდ ფულადი ანგარაშნორებით ვალდებულების შესრულების მომენტში საბაზისო აქტივის ფასის შესაბამისად (იხ. კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

---

მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან/და საბოლოო ურთიერთგაქვითვის უფლებას“ (კანონის მე-2 მუხლის „ნ.ა“ ქვეპუნქტი).

<sup>1</sup> გაუგებარია, რა მოტივით დაუკავშირა კანონმდებელმა კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულების და, მათ შორის, დერივატივის განსაზღვრება ურთიერთგაქვითვის შეთანხმებას. კერძოდ, პრობლემას წარმოშობს კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულების კანონისეული დეფინიცია, რომელიც უთითებს, რომ კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულება ურთიერთგაქვითვის შეთანხმებას უნდა ექვემდებარებოდეს. აღსანიშნავია, რომ, თავისი არსით, ურთიერთგაქვითვის შეთანხმება დამოუკიდებელ სახელშეკრულებო ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც მხარეებს კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულებ(ებ)იდან (მაგ., დერივატივი, ფასიანი ქაღალდების სესხება, რეპო და სხვ. ტიპის გარიგებები) გამომდინარე საკრედიტო რისკების შემცირების შესაძლებლობას აძლევს. თუმცა კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულება (მათ შორის, დერივატივი) შეიძლება დაიდოს აღნიშნული დაზღვევის მექანიზმის გარეშე, რაც, ასევე, დასტურდება სვოპებისა და დერივატივების საერთაშორისო ასოციაციის (ISDA) მიერ შემუშავებული მოდელური ნეტინგის კანონით (Model Netting Act) შემოთავაზებული კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულების დეფინიციით, რომლითაც ქართველმა კანონმდებელმა სხვა მხრივ ისარგებლა.

საფიქრებელია, ჩაითვლება თუ არა შესყიდვის ან გაყიდვის ოფციის ხელშეკრულება, რომელიც ანგარიშსწორების ფორმად ითვალისწინებს მხოლოდ რეალურ მიწოდებას, ზემოთ აღწერილი ტიპის ნასყიდობის ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მოექცევა თუ არა იგი კანონის მოქმედების სფეროს მიღმა. როგორც უკვე აღინიშნა, ოფცია ქონების ნასყიდობაზე და თავად ნასყიდობა ერთმანეთისაგან გამიჯნული სახელშეკრულებო კონსტრუქციებია. ოფციის დადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნასყიდობის ან მიწოდების ხელშეკრულების (ძირითადი ხელშეკრულება) დადებას მხარეთა შორის; ოფცია წარმოშობს არა საბაზისო აქტივის მიწოდების, არამედ საბაზისო აქტივზე ხელშეკრულების დადების უშუალო სამართლებრივ საფუძველს. აქედან გამომდინარე, თუ დავეყრდნობით ნორმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოფციონი, რომელიც ანგარიშსწორების ფორმად ითვალისწინებს მხოლოდ რეალურ მიწოდებას, არ გამოირიცხება კანონის მოქმედების სფეროდან.<sup>1</sup>

და ბოლოს, შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რა ურთიერთმიმართებაა ოფციას როგორც დერივატივსა და ოფციას როგორც ფასიან ქალაქს შორის და გამოირიცხავს თუ არა ერთი მეორეს. ამ თვალსაზრისით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, განსხვავებით ფასიანი ქალაქისგან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინსტრუმენტის დერივატივად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია ამ ინსტრუმენტზე ურთიერთგაქვითვის შეთანხმების გავრცელების შემდგარი ფაქტი. მსგავსი მოთხოვნის წაყენება, ფასიანი ქალაქის შემთხვევაში, დამკვიდრებული საბაზრო პრაქტიკიდან გამომდინარე, ნაკლებად რელევანტურია. აგრეთვე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დერივატივი, რომელიც ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ საქართველოს კანონით რეგულირდება, თავისი არსით, მხარეთა

---

<sup>1</sup> თუმცა შესაძლებელია პარალელური არგუმენტის განვითარებაც იმის თაობაზე, რომ, კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ნასყიდობის (მიწოდების) ხელშეკრულება აგრეთვე მოიაზრებს შესყიდვის/გაყიდვის ოფციას, რომლის საგანიცაა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება (მდრ. აგრეთვე ზემოთ მითითებული საქმე ინგლისური სასამართლო პრაქტიკიდან - Spiro v Glencrown Properties Ltd [1991] Ch 537, 21-ე შენიშვნა).

შორის დადებული ხელშეკრულებაა და იგი არ ატარებს ფასიანი ქალაქისათვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებს, რომლებზეც ზემოთ ქვეთავში იყო საუბარი. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში დერივატივიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა მესამე პირებზე მკაცრად შეზღუდულია თავად დერივატივის პირობებით, რაც გამორიცხავს მის თავისუფლად მიმოქცევადობას. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფასიანი ქალაქისათვის დამახასიათებელია გვაროვნულობა, რასაც ვერ ვიტყვით დერივატივზე, რომელიც მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებულ პირობებს ეფუძნება და, ამდენად, თავისი არსით უნიკალურია. აღნიშნულის გათვალისწინებით, *de lege ferenda*, მიზანშეწონილი იქნებოდა, კანონშივე გაკეთებულიყო პირდაპირი დათქმა იმის თაობაზე, რომ ხსენებული კანონის მოქმედების სფეროდან გამოირიცხება ისეთი დერივატივი, რომელიც წარმოადგენს ფასიან ქალაქს და, ამდენად, რეგულირდება ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

## დასკვნა

წინამდებარე სტატიის ფარგლებში ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ოფციასთან და გამოსყიდვასთან დაკავშირებით ქართულ სამართლებრივ სივრცეში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად დამუშავებული რიგი სამართლებრივი საკითხები და პრობლემები, რაც აუცილებელს ხდის ამ კუთხით საფუძვლიანი კვლევის განხორციელებას. სწორედ ამიტომაც, სტატიის მიზანი გახლდათ, კრიტიკულად ყოფილიყო განხილული და შეფასებული ყველა ის მნიშვნელოვანი დასკვნა თუ მოსაზრება, რომლებიც შეეხება ოფციისა და გამოსყიდვის ინსტიტუტებს, კერძოდ, მათ სამართლებრივ ბუნებასა და დანიშნულებას კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, აგრეთვე მათი ურთიერთგამიჯნის თემატიკას. აღსანიშნავია, რომ, სტატიაში შემოთავაზებული პოზიციის თანახმად, გამოსყიდვა წარმოადგენს ოფციის ერთ-ერთ სპეციალურ სახეს, რამაც შესაძლებელი გახდა ერთიან ჭრილში ამ ორი ინსტიტუტის დახასიათება.

ოფცია და გამოსყიდვა, როგორც საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი, სტატიაში გაანალიზებულ იქნა კონტექსტუალურად,

სხვა სამართლებრივ ისტიტუტებთან კავშირში. ამ თვალსაზრისით, ხაზგასასმელია წინამდებარე სტატიაში განვითარებული მსჯელობა, ერთი მხრივ, ოფციის მომწესრიგებელი ჩარჩოსა და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების დადების მარეგულირებელი ნორმების ურთიერთკავშირის შესახებ. სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს სტატიაში წარმოდგენილი არგუმენტაცია ვალდებული პირის მიერ ოფციის/გამოსყიდვის პირობის დარღვევით დადებული გარიგების სამართლებრივ ბედთან და კეთილსინდისიერი შემძენის დაცვასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, სტატიაში გამახვილებული იქნა ყურადღება იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევაში შეიძლება გავრცელდეს ოფციაზე ფასიანი ქალაქებისა და წარმოებული ინსტრუმენტების (დერივატივების) მარეგულირებელი კანონმდებლობა. თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ფინანსურ ბაზრებზე ოფცია საკმაოდ გავრცელებულ სავაჭრო ინსტრუმენტს წარმოადგენს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ ასპექტში ოფციის ირგვლივ სტატიაში წარმართული სამართლებრივი მსჯელობა და გაკეთებული დაკვირვებები.

დასკვნის სახით, უნდა აღვნიშნოთ, რომ, კერძოსამართლებრივი ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ, კიდევ უფრო გაძლიერდება ინტერესი ოფციისა და გამოსყიდვის ისტიტუტებთან მიმართებით. წინამდებარე სტატიის ავტორი იმედოვნებს, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მომავალშიც გავრძელდება კვლევა ზემოთ განხილული საკითხების ირგვლივ, რაც დაეხმარება ამ თემით დაინტერესებულ როგორც პრაქტიკოსს, ისე თეორეტიკოსს იურისტებს, თუ სხვა პირებს.

**სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტების გაუქმება,  
ძალდაპარგულად გამოცხადება საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს სამართალწარმოებაში**

**გივი ლუაშვილი\***

**შესავალი**

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სიძლიერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, როგორ რეგულაციებს ითვალისწინებს საკონსტიტუციო კონტროლის პროცესში მოპასუხის მხრიდან სპეკულირების თავიდან ასაცილებლად. ამის მიზეზი კი, ის გახლავთ, რომ უსაფუძვლოდ გაჭიანურებული ან თავიდანვე უპერსპექტივო საკონსტიტუციო კონტროლი არ იზიდავს პოტენციურ საკონსტიტუციო სარჩელის წარმდგენებს. ყველასთვის, პრიორიტეტული და სასურველია ისეთი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი სადაც ფართოა მართლმსაჯულების შესაძლებლობები, ხოლო პროცესზე უსაფუძვლო ცალმხრივი გავლენების შესაძლებლობა კი, დაყვანილია მინიმუმამდე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტების გაუქმების საკითხი.

მოცემულ საკითხზე მსჯელობა, აუცილებლად უნდა გავყოთ ორ ნაწილად, რადგან თავად საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება, მოცემულ პროცესუალურ საკითხს, ორ სტადიად ყოფს. პირველი ეხება შემთხვევას, როდესაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება ხდება კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის მიღებამდე,<sup>1</sup> ხოლო მეორე ეხება შემთხვევას, როდესაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება ხდება კონსტიტუციური სარჩელის არსებითი

---

\* სამართლის დოქტორი (თსუ), იროლიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის (ისსი) საკონსტიტუციო სამართლის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, უფროსი მკვლევარი, ადვოკატი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

განხილვის შემდეგ<sup>1</sup>. ეს ორი შემთხვევა განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველის დროს საკონსტიტუციო სამართალწარმოება უაპელაციოდ წყდება და კონსტიტუციური სარჩელის განხილვის არავითარი შესაძლებლობა აღარ არსებობს, ხოლო მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია საქმის განხილვის გაგრძელება.

## **1. სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებამდე**

საკონსტიტუციო სამართალწარმოება თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, მოითხოვს გარკვეულ დროს, რომლის განმავლობაშიც, შესაძლებელია ბევრი რამ შეიცვალოს, მათ შორის, გაუქმდეს სადავო ნორმა. ეს კი, სამართალწარმოების პროცესში, მნიშვნელოვანი პროცესუალური მოვლენაა, რომელიც კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის დონეზე, სწორ რეგულირებას საჭიროებს. მსგავსი შემთხვევები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში, მისი დაარსების აღრინდელი პერიოდიდანვე გამოვლინდა,<sup>2</sup> რაც ავტომატურად საქმისწარმოების შეწყვეტას ნიშნავდა.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო ნორმის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის საკითხს ანესრიგებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტები, რომელთა მიხედვითაც:<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 14 აგვისტოს N1/15/38 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ბრაცლავსკი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

<sup>3</sup> 2018 წლის 27 ივლისამდე მოცემული ნორმები თავმოყრილი იყო საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2, მე-6 პუნქტებში. ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა მოცემული ნორმების გარშემო განვითარდა, ამიტომ ტექსტის იმ ნაწილში, სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაა მოხმობილი, გამოყენებული იქნება საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-13

- „...საქმის განხილვის მომენტისათვის, სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ (მე-2 პუნქტი);
- „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“ (მე-7 პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის ჩანაწერი 2002 წლის 12 თებერვლიდან გაჩნდა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. მანამდე კი, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე სადავო აქტის გაუქმება (ცვლილება) ავტომატურად ნიშნავდა საქმისწარმოების შეწყვეტას.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, ხშირია შემთხვევა, როდესაც სადავო ნორმატიული აქტი საქმის განხილვის პროცესში წყვეტს მოქმედებას, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მისი გაუქმების ან გარკვეული ცვლილებების შეტანის გამო. საინტერესოა, თუ რა სტანდარტს აწესებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საქმის განხილვისას სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის გაუქმების დასადგენად. ამ კუთხით, მნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა ე.წ.

---

მუხლის მე-2, მე-6 პუნქტები, რაც თავის თავში მოიაზრებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 მე-7 პუნქტს.



„გამომცემლების საქმე“<sup>1</sup>, რომელშიც, განხილვის პროცესში, საქმის არსებითად განსახილველად მიღებამდე, სადავოდ გამხდარ ნორმაში განხორციელდა ცვლილებები, რამაც „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გამოიწვია საქმის შეწყვეტა, რის გამოც საქმე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ განიხილა.

„გამომცემლების საქმეზე“ მოსარჩევეები სადავოდ ხდიდნენ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/6 ბრძანების რიგ ნორმებს, რომლითაც, მოსარჩევეების აზრით, ხდებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე (დღეს მოქმედი რედაქციით მე-19 მუხლი) მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის და 23-ე (დღეს მოქმედი რედაქციით მე-20 მუხლი) მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების დარღვევა. მოსარჩევეების პოზიციით სადავოდ გამხდარი ნორმები არღვევდა კონსტიტუციის დასახელებული მუხლებს, როგორც შინაარსობრივი, ასევე, ფორმალური თვალსაზრისითაც. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას შეძენილი ჰქონდა პოლიტიკური ელფერი, რადგანაც არსებობდა საზოგადოებაში გაბატონებული მოსაზრება, რომ საქართველოს განათლების სამინისტრომ გარკვეული პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე დაუდგინა სადავო შეზღუდვები გამომცემლობებს, რომლებიც გამოსცემდნენ სასკოლო სახელმძღვანელოებს. აქედან გამომდინარე, ასევე, არსებობდა მოსაზრება, რომ ზემოთ დასახელებული გარემოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქცევდა პოლიტიკური გენოლის ქვეშ.

„გამომცემლების საქმეზე“ განმწესრიგებელი სხდომის გამართვამდე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

ნლის 6 სექტემბრის №129/6 ბრძანებით, რიგი ცვლილებები განხორციელდა სადავო ნორმებში. ცვლილების მიხედვით გრიფის მინიჭების ადმინისტრირებას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ნაცვლად ახორციელებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. შესაბამისად, ტერმინი „ცენტრი“ ჩანაცვლდა ტერმინით „სამინისტრო“. ამასთანავე, სიტყვები „შემთანხმებელი კომისია“ ჩანაცვლდა სიტყვებით „გრიფირების კომისია“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო აქტში მოცემული ცვლილებები მიიჩნია სადავოდ გამხდარი ნორმების გაუქმებად შემდეგი დასაბუთებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად „საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა, გარდა ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას“. შემდეგ მან აღნიშნა, რომ მისი შეფასების საგანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 6 სექტემბრის №129/6 ბრძანებით სადავოდ გამხდარ ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებები უნდა ჩათვლოს თუ არა სადავო ნორმების ძალადაკარგულობის ფაქტად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ნორმატიული აქტი ძალას კარგავს, თუ: „მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს“ და აღნიშნა, რომ „მოცემულ შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 6 სექტემბრის №129/6 ბრძანებით სადავო ნორმები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. შესაბამისად, სადავო ნორმებმა, რომლებიც სარჩელის შემოტანის მომენტში არსებობდნენ, შეწყვეტეს მოქმედება და მათი ჩანაცვლება მოხდა სხვა, მოქმედი ნორმებით. ...ნორმის ახლებურად ჩამოყალიბება ძველი ნორმის ძალადაკარგულად ცნობას თავისთავად გულისხმობს. ცვლილებების შესახებ ამა თუ იმ კანონში ან სხვა აქტში

გამოყენებული განსხვავებული ტერმინები: „ამოღებულ იქნეს“, „გამოცხადდეს ძალადაკარგულად“ ან „ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით“, შესაცვლელი ნორმის მიმართ ერთი და იმავე შედეგს აყენებს - თითოეულ შემთხვევაში ძალას კარგავს ნორმის ძველი რედაქცია და წყვეტს მოქმედებას მისი შეცვლის შემდეგ წარმოშობილი ურთიერთობებისათვის“.<sup>1</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განჩინების სამოტივაციო ნაწილში, აღნიშნავს, რომ „სადავო ნორმის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებამ, შესაძლოა, განსხვავებული სამართლებრივი მოცემულობები წარმოშვას. მისი გასაჩივრებული შინაარსი, შეიძლება მნიშვნელოვნად, უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ შეიცვალოს. თუმცა, ნორმის ძველი, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის დროისთვის მოქმედი რედაქცია, ყველა შემთხვევაში ძალადაკარგულად ითვლება. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად მიღების მომენტამდე, სადავო ნორმის გაუქმების ან ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს არ ენიჭება უფლებამოსილება, შეათვასოს რა ხარისხის ცვლილება განიცადა ნორმის გასაჩივრებულმა რედაქციამ“. სასამართლო აღნიშნავს, რომ აშკარაა, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომ სამართალწარმოების შესაწყვეტად, საკმარისია, სადავო ნორმის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი გაუქმების, ძალადაკარგულად ცნობის ფაქტი“<sup>2</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით აქვე უნდა ითქვას, რომ დასახელებული ნორმის<sup>3</sup> ცალსახა მოთხოვნაა სადავო ნორმატიული აქტების „გაუქმება“ ან „ძალადაკარგულად ცნობა“. მოცემული ნორმები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უტოვებენ შესაფასებლად, განხორციელებული ცვლილებები ნიშნავს თუ არა სადავოდ

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იხ. იქვე.

<sup>3</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველო საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996.

გამხდარი ნორმატიული აქტების „გაუქმებას“ ან „ძალადაკარგულად ცნობას“, რადგანაც მოცემული მუხლი და არც სხვა, რომელიმე მუხლი არ განსაზღვრავს აღნიშნულ სტანდარტს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზე და სწორედ მან უნდა დაადგინოს აღნიშნული სტანდარტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე, გამოიყენა პიპოთეტური არგუმენტაციის მეთოდი, რომლის მიხედვითაც „სადავო ნორმაში ცვლილების შეტანის შემდეგ, მსგავსი შინაარსის შემცველი ქცევის წესი შეიძლება ჩამოყალიბდეს გასაჩივრებული მუხლის (ნაწილის, პუნქტის) ახალ რედაქციაში, იმავე კანონის სხვა ნორმაში ან სულაც სხვა კანონში. უფრო მეტიც, სადავო წესმა შეიძლება ასახვა პოვოს სხვა ორგანოს მიერ გამოცემულ აქტში. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება მის ძალადაკარგულად ცნობას არ ნიშნავს იმდენად, რამდენადაც დავის საგნად განხილული უნდა იყოს არა ნორმის კონკრეტული რედაქციის, არამედ მასში მოცემული წესის კონსტიტუციურობა, მაშინ იგი უფლებამოსილი იქნება, ყოველ ჯერზე, საქმის განხილვის მომენტისთვის გასაჩივრებული ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, გააანალიზოს მთლიანად, კანონმდებლობა, რათა საქმის შეწყვეტის შესაძლებლობისთვის, გამორიცხოს ძალადაკარგულად ცნობილი ნორმით გათვალისწინებული ქცევის წესის რომელიმე ნორმატიულ აქტში არსებობა. კანონმდებლობაში ასეთი ქცევის წესის აღმოჩენის შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განიხილოს სწორედ ამ ნორმის კონსტიტუციურობა. მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ ძალადაკარგული ნორმის შინაარსმა ასახვა პოვოვა სხვა ორგანოს აქტში, საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს საქმის განხილვაში მოპასუხედ იმ ორგანოს ჩართვა, რომელიც სარჩელში ასეთად არ არის მითითებული, რისი უფლებამოსილებაც მას ასევე არა აქვს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობით“.<sup>1</sup> ეს არგუმენტაცია გასაგებია, მაგრამ ასეთი

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს

განზოგადება მიუღებელია, რადგანაც საქართველოში მოქმედებს კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლი.<sup>1</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული საკონსტიტუციო სამართალწარმოება ინდივიდუალურია, აქვს თავისი კონკრეტული საწყისი და რიგი თავისებურებები. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ზოგადი არგუმენტების გამო, რომელიც საერთოდ არ მიესადაგება კონკრეტულ შემთხვევას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც უნდა იმოქმედოს. სტანდარტი კი, კონკრეტულ კრიტერიუმებს გულისხმობს, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში საკითხი გადაწყდება დადებითად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, პირიქით.

მოცემულ საქმეს,<sup>2</sup> ასევე, დაერთო, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრის ავტორი, თავიდანვე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი უნდა განიმარტოს მისი მიზანმიმართულობის და მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული სამართლებრივი ნორმის ნორმატიული შინაარსის გათვალისწინებით. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზანია, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი მოქმედი

---

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

<sup>1</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სალოქტორო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008, 28.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

სამართლებრივი ნორმების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებისას, უზრუნველყოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ეფექტიანობა და ეკონომიურობა. ძალადაკარგულ ან გაუქმებულ ნორმაზე მსჯელობა, კანონით განსაზღვრული გამონაკლისის გარდა, არ ემსახურება საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებს. ამგვარად, ხსენებულ ნორმაში ტერმინები „ძალადაკარგულად გამოცხადება ან გაუქმება“ უნდა განიმარტოს იმის გათვალისწინებით, თუ რა ნორმატიული შინაარსის გამომხატველია სადავო ნორმა მასში განხორციელებული ცვლილების შემდეგ“.<sup>1</sup>

განსხვავებულ აზრში მითითებულია, რომ სადავო აქტი „ძალადაკარგულია“ ან „გაუქმებულია“ მაშინ, როდესაც ის აღარ არსებობს იმ ნორმატიული შინაარსით, რა შინაარსითაც მოსარჩელე სადავოდ ხდის მას. „სადავო ნორმაში განხორციელებული ყველა სახის ცვლილება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს სასამართლოში საქმის შეწყვეტას და თითოეული საქმის შეფასება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, იმის გათვალისწინებით, უფლებამოსილი სუბიექტის მიერ შეცვლილი თუ რედაქტირებული სადავო ნორმა ინარჩუნებს თუ არა იმავე ნორმატიულ შინაარსს“.<sup>2</sup> განსხვავებული აზრის მქონე წევრი მიუთითებს, რომ სამართლებრივ ნორმაში შეტანილი ყოველგვარი ცვლილება (მაგალითად, რედაქციული ცვლილება) არ ნიშნავს მის ძალადაკარგულობას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ძალადაკარგულია აქტი, როდესაც მისი შემდგომში არსებობის ინტერესი არ არსებობს ან მისი სამართლებრივი შინაარსი ან ფაქტობრივი შემადგენლობა შეიცვალა იმგვარად, რომ ის უკვე შეცვლამდე არსებული მდგომარეობით სახეზე არ გვაქვს (ძალადაკარგულია). ნორმაში რედაქციული ცვლილების შეტანა

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მაია კოპალიევილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინებაზე საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

<sup>2</sup> იხ. იქვე.

კი, ჯერ კიდევ არ მიუთითებს მის ძალადაკარგულობაზე. სხვა შემთხვევაში, როდესაც მკაფიოა, რომ შეტანილი ცვლილების შედეგად, სადავო აქტის ნორმატიული შინაარსი, არსებითად არ შეცვლილა და მოსარჩელეზე ცვლილება შეტანილი ნორმის მოქმედების ეფექტი იგივეა, რაც სადავო ნორმაში ცვლილების შეტანამდე იყო, სადავო ნორმაში მხოლოდ ცვლილების არსებობის საბაბით არ უნდა შეიქმნას დაბრკოლება იმისათვის, რომ სასამართლომ იმსჯელოს ამ სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე“.<sup>1</sup>

განსხვავებულ აზრში პასუხია გაცემული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოყვანილ ზოგად საფრთხეზე. კერძოდ, თუ სასამართლო სადავო ნორმატიული აქტის ცვლილების შემდეგ კვლავ განაგრძობს საქმის განხილვას, სასამართლოს მთელი კანონმდებლობის გაანალიზება მოუწევს, კონკრეტული ქცევის წესის რომელიმე სამართლებრივ აქტში აღმოსაჩენად. განსხვავებული აზრის მქონე წევრი სასამართლოს მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „სასამართლო წყვეტს პრობლემას და თუ ის სხვა ნორმებშიც მეორდება, ამ ნორმებს სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად ეცლება ნორმატიული შინაარსი. შესაბამისად, კანონმდებლობაში იდენტური შინაარსის და პრობლემის გამომწვევი ნორმის (ნორმების) შენარჩუნების შემთხვევაში, ის გადაწყვეტილების უგულებელმყოფელ და დამძლევ ნორმად ჩაითვლება“.<sup>2</sup> შესაბამისად, სასამართლოს მიერ დასახელებული შიში უსაფუძვლოა, რადგან მას მსგავსი ვალდებულება არ გააჩნია და, თუ შემდგომ ასეთი გარემოება გამოვლინდა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს სათანადო ბერკეტები მის აღმოსაფხვრელად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მოიძებნება ისეთი საქმეები, სადაც სადავო ნორმაში შესული ტექნიკური თუ რედაქციული ცვლილების გამო, სასამართლომ შეწყვიტა საკონსტიტუ-

---

<sup>1</sup> იხ. იქვე.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ციო სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე. მსგავს საქმეებს განეკუთვნება „სანიკიძე, ხუციშვილი“<sup>41</sup> და „ართქმელაძე, ციცივიძის“<sup>42</sup> საქმეები. პირველ შემთხვევაში, სადავო, გამხდარი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-14 ნაწილი, რომელიც აწესრიგებდა სასამართლო პროცესზე ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურულ წესს. კერძოდ, გამოტანილი განკარგულება განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე და იგი არ საჩივრდებოდა. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ ზეპირი განხილვის და გასაჩივრების აკრძალვა, არაკონსტიტუციური იყო. საქმის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველად მიღებამდე, 2013 წლის 4 ოქტომბერს შევიდა ცვლილება, რის შემდეგადაც გასაჩივრების შესაძლებლობა გაჩნდა კანონში, ზეპირი მოსმენის კი, ისევ კანონს მიღმა დარჩა. მიუხედავად ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მაინც შეწყვიტა საკონსტიტუციო სამართალწარმოება. მეორე შემთხვევაში კი,<sup>3</sup> სადავო იყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „მეურვე გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ - აღსრულების ეროვნული ბიურო)“<sup>4</sup>. სადავო ნორმაში შევიდა ცვლილება, „მეურვე გადახდისუ-

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/1/530 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვლადიმერ სანიკიძე და მათი ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/3/1227 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - თორნიკე ართქმელაძე და ალექსანდრე ციცივიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

<sup>3</sup> იხ. იქვე.

<sup>4</sup> მოცემული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2017 წლის 23 მაისს შევიდა, განმწესრიგებელი სხდომა კი 2018



უნარობის საქმის წარმოებისას არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ - აღსრულების ეროვნული ბიურო), რომელსაც სასამართლო გამოტანიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, ელექტრონული სისტემის მეშვეობით უგზავნის განჩინებას გადახდისუნარობის შესახებ განაცხადის წარმოებაში მიღების თაობაზე და აცნობებს მეურვედ მისი დანიშვნის შესახებ<sup>4</sup>. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავოდ გამხდარი ნორმის ცვლილებად მიიჩნია სრულიად ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანა, რის გამოც საკონსტიტუციო სამართალწარმოება შეწყდა, დავის საგანი კი, დარჩა და მოსარჩევეებს, საკონსტიტუციო დავის პროცესი, მინიმუმ კიდევ ერთი წლით გაუგრძელდათ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ზოგჯერ მოჰასუხე მხარის მიერ არაკეთილსინდისიერად გამოიყენება და საზოგადოებაში ჩნდება აღქმა, რომ თითქოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმის განხილვის ფარგლებში ელოდა მოჰასუხის კონკრეტულ ქმედებას, რათა აღნიშნული, შემდგომში გამოეყენებინა კონსტიტუციური სარჩელის არ დაკმაყოფილების საფუძვლად, ზემოთ დასახელებულ მუხლზე მითითებით. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა, ე.წ. „მოსამართლეების საქმე“<sup>1</sup>, სადაც სადავოდ იყო გამხდარი საერთო სასამართლოების შე-

---

წლის 22 თებერვალს გაიმართა. სასამართლოს შეეძლო ამდენი ხნის განმავლობაში არსებითად განსახილველად მიიღო საქმე და შემდგომ გამოეყენებინა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ სასამართლო თითქოს დაელოდა სადავოდ გამხდარ ნორმაში ცვლილების შეტანას და შემდგომ შეწყვიტა სამართალწარმოება იმ მიზეზით, რომ სადავო ნორმაში „ცვლილება“ შევიდა.

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მოქალაქეები მოვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სახებ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა საქალაქო (რაიონულ) და სააპელაციო სასამართლოებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დასაბუთების გარეშე მოსამართლეების დანიშვნის საკითხს და ასევე, შეუძლებელი იყო მოცემული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება. მოცემულ საქმეს დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გამოხმაურება მოჰყვა, რამაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზე ზეწოლის შთაბეჭდილება შექმნა. კონსტიტუციური სარჩელი დარეგისტრირდა 2016 წლის 9 თებერვალს. საქმე განსახილველად გადაეცა პლენუმს. საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე განხილვა მოხდა ორჯერ, საბოლოო გადაწყვეტილება კი სასამართლომ მიიღო 2017 წლის 7 აპრილს. ამ ხნის განმავლობაში, 2017 წლის 8 თებერვალს მიღებული კანონით ცვლილება შევიდა სადავოდ გამხდარ ნორმატიულ აქტებში, რასაც კონსტიტუციური სარჩელის არდაკმაყოფილება მოჰყვა.

ამ საქმეზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამმა წევრმა განსხვავებული აზრი წარმოადგინა, რომელშიც მკაფიოდ და ცალსახად დაათვისრეს მათი პოზიცია მოცემულ საკითხზე: „აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე დავის სამართლიანი გადაწყვეტა მოიცავს ასევე საკითხსაც, სასამართლომ გონივრულ ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება და არ შექმნას იმის ეჭვი, თითქოს ელოდება კონსტიტუციურ დავაზე, მოპასუხის მხრიდან, სადავო აქტში იმ ცვლილებათა პაკეტის მიღებას, რომელიც, ერთი მხრივ, „კომფორტულ“ მდგომარეობაში ჩააყენებს სასამართლოს, თავი აარიდოს ამა თუ იმ ინტერესებისთვის არასასურველი გადაწყვეტილებების მიღებას და, მეორე მხრივ, აზიანებს მოსარჩელეთა უფლებების დაცვის დროულობას და ხელს უწყობს სასამართლოს მიმართ ნდობის დაკარგვას, ამცირებს სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანობას. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო იმდენად გვიან, რომ თაქტობრივად, კანონმდებელს მიეცა შესაძლებლობა, ცვლილებები შეეტანა მოქმედ კანონმდებლობაში. აღნიშნული გარემოება, შემდგომ, სასამართლომ გამოიყენა კონსტიტუციური

სარჩელის არდაკმაყოფილებისათვის“.<sup>1</sup> განსხვავებულ აზრში განვითარებული ეს განმარტება პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საქმის განხილვისას სასამართლოს წევრების უმრავლესობა უხერხულ სიტუაციაში იყო და სადავოდ გამხდარ ნორმებში ცვლილების შეტანას ისე ელოდნენ, როგორც მაშველ რგოლს. საზოგადოებაში მსგავსი მოსაზრებების გაჩენის წახალისება აზიანებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტს. აუცილებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 29-ემუხლის მე-2 პუნქტის გამოყენება სწორედ მოხდეს და ის არ გადაიქცეს მოჰასუსხე მხარის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედებების განხორციელების ინსტრუმენტად.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების შემდგომ, საქმის განხილვის გაგრძელების მიმართ არსებობს სამგვარი მდგომა:

1. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ქვეყნები, რომლებშიც საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის გაუქმებისთანავე წყვეტს საკონსტიტუციო სამართალწარმოებას (ბელარუსია<sup>2</sup>, უკრაინა<sup>3</sup>, ჩეხეთი<sup>4</sup>, ავსტრია<sup>5</sup>, სლოვაკეთი<sup>6</sup>, პორტუგალია<sup>7</sup>);
2. ასევე, არსებობს შემთხვევები, რომლის მიხედვითაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების შემდეგ, საკონსტიტუციო სასა-

---

<sup>1</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ირინა იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილებაზე საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მოქალაქეები მთავარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>2</sup> Law of the Republic of Belarus on the Constitutional Proceedings, <<http://www.kc.gov.by/en/main.aspx?guid=13225>> [ 21.09.2018].

<sup>3</sup> Rules of Procedure of the Constitutional Courte of Ukraine.

<sup>4</sup> Czechia – Constitutional Court Act.

<sup>5</sup> Constitutional Court Act of Austria.

<sup>6</sup> Constitutional Court Act of the Slovak Republic.

<sup>7</sup> Law of the Constitutional Court of Portugal.

მართლოები (ან მათი ეკვივალენტური ორგანოები) აგრძელებენ სამართალწარმოებას და იხილავენ კონსტიტუციურობის საკითხს (ლიბტენშტეინი, სერბეთი<sup>1</sup>);

3. ცალკეულ გამოწვევებში დამკვიდრებულია წესი, რომლის მიხედვითაც, პროცესში სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების შემდგომ, შესაძლებელია საქმის განხილვის გაგრძელება, თუ საქმის წარმოება გადასულია კონკრეტულ სტადიაში (საქართველო<sup>2</sup>, პოლონეთი<sup>3</sup>, ხორვატია<sup>4</sup>).

„კანონმდებლობის და პრაქტიკის ფართო ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელი საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა: ეს არის სხვადასხვა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და დარღვევების შემთხვევაში, სათანადო ზომების გატარება კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მათ მოსაყვანად. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ამოცანა განსაზღვრავს საკონსტიტუციო კონტროლის ფორმას და შინაარსს, მის ძირითად დანიშნულებას, რადგან ამ ფუნქციის რეალიზებით საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები უზრუნველყოფენ სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორც არის კონსტიტუციის უზენაესობა“.<sup>5</sup> მეტიც „საკონსტიტუციო იურისდიქცია ყოველთვის უნდა იყოს ორიენტირებული უზრუნველყოფდეს პირების თავისუფლებებისა და უფლებების დაცვას“.<sup>6</sup> ვენეციის კომისია ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის გაუქმებისას საკონსტიტუციო სამართალწარმოების

---

<sup>1</sup> Law on the Constitutional Court of Serbia.

<sup>2</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>3</sup> The Constitutional Tribunal Act of Poland.

<sup>4</sup> The Constitutional Act on the Constitutional Court of the Republic of Croatia.

<sup>5</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადოქტორო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2008, 20.

<sup>6</sup> European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Models of Constitutional Jurisdiction by Helmut Steinberger, 1991, 24

ერთმნიშვნელოვნად შეწყვეტა არასაკუთარი ღონისძიება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად<sup>1</sup>. ვენეციის კომისიის ეს განცხადება, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული იმ ქვეყნების მიდგომა, სადაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება ავტომატურად იწვევს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტას, არასწორი პრაქტიკაა და სათანადოდ არ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას. ჩვენი აზრით, ის მოდელელებს სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების ეფექტურ დაცვას, რომლის ფარგლებშიც საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძელება სამართალწარმოების კონკრეტულ სტადიაზე არის დამოკიდებული. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი საქართველოა, სადაც საქმის განხილვამდე სადავო ნორმის გაუქმება უპირობოდ ნიშნავს საქმის წარმოების შეწყვეტას, თანაც ეს მაშინ, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ავითარებს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმებაში მოიაზრება უმნიშვნელო და არსებითად არაფრის შემცველი ცვლილებების განხორციელება.

არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის არსებობა უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიურობის პრინციპს, რადგან, სანამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმის არსებითად განხილვაზე გადავა, ამ საფუძვლით საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტა, შეამცირებს სასამართლოში განსახილველ საქმეთა რაოდენობას და მოხდება საქმეების განტვირთვა. მოცემულ ნორმასთან მიმართებით, ამ მოსაზრებას, ხშირად იყენებს მოპასუხე მხარე. სამწუხარო კი ისაა, რომ ეს პათოსი, ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არის გაზიარებული თავის პრაქტიკაში.

წინა აბზაცში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ყველანაირი ეკონომიურობის პრინციპი უკან იხევს, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმის არსებობის საჭიროებას. ზემოთ განვითარებული მსჯელობა კი,

---

<sup>1</sup> European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 44. 332

ნათლად გვაჩვენებს, რომ არსებული რეგულაცია ვერ უზრუნველყოფს ამ უკანასკნელს. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ასევე, ვერ ამართლებს ეკონომიურობის პრინციპის არსებობას, რადგანაც საკონსტიტუციო სარჩელის ავტორს არაფერი აკავებს, ახლიდან შეიტანოს კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ისევ გაუზარდოს საქმეთა რაოდენობა. ერთადერთი, რაც იცვლება ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში წასულ მოსარჩელეს ეზრდება საქმის განხილვის ვადა. მაგალითად, „ართქმელაძე, ციცივიძის“<sup>1</sup> საქმის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2017 წლის 23 მაისს დარეგისტრირდა. საკონსტიტუციო წარმოების შეწყვეტის განჩინება კი სასამართლომ 2018 წლის 22 თებერვალს მიიღო. მოცემულ შემთხვევაში ამ რეგულაციის გამოყენებით, მოსარჩელე მხარეს საკონსტიტუციო განხილვის პერიოდი ფაქტობრივად ცხრა თვით გაუხანგრძლივებს.

არსებულ რეგულაციას არანაირი სარგებელი არ მოაქვს სიმართლის დასაცავად. ეს მექანიზმი იქცა მოპასუხე მხარის პროცედურულ თავშესაფრად, რომელიც ამ უკანასკნელს ბოროტად იყენებს. ამის ნათელი მაგალითი „მოსამართლეების საქმე“<sup>2</sup> და კიდევ სხვა, უამრავი შემთხვევაა. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის სტანდარტს და, ასევე, არანაირი კავშირი არა აქვს საქმის განხილვის ეკონომიურობის პრინციპთან.

მოცემული, არასწორი რეალობისგან თავის დაღწევის ეფექტურ გზას წარმოადგენს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება,

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/3/1227 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - თორნიკე ართქმელაძე და ალექსანდრე ციცივიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, რომ მან საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე შეძლოს სამართალწარმოების გაგრძელების განხილვა. თუმცა, ამ ეფექტის მიღწევა, ასევე, შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილების გარეშეც, კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სწორი განმარტების გზით. ეს განმარტება კი, მიმართული უნდა იყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერზე, სადაც საუბარია სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის „გაუქმებასა ან ძალადაკარგულად ცნობა“-ზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განმარტოს, თუ რა მოიაზრება გაუქმება, ძალადაკარგულად ცნობაში, სადავო ნორმატიულ აქტში ყველანაირი ცვლილების განხორციელება თუ მხოლოდ ისეთის, რომელიც არსებითად ცვლის დავის საგანს ან საერთოდ აუქმებს, დავის საგნის გარეშე ტოვებს სარჩელს. აღსანიშნავია, რომ ეს მოსაზრება თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოშიც არსებობს, მაგ., „გამომცემლების საქმე“-ზე<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა განსხვავებულ აზრში დაათქვამა მსგავსი პოზიცია, რომლის მიხედვითაც სადავო აქტის „გაუქმება“ ან „ძალადაკარგულად ცნობა“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების და განმარტების საგანი უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას გააჩნია მყარი ნორმატიული არგუმენტი - საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არამართო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრს და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს“. სწორედ, ეს ჩანაწერი პირდაპირ

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

ავალდებულებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეაფასოს თუ რა მოიაზრება სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის „გაუქმება“, „ძალადაკარგულად ცნობაში“. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გაუქმების დასადგენად სადავო აქტში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანა საკმარისი არ უნდა იყოს, მთავარია, ცვლილების შემდგომ, დავის საგანი ისევ არის სახეზე თუ არა.

საკონსტიტუციო სასამართლოების ეფექტურობასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც „იმისათვის, რომ მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყოს, ის უნდა პასუხობდეს საჩივარს, იძლეოდეს გასაჩივრებელი დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას“.<sup>1</sup> ეს განმარტებაც, ნათლად გვანახებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობის შემოწმების კუთხით, საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციები აკვირდებიან პროცედურის ხანგრძლივობას, მისი პროცედურული გაჭიანურების საშუალებების არსებობას.

„მოსამართლეები კონსტიტუციას უნდა მიიჩნევდნენ ძირითად კანონად და ეს მართლაც ასეა. თუ კონსტიტუციასა და კანონს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა აღმოჩნდება, კონსტიტუციას უპირატესობა უნდა მიენიჭოს კანონის წინაშე, ხალხის განზრახვას - მისი წარმომადგენლების განზრახვის წინაშე“<sup>2</sup>. ფედერალისტების ეს სულისკვეთება, ყოველთვის უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის. თუ სახეზეა ისეთი რეგულაცია, რომელიც არ არის მონოდებული ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვისკენ, აუცილებელია მისი სწორი, კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისი განმარტება. აუცილებელია სამოსამართლო გაბედულობა. რომ არა ეს ფენომენი, შესაძლებელია დღესაც კი, მსოფლიო საზოგადოება საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის გარეშე ყოფილიყო

---

<sup>1</sup> Deweer c. Belgique, 27 février 1980, §29, série A no 35; Apostol v. Georgia, no 40765/02, 28.10.2006.

<sup>2</sup> The Federalist Papers No. 78: Hamilton, New York, 1961, 468.



დარჩენილი. რომ არა სამოსამართლო გაბედულობა „მედისონი არ წააგებდა საქმეს და არ მოიგებდა უფლებას“<sup>1</sup> (*Marbury v. Madison*)<sup>2</sup>.

ზემოთ განვითარებული მიმოხილვის შედეგად, უნდა ითქვას, რომ მიუღებელია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ამ სახით არსებობა, ისივე, როგორც ამ ნორმის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსეული განმარტება. დაუშვებელია, სადავოდ გამხდარი სამართლებრივი ნორმა, მივიჩნიოთ ძალადაკარგულად მაშინ, როდესაც მასში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, ის იმავე მატერიალურ-ნორმატიული შინაარსით აგრძელებს მოქმედებას.

## **2. სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ**

საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ლოგიკით, თუ კონსტიტუციური სარჩელი გასცდა განმწესრიგებელ სხდომას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო არსებითად განსახილველად, სადავოდ გამხდარ ნორმაში რაიმე ცვლილების განხორციელება, ავტომატურად, არ ნიშნავს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტას. ამ პროცედურულ შესაძლებლობას ქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გაავრძელოს სამართალწარმოება და გადანყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ

---

<sup>1</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი 2003, 15.

<sup>2</sup> *Marbury v. Madison* 5 U.S. (1 Cranch), 137 (1803)

მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობაში, 2002 წელს გაჩნდა, მაგრამ არა დღეს არსებული რედაქციით. თავდაპირველად საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად - „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, თუ იგი ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს“.

ამ ორი რეგულაციის შედარებისას, ნათლად იკვეთება, რომ თავდაპირველი რედაქცია საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძელების თითქმის უპირობო, ავტომატური გარანტია იყო, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი, კერძო პირების მიერ კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლება, ყოველთვის ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს. უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თავდაპირველი რედაქცია არ ტოვებდა კონსტიტუციური სარჩელის შეფერხების მანიპულირების პროცესულურ საშუალებას. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციებთან მიმართებით, რომელზეც დავა, შესაძლებელია გასცდენოდა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს. საერთო ჯამში, მაინც უნდა ითქვას, რომ რადგანაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველი საქმეების ძირითადი ბირთვი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე მოდის, საქმეთა განხილვის მექანიკური შეფერხებისგან თავის დასაცავად, აღნიშნული ნორმა, მაინც ქმედით მექანიზმს წარმოადგენდა.

2010 წლის საკანონმდებლო ცვლილებით კი, საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი შეიცვალა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია ნაცვლად გახდა უფლებამოსილი გაეგრძელებინა საკონსტიტუციო სამართალწარმოება თუ: 1. საქმე არსებითი განხილვისთვისაა მიღებული, 2. საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს და 3. თუ საქმის გადანაცვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. ახალი რედაქცია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ შესაძლებელია, სასამართლოს მიხედულობით, საქმის განხილვა შეფერხდეს მას შედეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითი განხილვისთვის მიიღებს საქმეს, ხოლო სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტი გაუქმდება ან ძალადაკარგულად იქნება ცნობილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მითითება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავზე, გაუგებრად ზღუდავს ამ მექანიზმის მოცულობის საკითხს. გასაგებია, რომ ნებისმიერი საკონსტიტუციო სამართლებრივი მექანიზმი მომართული უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისკენ, მაგრამ უფლებებს და თავისუფლებებს მართო კონსტიტუციის მეორე თავი არ იცავს. მთლიანი კონსტიტუცია ადამიანის უფლებების და თავისუფლებების გარანტი. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უამრავი კომპეტენცია აქვს თავის არსენალში, რომლის ფარგლებშიც წარმართული დავაც ფორმალურად, შესაძლებელია სცდებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავს, მაგრამ ეხებოდეს ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს.

ჩვენი აზრით, ახალი რედაქციის ჩანაწერი („თუ მისი გადანაცვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“), სრულიად ზედმეტი და უადგილოა. ამ განცხადების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის გამოყენებისას, კონსტიტუციური სარჩელი უკვე არსებითი განხილვისთვისაა მიღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუციური სარჩელი შემოტანილია შესაბამისი სუბიექტის

მიერ და მისი უფლება ან უკვე დარღვეულია ან შესაძლებელია და-  
ირღვეს. ეს ჩანაწერი, რომ აღნიშნულიყო „საკონსტიტუციო სასამართ-  
ლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2  
პუნქტში, გასაგები იქნებოდა, რადგანაც საქმე არსებითი განხილვისთვის  
მიღებული არ იქნებოდა ჯერ და ეს რეგულაცია საქართველოს საკონს-  
ტიტუციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას შეეფასებინა, სა-  
კონსტიტუციო სარჩელის რეალურობა და თავისი მიხედულების შესა-  
ბამისად, გადაეწყვიტა საქმის განხილვის გავრძელების საკითხი.

სანამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას  
განვიხილავთ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს  
ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით, მა-  
ნამდე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტი-  
ტუციო სასამართლოს არ აქვს განმარტებული, თუ რა იგულისხმება  
სიტყვებში - „თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია  
კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყო-  
ფად“. ეს გარემოება, კიდევ ერთხელ, მიუთითებს, რომ კანონში ამ  
ჩანაწერის გაჩენა არალოგიკური საფუძვლებით იყო განპირობებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული  
კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით, ყველაზე მნიშვნე-  
ლოვანი განმარტებები მოცემულია ე.წ. „სისხლის დონორობის  
საქმეზე“<sup>1</sup>, სადაც სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს შრომის, ჯანმ-  
რთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის რიგი კანონქვემ-  
დებარე ნორმატიული აქტები, რომლის მიხედვითაც, ჰომოსექსუა-  
ლიზმი მიეკუთვნებოდა შიდსის რისკ ჯგუფებს. შიდსის რისკ ჯგუფე-  
ბისადმი მიკუთვნება კი, წარმოადგენდა სისხლისა და მისი კომპო-  
ნენტების დონორობის აბსოლუტური წინააღმდეგობის ჩვენებას. ამას-  
თანავე, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორის საეჭიშო გამოკვ-

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის  
№2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასა-  
თიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბენიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე სა-  
ქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის  
წინააღმდეგ“.

ლევა გულისხმობდა პირისთვის ეპიდანამნეზის ჩატარებას და ამ პროცესში, დონორის აივ-ინფექციით და ჰეპატიტით დაინფიცირების ისეთი რისკი ფაქტორების განსაზღვრას, როგორებიცაა: ჰომოსექსუალიზმი, პროსტიტუცია და ნარკომანია.

მოცემული საქმე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2013 წლის პირველი მარტის საოქმო ჩანაწერით<sup>1</sup> არსებითი განხილვისთვის მიიღო, ხოლო 2013 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, ცვლილებები შევიდა სადავოდ გამხდარ ნორმატიულ აქტში ტერმინი „ჰომოსექსუალიზმი“ ჩანაცვლდა ტერმინით „მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან (მსმ პირები). მოსარჩელეთა მიერ სარჩელში და არსებითი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით, „ჰომოსექსუალიზმი“, *inter alia* მოიცავს „მსმ პირთა“ ნაწილს, შესაბამისად, მათთვის კვლავ პრობლემური რჩებოდა ძალადაკარგულად ცნობილი ნორმის ახალი რედაქციის შინაარსი.

სწორედ ამ შემთხვევის გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დადგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის განმარტების და გამოყენების წინაშე. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეს გაუმართლა, პროცედურულად გაცდენილი, რომ იყო განმწესრიგებელ სხდომას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საფუძველზე, ავტომატურად, შეწყვეტდა საკონსტიტუციო სამართალწარმოებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „მხოლოდ მოქმედი ნორმა შეიძლება წარმოშობდეს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის რისკს, თუმცა, სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობამ ყველა შემთხვევაში შეიძლება არ გამოიწვიოს სადავოდ გამხდარი ნორმატიული შინაარსის გაუქმება. ნორმის გაუქმების შემდეგ, იგი შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს სხვა

---

<sup>1</sup> იქვე.

ისეთი დებულებით, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ შეინარჩუნებს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ ნორმატიულ შინაარსს“.<sup>1</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაუფარავად აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიზანია, „არ მისცეს სამართალშემოქმედის შესაძლებლობა, ბოროტად ისარგებლოს სამართალშემოქმედებითი პროცესით. ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საქმის განხილვის ავტომატური შეწყვეტა, გამოიწვევს კონსტიტუციური კონტროლის აბსოლუტურ დამოკიდებულებას სამართალშემოქმედების დინამიკურ პროცესზე, რამაც, შესაძლებელია, არაგონივრულად გაართულოს საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვა და დაუშვას სამართალშემოქმედებითი პროცესით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობა, ეს კი, უარყოფითად აისახება კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებების ეფექტიან უზრუნველყოფაზე“<sup>2</sup>.

სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმის ახალი რედაქცია, გარკვეულწილად იმეორებდა ძველი რედაქციის ნორმატიულ შინაარსს: „ამასთან, მოპასუხის განმარტებები ცხადყოფს, რომ სადავო ნორმის ამ შინაარსის მიმართ სამართალშემოქმედის დამოკიდებულება არ შეცვლილა და კვლავაც არსებობს იმავე საფუძვლით მოსარჩელეთა უფლებების დარღვევის რისკი“.<sup>3</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მოცემულ შემთხვევაში, აირჩია საინტერესო მიდგომა - აღნიშნა, რომ ის შეზღუდულია დავის საგნის ფარგლებით და, შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში ვერ იმსჯელებს 2013 წლის 8 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული ნორმების რედაქციებზე (მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან (მსმ პირები)). ასევე, მან აღნიშნა, რომ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვა და გადანწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსარჩელეთა უფლე-

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იხ. იქვე.

<sup>3</sup> იხ. იქვე.

როგორც ვოლტ კელის პერსონაჟი, პოვო, მიუთითებს, „ჩვენ შევზღვივით ჩვენს მტერს და ის ვართ ჩვენ“<sup>3</sup>, ამიტომ რეგულირება და დაცვა არ უნდა გულისხმობდეს სასათბურე პირობების შექმნას და არ უნდა იყოს მიმართული ინვესტორების პირადი ქმედებებისგან დაცვისკენ. სამართლებრივი ჩარჩოს მიუხედავად, ინვესტორი უნდა გრძნობდეს საკუთარ პასუხისმგებლობას.

### **3. ერთეულის მფლობელთა უფლებები მის წინაშე ანგარიშვალდებული პირების მიმართ**

ერთეულის მფლობელთა უფლებებს მის წინაშე ანგარიშვალდებული პირების მიმართ უჭირავს ცენტრალური როლი ინვესტორთა უფლებების დაცვაში. წინამდებარე თავში გამოყოფილია ისეთი ანგა-

---

<sup>1</sup> Ulen T., A Behavioral View of Investor Protection, Loyola University Chicago Law Journal, Volume 44, 2013, 1373-1274. მითითებულია: Klick J., Mitchell G., Government Regulation of Irrationality: Moral and Cognitive Hazards, Minnesota Law Review, Volume 90, 2006, 1620.

<sup>2</sup> Kammel A., Corporate Governance and (Self-)Regulation - An Investment Fund Perspective, International In-House Counsel Journal 1, Volume 3, 2010, 5. მითითებულია: Llewellyn, D.T., Regulation and Retail Investment Services, Economic Affairs 15, Spring 1995, 12-17.

<sup>3</sup> Palmiter A., Taha A., Mutual Fund Investors: Divergent Profiles, Columbia Business Law Review, Volume 2008, 1019. ასევე, Kelly W., The Pogo Papers, Poster for the first Earth day, April 1970.

რიშვალდებულები სუბიექტების წინაშე არსებული უფლებები, როგორც-  
ბიცაა: აქტივების მმართველი, მრჩეველებისა და ბროკერები, სპეცია-  
ლური დეპოზიტარი და დამოუკიდებელი წარმომადგენელი მმართველ  
ორგანოში. შესაბამისად დაფადგენთ შეუძლიათ და იყენებენ თუ არა  
ერთეულის მფლობელები ამ სუბიექტების მიმართ მათთვის ხელმისაწვ-  
დომ ინდივიდუალურ და კოლექტიურ დაცვის მექანიზმებს.<sup>1</sup>

### 3.1. ერთეული მფლობელები და აქტივების მმართველი

ზოგადად, საინვესტიციო ფონდები ერთმანეთისგან განირჩევიან არა  
იმის მიხედვით, თუ რა ქონებას ფლობენ ისინი, არამედ მათი უნიკა-  
ლური ორგანიზაციული სტრუქტურით, რაც გულისხმობს აქტივების  
მართვისა და აქტივების ფლობის უფლებების სხვადასხვა პირებისთვის  
მინიჭებას.<sup>2</sup> ამ სტრუქტურაში მართვის სადავეები არის მმართველ  
კომპანიასთან.<sup>3</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონის თანახმად,  
„აქტივების მმართველი კომპანია არის იურიდიული პირი, რომელიც  
საინვესტიციო ფონდის მართვას ახორციელებს“.<sup>4</sup>

ჩნდება კითხვა, რამდენად აუცილებელია, რომ საინვესტიციო  
ფონდს მართავდეს დამოუკიდებელი სუბიექტი? ამ კითხვის ერთ-ერთი  
მარტივი პასუხი არის ის, რომ, თუ საინვესტიციო ფონდი არ დაიქი-  
რავებს მენეჯმენტს, მას მოუწევს, პირადად დაასაქმოს მენეჯერები და  
სხვა პირები.<sup>5</sup> ფონდი იძულებული გახდება, რომ თავად ჰქონდეს  
საოპერაციო ქონება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მენეჯმენტი იქნება  
დამოუკიდებლად, ეს მოაგვარებს საოპერაციო ხარჯების პრობლემას

---

<sup>1</sup> Carter D., Mutual Fund Boards and Shareholder Action, Villanova Journal of Law and Investment Management, Volume 3, 2001, 7.

<sup>2</sup> Morley J., The Separation of Funds and Managers: A Theory of Investment Fund Structure and Regulation, The Yale Law Journal, Volume 123, 2014, 1228.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი.

<sup>5</sup> Morley J., The Separation of Funds and Managers: A Theory of Investment Fund Structure and Regulation, The Yale Law Journal, Volume 123, 2014, 1228.

და საინვესტიციო ფონდი მიიღებს საოპერაციო მომსახურებას მმართველისთვის ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ.<sup>1</sup>

ამასთან, როგორც პრაქტიკა უჩვენებს, მმართველი კომპანიები აერთიანებენ კვალიფიციურ პროფესიონალებს, რაც ზრდის მათი წარმატების ალბათობას. აქტივების მმართველი კომპანიებისთვის მარტივია ერთდროულად რამდენიმე საინვესტიციო ფონდის მართვა.<sup>2</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე ფონდის ერთდროულად მართვამ შეიძლება წარმოშვას ფონდების ინტერესებს შორის კონფლიქტი.<sup>3</sup> ამიტომ, ინვესტორმა, რომელსაც სურს, თავი დააღწიოს ასეთი ინტერესთა კონფლიქტის არსებობას, საკუთარი ინვესტიცია უნდა გადაიტანოს ისეთ საინვესტიციო ფონდში, რომელიც ერთდროულად არ მართავს რამდენიმე ფონდს.<sup>4</sup>

პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გამოყოფენ მმართველების სამ ძირითად ვალდებულებას: ა) ზრუნვის ვალდებულება, ბ) პირადად მოქმედების ვალდებულება და გ) ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება.<sup>5</sup>

ქართული კანონმდებლობის თანახმად, ინვესტორთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, აქტივების მმართველი კომპანია მათ შორის და არა მხოლოდ, ვალდებულია: ა) მოქმედებდეს კეთილსინდისიერად; ბ) მიიღოს ყველა გონივრული ზომა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად; გ) ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია იმ აქტივების შესახებ, რომელთა შესყიდვასაც განიზრახავს ან რომლებიც შეისყიდა და სხვა.<sup>6</sup> მაშასადამე, ქართული კანონმდებლობა შესაბამისობაშია გამოცდილ ქვეყნებში აქტივების მმართველთან მიმართებით დანესებულ სტანდარტებთან.

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, 1259.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, 1262.

<sup>5</sup> Campbell D., Investment Responsibility of Benefit Fund Trustees, Est. & TR. J., Volume 12, 1993, 309.

<sup>6</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

როდესაც საუბარია სტანდარტებზე, აქვე უნდა აღინიშნოს მმართველი კომპანიის ქმედებებთან დაკავშირებით არსებული პრეზუმფციაც. იურიდიული პირის წარმომადგენლებთან მიმართებით გავრცელებული Business Judgment Rule-ის ანალოგიურად, მმართველების შემთხვევაში, პრეცედენტული სამართლის ქვეყნების უმრავლესობა უფლებას აძლევს სასამართლოს, რომ მინდობილ პირს „აპატიოს“ ვალდებულების დარღვევა, თუ ის მოქმედებდა კეთილსინდისიერად და გონივრულად და, თუ მას სამართლიანად უნდა ეპატიოს.<sup>1</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს იმას, რომ აქტივების მმართველი კომპანია არის სუბიექტი, რომელიც ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს საინვესტიციო ფონდის არსებობაში და მისი წარუმატებლობის ან წარმატებულობის განსაზღვრაში. შესაბამისად, საჭიროა, რომ პრაქტიკაში დიდი ყურადღება მიექცეს ასეთი კომპანიების საქმიანობას.

მმართველების სტიმულირებისა და წახალისების მიზნით, აქტივების მმართველებს ხშირად ავალდებულებენ, რომ მოახდინოს ფონდში საკუთარი სახსრების ინვესტირება, რის შედეგადაც ისინი უფრო აქტიურად მოქმედებენ ინვესტორების ინტერესების სასიკეთოდ, მაშინაც კი, როცა ინვესტორები არ ახორციელებენ კონტროლს.<sup>2</sup> იმის გათვალისწინებით, რომ ქართული საინვესტიციო კულტურა ნელ-ნელა ყალიბდება, კარგი იქნებოდა, თუ პრაქტიკაში მმართველების მიერ ფონდის ერთეულების შექმნის ტრადიცია წახალისდებოდა. ამ შემთხვევაში, ინვესტორები კიდევ უფრო დაცულად იგრძნობდნენ თავს.

---

<sup>1</sup> Campbell D., Investment Responsibility of Benefit Fund Trustees, Est. & TR. J., Volume 12, 1993, 324.

<sup>2</sup> Morley J., The Separation of Funds and Managers: A Theory of Investment Fund Structure and Regulation, The Yale Law Journal, Volume 123, 2014, 1257.



### 3.2. მრჩეველებისა და ბროკერების ვალდებულება ერთეული მფლობელების მიმართ

საინვესტიციო ფონების შესახებ კანონი მიუთითებს, რომ ის ვრცელდება „თიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც აქტივების ინვესტირებასთან, მართვასთან, შენახვასთან, ადმინისტრირებასა და აღრიცხვა-რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობენ.“<sup>1</sup>

ამერიკულ კანონმდებლობაში ბროკერად მიიჩნევა ნებისმიერი პირი, რომელიც სხვების სახელით ჩართულია ისეთ საქმიანობაში, რომელიც გავლენას ახდენს ფასიანი ქაღალდების ტრანზაქციებზე.<sup>2</sup> საინვესტიციო მრჩეველად მიიჩნევა ნებისმიერი პირი, რომელიც, ანაზღაურების მიღების მიზნით, ჩართულია რჩევის გაცემის საქმიანობაში.<sup>3</sup>

ამერიკული მიდგომის თანახმად, ბროკერებს და მრჩეველებს აქვთ სამი ძირითადი ვალდებულება.<sup>4</sup> კერძოდ, მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს: ა) გონივრულად შესაბამისი (ინგ. Reasonable basis suitability), მაშასადამე, ბროკერის რეკომენდაციები შესაბამისი უნდა იყოს რამდენიმე ინვესტორისთვის მაინც; ბ) კლიენტისთვის შესაბამისი (ინგ. Customer-specific suitability), ანუ რჩევა უნდა ერგებოდეს კონკრეტულ ინვესტორს მისი საინვესტიციო პროფილის გათვალისწინებით და გ) რაოდენობრივად შესაბამისი (ინგ. Quantitative suitability), ბროკერმა არ უნდა დაუშვას კლიენტისთვის გადაჭარბებული ან შეუსაბამო ტრანზაქციების განხორციელება.<sup>5</sup> რომ შევაჯამოთ, ბროკერები სრულად უნდა იაზრებდნენ, თუ რა ტიპის საინვესტიციო ფონდში სთავაზობენ ინვესტირებას პოტენციურ ინვესტორებს ვინაიდან შესაბამისობის

---

<sup>1</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>2</sup> Walsh P., Johns D., Can the Retail Investor Survive the Fiduciary Standard, St. John's Law Review, Volume 87, 2013, 437. მითითებულია: Securities Exchange Act of 1934, 15 U.S.C. §78c(a)(4)(A)-45)(A) (2006).

<sup>3</sup> Walsh P., Johns D., Can the Retail Investor Survive the Fiduciary Standard, St. John's Law Review, Volume 87, 2013, 437. მითითებულია: Securities Exchange Act of 1934, 5 U.S.C. §80b-2(a)(11)(2006).

<sup>4</sup> Walsh P., Johns D., Can the Retail Investor Survive the Fiduciary Standard, St. John's Law Review, Volume 87, 2013, 441-442.

<sup>5</sup> იქვე.

რომელიმე კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობა მიიჩნევა ვალდებულების დარღვევად.<sup>1</sup>

როდესაც საუბარია ვალდებულებებზე, ჩნდება კითხვა, თუ ვისი ინტერესების სასარგებლოდ უნდა იმოქმედონ ბროკერებმა და მრჩეველებმა?<sup>2</sup> პოტენციური ინვესტორების ინტერესების სასარგებლოდ, თუ კონკრეტული საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველის მითითებების შესაბამისად. მაშასადამე, ზოგადად აქვს თუ არა ბროკერსა და მრჩეველს ინვესტორის მიმართ არა მხოლოდ ზრუნვის, არამედ ერთგულების ვალდებულება?

ფრაზა „დაე, მყიდველმა გამოიჩინოს სიფრთხილე“ (ლათ. *Caveat emptor*) გულისხმობს იმას, რომ მყიდველმა თავად უნდა შეამოწმოს საქონელი ან მომსახურება.<sup>3</sup> ამიტომ ბროკერებისთვის ერთგულების მოვალეობების დაკისრება შეიძლება შეუსაბამობაში მოდიოდეს გაყიდვების აგენტის პროფესიის მიზანთან, რაც გულისხმობს გაყიდვების გაზრდას და ფულის გამომუშავებას.<sup>4</sup>

რომ გავაკეთოთ შედარება სხვა სფეროებში მოქმედ გაყიდვების აგენტებთან, იმის პარალელურად, რომ არსებობს Lemon laws, ასევე, გარანტიები სხვადასხვა პროდუქტზე, არავის აქვს მოლოდინი, რომ ავტომობილის გამყიდველი შეეცდება გაყიდოს ისეთი ავტომობილი, რომელიც ყველაზე მეტად თავსებადია კლიენტის ბიუჯეტთან.<sup>5</sup> არამედ გამყიდველი ყოველთვის შეეცდება გაყიდოს ნივთი, რომლის გაყიდვითაც მას დარჩება ყველაზე მეტი საკომისიო.<sup>6</sup> ამის მსგავსად, ბროკერებსა და მრჩეველებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ ინვესტორთა წინაშე

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, 112.

<sup>3</sup> Walsh P., Johns D., Can the Retail Investor Survive the Fiduciary Standard, *St. John's Law Review*, Volume 87, 2013, 447-448. მითითებულია: Clemons M., Harmonization v. Demarcation: The Problems with a Broker Fiduciary Duty and the Benefits of the Merrill Rule 27, Oct. 28, 2010 (გამოუქვეყნებელი მანუსკრიპტი).

<sup>4</sup> Walsh P., Johns D., Can the Retail Investor Survive the Fiduciary Standard, *St. John's Law Review*, Volume 87, 2013, 447-448.

<sup>5</sup> იქვე, 448.

<sup>6</sup> იქვე.

ერთგულების მოვალეობის დაცვა, ზრუნვის მოვალეობისგან განსხვავებით. ეს უკანასკნელი საფუძველს უქმნის ბროკერებისა და მრჩეველების მიმართ ნდობისა გაზრდას.

რომ შევაჯამოთ, ბროკერები და მრჩეველები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს საინვესტიციო ფონდის შერჩევის პროცესში, ამიტომ საჭიროა, რომ საკანონმდებლო გარანტიების არსებობის მიუხედავად, ინვესტორებს ესმოდეთ, რომ მრჩეველები და ბროკერები არ არიან ის პირები, რომელთაც ევალებათ ერთგულების მოვალეობის დაცვა და მათთვის ყველაზე კარგი პროდუქტის შერჩევა.

### 3.3. ერთეულის მფლობელები და სპეციალური დეპოზიტარი

საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონი შეიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს ავტორიზებული საინვესტიციო ფონდების სპეციალიზებულ დეპოზიტართან მიმართებით, რომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციები იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ფონდის კუთვნილი ფასიანი ქაღალდების შესანახად მიღება და ფონდის საქმიანობაზე ზედამხედველობა.<sup>1</sup>

დეპოზიტარი ვალდებულია, მათ შორის და არა მხოლოდ: საქართველოს ეროვნულ ბანკს დაუყოვნებლივ აცნობოს, თუ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, აქტივების მმართველი კომპანია ან საინვესტიციო ფონდი არსებითად არღვევს მოთხოვნებს.<sup>2</sup> ამას გარდა, „დეპოზიტარი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად, სამართლიანად, პროფესიონალურად, დამოუკიდებლად და მხოლოდ საინვესტიციო ფონდისა და მისი ერთეულის მფლობელების ინტერესების სასარგებლოდ“<sup>3</sup>.

დეპოზიტარი პასუხისმგებელია საინვესტიციო ფონდისა და ერთეულის მფლობელების წინაშე ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც დადგა

---

<sup>1</sup> განმარტებითი ბარათი საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე, 15, იხ. <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/250827>> [25.03.2022].

<sup>2</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>3</sup> იქვე, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

მის მიერ ვალდებულებების განზრახი ან გაუფრთხილებელი დარღვევის შედეგად.<sup>1</sup> დეპოზიტარის კონტროლის კიდევ ერთი მექანიზმი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისთვის მომსახურების განწესის უფლებამოსილების შეწყვეტა. ეს დასაშვებია იმ შემთხვევებში, თუ დეპოზიტარი არღვევს მოთხოვნებს ან აშკარა საფრთხეს უქმნის საინვესტიციო ფონდს ან მის ინვესტორებს.<sup>2</sup>

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ დეპოზიტარის უფლებები, ასევე, მისი ვალდებულებები და პასუხისმგებლობის ფარგლებში ინვესტორთა და საინვესტიციო ფონდის წინაშე საკმაოდ მკაფიოდ არის განსაზღვრული კანონით. ინვესტორებმა უნდა იცოდნენ, რომ დეპოზიტარის სახით, საინვესტიციო ბაზარზე მოქმედებს კიდევ ერთი სუბიექტი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს არა მხოლოდ საინვესტიციო ფონდის, არამედ მისი აქტივების მმართველის კონტროლში.

### **3.4. მმართველი ორგანოს წევრები და დამოუკიდებელი დირექტორები მმართველ ორგანოში**

ზოგადად, საინვესტიციო ფონდის მმართველი ორგანო არის დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნული დირექტორები ან/და სამეთვალყურეო საბჭო.<sup>3</sup> მმართველი ორგანოს წევრების შერჩევაზე კანონი დიდ ყურადღებას ამახვილებს.

საინვესტიციო კომპანიის ავტორიზაციის მიზნით, ავტორიზაციის მძიებელმა კომპანიამ ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს კომპანიის მმართველი ორგანოს წევრების შესახებ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ მმართველი ორგანოს თითოეულ წევრს აქვს საფი-

---

<sup>1</sup> იქვე, 34-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

<sup>2</sup> იქვე, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>3</sup> აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის N°167/04 ბრძანების მე-2 მუხლის 22-ე პუნქტი.

ნანსო სექტორში რელევანტურ პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 4-წლიანი გამოცდილება.<sup>1</sup> იმავე ბრძანებაში ვხვდებით ნეგატიურ წინაპირობებს, რა შემთხვევაშიც არ არის დასაშვები, რომ პირი დაინიშნოს ავტორიზებული საინვესტიციო ფონდის ან აქტივების მმართველი კომპანიის მმართველი ორგანოს წევრად.<sup>2</sup>

ფონდის მენეჯმენტი რეალურად არის პროდუქტისა და მომსახურების ნაკრები, რომელსაც იძენს ინვესტორი. ამ ნაკრებში არის სამი ძირითადი პროდუქტი: საინვესტიციო მრჩევლის მიერ შემოთავაზებული მომსახურებები, დივერსიფიკაცია და რისკისა და მოგების კომბინაცია.<sup>3</sup>

ჩნდება კითხვები: საჭიროა თუ არა მმართველ ორგანოში იყვნენ დამოუკიდებელი დირექტორები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ უნდა განისაზღვროს არის თუ არა დირექტორი დამოუკიდებელი? შეუძლიათ თუ არა ინვესტორებს საკუთარი ინტერესების დაცვა დამოუკიდებელი დირექტორების გარეშე?

თუ საინვესტიციო ფონდს მმართველ ორგანოში არ ეყოლება დამოუკიდებელი წევრები და ინვესტორი აღმოაჩენს, რომ საინვესტიციო ფონდის აქტივების მმართველი მოქმედებს არაკეთილსინდისიერად, ზიანის თავიდან არიდების მიზნით ინვესტორმა უნდა დატოვოს საინვესტიციო ფონდი,<sup>4</sup> თუმცა არაკეთილსინდისიერად მოქმედების დანახვასაც გარკვეული ცოდნა სჭირდება და ფონდის დატოვებაც შეიძლება არ იყოს ბიზნეს თვალსაზრისით გამართლებული ქმედება.

---

<sup>1</sup> საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის N°170/04 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>2</sup> იქვე, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>3</sup> Carter D., Mutual Fund Boards and Shareholder Action, Villanova Journal of Law and Investment Management, Volume 3, 2001, 16. მითითებულია: Frankel T., Kirsch C., Investment Management Regulation, 1998, 11-12. ასევე, Markowitz H., Portfolio Selection: Efficient diversification of Investment, 2d. 1991, 4-5.

<sup>4</sup> Carter D., Mutual Fund Boards and Shareholder Action, Villanova Journal of Law and Investment Management, Volume 3, 2001, 16. მითითებულია: Edelen R., Investors Flows and the Assessed Performance of Open-End Mutual Funds, Journal of Financial Economics, Volume 53, 1999, 439, 464-65.

შედარების მიზნით, უნდა ითქვას, რომ ერთეულის მფლობელთა მიერ ხმის მიცემის უფლების გამოყენება, ასევე, არაეფექტურია. ეს შეიძლება აიხსნას სამი ფაქტორით: 1) ტრადიციული კორპორაციებისგან განსხვავებით, საინვესტიციო ფონდების ერთეულები არის გაფანტული და არ არსებობს ერთეულების დიდი ჯგუფი ინდივიდუალური ინვესტორების ხელში;<sup>1</sup> 2) ერთეულის მფლობელ პირებს, როგორც წესი, არ სურთ მენეჯმენტის მოქმედებების კონტროლზე ენერჯისა და დროის დახარჯვა;<sup>2</sup> 3) ხმის მიცემა შეიძლება არ იყოს ეფექტური მექანიზმი, მაშინ, როდესაც ერთეულის მფლობელს შეუძლია ერთეულის გამოსყიდვა.<sup>3</sup>

ამის სანაცვლოდ შეიძლება მართლაც გონივრული იყოს მმართველ ორგანოში დამოუკიდებელი დირექტორების დანიშვნა, რომლებიც იქნებიან ერთეულის მფლობელთა ერთგვარი წარმომადგენლები და მენეჯმენტში მათი ინტერესების გამტარებლები. აღნიშნული წევრები მმართველი კომპანიის გადანაცვეტილებებს შეათვასებენ მიკერძოების გარეშე.<sup>4</sup>

ზემოთ მითითებული სუბიექტების გარდა, დამოუკიდებელი დირექტორის არსებობამ შეიძლება სარგებელი მოუტანოს ინვესტიციების მმართველსაც, რომელიც აქტიურად და პირადად არის ჩართული

---

<sup>1</sup> Carter D., Mutual Fund Boards and Shareholder Action, Villanova Journal of Law and Investment Management, Volume 3, 2001, 27. მითითებულია: Phillips R., Deregulation Under the Investment Company Act - A Reevaluation of the Corporate Paraphernalia of Shareholder Voting and Boards of Directors, 37 Bus. Law, 1982, 908.

<sup>2</sup> Carter D., Mutual Fund Boards and Shareholder Action, Villanova Journal of Law and Investment Management, Volume 3, 2001, 27.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> Spiro S., Some Aspects of the Mutual Fund and Investor Protection, Osgoode Hall Law Journal, Volume 9, 1971, 625. მითითებულია: Report of The Canadian Committee On Mutual Funds and Investment Contracts, Provincial and Federal Study, Ottawa: Queen's Printer, 1969, 161.

ინვესტირების პროცესებში. ამ შემთხვევაში, დამოუკიდებელი დირექტორი ტრანზაქციებს შეაფასებს ცივი გონებით, გამოცდილი მენარმის პერსპექტივით და მიუკერძოებლად.<sup>1</sup>

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი დირექტორების დანიშვნა მმართველ ორგანოში ერთეულის მფლობელებს მისცემს უფრო მეტ გარანტიას, რომ აქტივების მმართველი კომპანია საკუთარ ვალდებულებებს შეასრულებს კეთილსინდისიერად და ერთეულის მფლობელებს არ მოუწევთ მენეჯმენტის საკითხებში აქტიურად ჩართვა, ან/და საკუთარი ერთეულების გამოსყიდვა.

#### 4. საინვესტიციო პოლიტიკა და ნებადართული გარიგებები

მას შემდეგ, რაც ინვესტორი გახდება ერთეულის მფლობელი, არანაკლებ მნიშვნელოვანია ფონდის საქმიანობის განხორციელება და მისი მონიტორინგი. საინვესტიციო ფონდის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თანხების ინვესტირება, სწორედ ამიტომ საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს „საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის/სტრატეგიის აღწერას, მათ შორის, იმის მითითებით, თუ რომელ აქტივებში აპირებს საინვესტიციო ფონდი ინვესტიციის განხორციელებას“.<sup>2</sup>

კანონი ავტორიზებულ საინვესტიციო ფონდებს აკისრებს ვალდებულებას, დანერგოს რისკების მართვის პროცესი და პორტფელის აქტივების კრედიტუნარიანობის შეფასებისას არ იხელმძღვანელოს მხოლოდ ან პირდაპირ საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მიწვეული საკრედიტო რეიტინგით.<sup>3</sup> თუ სხვა რამ არ არის დადგენილი,

---

<sup>1</sup> Spiro S., Some Aspects of the Mutual Fund and Investor Protection, Osgoode Hall Law Journal, Volume 9, 1971, 625. მითითებულია: Kaplan G., Welles C., The Money Managers, New York: Random House, 1969.

<sup>2</sup> საქართველოს კანონის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>3</sup> განმარტებითი ბარათი საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე, 18. ივ. <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/250827>> [25.03.2022].

ავტორიზებული საინვესტიციო ფონდის აქტივების ინვესტირება შესაძლებელია ნებისმიერ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტისა და პროსპექტის შესაბამისად.<sup>1</sup> აღნიშნული ინფორმაციის პროსპექტში განწერა ემსახურება ორ მიზანს: ერთი მხრივ, ამით ინვესტორები ახდენენ ერთეულის შექმნამდე საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებას და საკუთარი პრეფერენციების მიხედვით ფონდის შერჩევას, ხოლო, მეორე მხრივ, ინფორმაციის პროსპექტში განწერა არის იმის გარანტია, რომ არ მოხდეს საინვესტიციო სტრატეგიის მარტივად შეცვლა. ავტორიზებულ ფონდებს, ზოგადად, ეკრძალებათ სესხის გაცემა ან თავდებად/გარანტად დადგომა მესამე პირთა სასარგებლოდ.<sup>2</sup>

რომ შევაჯამოთ, საინვესტიციო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ფონდის წარმატებას და წარუმატებლობას, ამიტომ თავიდანვე მისი სწორად განსაზღვრა არის მმართველი კომპანიის მთავარი ამოცანა. ეს არის საკითხი, რომელშიც ერთეულის მფლობელები, როგორც წესი, არ არიან კომპეტენტურები, ამიტომ თითქმის ყველა საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტი უცვლელად შეიცავს ნორმას, რომლის მიხედვითაც ინვესტორებს ეკრძალებათ აქტივების მმართველს მისცენ მითითებები ბიზნეს სტრატეგიის საკითხებზე.<sup>3</sup> რა თქმა უნდა, აქტივების მმართველები და მენეჯერები არ სარგებლობენ სრული დისკრეციით, თუმცა სწორედ იმის გამო, რომ ერთეულის მფლობელები საკუთარ სახსრებს მათ ანდობენ, მნიშვნელოვანია, რომ ამ პირებმა სწორი სტრატეგიით მოახდინონ მისი რეინვესტირება და გაამართლონ ინვესტორთა მოლოდინები.

---

<sup>1</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი.

<sup>2</sup> განმარტებითი ბარათი საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე, 18. ივ. <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/250827>> [25.03.2022].

<sup>3</sup> Morley J., The Separation of Funds and Managers: A Theory of Investment Fund Structure and Regulation, The Yale Law Journal, Volume 123, 2014, 1253. მითითებულია: Gregory N., Hedge Fund Agreements line by line: A User's Guide to LLC Operating Contracts, 2d ed. 2009, §5.1, 68.



## 5. ერთეულების გამოსყიდვის და შენატანის დაბრუნების უფლება

ზოგადად, თუ ერთეულის მფლობელი უკმაყოფილოა ფონდით, მას აქვს შემდეგი არჩევანის ვარიანტების შესაძლებლობა: 1) შეუძლია მოითხოვოს ერთეულის გამოსყიდვა; 2) იყოს უმოქმედო; ან 3) ხმის მიცემით „გამოასწოროს“ მდგომარეობა.<sup>1</sup>

ერთეულის გამოსყიდვის უფლებასთან დაკავშირებით შეიმჩნევა ერთი ლოგიკური ტენდენცია: ყოველ კონკრეტულ საინვესტიციო ფონდში, რაც უფრო ძლიერდება გამოსყიდვის უფლება, მით უფრო სუსტდება კონტროლი უფლება და სახელშეკრულებო თავდაცვის მექანიზმები, და პირიქით.<sup>2</sup> შეიძლება ითქვას, რომ ფონდიდან გასვლა იკავებს „ხმის უფლების“ ადგილს.<sup>3</sup>

გამოსყიდვის უფლება საინვესტიციო ფონდს გამოარჩევს ჩვეულებრივ კომპანიაში წილის ან აქციის ფლობისგან.<sup>4</sup> კანონის თანახმად, გამოსყიდვა ხორციელდება ერთეულის წმინდა ღირებულებით.<sup>5</sup> ეს გულისხმობს იმას, რომ ერთეულის მფლობელს შეუძლია საინვესტიციო ფონდი დატოვოს მანამ, სანამ სიახლეები გავლენას მოახდენს ერთეულის ფასზე. ჩვეულებრივ კომპანიაში პარტნიორებს/აქციონერებს ამის უფლება არ აქვთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტნიორი/აქციონერი არ გაასხვისებს საკუთარ წილს/აქციას.

გამოსყიდვის უფლება უფრო მეტი სარგებლის მომტანია ინვესტორისთვის, ვიდრე ხმის მიცემის უფლება და ეს რამდენიმე მიზეზით

---

<sup>1</sup> Morley J., *The Separation of Funds and Managers: A Theory of Investment Fund Structure and Regulation*, *The Yale Law Journal*, Volume 123, 2014, 1249.

<sup>2</sup> იქვე, 1246.

<sup>3</sup> Morley J., *The Separation of Funds and Managers: A Theory of Investment Fund Structure and Regulation*, *The Yale Law Journal*, Volume 123, 2014, 1247. მითითებულია: Hirschman A., *Exit, Voice, And Loyalty: Responses to Decline in Firms, Organizations, and States*, 1970.

<sup>4</sup> Morley J., *The Separation of Funds and Managers: A Theory of Investment Fund Structure and Regulation*, *The Yale Law Journal*, Volume 123, 2014, 1246.

<sup>5</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

აიხსნება.<sup>1</sup> ღირებულების თვალსაზრისით, თუ შევხედავთ, ხმის მიცემა უფრო ხარჯიანია, ვიდრე გამოსყიდვა.<sup>2</sup> ეს აიხსნება იმით, რომ ინვესტორები ხმის მიცემის დროს დგებიან კოლექტიურად მოქმედების პრობლემის წინაშე. აქტიურობის ტვირთი უნდა ზილოს ინიციატორმა, მაშინ, როდესაც სარგებელი ნაწილდება ყველა ერთეულის მფლობელს შორის.<sup>3</sup> ამის საპირისპიროდ, გამოსყიდვა არ წარმოშობს კოლექტიურად მოქმედების პრობლემას. ინვესტორებს შეუძლიათ გამოსყიდვა განახორციელონ დამოუკიდებლად.<sup>4</sup>

იმის და მიუხედავად, რომ ერთეულების გამოსყიდვა დადებითად დავახასიათე, გამოსყიდვა არ არის პრობლემის მოგვარების გზა, ვინაიდან მდიდარი და გათვითცნობიერებული ინვესტორები თამამად ისარგებლებენ ამ უფლებით და მარტივად დატოვებენ საინვესტიციო ფონდს. ხოლო, საინვესტიციო ფონდში დარჩებიან ის ინვესტორები, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დაცვა.<sup>5</sup> თუმცა ეს არის საკმაოდ მძლავრი მექანიზმი, რომელიც უფლებას აძლევს ინვესტორს, რომ იყოს თამამი და თუნდაც არასწორი ფონდის არჩევის შემთხვევაში, მარტივად დატოვოს იგი.

## 6. საინვესტიციო ფონდის სასარგებლოდ სარჩელის შეტანის უფლება

ზოგადი წესის თანახმად, აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია „საინვესტიციო ფონდის სახელით აღძრას სარჩელი მესამე პირის წინააღმდეგ, თუ ამ ვალდებულების შეუსრულებლობით შესაძლებელია ზიანი მიადგეს საინვესტიციო ფონდს ან მის ინვესტორებს“<sup>6</sup>. თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი: თუ აქტივების მმართველი

---

<sup>1</sup> იქვე, 1250-1251.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Spiro S., Some Aspects of the Mutual Fund and Investor Protection, Osgoode Hall Law Journal, Volume 9, 1971, 626. მითითებულია: Report of The Canadian Committee On Mutual Funds and Investment Contracts, Provincial and Federal Study, Ottawa: Queen's Printer, 1969, 158-160.

<sup>6</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ვეპუნქტი.

კომპანია საინვესტიციო ფონდის სახელით არ აღძრავს სარჩელს, ერთეულის მფლობელი უფლებამოსილია მის ნაცვლად და საინვესტიციო ფონდის/ქვეფონდის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად.<sup>1</sup> მაშასადამე, ერთეულის მფლობელს ეძლევა ე.წ. დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლება, რაც მიზნად ისახავს უმცირესობაში მყოფი ერთეულის მფლობელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვას.<sup>2</sup> ეს მექანიზმი არის მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ძველ<sup>3</sup> და ახალ<sup>4</sup> რედაქციებში არსებული პარტნიორის/აქციონერის უფლების მსგავსი. სათანადო მოსარჩელედ აღიარების ვადაც ემთხვევა და 90 დღეს შეადგენს.<sup>5</sup>

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საქმის აღძვრა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, რის გამოც ერთეულის მფლობელებმა შეიძლება თავი შეიკავონ დავის წამოწყებისგან.<sup>6</sup> მართალია, მიდგომა მოსარჩელისთვის ხარჯების ანაზღაურების თვალსაზრისით აღიარებული სტანდარტის მსგავსია,<sup>7</sup> თუმცა დავის დაწყებას ინვესტორი ალბათ მხოლოდ იმ შემთხვევებში გადანყვეტს, თუ დავის დასრულების შემდეგ ამოსაღები თანხის ოდენობა უფრო მეტი იქნება, ვიდრე ამ დავისთვის გაღებული ხარჯები.<sup>8</sup>

---

<sup>1</sup> იქვე, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>2</sup> განმარტებითი ბარათი საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე, 14. იხ. <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/250827>> [25.03.2022].

<sup>3</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 ნაწილი (ძალადაკარგულია - 02.08.2021, №875).

<sup>4</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 222-ე მუხლი.

<sup>5</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>6</sup> Carter D., Mutual Fund Boards and Shareholder Action, Villanova Journal of Law and Investment Management, Volume 3, 2001, 17.

<sup>7</sup> საინვესტიციო ფონდების შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>8</sup> Carter D., Mutual Fund Boards and Shareholder Action, Villanova Journal of Law and Investment Management, Volume 3, 2001, 38.

რომ შევაჯამოთ, ხმის მიცემის უფლება და სარჩელის აღძვრის შესაძლებლობის არსებობის მნიშვნელობა მცირდება, როდესაც არსებობს ერთეულის გამოსყიდვის შესაძლებლობა, როგორც ბორდის არაკეთილსინდისიერებისგან ინვესტორის დაცვის ყველაზე მძლავრი მექანიზმი.<sup>1</sup> თუმცა ამის მიუხედავად მისასალმებელია კანონში არსებული ჩანაწერი საინვესტიციო ფონდის სახელითა და მის სასარგებლოდ დავის დანაშაულის შესახებ.

## **7. Class Action, როგორც ერთეულის მფლობელთა ინტერესების დაცვის მექანიზმი**

ვინაიდან საინვესტიციო ფონდში ერთეულები არის გაფანტული, ინვესტორებისთვის საკმაოდ მომხიბვლელია სარჩელის კოლექტიურად წარდგენის შესაძლებლობა.<sup>2</sup> კოლექტიური სარჩელები არის ძლიერი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება რამდენიმე სუბიექტის სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის, მაშინ, როდესაც სხვაგვარად, მათ არ ექნებოდათ სტიმული და მოტივაცია, რომ საკუთარი მოთხოვნები დაეყენებინათ ინდივიდუალურად.<sup>3</sup>

თუმცა, არსებობს მოსაზრებები, რომ ინვესტორებისთვის ზიანის ანაზღაურების ძირითადი საშუალება, ანუ კოლექტიური სარჩელი არ არის ღიდად ეფექტური,<sup>4</sup> ვინაიდან ასეთი სარჩელების საფუძველზე

---

<sup>1</sup> იქვე, 38.

<sup>2</sup> Shea B., Better Go It Alone: An Extension of Fiduciary Duties for Investment Fund Managers in Securities Class Action Opt-Outs, William & Mary Business Law Review, Volume 6, 2015, 258.

<sup>3</sup> იქვე, 261.

<sup>4</sup> Evans A., The Investor Compensation Fund, The Journal of Corporation Law, Volume 33, 2007, 237. მითითებულია: Securities Exchange Act of 1934, 10b-5.

დაკისრებული თანხები საკმაოდ მცირეა.<sup>1</sup> ამის მიუხედავად, კოლექტიური სარჩელით დანწყებული სამართალწარმოება ძვირია.<sup>2</sup> ამას გარდა, კომპლექსური ხასიათის გამო, კოლექტიური სარჩელები მოითხოვს სასამართლოს დიდ დროით რესურსს და ყურადღებას<sup>3</sup>.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ჯერჯერობით არ ითვალისწინებს სპეციალურ მოწესრიგებასა და წესებს კოლექტიური სარჩელის აღძვრისათვის. როგორც წესი, რამდენიმე მოსარჩელის არსებობის შემთხვევაში, პროცესი ისევე წარიმართება, როგორც ერთი მოსარჩელის მიერ აღძრული საქმისას. სასურველია, რომ კოლექტიური სარჩელის წარდგენისა და მასთან დაკავშირებით პროცესის წარმოების დეტალები უფრო კონკრეტულად იქნას განერილი საინვესტიციო ფონდების ან ზოგადად, საპროცესო კანონმდებლობაში. ამით შესაძლოა დაიზოგოს არა მხოლოდ ინვესტორების, არამედ სასამართლოს დრო და ენერჯია.

## **8. სპეციალური ფონდი, როგორც ინვესტორთათვის ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი მეთოდი**

იმისთვის, რომ გაიზარდოს ინვესტორებისთვის ზიანის ანაზღაურების მიზნით გადახდილი თანხების ოდენობა და უფრო მარტივად იქნეს იდენტიფიცირებული მართლწინააღმდეგობის შემთხვევები, შეიძლება განხილულ იქნეს ისეთი შემოთავაზება, როგორცაა ინვესტორთა საკომპენსაციო ფონდის (შემდგომ - ფონდი) შექმნა.<sup>4</sup> ამ შემოთავაზების

---

<sup>1</sup> Evans A., The Investor Compensation Fund, The Journal of Corporation Law, Volume 33, 2007, 237. მითითებულია: Simmons L., Ryan E., Cornerstone Research, Securities Class Action Settlements, 2006 Review and Analysis, 2007, 6.

<sup>2</sup> Evans A., The Investor Compensation Fund, The Journal of Corporation Law, Volume 33, 2007, 240.

<sup>3</sup> Evans A., The Investor Compensation Fund, The Journal of Corporation Law, Volume 33, 2007, 240. მითითებულია: Coffee J., Jr., Reforming the Securities Class Action: An Essay on Deterrence and its Implementation, Columbia Law Review, Volume 106, 2006, 1534, 1540.

<sup>4</sup> Evans A., The Investor Compensation Fund, The Journal of Corporation Law, Volume 33, 2007, 226.

დანერგვის შემთხვევაში შეიქმნება სპეციალური მიზნის მქონე ერთგვარი სადაზღვევო ფონდი, იმისთვის, რომ ინვესტორმა მენეჯერების მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შემდეგ მარტივად მიიღოს ზიანის ანაზღაურება. ფონდში თანხების აკუმულირება მოხდება შემდეგნაირად: ნებისმიერ დროს, როდესაც ერთეული გაიყიდება მეორად ბაზარზე, ერთეულის მფლობელი გადაიხდის საფასურს (პრემიას), რომელიც განთავსდება ფონდში.<sup>1</sup> შემოთავაზებული სქემის დანერგვის შემთხვევაში მასში მონაწილეობა სავალდებულო უნდა იყოს საჯარო საინვესტიციო ფონდებისთვის.<sup>2</sup>

შესაძლოა სადავო გახდეს, რომ უსამართლოა ყველა კორპორაციის აქციონერების დავალდებულება, რომ თანხა გადაიხადონ იმ გადაცდომისთვის, რომელიც მოხდება მხოლოდ ზოგიერთ ფონდში.<sup>3</sup> თუმცა, ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება დაზღვევის ბუნებას.

ინვესტორების მიერ პრემიის სახით გადასახდელი თანხის ოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს საინვესტიციო ფონდის მენეჯერების გადაცდომის რისკის მაჩვენებელზე<sup>4</sup>. აღნიშნული ინიციატივის იმპლემენტაციის შემთხვევაში, ფონდის მენეჯერებს ექნებათ სტიმული, რომ შეინარჩუნონ გადაცდომის რისკის საერთო რეიტინგში საუკეთესო მაჩვენებელი.<sup>5</sup>

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ სადაზღვევო ფონდის შექმნა ერთეულის მფლობელებს და განსაკუთრებით, გაუთვითცნობიერებელ ინვესტორებს მისცეს იმის გარანტიას, რომ ფონდის მენეჯერების მიერ გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში დროულად მიიღონ რეალურად დამდგარი ზიანის პროპორციული ანაზღაურება. სადაზღვევო ფონდის არსებობა შეიძლება გახდეს ერთეულის მფლობელთა ინტერესების დაცვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც წაახალისებს მენეჯერების მიერ კეთილსინდისიერად მოქმედებას და შეამცირებს გადაცდომების რისკებს. უფრო მეტიც, სადაზღვევო ფონდის იდეის საზოგადოებისთვის

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, 273.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, 241-242.

<sup>5</sup> იქვე, 243-244.

სწორად მიწოდებამ შესაძლოა უფრო მიმზიდველი და საიმედო გახადოს ქართული კაპიტალის ბაზარი. მით უფრო მაშინ, როდესაც სასამართლო სისტემა და პრაქტიკა კოლექტიური სარჩელების და კაპიტალის ბაზართან დაკავშირებული საქმეების განხილვის თვალსაზრისით, არასახარბიელო მდგომარეობაშია.

## დასკვნა

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, წინამდებარე სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინვესტორების ინტერესთა და უფლებათა დაცვის მექანიზმების შეთავსება, ამიტომ ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეძღვნება ინვესტორების ძირითადი უფლებების მიმოხილვას.

სტატიის სტრუქტურა მკითხველს აძლევს შესაძლებლობას, რომ ერთად თავმოყრილი ფორმით იხილოს ინვესტორების უფლებები მის წინაშე ანგარიშვალდებული პირების მიმართ. მიუთითეთ იმაზე, რომ გამჭვირვალე რეგულაციები, ინვესტორთა ჯგუფებში საჭირო განათლების დონის ამაღლება და ზიანის დადგომის შემთხვევაში, მისი საფუძვლების გამოკვლევის და ანაზღაურების ეფექტური და სწრაფი მექანიზმები უნდა იყოს საინვესტიციო ფონდების სამართალში მარეგულირებელი ორგანოების ძირითადი საზრუნავი საკითხები.

ვინაიდან საინვესტიციო ფონდების ინდუსტრია დგას ინვესტორების მიერ სისტემისა და რეგულაციების მიმართ გამოჩენილ ნდობაზე, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში, სწორად მოხდეს გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების სისუსტეების იდენტიფიცირება და მათ აღმოსაფხვრელად სხვადასხვა მექანიზმების ამუშავება.

ბოლო დროს აქტივების მმართველი კომპანიების რეგისტრაციის თვალსაზრისით შეიმჩნევა გააქტიურება და პირველი ნაბიჯები, მისასალმებელი იქნებოდა ქართულ ბაზარზე კიდევ უფრო მეტი მონაწილის გამოჩენა, რაც, თავის მხრივ, შექმნიდა კონკურენტუნარიან გარემოს და ინვესტორებს მისცემდა არჩევანის კიდევ უფრო მეტ თავისუფლებას.

საქართველოს კაპიტალის ბაზრისთვის კარგი რეპუტაციის შექმნა იქნება იმის საწინდარი, რომ საქართველოში ავტორიზებულ საინვესტიციო ფონდებში ინვესტირების შესაძლებლობით დაინტერესდნენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი საცალო ინვესტორები. ეს კი,

საბოლოო ჯამში, არსებით როლს ითამაშებს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში.



დანაშაულის საგნის, იარაღისა და დანაშაულის ჩასადენად  
გამიზნული ნივთის კონფისკაციის მიმართება საპუტრების  
უფლებასთან

ნათია გველესიანი<sup>1\*</sup>

შესავალი

საერთაშორისო ასპარეზზე მომძლავრებული ტერორიზმის, ფულის გათეთრების, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და სხვა სერიოზული დანაშაულების თავიდან ასაცილებლად და მათი გავრცელების კერების აღსაკვეთად, საერთაშორისო საზოგადოება ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმად დანაშაულის იარაღისა და საგნის კონფისკაციას მიიჩნევს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის კონფისკაციის ერთ-ერთი გამამართლებელი საფუძველი სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობაა. ამ უკანასკნელის სამართლებრივი დეფინიცია არ არის განსაზღვრული. სამართლის ინტერპრეტაციის ამოცანაა კანონის სიტყვათა მნიშვნელობითი სივრციდან იმ მნიშვნელობის შერჩევა, რომელიც კანონის ნორმაში მოცემულ სიტყვებს ყველაზე „სწორად“ შეესაბამება<sup>2</sup>. კანონის სიტყვებს

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის მიმართულების დოქტორანტი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, იროდიონ სურგულაძის სამართლის ინსტიტუტის (ისსი) სამართლის პრაქტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, უფროსი მკვლევარი, ა(ა)იპ საერთაშორისო შრომის სოლიდარობის ამერიკის ცენტრის საქართველოს წარმომადგენლობის ასისტენტი სამართლებრივ საკითხებში. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის თავად ავტორს და არ უნდა იქნეს აღქმული როგორც პოზიცია ნებისმიერი ორგანიზაციისა ან მასში დასაქმებული პირებისა, რომელთანაც/რომლებთანაც ავტორს შრომითი ან სხვა საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს.

<sup>2</sup> ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ლ. თოთლაძის თარგმანი, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 58.

რომ მნიშვნელობითი სივრცე აქვს, პრობლემას წარმოადგენს სამართლებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით, კერძოდ, სამართლებრივი შედეგების პროგნოზირებისთვის, თუმცა, მისი პოზიტიური მხარე გამოიხატება სამართლის „მოქნილობაში“, მიესადაგოს ცხოვრების მრავალფეროვან გარემოებებს<sup>1</sup>. ამასთან, აუცილებელია, რომ შეირჩეს ისეთი ინტერპრეტაცია, რომლის დროსაც, საინტერპრეტაციო ნორმა იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ სამართლის ნორმასთან წინააღმდეგობაში არ მოვა<sup>2</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომ - ევროპული სასამართლო) ყურადღებას ამახვილებს იმ ქონების კონფისკაციაზე, რომლით სარგებლობა არის უკანონო და საშიში საერთო ინტერესებისთვის<sup>3</sup>. სიტყვათა წყობის „სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობის“ შინაარსის მასშტაბის დაკონკრეტებისას, ეროვნული სასამართლოებისთვის გზამკვლევის ფუნქციას სწორედ ევროპული სტანდარტები უნდა ასრულებდეს.

წინამდებარე სტატიის მიზანია დანაშაულის საგნის, იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის კონფისკაციის შესახებ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გამორჩეული გადაწყვეტილებების ანალიზი და მის პრიზმაში ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების ასპექტების წარმოჩენა. გარდა ამისა, სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აშშ-ის უზენაესი სასამართლოსა და ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ აქტუალურ და ღირებულ გადაწყვეტილებებს.

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, 75.

<sup>3</sup> ზოიძე ბ., საკუთრების უფლება და მისი დაცვა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ჯ. ხეცურიანის, ბ. ზოიძის, ი. ფუტკარაძისა და ზ. ჭინჭოლაგას რედაქტორობით, თბილისი, 2005, 26.

## I. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები

### 1. ისმაილოვი რუსეთის წინააღმდეგ<sup>1</sup>

#### 1.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შედეგი

განმცხადებელი აზერბაიჯანის მოქალაქე, ადილ ისმაილოვია, რომელსაც ბაქოდან მოსკოვში გადაჰქონდა 21,348 ამერიკული დოლარი (მემკვიდრეობით მიღებული ბინის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა). საბაუოზე დეკლარაციის შევსებისას, მან მხოლოდ თანხის ნაწილი მიუთითა, მაშინ, როდესაც იმ დროისთვის რუსეთში მოქმედი კანონმდებლობით, თუ ფულადი სახსრების ოდენობა 10,000 დოლარს აღემატებოდა, საბაუო დეკლარაციის შევსებისას სრული თანხის ასახვა უნდა მომხდარიყო. საბაუო შემონმების გავლისას, მას ჩემოდანში აღმოუჩინეს თანხის არადეკლარირებული ნაწილი, რის საფუძველზეც სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მას ბრალი წაყენა კონტრაბანდისთვის, ხოლო ფული ნივთმტკიცებულების სახით თან დაერთო სისხლის სამართლის საქმეს.

მოსკოვის რაიონულმა სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და პირობითად შეუფარდა 6 თვიანი პატიმრობა 6 თვიანი პრობაციის პირობით, ხოლო ნივთმტკიცებულება, კერძოდ, 21.348 ამერიკული დოლარი გადაეცა სახელმწიფოს.

საპელაციო საჩივარში განმცხადებელი თავს არ ცნობდა დამნაშავედ და აცხადებდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლი სასჯელის სახით კონფისკაციას არ ითვალისწინებდა. მოსკოვის საქალაქო სასამართლომ მსჯავრდების ნაწილი უცვლელად დატოვა, ხოლო ფულთან მიმართებაში აღნიშნა, რომ ფულის კონფისკაცია წარმოადგენდა არა სასჯელს, არამედ ნივთმტკიცებულების ბედთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებას.

რუსეთის ფედერაციის სახალხო დამცველმა განმცხადებლის სახელით, წერილით მიმართა მოსკოვის ქალაქის პროკურორს, რომლითაც ითხოვდა კონფისკაციის შესახებ ბრძანებაზე საზედამხედველო

---

<sup>1</sup> Ismayilov v. Russia, 30352/03, 06.11.2008.

პროცედურების დანყებას. მოსკოვის ქალაქის პროკურორის პასუხი იყო უარყოფითი, რადგან მისი განცხადებით, კონფისკაციის შესახებ ბრძანება იყო კანონიერი. ამის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის ომბუდსმენმა იმავე თხოვნით მიმართა რუსეთის მთავარ პროკურორს. ამასთან, წერილში ომბუდსმენი აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების მიუხედავად, საქმეს არ ერთვოდა საპროცესო დოკუმენტი, თუ რა სახის ნივთმტკიცებულებას წარმოადგენდა განმცხადებლის კუთვნილი ფული. განმცხადებლის ფული არც დანაშაულის იარაღი იყო (კონტრაბანდის შემთხვევაში, მხოლოდ სამალავი შეიძლება ყოფილიყო ასეთი საშუალება) და არც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული და ამიტომ, უნდა დაბრუნებოდა მის კანონიერ მესაკუთრეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფისკაცია ერთი და იმავე დანაშაულისთვის de facto მეორე სასჯელად ჩათვლებოდა. რუსეთის მთავარი პროკურორის მოადგილემ პასუხად განაცხადა, რომ კონტრაბანდის საგანი დანაშაულის ჩადენის იარაღად ითვლებოდა და კონფისკაციას ექვემდებარებოდა.

ამის შემდეგ, ომბუდსმენმა შეიტანა კონსტიტუციური სარჩელი. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო. მან განაცხადა, რომ სისხლის სამართლის საქმეში ნივთმტკიცებულებად აღიარებული საგნების, მათ შორის, დანაშაულების იარაღისა და დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების ჩამორთმევა, შეესაბამებოდა რუსეთის ფედერაციის მიერ „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციითა და „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. საკონსტიტუციო სასამართლომ დასკვნის სახით განაცხადა:

„რუსეთის ფედერაციის საზღვრის საბაჟოზე არალეგალურად ტრანსპორტირებული საგნების სტატუსის განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება, თუ რამდენად წარმოადგენენ ისინი კონფისკაციას დაქვემდებარებულ ნივთმტკიცებულებებს... სისხლის სამართლის განმხილველი საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლოს კომპეტენციაში შედის. ნივთმტკიცებულების კონფისკაციაზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა ზედა ინსტანციის

სასამართლოში საჩივრდება. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს გადაწყვეტილების გადასინჯვა...“.

## **1.2. შესაბამისი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი და პრაქტიკა**

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის მე-7 მუხლის მიხედვით:

„2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ შესაძლო დონისძიებების განხორციელება მათ საზღვარზე ნაღდი ფულადი სახსრების და შესაბამისი საბრუნავი დოკუმენტების გადაადგილების გამოვლენის და კონტროლის მიზნით იმ პირობით, რომ შესაბამისი ინფორმაცია დანიშნულებისამებრ იქნება გამოყენებული და კანონიერი კაპიტალის გადაადგილება მოხდება შეუფერხებლად. ასეთი ზომები შეიძლება მოიცავდეს ისეთი მოთხოვნის დაწესებას, რომლის თანახმადაც ფიზიკური პირები და კომერციული საწარმოები ვალდებული იქნებიან განაცხადონ საზღვარზე მნიშვნელოვანი მოცულობის ნაღდი ფულის და საბრუნავი დოკუმენტების გადატანის შესახებ.“

იმავე კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით:

„მონაწილე სახელმწიფოებმა, თავიანთი შიდასამართლებრივი სისტემებით გათვალისწინებულ ფარგლებში, უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას:

ა) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის გზით მიღებული შემოსავლების ან შესაბამისი ღირებულების ქონების კონფისკაცია;

ბ) ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან გამოსაყენებლად განკუთვნილი ქონების, მონყობილობების ან სხვა საშუალებების კონფისკაცია“.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით:

„1. ნივთმტკიცებულებას წარმოადგენს ნებისმიერი საგანი, რომელიც:

ა) დანაშაულის იარაღს წარმოადგენდა ან დანაშაულის კვალი აჩვენავს;

ბ) დანაშაულებრივი ქმედებების სამიზნეს წარმოადგენდა;

გ) ნებისმიერი სხვა საგანი ან დოკუმენტი, რომელიც დანაშაულის გახსნისთვის მნიშვნელოვანია ან სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენას შეუწყობს ხელს.

განაჩენის გამოტანისას ნივთიერი მტკიცებულების ბედი შემდეგნაირად წყდება:

1. ბრალდებულის კუთვნილი დანაშალის იარაღი ექვემდებარება კონფისკაციას, გადაეცემა კომპეტენტურ ორგანოს ან ნადგურდება;

2. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები გადაეცემა კომპეტენტურ ორგანოს ან ნადგურდება;

3. ღირებულების არმქონე საგნები ნადგურდება;

4. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ძვირფასეულობა სასამართლო გადანვეტილების საფუძველზე გადაეცემა სახელმწიფოს;

5. დოკუმენტები ინახება საქმეში;

6. სხვა საგნები უკან უბრუნდება მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო თუ მესაკუთრის იდენტიფიცირება ვერ ხდება, გადაეცემა სახელმწიფოს...“.

რუსეთის სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს „კონტრაბანდისთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ რეზოლუციის მიხედვით:

„7. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონტრაბანდის საგანი ექვემდებარება კონფისკაციას ნივთმტკიცებულების სახით. აგრეთვე, სატრანსპორტო საშუალებები, როგორც დანაშაულის იარაღი ექვემდებარება კონფისკაციას, იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ან ძვირფასეულობის სამალავ ადგილებად იქნა გამოყენებული...“.

### **1.3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საგარეულო დარღვევა**

განმცხადებელი 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებმა უკანონოდ ჩამოართვეს კუთვნილი ფული. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი

საჭიროებისთვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისთვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

მთავრობის პოზიციით ვი, ფული, რომელიც თან ჰქონდა განმცხადებელს, დანაშაულის იარაღსა და ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს და მისი კონფისკაცია სამართლებრივ საფუძველს ეყრდნობა.

#### 1.4. ევროპული სასამართლოს შეფასება

1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი შეიცავს 3 წესს, კერძოდ, საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას და მასში ჩარევის 2 საფუძველს, საკუთრების ჩამორთმევასა და საკუთრებით სარგებლობაზე კონტროლს.

წინამდებარე საქმის განხილვისას ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონფისკაცია ერთდროულად მოიცავს საკუთრების ჩამორთმევასა და საკუთრებით სარგებლობაზე კონტროლის ელემენტებს. სამართლიანი ბალანსის საკითხს, ევროპული სასამართლო საზოგადოების საყოველთაო ინტერესის მოთხოვნებისა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების აწონ-დანონის გზით აღგენს.

საზოგადოების საყოველთაო ინტერესიდან გამომდინარე, ინდივიდის საკუთრების უფლებაში ჩარევის კონტექსტში, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელწიფოებს აქვთ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (მაგალითად, გაეროს კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ“), გაატარონ ღონისძიებები მათ საზღვარზე ნაღდი ფულის გადაადგილების გაკონტროლების მიზნით. ასეთი საზედამხედველო მექანიზმის ამოქმედება განპირობებულია იმით, რომ დიდი რაოდენობის ფული შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფულის გათეთრების, ნარკოტიკებით ვაჭრობის, ტერორიზმის დაფინანსების, ორგანიზებული დანაშაულის, გადასახადების გადახდისგან თავის არიდების ან სხვა

სერიოზული ფინანსური სამარალდარღვევების ჩადენის მიზნით. საზღვრის გადაკვეთისას დეკლარაციის შევსების მოთხოვნა ემსახურება ფულის გადაადგილების გაკონტროლების მიზანს. დეკლარაციის შევსებლობის გამო საბაჟოს წარმომადგენლების მიერ კონფისკაციის სადამსჯელო ზომის გამოყენება, ზემოხსენებულ დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცილებით იყო ნაკარნახევი. ამიტომ, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ კონფისკაციის მექანიზმი შეესაბამება საზოგადოების საყოველთაო ინტერესს.

მსჯელობის განვითარების შემდეგ ეტაპზე, ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: 1. რუსეთში უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულის ნებისმიერი ოდენობის შეტანა რუსეთის კანონმდებლობით აკრძალული არ იყო; 2. წარსულში განმცხადებელს არ ჰქონდა დანაშაული ჩადენილი და ფული კანონიერი გზით ჰქონდა მოპოვებული, რაც დასტურდებოდა წარდგენილი ანდერძითა და გაყიდვის ხელშეკრულებით.

წინამდებარე შემთხვევაში, არადეკლარირებული ნაღდი ფულის შეტანას, მატერიალური ზიანი არ მიუყენება სახელმწიფოსთვის, ამდენად, სანქციის ზომად კონფისკაციის გამოყენება პირობადადებული იყო არა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებით, არამედ თავისი არსით, უკავშირდებოდა შემაკავებელ და სადამსჯელო მიზანს. ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლისთვის პატიმრობის შეფარდება საკმარისი საშუალება იყო დეკლარაციის შევსების მოთხოვნის დარღვევისთვის და დამატებითი სასჯელის სახით კონფისკაციის გამოყენება, დასახული მიზნის არაპროპორციული იყო. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა და მოპასუხე სახელმწიფოს დააკისრა ფულადი კომპენსაცია.

მოცემულ საქმეზე, ევროპული სასამართლოს მსჯელობიდან მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

- საბაჟო საზღვარზე დეკლარაციის შევსების მოთხოვნა ემსახურება ნაღდი ფულის გადაადგილების გაკონტროლებისა და ტრანსნაციონალურ თუ სხვა დანაშაულთა პრევენციის მიზანს;



• არადეკლარირებული ფულადი სახსრების კონფისკაცია მართლზომიერია საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს, მაგალითად, როდესაც ფული შეიძლება გამოყენებული იქნეს ფულის გათეთრების, ნარკოტიკებით ვაჭრობის, ტერორიზმის დაფინანსების, ორგანიზებული დანაშაულის, გადასახადების გადახდისგან თავის არიდებისა და სხვა სერიოზული ფინანსური დანაშაულის ჩადენის მიზნით. ამ მიზნების რეალიზებისთვის, სახელმწიფოს საზღვარზე არადეკლარირებული ნაღდი ფულის კონფისკაცია, საზოგადოების საყოველთაო ინტერესს ემსახურება;

• საბაუო ორგანოს მიერ კანონიერი გზით მოპოვებული არადეკლარირებული ნაღდი ფულის სახსრების კონფისკაცია დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ფულის უკანონოდ გამოყენების რისკი, მინიმალურია;

• კონფისკაციის გამოყენების შესაძლო გამომრიცხველი გარემოებებია სახეზე, თუ:

1. საკუთრება კანონიერი გზით არის შეძენილი, რაც წარდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება;

2. საკუთრების იმპორტი არ არის ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალული;

3. საკუთრების დანაშაულებრივი მიზნით გამოყენების ეჭვი არ წარმოიშობა;

4. პირს არ აქვს კრიმინალური წარსული;

5. დარღვევას მატერიალური ზიანი არ მიუყენებია სახელმწიფოსთვის.

## **2. ბათლერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>1</sup>**

### **2.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შედეგი**

განმცხადებელი აზარტული თამაშების მოთამაშე, ფრანცის ბატლერია, რომელიც დიდი რაოდენობის ფულს ფლობდა. მისი კრიმინალური წარსული დაკავშირებული იყო ფოსტიდან ნაღდი ფულის მოპარვასთან. მას სასჯელის სახით შეფარდებული ჰქონდა 5 წლიანი

---

<sup>1</sup> Butler v. the United Kingdom, 41661/98, 27.06.2002.

პატიმრობა, თუმცა, 3 წლის შემდეგ გაათავისუფლეს. იგი ბიზნესს აწარმოებდა იპოდრომში გასამართ შეჯიბრებების სფეროში. განმცხადებელმა პარტნიორის ძმას ხელზე გაატანა ნაღდი ფული, რომელიც მისთვის ესპანეთში უნდა გადაეცა. საბაჟოსა და აქციზის თანამშრომლებმა პარტნიორის ძმის მანქანა გააჩერეს და მათ კითხვაზე, თუ რა რაოდენობის ფული გადაჰქონდა, მან დაასახელა თანხა, რომელიც არ შეესაბამებოდა მანქანის საბარგულში აღმოჩენილ ოდენობას. პარტნიორის ძმამ მათ აუხსნა, რომ ნაღდი ფულის მესაკუთრე იყო ფრანკის ბატლერი, რომელიც ესპანეთში უნდა დახვედროდა და სახლის ყიდვის მიზნით გადაეცა მასთან არსებული თანხა. ამოღებული ფული მაგისტრატების სასამართლოს ბრძანების საფუძველზე დროებით დაკავდა. მოგვიანებით, საბაჟოსა და აქციზის თანამშრომლებმა მოითხოვეს ამოღებული თანხის კონფისკაცია, რადგან მათი მოსაზრებით, ფული პირდაპირ ან არაპირდაპირ ნარკოტიკებით ვაჭრობას უკავშირდებოდა ან/და გამიზნული იყო ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის. მაგისტრატების სასამართლოს ბრძანებით მოხდა ამ თანხის კონფისკაცია. გასაჩივრების შემდეგ, ზედა ინსტანციის სასამართლომ (Crown Court) უცვლელი დატოვა მაგისტრატების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

## 2.2. ევროპული სასამართლოს შეფასება

მოცემულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონფისკაციის შესახებ ბრძანება პრევენციული ზომა იყო და არაფერი ჰქონდა საერთო სისხლისსამართლებრივ სანქციასთან, ვინაიდან, კონფისკაციის მიზანი იმ ფულის ბრუნვიდან ამოღება იყო, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ფულის კონფისკაცია შეესაბამებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საყოველთაო ინტერესს და დასახული მიზნის პროპორციული იყო.

წინამდებარე საქმეზე, ევროპული სასამართლოს მსჯელობიდან გასათვალისწინებელია, რომ არაგაცხადებული ფულის კონფისკაციის შემთხვევაში, მესაკუთრეს ფული არ უბრუნდება, თუ:

1. მისი წარსული დაკავშირებულია კრიმინალთან;

2. ჩამორთმეული ფული გამოყენებული იქნება არალეგალური მიზნებისთვის, როგორცაა, მაგალითად, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა.

### **3. რაიმონდო იტალიის წინააღმდეგ<sup>1</sup>**

#### **3.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შედეგი**

განმცხადებელ ჯუზეპე რაიმონდოს, მათთვის მსგავს ორგანიზაციასთან კავშირის გამო წაეყენა ბრალი. პროკურორმა მიმართა რაიმონდოს სამართლოს, რომ მის მიმართ სპეციალური საპოლიციო ზედამხედველობა დაწესებულიყო და შესაძლო კონფისკაციის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მის ქონებაზე ყადაღა დადებულიყო. რაიმონდო იტალიის სამართლოს ბრძანების საფუძველზე, პრევენციული ზომის სახით ყადაღა დაედო რაიმონდოს უძრავ ქონებას (10 მიწის ნაკვეთს და 6 შენობას) და 6 სატრანსპორტო საშუალებას, რომლებიც განმცხადებლის განკარგულებაში იყო. მოგვიანებით, მხოლოდ რაიმონდოსა და მისი მეუღლის საკუთრებაში არსებული შენობებისა და 4 სატრანსპორტო საშუალების კონფისკაცია მოხდა მათი „კანონიერად შეძენის“ ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. იტალიის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სპეციალური საზედამხედველო ზომა და დაყადაღებული და ჩამორთმეული ქონების რესტიტუციაზე გასცა ბრძანება.

იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომით, „...პრევენციული ზომების არსებობა არ მოდის წინააღმდეგობაში იტალიის კონსტიტუციასთან. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებას საფრთხე ექმნება, პრევენციული ზომების მიღება ხელს უწყობს უკანონო ქმედებების აღკვეთასა და მომავალში სამართალდარღვევის რისკის შემცირებას. პრევენციული ზომების მიღება დაუშვებელია ეჭვის საფუძველზე და მხოლოდ ობიექტურად დადგენილი და შეფასებული ფაქტებით არის გამართლებული, რომელიც პირის ქცევებსა და ცხოვრების სტილში ვლინდება.“

---

<sup>1</sup> Raimondo v. Italy, 12954/87, 22.02.1994.

იტალიის საკასაციო სასამართლომ დაყადაღებისა და კონფისკაციის ზომებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ მათიის მსგავსი ორგანიზაციის კუთვნილებაში ეჭვმიტანილი პირების საკუთრების უკანონო გზით მოპოვების პრეზუმფციის შემთხვევაში, ამ საკუთრების კონფისკაცია არ ეწინააღმდეგება იტალიის კონსტიტუციის 24-ე მუხლით გარანტირებულ დაცვის უფლებას. კონფისკაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საქმეში წარდგენილი ირიბი მტკიცებულებები საკუთრების უკანონო გზით შეძენაზე მეტყველებს.

### 3.2. ევროპული სასამართლოს შეფასება

ევროპული სასამართლო აღიარებს იტალიაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას მათიასთან ბრძოლაში. მათიის მსგავს „ორგანიზაციას“ საშიში ეკონომიკური ბერკეტი უპყრია ხელთ. თავისი უკანონო საქმიანობის შედეგად, კერძოდ, ნარკოტიკებით ვაჭრობითა და საერთაშორისო კავშირებით, დიდი რაოდენობით ფულის ბრუნვას უწყობს ხელს, რომლის ინვესტირებაც შემდეგ, *inter alia*, უძრავ ქონებაში ხდება. კონფისკაცია, რომელიც განკუთვნილია საექვო კაპიტალის გადაადგილების ბლოკირებისთვის, ეფექტური და აუცილებელი იარაღია ამ „სიმსივნის“ დასამარცხებლად. კონფისკაციის პრევენციული მიზანი ამართლებს მის დაუყოვნებლივ გამოყენებას.

ამასთანავე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ქონების დაყადაღება ან კონფისკაცია გარდაუვლად ინვესს ზიანს. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა საკმარისი დასაბუთება, რომ რეალური ზიანი გარდაუვალი ზიანის ფარგლებს გასცდა.

წინამდებარე საქმეზე, სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა ქონების დაყადაღებასა და კონფისკაციაზე, თუმცა, ზოგიერთი ქონების დაბრუნების გაუმართლებელი გაჭიანურების ნაწილში, განაცხადა, რომ სახეზე იყო დარღვევა.

წინამდებარე საქმეზე სასამართლოს მსჯელობიდან ანგარიშგასაწევია შემდეგი საკითხები:

- მათიის მსგავს ორგანიზაციასთან კავშირში მყოფი ეჭვმიტანილი პირების საკუთრების უკანონო გზით მოპოვების პრეზუმფციის არსებობის შემთხვევაში, კონფისკაციის პრევენციული მიზანი ამართლებს მის დაუყოვნებლივ გამოყენებას;

● კონფისკაცია, რომელიც განკუთვნილია საეჭვო კაპიტალის გადაადგილების ბლოკირებისთვის, ეფექტური და აუცილებელი იარაღია მათთვის, ვისთვისაც ორგანიზაციების უკანონო ქმედებების აღსაკვეთად. შესაბამისად, საკუთრების უფლებებში ჩარევა გამართლებულია საზოგადოების საჭიროების ინტერესით;

● ქონების დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება შემჭიდროებულ ვადებში უნდა მოხდეს.

#### **4. აგოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>1</sup>**

##### **4.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შედეგი**

განცხადებელი გერმანული კომპანიაა სახელწოდებით - სს „აგოსი“, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა ლითონის გადადნობის ინდუსტრიაში და ოქროსა და ვერცხლის მონეტების ბაზარზე.

ა და ბ ესტუმრენ კომპანიის ქარხანას გერმანიაში და მოითხოვეს 1,500 კრუგერანდის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოჭრილი ოქროს მონეტები) შეძენა. მონეტების ღირებულება შეადგენდა 120,000 გირვანქა სტერლინგს. მხარეებს შორის დაიღო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა ოქროს მონეტების შეძენას. მონეტები განთავსდა ბრიტანული სანომრე ნიშნის მქონე მანქანაში. მყიდველების მიერ გამოწერილი ჩეკის განაღდება სს „აგოსმა“ ვერ შეძლო. ნასყიდობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობის მიხედვით, სს „აგოსი“ ინარჩუნებდა მონეტებს თავის საკუთრებაში, მანამ, სანამ ანაზღაურებას სრული ოდენობით არ მიიღებდა. მყიდველებმა გაერთიანებულ სამეფოში მონეტების შეტანა ცარიელ საბურავში დამალვის გზით სცადეს, თუმცა, გაერთიანებული სამეფოს საბაჟოს წარმომადგენლებმა მონეტები აღმოაჩინეს და დააყადაღეს. ა-სა და ბ-ს ბრალდება წარედ-

---

<sup>1</sup> Agosi v. The United Kingdom, 9118/80, 24.10.1986; ასევე, იხ. ამირანაშვილი გ., კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის კონფისკაცია - კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 23-26.

გინათ 1952 წლის ბაჟისა და აქციზის შესახებ აქტით განსაზღვრული ოქროს მონეტების იმპორტის აკრძალვისთვის თაღლითურად თავის არიდების საფუძველზე. სს „ავოსმა“ მოითხოვა მონეტების დაბრუნება იმ საფუძველით, რომ კომპანია იყო მონეტების კანონიერი მესაკუთრე (მისი ღირებულების გადაუხდელობის გამო) და თაღლითობის უდანაშაულო მსხვერპლი. საბაჟოს წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მონეტების დაბრუნებაზე. უდანაშაულო მესაკუთრის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენების მიუხედავად, საბაჟოსა და აქციზის კომისრებმა განაცხადეს, რომ სასამართლოს არ აქვს დისკრეციული უფლებამოსილება უარი თქვას მონეტების კონფისკაციაზე.

ამის შემდეგ, სს „ავოსმა“ სარჩელი შეიტანა ინგლისის სასამართლოში მონეტების დაბრუნების მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლოს ლორდმა დენინგმა აღნიშნა, რომ:

„საბაჟოსა და აქციზის შესახებ 1952 წლის აქტით, საბაჟოს ორგანოს კომისრებს აქვთ დისკრეციის ფართო ფარგლები თავად განსაზღვრონ, თუ რომელი საქონელი უნდა დაექვემდებაროს ჩამორთმევას და რომელი არა. თუ კანონიერი მესაკუთრე თავს თაღლითობის მსხვერპლად მიიჩნევს და კომისრებს ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით მიმართავს, კომისრებს აქვთ უფლებამოსილება დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ამ ქონების უკან დაბრუნების, არდაბრუნების ან საკომპენსაციო თანხის გაცემის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, საბაჟოს კომისრების მიერ კრუგერანდის ჩამორთმევა გამართლებულია“. ამასთანავე, ხსენებული აქტის მიხედვით, საბაჟოს წარმომადგენელს უფლება აქვს დააყადლოს ან დააკავოს იმპორტირებული საქონელი, თუ მისი გადატანი ცდილობდა მის შეტანას სპეციალურად დამალული ან შეფუთული სახით. გაერთიანებულ სამეფოში დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასამართლო მხოლოდ ამონიშნებს შედიოდა თუ არა ჩამორთმეული საქონელი კონფისკაციას დაქვემდებარებულ საქონელთა კატეგორიაში და არ იხილავს მესაკუთრის უდანაშაულობის საკითხს.

ევროპული სასამართლოს წინაშე სს „ავოსმა“ გაასაჩივრა მონეტების დაბრუნებაზე საბაჟოსა და აქციზის კომისრების უარი და განაცხადა, რომ დაირღვა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი. კომპანიის მტკიცებით, ის იყო მონეტების კანონიერი მესაკუთრე და არავითარი ბრალი

არ მიუძღვოდა რაიმე სამართალდარღვევაში... ასევე, ინგლისური სამართალი მას არ აძლევდა შესაძლებლობას, სასამართლოს წინაშე დამტკიცებინა თავისი უდანაშაულობა.

#### 4.2. ევროპული სასამართლოს შეფასება

1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლში მოცემული 3 წესის გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ კონტრაბანდული გზით შეტანილი კრუგერანდით მოხდა განმსხვადებელი კომპანიის საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევა. გაერთიანებულ სამეფოში ოქროს მონეტების იმპორტის აკრძალვა წარმოადგენდა საკუთრებით სარგებლობაზე კონტროლს, ხოლო მონეტების დაყადაღება და კონფისკაცია კი იყო ამ აკრძალვის უზრუნველყოფილი ღონისძიება. ამდენად, მოცემულ საქმეში ევროპულ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა საკუთრების ჩამორთმევა ნაკარნახევი იყო თუ არა საყოველთაო ინტერესით და რამდენად აკმაყოფილებდა პროპორციულობის პრინციპს, ანუ სამართლიან ბალანსს.

ევროპის კომისიამ აღნიშნა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად, კონტრაბანდით შეტანილი საქონელი შეიძლება, დაეჭვმდებაროს კონფისკაციას. როგორც სს „ავოსის“, ისე კომისიის მოსაზრებით, კონფისკაციის გამართლებისას აუცილებელია, კონტრაბანდული საქონლის მესაკუთრის ქცევასა და კანონის დარღვევას შორის არსებობდეს კავშირი და იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე „უდანაშაულოა“, მას უნდა ჰქონდეს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების უფლება. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი ბალანსის არსებობა მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული და ქონების მესაკუთრის ქცევა (კონტრაბანდასთან დაკავშირებით), მათ შორის, მისი ბრალის ხარისხი, ერთ-ერთი ელემენტია მხედველობაში მისაღებ გარემოებათა შორის. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში უსაფრთხო, არასაშიში კონტრაბანდული ქონების უკან დაბრუნების საკითხის გადაწყვეტისას (მესაკუთრის მონაწილეობის/ბრალის ხარისხის გათვალისწინებით) სხვადასხვა სტანდარტი გამოიყენება და არ არსებობს საერთო პრაქტიკა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საბაჟოსა და აქციზის ორგანოს კომისრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე კონტროლს გადასინჯვის გზით ახორციელებს სასამართლო. შესაბამისად, მოცემულ საქმეში, ადმინისტრაციული დისკრეციის კანონიერების შემოწმება მოხდა სასამართლოს მიერ და სს „ავოსის“ განცხადება, რომ ინგლისური სამართალი მას არ აძლევდა შესაძლებლობას, რათა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა, ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო. ამდენად, საქმეში „ავოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა.

წინამდებარე საქმეზე სასამართლოს მსჯელობიდან მხედველობაში მისაღებია შემდეგი საკითხები:

- საბაჟოს ორგანოს აქვს დისკრეციის ფართო ფარგლები დამოუკიდებლად განსაზღვროს ჩამორთმეული კონტრაბანდული საქონლის ბედი. ადმინისტრაციული დისკრეციის კანონიერებაზე კონტროლს ახორციელებს სასამართლო საბაჟოს წარმომადგენლების მიერ ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვის მექანიზმის გამოყენებით;

- სამართლიანი ბალანსის არსებობა მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული და ქონების მესაკუთრის ქცევა (კონტრაბანდასთან დაკავშირებით), *inter alia*, მისი ბრალის ხარისხი, ერთ-ერთი ელემენტი მხედველობაში მისაღებ გარემოებათა შორის;

- ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელწიფოებში უსაფრთხო, არასაშიში კონტრაბანდული ქონების უკან დაბრუნების საკითხის გადაწყვეტისას (მესაკუთრის მონაწილეობის/ბრალის ხარისხის გათვალისწინებით) სხვადასხვა სტანდარტი გამოიყენება და შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით არ არსებობს საერთო პრაქტიკა.



## 5. ს.მ. საფრანგეთის წინააღმდეგ<sup>1</sup>

### 5.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შედეგი

განმცხადებელი ავტომობილის მესაკუთრეა, რომელსაც პროფესიული საქმიანობის დროსაც იყენებს. განმცხადებლის შვილს, რომელსაც თან ახლდა მეგობარი, პირადი მოხმარებისთვის ჰოლანდიიდან საფრანგეთში შეჰქონდა 19 გრამი ჰეროინი. როდესაც საბაჟოს თანამშრომლებმა საბაჟო შემოწმებისას ავტომობილში აღმოაჩინეს ჰეროინი. მათ აღიარეს, რომ ჰოლანდიაში ნარკოტიკის შესაძენად იყვნენ წასულები. ლილეს სისხლის სამართლის სასამართლომ განმცხადებლის შვილს მსჯავრი დასდო ნარკოტიკის კონტრაბანდასა და მის მოხმარებაში. სასამართლოს ბრძანებით, საბაჟოს თანამშრომლებმა მოახდინეს ავტომობილის კონფისკაცია, როგორც კონტრაბანდის ჩადენის საშუალება. განმცხადებლის შვილმა სასამართლოს გადანყევტილება მხოლოდ ავტომობილის ჩამორთმევის ნაწილში გაასაჩივრა.

საპელააციო სასამართლომ ძალაში დატოვა სასამართლოს ბრძანება კონფისკაციასთან მიმართებაში შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: ავტომობილი ჩამოერთვა საბაჟო კოდექსის საფუძველზე, რომლის მიხედვით, კონტრაბანდა, რომელიც აკრძალულ საქონელს მოიცავს, იწვევს სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას, ავტომობილი გამოყენებული იყო სერიოზული დანაშაულის ჩადენის მიზნით.

საფრანგეთის საბაჟო კოდექსის 326-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საავტომობილო საშუალება კეთილსინდისიერ მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს, თუ ის სამართალდამრღვევს გადაეცა ლიზინგის, საიტარო ან გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე. რესტიტუცია ითვალისწინებს ჩამორთმეული საავტომობილო საშუალების შენახვისთვის განეული ხარჯების ანაზღაურებას. საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ კიდევ უფრო გააფართოვა საბაჟო კოდექსის 326-ე მუხლის მე-3 პუნქტი და დაადგინა, რომ კეთილსინდისიერ

---

<sup>1</sup> C.M. v. France, 28078/95, 26.06.2001.

მესაკუთრეს ხელშეკრულების არარსებობისა და აკრძალული ტრანსპორტირებული საქონლის შემთხვევაშიც აქვს ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების დაბრუნების უფლება.

## 5.2. ევროპული სასამართლოს შეფასება

განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე აცხადებდა, რომ მის მიმართ დაირღვა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, რადგან მისი კუთვნილი ავტომობილი ჩამორთმეულ იქნა იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენაში მას არ მიუღია მონაწილეობა. აგრეთვე, აღნიშნავდა, რომ საბაჟოს წარმომადგენლების მიერ ავტომობილის კონფისკაციით, მას ჩამოერთვა საკუთრების უფლება, ხოლო ავტომობილის დასაბრუნებლად 3,000 ფრანგული ფრანკის დაკისრებით, მოხდა საკუთრების უფლების გადაცემა.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლების გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მესაკუთრეს ეკრძალება ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნება. ამდენად, ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლისთვის ავტომობილის ჩამორთმევამ გამოიწვია არა საკუთრების უფლების გადაცემა, არამედ საკუთრებით სარგებლობის დროებითი შეზღუდვა. საბაჟოს თანამშრომლების მიერ ავტომობილის ჩამორთმევა, ხოლო შემდეგ მისი დაბრუნების უზრუნველსაყოფად გადასახადის დაწესება, მიზნად ისახავდა აკრძალული ნარკოტიკის საფრანგეთში შეტანის პრევენციას. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ საკუთრების კონფისკაცია, რომელიც არალეგალური საქმიანობისთვის გამოიყენება, განსაკუთრებით ნარკოტიკებით ვაჭრობა, აუცილებელი და ეფექტური საშუალებაა მის აღსაკვეთად. ანალოგიური შეიძლება ითქვას, მესამე პირების საკუთრებაში არსებული ქონების მიმართ კონფისკაციის განხორციელებაზეც. მოცემულ შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებით, სამართლიანი ბალანსი იქნა მიღწეული, რადგან საბაჟო კოდექსის 326-ე მუხლის მე-3 პუნქტი აკმაყოფილებდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მოთხოვნებს.

გარდა ზემოხსენებულისა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, განმცხადებელს, როგორც კეთილსინდისიერ

მესაკუთრეს, სამოქალაქო სარჩელის შეტანის უფლება ჰქონდა რაიონულ სასამართლოში, რაც მან არ გააკეთა და აქედან გამომდინარე, მის მიერ შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არ იქნა ამონური. დაუსაბუთებლობის საფუძვლით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო.

მოცემულ საქმეზე სასამართლოს მსჯელობიდან მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები:

- საკუთრების უფლების გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მესაკუთრეს ეკრძალება ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნება;

- იმ საკუთრების კონფისკაცია, რომელიც არალეგალური საქმიანობისთვის გამოიყენება, განსაკუთრებით ნარკოტიკებით ვაჭრობა, აუცილებელი და ეფექტური საშუალებაა მის აღსაკვეთად. ანალოგიური შეიძლება ითქვას, მესამე პირების საკუთრებაში არსებული ქონების მიმართ კონფისკაციის განხორციელებაზეც.

## **6. არკური და სხვები იტალიის წინააღმდეგ<sup>1</sup>**

### **6.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შედეგი**

განმცხადებლებს წარმოადგენენ იტალიის მოქალაქეები როკო არკური (პირველი განმცხადებელი) და მისი ოჯახის წევრები (მეუღლე, ვაჟი და გერი).

როკო არკურის მიმართ არსებობდა ეჭვი კრიმინალური ორგანიზაციის წევრობაზე, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობას უკავშირდებოდა. ტურინის პროკურატურამ მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და მოითხოვა მისი და მისი ოჯახის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადება. ტურინის რაიონულმა სასამართლოს სპეციალურმა განყოფილებამ ბრძანება გასცა, რომ ყადაღა დაედოთ 8 სატრანსპორტო საშუალებაზე, რამდენიმე მიწის ნაკვეთსა და ბინებზე. წარდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, ტურინის რაიონული სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირველი განმცხადებლის დიდალი ქონების ნაწილი უკანონო გზით იყო

---

<sup>1</sup> Arcuri & Three others v. Italy, 52024/99, 05.07.2001.

შეძენილი, კერძოდ, ცრუ გაკოტრებით, მევახშეობით, ბრილიანტების არალეგალური ვაჭრობით და გამოუსადეგარი ჩეკებით. ამასთანავე, პირველ განმცხადებელს არ წარმოუდგენია ქონების კანონიერების დამამტკიცებელი საბუთები. მას ქონების ნაწილი ოჯახის წევრებზე ჰქონდა გაფორმებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი განმცხადებლის ოჯახის ქონება კრიმინალური საქმიანობის შედეგად იყო შეძენილი.

იტალიაში მოქმედი 1965 წლის აქტის მიხედვით, თუ პირი ეჭვმიტანილია მათეის მსგავს ორგანიზაციასთან კავშირში, რაიონულ სასამართლოს უფლება აქვს, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული ქონების დაყადაღების თაობაზე, თუ საქმეში საკმარისი ირიბი მტკიცებულებებია, როგორცაა, მაგალითად, თვალშისაცემი განსხვავებაა პირის ცხოვრების სტილსა და დეკლარირებულ შემოსავალს შორის, ხოლო შეძენილი ქონება უკანონო წარმომავლობაზე მეტყველებს. პრევენციულ ზომებთან ერთად, რაიონულ სასამართლოს შეუძლია მოახდინოს უკანონო გზით შეძენილი ქონების კონფისკაცია.

განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ პრევენციული კონფისკაციის გამოყენები მოხდა, მათ შორის, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა.

## 6.2. ევროპული სასამართლოს შეფასება

ევროპული სასამართლო ადასტურებს განმცხადებლების საკუთრებით მშვიდობიან სარგებლობის უფლებაში ჩარევას. იგი აღნიშნავს, რომ კონფისკაციას დაექვემდებარა ის ქონება, რომელიც იტალიის სასამართლოების მიერ მიჩნეული იყო უკანონო გზით შეძენილად და მათი გამოყენება, საზოგადოების საზიანოდ, სარგებელს მოუტანდა პირველ განმცხადებელს ან იმ კრიმინალურ ორგანიზაციას, რომლის წევრობაშიც ის იყო ეჭვმიტანილი. შესაბამისად, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონფისკაცია მიზნად ისახავდა უკანონო ქონების გამოყენების აღკვეთას, რომლის კანონიერი წარმოშობის საფუძვლები არ დასტურდებოდა. ასეთი ჩარევა საყოველთაო ინტერესის დაცვით იყო განპირობებული. კონფისკაცია დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს უნდა

ჰქონდეს თავისუფალი შეფასების ფარგლები, იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საჯარო ინტერესზე და საჭიროებს კონტროლის შესაბამისი მექანიზმების არსებობას. იტალიაში ორგანიზებული დანაშაულის პრობლემამ შემაშფოთებელ დონეს მიაღწია. ამ ორგანიზაციების მიერ უკანონო საქმიანობის შედეგად უზარმაზარი მოგების მიღება ეწინააღმდეგება სამართლებრივ სახელწიფოს. ამ ეკონომიკური ძალის დასამარცხებლად მიღებული ზომები, მათ შორის, კონფისკაცია, კრიმინალური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში არსებით მნიშვნელობას იძენს. მოცემულ საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნის პროპორციულია. სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო.

წინამდებარე საქმეზე, ევროპული სასამართლოს მსჯელობიდან საყურადღებოა შემდეგი საკითხები:

- კონფისკაცია დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს უნდა ჰქონდეს თავისუფალი შეფასების ფარგლები, იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საჯარო ინტერესზე და საჭიროებს კონტროლის შესაბამისი მექანიზმების არსებობას;

- იტალიაში ორგანიზებული დანაშაულის პრობლემამ შემაშფოთებელ დონეს მიაღწია. კრიმინალური ორგანიზაციების მიერ უკანონო საქმიანობის შედეგად უზარმაზარი მოგების მიღება ეწინააღმდეგება სამართლებრივ სახელწიფოს. ამ ეკონომიკური ძალის დასამარცხებლად მიღებული ზომები, მათ შორის, კონფისკაცია, კრიმინალური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში არსებით მნიშვნელობას იძენს.

## 7. ეარ კანადა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>1</sup>

### 7.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შედეგი

კომპანია „ეარ კანადის“ თვითმფრინავის ბორტზე დიდი რაოდენობის ნარკოტიკის იმპორტირების არაერთი შემთხვევის დაფიქსირების შემდეგ, საბაჟოსა და აქციზის ორგანომ წერილობით მიმართა „ეარ კანადას“ და გააფრთხილა, რომ, თუ თვითმფრინავში ისევ აღმოჩნდებოდა არალეგალური საქონელი, მოხდებოდა თვითმფრინავის კონფისკაცია და სანქციის სახით დაწესდებოდა ფულადი ჯარიმა. მანამდე ჩადენილი უსატრთხოების წესების დარღვევისთვის კი, „ეარ კანადას“ დაეკისრა ფულადი ჯარიმები. როდესაც „ეარ კანადის“ თვითმფრინავი ახორციელებდა რეისს მიმართულებით სინგაპური-ტორონტო, გზად დაეშვა ლონდონის შითროუს აეროპორტში, სადაც მის ერთ-ერთ კონტეინერში აღმოჩნდა 331 კგ. კანაფი. საბაჟოსა და აქციზის კომისრებმა, დროებით ჩამოართვეს მესაკუთრეს თვითმფრინავი და 50,000 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ფულადი თანხის გადახდამდე არ დაუბრუნეს.

შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების, კერძოდ, საბაჟოსა და აქციზის კომისრების გადაწყვეტილების პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, კომპანია „ეარ კანადამ“ განაცხადით მიმართა ევროპულ სასამართლოს. იგი აცხადებდა, რომ თვითმფრინავის დროებითი ხასიათის ჩამორთმევამ და მის დასაბრუნებლად ფულადი თანხის დაწესებამ, გამოიწვია საკუთრების უფლების ჩამორთმევა და, *inter alia*, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გარანტირებული საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დარღვევა.

### 7.2. ევროპული სასამართლოს შეფასება

ევროპულმა სასამართლომ წინამდებარე შემთხვევა შეაფასა როგორც საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ვინაიდან

---

<sup>1</sup> Air Canada v. The United Kingdom, 18465/91, 05.05.1995.

საკუთრების უფლება არ გადასცემია სახელმწიფოს. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ფულის გადახდის სანაცვლოდ თვითმფრინავის განთავისუფლება მიზნად ისახავდა სამომავლოდ, გაერთიანებულ სამეფოში ნარკოტიკული საშუალებების შეტანის თავიდან აცილებას. ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ საბაჟოსა და აქციზის კომისრების მიერ გატარებული ღონისძიებები საგამონაკლისო ხასიათს ატარებდა და ორიენტირებული იყო კომპანიის უსაფრთხოების პროცედურების გაუმჯობესებაზე. ევროპულმა სასამართლომ, ასევე, განაცხადა, რომ თვითმფრინავის გასათავისუფლებლად დაწესებული 50,000 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ფულადი თანხა იყო გაერთიანებულ სამეფოში აკრძალული ნარკოტიკული საშუალებების იმპორტის პრევენციის მიზნის პროპორციული და სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფი. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა.

წინამდებარე საქმეზე ევროპული სასამართლოს მსჯელობიდან გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- არაერთი გაფრთხილებისა და ფულადი სასჯელების დაწესების მიუხედავად, აკრძალული დანაშაულის საგნის, კანაფის, გაერთიანებულ სამეფოში შეტანას, შედეგად მოჰყვა დანაშაულის საგნის კონფისკაცია, ხოლო დანაშაულის იარაღის, თვითმფრინავის, დროებით დაკავება, რომელიც მესაკუთრეს უკან დაუბრუნდა ფულადი თანხის გადახდის შემდეგ;

- საკუთრების უფლების ჩამორთმევას მაშინ აქვს ადგილი, როცა ხდება საკუთრების სახელმწიფოსთვის გადაცემა. საკუთრების დროებითი დაკავების ან დაყადაღების შემთხვევაში ხდება საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

## 8. ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>1</sup>

### 8.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შედეგი

განმცხადებელი რიჩარდ ჰენდისაიდია, საგამომცემლო ფირმის მესაკუთრე, რომელმაც გამოაქვეყნა - „პატარა წითელი სახელმძღვანელო“. გამოქვეყნებული წიგნი შეიცავდა უხამსი შინაარსის მქონე მასალას, გააჩნდა ზნედაცემისა და გარყვნის ტენდენცია, რის გამოც თავდაპირველად მოხდა წიგნების სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება, ხოლო შემდეგ, სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, მათი კონფისკაცია და განადგურება. ამასთანავე, განმცხადებელს დაეკისრა ფულადი ჯარიმისა და სხვა ხარჯების გადახდა. განმცხადებელმა მიმართა ევროპულ სასამართლოს, რომელიც, მათ შორის, აპელირებდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევაზე.

### 8.2. ევროპული სასამართლოს შეფასება

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არ არსებობს ერთგვაროვანი ევროპული კონცეფცია, საერთო კონსენსუსი მორალის შესახებ. თავიანთი ქვეყნის რეალიებთან პირდაპირი და უწყვეტი კონტაქტის წყალობით, სახელმწიფო ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გამოთქვას მოსაზრება ამ მოთხოვნების ზუსტი შინაარსის, ისევე, როგორც „შეზღუდვებისა“ და „სანქციების“ (საკუთრების დაყადაღება, კონფისკაცია) „აუცილებლობის“ თაობაზე. შესაბამისად, უფლებამოსილ ინგლისელ მოსამართლეებს, თავიანთი სამოსამართლო მიხედულების განხორციელებისას, უფლება ჰქონდათ ეფიქრათ, რომ სახელმძღვანელო ზიანის მომტანი იქნებოდა. ამასთანავე, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ სახელმძღვანელოს ჩამორთმევა და განადგურება წარმოადგენდა განსაზღვრული ქონების მესაკუთრეობის სამუდამო აღკვეთას. თუმცა, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საგნები, რომელთა

---

<sup>1</sup> Handyside v. The United Kingdom, 5493/75, 07.12. 1976.



გამოყენებაც კანონით გამოცხადებულია აკრძალულად და საჯარო ინტერესებისთვის საშიშად, ექვემდებარება ჩამორთმევას მათი განადგურების მიზნით. შესაბამისად, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

წინამდებარე საქმეზე, ევროპული სასამართლოს მსჯელობისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არ არსებობს ერთგვაროვანი ევროპული კონცეფცია, საერთო კონსენსუსი მორალის შესახებ. თავიანთი ქვეყნის რეალიებთან პირდაპირი და უწყვეტი კონტაქტის წყალობით, სახელმწიფო ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, გამოთქვას მოსაზრება მორალის ზუსტი შინაარსის, ისევე, როგორც „შეზღუდვებისა“ და „სანქციების“ (საკუთრების დაყადაღება, კონფისკაცია) „აუცილებლობის“ თაობაზე.

- სახელმძღვანელოს ჩამორთმევა და განადგურება წარმოადგენს ქონების მესაკუთრეობის სამუდამო აღკვეთას, თუმცა, საგნები, რომელთა გამოყენებაც კანონით გამოცხადებულია აკრძალულად და საჯარო ინტერესებისთვის საშიშად, ექვემდებარება ჩამორთმევას მათი განადგურების მიზნით.

## **9. მიუღერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ<sup>1</sup>**

### **9.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შედეგი**

ჯოზეფ ფელიქს მიუღერმა სამი ღამის განმავლობაში შექმნა 3 ნახატი სახელწოდებით - „სამი ღამე, სამი სურათი“, რომლებიც უხამსი მასალის გამოქვეყნებისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის აშკარად მორალური შეურაცხყოფის გამო იქნა ჩამორთმეული, ხოლო დაკისრებული ფულადი ჯარიმა შეადგენდა 300 შვეიცარიულ ფრანკს. კონფისკაციას დაქვემდებარებული ნამუშევრები უნდა გადასცემოდა ფრიბურგის კანტონის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმს შესანახავად და

---

<sup>1</sup>Muller and others v. Switzerland, 10737/84, 24.05.1988.

მხოლოდ მცირე რაოდენობის სერიოზული სპეციალისტებისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის მიხედვით:

„1. ნებისმიერი პირი, ვინც ვაჭრობის, გავრცელების ან საჯაროდ ჩვენების მიზნით, ამზადებს ან თავის მფლობელობაში გააჩნია რაიმე წერილობითი მასალა, სურათი, ფილმი ან სხვა საგანი, რომელიც უხამსია, ან ვინც ზემოაღნიშნული მიზნებით ეწევა ასეთი საგნების იმპორტს, ტრანსპორტირებას ან ექსპორტს, ან მიაქცევს მათ ბრუნვაში ამა თუ იმ ფორმით... ისჯება პატიმრობით ან ჯარიმით.

3. სასამართლო გასცემს საგნების განადგურების ბრძანებას.“

1963 წელს ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ 204-ე მუხლის მიზნებისათვის, თუ უხამსი საგანი წარმოადგენდა უდავო კულტურულ ინტერესს, საკმარისი იყო ძირითადი საზოგადოების ხელმისაწვდომობიდან მისი ამოღება „განადგურების“ მიზნით.

## 9.2. ევროპული სასამართლოს შეფასება

შვეიცარიის სასამართლოებმა მიიჩნიეს (როგორც კანტონის დონეზე, პირველ ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში, ისე ფედერალურ დონეზე), რომ ნახატებში უხეში ფორმით იყო გამოხატული სექსუალური ურთიერთობა მამაკაცსა და ცხოველს შორის, რასაც ევროპული სასამართლოც დაეთანხმა. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, თავისუფალი შეფასების ფარგლებში, შვეიცარიის სასამართლოებს შეეძლოთ მიეჩნიათ, რომ მორალის დასაცავად ნახატების კონფისკაცია „აუცილებელი“ იყო.

წინამდებარე საქმეზე სასამართლოს მსჯელობისა და გასათვალისწინებელია, რომ ხელოვნების ნიმუშის მორალურ-ამორალური ხასიათის განსაზღვრისას გადამწყვეტია საკუთრივ სახელმწიფოს მიდგომა (*mutatis mutandis* ჰენდისაილი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ).

## II. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა<sup>1</sup>

1974 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა ქონების კონფისკაციის კონსტიტუციურობა საქმეში „კალერო-ტოლედო პირსონ იახტის ლიზინგის კომპანიის წინააღმდეგ“ (Calero-Toledo v. Pearson Yacht Leasing Company). იახტის ბორტზე მარიხუანას სიგარეტის აღმოჩენისას, სახელმწიფოს კომპეტენტურმა პირებმა მოახდინეს იახტის დაყადაღება და კონფისკაცია. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ უდანაშაულო მესაკუთრისთვის ქონების კონფისკაცია ნაკარნახევი იყო ქონების შემდგომი უკანონო გამოყენების პრევენციის საჯარო ინტერესით. გამომდინარე იქიდან, რომ ქონების კონფისკაცია ხორციელდება in rem უსულო საგნის წინააღმდეგ, იახტა, „სამართალდამრღვევად“ იქნა მიჩნეული, ხოლო მესაკუთრის შესაძლო უდანაშაულობამ უკვე მეორეხარისხოვანი ადგილი დაიკავა.

საქმეში „ბენისი მიჩიგანის წინააღმდეგ“ (Bennis v. Michigan) აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მართლზომიერად ჩათვალა იმ ავტომობილის კონფისკაცია, რომელიც ცოლ-ქმრის თანასაკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო ქმარმა ის მეძავთან კავშირის დასამყარებლად გამოიყენა. მოქმედი სამართალი ითვალისწინებდა საკუთრების ჩამორთმევას, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ იყო მიმართული. უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მანქანა წარმოადგენდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საშუალებას და ამდენად, ექვემდებარებოდა ჩამორთმევას.

---

<sup>1</sup> Walt Aj Van der, Civil Forfeiture of Instrumentalities and Proceeds of Crime and the Constitutional Property clause, South African Journal on Human Rights, Volume 16, Issue 1, 2000, 14-18.

### III. ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია<sup>1</sup>

ლიტვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხოლოდ სამართალდამრღვევის კუთვნილი საგანი ექვემდებარება ჩამორთმევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანი ან იარაღი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის საშუალებაა. ჩამორთმეული სამართალდარღვევის იარაღი ან საგანი უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს საკუთრებაში.

განურჩევლად მესაკუთრისა, კონტრაბანდული საქონლის გადატანამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ლიტვის რესპუბლიკის ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემას და საფრთხე შეუქმნას ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამიტომ, ლიტვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, კონტრაბანდის მიმართ ითვალისწინებს კუმულაციურ სანქციას: ძირითად სანქციად დაჯარიმებას, ხოლო დამატებით სანქციად კონტრაბანდული საგნების კონფისკაციას როგორც სატრანსპორტო, ისე მისი დასამალი საშუალების. არალეგალურად იმპორტირებული საქონელი თანაბრად საზიანოა სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებისთვის, ამიტომ კანონმდებლის მიერ დამატებით სანქციად დაწესებული კონტრაბანდის საგნის ჩამორთმევა, დასახული მიზნის პროპორციულია.

როდესაც მესაკუთრე დროებით მფლობელობაში გადასცემს საკუთრებას სხვა პირს, ყოველთვის არის რისკი იმისა, რომ დროებითი მფლობელი საკუთრების ობიექტს არაკანონიერი მიზნებისთვის გამოიყენებს ან დააზიანებს, დაკარგავს ან გაანადგურებს მას. თუ პირი საკუთრებაში გადაცემულ ობიექტს (მანქანას) კონტრაბანდისთვის გამოიყენებს, მიუხედავად მისი მესაკუთრის უდანაშაულობისა, არაბრალეულობისა, სახელმწიფოს გადაეცემა საკუთრებაში. მესაკუთრე ვეღარ დაიბრუნებს სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაცემულ საგანს, რადგან

---

<sup>1</sup> ხელმისაწვდომია: <<http://www.lrkt.lt/dokumentai/1997/n710408a.htm>> [12.02.2022]. ასევე, იხ. ამირანაშვილი გ., კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის კონფისკაცია - კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 21-22.

ეს უკანასკნელი მისი ლეგიტიმური მესაკუთრე ხდება. მესაკუთრეს შეუძლია სამართალდამრღვევ დროებით მფლობელს მოსთხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. განსხვავებულად წყდება საკითხი, როდესაც მესაკუთრის ნებისგან დამოუკიდებლად მოხდა საკუთრების გასვლა და სამართალდამრღვევა ჩაიდინა კონტრაბანდა. ამ შემთხვევაში, მესაკუთრეს აქვს უფლება, რომ კეთილსინდისიერ შემძენს მოსთხოვოს მისი უკან დაბრუნება.

## დასკვნა

საკუთრების უფლება ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებითი უფლებაა, რომელიც არ არის აბსოლუტური ხასიათის მატარებელი. ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, სამ ურთიერთდაკავშირებულ წესს ამკვიდრებს, სახელდობრ, საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას და მასში ჩარევის 2 საფუძველს, საკუთრების ჩამორთმევასა და საკუთრებით სარგებლობაზე კონტროლს. სახელმწიფოებს აქვთ ფართო დისკრეცია, შეფასების თავისუფლების ფარგლები (margin of appreciation) თავად განსაზღვრონ საკუთრების ჩამორთმევისა და საკუთრებით სარგებლობაზე კონტროლის მარეგულირებელი წესები. თუმცა, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საშუალება უნდა იყოს საჯარო, ანუ საყოველთაო ინტერესის პროპორციული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება საკუთრების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას. საჯარო ინტერესი აბსტრაქტული სამართლებრივი მოცემულობაა, რომელიც განიცდის ევოლუციას. იგი კონკრეტულ შინაარსს საგარეო და საშინაო ასპარეზზე მიმდინარე გამოწვევების, ასევე, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნილებების შესაბამისად იძენს, რაც შემდეგ ნორმატიულ ბაზაში ჰპოვებს ასახვას.

თანამედროვე გადმოსახედიდან, ქონების კონფისკაცია დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად არის მიჩნეული (მაგალითად, იგულისხმება ფულის გათეთრება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ორგანიზებული დანაშაულები, კონტრაბანდა და სხვა სერიოზული ხასიათის დანაშაულები). კონფისკაცია ერთდროულად მოიცავს საკუთრების ჩამორთმევასა და საკუთრებით სარგებლობაზე კონტროლის ელემენტებს. ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში დანაშაულის საგ-

ნისა და იარაღის კონფისკაციის მიმართ დანერგილი არაერთგვაროვანი სტანდარტების მიუხედავად, ზოგადი კონტურების გამოკვეთა მანაც არის შესაძლებელი. კონფისკაციის გამოყენების შესაძლო გამომრიცხველი გარემოებებია სახეზე, თუ: 1. საკუთრება კანონიერი გზით არის შეძენილი, რაც წარდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება; 2. საკუთრების იმპორტი არ არის ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალული; 3. საკუთრების დანაშაულებრივი მიზნით გამოყენების ეჭვი არ წარმოიშობა; 4. პირს არ აქვს კრიმინალური წარსული და 5. დარღვევას მატერიალური ზიანი არ მიუყენებია სახელმწიფოსთვის. კონფისკაციის გამოყენების შესაძლო განმაპირობებელი გარემოებებია: მათეის მსგავსი ორგანიზაციის წევრობაში ეჭვმიტანილი პირების საკუთრების უკანონო გზით მოპოვების პრეზუმფცია; საქონლის იმპორტის სახელმწიფოს კანონმდებლობით აკრძალვა და არალეგალური საქმიანობის გაგრძელებაზე გონივრული ეჭვის არსებობა.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლო დანაშაულის საგნისა და იარაღის ჩამორთმევას, რომლის მესაკუთრესაც დანაშაულის ჩადენაში ბრალი არ მიუძღვის, იმ შემთხვევაში მიიჩნევს დასაშვებად, თუ ქონება ბმამია დანაშაულებრივ საქმიანობასთან (სამოქალაქო ბრუნვიდან გასულია, ახალი დანაშაულის ჩადენა გარდაუვალია და ა.შ.), ხოლო, თუ ამგვარი საქმიანობისგან მოწყვეტილია, ქონების რესტიტუციის ან/და ფულადი კომპენსაციის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში უსათრთხო, არასაშიში კონტრაბანდული ქონების უკან დაბრუნების საკითხის გადანყვეტისას (მესაკუთრის მონაწილეობის/ბრალის ხარისხის გათვალისწინებით) სხვადასხვა სტანდარტი გამოიყენება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით არ არსებობს საერთო პრაქტიკა და სახელმწიფოს მიხედულებაზე დამოკიდებული საკითხის გადანყვეტა, რომელიც პროპორციულობის ჩარჩოში უნდა ექცეოდეს.

გამომდინარე იქიდან, რომ ევროპული სასამართლოს გადანყვეტის შემთხვევებს პრეცედენტული ძალა აქვს, მიზანშეწონილია, რომ საქართველოს სასამართლოებმა მხედველობაში მიიღონ ევროპული სასამართლოს ფორმატში შემუშავებული უფლების დარღვევა-არდარღვევის

დამდგენი შეფასებითი შკალა, რადგან ანალოგიური საქმის განხილვისას, ალბათობის მაღალი ხარისხით, საქართველოს მიმართაც იმავე ხასიათის გადანყვეტილება იქნება მიღებული. გარდა ამისა, პროცესში წაგებულ მხარეს რომ არ დარჩეს უსამართლობისა და სასამართლოს მიერ „სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობის“ განმარტების დისკრეციის ბოროტად გამოყენების განცდა, მიზანშეწონილია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ სახელდებით განსაზღვროს, თუ ლეგიტიმური მიზნის რომელი კომპონენტის საპირწონედ გადაიწონა ინდივიდის კერძო ინტერესი.

მანარმა იურიდიული პირის დირექტორის პასუხისმგებლობის  
სამართლებრივი საფუძვლები

ზურაბ ლორია\*

შესავალი

დირექტორის როლი საზოგადოების წინაშე ძალიან დიდია. კომპანია რომ გადარჩეს, უნდა უზრუნველყოს მოგების გენერირება გრძელვადიან პერსპექტივაში.<sup>1</sup> მომგებიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან საბოლოო მიზანს.<sup>2</sup> ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია შესაბამისი მართველი, რომელიც ეფექტურად მართავს წარმოშობილ რისკებს და იღებს რაციონალურ გადაწყვეტილებებს.<sup>3</sup> რაციონალური გადაწყვეტილება თავისთავში გულისხმობს სათანადო ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოკვლეული და შესწავლილი უნდა იყოს.<sup>4</sup> ცხადია, კომპანია თვითონ, სათანადო ხელმძღვანელის გარეშე ყოველდღიურ რეჟიმში ვერ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებებს, ვერც პარტნიორთა კრება და ვერც სხვა მაკონტროლებელი ორგანოები, ამიტომ დირექტორის მნიშვნელობა ყოველდღიურ საქმიანობაში შეუცვლელია, რომელიც გონების და ტვინის ფუნქციას ასრულებს.<sup>5</sup>

---

\* სამართლის მაგისტრი.

<sup>1</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 130.

<sup>2</sup> იქვე, 130.

<sup>3</sup> Mantysaari P., Organising the Firm, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2012, Berlin, 44-45.

<sup>4</sup> იქვე, 46.

<sup>5</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 130.



## 1. დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები

საზოგადოების მართვისას დირექტორს წარმოეშვება მოვალეობები, რომელიც საკმაოდ ფართო ცნებაა და ბევრ საკითხს მოიცავს. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი განსაზღვრავს ვალდებულებებს, რომ ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სამენარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამენარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.<sup>1</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორს მოეთხოვება კეთილსინდისიერების, ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობები, რომელიც ერთ მუხლშია გაერთიანებული, რაც არასწორია, თუ რატომ არის საკითხის აღნიშნული მონესრიგება არასწორი, ამას შემდეგ თავებში ეტაპობრივად განვიხილავ. ვინაიდან ზრუნვის, ერთგულებისა და კეთილსინდისიერების მოვალეობა არ შეიძლება გაერთიანებული იყოს ერთ მუხლში, აქედან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ მოვალეობაში.

### 1.1. კეთილსინდისიერების მოვალეობა

დირექტორის კეთილსინდისიერება ვლინდება მაშინ, როდესაც მას მიაჩნია, რომ მისი მოქმედება ნაკარნახევია საწარმოს საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>2</sup> დირექტორებს ვალდებულება გააჩნიათ

---

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, 50-ე მუხლი.

<sup>2</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 190.

კომპანიის და არა მისი პარტნიორების წინაშე.<sup>1</sup> ღირექტორის კეთილ-სინდისიერების ერთ-ერთ კრიტერიუმად შეიძლება განვსაზღვროთ კომპანიის წარმატებულობა.<sup>2</sup> თუ კომპანია წარმატებულია, ღირექტორის ქმედებები სავსებით შესაძლებელია კეთილსინდისიერად შეფასდეს. კეთილსინდისიერების მოვალეობა ითვალისწინებს ღირექტორის შინაგან რწმენას, რომ მისი თითოეული ქმედება კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს, თუმცა პრაქტიკაში საკმაოდ რთული დასადგენია სასამართლოსთვის, რანდენად სწამდა შინაგანად ღირექტორს, რომ მისი ქმედებები კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობდა.<sup>3</sup> ზემოთ მოცემული განსაზღვრება მაინც სუბიექტურია და გამომდინარეობს ღირექტორის რწმენისა და შეხედულებებისაგან, ამიტომ საჭიროა ობიექტური ფაქტორების შემოტანაც. ობიექტურ გარემოებად შეიძლება შეფასდეს ღირექტორის რაციონალური გადაწყვეტილება, დაფუძნებული ზუსტ და უტყუარ ინფორმაციაზე, რომელიც სათანადო გამოკვლევის და გადამოწმების შემდეგ იქნება მიღებული, მიუხედავად იმისა, სწამს თუ არა ღირექტორს თავისი მოქმედებების მართებულობის და თვლის, რომ კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს, თუ არ იქნება მისი ეს ქმედებები სათანადოდ გამოკვლეული და ინფორმირებული, ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერად.<sup>4</sup>

როგორც, ერთ-ერთი საქმის განხილვისას სასამართლომ აღნიშნა: კეთილსინდისიერება არ შეიძლება განვიხილოთ კომპანიის საუკეთესო ინტერესების მოქმედების ერთადერთ ტესტად, რადგან სრულიად შესაძლებელია საქმე გვეჩონდეს კომპანიის საქმიანობის უგუნურ გაძლოლასთან, რაც ფულის არარაციონალურად ფლანგვაში გამოიხატება და ამავდროულად, ეს მოქმედება კეთილსინდისიერი იყოს.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> იქვე, 132.

<sup>2</sup> იქვე, 193.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, 194.

იგივე შეიძლება ითქვას, თუ რას გულისხმობს კომპანიის წარმატებულობა. კანონმდებლობა არ იძლევა წარმატების დეფინიციას და აქედან გამომდინარე, თუ რა შეიძლება შეფასდეს კომპანიის წარმატებულ საქმიანობად ღირეფტორისა და კომპანიის პარტნიორების კეთილსინდისიერი განსჯის საფუძველზე უნდა დადგინდეს.<sup>1</sup>

საინტერესოა, როგორ არის დარეგულირებული ესა თუ ის საკითხი დელავერის საკორპორაციო კანონმდებლობაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არამხოლოდ ანგლო-ამერიკული, არამედ კონტინენტური ევროპის საკორპორაციო სამართალზე.<sup>2</sup> ზოგადად, დელავერის საკორპორაციო სამართალი გვიჩვენებს, რომ კეთილსინდისიერება შეიძლება განცალკევებულ მოვალეობად იქნეს განხილული ღირეფტორთა სხვა მოვალეობებისგან.<sup>3</sup> რაც შეეხება ქართულ სამართალს, აქ არ გვხვდება ნათელი გამიჯვნა კეთილსინდისიერების სხვა მოვალეობათა მიმართებაში და მხოლოდ ის ფაქტი, რომ ღირეფტორებმა უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად არ არის საკმარისი ამ საკითხთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად.<sup>4</sup> კეთილსინდისიერების მოვალეობასთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც უზენაესმა სასამართლომ საქმე დაუბრუნა ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს, იმის დასადგენად, თუ რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებდა ღირეფტორი, რომელმაც გააფორმა იჯარის ხელშეკრულება ისეთ კომპანიასთან, რომლის დამფუძნებელიც ყოფილი ღირეფტორი იყო.<sup>5</sup> აღნიშნულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოცხადებულა, თუმცა უზენაესი სასამართლოს მცდელობა შეფასდეს ღირეფტორის კეთილსინდისიერება, ნამდვილად

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ბაქაძე ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ., საკორპორაციო სამართალი, ლ. ცერცვაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 111.

<sup>3</sup> იქვე, 112.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაჭორების საქმეთა პალატის 2006 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-717-988-05.

დადებითად უნდა იქნეს აღქმული.<sup>1</sup> კეთილსინდისიერების მოვალეობა არ განსაზღვრავს დირექტორთა ქმედებების მართებულობას, არამედ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შესაძლებელია დირექტორთა შინაგანი დამოკიდებულებების შეფასება.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერების ქოლგის ქვეშ შეიძლება მოვაქციოთ რამდენიმე საკითხი, რომელიც დაგვეხმარება მისი დეფინიციის განსაზღვრაში. ესენია: მიზნის მიმართ გულწრფელობა, მოვალეობების მიმართ ერთგულება, სამართლიანი სტანდარტების დაცვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში, კომპანიისგან მაქსიმალური სარგებლის მიღება და თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნების არქონა.<sup>3</sup>

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონისგან განსხვავებით, აღნიშნული საკითხი უკეთ არის მონესრიგებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონში, კერძოდ, 16.1 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს შემდეგს: ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები თავიანთ უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა:

- ა) მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად;
- ბ) ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი;
- გ) მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე უკეთესია საწარმოსა და მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ინტერესებისათვის<sup>4</sup>.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დირექტორს საწარმოს მიმართ აქვს სამი ძირითადი ვალდებულება,

---

<sup>1</sup> ბაქაძე ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ., საკორპორაციო სამართალი, ლ. ცერცვაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 112.

<sup>2</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 196.

<sup>3</sup> იქვე, 196.

<sup>4</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის 16.1. მუხლი.

ესენია: კეთილსინდისიერების, ზრუნვის და ერთგულების ვალდებულება.<sup>1</sup> ეს ვალდებულებები არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და დირექტორის თითოეული მოქმედება უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, სამივე კრიტერიუმით ცალცალკე. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში კეთილსინდისიერების შემადგენელ ნაწილებად მოიაზრება ზრუნვის და ერთგულების მოვალეობა, რაც ცალსახათ არასწორია.<sup>2</sup> კეთილსინდისიერების ვალდებულება მხოლოდ საკორპორაციო კანონმდებლობაში არ გვხვდება, ის არის, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმადაც, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი<sup>3</sup>. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კეთილსინდისიერება სამართლის ფუძემდებლური ვალდებულებაა, რომელსაც როგორც დირექტორი, ასევე, სამართალურთიერთობის თითოეული მონაწილე უნდა ითვალისწინებდეს.

## 1.2. ზრუნვის მოვალეობა

მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერება ძალიან მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, დირექტორს სანარმოს წინაშე სხვა ვალდებულებებიც გააჩნია, ეს არის ზრუნვის ვალდებულება, რომელიც დირექტორის მხრიდან მოითხოვს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.<sup>4</sup> გადანყვეტილების მიღებამდე დირექტორმა სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადანყვეტილება. ცხადია, დღესდღეობით შეუძლებელია დირექტორს მოვთხოვოთ ყველაფრის ცოდნა და შესწავლა, ამიტომაც შესაძლებელია ინფორმაციისა თუ რჩევების მიღება მესამე პირებიდან, რა თქმა უნდა,

---

<sup>1</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 198.

<sup>2</sup> იქვე, 197.

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 8.3. მუხლი.

<sup>4</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 136.

გონივრულობის ფარგლებში.<sup>1</sup> კომპანიების შესახებ ბრიტანული კანონის 172-ე ნაწილი ღირეფტორებს აკისრებს ზოგად ვალდებულებებს, ისეთებს როგორებიცაა აქციონერების ინტერესების გათვალისწინება, აგრეთვე, თანამშრომლების, მომწოდებლების, მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინება.<sup>2</sup> თუმცა, აღნიშნული კანონი ღირეფტორებს ფიდუციურ ვალდებულებას აკისრებს კომპანიისა და აქციონერის მიმართ.<sup>3</sup> ამავე კანონის 174-ე ნაწილი კი, დეტალურად განსაზღვრავს ღირეფტორის ვალდებულებას სათანადო ზრუნვის შესახებ სანარმოს მიმართ, რომელიც გამოიხატება სანარმოს გულმოდგინედ მართვაში, სათანადო ცოდნისა და უნარების მეშვეობით.<sup>4</sup>

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით დგინდება, რომ ზრუნვის მოვალეობის თანახმად, ღირეფტორები ვალდებული არიან გონივრულად და სათანადო ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღონ ფინანსურად და სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოებისათვის ყველაზე ხელსაყრელი უნდა იყოს.<sup>5</sup> აქედან გამომდინარე, ღირეფტორმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს, რათა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება საუკეთესო იყოს საზოგადოებისთვის, ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია, ღირეფტორები იყვნენ მიუკერძოებელნი, დაეყრდნონ სანდო ინფორმაციასა და საუკეთესო პრაქტიკას.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ღირეფტორი სამენარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული დარღვევით მიყენებული ზიანისთვის და დაუშვებელია ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის შეზღუდვა წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით, ღირეფტორის მიერ აღნიშნული მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისთვის. თუმცა, მითითებული მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების არსებობისას, შეიძლება

---

<sup>1</sup> ცერკვაძე ლ., ღირეფტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისა და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 136.

<sup>2</sup> Companies Act 2006, Section 172.

<sup>3</sup> Wooldrige F., Andenas M., European Comparative Company Law, New York, 2009, 271.

<sup>4</sup> იქვე, 271.

<sup>5</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი.

გამოირიცხოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი. საერთო კრების მიერ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება უნდა შესარულოს დირექტორმა, შესაბამისად, ის უნდა განთავისუფლდეს აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებიდან, გამომდინარე შესაძლო ზიანის პასუხისმგებლობიდან, რაც მიიღო სამენარმეო საზოგადოებამ. თუმცა აქაც გვხვდება გამონაკლისი შემთხვევა: ხელმძღვანელ პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც მან იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა.

მე-3 პუნქტი კი შესაძლებლობას იძლევა სადამფუძნებლო შეთანხმებით იმ სუბიექტთა წრის გაფართოებისა, რომლებსაც აქვთ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი ეთმობა ზოგადად, ზრუნვის მოვალეობიდან გამომდინარე სტანდარტების განსაზღვრას, 51-ე მუხლი კი, უფრო სპეციალური ხასიათისაა და ადგენს ხელმძღვანელი პირის მოვალეობებს განსაკუთრებულ ვითარებაში. ვიდრე დირექტორის მოვალეობაზე გადავალთ, აუცილებელია განისაზღვროს რას გულისხმობს განსაკუთრებული ვითარება. განსაკუთრებულ ვითარებად, რომელიც საზოგადოების ხელმძღვანელ პირს დამატებით მოვალეობებს ანიჭებს, მიიჩნევა ის გარემოება, როდესაც სამენარმეო საზოგადოება გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საფრთხის წინაშე დგას. ასეთ დროს ხელმძღვანელმა პირმა უნდა იმოქმედოს ბრალეული გაჭიანურების გარეშე. ბრალეულ გაჭიანურებად ითვლება: განცხადების პირველივე გონივრული შესაძლებლობის გამოუყენებლობა, განცხადების გაკეთება გადაუხდელობის დადგომიდან 3 კვირის შემდეგ, თუ დაგვიანების მიზეზი ზრუნვის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება იქნება.

ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. კერძოდ, საქმე ეხებოდა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხს. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახური. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საკითხი იყო შემდეგი: ეკისრებათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და

დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია.<sup>1</sup> ვინაიდან აღნიშნული თავი ეთმობა დირექტორის პირად პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძვლებს სწორედ ამ მიმართულებით წარმოვადგენ სასამართლოს განმარტებას. დირექტორის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ზრუნვის მოვალეობა საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს.<sup>2</sup> საკასაციო სასამართლოს განმარტებით ზრუნვის ვალდებულება მოითხოვს დირექტორისგან ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც გამოიწვევს კომპანიის მოგების ზრდას.<sup>3</sup> აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ეს გადაწყვეტილებები გარკვეულწილად იქნება რისკის შემცველი და, აგრეთვე, მცდარიც.<sup>4</sup> თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, დირექტორი პირადი პასუხისმგებლობის საკითხიდან განთავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ ის მოქმედებდა კეთილგონიერების ფარგლებში იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას ის ინფორმირებული იყო სათანადოდ, რაც საკმარისად მიაჩნია, მოცემულ ვითარებაში.<sup>5</sup>

მართო ქართული სასამართლო პრაქტიკით, რომ არ შემოვიფარგლოთ ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი *Smith v. Van Gorkom*<sup>6</sup> საქმე. აღნიშნული საქმეს იხილავდა დელავერის უზენაესი სასამართლო და ის ეხებოდა ორი კომპანიის

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> *Smith v. Van Gorkom*, 488 A.2d 858 (1985), <<https://law.justia.com/cases/delaware/supreme-court/1985/488-a-2d-858-4.html>> [06.02.2022].



შერწყმას. ბრალდებულმა გორკომმა, რომელიც დირექტორი იყო, ფინანსური ექსპერტების კონსულტაციის გარეშე აირჩია შეთავაზებული ფასი თითო აქციის სანაცვლოდ, რაც 55 აშშ დოლარს წარმოადგენდა.<sup>1</sup> დირექტორი დაეყრდნო მხოლოდ ორი აღმასრულებელი ოფიცრის მცდარ ინფორმაციას და არ დაადგინა აქციების რეალური ღირებულება.<sup>2</sup> ეს გადანყვეტილება სასამართლომ ძალზე კრიტიკულად შეაფასა, რადგან აღნიშნული გადანყვეტილება მოკლებული იყო ყოველგვარ კომპეტენტურ მტკიცებულებას, რომ 55 აშშ დოლარი წარმოადგენდა აქციის ღირებულებას.<sup>3</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტორი მოიქცა დაუდევრად, როდესაც სწრაფად დაადასტურა შერწყმის პროცესი, არსებითი გამოკვლევის და ექსპერტის რჩევის გარეშე.<sup>4</sup> აქედან გამომდინარე, დირექტორმა დაარღვია ზრუნვის ვალდებულება კორპორაციის წინაშე.

შესაბამისად, ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ კომპონენტებად შეგვიძლია განვსაზღვროთ რამდენიმე ვალდებულება, ესენია: ინფორმირებულობის ვალდებულება, გადანყვეტილების მიღება სათანადო გამოკვლევის გზით და ცოდნისა და უნარების ვალდებულება.

### 1.3. ერთგულების მოვალეობა

დირექტორები კომპანიაში ინიშნებიან, რათა მართონ კომპანიის აქტივები, რომლებიც აქციონერებს ეკუთვნის.<sup>5</sup> ამიტომ, კეთილსინდისიერად უნდა იმოქმედონ, კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით და საკუთარი ინტერესები უნდა დაუქვემდებარონ კომპანიის ინტერესებს.<sup>6</sup> კომპანიათა შესახებ კანონმდებლობის თანახმად, დირექტორი დაარღვევს ერთგულების მოვალეობის სტანდარტს იმ შემთხვევაში, თუ ის მიიღებს ისეთ გადანყვეტილებას, რომელიც ზიანს აყენებს კომპანიას,

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Cahn A., Donald C.D., *Comparative Company Law*, New York, 2010, 333.

<sup>6</sup> იქვე.

ხოლო დირექტორისთვის კი, ეს გადანყვეტილება სარგებლის მომტანია.<sup>1</sup> ეს სტანდარტი დირექტორებს საშუალებას აძლევთ კომპანია მართონ თავისუფლად, როგორც თვითონ თვლის საჭიროდ, სანამ არ დაარღვევს ერთგულების სტანდარტს.<sup>2</sup> ეს ის შემთხვევაა, როცა დირექტორს გარიგების მიმართ აქვს პირდაპირი ან ირიბი ინტერესი.<sup>3</sup> არის შემთხვევები, როდესაც აქციონერებს სურთ დირექტორებმა მიიღონ სარისკო გადანყვეტილებები, რომელიც იქნება მომგებიანი კომპანიისთვის, თუმცა, შესაძლოა ასეთმა გადანყვეტილებამ გამოიწვიოს ზიანიც.<sup>4</sup>

ერთგულების მოვალეობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს აქვს განმარტება გაკვეთებული. დავის საგანს წარმოადგენდა სანარმოს დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადანყვეტილების მიღებას.<sup>5</sup> აღნიშნული მოვალეობა დირექტორს ავალდებულებს კორპორაციის ინტერესების უპირველესად გათვალისწინებას, ნებისმიერ პირად ინტერესთან შედარებით, რაც სხვასთან ერთად გულისხმობს, პირადი გამორჩენის მიზნით თანამდებობის გამოყენების დაუშვებლობას და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი რაიმე მიზეზით პირადად დაინტერესებულია კომპანიის მიერ კონკრეტული გადანყვეტილების მიღებით ან გარიგების დადებით.<sup>6</sup> საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გადანყვეტილების ან გარიგების მიმართ კომპანიის დირექტორის პირადი დაინტერესების არსებობა, თავისთავად არ იწვევს ერთგულების მოვალეობის დარღვევის გამო კომპანიის წინაშე მის

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, 334.

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 ივნისის გადანყვეტილება საქმეზე №ას-766-766-2018.

<sup>6</sup> იქვე.

პასუხისმგებლობას.<sup>1</sup> ასეთი ინტერესის არსებობის პირობებშიც კი, შეიძლება გადაწყვეტილება მართებულიად, ხოლო გარიგება ნამდვილად იქნას მიჩნეული, თუკი ეს უკანასკნელი შესაბამის ფორმალურ და მატერიალურ პირობებს აკმაყოფილებს.<sup>2</sup> ერთგულების მოვალეობა გამომდინარეობს დავალების ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებიდან და წარმომადგენლობის პრინციპიდან, რომელიც წარმომადგენელს ავალდებულებს წარმოდგენილი პირის ინტერესებით და არა პირადი ინტერესებით იხელმძღვანელოს.<sup>3</sup> აქედან გამომდინარეობს პრობლემა, რომელსაც „წარმომადგენლობის პრობლემა“ ეწოდება და ყველაზე ფართო გაგებით, წარმოიშვება, როდესაც ერთი მხარე ანუ „წარმოდგენილი“ დამოკიდებულია მეორე მხარის ანუ „წარმომადგენლის“ ქმედებებზე და ეს ქმედებები აისახება წარმოდგენილის კეთილდღეობაზე.<sup>4</sup> შესაბამისად, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება გარიგების მიმართ დირექტორის პირადი დაინტერესება, მაშინ სახეზეა არა ზრუნვის, არამედ დირექტორის ერთგულების მოვალეობის დარღვევა.<sup>5</sup>

#### 1.4. საკუთარ თავთან დადებული გარიგებანი

ერთგულების მოვალეობის დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული სახეა საკუთარ თავთან გარიგების დადება. მსგავსი ტიპის გარიგებებში მხარეებად არიან წარმოდგენილი, ერთი მხრივ, დირექტორი, როგორც ფორმალურად დამოუკიდებელი პირი და, ასევე, მეორე მხრივ, კომპანია, რომელსაც წარმომადგენს იგივე პირი დირექტორის სახით.<sup>6</sup> ეს არის შემთხვევა, როდესაც სახეზე

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Armour J., Hansmann H., Kraakman R., *The Anatomy Of Corporate Law*, Oxford, 2017, 29.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-766-766-2018.

<sup>6</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 320-321.

გვაქვს ინტერესთა კონფლიქტი, იქიდან გამომდინარე, რომ გარიგების ორივე მხარე ერთი და იგივე პირია. გარდა ამისა, საკუთარ თავთან გარიგების დადების დროს შეიძლება პრობლემა წარმოიშვას იმ თვალსაზრისით, რომ დირექტორი, როგორც კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია გარიგების დადებისას დაიცვას კომპანიის საუკეთესო ინტერესები და ამასთანავე, ლოგიკურია, რომ დირექტორისთვის მნიშვნელოვანია თავისი პირადი ინტერესების დაცვა.<sup>1</sup> შესაბამისად, სრულიად ლეგიტიმურია ის მოსაზრება, რომ დირექტორი მსგავს შემთხვევებში ვერ იქნება ისეთი ნეიტრალური და კომპანიის საუკეთესო ინტერესების გამტარებელი პირი, როგორც უნდა იყოს.<sup>2</sup> საკუთარ თავთან დადებულ გარიგებებზე შეიძლება ჩაითვალოს გარიგებები, რომლებშიც, დირექტორი პირდაპირ არ მონაწილეობს, მაგრამ გარიგებაში მონაწილეობს თავისი ახლობელი ან მასთან რაიმე სახით დაკავშირებული პირი, რომელიც მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს.<sup>3</sup>

ერთგულების მოვალეობა მიემართება ინტერესთა კონფლიქტს.<sup>4</sup> მაგალითად, თუ მენეჯმენტი განიხილავს გარიგებას კომპანიასთან, რომელშიც დირექტორს აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური ინტერესი, ერთგულების მოვალეობა მოითხოვს, რომ გარიგების პირობები მისაღები იყოს აქციონერებისთვის და გამომდინარეობდეს მათი ინტერესებიდან.<sup>5</sup> თუ დირექტორი აღმოაჩენს ბიზნეს შესაძლებლობას კომპანიისთვის მისი სამსახურის განმავლობაში ერთგულების მოვალეობა მოითხოვს, რომ დირექტორმა თავი შეიკავოს ამ შესაძლებლობის გამოყენებისგან მანამდე, ვიდრე არ დაადგენს მიიღებს თუ არა კომპანია მას.<sup>6</sup>

---

<sup>1</sup> იქვე, 321.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> Lareker D., Tayan B., Corporate Governance Matters, New Jersey, 2011, 81.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

ერთგულების მოვალეობა არის სამართლიანობის კონცეფცია, რომელიც არის ყველაზე ღია და მოქნილი.<sup>1</sup> ტრადიციულად ერთგულების მოვალეობა ყველაზე მკაცრია აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში.<sup>2</sup> ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის ფაქტი, რომ კომპანიის დირექტორთა მოვალეობა სათავეს იღებს ძველი ინგლისური ნდობის კანონიდან.<sup>3</sup> კონტინენტურ ევროპაში სიტუაცია ძალიან განსხვავებულია, რადგან ზრუნვის მოვალეობამ ტრადიციულად უფრო დიდი როლი ითამაშა, ვიდრე ერთგულების მოვალეობამ.<sup>4</sup>

დელავერის სასამართლოების მიერ ფორმულირებული ერთგულების მოვალეობა, ჰგავს დიდი ბრიტანეთის საერთო სამართლის ფორმულირებას: დირექტორმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, იმ რწმენით, რომ მისი მოქმედებები კომპანიის ინტერესებშია.<sup>5</sup> ერთგულების მოვალეობის დამხმარე ელემენტებია ის, რომ დირექტორები არ მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად, ანუ ისინი არ მოქმედებდნენ რაიმე სხვა მიზნით, გარდა კომპანიის კეთილდღეობისა.<sup>6</sup>

კომპანიის ტრანზაქციების მართვა დირექტორის ყოველდღიურ საქმიანობას განეკუთვნება.<sup>7</sup> კომპანიაში შეიძლება განხორციელდეს ისეთი ტრანსაქციები, რომლის მხარეებიც, ერთი მხრივ, იქნება დირექტორი, ხოლო, მეორე მხრივ, კომპანია.<sup>8</sup> ასეთ დროს არსებობს საფრთხე, რომ დირექტორმა იმოქმედოს პირადი ინტერესების გათვალისწინებით და მიიღოს კომპანიის ინტერესების სანინაალმდეგო გადაწყვეტილება.<sup>9</sup> ქართულ სამართალში სათანადოდ არ არის მოწესრიგებული საკუთარ

---

<sup>1</sup> Gordon J., Ringe G., *The Oxford Handbook of Corporate Law and Governance*, New York, 2015, 14 of 38.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Cahn A., Donald C.D., *Comparative Company Law*, New York, 2010, 344.

<sup>6</sup> იქვე, 345.

<sup>7</sup> ბაქაქური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ., *საკორპორაციო სამართალი*, ლ. ცერცვაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 103.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე.

თავთან დადებული გარიგებები, თუმცა ივარაუდება, რომ ის გამომდინარეობს დირექტორთა ერთგულების ზოგადი მოვალეობებიდან.<sup>1</sup>

საკუთარ თავთან დადებულ გარიგებებს, ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოების აქციონერებმა, რადგან შეიძლება ეს ტრანსაქციები კომპანიის ინტერესების შემლახველი იყოს, და პირიქით დირექტორის ინტერესებს ემსახურებოდეს. ასეთ შემთხვევებში, თუ დადგინდება, რომ საკუთარ თავთან დადებული გარიგება მომგებიანია დირექტორისთვის და არა კომპანიისთვის, დირექტორს მოუწევს იმ ზიანის ანაზღაურება რაც მიადგა საზოგადოებას და ამის გარდა, მან უნდა დააბრუნოს ყველა ის სარგებელი, რაც მიიღო საკუთარ თავთან დადებული გარიგების შედეგად.<sup>2</sup>

### 1.5. სამენარმეო განსჯის წესი

იმისთვის, რომ ე.წ. „უსაფრთხო ნავსაყუდელი“ არსებობდეს უნდა იყოს რამდენიმე კრიტერიუმი დაკმაყოფილებული: ბიზნეს გადანყვეტილების დროს დირექტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ გააჩნდეს პირადი ინტერესი აღნიშნულისადმი, იმოქმედოს სათანადო გულისხმიერებით, კეთილსინდისიერად და ეს გადანყვეტილება რაციონალური უნდა იყოს.<sup>3</sup> დელავერის შტატის სასამართლომ განიხილა *Cooke v. Oolie* საქმე, სადაც მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ დირექტორებმა დაარღვიეს თავიანთი მოვალეობები და ეჭვქვეშ აყენებდნენ რამდენიმე გარიგებას.<sup>4</sup> სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ ეს გარიგება მათ პირად ინტერესებს წარმოადგენდა თუ არა.<sup>5</sup> ამ საქმესთან დაკავშირებით ისმის კითხვა, მოქმედებს თუ არა სამენარმეო განსჯის წესი,

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, 104.

<sup>3</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 218.

<sup>4</sup> *Cooke v. Oolie* - Civil Action No. 11134, 2000 Del. Ch. LEXIS 89 (Ch. May 24, 2000).

<sup>5</sup> იქვე.

როდესაც აქციონერები ეჭვქვეშ აყენებენ დაინტერესებული დირექტორების ქმედებებს?<sup>1</sup> დიახ, აღნიშნულ შემთხვევაშიც მოქმედებს სამენარმეო განსჯის წესი და მტკიცების ტვირთი არის მოსარჩელებზე, ანუ აქციონერებზე და მათ უნდა ამტკიცონ ინტერესთა კონფლიქტის დარღვევის ფაქტი.<sup>2</sup> დელავერის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის პოზიცია შემდეგი მიზეზის გამო: მოსარჩელებმა ვერ დაადასტურეს მოპასუხე მხარის დირექტორების მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის დარღვევა, რაც საკმარისი იქნებოდა სამენარმეო განსჯის წესის გასაუქმებლად.<sup>3</sup>

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი ადგენს სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების წესს.<sup>4</sup> სამენარმეო გადაწყვეტილება გულისხმობს მოცემული ვითარების შეფასებიდან გამომდინარე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ემყარება სამომავლო ვარაუდს. ვინაიდან საქმე გვაქვს ვარაუდთან და შეუძლებელია წინასწარ ზუსტად იმის განჭვრეტა, თუ რა მოხდება მომავალში, ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, დირექტორს აქვს პასუხისმგებლობის დაცვის გარანტიები. თუმცა, მხოლოდ მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტის შეუძლებლობა არ არის ერთადერთი მიზეზი დირექტორის პასუხისმგებლობის დაცვისა. კიდევ ერთ ფაქტორს წარმოადგენს, რისკი, რომელიც ხშირ შემთხვევაში, აუცილებელია დირექტორის მხრიდან გადაწყვეტილების მიღებისას. ასეთ შემთხვევაში, დირექტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ ის სამენარმეო გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა ზრუნვის მოვალეობიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტის გარეშე, დამოუკიდებლად და სათანადოდ იყო ინფორმირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სწამდა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამენარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესების მატარებელია. აქედან გამომდინარე, ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და პასუხისმგებლობა არ დაეკისრება დირექტორს იმ სამენარმეო გადაწყვეტილებისთვის, რამაც ზიანი მიაყენა

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი.

საზოგადოებას, თუ ხელმძღვანელ პირს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ სამენარმეო გადანაცვეტილებას იღებდა საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამენარმეო საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად, ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე.

## 1.6. ინტერესთა კონფლიქტი

საკუთარ თავთან დადებულ გარიგებებზე შეიძლება ჩაითვალოს გარიგებები, რომლებშიც, ღირეფტორი პირადად არ მონაწილეობს, მაგრამ გარიგებაში მონაწილეობს თავისი ახლობელი ან მასთან რაიმე სახით დაკავშირებული პირი, რომელიც მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს.<sup>1</sup> ამერიკული კანონმდებლების თანახმად, ღირეფტორის მიერ საკუთარ თავთან გარიგებების დადება არ არის ბათილობის საფუძველი, პირიქით, დაშვებულია ამგვარი გარიგებების ნამდვილობა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გარკვეული გარემოებები.<sup>2</sup> ესენია: თუ ღირეფტორატთა უმრავლესობა მოიწონებს აღნიშნულ გარიგებას,<sup>3</sup> მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება მოწონება, გარიგების დადებაზე თუ შემდეგ. თუმცა ამით არ სრულდება საკუთარ თავთან დადებული გარიგებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები. კიდევ ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს აქციონერების მიერ აღნიშნული გარიგების მხარდაჭერა, მაგრამ ამასთანავე, მხოლოდ აქციონერების მხარდაჭერა არ არის საკმარისი საფუძველი, გარიგება უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის ინტერესებს.<sup>4</sup>

საკუთარ თავთან დადებული გარიგებები დღეისთვის ყველა ქვეყანაშია შესაძლებელი და არანაირი აკრძალვები არ არსებობს ამასთან დაკავშირებით, თუმცა საფრანგეთი და აშშ გამოყოფს ისეთ გარიგებას

---

<sup>1</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 321.

<sup>2</sup> იქვე, 322.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.



როგორცაა სესხის ხელშეკრულების დადება დირექტორსა და კომპანიას შორის და ასეთ გარიგებებს კრძალავს.<sup>1</sup> ამ ყველაფერს რა თქმა უნდა თავისი მიზეზები აქვს. დირექტორები სესხის გამოყენებით, კომპანიის აქციებში ინვესტიციებს ახორციელებდნენ, რის საშუალებითაც ზრდიდნენ მათ საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობას.<sup>2</sup> ამ მეთოდის გამოყენებით დადებული გარიგებების შედეგად, ხდებოდა კომპანიის აქციების ფასის ხელოვნური ზრდა.<sup>3</sup>

ვიდრე მენარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონი შეიქმნებოდა, ძველი რედაქციის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის მუხლი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი შინაარსით, დირექტორებს არ აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.<sup>4</sup> აღნიშნული ნორმის შინაარსი არ მიესადაგებოდა ინტერესთა კონფლიქტის შემადგენელი გარიგებების შინაარსს. ამასთან, კანონში უნდა იყოს გათვალისწინებული ისეთი შემთხვევა, როდესაც საკუთარ თავთან დადებული გარიგება კომპანიისთვის სარგებლის მომტანია და აღნიშნული არ უნდა შეფასდეს ვალდებულების დარღვევად.<sup>5</sup>

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი ადგენს კონკურენციის აკრძალვის წინაპირობებს.<sup>6</sup> განსხვავებით მისი წინამორბედისგან, რომელიც ინტერესთა კონფლიქტს ეხებოდა, შინაარსობრივად უფრო გამართულია აღნიშნული მუხლი. კონკურენციის აკრძალვის დეფინიციიდან გამომდინარე, ხელმძღვანელ პირს საზოგადოების ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე ეკრძალება იმავე საქმიანობის

---

<sup>1</sup> Enriques L., Hertig G., Kanda H., Pargendler M., *The Anatomy of Corporate Law*, Oxford, 2017, 158.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ცერცვაძე ლ., *დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას*, თბილისი, 2016, 176.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი.

განხორციელება, რასაც სამენარმეო საზოგადოება ეწევა. აგრეთვე, დირექტორს აკრძალული აქვს მსგავსი საქმიანობის მქონე სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობა. საზოგადოების ინფორმირებულობად ითვლება ისეთი გარემოება, როცა პარტნიორებმა იცოდნენ დირექტორის მსგავსი საქმიანობის შესახებ და არ მოსთხოვეს ამ საქმიანობის შეწყვეტა. აღნიშნული აკრძალვები ეხებათ მხოლოდ დირექტორებს და არა პარტნიორებს. ამ კრიტერიუმების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად, დადგება დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი საზოგადოების მიმართ. სამენარმეო საზოგადოებას, ასევე, შეუძლია, მოითხოვოს დირექტორის მიერ დადებული გარიგებიდან მიღებული ან მომავალში მისაღები სარგებლის დათმობა საზოგადოების სასარგებლოდ. ეს მოთხოვნები ძალაშია დირექტორის სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაშიც, არაუმეტეს სამი წლის ვადით. კონკურენციის აკრძალვის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების დაცვა დირექტორის თვითნებური ქმედებებისაგან, რომელშიც იგულისხმება თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომლითაც იზღუდება თავისუფალი კონკურენცია.

გერმანულ სამართალში სააქციო საზოგადოების გამგეობის წევრებს არ აქვთ უფლება დამოუკიდებლად სამენარმეო ან სხვა კომერციული საქმიანობის წარმოების, თუ აღნიშნულთან დაკავშირებით, არ აქვთ სამეთვალყურეო საბჭოსგან შესაბამისი თანხმობა.<sup>1</sup> შეზღუდვა, ასევე, ვრცელდება სხვა საზოგადოების გამგეობის წევრობასთან ან მენეჯრობასთან დაკავშირებითაც.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანული კანონმდებლობა სააქციო საზოგადოების წევრებთან მიმართებაში კონკურენციის აკრძალვის მოვალეობას აწესებს.<sup>3</sup>

თუ დირექტორები გარიგებებში გამოიყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას სხვა მიზნებისთვის და არა კომპანიის ინტერესებისთვის, მათი ეს ქმედება შეიძლება მოვალეობის დარღვევად ჩაითვალოს და დაცვის

---

<sup>1</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 336.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ის საშუალებები, რომ კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და მიაჩნდათ მათი ეს ქმედებები კომპანიის ინტერესებში შედიოდა, უგულებელყოფილი იყოს, მაშინაც კი, როცა ღირეფქტორები სარგებელს არ მიიღებენ ამ გარიგებიდან. თავიანთი ფუნქციების განხორციელების შედეგად ღირეფქტორებმა არ უნდა მიიღონ მოგება, იმიტომ, რომ ეს არის მათი ფიდეუციური მოვალეობა.

### **1.7. კორპორაციული ინფორმაციისა და შესაძლებლობების გამოყენება**

კორპორაციული ინფორმაციის და შესაძლებლობების გამოყენება პირადი სარგებლის ან ინტერესებისთვის წარმოშობს ღირეფქტორების პასუხისმგებლობის საკითხს იმ შემთხვევაში თუ სათანადოდ არ იქნებიან ინფორმირებულები კორპორაციის აქციონერები.

კომპანიათა შესახებ კანონის 175-ე მუხლის თანახმად, ღირეფქტორებს აქვთ მოვალეობა, თავი არ ჩაიგდონ ისეთ მდგომარეობაში, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონფლიქტს პირად ინტერესებსა და კომპანიის წინაშე არსებულ მოვალეობებს შორის.<sup>1</sup> ეს წესი ვრცელდება ქონების, ინფორმაციის, ან შესაძლებლობის ნებისმიერ გამოყენებაზე.<sup>2</sup> იმავე კანონის 177-ე მუხლი კი, ღირეფქტორს ავალდებულებს სხვა ღირეფქტორებს გააცნოს ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი გარიგების ან შეთანხმების მიმართ.<sup>3</sup> ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მოხდეს, როგორც კრებაზე, ასევე, ინტერესის არსებობის შესახებ შეტყობინების გზით.<sup>4</sup>

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლი განსაზღვრავს, საქმიანი შესაძლებლობების მითვისების აკრძალვას.<sup>5</sup> აღნიშნული ნორმა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ის გულისხმობს საზოგადო-

---

<sup>1</sup> Wooldrige F., Andenas M., *European Comparative Company Law*, New York, 2009, 273.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლი.

ების ხელმძღვანელი პირის მიერ თავისი თანამდებობიდან გამომდინარე მიღებული საქმიანი შესაძლებლობის გამოყენებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პირადი გამორჩენის მიზნით. აღნიშნული შესაძლებლობა გონივრული განსჯის შედეგად ივარაუდება, რომ სამენარმეო საზოგადოების ინტერესის საგანი იყო. ამ მოვალეობის დაცვის შემთხვევაში, სამენარმეო საზოგადოება დაცულია ხელმძღვანელი პირის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებისგან. შესაბამისად, თუ იქნება დაცული დირექტორის მხრიდან აღნიშნული მოვალეობა, ეს ხელშემწყობი ფაქტორი იქნება სამენარმეო საზოგადოებასა და ხელმძღვანელ პირს შორის ჯანსაღ, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებისა, რა დროსაც დირექტორის, როგორც ხელმძღვანელი პირის პროდუქტიულობა გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელი პირი მოვალეა საქმიანი შესაძლებლობის გამოყენება თავდაპირველად შესთავაზოს სამენარმეო საზოგადოებას. ეს მოვალეობა დირექტორს აკისრია, როგორც სასამსახურო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, აგრეთვე, მისი გაუქმებიდან სამი წლის შემდეგაც. საზოგადოებისათვის ინტერესის შემცველი საქმიანობა დგინდება გონივრული განსჯის შედეგად, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს სამენარმეო საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი შესაძლებლობის ურთიერთმიმართება, ანუ რამდენად გააჩნია საზოგადოებას ფინანსური სახსრები, რათა გამოიყენოს აღნიშნული ფინანსური შესაძლებლობა. აგრეთვე, გამოკვლეული უნდა იყოს, თუ რა კუთხით არის საზოგადოებისთვის საინტერესო ამ შესაძლებლობის გამოყენება. იქნება ეს ფინანსური ინტერესი თუ სხვა. თუმცა, ეს მუხლი საშუალებას აძლევს ხელმძღვანელ პირს გამოიყენოს პირადი სარგებლობისთვის საქმიანი შესაძლებლობა, თუ საერთო კრებამ ან სამეთვალყურეო საბჭომ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე, სხვა შემთხვევაში კი, დირექტორს დაეკისრება პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე მის მიმართ მიყენებული ზიანის ფარგლებში. ასევე, შესაძლოა საზოგადოებამ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მიღებული სარგებლის სამენარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ასეთი მოთხოვნის უფლების დათმობა საზოგადოების სასარგებლოდ.

დელავერის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა ერთგულების მოვალეობების ანარეკლია.<sup>1</sup> ყოველთვის არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რომელი შესაძლებლობები ეკუთვნის კორპორაციას და ამ საკითხის გასარკვევად იყენებენ სამ ტესტს: ინტერესის ან მოლოდინის ტესტს, ბიზნეს-ხაზის ტესტსა და სამართლიანობის ტესტს.<sup>2</sup> ინტერესის ან მოლოდინის ტესტის თანახმად უნდა დადგინდეს, განაცხადა თუ არა კორპორაციამ წინასწარი პრეტენზია კორპორაციულ შესაძლებლობაზე.<sup>3</sup> ბიზნესხაზის ტესტის თანახმად, უნდა დადგინდეს, ეხება თუ არა კორპორაციული შესაძლებლობა იმ ბიზნესს, რომელსაც კორპორაცია აკეთებს.<sup>4</sup>

## 2. დირექტორთა პასუხისმგებლობა

კომპანიათა დირექტორები, მმართველი დირექტორები და აღმასრულებელი ოფიცრები ექვემდებარებიან კონტროლს.<sup>5</sup> აღნიშნულის მიზანია დაზარალებულთა პირადი ინტერესებისა და კომპანიის წინაშე მათი ვალდებულებების დაცვა.<sup>6</sup> დირექტორებმა კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების თანახმად უნდა გაითვალისწინონ უფლებამოსილების შემზღუდვის საფუძვლები და თავი უნდა შეიკავონ კორპორაციული მიზნის მიღმა მოქმედებებისგან, ასევე, ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც არ შეესაბამება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს.<sup>7</sup> ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორების მიმართ დასტურდება ბრალი ან დაუდევრობა.<sup>8</sup> დირექტორების მიერ მრავალი სახის პირადი ინტერესი და

---

<sup>1</sup> ბაქაქერი ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ., ჯუღელი გ., საკორპორაციო სამართალი, ლ. ცერცვაძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 107.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Wooldrige F., Andenas M., European Comparative Company Law, New York, 2009, 293.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე, 294-295.

<sup>8</sup> იქვე, 295.

არაკეთილსინდისიერი ქმედება კვალიფიცირდება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.<sup>1</sup> მინორიტარ აქციონერს შეუძლია სარჩელის აღძვრა დირექტორის წინააღმდეგ კომპანიის სახელით, თუმცა ის უნდა იყოს აქციათა არანაკლებ 5%-ის მფლობელი.<sup>2</sup>

საინტერესოა დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებაში უზენაესი სასამართლოს პოზიცია. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიერ თავისი უფლება-მოვალეობის ჯეროვანი შესრულების საკითხი და საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანთან მიმართებით დირექტორის ბრალეულობა, წარმოშობს საზოგადოების წინაშე შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას.<sup>3</sup> კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა.<sup>4</sup> ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისთვის წარმოშობს შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას, ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას, რაც რეგლამენტირებულია კანონით.<sup>5</sup> საზოგადოებასთან ურთიერთობაში დირექტორი ვალდებულია, მოქმედებდეს თავისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში, ანუ მისი კომპეტენცია შეზღუდულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული შეთანხმებით.<sup>6</sup> ამ წესების დარღვევა წარმოადგენს დირექტორის საზოგადოებასთან მიმართებაში არსებული შიდა ვალდებულებების დარღვევას და წარმოშობს საზოგადოების მხრიდან დირექტორისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.<sup>7</sup>

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, დირექტორატი ვალდებულია საწარმოს მართვისას მოქმედებდეს კეთილგონიერი ბიზნესმენის

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-959-1161-08.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

გულმოდგინებით და გამოიჩინოს გულისხმიერება.<sup>1</sup> შესაბამისად, მოცემული ვალდებულების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას ღირეფტორთა მხრიდან.<sup>2</sup> რაც შეეხება პასუხისმგებლობის სახეებს, გერმანული კანონმდებლობა სამი სახის პასუხისმგებლობას აწესებს ზემოთ აღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის.<sup>3</sup> ესენია: სამართლიანი კომპენსაციის მოთხოვნა, მიღებული მოგების, სარგებლის დაბრუნების მოთხოვნა და სასამართლო აკრძალვა.<sup>4</sup> სამართლიანი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობაა ისეთი შემთხვევა, როდესაც ღირეფტორი კომპანიის წარმატებაზე არ არის ორიენტირებული, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.<sup>5</sup> რაც შეეხება „მიღებული მოგების დაბრუნების“ მოთხოვნის უფლებას, კომპანიას მაშინ წარმოეშობა ეს უფლება, როდესაც სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი, რაც გამოიხატება, მესამე პირისაგან რაიმე სარგებლის მიღების საშუალებით და ტრანზაქციებთან დაკავშირებით პირადი დაინტერესების შემთხვევაში.<sup>6</sup> ხოლო, სასამართლო აკრძალვა გულისხმობს, სასამართლოს შესაძლებლობას ღირეფტორს აუკრძალოს გარკვეული ქმედების განხორციელება ან აუკრძალოს აქტივებით სარგებლობა და აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ბრძანებას.<sup>7</sup> ეს ბრძანება ექვემდებარება აღსრულებას და შესაბამისად, მნიშვნელოვანია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს.<sup>8</sup>

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ღირეფტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, ხოლო ღირეფტორმა უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის საზოგადო-

---

<sup>1</sup> ცერცვაძე ლ., ღირეფტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 297.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, 297-298.

<sup>6</sup> იქვე, 298.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

ებისთვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი და რომ ის, მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.<sup>1</sup> საკაცაციო სასამართლოს მიერ, დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი და რომ ის, მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.<sup>2</sup>

### 3. დირექტორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვა

დირექტორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა არ არის საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკა, დელავერის შტატის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობას, რითაც გამოირჩევა სხვა ქვეყნების კანონმდებლობისგან.<sup>3</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, დელავერის შტატში რეგისტრირებული კომპანიის წესდებით, შეიძლება განისაზღვროს დირექტორის უმიზნოდ განთავისუფლების აკრძალვა, მაშინ, როდესაც გერმანული და ბრიტანული სამართალი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ყოველგვარი მიზნის გარეშე შეიძლება განთავისუფლდეს დირექტორი.<sup>4</sup> ანალოგიური მდგომარეობაა ქართულ კანონმდებლობაშიც, პარტნიორთა საერთო კრებას შეუძლია განთავისუფლოს დირექტორი.<sup>5</sup> ბრიტანული აქტი კომპანიათა შესახებ, შესაძლებელს ხდის პასუხისმგებლობის შეზღუდ-

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Neas-1144-1076-2015.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 309.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.



ვას ან პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას ინტერესთა კონფლიქტის დროს.<sup>1</sup> მიმაჩნია, რომ დელავერის კანონმდებლობა უფრო სრულყოფილია ამ საკითხთან მიმართებაში, რადგან დირექტორის მუშაობის ხარისხი გაცილებით მაღალია მაშინ, როდესაც მან იცის, რომ უმიზეზოდ არ გაანთავისუფლებენ სამსახურიდან, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მისი გადაწყვეტილების ეფექტურობაზე და პროდუქტიულობაზე. რაც უფრო დაცულია დირექტორი, მით უფრო თავდაჯერებულად მოქმედებს, ბოლომდე იყენებს თავის შესაძლებლობებს, მეტად იჩენს ინიციატივას და უფრო რისკიანია თავის გადაწყვეტილებებში, რაც განაპირობებს კომპანიის წარმატებულობასა და შემოსავლების ზრდას.

## დასკვნა

მენარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონით სრულიად ახალი მიდგომები ჩამოყალიბდა. საინტერესოა, რამდენად იქნა გათვალისწინებული ის შენიშვნები, რაც დარგის ექსპერტებს ჰქონდათ და არის თუ არა გამოსწორებული ის ხარვეზები, რომლებიც ესოდენ ჭარბობდნენ ზემოაღნიშნულ კანონში. ვინაიდან, ნაშრომი ეხება დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხს, სწორედ ამ ჭრილში იქნა განხილული კანონი.

მენარმეთა შესახებ საქართველოს მოქმედი კანონი ისევე, როგორც მისი წინამორბედი არ არის ამ მიმართულებით სრულყოფილი, რადგან მართალია ზრუნვის მოვალეობა ცალკე მუხლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა მასში გაერთიანებულია კეთილსინდისიერებისა და ერთგულების მოვალეობები. აღნიშნული საკითხის უკეთ საილუსტრაციოდ უმჯობესი იქნება, თუ უკვე ძალადაკარგული კანონის 9.6 მუხლსაც განვიხილავთ, რომლის თანახმად, „ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან სამენარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვნონ მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი სალად მოაზროვნე პირი (ზრუნვის მოვალეობა), და

---

<sup>1</sup> Companies Act 2006, Section 233-234.

მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია სამენარმეო საზოგადოებისათვის“ (ერთგულების მოვალეობა).<sup>1</sup> ზემოაღნიშნული ნორმა განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას და მის შემადგენელ კომპონენტებს, როგორებიცაა ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობა რაც არასწორია, რადგან კეთილსინდისიერებიდან არ გამომდინარეობს ეს მოვალეობები.<sup>2</sup> მოქმედ კანონშიც არ გვაქვს აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მართალია, ზრუნვის მოვალეობასთან დაკავშირებული მუხლი ცალკე არის ჩამოყალიბებული, თუმცა მასში გაერთიანებულია რამდენიმე მოვალეობა. უმჯობესია, კეთილსინდისიერების, ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობები ცალკე მუხლებად ჩამოყალიბდეს, რადგან ეს ვალდებულებები არის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და დირექტორის ქმედებები უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად სამივე კრიტერიუმის გამოყენებით. ერთგულებისა და ზრუნვის მოვალეობები წარმოადგენენ იმ ფუნდამენტურ მოვალეობებს, რომლებიც დირექტორებს გააჩნიათ სანარმოს მიმართ. მათი დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას. დელავერის შტატში, სასამართლო მიჯნავს და უთითებს, თუ რომელი ვალდებულება იქნა დარღვეული, რადგან განსხვავებულია ის კრიტერიუმები, რომლითაც ხდება თითოეული მოვალეობის დარღვევის დადგენა. შესაბამისად, თუ მათ შორის განსხვავება მკაფიოდ არ არის დადგენილი, სწორი გადაწყვეტილების მიღება რთულდება. კანონი ნათლად არ მიჯნავს კეთილსინდისიერების, ზრუნვის და ერთგულების მოვალეობებს. შეიძლება იმის თქმაც, რომ მიჯნის გავლება სასამართლოს საქმეა, თუმცა სასამართლო პრაქტიკაშიც არ გხვდება აღნიშნული გამოჩენა. შესაბამისად, მიზანშეწონილია განიმარტოს რა განსხვავებაა მათ შორის და რა წინაპირობების მიხედვით ხდება დადგენა თუ, რომელი მათგანის დარღვევასთან გვაქვს საქმე. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიულ ჭრილში, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. შესაბამისად, კანონმდებლის მიერ უნდა განისაზღვროს განვითარების მოდელი, იქნება ეს გერმანული,

---

<sup>1</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2016, 197.

<sup>2</sup> იქვე.

სადაც გულმოდგინების მოვალეობა მოიცავს დირექტორის ყველა არსებით მოვალეობას, თუ აირჩევს მოდელს, სადაც ზრუნვის, ერთგულებისა და კეთილსინდისიერების ზოგადი დეფინიცია ჩამოყალიბებულია კანონში. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან და შესაბამისად, მათი დარღვევაც განსხვავებულ შედეგებს იწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სათანადოდ არ არის განვითარებული სამართლის ეს დარგი, სასამართლო პრაქტიკა, შემდგომი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ძირითად მოვალეობათა განსაზღვრა. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2006 წლის რეფორმის შედეგად ინგლისმა, როგორც პრეცედენტული სამართლის ქვეყანამ, პრიორიტეტი დირექტორის მოვალეობათა საკანონმდებლო დონეზე დეტალურ მონესრიგებას მიანიჭა.

მოქმედი კანონის 52-ე მუხლი ადგენს სამენარმეო გადანყვეტილების თავისუფლებას, რაც ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან ქართული კანონმდებლობა არ იცნობდა აქამდე აღნიშნულ ნორმას. “Business Judgment Rule” ამერიკული სასამართლო პრაქტიკიდან მომდინარეობს და ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს თითქმის ყველა ქვეყნის საკორპორაციო სამართალში.<sup>1</sup> თავისი შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული წესი იცავს დირექტორს პირადი პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუკი მისი მოქმედება გონივრულობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.<sup>2</sup>

მენარმეთა შესახებ კანონის 53-ე და 54-ე მუხლები განსაზღვრავს ერთგულების შემადგენელ კომპონენტებს. კერძოდ, კონკურენციის აკრძალვას, საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვას.

კანონით გათვალისწინებული სიახლეა, სანქციის სახეები.<sup>3</sup> მენარმეთა შესახებ კანონის მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, ახალ კანონის ბუნდოვანი დეფინიცია, რომელიც ეხებოდა ანაზღაურებაზე

---

<sup>1</sup> ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 185.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ჯუღელი გ., გიგუაშვილი გ., განმარტებები „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, თბილისი, 2021, 77.

უარის თქმას, ჩანაცვლება მოხდა ორი ალტერნატივის სახით, სარგებლის დათმობის ან შესაბამისი მოთხოვნის დათმობის სახით.<sup>1</sup>

კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ საზოგადოების საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის საკითხი.<sup>2</sup> საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა განიმარტება შემდეგნაირად, რომ, თუ კომპანიის ხელმძღვანელი პირი, თავისი პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენებს კომპანიის საქმიან შესაძლებლობას, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მისთვის სამსახურიდან გამომდინარე, და ამავდროულად, კომპანიის ინტერესის საგანია, წარმოადგენს პასუხისმგებლობის საფუძველს.<sup>3</sup> კორპორაციული შესაძლებლობების მითვისების აკრძალვა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დირექტორის ფიდუციური მოვალეობა, რომლითაც დაცულია კომპანია დირექტორის არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგისგან. შესაბამისად აღნიშნული წესი განაპირობებს უფრო მეტ ნდობას დირექტორსა და კომპანიას შორის.<sup>4</sup> აღნიშნული მუხლი წინგადადგმული ნაბიჯია საკორპორაციო სამართალში, რადგან კომპანიის შესაძლებლობების მითვისება დირექტორების მიერ წარმოადგენს ერთგულების მოვალეობის დარღვევას და, თუ ასეთი ფაქტი დადასტურებული იქნება, კომპანიას შეუძლია დაიბრუნოს დირექტორისგან ნებისმიერი სახის მოგება თუ შემოსავალი, რომელიც მან მიიღო.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე, 78.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

